

Ilia State University  
G. TSERETELI INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES

**George Sanikidze**

**IRAN AND THE SOUTH  
CAUCASIAN COUNTRIES**

**Different Realities,  
Different Opportunities**



ILIA STATE UNIVERSITY  
2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

**გიორგი სანიკიძე**

# **ირანი და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები**

**განსხვავებული რეალობები,  
განსხვავებული შესაძლებლობები**



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2022

**გიორგი სანიკიძე**

**ირანი და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები**

**განსხვავებული რეალობები, განსხვავებული შესაძლებლობები**

**George Sanikidze**

**IRAN AND THE SOUTH CAUCASIAN COUNTRIES**

**Different Realities, Different Opportunities**



ნაშრომი გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი #SP-2-21-088). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This book is published by the financial support of Shota Rustaveli national science foundation (Scientific Publication Grants #SP-2-21-088). All ideas expressed herewith are those of author and may not represent the opinion of the Foundation itself.

რედაქტორი: **ნიკოლოზ ნახუცრიშვილი**

Edited by **Nikoloz Nakhutsrishvili**

დამკაბადონებელი: **ქეთევან გოგავა**

Layout design by **Ketevan Gogava**

ნაშრომში კომპლექსურადაა შესწავლილი ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები. განხილულია ისტორიული ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტები; ისტორიის განსხვავებულად აღქმის პრობლემები; ირანის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები და ის თავისებურებები, რაც მულავენდება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობებში; ირანის დამოკიდებულება სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებისადმი; ეკონომიკური ურთიერთობები; სატრანსპორტო დერეფნები; კასპიის ზღვისა და ენერგომატარებლების ტრანსპორტირების საკითხი; ირანის 'რბილი ძალა' სამხრეთ კავკასიაში და სხვ.

The aim of the book is the complex study of different aspects of interactions between Iran and the South Caucasian countries. It is discussed problems related with the shared history and perception of history from both sides. General framework of the foreign policy of Iran and its peculiarities towards the South Caucasian countries are presented. Iranian position towards the South Caucasian conflicts is discussed. Economic relations, problems related the transport corridors, pipelines, division of the Caspian Sea, Iranian 'soft power' etc. are studied.

© ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

G. Tsereteli Institute of Oriental Studies of the Ilia State University

ISBN 978-9941-18-385-0

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS

3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

## მინაარსი

<b>შესავალი</b> .....	7
ირანის განსაკუთრებულობა.....	8
თეორიული მიდგომები.....	9
ლიტერატურის მიმოხილვა.....	16
ნაშრომის სტრუქტურა .....	18
<b>თავი I. ისტორიის გაკვეთილები</b> .....	25
ირანი ისტორიაში.....	25
ისტორიული ურთიერთობები.....	33
მეხსიერების ომები .....	39
<b>თავი II. ირანის საგარეო პოლიტიკა – ძირითადი ვექტორები და მახასიათებლები</b> .....	52
რა დგას წინ – იდეოლოგია თუ პრაგმატიზმი? .....	52
ირანის ახლოაღმოსავლური პოლიტიკა: „შიიტური ნახევარმთვარე“ – რეალობა თუ ფიქცია? .....	61
ირანი და რუსეთი – მყიფე პარტნიორობა .....	65
ირანი და თურქეთი – რთული თამაშები.....	75
ირანი და გარესამყარო – მზერა აღმოსავლეთისკენ?.....	77
<b>თავი III. ირანის ადგილი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში</b> .....	81
სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ვექტორები და ირანი .....	81
გარე აქტორები სამხრეთ კავკასიაში და ირანი .....	88
ირანი და აზერბაიჯანი – გულცივი მეგობრები, გულთბილი მტრები.....	91
ირანი და სომხეთი – მარტონი ერთად .....	115
ირანი და საქართველო – „ცივი“ კეთილმეზობლური ურთიერთობები.....	127
<b>თავი IV. ირანი და სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები</b> .....	145
ყარაბაღის პირველი ომი და ირანი.....	145
2020 წლის აზერბაიჯან-სომხეთის ომი და ირანი.....	154
ირანი და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები .....	160
რეგიონული თანამშრომლობის გეგმები და ფორმატები.....	163
<b>თავი V. ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური კავშირები</b> .....	170
სავაჭრო ურთიერთობები.....	170
სატრანსპორტო დერეფნები.....	181
ირანის ენერგომატარებლების ექსპორტის საკითხი. ელექტროენერჯია და წყლის რესურსები.....	196

სანქციების ზეგავლენა ირან-სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობებზე.....	203
<b>თავი VI. კასპიის ზღვის საკითხი რეგიონულ და გლობალურ პოლიტიკაში.....</b>	<b>208</b>
ბრძოლა კასპიის ზღვის გაყოფისთვის – ირანის წაგებული ომი? .....	208
ენერგომატარებლების მარშრუტების გეოპოლიტიკა .....	219
<b>თავი VII. ირანის „რბილი ძალა“ სამხრეთ კავკასიაში:</b>	
<b>რელიგია და კულტურა .....</b>	<b>228</b>
აზერბაიჯანი – საერთო რელიგია, შეუთავსებელი რელიგიური პოლიტიკა.....	228
საქართველო – შესაძლებლობები და წინაღობები რელიგიურ-კულტურული აქტივობებისთვის .....	235
სომხეთი – ჰარმონია ქრისტიანულ და ისლამურ ქვეყნებს შორის .....	237
<b>დასკვნა .....</b>	<b>239</b>
<b>Summary .....</b>	<b>249</b>
<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>272</b>

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სამხრეთ კავკასიის მიმართ ირანის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტების კომპლექსური შესწავლა; იმ ძირითადი მახასიათებლების წარმოჩენა, რაც ზოგადად ახასიათებს ირანის საგარეო პოლიტიკას; ასევე გარკვევა იმისა, თუ რამდენად ჯდება ირანის თანამედროვე პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საერთო ჩარჩოებში და რა თავისებურებებით გამოირჩევა ის ამ შემთხვევაში. ნაშრომში მოკლედაა განხილული ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ისტორიული ურთიერთობები და გამოკვეთილია ისტორიის ალქმასთან დაკავშირებული პრობლემები; ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკური ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტებზე; ირანის პოზიციაზე სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მიმართ; რეგიონში გარე აქტორების როლის ალქმაზე ირანის მხრიდან; ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკაზე; ირანისთვის დაწესებული სანქციების გავლენაზე რეგიონის ქვეყნებთან ირანის ურთიერთობებში; ირანულ დიასპორებზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და სამხრეთ კავკასიის ხალხებისა – ირანში; სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო-სავაჭრო მნიშვნელობაზე ირანისთვის; კასპიის ზღვის დემარკაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე; ნავთობ/გაზსადენებისათვის ბრძოლაში ირანის ფაქტობრივი მარცხის განმაპირობებელ ფაქტორებზე. გამოკვეთილია ის განსხვავებული რეალობები და შესაძლებლობები, რაც არსებობს ირანისთვის რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობებში და რაც აიძულებს ირანს აწარმოოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისადმი (და პირიქით) განსხვავებული (ხშირად არათანმიმდევრული) პოლიტიკა.

ამგვარად, ავტორის თვალთახედვიდან, წარმოდგენილი ნაშრომის სიახლეს და სამეცნიერო ფასეულობას შეადგენს ის, რომ შესწავლილია ირან-სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები სისტემურად და კომპლექსურად. მსგავსი სახის ნაშრომი, რომელშიც ასეთი სახის მიდგომა იქნებოდა გამოყენებული, ჯერჯერობით არ არსებობს. მითუმეტეს მნიშვნელოვანია, რომ ქართულადაც სულ თითზეა ჩამოსათვლელი სტატიები, რომლებიც შეეხება ირან-საქართველოს თანამედროვე ურთიერთობების ამა თუ იმ საკითხს. გარდა ამისა, საქართველოში პრაქტიკულად არაფერია გაკეთებული აზერბაიჯანისა და სომხეთის შინა ან საგარეო პოლიტიკის კვლევის მიმართულებით. ირან-აზერბაიჯანისა თუ ირან-სომხეთის ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტების განხილვა საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთის, გარე აქტორების როლის განსაზღვრის და, რაც მთავარია, ამ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებისა თუ მათი საგარეო ვექტორების საქართველოზე არაპირდაპირი ან პირდაპირი ზეგავლენის შესწავლის გარეშე შეუძლებელია. ამდენად, სწორედ ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომა – სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ირანთან ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტების შედარებითი კვლევა – განსხვავებული რეალობებისა და განსხვავებული შესაძლებლობების ანალიზი, კონცეპტუალური თვალსაზრისით, სავსებით გამართლებულია. ამ მიზნების განსახორციელებლად, შეძლებისდაგვარად სრულადაა დამუშავებული საკვლევ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის პირველწყაროები, გაანალიზებულია ამა თუ იმ საკითხის შესახებ გამოკვლევები, ჩატარებულია ინტერვიუები როგორც ქართველ, ისე უცხოელ ექსპერტებთან.

## ირანის განსაკუთრებულობა

ირანის განსაკუთრებულობაზე საუბრისას მისი ოთხი მთავარი მახასიათებელი უნდა გამოიყოს: 1) გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობა; 2) სახელმწიფოებრიობის ალბათ ყველაზე ხანგრძლივი ისტორია; 3) შიიზმი, რომლითაც ირანი პრაქტიკულად გამიჯნულია დანარჩენი ისლამური სამყაროსგან. 4) შედარებით ახალი – ენერგომატარებლები (ნავთობი ირანში 1908 წელს აღმოაჩინეს).

ქვემოთ შევეცდები მოკლედ განვიხილო ეს ფაქტორები, რამდენადაც ისინი დიდ ზეგავლენას ახდენენ (ხშირ შემთხვევაში განაპირობებენ კიდევ) ირანის საგარეო პოლიტიკას, მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართაც.

ევრაზიულ გზაჯვარედინებზე მდებარე ირანი მართლაც გამორჩეულია გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული თვალსაზრისით: ესაზღვრება ორ უმნიშვნელოვანეს საზღვაო სივრცეს – სპარსეთის ყურეს სამხრეთით და კასპიის ზღვას ჩრდილოეთით. ორივეში ჰიდროკარბონატების უზარმაზარი მარაგია. როგორც სახმელეთო ხიდი, ირანი ერთმანეთთან აკავშირებს ერთი მხრივ, ცენტრალურ აზია/კავკასიას სპარსეთის ყურის სუბრეგიონთან და, მეორე მხრივ, ხმელთაშუაზღვისპირეთს სამხრეთ აზიასთან. შედეგად, ირანი უშუალოდ არის ჩართული ამ რეგიონებში მიმდინარე პროცესებში და, შესაბამისად, რეგიონული გეოპოლიტიკური ცვლილებებიც აისახება მასზე.

ირანი, ალბათ, ყველაზე ხანგრძლივი სახელმწიფოებრიობის ისტორიის მქონე ქვეყანაა. საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა წარმომავლობის დინასტიები ცვლიდნენ ერთმანეთს ირანულ სამყაროში, მაგრამ ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, საკმაოდ ადვილად ხდებოდა მათი ირანიზება. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ შენარჩუნებული იყო პოლიტიკური მმართველობის ისლამამდელი მოდელის გარკვეული ნიშნები, რომლებიც ეტალონადაც კი აღიქმებოდა საკუთრივ ირანული სახელმწიფოებრიობის მოდელის სრულიად საპირისპირო პრინციპებზე დამყარებულ ისლამურ პოლიტიკურ ერთობებშიც. სპარსულ პოლიტიკურ კულტურას დიდი ზეგავლენა ჰქონდა ძველი დროისა და შუა საუკუნეების სამხრეთ კავკასიაზეც, კერძოდ, საქართველოზე.

XVI საუკუნის დასაწყისიდან ირანის შიიტიზაციის შედეგად, შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ხალხების (პირველი რიგში, ირანული და თურქული მოდგმის) რელიგიური მრწამსის საფუძველზე გაერთიანება, მეორე მხრივ კი, ისლამის შიიტურმა ვერსიამ ირანი გამოაცალკევა მომიჯნავე სუნიტური სამყაროსგან. გარდა ამისა, სწორედ შიიზმის სახელმწიფო რელიგიად ქცევის შემდეგ განუზომლად იზრდება შიიტური სამღვდლოების<sup>1</sup> ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა, რაც გვირგვინდება 1978-79 წლების ისლამურ რევოლუციაში შიიტური სამღვდლოების წინამავალი როლით, 2500-წლოვანი მონარქიის დამხობით და ისლამური რესპუბლიკის დაფუძნებით.

ნავთობის ფაქტორი, როგორც აღინიშნა, შედარებით ახალი მოვლენაა ირა-

1 ქრისტიანული სამყაროსგან განსხვავებით, ისლამურ სამყაროში ეკლესიის, როგორც ინსტიტუციის და ორგანიზაციის არარსებობის პირობებში, ტერმინი 'სამღვდლოება' მუსლიმურ სასულიერო წოდებასთან მიმართებაში პირობითად გამოიყენება.



ნის ისტორიაში, მაგრამ უზარმაზარ როლს ასრულებს პრაქტიკულად გასული საუკუნის დასაწყისიდან. ნავთობის პრობლემა გახდა 1953 წელს აშშ-ის ცსს-ს მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალების მიზეზი.<sup>2</sup> ნავთობიდან მიღებულმა შემოსავლებმა საშუალება მისცა ირანის უკანასკნელ შაჰს შეესყიდა ყველაზე თანამედროვე შეიარაღება და შეექმნა უძლიერესი არმია. მეორე მხრივ, ამ შემოსავლების არასწორმა გადანაწილებამ გარკვეულწილად მისცა ბიძგი XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს რევოლუციურ პროცესებს. ნავთობსაბადოების ფლობაზე ქიში გახდა უკვე ისლამურ რესპუბლიკასა და სადამ ჰუსეინის ერაყს შორის ხანგრძლივი ომის (XX საუკუნეში ორ ქვეყანას შორის ყველაზე სისხლისმღვრელი ომის) მიზეზი. ირანს გარკვეულწილად შეეხო „ნავთობის (რესურსების) წყევლაც.“<sup>3</sup> დღეს კი, სანქციების პირობებში, როდესაც ქვეყანას უკიდურესად შეზღუდული აქვს ნავთობის გაყიდვისა და ნავთობმრეწველობის განვითარების საშუალებები, ირანის ეკონომიკა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია.

### თეორიული მიდგომები

როგორც ირანის, ისე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკისთვის საკმაოდ რთულია რომელიმე კონკრეტული თეორიული ჩარჩოს მისადაგება. მკვლევართა შორის დიდ დავას იწვევს, თუ რომელი თეორიული პარადიგმა შეესაბამება ყველაზე კარგად ირანის საგარეო პოლიტიკას. ხშირ შემთხვევაში, განხილვა ხდება რამდენიმე თეორიული მიდგომის გამოყენებით. ნაშრომშიც სწორედ ამგვარი კომპლექსური მიდგომაა გამოყენებული.

ამერიკელი მკვლევარი შირინ ჰანტიერიც აღნიშნავს, რომ ირანის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობების კვლევისას შეუძლებელია საერთაშორისო ურთიერთობების ერთი რომელიმე თეორიით – რეალიზმით, ნეორეალიზმით (სტრუქტურული რეალიზმით) ან კონსტრუქტივიზმით შემოფარგვლა.<sup>4</sup> მართლაც, არცერთ ამ თეორიას არ შეუძლია სრულად განმარტოს კონკრეტულ სახელმწიფოთა (ამ შემთხვევაში ირანის) ქცევა და მათი საგარეო პოლიტიკის ნიუანსები. რეალისტური თეორია, რომლის თანახმადაც ძალაუფლების ძიება სახელმწიფოს ქცევის მთავარი მოტივაციაა, ნაკლებ ყურადღებას აქცევს იდეოლოგიურ და ინსტიტუციონალურ ფაქტორებს, როგორცაა სახელმწიფოს ქცევის განსაზღვრაში საკვანძო ფაქტორების იდენტიფიკაცია და ინტერესების როლი. თუნდაც რომ გავიზიაროთ რეალიზმის პოზიცია იმის თაობაზე, რომ ძალაუფლება სახელმწიფოს ქცევის მთავარი მოტივატორი, ის გზა, რომლითაც სახელმწიფოები მოიპოვებენ და იყენებენ ძალაუფლებას, მაინც დიდწილად განისაზღვრება მათი იდეოლოგიური მი-

2 1999 წელს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალურად მოუხადა ბოდიში ირანს ამ გადატრიალების ორგანიზებისთვის.

3 „რესურსების (ან ნავთობის) წყევლა“ – ცნება ეკონომიკურ თეორიაში, რომლის თანახმადაც ენერგორესურსებით მდიდარი ზოგიერთი ქვეყნის განვითარება ფერხდება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მთლიანად ენერგორესურსებზე კონცენტრირებისა და სხვა სექტორების იგნორირების გამო.

4 Shireen T. Hunter, *Iran's Foreign Policy in the Post-Soviet Era: Resisting the New International Order*. (Santa Barbara, CA: Praeger, 2010), XIV.

დრეკილებებითა და არსით. ამგვარადვე, საკვანძო აქტორების შეხედულებები და ინტერესები ზემოქმედებს საგარეო პოლიტიკური პროცესების მათეულ აღქმასა და შეფასებაზე, ასევე მათ შეხედულებაზე კონკრეტული სახელმწიფოს ინტერესების ზეგავლენის შესახებ. ამასთანავე, რეალიზმის ჩარჩოები ფართო დისკუსიის საგანია საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ლიტერატურაში: „სახელმწიფოთა-შორისო ურთიერთობების აღქმა იდეოლოგიისა და სარწმუნოებრივი სისტემების უარყოფით, სახელმწიფოთა და საზოგადოებათა შინაგანი ფაქტორების მინიმიზაციით, არაადეკვატური ყურადღების დათმობით ეკონომიკისთვის და ამგვარად ახლო აღმოსავლეთის არასწორი რეპრეზენტაციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებით, მიჩნეულია მუდმივად, რეგულარულად, მოდელად.“<sup>5</sup>

მეორე მხრივ, გარკვეულწილად მისაღებია თავდაცვითი რეალიზმის პოსტულატების გამოყენება ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში ირანის ცვალებად საგარეო პოლიტიკურ მიდგომებში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების ასახსნელად. რეალიზმის სხვადასხვა სახეობები ჩვეულებრივ ეხება „სუვერენულ სახელმწიფოს ანარქიულ მსოფლიოში“ – ანარქია კი იქმნება ცენტრალიზებული, ლეგიტიმური ხელისუფლების, როგორც მსოფლიო პოლიტიკაში მოქმედებათა შემზღვეველის, არარსებობის პირობებში. რეალისტების თანახმად, ანარქიას და მსოფლიო მთავრობის არარსებობას ორი პირდაპირი შედეგი აქვს: „პირველი – არაფერია ხელისშემშლელი ომების განმეორების, და მეორე – სახელმწიფოები არიან პასუხისმგებელნი საკუთარი არსებობის შენარჩუნებაზე.“<sup>6</sup>

თავდაცვითი რეალიზმი, პირველ რიგში, მომდინარეობს კ. უოლცისგან, რომლის აზრითაც „თავდაცვითი სტრატეგიები ხშირად საუკეთესო გზაა უსაფრთხოებისთვის.“ ის ამტკიცებს, რომ „სახელმწიფოები კავშირებს ქმნიან, რომ შეაკავონ ერთმანეთის ძალის ზრდა. ძალთა თანასწორობის აღდგენის შემდეგ, მოკავშირე სახელმწიფოები საკუთარი ინტერესების განხორციელებას დამოუკიდებლად იწყებენ, და მხოლოდ ისევ და ისევ ბალანსის მიღწევისთვის, როდესაც ერთი სახელმწიფო დაარღვევს ძალთა გადანაწილებას.“<sup>7</sup> ამგვარად, როგორც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისადმი ირანის პოლიტიკის, ასევე ამ სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ვექტორებისა და ირანთან ურთიერთობების შემთხვევებშიც, შესაძლებელია თავდაცვითი რეალიზმის პოსტულატების გამოყენება.

რ. ტრევიზო ირანის აქტივობების შესახებ, უპირველესად ახლო აღმოსავლეთში, ორ განსხვავებულ თეორიას განიხილავს. პირველი ემყარება რეალიზმის პერსპექტივას, რომლის მიხედვითაც „ირანი ხედავს შანსს გახდეს რეგიონული ჰეგემონი. რაც ნიშნავს, რომ ის გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას ახლო აღმოსავლეთში დომინანტური პოზიციის, შესაძლოა იმპერიულისაც კი, მოსაპოვებლად.“ თავდაცვითი რეალიზმის გამოყენებით და ირანის ისტორიის გათვალისწინებით, მეორე თვალსაზრისის მიხედვით, ირანი საკუთარ თავს აღიქვამს ‘გადარჩენილად

5 Fred Halliday, *The Middle East in International Relations: Power, Politics and Ideology*. (Cambridge University Press, 2005), 25.

6 Michele Chiaruzzi, 'Realism.' In: R. Devetak, A. Burke, J. George (eds), *An Introduction to International Relations*. (Cambridge University Press, 2012), 39.

7 Kenneth Waltz, 'Reflections on Theory of International Politics: A Response to My Critics.' In: R.O. Keahone (ed.), *Neorealism and Its Critics*. (Columbia University Press, 1986), 329.

მტრებით აღსავსე სამყაროში, და, შესაბამისად, ცდილობს საკუთარი უსაფრთხოების, როგორც თავდაცვის საშუალების მაქსიმიზაციას. კონკრეტული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ქცევის ორი საპირისპირო ინტერპრეტაცია შეიძლება მომდინარეობდეს ასევე ორი მოცემულობიდან: პირველია ამ სახელმწიფოს ქცევის კომპლექსური ხასიათი, რომელიც არასწორი ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. მეორეა ბუნდოვანი საზღვრები თავდაცვით და თავდასხმით რეალიზმს შორის, ასევე მჭიდრო კავშირი ძალის მაქსიმიზაციისა და უსაფრთხოების მაქსიმიზაციის პოლიტიკებს შორის.<sup>8</sup>

გარდა ამისა, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა, როგორც ამას ნეორეალისტები ამტკიცებენ – განსაკუთრებით იმის ხაზგასმით, რომ საერთაშორისო სისტემას დღესაც ახასიათებს ეფექტური მექანიზმის ნაკლებობა კონფლიქტების პრევენციისთვის, დავების გადასაწყვეტად, მშვიდობის გარანტირებისთვის – ანარქიულ მდგომარეობაშია, რაც თვალსაჩინო ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოთა ქცევაზე. ეს ასევე აყალიბებს გარკვეულ ჩარჩოებს სახელმწიფოს მოქმედებისთვის, რომელთა გადალახვა ხშირად იწვევს დამატებით დანახარჯს, განსაკუთრებით შედარებით სუსტ სახელმწიფოთა შემთხვევაში. ეს ნიშნავს, რომ ძალაუფლებაზე ზრუნვისა თუ იდეების საფუძველზე ჩამოყალიბებული თავიანთი ამბიციებისა და ამოცანების შესაბამისად, სახელმწიფოებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ სტრუქტურული ფაქტორები. ეს აგრეთვე ნიშნავს, რომ სახელმწიფოთა საგარეო ქცევის ანალიზისას, ანგარიში უნდა გაეწიოს სტრუქტურულ ფაქტორებს.

თავდასხმითი რეალიზმის მთავარი პოსტულატი გლობალური ჰეგემონიის მიღწევის შეუძლებლობის შესახებ, საშუალებას იძლევა, რომ ანალიზის ქვესისტემური დონე დაუკავშირდეს კვლევის სხვა მიმართულებას, რომელიც გეოგრაფიულ ელემენტს წამოწევს წინ – კერძოდ, რეგიონალიზმსა და რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსს. საკუთრივ რეგიონული პოლიტიკის ანალიზისთვის მეტად ფასეულია კოპენჰაგენის სკოლის მატერიალურ/იდეური ჰიბრიდული რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური თეორია (RSCT), რომელიც პირველად ბარი ბიუზენმა წამოაყენა 1983 წელს წიგნში „ხალხი, სახელმწიფო და შიში: ნაციონალური უსაფრთხოების პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობებში“. თუმცა, ეს თეორია შედარებით დაუმუშავებელი იყო მისი არსებობის პირველი ათწლეულის მანძილზე – „ცივი ომი“ მართლაც შედარებით ნაკლებად მიესადაგებოდა უსაფრთხოების რეგიონულ თეორიებს. RSCT, უკვე დეტალური და ჩამოყალიბებული სახით, პირველად წარმოდგენილი იყო ბიუზენისა და ვივერის წიგნში „რეგიონები და ძალაუფლება: საერთაშორისო უსაფრთხოების სტრუქტურა“. ამ თვალსაზრისით, „პატარა სახელმწიფოებისთვის უსაფრთხოების გარემო მათი რეგიონია“, და რამდენადაც „საფრთხეების უმრავლესობა ბევრად უფრო ადვილად გადაიცემა მცირე მანძილზე, ვიდრე დიდზე, უსაფრთხოებაზე ურთიერთდამოკიდებულება ჩვეულებრივ ჩასმულია რეგიონში არსებულ კლასტერებში: უსაფრთხოების კომპლექსებში.“<sup>9</sup> RSCT-ს რეგიონული და სუბრეგი-

8 ob. Rusty Trevino, 'Is Iran Offensives Realist or a Defensive Realist? A Theoretical Reflection on Iranian Motives for Creating Instability', *Journal of Strategic Security*, (2013), 6 (5), 383-385.

9 Barry Buzan & Ole Wæver, *Regions and Powers: The Structure of International Security*. (Cambridge University Press, 2003), 4.

ონული მიდგომა (რეალიზმის სისტემური დონის მიდგომისგან განსხვავებით), ზრდის სიზუსტეს, ისე როგორც ახსნისა და ვარაუდის უნარს. ბიუზენი და ვივერის ამტკიცებენ, რომ „გეოგრაფიული სიახლოვე წარმოქმნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ უფრო მეტ ინტერაქციას მეზობლებს შორის. შესაბამისად, უსაფრთხოების ურთიერთდამოკიდებულების რეგიონული განზომილება უალრესად მნიშვნელოვანია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში უსაფრთხოების დინამიკების გასაგებად.<sup>10</sup> RSCT-ს მთავარი უპირატესობა ის არის, რომ იგი საზრდოობს როგორც რეალისტური, ისე კონსტრუქტივისტული მიდგომებიდან და ამგვარად შეუძლია უკეთესად ახსნას ზოგიერთი აქტორის ქცევა უსაფრთხოების სფეროში. რეგიონული უსაფრთხოების კონცეფცია ემყარება რწმენას, რომ უსაფრთხოება ფარდობითი ფენომენია. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ნებისმიერი მოცემული სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების გაგება უსაფრთხოების ურთიერთდამოკიდებულების საერთაშორისო ჩარჩოს გარეშე, რომელშიც ის მოქცეულია. მეგობრობისა და მტრობის საკითხი სახელმწიფოებს შორის ბიუზენის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის ქვაკუთხედიანია. ის წარმოადგენს სპექტრს მეგობრობის ან ალიანსებისა, რომლებიც განპირობებულია შიშით და ეს არ შეიძლება აიხსნას ძალთა ბალანსით. „რეგიონული უსაფრთხოების“ კონცეფციისთვის შემდგომ დამატებულია „უსაფრთხოების კომპლექსის“ კონცეფცია, რომელიც აღნიშნავს „სახელმწიფოთა ჯგუფს, რომელთა უპირველესი საფიქრალი უსაფრთხოების შესახებ მათ საკმარის დონეზე აახლოებს ისე, რომ მათი ეროვნული უსაფრთხოება არ შეიძლება რეალისტურად განხილული იყოს ერთმანეთისგან გამოცალკევებით.<sup>11</sup> რეალისტურ ძალთა კალკულაციასთან ერთად, ეს კონცეფცია მოიცავს იდეოლოგიურ საფრთხეებს, სახელმწიფოს შიგნით არსებულ შეხედულებებს, სახელმწიფოთა შეუთანხმებლობას, ხანგრძლივადიან რეგიონულ მტრობასა თუ მეგობრობას, ასევე უცხოურ შემოჭრას; უპირველესად კი მას შემოაქვს უსაფრთხოებაზე დამყარებული მიდგომა. რეგიონული პროცესები უფრო რელევანტური გახდა, ვიდრე სისტემური. ამ მიზეზით, ზოგიერთ ლოკალურ აქტორს აქვს სტაბილიზაციის, ან პირიქით – დესტაბილიზაციის უფრო მეტი უნარი, ვიდრე სისტემურ მოთამაშეებს. ამ კუთხით, სამხრეთ კავკასიის განსაკუთრებული გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რუსეთსა და თურქეთს თითქოსდა შეუძლიათ პოტენციურად საკვანძო როლი შეასრულონ. მიზეზთა გამო, ირანი ამ მხრივ ბევრად შეზღუდულია, თუმცა სულაც არ არის ამოვარდნილი მნიშვნელოვან აქტორთა რიგებიდან და მისი როლის უგულვებელყოფა არ შეიძლება. ეს როლი კი, პერსპექტივაში, სავსებით შეიძლება გაიზარდოს.

RSCT იძლევა ანგარიშგასაწევ ფორმულირებას სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების ბუნებაზე დაკვირვებისთვის – რეგიონში, სადაც უსაფრთხოების საკითხები შორს დგას სისტემის მიერ განპირობებისგან და ჩამოყალიბებულია უფრო მეტად რეგიონული, ვიდრე გლობალური პროცესებით. ბიუზენი და ვივერი ასევე ლაპარაკობენ სამხრეთ კავკასიის, როგორც ცალკე მდგომი უსაფრთხოების ქვე-

10 იქვე, 45.

11 Buzan, People, States and Fear: An Agenda For International Security Studies in the Post-Cold War Era. (ECPR classic (2nd). (Boulder, (Co): Lynne Rienner Publishers, 2007), 190.

კომპლექსის შესახებ<sup>12</sup>: სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელთა პირველადი უსაფრთხოების პრობლემები მათ მჭიდრო აკავშირებს იმდენად, რომ მათი ეროვნული უსაფრთხოება არ შეიძლება ერთმანეთისგან მოწყვეტილად იყოს განხილული.<sup>13</sup> სვანტე კორნელიც RSCT-ს უსადაგებს სამხრეთ კავკასიას და ამტკიცებს, რომ „უსაფრთხოების ცვლადის“ გარეშე გაძნელებოდა სამხრეთ კავკასიისთვის სრულმასშტაბიანი რეგიონის წოდება.<sup>14</sup>

ბიუზენისა და ვივერის კლასიფიკაციიდან გამომდინარე, სამხრეთ კავკასია, როგორც ქვეკომპლექსი პოსტსაბჭოთა სივრცეში, არის რეგიონი „სადაც არამხოლოდ უსაფრთხოების საკითხები, არამედ მრავალი პოლიტიკური გადაწყვეტილება, ალიანსები და სტრატეგიები ურთიერთგანმაპირობებელია. გადაუწყვეტელ კონფლიქტებს უზარმაზარი ზეგავლენა აქვს როგორც საშინაო პოლიტიკაზე, ისე საგარეო პოლიტიკის სტრატეგიებზე.“<sup>15</sup>

ავსტრიელმა მკვლევარმა ფრაიტაგ-ვირმინგჰაუსმა ახსნა მრავალი გარე აქტორის ჩართულობა და მათი მეტოქეობა მსოფლიოს ამ გლობალური სტრატეგიული კუთხისთვის ჰიდროკარბონატების უზარმაზარი რესურსებით. ამის შედეგი კი გახდა ის ფენომენი, რომელსაც ბევრი მკვლევარი „ახალ დიდ თამაშს“ უწოდებს, როდესაც კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის გადაუწყვეტელობამ და, აქედან გამომდინარე, მისი რესურსებისაც, კიდევ უფრო კომპლექსური გახდა რეგიონის გეოპოლიტიკური სცენა მომავალი ათწლეულებისთვის.<sup>16</sup>

ზემოთ განხილული მიდგომებისგან განსხვავებით, კონსტრუქტივისტები წინ წამოწევენ პროცესში ჩართული აქტორების იდეებისა და იდენტობების როლს, ასევე მათ ინტერესებს, რომლებიც სახელმწიფოს ქცევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ყალიბდება თანაზიარი იდეების საფუძველზე.

კონსტრუქტივიზმი, შედარებით ახალი მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევაში, ამტკიცებს, რომ კულტურული ნორმები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მატერიალისტური ცვლადები ნაციონალური ინტერესების განსაზღვრისას. ის წინ წამოწევს სახელმწიფოს იდენტობას სახელმწიფოს ინტერესებისა და უსაფრთხოების საკითხებისადმი დამოკიდებულებაშიც კი. „რეალისტებისა და ლიბერალებისგან განსხვავებით, კონსტრუქტივისტები ამტკიცებენ, რომ თავისებური მიზნები, რომლებსაც ისახავენ სახელმწიფოები ან აქტორები მსოფლიო პოლიტიკაში, გამომდინარეობს აქტორის იდენტობისგან.“<sup>17</sup>

12 იხ. Buzan & Wæver, *Regions and Powers*, 419-423.

13 Buzan, *People, State and Fear; The National Security Problem in International Relations*. (Brighton: Wheatsheaf, 1983), 106.

14 Svante Cornell, *Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus*. (Routledge Curzon, 2001), 383.

15 Buzan & Wæver, *Regions and Powers*, 421.

16 Rainer Freitag-Wirringhaus, 'Prospects for Armenia and Azerbaijan between Eurasia and the Middle East.' In: D. Hamilton, G. Mangott (eds), *The Wider Black Sea Region in the 21st Century: Strategic, Economic and Energy Perspectives*. (Washington, DC: Center for Transatlantic Relations, Paul H. Nitze School of Advanced International Studies, Johns Hopkins University, 2008), 54.

17 Patrick T. Jackson & Joshua S. Jones, 'Constructivism.' In: *An Introduction to International Relations*, 104.



როგორც ა. ვენდტი აღნიშნავს, კონსტრუქტივისტებისთვის სწორედ იდენტობა აყალიბებს ინტერესის საფუძველს. ამასთანავე, არა მხოლოდ „ჩვენს“ არამედ „სხვების“ შესახებაც.<sup>18</sup>

ამდენად, საერთაშორისო ურთიერთობების აღქმა კონსტრუქტივიზმის ქრონოლოგიაში, არის ფოკუსირება იმ გზაზე, რომლითაც სახელმწიფოები, მათი ლიდერები და სხვადასხვა აქტორები ახდენენ საკუთარი თავის კონცეპტუალიზაციას და მსოფლიოში საკუთარი როლის აღქმას. ეს, თავის მხრივ, „გამოინატება თავისებურ მიზნებსა და ინტერესებში, რომლებსაც ეს აქტორები მისდევენ თავიანთ საგარეო პოლიტიკაში“.<sup>19</sup>

არაერთი მკვლევარი იყენებს კონსტრუქტივისტულ მიდგომას ირანის საგარეო პოლიტიკის ანალიზისთვის. ამასთანავე, როგორც რ. რიტბერგერი აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ კონსტრუქტივიზმის ორი დონის ანალიზი ანგარიშს უწევს „როგორც საერთაშორისო სისტემას, ისე შინა საზოგადოებას და ზოგადად წარმოადგენს ამ თეორიის სიძლიერეს, მაგრამ ასევე „ქმნის სირთულეებს... როდესაც საერთაშორისო და საშინაო ფასეულობებზე დამყარებული მოლოდინები შესაბამისი ქცევისა, რომელსაც სახელმწიფო აღიქვამს მისი როლის განმსაზღვრელად მოცემულ სიტუაციაში, არ შეესატყვისება ერთმანეთს.“<sup>20</sup> ირანი ამგვარი სიტუაციის მკაფიო მაგალითია და მისი ფასეულობათა სისტემა ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ქცევის საერთაშორისო ნორმებთან. ამდენად, კონსტრუქტივიზმის გამოყენება ირანთან მიმართებაში მხოლოდ შეზღუდულად შეიძლება იმ იდეური ფაქტორების ასახსნელად, რომლებითაც განსაზღვრულია ირანის საგარეო პოლიტიკის ჩარჩო და პრინციპები, ასევე განპირობებულია მეზობლებთან მისი ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი.

ამასთანავე, კონსტრუქტივისტულ თეორიაზე დაყრდნობით შეიძლება გამოიყოს ირანის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორების ორი წყება. პირველი უკავშირდება ირანის გეოსტრატეგიულ მდებარეობას, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი. გამორჩეული გეოსტრატეგიული მდებარეობა იყო სწორედ ძველ დროში მოქიშპე ტომებისა თუ დინასტიების ბრძოლის ველად ქცევის, ახალ დროში კი დიდი სახელმწიფოების მიერ ქვეყნის ოკუპაციის და მის საშინაო საქმეებში ჩარევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. მეორე უკავშირდება იმ იდეოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც პოსტრევოლუციური ირანის სახელმწიფოებრივი ტრანსფორმაციის შედეგი გახდა. ამგვარი იდენტობა რევოლუციამდეც არსებობდა, მაგრამ ამიერიდან საგარეო პოლიტიკა, თეორიული თვალსაზრისით, ეფუძნება ისლამური (შიიტური) ფასეულობების მეტად თავისებურ ინტერპრეტაციას.

მ. ქუჰი ესფაჰანი წერს, რომ სულ მცირე სამი თეორიის ჩამოყალიბება შეიძლება ირანის პოლიტიკასთან დაკავშირებით სამხრეთ კავკასიაში: ერთის მიხედვით, ის იდეოლოგიას ემყარება და გულისხმობს ისლამური ფუნდამენტალიზმის

18 Alexander Wendt, 'Anarchy is what States Make of it: The Social Construction of Power Politics'. International Organization (1992), 46 (2), 191-425.

19 Jackson & Jones, 'Constructivism', 105.

20 Volker Rittberger, Approaches to the Study of Foreign Policy derived from International Relations Theories. (University of Tübingen, 2004), 5.

გავრცელებას; მეორის თანახმად, ირანის პოლიტიკა რეგიონში გვერდს უვლის იდეოლოგიას; მესამე კი ამტკიცებს, რომ ირანი ინარჩუნებს იდეოლოგიურ მიზნებს, მაგრამ ის შეზღუდულია სხვადასხვა მიზეზების გამო.<sup>21</sup> ამგვარი კლასიფიკაციის გაზიარება, ჩემი აზრით, მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება და ეს ნაჩვენები იქნება ნაშრომის ძირითად ნაწილში. აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ იდეოლოგიური ექსპანსიისთვის სამხრეთ კავკასიაში ირანის შესაძლებლობები უკიდურესად შეზღუდულია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში აღწერილი პროცესები და გამოთქმული მოსაზრებები არ თავსდება ერთი რომელიმე კონკრეტული თეორიის ჩარჩოებში. საჭიროებისდა მიხედვით, კონკრეტული საკითხების მიმართ გამოყენებულია მათი რელევანტური თეორიები. როგორც მ. ლაითი შენიშნავს, „პოლიტიკის მიკრო დონის დაკავშირება საერთაშორისო სისტემის მაკრო დონესთან – ლიდერების როლი, ბიუროკრატიული პოლიტიკა<sup>22</sup> – განსაკუთრებით კარგად ესადაგება ირანის საგარეო პოლიტიკის შესწავლას. ამ თვალსაზრისით ფასეულია ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილი მკვლევრის, ფ. ჰალიდის განსაზღვრება: „საერთაშორისო ურთიერთობების მიდგომებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია იმის ანალიზს, თუ როგორ ყალიბდება საგარეო პოლიტიკა, და შინა, ისტორიული და საგარეო ფაქტორების კომბინაციას, რომლებიც აყალიბებენ საგარეო პოლიტიკას. ეს ეწინააღმდეგება იმ მტკიცებას, რომ საგარეო პოლიტიკა ‘კეთდება’ ერთგანზომილებიანი ერთობის, სახელმწიფოსა თუ ხელისუფლების მიერ.<sup>23</sup>

რობერტ ლ. როთსტინი 1968 წელს წერდა: „მცირე ძალა არის სახელმწიფო, რომელსაც არ შეუძლია უსაფრთხოების მიღწევა უშუალოდ საკუთარი უნარების მეშვეობით და ის დამოკიდებულია სხვა სახელმწიფოებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩართულობაზე, სხვა პროცესების გონივრულად გამოყენებაზე და პროცესების განვითარებაზე ამის გასაკეთებლად.“<sup>24</sup> სწორედ ამ განსაზღვრებას ეხმარება შ. ჰანტერის მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც სამხრეთ კავკასიის ახალმა დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა აირჩიეს მოქმედება იმ მოდელის მიხედვით, რომელსაც იზიარებენ მცირე პოსტკოლონიური სახელმწიფოები: „ეს ნიშნავს, რომ რომელიმე კონკრეტული ქვეყნისთვის მათ საგარეო პოლიტიკაზე სრული ზეგავლენის უფლების მიცემის ნაცვლად, ისინი შეეცადნენ გამოეყენებინათ ურთიერთობები მთელ რიგ სახელმწიფოებთან საკუთარი ინტერესების მაქსიმალურად დაცვისთვის.“<sup>25</sup> ამ მოსაზრების ბოლომდე გაზიარება, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ სხვადასხვა საგარეო პოლიტიკური ვექტორის არჩევიდან გამომდინარე, რთულია. ისტორიულად, სამხრეთ კავკასიის სამივე მცირე ზომის ქვეყანას გარს ერტყა სამი ძლიერი სახელმწიფო, რომლებიც ტრადიციულად დო-

21 Marzieh Kouhi Esfahani, *Iran's Foreign Policy in the South Caucasus. Relations with Azerbaijan and Armenia*. (Routledge, 2019), 6-7.

22 Margot Light, 'Foreign Policy Analysis.' In A.J.R. Groom and M. Light (eds), *Contemporary International Relations: A Guide to Theory*. (London: Pinter Publishers, 1994), 94.

23 Halliday, *The Middle East in International Relations*, 13.

24 Robert L. Rothstein, *Alliances and Small Powers*. (Columbia University Press, 1968), 29.

25 Hunter, *Iran's Foreign Policy*, 172.

მინირებდნენ რეგიონში: ირანი, თურქეთი და რუსეთი. ახალი დაინტერესებული ძალები რეალურად გამოჩნდნენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. აქვე ხაზგასასმელია, რომ სამი ისტორიული მეზობლიდან საქართველოს და სომხეთს ჰყავთ აშკარა მტრები, აზერბაიჯანს კი – არა. ზოგადად კი, საგარეო პოლიტიკის ამგვარი 'დივერსიფიკაციის' შესაძლებლობა, სურვილის არსებობის შემთხვევაშიც კი, განუხორციელებელი გამოდგა.

ჯამში, ნაშრომში გამოყენებულია კონსტრუქტივიზმი ირანის პოსტრევოლუციური საგარეო პოლიტიკის გადასახედად და მისი ორმხრივი ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტის საკვლევად, და თავდაცვითი რეალიზმი – სხვადასხვა საგარეო პოლიტიკური მიდგომების ინტერპრეტირებისთვის, ასევე ორმხრივი ურთიერთობების განმაპირობებელი ფაქტორების გამოსაკვლევად. რეგიონული უსაფრთხოების თეორია არჩეულია სამხრეთ კავკასიაში რეგიონული დინამიკების, ისე როგორც სისტემური ცვლილებების ასახსნელად ცივი ომის შემდგომ პერიოდში. სექტორული მოდელი კი გამოყენებულია ირანის სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ურთიერთობების საკვლევად.

### ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც ზემოთ აღინიშნა, პრაქტიკულად არ არსებობს ნაშრომები, რომლებშიც კომპლექსურად იქნებოდა განხილული ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამედროვე ურთიერთობები. თუმცა, ამ თვალსაზრისითაც შეიძლება რამდენიმე პუბლიკაციის გამოყოფა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ბრიტანელი მკვლევრის ედმუნდ ჰერციგის 1995 წელს გამოქვეყნებული მცირე ზომის ნაშრომი „ირანი და ყოფილი საბჭოთა სამხრეთი.“ ამ უფრო ინფორმაციული ხასიათის ბროშურაში მოკლედია შეჯამებული ირანის განახლებული ურთიერთობების საწყისი ეტაპი ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან. უნდა დასახელდეს ისრაელელი მეცნიერის ვლადიმირ მესამედის 2015 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „ირანი და სამხრეთ კავკასიის არამუსლიმური ქვეყნები (სომხეთი, საქართველო)“. ეს ნაშრომიც, გარდა იმისა, რომ არ ფარავს მთლიანად სამხრეთ კავკასიას, უფრო ინფორმაციული ხასიათისაა და მასში ნაკლებად გვხვდება ურთიერთობების ამა თუ იმ ასპექტის სიღრმისეული ანალიზი. განსაკუთრებულად გამოსაყოფია ამაჟამად დიდი ბრიტანეთში მოღვაწე ირანელი მკვლევრის მარზიე ქუჰი ესფაჰანის 2019 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია „ირანის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში. ურთიერთობები აზერბაიჯანთან და სომხეთთან.“ ნაშრომში საკმაოდ სრულად არის წარმოდგენილი კვლევის თეორიული ჩარჩო, დეტალურადაა განხილული ირანისა და სამხრეთ კავკასიის ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი პრაქტიკულად არ ეხება საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც მცირე მოცულობით საქართველოსთვის ადგილის დათმობა აუცილებელი იყო (სატრანზიტო გზებთან, ნავთობ და გაზსადენებთან, კონფლიქტებთან, რუსეთისა თუ დასავლეთის როლთან და ა.შ. დაკავშირებით). ასევე აღსანიშნავია, რომ ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობებისგან საფუძვლიანი კვლევისგან განსხვავებით, ავტორი მეტად მცირე ადგილს უთმობს ირან-სომხე-



თის ურთიერთობებს და საკმაოდ ზედაპირულადაც განიხილავს.

ცალკეული სტატიებიდან თუ მცირე მოცულობის გამოკვლევებიდან უნდა დასახელდეს ემილ სულეიმანოვის, კლემან ტერმის, ვალი ქუზეგარ ქალეჯის, მოჰაედდინ მესბაჰის, მოჰამად რეზა ჯალილის, ნიკოლ ჯიმის, ჰამედ ქაზემზადეს, ელაჰე ქულაის, ბაჰრამ ამირაჰმადიანის და სხვ. ნაშრომები.

ზოგადად ირანის საგარეო პოლიტიკის შესახებ არსებული ნაშრომებიდან უნდა გამოიყოს კატრინ ბარნეკოვ რასმუსენის, რუჰი კ. რამაზანის, შირინ ჰანტერის, უოლტერ პოჩის, ბერნარ ურკადის, გრემ ფულერის, ანუშირვან ეჰთეშამის, შაულ ბახაშის ნაშრომები. ირან-რუსეთის ურთიერთობების შესახებ კი, პირველ რიგში, უნდა დასახელდეს კლემან ტერმის ვრცელი გამოკვლევა, ასევე ნიკოლაი კოჟანოვის, ლანა ფადაი-რავანდის, ფირუზე ნაჰავანდის და სხვათა ცალკეული სტატიები. თეორიული მიდგომების ანალიზის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ფასეულია რაიმონ ჰინებუშისა და ანუშირვან ეჰთეშამის რედაქტორობით გამოცემული კრებული, რომელშიც ნაჩვენებია თუ როგორი მიმართება არსებობს გარეგანი კონტექსტსა და ირანში არსებულ შინაგან ფაქტორებს შორის.

აზერბაიჯან-ირანის ურთიერთობების შესახებ გამოკვლევებიდან უნდა დასახელდეს ბრენდა შაფერის ნაშრომები (ავტორი ძირითად კონცენტრირებულია აზერბაიჯან-ირანის ურთიერთობებზე, თუმცა ეხება ზოგადად ირანის კავკასიურ პოლიტიკასაც); ასევე ანარ ვალიევის, ჰამიდ აჰმადის, ოდრი ალსტადტის, რიჩარდ ვიტცის, ნაზრინ მეჰდიევას და სხვათა პუბლიკაციები.

სომხეთ-ირანის ურთიერთობების შესახებ ანგარიშგასაწევი კვლევები აქვთ განხორციელებული რიჩარდ გირაგოსიანს, თათევიკ მკრტიჩანს, გარნიკ ასატრიანს, რუბენ მეგრებიანს, ლუი შარბონოს და სხვ.

საქართველო-ირანის ურთიერთობების შესახებ უცხოენოვანი გამოკვლევები უკიდურესად მცირეა. უნდა აღინიშნოს მარიამ გაბედავასა და კობა თურმანიძის სტატია ირანის რბილი ძალის შესახებ საქართველოში; კორნელი კაკაჩიას სტატია ირან-საქართველოს ურთიერთობებში არსებული პრობლემების შესახებ და რამდენიმე ინფორმაციულ-ანალიტიკური ხასიათის პუბლიკაცია სხვადასხვა ინტერნეტ-გვერდებზე. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულენოვანი (ან ქართულ-ინგლისური) პუბლიკაციებიდან კი შეიძლება დასახელდეს ალექსანდრე რონდელის, ლევან ასათიანის, თეა პიტიურიშვილის, ნიკა ჩიტაძის, თორნიკე შარაშენიძეს, ედიშერ ბალათურიას, მირანდა ბაშელეიშვილის სტატიები. წინამდებარე ნაშრომის ავტორს ინგლისურად და ქართულად აქვს გამოქვეყნებული რამდენიმე სტატია საკვლევი თემის შესახებ და ასევე ნიკოლოზ ნახუცრიშვილთან ერთად ვრცელი სტატია, რომელშიც შეჯამებულია ირან-საქართველოს ურთიერთობები საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 25 წლის თავზე.

ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებული პუბლიკაციებიდან შეიძლება დასახელდეს ბაბაქ რეზვანის, ვიკენ ჩეტერიანის, აბდოლა რამეზანზადეს, ილგარ ვალიზადეს, ბენიამინ პოლოსიანის, ფელიქს კორლის, ჯეიმზ კოილის, სვანტე კორნელის, ელიზაბეთ ფულერის და სხვათა ნაშრომები.

კასპის ზღვის დაყოფისა და ნავთობ/გაზსადენების პრობლემატიკა საყოველთაო ყურადღების ცენტრშია და არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომიცაა ამ თემაზე გამოქვეყნებული. ამ საკითხებზე მომუშავე მკვლევართაგან შეიძლება გამოიყოს

ემანუილ კარაგინისი, ჯოზეფ ჯოფი, თინა ფლეგელი, ასევე შირინ ჰანტერის რედაქტორობით გამოსული კრებული და სხვ.

ირანში სომხური და ქართული დიასპორებისა და ირანელ აზერბაიჯანელთა შესახებ ასევე არაერთი გამოკვლევა არსებობს. ირანის ეთნიკური უმცირესობების შესახებ მომუშავე ავტორთაგან უნდა დასახელდეს ჯეფრი გრემი, რასმუს ქრისტიან ელინგი, ჯამშიდ ჩოქსი, მოსტაფა ხალილი. ირანში აზერბაიჯანელთა შესახებ მნიშვნელოვანი პუბლიკაციების ავტორები არიან თურაჯ ათაბაკი ('აზერბაიჯანი: ეთნიკურობა და ბრძოლა ძალაუფლებისთვის ირანში') და ზემოთ უკვე ნახსენები ბრენდა შაფერი ('საზღვრები და ძმები. ირანი და აზერბაიჯანული იდენტობის გამოწვევა'). ირანის სომხური თემის შესახებ მომუშავე მკვლევართაგან აღნიშვნას იმსახურებენ ელიზ სასარიანი, დევიდ იაგუბიანი, გოჰარ ისქანდარიანი.

რაც შეეხება ირანის ქართულ თემს და ჩვენი თანამემამულეების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, უკანასკნელ ხანებში ნიკოლოზ ნახუცრიშვილის ავტორობით და თანაავტორობით რამდენიმე ყურადსაღები პუბლიკაცია გამოქვეყნდა („ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში“, „ირანის ქართველობა ისტორიულ სამშობლოსთან რეინტეგრაციის გზაზე“, „ფერეიდნული ქრონიკები...“). უფრო ადრეული პუბლიკაციებიდან უნდა აღინიშნოს ზურაბ შარაშენიძის, გიორგი ჭიპაშვილის, ჯემშიდ გიუნაშვილის და სხვათა ნაშრომები. ავტორთა ჯგუფს ასევე შესწავლილი აქვს მანანდარანის პროვინციაში მცხოვრებ ქართველთა ყოფა და კულტურა. აუცილებელია ამ მიმართულებით ირანელ ქართველთა ღვაწლის ხაზგასმაც. საიდ მულიანის, ამინ ყებელბაშანს, ალიაქბარ ოჯაქეს და სხვებს არაერთი საყურადღებო ნაშრომი აქვთ გამოქვეყნებული ირანში ქართველების ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.<sup>26</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ ქართველ მკვლევართა ჯგუფმა გიორგი სანიკიძისა და ნიკოლოზ ნახუცრიშვილის ხელმძღვანელობით, შეისწავლა თეირანის ქრისტიანული სასაფლაოს ქართული სექტორი, რის შედეგადაც გამოქვეყნდა კრებული ირანში მცხოვრებ ქრისტიან ქართველთა მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტების შესახებ.

## ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავლისა, შვიდი ძირითადი თავის, დასკვნისა და ვრცელი ინგლისური რეზიუმესაგან; თან ერთვის ბიბლიოგრაფია.

1) პირველ თავში („ისტორიის გაკვეთილები“) თავდაპირველად წარმოდგენილია ირანის ისტორიის ძირითადი ეპოქები. შემდეგ განხილულია ირანისა და სამხრეთ კავკასიის ურთიერთობების უმთავრესი ეტაპები აქემიანიანთა იმპერიიდან დაწყებული სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების მიერ 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. ხაზგასმულია, რომ სამხრეთ კავკასია მთელი ისტორიის

26 ირანელ ქართველ ავტორთა სრული სია, რომლებიც საქართველოს შესახებ წერენ (როგორც ისტორიული და ფილოლოგიური ხასიათის თხზულებებს, ისე მხატვრულ ნაწარმოებებს), იხ. ნიკოლოზ ნახუცრიშვილი და სხვები, ირანის ქართველობა ისტორიულ სამშობლოსთან რეინტეგრაციის გზაზე. (თბილისი: აკადემიური წიგნი, 2020), 34-36.

მანძილზე მოქცეული იყო ირანის პოლიტიკურ ორბიტაში და რეგიონის მნიშვნელოვანი ნაწილი ხშირად ექვემდებარებოდა ირანული სახელმწიფოების პირდაპირ თუ არაპირდაპირ მმართველობას. მდგომარეობა შეიცვალა რეგიონის რუსეთის იმპერიაში გაერთიანების შემდეგ, თუმცა ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები კვლავაც ინტენსიური იყო საბჭოთა კავშირის შექმნამდე. საბჭოთა პერიოდში კავშირები პრაქტიკულად შეწყდა, თუ არ ჩათვლით მეორე მსოფლიო ომის მიწურულს ე.წ. „ირანის აზერბაიჯანის კრიზისს“, როდესაც საბჭოთა კავშირი შეეცადა (საბოლოო ჯამში, წარუმატებლად) გაეღვივებინა ავტონომისტური და სეპარატისტული განწყობები რეგიონში. ბოლოს აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის კოლაფსმა ირანს, რომელსაც ისტორიის დიდი ნაწილის მანძილზე რეგიონი საკუთარი ზეგავლენის სფეროში ჰქონდა მოქცეული, შესაძლებლობა მისცა აღედგინა ძველი კავშირები და ზეგავლენა. თუმცა, რეგიონში მიმდინარე პროცესები სულაც არ წარმართულა იმ გზით, როგორც ირანი ისურვებდა.

შემდეგ გაანალიზებულია ისტორიის ალქმის საკითხთან დაკავშირებული პრობლემები ერთი მხრივ, ირანის და, მეორე მხრივ, სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს მხრიდან. ხაზგასმულია, რომ ისტორიის ალქმა გარკვეულწილად ცვლილებებსაც განიცდის და ეს ცვლილებები პოლიტიკური მოტივებითაც არის განპირობებული. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა შეუთრეგებელი წინააღმდეგობები აზერბაიჯანულ და ირანულ ალქმებს შორის. მოკლედ რომ ითქვას, აზერბაიჯანული თვალთახედვიდან, აზერბაიჯანი ორად არის გაყოფილი ძალადობრივი გზით რუსეთისა და სპარსეთის იმპერიებს მიერ, რაც ისტორიული თვალსაზრისით, აბსურდია. ირანული ალქმით კი, კავკასიაში არ არსებულა არანაირი ქვეყანა სახელწოდებით აზერბაიჯანი და ეს იყო ირანის ისტორიული მიწები, რომლებიც რუსეთის იმპერიამ ომის საშუალებით წაართვა ირანს. საქართველოსა და ირანს შორის შედარებით უმნიშვნელოა ისტორიის ალქმის პრობლემა, რამდენადაც აზერბაიჯანისგან განსხვავებით, პოლიტიკური შინაარსისგან დაცლილია. თუმცა, ირანული თვალთახედვიდან, აღმოსავლეთ საქართველო ირანის ისტორიულ ნაწილს წარმოადგენდა, ამ აზრს კი კატეგორიულად არ იზიარებს ქართული ისტორიოგრაფია. იმავე პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, ირან-სომხეთის ურთიერთობებში დღეს პრაქტიკულად უგულვებლყოფილია ისტორიის ალქმასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემის არსებობა.

მეორე თავში „ირანის საგარეო პოლიტიკა: ძირითადი ვექტორები და მახასიათებლები“ შესწავლილია ირანის რეგიონული და გლობალური პოლიტიკის თავისებურებები შესავალში განხილული თეორიული მიდგომების საფუძველზე. გამოკვეთილია ირანის მთავარი საგარეო პოლიტიკური ინტერესები – პირველ რიგში, ეს ეხება სპარსეთის ყურეს. მაგრამ ირანს მნიშვნელოვანი ინტერესები ამოძრავებს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს (ჩართულობა სირიის კონფლიქტში, მისი ე.წ. ‘პროქსის’ სახით ლიბანში ‘ჰეზბოლას’ არსებობა), ასევე ერაყის, იემენის, ავღანეთის და, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიის მიმართ. გამოკვეთილია ირანის ანტიდასავლური პოლიტიკის მიზეზები და შედეგები. გამოთქმულია სათანადო არგუმენტებით გამყარებული მოსაზრება, რომ დღეს ფართოდ გავრცელებული შეხედულება ე.წ. „შიტური ნახევარმთვარის“ არსებობის შესახებ ახლო აღმოსავლეთში, დიდწილად არ შეესაბამება რეალობას. მთავარი

ყურადღება კი გამახვილებულია იდეოლოგიისა და პრაგმატიზმის მიმართებაზე ირანის საგარეო პოლიტიკაში. ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ მიუხედავად განსხვავებული შეხედულებებისა ამ საკითხის მიმართ (იგივე ირანის ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ კავკასიაში სხვადასხვა მიდგომების არსებობის პირობებში), ირანის საგარეო პოლიტიკაში, მაინც პრაგმატიზმი პრევალირებს და იდეოლოგია მის სამსახურშია ჩაყენებული.

მესამე თავი „ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთობები“ საკმაოდ ვრცელია და რამდენიმე ქვეთავისგან შედგება. პირველ ორ ქვეთავში (‘სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური ვექტორები’, ‘ირანი და გარე აქტორები სამხრეთ კავკასიაში’) გაანალიზებულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებული საგარეო-პოლიტიკური ვექტორები და ამ ვექტორების ზეგავლენა ირანთან ურთიერთობებზე. განხილულია ირანის მხრიდან სამხრეთ კავკასიაში მოქმედი გარე აქტორების როლის აღქმა. ხაზგასმულია, რომ ირანის თვალთახედვიდან სამხრეთ კავკასიის პრობლემების გადაწყვეტაში ჩართულნი უნდა იყვნენ მხოლოდ რეგიონული აქტორები. რეგიონულ აქტორებად კი, სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს გარდა, ირანი, საკუთარ თავთან ერთად, თვლის რუსეთსა და თურქეთს. შესაბამისად, ირანისთვის მიუღებელია დასავლეთის (პირველ რიგში, აშშ-ის და ნატო-ს), ასევე ისრაელის ჩართულობა რეგიონში მიმდინარე პროცესებში. ხაზგასმულია, რომ ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში მთლიანად რუსეთზეა ცენტრირებული და ირანი ერიდება აქ რუსეთის საწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმას. თურქეთისა და ირანის ინტერესები რეგიონში, გარკვეულ შემთხვევებში, ასევე ურთიერთსაწინააღმდეგოა. ზოგიერთი მკვლევარი საუბრობს ორი ლერძის არსებობის შესახებაც: ბაქო-თბილისი-ანკარა და მოსკოვი-ერევანი-თეირანი. თუმცა, ცალკეული ინციდენტები ირანსა და თურქეთს შორის რეგიონში ღია დაპირისპირებაში არ გადაზრდილა. ასევე ახნილია, თუ რატომ არ შეუძლია ირანს წინ აღუდგეს დასავლეთის ჩართულობასა რეგიონში.

მესამე ქვეთავში (‘ირანი და აზერბაიჯანი – გულთბილი მტრები, გულცივი მეგობრები’) განხილულია ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობების ევოლუცია 1991 წლიდან დღემდე. აქცენტი გაკეთებულია ურთიერთობების გაუარესება-გაუმჯობესების განმაპირობებელ ფაქტორებზე (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ურთიერთობები, რომელთა განხილვასაც ცალკე თავი ეთმობა, ხშირ შემთხვევაში ზეგავლენას ახდენს პოლიტიკურ ურთიერთობებზე და პირიქით). გამოკვლეულია ის ფაქტორები, რის გამოც აზერბაიჯანმა, რომელიც ისტორიულად, კულტურულად და რელიგიურად ირანული სამყაროს ნაწილი იყო, აირჩია განვითარების განსხვავებული ვექტორი – ეთნიკურ ერთობაზე დამყარებული მჭიდრო კავშირი თურქეთთან (სლოგანი – ‘ერთი ერი – ორი სახელმწიფო’), უპირატესობა მიანიჭა ნეიტრალიტეტს და ამავე დროს მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა დასავლეთთან და ისრაელთან (ეს უკანასკნელი ფაქტორი განსაკუთრებით მიუღებელია ირანისთვის). აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანული თემი, რომლის წევრთა რაოდენობაც აჭარბებს თანამედროვე აზერბაიჯანში მათ თანამემამულეთა რიცხვს, მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, კარგად არის ინტეგრირებული ირანულ საზოგადოებაში. ყურადღება გამახვილებულია იმ განსხვავებებზე, რაც

არსებობს საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრებ აზერბაიჯანელთა შორის. ასევე გამოკვლეულია, თუ როგორ ცდილობს ირანიც და აზერბაიჯანიც პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს აზერბაიჯანულ თემში არსებული პრობლემები და ახსნილია, თუ რატომ არის ამგვარი პოლიტიკა უმეტესწილად წარუმატებელი.

მეოთხე ქვეთავში ('ირანი და სომხეთი – მარტონი ერთად') გამოკვეთილია ის ფაქტორები, რამაც განაპირობა ისლამური ირანისა და ქრისტიანული სომხეთის ერთი შეხედვით პარადოქსული მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობები. სომხეთისთვის ირანი გარკვეულწილად ფანჯარაა გარე სამყაროში, გამომდინარე თურქეთთან და აზერბაიჯანთან საზღვრების ჩაკეცვისა და საქართველოსა და სომხეთის სტრატეგიულ მოკავშირე რუსეთს შორის რთული ურთიერთობებიდან. თავის მხრივ, სომხეთთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნება, აზერბაიჯანთან მიმართებაში არსებული პრობლემების გამო, ირანისთვის ასევე სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია. ირანის სომხურ თემთან დაკავშირებით, განმარტებულია, თუ რატომ შეინარჩუნეს სომხებმა მყარი ეროვნული იდენტობა ირანში იმავდროულად ირანულ საზოგადოებაში ღრმა ინტეგრირების პირობებში. საუბარია ირანის ხელისუფლების მხრიდან გამორჩეულად ტოლერანტულ დამოკიდებულებზე სომხების მიმართ, რასაც ასევე ხელს უწყობს სომხეთსა და ირანს შორის არსებული კეთილმეზობლური დამოკიდებულება.

მეხუთე ქვეთავში ('ირანი და საქართველო – ცივი კეთილმეზობლური ურთიერთობები') განხილულია ჩვენს ქვეყანასა და ირანს შორის ურთიერთობების დინამიკა გასული ოცდაათი წლის მანძილზე. აღნიშნულია, რომ საწყის ეტაპზე საქართველო ცდილობდა კიდევ მეტნაკლები პარიტეტის შენარჩუნებას ირანსა და დასავლეთს შორის და გარკვეულ ხიდად ქცევას მათი დაკავშირებისთვის, მაგრამ სულ მალე საქართველოს მიერ საგარეო პოლიტიკის დასავლური ვექტორის არჩევამ საკმაოდ შეამცირა პოლიტიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარების შესაძლებლობები. დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობების გარდა, კონტაქტების გაღრმავების ხელისშემშლელი ფაქტორია ირანის მჭიდრო კავშირები რუსეთთანაც. ირანის ქართველებთან დამოკიდებულების განხილვისას განმარტებულია ის მიზეზები, თუ რატომ მოხდა ქართველების მხრიდან ეროვნული იდენტობის მხოლოდ ნაწილობრივ შენარჩუნება. განხილულია ფერეიდანის მხარის მაგალითი, როგორც ამ თვალსაზრისით გარკვეულწილად გამონაკლისია. საუბარია ასევე ისტორიულ სამშობლოში ირანელ ქართველთა დაბრუნებასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის სირთულეებზე.

მეოთხე თავის „სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და ირანი“ ძირითადი ნაწილი ეძღვნება ირანის პოზიციის და მოქმედებების განხილვას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით. ხაზგასმულია, რომ მიუხედავად ნეიტრალური პოზიციისა (განსხვავებით თურქეთისგან, რომელსაც ღიად უჭერდა მხარს აზერბაიჯანს, და რუსეთისა, რომელიც დაუფარავად თამაშობდა ორმაგ თამაშს), ირანი გარკვეულწილად მაინც სომხეთისგან იხრებოდა. გაანალიზებულია ირანის ამგვარი პოლიტიკის განმაპირობებელი ფაქტორები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ირანისთვის მისაღები იყო 2020 წლის შემოდგომამდე არსებული სტატუს კვო – ირანის ინტერესებში არ შედიოდა არც ძლიერი აზერბაიჯანი და არც დასუსტებული სომხეთი. აქვე ჩამოყალიბებულია რამდენიმე მოსაზრება 2020 წლის 44-დღიანი



ომის შემდეგ ირან-აზერბაიჯანისა და ირან-სომხეთის მომავალი ურთიერთობების შესახებ. ზოგადად, ირანი (როგორც ტერიტორიულად 'დაკმაყოფილებული' ქვეყანა) ყოველთვის ხაზს უსვამს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის აუცილებლობას. იგივე შეიძლება ითქვას ირანის პოზიციაზე 2008 საქართველო-რუსეთის ომთან დაკავშირებით. ირანმა არ აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ იმავდროულად თავი შეიკავა რუსეთის კრიტიკისგან (ომის გაჩაღების ერთ-ერთ ფაქტორად დასავლეთის პოლიტიკა მიიჩნია). საუბარია აგრეთვე გარე რეგიონული ძალების მიერ ინიცირებულ თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატებზე და მათი განხორციელებისთვის არსებულ წინააღმდეგობებზე.

მეხუთე თავის ('ირანისა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური კავშირები') პირველ ქვეთავში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების დინამიკაზე. აღნიშნულია, რომ თავდაპირველად ირანს საკმაოდ მყარი პოზიციები ჰქონდა ვაჭრობის თვალსაზრისით აზერბაიჯანთან და სომხეთთან, თუმცა შემდგომ მან პოზიციები დათმო და დღეს ბევრად ჩამორჩება სხვა გარე აქტორებს. ასხნილია ამ ჩამორჩენის მიზეზები, რაც არ უკავშირდება მხოლოდ ირანისთვის დაწესებულ საერთაშორისო სანქციებს. საქართველოსთან დაკავშირებით ხაზგასმულია, რომ საკმაოდ დიდი უფსკრულია ორ ქვეყანას შორის ამჟამად არსებულ და პოტენციურად შესაძლებელ ეკონომიკურ ურთიერთობებს შორის. განხილულია ასევე ის პერსპექტივები, რომელიც შეიძლება ირანს გაუჩნდეს ვაჭრობის თვალსაზრისით სანქციების მოხსნისა და ირანის ეკონომიკის აღორძინების შემთხვევაში. ასევე საუბარია ეკონომიკური თვალსაზრისით 2020 წლის სომხეთ-აზერბაიჯანის ომის ნეგატიურ და პოზიტიურ შედეგებზე ირანისთვის.

მეორე ქვეთავში განხილულია ირანისთვის სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო მნიშვნელობა. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სპარსეთის ყურე-შავი ზღვის საერთაშორისო სატრანსპორტო და სატრანზიტო დერეფანზე და ჩრდილოეთ-სამხრეთის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანზე; ასევე ნაწილობრივ ჩინეთის აბრეშუმის გზის ეკონომიკურ სარტყელზე. ხაზგასმულია, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში პირველი „დერეფნის“ ამოქმედების პერსპექტივა, რაც უპირველესად სომხეთისა და საქართველოს ინტერესებში შედის, არარეალისტურია. ამგვარი პროექტი დიდი ინვესტიციებს მოითხოვს, დასავლეთი კი არ არის დაინტერესებული ირანისთვის სატრანზიტო გზის შექმნით. რუსეთის მონაწილეობაც ამგვარ პროექტში გამორიცხებულია. უფრო რეალისტურად ჩანს მეორე „დერეფანი“, რომელიც გვერდს უვლის სომხეთსა და საქართველოს და რომლის ამოქმედებითაც დაინტერესებულია ირანი, აზერბაიჯანი და, პირველ რიგში, რუსეთი. თუმცა ამ პროექტთან დაკავშირებითაც არსებობს სერიოზული სირთულეები და წარმოდგენილია ამ სირთულეების ანალიზი. საუბარია ასევე „ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის“ ჰიპოთეტურ განშტოებაზე, რომელმაც აზერბაიჯანის გზით უნდა დააკავშიროს ირანი საქართველოს შავი ზღვის პორტებთან.

შემდეგ საუბარია საქართველოსა და სომხეთის პერსპექტივებზე (უფრო სწორად, ამჟამინდელ ვითარებაში პერსპექტივების არარსებობაზე) ირანული ნავთობისა და ბუნებრივი აირის ტრანზიტისთვის. ყურადღება გამახვილებულია

ირან-სომხეთის გაზსადენზე რუსეთის მიერ სრული კონტროლის დამყარების სავალალო შედეგებზე როგორც სომხეთისა და ირანისთვის, ისე ნაწილობრივ საქართველოსთვის.

ეს თავი სრულდება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ირანის ეკონომიკურ ურთიერთობებზე მისთვის დაწესებული სანქციების ზეგავლენის ანალიზით.

მეექვსე თავის („კასპის ზღვის საკითხი რეგიონულ პოლიტიკაში“) პირველ ქვეთავში წარმოდგენილია ირანის ხედვა მონაპირე ქვეყნებს შორის კასპის ზღვის ზედაპირისა და ფსკერის (საქმე ეხება ჰიდროკარბონატების საბადოებს) დანაწილების თაობაზე. გამოკვეთილია ის ფაქტორები, რის გამოც ირანის პოზიცია განსხვავებულია დანარჩენი ქვეყნების პოზიციისგან. მიუხედავად თითქოსდა მიღწეული შეთანხმებისა, ირანში აცნობიერებენ, რომ ამ შემთხვევაშიც ირანი წაგებულ მდგომარეობაშია. ამიტომაც ირანის პარლამენტი (მეჯლისი) ჯერჯერობით არ ახდენს მიღწეული შეთანხმების რატიფიცირებას. ამგვარად, კასპის ზღვის გაყოფის პრობლემა კვლავაც გადაუწყვეტელია და არ ჩანს პერსპექტივა, რომ ირანი შეძლებს ამ მიმართულებით საკუთარი ინტერესების დაცვას.

მეორე ქვეთავში განხილულია ნავთობ- და გაზსადენების მარშრუტებთან დაკავშირებული პრობლემატიკა და აღნიშნულია, რომ ირანმა (რუსეთთან ერთად) პრაქტიკულად წააგო ომი ნავთობსადენებისთვის. ეს კი, უპირველესად, ეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს. ერთ-ერთი თავდაპირველი მარშრუტის პროექტის მიხედვით ნავთობსადენს სწორედ ირანზე უნდა გაეგლო (სომხეთის გზა, აზერბაიჯან-სომხეთის დაძაბული ურთიერთობებიდან გამომდინარე, თავიდანვე გამოირიცხა). ირანს ამ თვალსაზრისით ბევრად უფრო განვითარებული ინფრასტრუქტურა ჰქონდა, ვიდრე საქართველოს და მის ტერიტორიაზე ნავთობსადენის გაყვანაც გაცილებით იაფი დაჯდებადა. თუმცა, დასავლეთი, საბოლოო ჯამში 'ირანულ გზის' არჩევის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა, რაც საქართველოსთვის უაღრესად მომგებიანი გამოდგა. იგივე ითქმის გაზსადენთან დაკავშირებითაც.

მეშვიდე თავში ('ირანის 'რბილი ძალა' სამხრეთ კავკასიაში: რელიგია და კულტურა'), პირველ რიგში, ყურადღება გამახვილებულია ირანის მიერ შიიტური ისლამის, როგორც რბილი ძალის გამოყენებაზე აზერბაიჯანში. თითქოსდა ერთიან მრწამსს აზერბაიჯანი და ირანი ბუნებრივ მოკავშირეებად უნდა ექცია, მაგრამ სეკულარულ და ავტორიტარულ აზერბაიჯანში რელიგიური ინსტიტუციები სახელმწიფოს სრულ კონტროლქვეშაა მოქცეული და ირანის რელიგიური პოლიტიკა, მცდელობების მიუხედავად, წარუმატებელი გამოდგა. პარადოქსული გზით, ისლამის შიიტური ვერსიის პროპაგანდისთვის გაცილებით უფრო ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა საქართველო, სადაც მსგავსი აქტივობები გაცილებით უფრო ნაკლებად იზღუდება და ირანული რელიგიური ორგანიზაციები აქტიურად მოღვაწეობენ საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანულ მოსახლეობაში (თუმცა, აქაც ქიშპი უწევთ თურქულ რელიგიურ ორგანიზაციებთან). სომხეთ-ირანის რელიგიურ ურთიერთობების განხილვისას ხაზგასმულია, რომ რელიგია ორი ქვეყნის მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობის გარკვეული დანამატია, რამდენადაც ეს ურთიერთობები წარმოდგენილია როგორც ქრისტიანული და მუსლიმური ქვეყნების მშვიდობიანი თანამშრომლობის, მჭიდრო პარტნიორობის და ურთიერთპა-

ტივისცემის საუკეთესო მაგალითად. აქვე საუბარია კულტურის სფეროში ირანის კავშირებზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან. ნაჩვენებია, რომ ირანი კარგად იყენებს საუკუნოვან კულტურულ კავშირებს რეგიონთან და ირანული კულტურის პოპულარობას.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია განხორციელებული კვლევის შედეგები. წარმოდგენილი ის ძირითადი მოსაზრებები, რომლებიც გამოიკვეთა მუშაობის პროცესში ნაშრომში განხილულ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე, ასევე გამოთქმულია გარკვეული ვარაუდები ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სამომავლო ურთიერთობების შესახებ.

\* \* \*

ნაშრომი უკვე მზად იყო გამოსაცემად, როდესაც რუსეთმა ომი გააჩაღა უკრაინის წინააღმდეგ. ბუნებრივია, რუსული აგრესია გარკვეულ კორექტივებს შეიტანს ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობებში. თუმცა, ამ კორექტივების შესახებ საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ავტორი მაინც შეეცადა მცირე, მაგრამ აუცილებელი ცვლილებები შეეტანა ნაშრომში და გამოეთქვა რამდენიმე ფრთხილი ვარაუდი.



## თავი I

### ისტორიის გაკვეთილები

#### ირანი ისტორიაში

ირანის ისტორიული ბედ-იღბალი ღრმადაა ნიშანდებული გეოგრაფიული ადგილმდებარეობით. ქვეყანა იყო ხალხთა გადაადგილების გზაჯვარედინი და იმპერიათა ექსპანსიის გზა. ყოველივე ეს აღიბეჭდა ქვეყნის ეთნიკურ, ლინგვისტურ და რელიგიურ კომპოზიციაზე; ასევე აისახა კულტურულ მახასიათებლებსა და მსოფლმხედველობაზე.

გეოგრაფი ქს. დე პლანოლი შეგვახსენებს, რომ „ეს ყველაზე ძველი პოლიტიკური ერთობა, იმპერიული ტიპისა, რომელიც კი არსებობდა პლანეტაზე, ჩამოყალიბებული სახით ჩნდება მის ამჟამინდელ ადგილზე სამი თუ ოთხი საუკუნით უფრო ადრე, ვიდრე ჩინეთი მიაღწევდა ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს სტადიას.“<sup>1</sup> მართლაც, დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე ელამისა თუ მიდიის სახელმწიფო წარმონაქმნების მოსპობის შემდეგ, იწყება აქემენიანთა იმპერიის ეპოქა. აქემენიანებმა ისტორიაში იმპერიული სტრუქტურის პირველი გააზრებული და კარგად ორგანიზებული ნიმუში შექმნეს. იმპერიის დამფუძნებელი, კიროს დიდი კი ხშირად მოიხსენიება ისტორიაში პირველ ‘მონარქად’.<sup>2</sup> ეს იმპერია სათავეს ფარსის (ბერძნ. *პერსიდა*) პროვინციიდან იღებს და სწორედ ამ პროვინციის სახელით მოიხსენიებდნენ ევროპელები დიდი ხნის მანძილზე ირანს. საკუთრივ ქვეყნის მოსახლეობას კი, სპარსელებთან ერთად, შეადგენდნენ სხვადასხვა ირანულენოვანი ხალხები, რომლებსაც შუა საუკუნეებში დაემატნენ თურქული მოდგმის ხალხები, არაბები, მონღოლები და სხვები. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მრავალენოვანი ქვეყანა, როგორც ზოგადად კულტურის, ისე კონკრეტულად პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით, სპარსული (უფრო ფართო გაგებით, ირანული) რჩებოდა.

ალექსანდრე მაკედონელის მიერ აქემენიანთა იმპერიის განადგურებიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ კიდევ ერთი მძლავრი ირანული სახელმწიფო – პართია შეიქმნა, არშაკიანთა დინასტიით სათავეში. ხაზგასასმელია, რომ პართიის სახელმწიფო მართლაც წარმოადგენდა აღმოსავლეთში ელინიზმის გავრცელების შედეგს – აღმოსავლური და დასავლური კულტურების თავისებურ ნაზავს. ახალი და ძველი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ახლო აღმოსავლეთში ორი დიდი იმპერია ექიმებოდა ერთმანეთს – რომი და პართია. ახ. წ. მესამე საუკუნის დასაწყისში არშაკიანთა პართიას ჩაენაცვლა სასანიანთა ირანის სახელმწიფო. მალე რომთან

1 Xavier de Planhol, ‘Réflexion sur l’identité iranienne.’ Mondes et cultures (2006), LXVI, vol. 1, 261.

2 მაგ., მირზა ფათჰალი ახუნდზადე კიროსის მეფობას „იდეალურად მმართველობად“ მიიჩნევდა (იხ. Pejman Abdolmohammadi, ‘History, National Identity and Myths in Iranian Contemporary Political Thought: Mirza Fathali Akhundzadeh (1812-78), Mirza Aqa Khan Kermani (1853-96) and Hasan Taqizadeh (1878-1970).’ In: Ali M. Ansari (ed.) Perceptions of Iran. History, Myths and Nationalism from Medieval Persia to the Islamic Republic. (I.B. Tauris, 2014), 29.

პოლიტიკური ქიშპი შეივსო იდეოლოგიური (რელიგიური) შინაარსითაც: ქრისტიანული რომი უპირისპირდებოდა ზოროასტრულ ირანს. აქვე აღსანიშნავია, რომ სასანიანებმა ზოროასტრული რელიგიის ორგანიზებითა და სტრუქტურირებით, პირველად აიყვანეს ის სახელმწიფო რელიგიის რანგში. ირანში ამასთანავე ვრცელდებოდა ქრისტიანობაც რომის იმპერიაში დევნილი მიმდინარეობების, ნესტორიანობის და მონოფიზიტობის სახით (ისიც უნდა ითქვას, რომ გარკვეულ პერიოდებში ნებისმიერი მიმართულების ქრისტიანები იდევნებოდნენ ირანში). ამასთანავე, ორი იმპერიის ქიშპს თან ახლდა იმ პერიოდის ორი მთავარი ცივილიზაციის – დასავლურის (რომი) და აღმოსავლური (ირანი) თანამშრომლობაც. თუმცა, იმპერიებს შორის მუდმივმა ომებმა ისინი უკიდურესად დაასუსტა და VII საუკუნის 30-იანი წლებიდან ისლამის დროშით შეიარაღებულმა არაბებმა ადვილად გაანადგურეს ირანი, ხოლო აღმოსავლეთ რომის იმპერიას ახლოაღმოსავლური ტერიტორიების დიდი ნაწილი წაართვეს.

არაბულ-ისლამური დაპყრობების შემდეგ, ირანმა დაკარგა დამოუკიდებლობა, მაგრამ არა კულტურული იდენტობა. დამპყრობლებთან ასიმილირებისა და გაქრობის ნაცვლად, არაბთა ბატონობის პერიოდშივე დაიწყო ირანული იდენტობის აღორძინება, რაც შემდგომი დაპყრობების მიუხედავად, კვლავაც იკრებდა ძალას და აღორძინდებოდა – ს. მაკის ხატოვანი თქმით, ირანული მითოლოგიის ფრინველის, სიმორლის მსგავსად.<sup>3</sup> დამპყრობლები დროთა განმავლობაში დაპყრობილთა ენისა და კულტურის მიერ 'დაპყრობილები' ხდებოდნენ.

არაბთა დაპყრობების შედეგად, ახლო აღმოსავლეთში ადგილობრივი ენები გაქრა და შეიცვალა არაბულით. სპარსული კი საშუალო სპარსულიდან, სასანიანთა დროის ფალაურიდან, გარდაიქმნა ახალ სპარსულ ენად, რომელმაც არაერთი სიტყვა ისესხა არაბულიდან და ორი 'ზნელი' საუკუნის შემდეგ აღორძინდა ელევანტური და მარტივი სალაპარაკო ენის სახით, რომელზეც ირანელები დღეს ლაპარაკობენ. მაგრამ უკვე გამოიყენებოდა არაბული დამწერლობა. თანამედროვე სპარსული მართლაც შთამბეჭდავად არ შეცვლილა XI საუკუნის შემდეგ. იმდროინდელი პოეზია თანამედროვე ირანელთათვის თავისუფლად გასაგებია, ისწავლება სკოლაში და ხშირად ზეპირადაც იციან.

განგრძობადობის კიდევ ერთი ელემენტი არსებობს – თავისთავად ენის, ისტორიის, ხალხური მეხსიერების და პოეზიის ერთობლიობა: ეს არის XI საუკუნეში შექმნილი ფირდოუსის „შაჰნამე“ ფირდოუსიმ გადაამუშავა სხვადასხვა წყაროებში გაფანტული გმირებისა და მეფეების ამბები. მან შემოინახა, რამდენადაც შეეძლო, წინაისლამური ირანის კულტურა. მის მიერ მითოლოგიზებული ისტორია ირანელთათვის ხანგრძლივი დროის მანძილზე ისტორიული მეხსიერების ერთ-ერთი უმთავრესი წყარო იყო.

ამგვარად, არაბთა დაპყრობების შედეგად, ისლამიზაციის მიუხედავად, ახლო აღმოსავლეთის სხვა ხალხებისგან განსხვავებით, არ მომხდარა ირანის არაბიზაცია.

სახალიფოს ფაქტობრივი დაშლის პერიოდში იწყება ეპოქა, რომელსაც ხშირად 'ირანულ ინტერმეცოსაც' უწოდებენ. ეს არის ირანული კულტურის აყვავებისა და სხვადასხვა ირანული დინასტიების ბატონობის ხანა. X საუკუნის მიწურული-

3 Sandra Mackey, *The Iranians: Persia, Islam and the Soul of a Nation*. (New York: The Penguin Group, 1998), 67.

დან ახლო აღმოსავლეთში ახალი ძალა – თურქები ჩნდებიან. თურქ-სელჯუკები გაბატონდნენ ირანშიც და მცირე პერიოდის მანძილზე შეძლეს თითქმის მთელი ახლო აღმოსავლეთის გაერთიანება. ხაზგასასმელია, რომ თურქული მოდგმის ხალხებმაც განიცადეს ირანის კულტურული ზეგავლენა. ამის დასტურად გამოდგება ის ფაქტიც, რომ მოგვიანებით, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ოსმალეთის სამეფო კარის ენად სპარსული ითვლებოდა. თურქების შემდეგ ირანში მონღოლები გამოჩნდნენ, თუმცა მონღოლთა სახელმწიფოც (ასევე ირანიზებული) მალე დაიშალა. ირანი იქცა სხვადასხვა მცირე სახელმწიფოების (რომელთა სათავეშიც ძირითადად თურქული დინასტიები იდგნენ) ქიშპის ასპარეზად, სანამ XVI საუკუნის დასაწყისში სეფიანთა დინასტიამ ისევ არ გააერთიანა ქვეყანა.<sup>4</sup> სეფიანებმა არამარტო ახალი ირანული სახელმწიფო შექმნეს, არამედ სახელმწიფო რელიგიად აქციეს შიიზმიც.<sup>5</sup>

ირანის შიიზმზე მოქცევამ XVI ს.-ის დასაწყისში პოლიტიკური საზღვარი გაავლო ირანსა და დანარჩენ მუსლიმურ სამყაროს შორის, სადაც ძირითადად სუნიტი ოსმალოები დომინირებდნენ. „შიიზმმა მოახდინა ირანის ეფექტური იზოლაცია დანარჩენი მუსლიმური სამყაროსაგან როგორც მენტალობის, ისე ქმედების თვალსაზრისით... ირანული კულტურული ინდივიდუალიზმის ტრადიციები ზრდიდა ამ განყოფის მნიშვნელობას.“<sup>6</sup> „თუკი სეფიანებამდე შიიზმი ერთიანი მუსლიმური სამყაროს, მუსლიმური აზროვნების შემადგენელი ნაწილი იყო, სეფიანების გაბატონებით იწყება გამიჯვნა (კიდევ ერთი განყოფა) და სწორედ პოლიტიკურ საფუძველზე, რომლისთვისაც გამოინახა რელიგიური გამართლება. ამ პერიოდიდან დაწყებული, ირანის ევოლუცია მუსლიმური სამყაროდან გამოცალკევებულად (ზოგჯერ გამიჯნულადაც) მიმდინარეობს.“<sup>7</sup>

სეფიანთა პერიოდს უკავშირდება შიიტური სამღვდელოების პოზიციების (როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური) უკიდურესი გამყარება. სწორედ ამ ხანებში ჩაეყარა საფუძველი სასულიერო წოდების ძლიერებას, რამაც უკვე XX საუკუნის მიწურულს განაპირობა სამღვდელოების წინამავალი როლი რევოლუციურ პროცესებში და ისლამური რესპუბლიკის შექმნა ირანში.

მაქსიმალური ძლიერების ხანაში სეფიანები აკონტროლებდნენ თანამედროვე ირანს, აზერბაიჯანს, ბაჰრეინს, სომხეთს, აღმოსავლეთ საქართველოს, ასევე ჩრდ. კავკასიის, თურქეთის, სირიის, პაკისტანის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ავღანეთის ნაწილებს. XVII საუკუნის მიწურულს დაიწყო სეფიანთა სახელმწიფოს

4 სეფიანთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მკვლევართა ნაწილი მათ თურქულ (აზერბაიჯანულ) წარმომავლობას უჭერს მხარს. თუმცა, დღეს ბევრი მიიჩნევს, რომ ეს იყო „ქურთული წარმომავლობის ირანული დინასტია“. ამასთანავე, პირველ შაჰის, ისმაილის წინაპართა შორის იყვნენ თურქი, ქართველი, ჩრდილოკავკასიელი, ბერძენი დიდგვაროვნებიც. მაგრამ უდავოა, რომ ის ძალა, რომელმაც ხელისუფლების სათავეში მოიყვანა სეფიანები – ყიზილბაშები – თურქული მოდგმის ტომები იყვნენ.

5 სეფიანები გამოთქვამდნენ პრეტენზიას, რომ იყვნენ როგორც შიიტი იმამების, ისე სასანიანები შაჰების შთამომავლები. ამის მტკიცებით, ისინი ცდილობდნენ საკუთარი რელიგიური და პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმაციას.

6 Hamid Algar, Religion an State In Iran. The Role of the Ulama in the Qajar Period. (University of California Press, 1969), 25.

7 გიორგი სანიკიძე, შიიზმი და სახელმწიფო ირანში. (თბილისი: მერიდიანი, 2005), 119.

თანდათანობითი დაკნინება, ხოლო XVIII ს-ის 20-იან წლებში სახელმწიფო საბოლოოდ დაიშალა. თუმცა მალე ნადერ შაჰმა, კიდევ ერთი თურქული მოდგმის ტომის, ავშარების წინამძღოლმა, დროებით მოახერხა ირანის გაერთიანება.

XVIII საუკუნის მიწურულს ირანს აერთიანებს ასევე თურქული წარმომავლობის დინასტია – ყაჯარები. ყაჯარების მიზანი გახდა სეფიანთა დროინდელი სახელმწიფოს აღდგენა. მაგრამ ეს მიზანი განუხორციელებელი გამოდგა, პირველ რიგში XIX საუკუნის პირველ მესამედში რუსეთთან ომებში განცდილი მარცხის გამო. XIX საუკუნეში ირანში რუსეთი და დიდი ბრიტანეთი დომინირებდნენ. ირანი პრაქტიკულად გადაიქცა ზემონახსენები ქვეყნების ნახევრადკოლონიად. საუკუნის მიწურულს გაიზარდა მოსახლეობის უკმაყოფილება, რაც დაგვირგვინდა უკვე XX საუკუნის დასაწყისში ე.წ. კონსტიტუციური რევოლუციით და ქვეყნის გარდაქმნით „კონსტიტუციურ მონარქიად“ (სალთანათ-ე მაშრუთე). კონსტიტუციური რევოლუცია იმითაც იყო უნიკალური, რომ ის განხორციელდა ლიბერალურად განწყობილი საშუალო ფენისა და კონსერვატორი სამღვდელოების (თუმცა, შაჰის ხელისუფლების შეზღუდვის მომხრე) პარადოქსული ალიანსის საფუძველზე. კონსტიტუციაც ემყარებოდა ბილეგიტიზმს – ერთდროულად იყო სეკულარულიც და რელიგიურიც. ეს ალიანსი მოკლევადიანი გამოდგა. მალე ქვეყანა ანარქიაში ჩაეფლო, პირველი მსოფლიო ომის დროს და ომის შემდგომ წლებში ირანი კლასიკური არშემდეგარი სახელმწიფო იყო. მალე დასრულდა ყაჯარების დინასტიის ისტორიაც და ირანს ახალი, ამჯერად უკვე ირანული წარმომავლობის, ფეჰლევის დინასტია ჩაუდგა სათავეში. დინასტიის პირველმა წარმომადგენელმა რეზა შაჰმა მკაცრი ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა. ის შეეცადა ყოველმხრივ შეეზღუდა შიიტური სამღვდელოება სეკულარული რეფორმების გატარებით და ქვეყნის პრაქტიკულად ძალადობრივი ვესტერნიზაციით. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, შაჰის პროგერმანული კურსის გამო, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ჯარები შევიდნენ ირანში და აიძულეს შაჰი გადამდგარიყო. ახალი შაჰი გახდა მისი ვაჟი მოჰამად რეზა.

ომის შემდგომ ირანში ჩქეფდა პოლიტიკური ცხოვრება. მრავალრიცხოვან ძალებს შორის ყველაზე ფართო მხარდაჭერით სარგებლობდნენ ნაციონალისტები (ისინი ემხრობოდნენ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას), მოსკოვისადმი დაქვემდებარებული კომუნისტური ძალები (თუდეს პარტია) და პოლიტიზებული სამღვდელოება. ნაციონალისტების ლიდერი დოქტორი მოსადეყი პრემიერად აირჩიეს და მან განახორციელა ირანის სანავთობო მრეწველობის (ინგლისურ-ირანული სანავთობო კომპანიის) ნაციონალიზაცია. მართლაც, ირანს ნავთობის გაყიდვიდან მიღებული მოგების მეტად მცირე ნაწილი რჩებოდა, პირობების რადიკალურ შეცვლაზე კი ბრიტანული მხარე არ თანხმდებოდა. შექმნილ ვითარებაში აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ მოამზადა მოსადეყის დამხობის გეგმა, რომელიც ირანის შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს 1953 წელს. მოსადეყის მთავრობის მიერ ირანში განხორციელებული პირველი დემოკრატიული მმართველობის ექსპერიმენტი, გარედან ჩარევის გამო, წარუმატებელი გამოდგა. ამასთანავე, მას ჰქონდა შორსმიმავალი შედეგები პოლიტიკური ისლამის პოპულარობის ზრდისა და სამღვდელოების უკიდურესი პოლიტიზაციის სახით.

მოსადეყის დამხობის შემდეგ ქვეყანაში შაჰის ავტორიტარული მმართველობა დამყარდა. ირანი აშშ-ის უპირობო მხარდამჭერად იქცა ახლო აღმოსავლეთში. პარადოქსულია, მაგრამ შაჰმა გარკვეულწილად გააგრძელა ნავთობის საკითხისადმი მოსადეყის პოლიტიკა, მაგრამ საკმაოდ მოქნილი მიდგომებითა და თანდათანობითი ნაბიჯებით მთლიანად ირანს დაუქვემდებარა სანავთობო მრეწველობა. ნავთობიდან მიღებულმა შემოსავლებმა შაჰს საშუალება მისცა ამბიციური პროექტები წამოეწყო. 60-იანი წლები დასაწყისში განხორციელდა ე. წ. „თეთრი რევოლუცია“; რომელიც ქვეყნის მოდერნიზაციას ისახავდა მიზნად და რომელმაც სამღველოების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა, ამ და სხვა რეფორმების სერიამ ქვეყანას ვერ მოუტანა სასურველი კეთილდღეობა. დამატებით, ნავთობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების უდიდეს ნაწილს შაჰის შეიარაღების შექენასა და არმიის მოდერნიზებას ახმარდა.

1977 წელს გამოჩნდა სოციალური უკმაყოფილების პირველ ნიშნები, რომლებიც 1978 წლიდან მასობრივ არეულობებში გადაიზარდა და ისლამური რევოლუციით დაგვირგვინდა. დაემხო 2500-წლოვანი მონარქია. შეიქმნა ისლამური რესპუბლიკა. საერთო ჯამში, „ისლამური რესპუბლიკის დაფუძნება... არ იყო პროგნოზირებული მოდერნიზაციის ლიბერალური თუ მარქსისტული თეორიული მოდელებით.“ ამ მოვლენამ მსოფლიო სრულიად ახალი და ჯერარანახული რეალობის წინაშე დააყენა. „დასავლელებისთვის, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ გასულ რევოლუციებში (1789, 1830, 1848) დაენახათ ბურჟუაზიის გამარჯვება ტახტისა და ეკლესიის აღიანსზე, ის, რაც ირანში მოხდა – შიიტური სამღველოების აღიანსი ბაზრის ბურჟუაზიასა და ინტელექტუალებთან ‘მოდერნიზატორი’ შაჰის წინააღმდეგ, გაუგებარი იყო.“<sup>8</sup>

აქაც კი გამოჩნდა ირანის განსაკუთრებულობა. ახალი რესპუბლიკის მოწყობა დაეფუძნა ორ, თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავ პრინციპს: დასავლურს – არჩევითობაზე დამყარებული პრეზიდენტის ინსტიტუტი, პარლამენტი და ა.შ. (საკუთრივ ცნება რესპუბლიკაც ხომ დასავლურია!) და ისლამურ/შიიტურს (ძირითადად გამოგონილსა და წარმოსახულს). ქვეყნის სათავეში დგას პრეზიდენტი, მაგრამ მასზე მაღალი პოზიცია უკავია სულიერ ლიდერს, რომელსაც პრინციპში გადაწყვეტი სიტყვა ეკუთვნის და რომელსაც ემორჩილებიან ძალოვანი სტრუქტურები (რეალურად, ეს იდეა ემყარებოდა რევოლუციის შემოქმედისა და პირველი სულიერი ლიდერის, აიათოლა ხომეინის შეხედულებებს, თუმცა შენარჩუნდა მისი სიკვდილის შემდეგაც). პარლამენტი (მეჯლისი) იღებს კანონებს, მაგრამ ამ კანონების ისლამთან შესაბამისობა უნდა დაადასტუროს პარლამენტის ზემდგომმა ე. წ. სადებამხედველო საბჭომ. ზოგადად არსებული პარალელური ხელისუფლების სტრუქტურები ქვეყნისთვის სასიცოცხლო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მთავარი შემაფრნებელია; ასევე ხელს უშლის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი რეფორმების განხორციელებას.

რევოლუციის შემდეგ ირანისთვის მთავარი გამოცდა გამოდგა ერაყის მიერ წამოწყებული ომი (სადავო იყო მდ. შატ ელ-არაბის მიმდებარე ნავთობით მდიდარი ტერიტორიები). საომარი მოქმედებები 1988 წლამდე გაგრძელდა, თუმცა სამშვი-

8 Cheril Benard & Zalmay Khalilzad, ‘Secularization, Industrialization and Khomeini’s Islamic Republic’ Political Science Quarterly (Summer 1979), #94, 232.



დობო ზავს მხოლოდ 1990 წელს მოეწერა ხელი. მიუხედავად ორივე მხარის ამბიციუბისა, საბოლოოდ დადასტურდა ომამდე არსებული საზღვრების ურღვეობა.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ისლამური რესპუბლიკა ტერორიზმის მხარდამჭერ ქვეყნად და საერთაშორისო სამართლებრივი სისტემიდან გარიყულად გამოცხადდა დასავლეთის მიერ (ე.წ. მძევლების კრიზისი – ირანში აშშ-ის საელჩოს პერსონალის მძევლად აყვანა 444 დღის მანძილზე, ლიბანის სამოქალაქო ომში ჩართულობა და ა.შ.). 1990-იანი წლებიდან ირანი თითქოს უფრო პრაგმატულ გზას დაადგა. დაიწყო ეკონომიკის სწრაფი განვითარება, ქვეყანაც გაიხსნა დიპლომატიის მსოფლიოსთან (განსაკუთრებით მოჰამად ხათამის პრეზიდენტობის პერიოდში). თუმცა, დასავლეთის უარყოფითმა რეაქციამ ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, სერიოზულად შეაფერხა ირანის მსოფლიო ასპარეზზე დაბრუნების მცდელობა. პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჟადის რადიკალურმა პოლიტიკამ ირანის ეს სურვილი კიდევ უფრო სათუო გახადა. ვითარება თითქოსდა გამოსწორდა 2015 წელს ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით „ყოვლისმომცველი ერთობლივი სამოქმედო გეგმის“ (JCPOA) ხელმოწერის შემდეგ, თუმცა პრეზიდენტ ტრამპის მეცადინეობით, აშშ-მა უკან წაიღო თავის ხელმოწერა შეთანხმებაზე და, შესაბამისად, ის არაფრისმომტანი გახდა ირანისთვის. შეთანხმების აღდგენაზე, გარკვეული ცვლილებებით, მოლაპარაკებები დღესაც მიმდინარეობს. შეთანხმების მიღწევა კი ირანისთვის უმნიშვნელოვანესია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. თუმცა, აქაც დიდი ოპტიმიზმის საფუძველი არ არის 2021 წელს ხელისუფლების სათავეში მკაცრი კურსის მომხრეთა მოსვლის შემდეგ.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ირანის თითქმის სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორია აღმავლობისა და დაცემების ისტორიაა. აყვავებისა და კეთილდღეობის ეპოქებს ცვლიდა დაღმასვლის, დაკნინებისა და არეულობების ხანები. ამ ისტორიამ ირანელთა პოლიტიკური კულტურაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მახასიათებელი შექმნა. კერძოდ, დიადი სახელმწიფოებრივი წარსულით სიამაყე და ასევე საკუთარი თავის მსხვერპლად აღქმის გრძნობა.

პირველ შემთხვევაში ირანელთა სიამაყის წყაროა შთამბეჭდავი მიღწევები ისტორიის მანძილზე, უნარი საკუთარი იდენტობის და კულტურის შენარჩუნებისა და დამპყრობელთა 'ირანიზებისა'. ამ მხრივ, მართლაც არაერთი ისტორიული მაგალითი არსებობს, დაწყებული არაბთა დაპყრობებიდან. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, რომ სპარსელები ახლო აღმოსავლეთში რეალურად ერთადერთი ხალხი აღმოჩნდა, ვინც ისლამიზაციის მიუხედავად, შეინარჩუნა საკუთარი მეობა და ეროვნული იდენტობა. ადა მოზემანის მოსაზრება, რომ თუკი არაბებმა დაიპყრეს ირანი, ირანმა დაიპყრო ისლამი<sup>9</sup>, სწორედ ამ უნარის დამადასტურებელია.

საკუთარი თავის მსხვერპლად აღქმის გრძნობას ასევე ისტორიული ფესვები აქვს, მაგრამ განსაკუთრებული აქცენტი კეთდება რუსეთთან და ევროპულ სახელმწიფოებთან (შემდგომ აშშ-თანაც) ირანის ურთიერთობის ბოლო ორი საუკუნის გამოცდილებაზე.<sup>10</sup>

9 Ada Bozeman, 'Iran, U.S. Foreign Policy and the Tradition of Persian Statecraft.' Orbis (Summer 1979), 254.

10 იბ. მაგ., Hunter, Iran's Foreign Policy, 19.

ისტორია ხშირად პარადოქსული გზით მიდის. ბ. ურკადი შენიშნავს, რომ ირანის მოდერნული სახელმწიფო სეფიანებმა შექმნეს<sup>11</sup> თურქულ და არა სპარსულ ძალებზე დაყრდნობით; შიიზმი კი სეფიანებმა გამოიყენეს მთავარ საშუალებად ახალი სახელმწიფოს ერთიანობისა და ნაციონალური იდენტობის შესაქმნელად სუნიტ ოსმალებთან დაპირისპირების პირობებში. სხვა სიტყვებით, შიიზმი გახდა ირანული ნაციონალური იდენტობის საკვანძო კომპონენტი.<sup>12</sup> საპირისპიროდ, თავდაპირველად ისლამურმა რესპუბლიკამ თეორიულად უარყო ნაციონალიზმი რელიგიის სახელით, მაგრამ 40 წლის არსებობისა და მძიმე გამოცდილების მიღების შემდეგ, ის თითქოსდა ქმნის ახალ ირანულ ნაციონალიზმს, შესაძლებელია უფრო ძლიერსაც, უფრო რეალისტურს და უფრო ღრმას ეთნოისტორიული და რელიგიური ელემენტების კომბინირებით.

---

11 სეფიანთა სახელმწიფოს მართლაც მიიჩნევენ პირველ მოდერნულ სახელმწიფოს ირანში, თუმცა როგორც ირანში, ისე ზოგადად ახლო აღმოსავლეთში XVIII საუკუნის მიწურულამდე მოდერნულობის ელემენტები მეტად მცირეა (რეალურად, 'შუა საუკუნეები' ამ პერიოდამდე გრძელდება). რეგიონში მოდერნიზაციის პროცესების აჩქარება, პირველ რიგში, უკავშირდება იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის ხანას. ნაშრომის ავტორი იზიარებს ზოგიერთი დასავლელი მკვლევრის თვალსაზრისს, რომ 'ახალი დრო' (Modern times) ირანში, ისე როგორც ზოგადად ისლამურ სამყაროში, XVIII საუკუნის მიწურულიდან იწყება.

12 Bernard Hourcade, 'Nationalism and the Islamic Republic of Iran.' In: Meir Litvak (ed.), *Constructing Nationalism in Iran From the Qajars to the Islamic Republic.* (Routledge, 2017), 218.





## ისტორიული ურთიერთობები

სამხრეთ კავკასიას ირანულ სახელმწიფოებიდან ურთიერთობები უძველესი დროიდან ჰქონდა და, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად ირანული სამყაროს ნაწილსაც წარმოადგენდა. უძველესი ხანებიდან სპარსული გავლენა უზარმაზარი იყო რეგიონში არსებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე, სოციალურ სტრუქტურებსა და ურთიერთობებზე. ამ გავლენების შედეგად გამდიდრდა ადგილობრივი ლიტერატურა და კულტურაც. მაგრამ ეს ურთიერთობები არ იყო ცალმხრივი. კავკასიელებიც (ამ შემთხვევაში იგულისხმებიან სომხები და ქართველები) მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ირანის სამხედრო და ადმინისტრაციულ მმართველობაში, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, განსაკუთრებით სეფიანთა პერიოდში.

სამხრეთ კავკასია აქემენიანთა პერიოდშივე მოხვდა ირანული ზეგავლენის სფეროში. თუმცა, აქემენიანთა დინასტიის მმართველობის ხანაში საქართველო-ირანის ურთიერთობათა შესახებ მონაცემები ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. აღსანიშნავია, რომ ჰეროდოტეს ცნობით, პროტოქართველური ტომების ნაწილი შედიოდა აქემენიანთა ანატოლიის და სამხრეთ კავკასიის მე-19 სატრაპიაში.

ირანის დომინირება რეგიონზე გაგრძელდა პართიის სახელმწიფოს არსებობის პირობებშიც. გარკვეული პერიოდი საქართველოსაც და სომხეთსაც არშაკიანთა დინასტიის განშტოებები მართავდნენ. პართიას რეგიონში გამოუჩნდა მოქიშპე ძალა რომის იმპერიის სახით. შემდგომ, VII საუკუნის პირველი მეხამედის ჩათვლით, სამხრეთ კავკასიის ტერიტორია წარმოადგენდა მეტოქეობის ასპარეზს იმდროინდელ დიდ იმპერიებს – რომს (შემდეგ აღმოსავლეთ რომს – ბიზანტიას) და სასანიანთა ირანს შორის. ორივე მათგანს სურდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ უმთავრეს სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალებზე გაბატონება. ასე აღმოჩნდა სამხრეთ კავკასია ჩათრეული ზემოხსენებული დიდი იმპერიების ქიშპში. ადგილობრივი სახელმწიფოები სარგებლობდნენ ამ დაპირისპირებით საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად. ერთმანეთს ცვლიდა ბიზანტიისა და ირანის ჰეგემონობის პერიოდები, ზოგჯერ კი ისინი რეგიონს ორად იყოფდნენ. სასანიანებმა მოახერხეს ალბანეთსა და სომხეთის უმეტეს ნაწილში, შემდეგ კი აღმოსავლეთ საქართველოშიც საკუთარი მმართველობის დამყარება.

არაბთა დაპყრობები სამხრეთ კავკასიასაც შეეხო. თუმცა, ქართველებმა და სომხებმა, ირანის მსგავსად, შეძლეს საკუთარი ეროვნული იდენტობის შენარჩუნება, ირანისგან განსხვავებით კი – რელიგიისაც. არაბებმა VIII საუკუნეების შუა ხანებში შეიქმნა თბილისის საამირო. არაბთა გამგებლობის ხანაში IX-X საუკუნეებში თბილისი სამხრეთ კავკასიის უდიდეს ქალაქად იქცა. ის სავაჭრო გზებით უკავშირდებოდა კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის, უპირველესად ირანის, სხვა ქალაქებს.

ამათან ერთად, ქალაქში არსებობდა ძლიერი სპარსული ელემენტი. საგულისხმოა, რომ IX საუკუნის არაბი ისტორიკოსების ცნობით, ირანელებმა ჯერ კიდევ არაბთა გაბატონებამდე, VII საუკუნეში, მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე დაბა გააშენეს და თავიანთ სასაზღვრო ციხე-სიმაგრედ აქციეს, რომელიც თბილისის სამი უბნისაგან ერთ-ერთი გახდა.

არაბთა დაპყრობების შედეგად კავკასიის ალბანეთის კვალი თანდათანობით წაიშალა ისტორიიდან. სახალიფოს დაშლის შემდეგ დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ცალკეული მცირე მუსლიმური სამთავროები არსებობდა. XI საუკუნიდან აქ მომთაბარე თურქი ტომები დამკვიდრდნენ და თანდათანობით მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის თურქიზაცია. დღევანდელი აზერბაიჯანის ნაწილს საკმაოდ დიდხანს (თითქმის XVI საუკუნის ბოლომდე) მართავდა არაბული წარმომავლობის, მაგრამ გასპარსულებული შირვანშაჰთა დინასტია. გარკვეული პერიოდების მანძილზე შირვანშაჰები დამოუკიდებლები იყვნენ, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ექვემდებარებოდნენ სხვადასხვა, უფრო ძლიერ სახელმწიფოებს. საბოლოოდ, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია სეფიანებმა ჯერ კიდევ დინასტიის არსებობის საწყის ეტაპზე შემოიერთეს.

XVI ს-ში სეფიანთა სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ურთიერთობების თვისებრივად ახალი ეტაპი იწყება.

პირველი სეფიანი შაჰი ისმაილი აქტიურად ერეოდა საქართველოს სამეფო-სამთავროების საშინაო საქმეებში. ქართველი მეფე-მთავრებიც ცდილობდნენ საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ სეფიანთა სახელმწიფოში შექმნილი სიტუაცია. თანდათანობით ურთიერთობამ სეფიანთა სახელმწიფოს და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ვასალიტეტის ფორმა მიიღო.

ირანისადმი ვასალური დამოკიდებულება შემდეგში გამოიხატებოდა: სეფიანები ქართველი მეფე-მთავრების შინაურ საქმეებში არ ერეოდნენ, ეს უკანასკნელები კი ვალდებულნი იყვნენ ეხადათ გარკვეული რაოდენობის ხარკი. თუმცა, ქართველი მეფე-მთავრები არ ურიგდებოდნენ შექმნილ მდგომარეობას და ცდილობდნენ სეფიანთა სახელმწიფოს დაქვემდებარებისგან თავის დახსნას. ამ ვითარებაში, მეორე სეფიანმა მონარქმა თაჰმასპ I-მა ოთხი სამხედრო კამპანია განახორციელა საქართველოში 1540-1554 წლებში, რასაც ქვეყანაზე სეფიანთა დინასტიის კონტროლის თანდათანობითი გაძლიერება მოჰყვა. ამ სამხედრო კამპანიების შედეგად, თაჰმასპმა მრავალი ქართველი გადაასახლა სპარსეთში, რომლებმაც შემდგომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქალაქო ადმინისტრაციასა და არმიაში არსებითი ხასიათის გარდაქმნებში.

1555 წლის ამასიის ზავით სამხრეთ კავკასია ირანმა და ოსმალეთის იმპერიამ ორად გაიყვეს. ამ ზავის პირობებიდან გამომდინარე, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების გაერთიანება სრულიად გამოირიცხებოდა.

განსაკუთრებით მძიმე გამოდგა აღმოსავლეთ საქართველოსთვის შაჰა აბას I-ის მმართველობის პერიოდი. შაჰ აბასის ოთხი ლაშქრობის (1613-1617) შედეგად კახეთმა უდიდესი და გამოუსწორებელი ზარალი ნახა. სამეფომ თავისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა, როგორც დალუპულების, ისე ირანში გადასახლებულების სახით (ისინი ჩაასახლეს ირანის სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის ფერეიდანში – მხოლოდ აქ შეინარჩუნეს გადასახლებულებმა ქართული ენა). შაჰ აბასმა ასევე გადაასახლა სომხებიც – ჯულფადან ისპაჰანის გარეუბანში, რომელსაც ახალი ჯულფა ეწოდა. ამ ხანებიდან იღებს სათავეს ძლიერი და კარგად შეკრული სომხური თემის არსებობა ირანში. სომხებს ამ პერიოდიდან მინდობილი ჰქონდათ საგარეო ვაჭრობის წარმართვა. ქართველებისგან განსხვავებით, მცირე გამონაკლისის გარდა, არ ყოფილა სომხების ისლამზე მოქცევის მცდელობა. შაჰ

აბასის პერიოდში კი ქართველები დაწინაურდნენ სამხედრო სამსახურში. შაჰის პირადი გვარდია ქართველებისა და კავკასიელებისგან შედგებოდა. ქართველები იყვნენ ირანის სხვადასხვა ქალაქებისა თუ პროვინციების გამგებლებიც; დიდ როლს ასრულებდნენ სამეფო კარზე.

შაჰ აბასის შემდეგ ირან-აღმოსავლეთ საქართველოს ურთიერთობებში დაიწყო ე.წ. 'კომპრომისული' პერიოდი, რომელიც შემდეგი სახის იყო: ირანი უცვლელად ტოვებდა ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობას, სამეფო ტახტზე გამუსლიმებული ბაგრატიონი იჯდა, რომელიც იმავდროულად შაჰის 'მოხელე' (ვალი) იყო. ამგვარმა ვითარებამ სეფიანთა სახელმწიფოს არსებობის ბოლომდე გასტანა. ამ ხანებში სომხურ პროვინციებს მუსლიმი მმართველები განაგებდნენ.

ნადერ შაჰის მიერ ირანის ხელახალი და მეტად ხანმოკლე გაერთიანების დროს, ქართლის და კახეთის მეფეებმა მოიპოვეს ქრისტიანული წესით ტახტზე ასვლის უფლება. ნადერ შაჰის სიკვდილის შემდეგ ირანის დომინირება აღმოსავლეთ საქართველოში პრაქტიკულად დასრულდა. თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიებთან დაკავშირებით კი უნდა აღნიშნოს, რომ 1747 წელს ნადერ შაჰის მკვლელობით ასევე წერტილი დაესვა მდ. არაქსის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიების სპარსული სახელმწიფოების მიერ პირდაპირი მართვას, მაგრამ აქ არსებული სახანოები კვლავაც დარჩნენ სპარსეთის პოლიტიკურ და კულტურულ ორბიტაში.

ყაჯართა დინასტიის დამფუძნებლის, ალა მოჰამად ხანის მიერ ირანის ხელახალი გაერთიანების შემდეგ, ამ უკანასკნელის მიზანი გახდა სეფიანთა დროს არსებული სიტუაციის აღდგენა სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში. სწორედ ამ მიზნით შემოიჭრა ის 1795 წელს აღმოსავლეთ საქართველოში და დაარბია თბილისი.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მიერ ანექსიას არ შეურიგდა ირანი და ორი ომიც წამოიწყო რუსეთის წინააღმდეგ. 1804-1813 რუსეთ-ირანის ომის შემდეგ დადებული გულისტანის ხელშეკრულებით, ირანი უარს აცხადებდა პრეტენზიებზე ქართლ-კახეთის მიმართ, რაც მოასწავებდა საქართველოს პოლიტიკურ საქმეებში ირანში აქტიური მონაწილეობის დასასრულს. 1826-28 ახალი ომის შემდეგ, თურქმენჩაის ხელშეკრულებით, ირანმა კიდევ ერთხელ აღიარა რუსეთის სუზერენობა სამხრეთ კავკასიაზე. 1828 წელს მდ. არაქსზე გავლებული საზღვარი დღესაც მოქმედებს ირანსა და სამხრეთ კავკასიას შორის. საზღვრის არსებობა განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება აზერბაიჯანის შემთხვევაში – მიიჩნევა, რომ ამით აზერბაიჯანელი ხალხი ორად გაიყო (იხ. ქვემოთ).

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან „რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის მეზობლობა ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხე იყო ირანის ტერიტორიული მთლიანობისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის.“<sup>13</sup>

აქვე ხაზგასასმელია, რომ ცარისტული ხელისუფლება მოერიდა ადგილობრივ მოსახლეობაში უკმაყოფილების გამომწვევას და საზღვრები პრაქტიკულად ღია დატოვა. ადამიანებს საზღვრის ორივე მხარიდან თავისუფლად გადაადგილება შეეძლოთ. “ნომადები სეზონების მიხედვით მოძრაობდნენ რუსეთის იმპერიის სამხრეთ მხარეებსა და ირანის ჩრდილოეთ მხარეებს შორის. ნათესაური კავშირები

13 Mohammad-Reza Djalili, 'L'Iran dans son contexte regional'. Politique étrangère (01-2012), 521.

და ქორწინებები არ შეწყვეტილა.<sup>14</sup> კავკასიაში რუსეთის შემდგომი ინვესტიციების შედეგად, ურთიერთობები კიდევ უფრო გაცხოველდა. ნავთობის წარმოების დაწყებამ ბაქოში სამრეწველო ბუმი გამოიწვია და გაზარდა სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა. XIX საუკუნის მიწურულს და XX-ის დასაწყისში, მუსლიმ მუშათა 50% ბაქოში სპარსეთიდან იყო.<sup>15</sup> „სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა აზერბაიჯანის სოციო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ფუნდამენტური და რადიკალური ცვლილებები.“<sup>16</sup>

სამხრეთ კავკასიასა და ირანს შორის ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა თბილისს. XIX საუკუნის თბილისში სპარსელები შეადგენდნენ ყველაზე მრავალრიცხოვან მუსლიმურ თემს. ქალაქში ფუნქციონირებდა სპარსეთის გენერალური საკონსულო; მოქმედებდა ასევე საქველმოქმედო, კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრები. ნ. ტალიპოვი აღნიშნავს, რომ „თბილისში მცხოვრები ირანელი ინტელექტუალები გამოირჩეოდნენ ანტიკლერიკალური შეხედულებებით და იმ დროის ირანის პოლიტიკური რეჟიმისადმი ოპოზიციური დამოკიდებულებით.“<sup>17</sup>

საკუთრივ ირანში კვლავაც არსებობდა ძლიერი სომხური თემი, რომელმაც ყაჯარების დროსაც შეინარჩუნა სეფიანთა პერიოდში მინიჭებული პრივილეგიები. აღსანიშნავია, რომ სომხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, რომელიც ხშირად მიიჩნევა XX საუკუნის პირველ გენოციდად, სპარსეთმა მრავალი სომეხი ლტოლვილი მიიღო და ხელი შეუწყო მათ ახალი ცხოვრების დაწყებაში.<sup>18</sup>

სამხრეთ კავკასიელები აქტიურად მონაწილეობდნენ XX საუკუნის დასაწყისში ირანის კონსტიტუციურ რევოლუციაში.

რუსეთის იმპერიისა და შილისა და ბოლშევიკური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ირანის დელეგაციამ პარიზის კონფერენციაზე გაავრცელა წერილი საკუთარი პრეტენზიებით სამხრეთ კავკასიის ნაწილის ირანისთვის ‘დაბრუნების’ კანონიერების შესახებ. თუმცა, ეს მოთხოვნები სერიოზულად არ მიუღიათ და არც განუხილავთ.<sup>19</sup>

14 M. Amiri, ‘Arzyābie ravābete Irān va jomhūrie Āzerbāijān dar gharne bistom.’ Majles va Pajuhesh, (2006), 13 (53), 243.

15 იქვე.

16 Elkhan Nuriyev, *The South Caucasus at the Crossroads: Conflicts, Caspian Oil and Great Power Politics*. (Berlin: Litverlag, 2007), 32.

17 Нурмат Талипов, *Общественная мысль в Иране в 19 – начале 20 в.* (Москва: Наука, 1988), 115. XIX საუკუნის თბილისის ირანული თემისა და ირან-საქართველოს ურთიერთობების შესახებ იხ. ასევე მაგ., მარინა ალექსიძე, *სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში*. (თბილისი, 2009); George Sanikidze, ‘An Historical Survey of Georgian-Iranian Relations in the Nineteenth Century.’ *Journal of Persianate Studies* (Leiden: Brill, 2008), vol. 1, no.2, 148-173.

18 L. Melkomian, *Gozidehei az taāmolāt va tashābohate farhangi beine Iran va Armanestan az dirbāz tā konun*. (Tehran: Nayeri Publishers, 2010), 26.

19 იგივე ‘პრეტენზიები’ გამოთქვა ირანის ყოფილმა პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ. ერთ-ერთი გამოსვლისას მან განაცხადა: „ყაჯარების დინასტიის მმართველობის დროს, 205 წლის წინ, ირანის მშობლიური მიწები გამოყოფილი იქნა ქვეყნისგან, მათ შორის ჩრდილოეთ ირანის და კავკასიის ტერიტორიები. ამ ადგილებში დღეს ფორმირებულია მრავალი სახელმწიფო.“ იხ. „საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიები ირანს ეკუთვნოდა“ – ირანის პრეზიდენტი. (15/02/2019). <http://www.resonancedaily.com...> (წვდომა:

ამ პერიოდში განსაკუთრებით საყურადღებოა ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობები (ოსმალეთთან და საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის ქრილში).

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან საწყის ეტაპზე ირანის ურთიერთობები ახლადშექმნილ აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან საკმაოდ რთული იყო. ირანელ მკვლევარს მ. ბაიათს ურთიერთობების დაძაბვის მთავარ მიზეზად ოსმალოების ზეგავლენა მიაჩნია.<sup>20</sup> მ. ამირი კი თვლის, რომ გარდა სახელწოდებისა (იხ. ქვემოთ), სპარსეთის პრეტენზიები აზერბაიჯანისა და ნახჩევანის (ნახჭევანის) მნიშვნელოვან ნაწილებზე და ოფიციალური პეტიციის წარდგენა პარიზის კონფერენციაზე ამ საქმეში ბრიტანეთის მხარდაჭერის იმედით, ასევე თეირანის შემოჭობა აზერბაიჯანის აგენტების მოქმედების გამო, რომლებიც ცდილობდნენ პოლიტიკური და კულტურული ზეგავლენის მოპოვებას თავრიზში, ის მიზეზებია, რამაც განაპირობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების მეტად ნელი განვითარება 1919 წლის აგვისტომდე.<sup>21</sup>

1918 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებით, ოსმალეთმა აღიარა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მაგრამ არა აზერბაიჯანი. ეს აზერბაიჯანის ლიდერებმა შეურაცხყოფად მიიღეს, რომლებსაც საკუთარი ქვეყანა წარმოდგინათ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, თურქეთის მოკავშირედ, მაგრამ არა ოსმალეთის იმპერიის ნაწილად.

თურქეთის დასავლეთის ფრონტის კოლაფსმა და 1918 წლის 30 ოქტომბერს ხელმოწერილმა მუდროსის ზავმა, აიძულა ოსმალეთის შეიარაღებული ძალები თანდათანობით გამოსულიყვნენ აზერბაიჯანიდან და დაუცველი დაეტოვებინათ ის.

ამგვარ რთულ ვითარებაში, აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის ბოლო პერიოდში, სპარსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობები დათბა. მ. ბაიათი მიიჩნევს, რომ კავკასიის რესპუბლიკების არსებობის გაგრძელების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდებოდა ოსმალეთისა და სპარსეთის ჩართულობით გამოწვეული მრავალი პრობლემის გადაწყვეტა. 1919 წელს პარიზში თეირან-ბაქოს დელეგაციებს შორის გამართულ მოლაპარაკებებზე ბაქოს დელეგაციის წინადადება აჩვენებს, თუ როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები სპარსეთისთვის. ამ მოლაპარაკებების დროს თოფჩიბაშევმა, ბაქოს სპეციალურმა წარგზავნილმა, ირანულ მხარეს შესთავაზა ეკონომიკურ-პოლიტიკური კავშირის შექმნა (საერთო საგარეო პოლიტიკით).<sup>22</sup> ირანულმა დელეგაციამ, რომელსაც სათავეში საგარეო საქმეთა მინისტრი ნოსრათ ად-დოულე ფირუზი ედგა, აზერბაიჯანს გაერთიანებაც კი შესთავაზა. ირანელი მკვლევრის, რ. შაჰრეზაის სიტყვებით, საბოლოო ჯამში, მხარეები შეთანხმდნენ გარკვეული სახის კონფედერაციის შექმნაზე.<sup>23</sup>

17/04/2019). ბუნებრივია, ლაპარაკია არ ყოფილა ამ ტერიტორიების 'დაბრუნების' შესახებ – გამოსვლის პათოსს შეადგენდა ყაჯართა დინასტიის უნიათობაზე აქცენტის გაკეთება. თუმცა, საქართველოსა და აზერბაიჯანში ეს სიტყვები საკმაოდ მძაფრად აღიქვეს.

20 Kaveh Bayat, *Äzərbayjan dar mouj Khiz-e Tārikh: negāhi be mabāhes-e mellion Irān va jāraved-e Bākū dar tāghir-e nām-e Ārān be Äzərbayjan* (1296-1298 Shamsi). (Tehran: Paradise Danesh, 2011), 14.

21 Amiri, 'Arzyābie Ravābet', 245.

22 Bayat, *Äzərbayjan dar mouj Khiz-e..*, 13.

23 Reza Azari Shahrezai, *Hay'ate fugh oladeh Ghafghāziyeh*. (Tehran: Vezarate Kharejeh, 1379/2000), 43. ეს ინფორმაცია სხვა წყაროებით არ დასტურდება.



ქ. ბაიათის ცნობით, აზერბაიჯანის რესპუბლიკამ, ბოლშევიკური რუსეთის სულ უფრო მეტად მოძალების პირობებში, განსაკუთრებით კი ნახჩევანში სომხური არმიის შეჭრის შიშით, ირანს ამ მუსლიმური ანკლავის ანექსიაც შესთავაზა. ირანის ახალ პრობრიტანულ მთავრობას კი საერთოდ ახალგაზრდა რესპუბლიკის შემოერთება სურდა. ამ იდეის განხორციელებისთვის ნიადაგის მოსასინჯად პრემიერმა ვოსუყ ად-დოულემ, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გაგზავნილი დელეგაციის პარალელურად, ბაქოშიც გააგზავნა დელეგაცია სეიედ ზია თაბათაბაის ხელმძღვანელობით. დაიწყო ინტენსიური მოლაპარაკებები მუსავატისტ ლიდერებთან, რომელსაც თან ერთვოდა ვითარების უკიდურესი გართულება და სრული ქაოსი ბაქოში. საბოლოოდ, მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს, მაგრამ სანამ ხელშეკრულების ტექსტს ვოსუყ ად-დოულეს წარუდგენდნენ თეირანში, ბოლშევიკებმა ხელში აიღეს ძალაუფლება ბაქოში და დაასრულეს მუსავატისტურ-ოსმალური მმართველობა.<sup>24</sup>

ახლად გასაბჭოებულ აზერბაიჯანს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკაში ირანის მიმართ. ბოლშევიკურ რუსეთში შექმნილი იყო გეგმები ჩრდილოეთ ირანში შეჭრისა და ირანის აზერბაიჯანის ოკუპაციის შესახებ.

რეალურად, ახალ 'საბჭოთა აზერბაიჯანს' იგივე როლი ენიჭებოდა ბოლშევიკების გენერალურ სტრატეგიაში, როგორც ოსმალების გეგმებში: ის უნდა გამხდარიყო ხიდი აღმოსავლეთში პოლიტიკური ექსპანსიისთვის. ამასთანავე, ბოლშევიკების მიერ ირანის აზერბაიჯანში სეცესიონისტური მოძრაობის მხარდაჭერა და მათი პირდაპირი ინტერვენცია სპარსეთის საშინაო საქმეებში ჯარების აზერბაიჯანის პროვინციაში გაგზავნით და 1921 წელს მძიმედ აღჭურვილი სამხედრო ბრიგადებისა ანზალიში, კეთდებოდა 'აზერბაიჯანის რესპუბლიკის' სახელით.

მოსკოვის ახალი პოლიტიკის ჩარჩოებში, ჰორიზონტალური ურთიერთობები რესპუბლიკების დედაქალაქებს შორის შეიცვალა „თითოეულ რესპუბლიკასთან მოსკოვის პირდაპირი ვერტიკალური ურთიერთობებით.“ შესაბამისად, მოსკოვი ცდილობდა „ყველა ეროვნული ჯგუფის იზოლირებას საბჭოთა კავშირის შიგნით და, ამგვარად, გარე სამყაროსთან კონტაქტების პრევენციას – აზერბაიჯანის შემთხვევაში, კერძოდ თურქეთთან და ირანთან ამ მიზნის მისაღწევად, აზერბაიჯანი მოწყვიტეს როგორც ნათესაური კავშირებისგან, ისე საკუთარი ისტორიისგან. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გახდა ადრე „თურქებად“ წოდებული მოსახლეობის „აზერბაიჯანელებად“ მონათვლა, ანზანის შეცვლა.<sup>25</sup>

ირანთან კავშირის მოსპობა მოსკოვის ცენტრალიზებისკენ მიმართული გეგმის კიდევ ერთი ასპექტი გახდა. ამ პოლიტიკის ნაწილი იყო ფართოდ გაშლილი შეტევა ყოველივე სპარსულზე კავკასიაში. 1931 წლისათვის დაიკეტა ყველა სპარსული სკოლა და ინსტიტუციები, სადაც სპარსულს ასწავლიდნენ. კავკასიაში მცხოვრები სპარსელები აიძულეს ან უარი ეთქვათ საკუთარ ეროვნებაზე, ანდა გადასახლებულიყვნენ ირანში. 1933-1938 წლებში ათი ათასობით სპარსელს ჩა-

24 იხ. Bayat, Tufān bar Farāz-e Ghafghāz: negāhi be monāsebat-e Iran va Jomhuriyeh Āzerbāijān, Armanestān va Gorjestān dar dowre-ye nakhost-e esteghlal 1917–1921. (Tehran: Entesharate Vezarate Kharejeh, 2001), 149-151.

25 Cornell, "The Politization of Islam in Azerbaijan." Silk Road Paper October 2006, Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program, 2006. <http://www.silkroadstudies.org...pdf>

მოართვეს უძრავი ქონება და გაასახლეს ირანში.<sup>26</sup> ამგვარი პოლიტიკის მიზანს წარმოადგენდა „აზერბაიჯანის ისტორიული კავშირების წაშლა ირანთან“: ამასთანავე, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო ბევრად უფრო რთული გეგმისა, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა ისტორიის ‘გამოგონება’ (იხ. ქვემოთ).

გასაბჭოებამ სრულიად შეცვალა აზერბაიჯანის საზოგადოება, ეკონომიკა, მენტალობა და ნაპრალი გააჩინა ჩრდილოეთ და სამხრეთ (ირანის) აზერბაიჯანს შორის, რაც დღემდე არსებობს.

მოსკოვის ირანზე ზეგავლენის მოპოვების მცდელობის კიდევ ერთი მაგალითი გახდა მეორე მსოფლიო ომის მიწურულს ირანის აზერბაიჯანში სეპარატისტული მოძრაობის გაღვივება: მიზანი ირანში აზერბაიჯანის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა, ანდა რეგიონის სულაც საბჭოთა აზერბაიჯანთან შეერთება იყო. სამხრეთ აზერბაიჯანში ჩამოყალიბდა კიდევ მარიონეტული კომუნისტური მთავრობა. თუმცა, ის მალე ჩამოიშალა და ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირს შემდგომ ნაბიჯები აღარ გადაუდგამს.<sup>27</sup> 1946 წელს სამხრეთ აზერბაიჯანის ახლად შექმნილი რესპუბლიკის კოლაფსმა ურთიერთობები ისევ გაწყვიტა და სამხრეთიდან საბჭოთა აზერბაიჯანში მრავალი ლტოლვილი გადმოვიდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, სამხრეთ კავკასიისა და ირანის ურთიერთობები პრაქტიკულად შეწყდა. თუ არ ჩავთვლით 1969 წელს ბაქოში ირანის საკონსულოს გახსნას და ასევე საბჭოთა კავშირის მიერ ირანში განხორციელებულ სამრეწველო პროექტებში (მაგ., ისპაჰანის მეტალურგიული ქარხანა) კავკასიელი სპეციალისტების მონაწილეობას (ინჟინერები, თარჯიმნები და ა.შ.).

## მეხსიერების ომები

მეზობელ ხალხებს, ქვეყნებს შორის ყოველთვის არსებობს საერთო ისტორიის განსხვავებული ინტერპრეტირების, ურთიერთსაწინააღმდეგოდ აღქმის პრობლემა. იგივე ვითარებაა ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში (იხე, როგორც საკუთრივ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთმიმართებაში). თუმცა, ისტორიის განსხვავებული აღქმის პრობლემა სხვადასხვა დონისაა და,

26 Bayat, *Āzerbāijān dar mouj Khiz-e tārikh*, 14; Nazrin Mehdiyeva, ‘Azerbaijan and Its Foreign Policy Dilemma.’ *Asian Affairs*, (2003), 34 (3), 280.

27 ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ. მაგ., Louise L’Estrange Fawcett, *Iran and the Cold War, The Azerbaijani Crisis of 1946* (Cambridge University Press, 1992); Jamil Hasanli, *Iran at the Dawn of the Cold War: The Soviet-American Crisis over Iranian Azerbaijan, 1941–1946*. (Lanham, Md.: Roman & Littlefield, 2006). წინამდებარე ნაშრომის ავტორს, როგორც აზერბაიჯანის კრიზისთან, ისე თურქეთის ტერიტორიების საკითხთან დაკავშირებით, შედარებით განსხვავებული შეხედულება აქვს: საბჭოთა კავშირის მიზანი, გარკვეული და სავსებით რაციონალური მიზეზებიდან გამომდინარე, იყო არა ტერიტორიული გაფართოება, არამედ ერთ შემთხვევაში ეკონომიკური ბერკეტების (კონცესია ჩრდ. ირანის ნავთობსარეწებზე) და მეორე შემთხვევაში სამხედრო-პოლიტიკური ზეგავლენის (სამხედრო ბაზები თურქეთის სრუტეებთან) მოპოვება. ორივე შემთხვევაში მოსკოვის მცდელობა წარუმატებელი გამოდგა. იხ. გიორგი სანიკიძე, ‘რამდენიმე მოსაზრება ირანისა და თურქეთის ‘კრიზისების’ შესახებ (II მსოფლიო ომი მიწურული – ომისშემდგომი პირველი წლები).’ ახლო აღმოსავლეთი და საქართველო (თბილისი: ილიას უნი-ის გამომცემლობა, 2012) VII, 136–151.

ხშირ შემთხვევაში, მასზე ზეგავლენას ახდენს თანამედროვე პოლიტიკური მოტივები. მაგალითისთვის, თუ სომხეთსა და ირანს შორის აღქმის განსხვავებაზე აქცენტირება უკიდურესად ნიველირებულია, სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა ირანისა და აზერბაიჯანის შემთხვევაში. სწორედ ეს უკანასკნელი შემთხვევა წარმოადგენს ყველაზე წინააღმდეგობრივს ირანსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის. ის არის ორივე მხრიდან (განსაკუთრებით აზერბაიჯანის შემთხვევაში) ირედენტისტული მოთხოვნების საფუძველი. შესაბამისად, ქვემოთ ძირითადი ყურადღება სწორედ ირანსა და აზერბაიჯანზე გამახვილდება.

პირველი პრობლემა საკუთრივ დასახელებასთანაა დაკავშირებული. საქმე ის არის, რომ დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიას წარსულში არასოდეს ეწოდებოდა აზერბაიჯანი. რეგიონი არცერთი კონკრეტული სახელით არ ყოფილა ცნობილი – ისტორიულად მის ცალკეულ ნაწილებს სხვადასხვა სახელები ერქვა – ალბანეთი, არანი, შირვანი და სხვ.

აზერბაიჯანი (ისტ. ატურპატაკან, ადარბადაგან) ეწოდებოდა ირანის ისტორიულ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, სადაც XI საუკუნიდან მოყოლებული დამკვიდრდნენ თურქული მოდგმის ტომები. „ზედსართავი აზერბაიჯანელი კი ტრადიციულად გამოიყენებოდა ირანის ჩრდილო-დასავლეთში მცხოვრებთა აღსანიშნავად და არა არაქსის ჩრდილოეთით იმ თურქულად მოლაპარაკე შიიტ მოსახლეობასთან მიმართებაში, რომელიც მეტად ახლოს იდგა კულტურის თვალსაზრისით ირანელ აზერბაიჯანელებთან. მათი ენაც საერთოა.“<sup>28</sup>

ირანის აზერბაიჯანი ჩრდილოეთით, კავკასიის მხარეს, ემიჯნებოდა არანს. დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია უმეტესწილად სხვადასხვა ირანული იმპერიების ნაწილი იყო, მაგრამ საკუთრივ ირანი საუკუნეთა მანძილზე იმართებოდა თურქული წარმომავლობის დინასტიებით (სელჯუკები, ყარა ყოიუნლუ, აყ ყოიუნლუ, სეფიანები, ავშარები, ყაჯარები).<sup>29</sup> ეს ფაქტი ირანულ ისტორიოგრაფიაშიც აღიარებულია, ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორსაც კი მიდის – მაგალითისთვის, ფირუზე ნაჰავანდი ამტკიცებს, რომ დაწყებული შუა საუკუნეების შემოსევებიდან, თურქულ და თურქულენოვან მოსახლეობას ირანში უფრო მაღალი სტატუსი ჰქონდათ, ვიდრე სპარსელებს. როდესაც სეფიანთა საგვარეულო მართავდა ქვეყანას... თურქული სამეფო კარის ენას წარმოადგენდა.<sup>30</sup> თუმცა, იმავე სეფიანთა ეპოქაში, თურქული ელემენტის (ყიზილბაშების) დომინირებაზე მხოლოდ XVI საუკუნესთან დაკავშირებით შეიძლება საუბარი.

28 Babak Rezvani, *Ethno-Territorial Conflict and Coexistence in the Caucasus, Central Asia and Feyrdan*. (University of Amsterdam Press, 2013), 355. რ. ო'ნილი აღნიშნავს, რომ ჩრდ. ირანი რეალურად აზერბაიჯანელთა სამშობლოს ცენტრია. იხ. Brian O'Neill, *Iran, Azerbaijan, And Islam: The Reality Of Geopolitics. Shooting Irrelevance*. <https://shootingirrelevance.com...> (წვდომა: 15/07/2020).

29 ეს დინასტიები თანამედროვე აზერბაიჯანში ხშირად მიიჩნევა 'აზერბაიჯანულად'. ზოგადად თურქული მოდგმის ხალხებმა, რომლებსაც მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოთ აზერბაიჯანელები, უდიდესი როლი შეასრულეს ირანის ისტორიაში, დაწყებული თურქ-სელჯუკებიდან.

30 იხ. Firouzeh Nahavandi, 'Russia, Iran and Azerbaijan: The Historic Origins of Iranian Foreign Policy'. In B. Coppieters (ed.), *Contested Borders in the Caucasus* (Brussel: VUB University Press, 1996). <https://poli.vub.ac.be...> (წვდომა: 25/14/2017). ეს მოსაზრება მართალია სეფიანთა პირველი მონარქების შემთხვევაში; მოგვიანებით დაიწყო სამეფო კარის 'გასპარსულება' და ის პრაქტიკულად ბილინგვურად იქცა.



საუკუნეთა მანძილზე დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია ცალკეული სახანოებად იყო დაყოფილი, სანამ არ მოექცა სეფიანთა სახელმწიფოს ერთიან სივრცეში. აზერბაიჯანული ისტორიოგრაფიული ხედვით (ამ ხედვას საბჭოთა პერიოდში ჩაეყარა საფუძველი), სეფიანთა სახელმწიფო სწორედაც 'აზერბაიჯანული' სახელმწიფო იყო.<sup>31</sup> მართლაც, ის თურქული მოდემის ტომები, რომლებიც ყიზილბაშებად მოიხსენიებიან, წარმოადგენდნენ ამ სახელმწიფოს შემქმნელებს. სეფიანთა დინასტია კი აზერბაიჯანულ დინასტიად მიიჩნევა. ამასთან, განსაკუთრებული პატივი მიეგება პირველ სეფიან მონარქს – ისმაილს, რომელიც ხათა'ის ფსევდონიმით წერდა ლექსებს თურქულ-აზერბაიჯანულად (ასევე სპარსულად). ბაქოს ერთ-ერთ მთავარ პროსპექტს ხათა'ის პროსპექტი ეწოდება; დგას მისი მონუმენტებიც. ლოგიკით, ბევრად უფრო დაფასებული უნდა ყოფილიყო შაჰ აბას I, მაგრამ მისი მოღვაწეობა ყიზილბაშური სახელმწიფოს 'ირანიზაციის' დასტურია (ყიზილბაშებმა პოზიციები შედარებით დათმეს სპარსელების, ქართველების, სომხების, ჩრდილოკავკასიელების სასარგებლოდ). ამდენად, შაჰ აბასის სახელმწიფოს 'აზერბაიჯანულად' აღქმა ბევრად უფრო პრობლემატურია.<sup>32</sup>

აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში 'აზერბაიჯანულ' დინასტიად მიჩნეული სეფიანები აზერბაიჯანული იდენტობისა და ისტორიული მენსიერების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. 2001 წელს დინასტიის 500-წლოვანი იუბილე ფართოდ აღინიშნა სახელმწიფო დონეზე აზერბაიჯანში. დამატებით, სეფიანებს ხშირად მიეგებათ პატივი ლიტერატურასა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში, განსაკუთრებით ხალიჩების დარგში. ბაქოს ხალიჩების სახელმწიფო მუზეუმში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ხალიჩას სეფიანი შაჰების გამოსახულებით.

მეორე მხრივ, სწორედ სეფიანთა პერიოდში გახდა შიიზმი ირანის სახელმწიფო რელიგია, რამაც, როგორც ზემოთ ითქვა, თავისებურად გამოაცალკევა ირანი დანარჩენი მუსლიმური სამყაროსგან. ამგვარი ლოგიკით, ის, რომ შიიზმი ირანული იდენტობის განუყოფელ ნაწილად იქცა, სწორედ 'აზერბაიჯანელთა' დამსახურებაა.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ირანული ნაციონალიზმის საფუძვლები ჩამოყალიბებულ სახეს იღებს, მისი თეორეტიკოსები, აქტივისტები, მომხრეები ხშირ შემთხვევაში აზერბაიჯანული წარმომავლობისანი იყვნენ – მაგ., მირზა ფათჰ ალი ხან ახუნდზადე (ახუნდოვი), აჰმად ქასრაღი, ქაზემზადე ირანშაჰრი, ჰასან თაყიზადე, მაჰმუდ ავშარი, თაყი არანი და სხვ. ეთნიკურად აზერბაიჯანელ ინტელექტუალთა შემდეგმა თაობამ – იაჰია ზოქამ, რეზაზადე შაფაყმა, მოჰამად ამინ რიაჰიმ, სალიმ ნეისარიმ, ჰასან ანვარიმ, ებრაჰიმ ნასეჰიმ, ალი დეჰყანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ირანის კულტურული და ნაციონალური იდენტობის პრომოციაში და ჩართულები იყვნენ 1945-6 წლებში ირანის აზერბაიჯანში არსებული სეპარატისტული პარტიის, *ფერყე-ე დემოკრათ*-ის პროსაბჭოთა, პანთურქისტული დისკურსის წინააღმდეგ

31 იხ. მაგ., Октай Ф. Эфендиев, Азербайджанское государство сафавидов в XVI веке (Баку: ЭЛМ, 1981).

32 შაჰ აბასის ხსენება დღევანდელ აზერბაიჯანში იშვიათია, თუმცა არის გამონაკლისებიც. მაგ., 2020 წლის ივლისში განჯაში, რესტავრაციის შემდეგ, გაიხსნა „შაჰ აბასის ქარავან-სარაი“ საზეიმო ცერემონიას დაესწრო ქვეყნის პრეზიდენტიც. განჯაში ასევე არსებობს შაჰ აბასის მეჩეთი.

ბრძოლაში. აჰმად ქასრაღი იყო პირველი ირანელი აზერბაიჯანელი ინტელექტუალი, რომელმაც შეურიგებელი პოზიცია დაიკავა ოსმალური პანთურქიზმის წინააღმდეგ და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი დაწერა აზერბაიჯანის ირანულ იდენტობასა და აზერბაიჯანის ძველი ენის – აზარის შესახებ.<sup>33</sup> მისი ნაშრომი არაერთხელ გამოიცა ირანში. ქასრაღი საძულველი პიროვნებაა აზერბაიჯანისა და ირანის პანთურქისტულ წრეებში, სადაც ის აზერბაიჯანელთა მოღალატედ მიაჩნიათ.

მირზა ფათჰ ალი ახუნდზადე (ახუნდოვი) (1812-1872) მნიშვნელოვანი ნაციონალური ფიგურაა ირანშიც და აზერბაიჯანშიც. აზერბაიჯანში მას პატივი მიეგება, როგორც თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურის ფუძემდებელს, ირანში კი – როგორც ირანული განმანათლებლობის ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგს. მისმა თხზულებებმა (ასევე სომხური წარმოშობის მირზა მალქომ ხანისა და მირზა აყა ხან ქერმანის ნაშრომებმა) მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ირანის კონსტიტუციურ რევოლუციაზე. ახუნდზადე საერო განათლების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მუსლიმი მხარდამჭერი იყო. ახუნდზადეს არაერთი ნაშრომი აზერბაიჯანულ ენაზეა, რომელსაც იგი *თურქის* უწოდებდა იმისთვის, რომ უფრო გასაგები გაეხადა თავისი ლიბერალური იდეები მასებისთვის. ის მეფის რუსეთის სახელმწიფო სამსახურში იდგა, იმავდროულად კი დიდად აინტერესებდა სპარსული კულტურა და თავის თხზულებებში ხოტბას ასხამდა ისლამამდელი ირანის სიდიადეს, რაც გახდა მოდერნული ირანული ნაციონალიზმის განვითარების ამოსავალი წერტილი. საგულისხმოა, რომ დღეს მირზა ფათჰ ალი ახუნდზადეს სახლ-მუზეუმი თბილისში აზერბაიჯანის და არა ირანის საელჩოს პატრონაჟის ქვეშაა.

ტერმინმა ‘აზერბაიჯანმა’ სამხრეთ კავკასიის თურქულენოვანი ხალხებით დასახლებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით და „აზერბაიჯანელი თურქის თვითიდენტიფიკაციის კონცეპტმა პირველად გაიჟღერა თბილისში გამომავალ თურქულენოვან გაზეთ *‘ქემქიულის’* ფურცლებზე.“<sup>34</sup> *‘ქემქიულში’* განიხილებოდა აზერბაიჯანელი ხალხის ერთობის საკითხიც არაქსის ორივე მხარეს და ხაზგასმული იყო კავშირი ერსა და რელიგიურ თემს შორის. ო. ალსტადტის სიტყვებით, ამ კონცეპტმა ერთი ხელის მოსმით წაშალა განსხვავება რელიგიურ და ეროვნულ იდენტობას შორის აზერბაიჯანის მიწასთან თურქულობის შერწყმით.<sup>35</sup>

რეალურად, ტერმინ ‘აზერბაიჯანის’ გამოყენება სამხრეთ კავკასიაში დღეს არსებული სახელმწიფოს მიმართ XX საუკუნიდან იწყება. როგორც აღინიშნა, მა-

33 Ahmad Kasravi, *Āzari ya zabān-e bāstān-e Āzerbāijān* (Tehran, 1304/1925). აჰმად ქასრაღი მიიჩნევდა, რომ თურქული ტომების დასახლებამდე, ირანის აზერბაიჯანის რეგიონში სალაპარაკო ენა იყო აზარი, ირანული და არა თურქული ენების ოჯახიდან. ამ მოსაზრებას ის სათანადო არგუმენტაციით ამყარებდა და მის შეხედულებას იზიარებს ზოგიერთი მკვლევარი ირანშიც და დასავლეთშიც. აღსანიშნავია, რომ ქასრაღი და ასევე აზერბაიჯანული წარმოშობის ირანელი ინტელექტუალი ჰასან თაყიზადე, „მხარს უჭერდნენ აზერბაიჯანისა და მთელი ირანის ‘პერსიანიზაციას.’“ იხ. Nikki R. Keddie, *The Minorities Question in Iran*. In: Shaheer Ayubi & Shirin Tahor-Kheli (eds), *The Iran-Iraq War: Old Weapons, New Conflicts*. (New York: Praeger, 1983), 96.

34 Tadeusz Swietochowski, *Russia and Azerbaijan: A Borderland in Transition* (Columbia University Press, 1995), 32. გაზეთი თბილისში 1883 წლიდან გამოდიოდა.

35 Audrey Altstadt, *The Azerbaijani Turks: Power and Identity Under Russian Rule*. (Stanford, CA: Hoover Institution Press, 1992), 70.

ნამდევ ამ ტერიტორიას არ ჰქონია ერთიანი სახელი, ხოლო აქ მცხოვრები თურქულენოვანი მუსლიმები (ისევ როგორც მთლიანად კავკასიაში) რუსეთის იმპერიის აღწერებში მოიხსენიებოდნენ 'თათრებად'. ეს უკავშირდება თურქეთის ამბიციებს პირველ მსოფლიო ომში პანთურქული (პანთურანული) ერთობის შექმნის შესახებ. ომის პერიოდში ირანის აზერბაიჯანში თურქული ჯარები იყო შესული. თურქეთთან აზერბაიჯანის მიერთების შემთხვევაში კი, ორი აზერბაიჯანის გაერთიანება 'ბუნებრივად' ჩაითვლებოდა. 1918 წლის 15 სექტემბერს თურქულმა ჯარებმა, ნური ფაშას მეთაურობით, დაიკავეს ბაქო და ძველი 'ირანული' პროვინციების რეორგანიზაცია მოახდინეს აზერბაიჯანის სახელით, რათა განეხორციელებინათ ოსმალეთის ოდინდელი მიზანი – ირანის აზერბაიჯანის, ასევე არაქსის ჩრდილოეთით ძირითადად თურქულენოვანი მუსლიმებით დასახლებული ტერიტორიების ანექსია.

1911 წელს შეიქმნა „მუსავატის დემოკრატიული ისლამური პარტია“. პარტიამ „მოღვაწეობა დაიწყო, როგორც პანისლამურმა მოდერნისტულმა პარტიამ, რომლის საკმაოდ ბუნდოვანი მიზანიც იყო მთლიანად ისლამური სამყაროს განთავისუფლება და მოდერნიზება. მაგრამ პარტიის სათავეში მყოფი რასულზადეს წყალობით, ის თანდათანობით გადაიხარა თურქეთისაკენ.<sup>36</sup> განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც 1917 წელს შეერწყა „თურქულ ფედერალიზმის პარტიას“ და ახალ გაერთიანებას დაერქვა „თურქული ფედერალისტური მუსავატის პარტია“. 1918 წლის მაისში პარტიამ გამოიყენა ქაოტური ვითარება ახალი ქვეყნის შესაქმნელად.

ვ. ბარტოლდის თანახმად, „უკიდურესად აღმოსავლურ ქვეყანას, რომელიც უმთავრესად დასახლებული იყო თურქებით და თათრებით, უნდა დარქმეოდა აღმოსავლეთის და სამხრეთის ამიერკავკასიის რესპუბლიკა.<sup>37</sup> თუმცა, პარტიის ხელმძღვანელობის ექსპანსიონისტური ამბიციებიდან გამომდინარე, რომელთაც მხარს უზამდნენ პანთურანისტი ოსმალოები, რასულზადეს, მუსავატისტთა პარტიის იმდროინდელი ლიდერის შეთავაზებით, ახალ წარმონაქმნს დაერქვა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა. ირანელი მკვლევარი ბ. ამირაჰმადიანი წერს, რომ ახალი რესპუბლიკის მესვეურთა აზრით, მასში უნდა გაერთიანებულიყო თბილისისა და ერევნის პროვინციების სამხრეთ ნაწილები, ასევე ზაქათალა.<sup>38</sup> „მუსავატისტთა ამ ერთი გადაწყვეტილებით, ამ არეალში მცხოვრები სხვადასხვა ხალხები, ტომები და უმცირესობები, რომელთაც მანამდე ჩვეულებრივ თურქებს (ან თათრებს) უწოდებდნენ, გახდნენ 'აზერბაიჯანელები' ან 'აზერები'.<sup>39</sup>

ამ ფაქტს ხისტი ნეგატიური გამომხატურება მოჰყვა ირანელ-აზერბაიჯანელი პოლიტიკოსების, მაგ., შაიხ მოჰამად ხიაბანის და იმავე აჰმად ქასრავის მხრიდან.

36 Cornell, Azerbaijan since independence. (M.E. Sharpe, Inc., 2011), 18.

37 Василий В. Бартольд, Сочинения: В 9-ти томах. Т. 2. Ч. 1: Общие работы по истории Средней Азии. Работы по истории Кавказа и Восточной Европы. (Москва: Наука, 1963), 703.

38 Bahram AmirAhmadian, Ravābete Iran va jomhuri Azerbaijan: negāhe Azariha be Iran. (Tehran: Institute for Political & International Studies, 2005), 30.

39 Rouben Galichian, Clash of Histories in the South Caucasus: Redrawing the Map of Azerbaijan, Armenia and Iran. (London: Bennett & Bloom, 2012), 17.

ამ უკანასკნელის სიტყვებით, „უცნაურია, რომ ისინი არანს ამჟამად აზერბაიჯანს უწოდებენ. აზერბაიჯანი ან აზერბაიჯანი სხვა ტერიტორიის სახელია და ეს სახელი ფალაურია. ის უფრო მცირეა და ნაკლებად დასახლებული, ვიდრე არანი... ეს ორი ტერიტორია ყოველთვის განსხვავებული იყო, არანს კი ადრე არასოდეს ეწოდებოდა აზერბაიჯანი.“<sup>40</sup> პროტესტი თურქეთში ირანის საელჩოში გამოთქვა.

ირანში შემოვლას იწვევდა, რომ ახალი რესპუბლიკა ამგვარი სახელით, ოსმალთა მხარდაჭერით, მოინდომებდა ირანის აზერბაიჯანის შემოერთებას. ირანის მთავრობა უცხოეთში გაგზავნილ კორესპონდენტებში ახალ სახელმწიფოს მოიხსენიებდა კავკასიის აზერბაიჯანის რესპუბლიკად.<sup>41</sup>

სახელწოდება აზერბაიჯანი შემდგომშიც შენარჩუნდა ახალი კომუნისტური მმართველების მიერ, რომელთაც შეეძლოთ მისი გამოყენება შემდგომ, როგორც პოლიტიკური ბერკეტი საკუთარი ზეგავლენისა და მმართველობის განვრცობისთვის იმავე სახელწოდების ირანულ პროვინციაზე. საბოლოო მიზანი კი ამ რეგიონის შემოერთება იყო.

რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, რუსიფიკაციის პოლიტიკის მიუხედავად, საბჭოთა რეჟიმი ბევრად უფრო ტოლერანტული იყო აზერბაიჯანული კულტურისთვის კოლექტიური გამოხატულების უფლების მიცემაში, ვიდრე თეირანი. თუმცა, ეს ჯდებოდა საბჭოთა ხელმძღვანელობის ეროვნული კულტურებზე ზრუნვის ფასადური პოლიტიკის (ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური) კონტექსტში. ისტორიის ‘გამოგონებას’ ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა.

აზერბაიჯანული ‘ნაციონალიზმის’ ჩამოყალიბება კი საბჭოთა პერიოდს უკავშირდება. საბჭოთა აზერბაიჯანულ ისტორიულ სკოლაში შეიქმნა ერთიანი აზერბაიჯანის ისტორიის იდეა. შ. ჰანტერი აღნიშნავს, რომ „აზერბაიჯანულ ელიტას, დიდწილად სავარაუდოდ ეთნიკური საკითხებისადმი საბჭოთა მიდგომის ზეგავლენის შედეგად, ისტორიის განსხვავებული ხედვა ჰქონდა და ჩამოაყალიბა დისკურსი ‘დიდი აზერბაიჯანის’ მითის საფუძველზე“<sup>42</sup>

ადრეული საბჭოთა პერიოდიდანვე აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა დაიწყეს აზერბაიჯანელების უშუალოდ კავკასიის ალბანეთთან დაკავშირება. მათი მტკიცებით, დღევანდელი აზერბაიჯანის მოსახლეობის წინაპრები აქ მცხოვრები ალბანელები იყვნენ, რომლებიც შემდეგ შეერწყნენ თურქულ ტომებს და ‘ლინგვისტურად’ გათურქდნენ. სტრაბონის, პტოლემეაოსის თუ სხვათა თხზულებებზე დაყრდნობით, ისინი ალბანეთის ტერიტორიას საზღვრავდნენ კავკასიის მთებსა და არაქსს, იბერიას და კასპის ზღვას შორის, რაც ზუსტად შეესაბამებოდა ჩრდ. აზერბაიჯანის ტერიტორიას 1828 წლის შემდეგ.<sup>43</sup>

თანამედროვე აზერბაიჯანული ნაციონალისტური ხედვით, ამჟამად სწორედ 1828 წელი, რუსეთისა და სპარსეთის იმპერიებს შორის აზერბაიჯანის ‘გაყოფა’

40 ციტ. Bayat, *Äzerbâijân dar mouj Khiz-e..*, 14.

41 Brenda Shaffer, *Borders and Brethren. Iran and the Challenge of Azerbaijani Identity.* (Cambridge, Mass.: MIT Press, 2002), 38.

42 Hunter, ‘Greater Azerbaijan: Myth or Reality?’ Dans: Mohammad-Reza Djalili (sous la dir de.), *Le Caucase Postsoviétique: la transition dans le conflit.* (Brussels: Bruylant, 1995), 129.

43 Cornell, *Azerbaijan Since Independence*, 4.

მიიჩნევა აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიაში ყველაზე დიდ ტრაგედიად. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, არავითარი აზერბაიჯანი მანამდე არ არსებობდა არც სახელმწიფო წარმონაქმნის და არც ერთიანი ქვეყნისა თუ ტერიტორიის სახით.<sup>44</sup>

საბჭოთა აზერბაიჯანის მუზეუმებსა და ამავე პერიოდში აქ გამოცემულ რუკებზე საბჭოთა კავშირსა და ირანის აზერბაიჯანში არსებული ქალაქები ნახსენებია სახელმწიფოებრივი კუთვნილების აღნიშვნის გარეშე. 1981 წელს აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში შეიქმნა „სამხრეთ აზერბაიჯანის კვლევის განყოფილება“.

ისტორიის ამგვარი აღქმა კიდევ უფრო გამძაფრდა აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ. დღეს აზერბაიჯანში პრაქტიკულად არ იხმარება ტერმინი „ირანის აზერბაიჯანი“ და ის ჩანაცვლებულია „სამხრეთ აზერბაიჯანით“. სწორედ ეს ტერმინია გამოყენებული, მაგალითად, მუზეუმებში ჩრდილოირანული არტეფაქტების წარმომავლობის აღსანიშნავად. იგივე ტერმინი დამკვიდრებულია აზერბაიჯანის ოფიციალურ სახელმძღვანელოებში.

ნაციონალისტური განწყობების გაღვივებას ასევე ხელი შეუწყო ყარაბაღის კონფლიქტმა, რომელშიც აზერბაიჯანული თვალთახედვიდან, ირანს არასწორი, პრაქტიკულად პროსომხური პოზიცია ეკავა (იხ. თავი IV).

ისტორიის რეკონსტრუირების მთავარი სამიზნე ახალგაზრდა თაობაა. მაგალითისთვის, საშუალო სკოლების მე-5 კლასის წიგნებიდან დაწყებული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების ჩათვლით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ისტორიული ტერიტორია ფარავს ირანის ჩრდ.-დას. ნაწილსაც. ისტორიის სახელმძღვანელოებში აზერბაიჯანი წარმოდგენილია უძველეს ქვეყნად, რომელსაც მუდმივად ემუქრებოდნენ ოკუპაციით სპარსეთის მეფეები. ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც არიან ნიზამი განჯელი, ხაყანი, ნასერ ად-დინ თუსი და სხვ. მიჩნეული არიან აზერბაიჯანელებად. ირანის ქალაქები, მაგ., თავრიზი და არდებილი, ჩათვლილია აზერბაიჯანულ ქალაქებად. აზერბაიჯანი წარმოდგენილია სუვერენულ სახელმწიფოდ, რომელიც ორად გაიყო რუსეთ-ირანის ომების დროს, მისმა ჩრდილო ნაწილმა დაიბრუნა დამოუკიდებლობა, ხოლო სამხრეთი ნაწილი კვლავაც ირანს აქვს ოკუპირებული. „ამგვარი სტრატეგიით, ახალგაზრდა თაობა იზრდება იმ რწმენით, რომ მათ აქვთ უფლება ირანის ჩრდ.-დას. პროვინციების ტერიტორიაზე.“<sup>45</sup>

2008 წლის შემდეგ, როდესაც იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა წამოიწყო, აზერბაიჯანმა რამდენიმე არამატერიალური ძეგლი აზერბაიჯანულად დააფიქსირა, რასაც მძაფრი რეაქცია მოჰყვა ირანში და ეს აღქმული იყო თავდასხმად ირანულ იდენტობასა და ცივილიზაციაზე.

ამ მხრივ, საუკეთესო მაგალითია XII საუკუნის სპარსულენოვანი პოეტის ნიზამის 'აზერბაიჯანელ' პოეტად გამოცხადება. ამგვარი 'პრეტენზიის' ერთადერთი გამამართლებელი კი ის არის, რომ ნიზამი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დღეს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შემავალ ქალაქ განჯაში. ნიზამის მამა წარმომავალია

44 ამ საკითხის პოლიტიკურ ასპექტებზე იხ. მომდევნო თავი. აქვე ხაზგასასმელია აზერბაიჯანული ოფიციალური ისტორიოგრაფიის (შესაბამისად სახელმწიფოს) პოზიცია – სახელის არარსებობა არ ნიშნავს ერთიანი ხალხის არარსებობას.

45 AmirAhmadian, Ravabete Iran, 30.



ვლობით ირანული ქალაქიდან, ყუმიდან იყო, დიდი ალბათობით ეთნიკური სპარსელი, ხოლო დედა – ქურთი. ნიზამი ცხოვრობდა გარემოში, სადაც სპარსული ენა და სპარსული კულტურა დომინირებდა. შესაბამისად, მისი გამოცხადება 'აზერბაიჯანელ' პოეტად არც თუ ისე კორექტულია.<sup>46</sup> მისი პოემები სპარსულადაა. მაგრამ მისი თხზულებების აზერბაიჯანული მემკვიდრეობის ნაწილად გამოცხადებისთვის, ისინი ითარგმნა აზერბაიჯანულად, თარგმანებიდან კი ამოიღეს ყველა ის ადგილი, რომლებითაც პოეტი ნოტბას ასხამს სპარსეთსა და მისი მდიდარ ცივილიზაციას.

ნიზამისთვის აზერბაიჯანის ეროვნული პოეტის სტატუსის მინიჭება პოლიტიკურად და იდეოლოგიურად მოტივირებული გადაწყვეტილება იყო. ამ იდეას საფუძველი ჩაეყარა 1930-იან წლებში. 1947 წელს პოეტის 800 წლის იუბილედ გადაინადეს. ამგვარი ნაბიჯი საბჭოთა კავშირის დეკლარატიული მულტიკულტურულ პოლიტიკის შესატყვისიც იყო. ისტორიის საბჭოთა სახელმძღვანელოებშიც, შუა საუკუნეების საბჭოთა ხალხების კულტურის ისტორიის სწავლებისას, ქართველი შოთა რუსთაველის გვერდით მოხსენებული იყო 'აზერბაიჯანელი' ნიზამი. დღეს კი ნიზამის საკითხი უკიდურესად პოლიტიზირებულია. არსებობს ნიზამის ლიტერატურის ინსტიტუტი, აზერბაიჯანული ლიტერატურის ნიზამის სახ. მუზეუმი. 2013 წელს სპარსული კალიგრაფიული წარწერები (რამდენიმე ამონარიდი მისი პოემებიდან) ნიზამის საფლავზე შეიცვალა აზერბაიჯანულ-თურქული თარგმანით. ირანმა ამასთან დაკავშირებით იუნესკო-ში საჩივარიც შეიტანა.<sup>47</sup> 2012 წელს რომში, ვილა ბორგეზეს პარკში, ჰეიდარ ალიევის ფონდის თაოსნობით, დაიდგა ნიზამის ქანდაკება წარწერით „აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი განჯელი“.

ნიზამის ეთნიკური კუთვნილება, ისე როგორც სხვა არაერთი სპარსულენოვანი პოეტისა თუ მოაზროვნისა, კონფლიქტურ ვითარებას ქმნის ორი ქვეყნის ურთიერთობებში. დაახლოებით იმავე ხანებში, აზერბაიჯანმა იუნესკოში წარადგინა მოთხოვნა 'ჩოგანის' (პოლოს, ცხენბურთის) აზერბაიჯანულ არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარებისთვის. ირანელ მკვლევრებს კი მიაჩნიათ, რომ ჩოგანი სწორედ ირანული წარმომავლობისაა.<sup>48</sup>

უფრო ახალი მაგალითია აზერბაიჯანის პრეზიდენტის აპარატის უფროსის რამიზ მეჰდიოვის წიგნი, რომელშიც ის ამტკიცებს, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკა არის ავშართა ხელისუფლების მემკვიდრე და ნადერ შაჰი იყო არა

46 ბ. შაფერის პროაზერბაიჯანული პოზიციის გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს მის მიერ ნიზამის აზერბაიჯანელ პოეტად მოხსენიება (Shaffer, Borders and Brethren, 18). თუმცა იგი ასევე წერს, რომ ისეთი ავტორები, როგორიცაა ნიზამი, რომელიც ეთნიკურად აზერბაიჯანელი იყო, მაგრამ სპარსულად წერდა, წარმოდგენილი არიან აზერბაიჯანელ ავტორებად და მათ თხზულებები – აზერბაიჯანული ლიტერატურის ნაწილად (იქვე, 158). შ. ჰანტერის აზრით, „ღიმილის მომგვრელია, როდესაც რომელიმე სერიოზული მკვლევარი თავს უფლებას აძლევს უწოდოს ნიზამის შემოქმედებას აზერბაიჯანული თურქული ლიტერატურა.“ იხ. Hunter, Iran and Transcaucasia in the Post-Soviet Era. In: David Menashri (ed.), Central Asia meets the Middle East. (Routledge, 1998), 103.

47 Nezami Ganjavi va monâghesheye Irân va Āzerbâijân.' Voice of America. (11/10/2013). [www.darivoa.com...](http://www.darivoa.com...) (წვდომა: 27/11/2018); Iran protests replacement of Persian inscriptions of Nezami's tomb in Azarbaijan. (12/10/2013). <https://en.irna.ir...> (წვდომა: 15.09.2021).

48 'Azerbaijan Concedes that 'Chogan' is not an Azeri Game: Iranian Official.' The Iran Project, (05/12/2013). <http://theiranproject.com/blog...> (წვდომა: 31/05/2018).



სპარსეთის, არამედ აზერბაიჯანის მეფე<sup>49</sup>, იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის იგნორირებით, რომ ნადერ შაჰის დროს არ არსებობდა აზერბაიჯანი – არც სახელმწიფო და არც ქვეყანა; ის და მისი ტომი კი ცხოვრობდნენ ირანში.

ირანული აღქმა, ბუნებრივია, სრულიად საპირისპიროა. ირანის სახელმწიფოებრიობა 'ირანულობის' იდეას ემყარება. ეს იდეა განსაკუთრებით გაძლიერდა ფაჰლავიანთა დროს. რეზა შაჰის ირანული ნაციონალიზმის პოლიტიკა ემყარებოდა ირანული სახელმწიფოსა და ხალხის იდენტობის შერწყმას სპარსელებთან და სპარსულ ენასთან. თურქული ირანულთან შედარებით კულტურულად უფრო ქვემოთ მდგომად ჩაითვალა (ირან-თურანის დაპირისპირების მითოლოგიზებული ისტორია). რეზა შაჰის დროს ირანელი აზერბაიჯანელებიც გამოცხადდნენ ეთნიკურად ირანელებად, ოღონდ 'ლინგვისტურად თურქიზებული'ად.<sup>50</sup> ხაზი გაესმევა აზერბაიჯანელთა სრულ ინტეგრაციას ირანულ საზოგადოებაში და მათ დიდ წვლილს თანამედროვე ირანის კულტურაში. ამ წარმოდგენის თანახმად, ირანის კავკასიური ტერიტორიები (მათ შორის ის მიწებიც, რომლებზეც შემდეგ შეიქმნა 'ჩრდილოეთ აზერბაიჯანი'), ძალით იქნა მოცილებული ირანისაგან რუსების მიერ XIX საუკუნის დასაწყისში. ევროპაში მიღებული სახელწოდების სპარსეთის ირანით შეცვლაც ამ იდეის კონტექსტში ჯდება – ირანი არის ირანელი ხალხების სამშობლო, რომლებიც დაყოფილები არიან ცალკეულ ეთნიკურ ქვეჯგუფებად – სპარსელებად, აზერბაიჯანელებად, ბელუჯებად, გილანელებად და ა.შ.). ისლამური რევოლუციის შემდეგაც კი, როდესაც ეთნიკური კუთვნილება 'ჩანაცვლდა' რელიგიურით, ირანულობის იდეა (რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მოქალაქეობის და არა ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე), კვლავაც მყარია.

აზერბაიჯანის კრიზისის დასრულებისთანავე, 1946 წელს, თეირანმა აზერბაიჯანი ორი პროვინციად (სამხრეთ და დასავლეთ) გაყო. დამოუკიდებელი აზერბაიჯანის შექმნის შემდეგ კი დასავლეთ აზერბაიჯანის პროვინციაც გაიყო და მესამე აზერბაიჯანული პროვინცია – არდებილი შეიქმნა. სწორედ პოლიტიკური მიზეზების გამო, ამჯერად უკვე აღარაა გამოყენებული ტერმინი 'აზერბაიჯანი', ასევე თავია არიდებული 'ჩრდილოეთის' ხსენებისგან. აზერბაიჯანში დამკვიდრებული ტერმინი 'სამხრეთ აზერბაიჯანი' კი ირანში განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს.

ჩრდილოაზერბაიჯანული ნაციონალისტური ინტერპრეტაცია ძირეულად განსხვავდება ირანულისაგან. ამ ინტერპრეტაციის მთავარ დოგმატია ის, რომ აზერბაიჯანელები ეთნიკური თურქები არიან (ან 'კასპიური' ეროვნება, რომელთა შორეულ წინაპრებსაც კავკასიელი ალბანელები წარმოადგენენ). ირანული, ისე როგორც რუსული მმართველობა ძალადობრივი გზით იყო თავსმობხვეული და 'სამხრეთ' აზერბაიჯანში კვლავაც არსებობს.<sup>51</sup> გაერთიანებამ უნდა მიიღოს სამხრეთ აზერბაიჯანის 'განთავისუფლების' ფორმა, ის უნდა შეუერთდეს ჩრდილო-

49 იხ. S. Maleki, 'Dast derāzie Baku be mirāse Irani.' (15/10/2015). <http://bit.ly/20I9LEx> (წვდომა: 20/09/2018).

50 ამავე ტიპის ნაციონალისტური კურსი აიღო ათათურქმაც, როდესაც ქურთები გამოცხადდნენ 'მთის თურქებად', ოღონდ 'ლინგვისტურად ირანიზებული'ად.

51 Bayram Balci, 'Between Sunnism and Shiism: Islam in Post-Soviet Azerbaijan.' *Central Asian Survey* (06 – 2004) 23(2), 209.

ეთს და უნდა შეიქმნას ერთიანი აზერბაიჯანული ეროვნული სახელმწიფო. აზერბაიჯანულ-თურქული ერთობა გამოიხატება ლოზუნგითაც – „ერთი ერი – ორი სახელმწიფო“; თუმცა როდესაც ერთიანობაზე საუბარი, ისტორიულად ბევრად უფრო ლოგიკურია ‘აზერბაიჯანულ-ირანულ’ ერთობაზე აქცენტის გაკეთება. ზემოთნახსენებ ისმაილ I-ს, სეფიანთა სახელმწიფოს ფუძემდებელს და დღევანდელი აზერბაიჯანული თვალთახედვიდან აზერბაიჯანის იმპერიის შექმნელს, სწორედ ოსმალთა თურქებმა აწვნიეს უმძიმესი მარცხი 1514 წელს და ბოლო მოუღეს მისი სახელმწიფოს ტერიტორიულ ექსპანსიას.

მთავარი ის არის, რომ ‘ორი’ აზერბაიჯანის ისტორიული განვითარება სხვადასხვა გზებით წავიდა. თუ დღეს კავკასიის აზერბაიჯანში ‘საბჭოთა-აზერბაიჯანულ’ იდენტობას ჩაენაცვლა ‘თურქულ-აზერბაიჯანული’ იდენტობა, ირანში ‘ირანულ-აზერბაიჯანული იდენტობა’ კვლავაც მყარია. ირანელ აზერბაიჯანელთა აბსოლუტური უმრავლესობა ლოიალურია ირანული სახელმწიფოსადმი (ამ შემთხვევაში ვგულისხმობ სახელმწიფოს და არა არსებულ რეჟიმს) და ირანულობისა. „სეპარატისტული განწყობები უკიდურესად მარგინალურია, თუმცა გარკვეულ დონეზე მაინც ახდენს ზეგავლენას აზერბაიჯანისა და ირანის სახელმწიფოების შრთიერთობებზე.“<sup>52</sup> ირანელი აზერბაიჯანელები ღრმად არიან ინტეგრირებული ირანულ საზოგადოებაში (კულტურა, სპორტი, პოლიტიკა).<sup>53</sup>

დღეს ირანული იდენტობა პრევალირებს აზერბაიჯანულ იდენტობაზე. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანული ენა ირანშიც შენარჩუნებულია და გარკვეული სახეცვლილებების მიუხედავად, საზღვრის ორივე მხარეს აზერბაიჯანელებს თავისუფლად ესმით ერთმანეთის. თურაჯ ათაბაკი ამტკიცებს, რომ „ირანში აზერბაიჯანულად მოლაპარაკებმა დაკარგეს თავიანთი იდენტობა ირანელთა შორის, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში.“<sup>54</sup> თუმცა, არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც. მაგალითისთვის, ო. ალსტადტი მიიჩნევს, რომ „ვერც პერსიანიზაციამ და ვერც ისლამურმა რევოლუციამ ვერ შეძლო ირანის აზერბაიჯანული მოსახლეობის თურქული ცნობიერების წაშლა. ამგვარად, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა ცენტრით ბაქოში – სეკულარული თურქული სახელმწიფოს ირანის ჩრდილო საზღვართან – შეიცავს საფრთხეს ირანის საკუთარი ტერიტორიული მთლიანობისთვის.“<sup>55</sup>

ნებისმიერ შემთხვევაში, აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა (როგორც აღინიშნა, ირანში ორი პროვინციის სახელში ფიგურირებს აზერბაიჯანი) თეირანისთვის თავისთავად გარკვეულ დისკომფორტს ქმნიდა – ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვანი უმცირესობისთვის (სავარაუდოდ ორჯერ მეტი,

52 Ariane Tabatabai, ‘Iranian Approaches to the EU’s Eastern Neighbourhood.’ In: Third Powers in Europe’s East (European Union Institute for Security Studies (EUISS), 2018), 39. პირველ რიგში, ეს ეხება სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტს (იხ. შესაბამისი თავი).

53 აზერბაიჯანელები ირანის უმსხვილეს ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ (დაწვრილებით იხ. ქვემოთ); რაოდენობით მხოლოდ სპარსელებს ჩამორჩებიან; უზენაესი ლიდერი ალი ხამენეი მამით აზერბაიჯანელია, ისე როგორც ოპოზიციის ყოფილი ლიდერი მირ ჰოსეინ მუსავი.

54 Touraj Atabaki, Azerbaijan: Ethnicity and Authority in Twentieth Century Iran (London: British Academic Press, 1993), 182.

55 Altstadt, Frustrated Democracy in Post-Soviet Azerbaijan (Columbia University Press, 2017), 18.

ვიდრე კავკასიის აზერბაიჯანში.) ახალი 'ნაციონალური' სახელმწიფო, შესაძლებელია, მიმზიდველი გამხდარიყო – მაგრამ ეს ხიფათი, ზოგადად, არარეალური აღმოჩნდა, რაც შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურა.

ამგვარად, მკაფიოდ იკვეთება, რომ ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობებში „ისტორია პოლიტიკის ტყვეობაშია.“ პოლიტიკის ისტორიაზე 'ძალადობის' გამოვლინებები მომდევნო თავებშიც იქნება განხილული.

ისტორიის აღქმა საქართველოსთან და სომხეთთან დაკავშირებით დაცლილია პოლიტიკური შემაღენლისგან. თუმცა, ისტორიის განსხვავებული ხედვა, განსაკუთრებით საქართველოს შემთხვევაში, თვალსაჩინოა. საქართველოში ირანთან კონტაქტები, ხშირ შემთხვევაში, აღიქმება, როგორც დაპყრობილისა და დამპყრობლის ურთიერთობა. ამასთანავე, ყოველთვის ხაზგასმულია, რომ საქართველო ირანთან ურთიერთობის საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, თუნდაც ნაწილობრივ. ქართულმა სამეფო-სამთავროებმა შეძლეს ადგილობრივი მმართველობის სისტემის შენარჩუნება ირანის ჰეგემონობის პირობებში (ეს უპირველესად შეეხება სეფიანთა ეპოქას). თუმცა, აღიარებულია ირანის დიდი კულტურული ზეგავლენა. საქართველო ქრისტიანულ ქვეყნად დარჩა, მაგრამ ასევე აღსანიშნავია, რომ ქართლის სამეფოს მეფეები სეფიანთა ეპოქაში, საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, აუცილებლად მუსლიმები უნდა ყოფილიყვნენ. ისინი ქართული სამეფო დინასტიას ეკუთვნოდნენ, მაგრამ ინიშნებოდნენ ირანის შაჰის მიერ და მის 'მოხელეს' წარმოადგენდნენ. ქართლი კი ითვლებოდა ირანის ერთ-ერთ პროვინციად – ვილაიეთად. ამგვარად, ირანის დომინირება ქართველების ისტორიულ მემსიერებაში ნეგატიურ კონტექსტშია აღქმული. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა სეფიანთა დინასტიის პერიოდთან დაკავშირებით. შაჰ აბასი ასოცირდება ქართველების მასობრივ გაწყვეტასა და დეპორტაციასთან ირანში. საუკუნეთა შემდეგაც ამგვარ აღქმას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ქართულ ცნობიერებაში, ალბეჭდილია ქართულ ფოლკლორში, ზეპირ ისტორიაში, ასახულია ისტორიის სახელმძღვანელოებში.

ირანული აღქმა საპირისპიროა: საქართველო ისტორიულად იყო ირანის ნაწილი. სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი აღინიშნება: „აღმოსავლეთ კავკასია, ანუ საქართველო ოდითგანვე ეკუთვნოდა ირანს, მაგრამ ირანელი შაჰების დასუსტების გამო, რუსმა იმპერატორებმა წაართვეს მათ ეს მიწები.“<sup>56</sup> ქართველი მკვლევარი ა. რონდელი წერს, რომ თეირანში გამართული ერთ-ერთი მრგვალი მაგიდის დროს ირანელი სწავლულები საქართველოს „ირანული სახელმწიფოების კონფედერაციის“ ყოფილ წევრად მოიხსენიებდნენ.<sup>57</sup>

ისტორიული მემსიერების შეუთავსებლობა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში პრობლემებს არ ქმნის. თუმცა ყოფით დონეზე, საქართველოში ირანელები, რომლებიც „უცხოდ“ აღიქმებიან, ზოგჯერ გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ სომხებისგან განსხვავებით, ირანის ქა-

56 იხ. მაგ., Manouchehr Moradi, 'Perspectives on European Union and Iran Cooperation in Provision of Stability and Security in Southern Caucasus.' Amu-Darya (2006-2007), #21-22, 68, 83.

57 ალექსანდრე რონდელი, „ირანი და საქართველო – ურთიერთობების დაახლოების პერსპექტივები.“ ექსპერტის აზრი, 18 (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2014), 5.

რთული დიასპორა ორი ქვეყნის ურთიერთობაში გამორჩეულ როლს არ ასრულებს.

ისტორიული მესხიერების შეუთავსებლობის პრობლემა მეტად უმნიშვნელოა ირან-სომხეთის ურთიერთობებში. ირედენტიზმის საკითხი, ისე როგორც საქართველოს შემთხვევაში, ბუნებრივია, არ დგას. დღევანდელი ახლო ურთიერთობებიდან გამომდინარე, ორივე მხარის მიერ ხაზი გაესმევა თბილ თანაზიარ ისტორიულ მესხიერებას. მაგალითისთვის, ცნობილი სომეხი მკვლევარი გ. ასატრიანი აღნიშნავს: „სომხებს და სომხეთს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ ირანულ ნაციონალურ იდეაში... იმავდროულად, სომხური საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მნიშვნელოვანი მახასიათებელია სომხეთი სახელმწიფოებობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში ირანის გამოკვეთილი როლის გააზრება. სომხეთი ირანელ პატრიოტთა აზროვნებაში ყოველთვის წარმოდგებოდა ქვეყნად, რომელიც 'შებურული იყო 'არიული' სიძველის ნიმუშით, სომხები კი, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ისლამამდელი ირანის ტრადიციული ისტორიული ფასეულობითი სისტემის მატარებელი იყვნენ... სომხური კულტურის ბუნება ირანის წარსული დიდების მიმართ ნოსტალგიურ გრძობებს აღუძრავს ირანელ ინტელექტუალებს.“<sup>58</sup> თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ახლო ურთიერთობების ხანგრძლივი ისტორიისა ირანსა და სომხეთს შორის, სომხეთის სტრატეგიული მიდგომა ირანის მიმართ უფრო მეტად გამომდინარეობს „პრაქტიკული აუცილებლობიდან, ვიდრე ისტორიული კავშირებიდან“.<sup>59</sup>

ისტორიის 'ბნელი' მხარეები, პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, მიჩუმათებულია (სასანიანთა დროს ზოროსტრიზმზე ძალადობრივი მოქცევის მცდელობა, სეფიანთა დროს ძალადობრივი გადასახლებები და ა.შ.)

ორი ქვეყნის ურთიერთობაში პოზიტიურ როლს ასრულებს ასევე ირანის სომხური დიასპორა, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს. ის კარგად არის ინტეგრირებული ირანულ საზოგადოებაში და გარკვეული პრივილეგიებითაც სარგებლობს. დ. იაგუბიანი მიიჩნევს, რომ ირანულ სომხებში ჩამოყალიბდა ირანული იდენტობის ძლიერი აღქმა და მათ ზოგადად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ირანული ნაციონალიზმის განვითარებაში.<sup>60</sup> ირანული მხარეც, ყოველთვის წინ წამოწევს ორ ერს შორის სამაგალითო ისტორიულ ურთიერთობებს და დიდი ყურადღებას იჩენს ირანის სომხური მემკვიდრეობისადმი. მაგალითად, არაერთი სომხური ისტორიული ძეგლის რესტავრირება მოხდა უკანასკნელ ხანებში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.<sup>61</sup> თავის მხრივ, სომხეთის ჩართვამ სპარსეთის იმპერიაში, XVII-XVIII საუკუნეებში ფიზიკური კვალი დატოვა სპარსული მეჩეთის

58 Гарник Асатрян, Этническая композиция Ирана: от «Арийского простора» до Азербайджанского мифа. (Ереван: Кавказский центр иранистики, 2012), 85-86.

59 Richard Giragosian, 'Promise and Peril: The Armenia-Russia-Iran Axis.' In: Kornely Kakachia et al. (eds), Geopolitics and Security. A New Strategy for the South Caucasus. (Konrad-Adenauer-Stiftung Regional Program South Caucasus; German Council on Foreign Relations; Georgian Institute of Politics, 2018), 97.

60 David N. Yaghoubian, Ethnicity, identity, and the development of nationalism in Iran. (Syracuse University Press, 2014), XXIX.

61 Jamsheed K. Choksy, 'Non-Muslim Religious Minorities in Contemporary Iran.' Iran and Caucasus (2012), vol. 16, no. 3, 283.

სახით დღევანდელი ერევნის შუაგულში, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ განახლდა და გაიხსნა ორ მთავრობას შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე.

ირანისთვის სომხეთთან კარგი ურთიერთობის მიზანი ასევეა ამერიკაში, რუსეთსა და ევროპაში გავლენიანი სომხური დიასპორის მხარდაჭერის მოპოვება (ირანის სომხური მოსახლეობის ემიგრირება ძირითადად შეერთებულ შტატებში ხდება).

ამგვარად, ისტორიული მემკვიდრეობის თანამედროვე პოლიტიკურ ურთიერთობებზე ზეგავლენის ირან-სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოკიდებულება შეიძლება შეფასდეს, როგორც უკიდურესად განსხვავებული და პოლიტიკურად მოტივირებული აზერბაიჯანის შემთხვევაში; განსხვავებული საქართველოს შემთხვევაში, მაგრამ არაარსებითი; ხოლო სომხეთის შემთხვევაში – პოზიტიურის წინაწამოწევა და ნეგატიურის უკანა პლანზე გადაწევა.

## თავი II

### ირანის საგარეო პოლიტიკა – ძირითადი ვექტორები და მახასიათებლები

ქვემოთ განხილული იქნება, თუ რა ძირითად პრინციპებს ემყარება ირანის საგარეო პოლიტიკა; რა შენარჩუნდა რევოლუციამდელი საგარეო პოლიტიკის მახასიათებლებიდან და რა – შეიცვალა; როგორ ხდება საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება; რამდენად შეესატყვისება რეალური პოლიტიკა დეკლარირებულ მიზნებს და, შესაბამისად, რას შეიძლება მიენიჭოს უპირველესობა – იდეოლოგიას თუ პრაგმატიზმს; რა ინტერესები ამოძრავებს ირანს რეგიონულ და გლობალურ პოლიტიკაში; ვინ შეიძლება ჩაითვალოს ირანის მოკავშირედ და მოწინააღმდეგედ როგორც რეგიონში, ისე გლობალურად; რა პრობლემები არსებობს ირანის ურთიერთობებში რეგიონის ქვეყნებთან, რუსეთთან, თურქეთთან, დასავლეთთან, შორეულ აღმოსავლეთთან. ვფიქრობ, ზემოთქმული აუცილებელია ირანის სამხრეთკავკასიურ პოლიტიკაში გასარკვევად და პარალელების გასავლენად.

#### რა დგას წინ – იდეოლოგია თუ პრაგმატიზმი?

ირანის საზღვრები 8731 კმ-ს შეადგენს, რომლიდანაც 2700 კმ საზღვაოა. რუსეთის შემდეგ, ირანს ყველაზე მეტი ქვეყანა ესაზღვრება – შვიდი ხმელეთით (ერაყი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ავღანეთი, პაკისტანი) და ცხრა ზღვით (კასპიის ზღვა – რუსეთი და ყაზახეთი; სპარსეთის ყურე – ქუვეითი, საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, კატარი, აგს და ომანი).

ირანი რეგიონში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან უპირველეს აქტორად გადაიქცა. რევოლუციამდელი ირანის ორი მთავარი მახასიათებელი შეიძლება გამოიყოს – მჭიდრო კავშირი დასავლეთთან და რეგიონში (პირველ რიგში, სპარსეთის ყურეში) მისი რეალური მეტოქის არარსებობა. დღევანდელი ვითარებისგან განსხვავებით, საუდის არაბეთი, არც ეკონომიკურად და არც სამხედრო თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არ იყო მძლავრი ქვეყანა. თურქეთის პოლიტიკაც ბევრად უფრო დასავლეთისკენ იყო მიმართული, ვიდრე ახლო აღმოსავლეთისკენ. ამბიციური ერაყი კი რესურსებითაც და სამხედრო ძალითაც დიდად ჩამორჩებოდა ირანს. თეირანი ზოგადად აღიქმებოდა შტატების მოკავშირედ. ჯ. ფულერი ამტკიცებს, რომ აშფოთებდა რა „საბჭოთა კავშირის ძალა და განზრახვები... მოჰამად რეზა შაჰმა დაარღვია მამამისის მიუმხრობლობის ორიენტაცია, რათა შეექმნა ალიანსი შეერთებულ შტატებთან.“<sup>1</sup> თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ირანი ცდილობდა კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნებას საბჭოთა

1 Graham Fuller, *The Center of Universe: The Geopolitics of Iran*. (Boulder, Co: Westview Press, 1991), 154. აქ ხაზი უნდა გაესვას, რომ თითქოსდა მიუმხრობლობის მიუხედავად, რეზა შაჰი პროგრესული განწყობებით გამოირჩეოდა, რაც გახდა კიდევ საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის 1941 წელს ირანში ინტერვენციის და მისი ტახტიდან გადაყენების მიზეზი.



კავშირთანაც. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ირანი ორ ზესახელმწიფოს შორის უთანხმოებებს თავისთვის სასარგებლოდაც იყენებდა.

ნავთობიდან მიღებულმა უზარმაზარმა შემოსავლებმა შაჰს რეგიონში ყველაზე მძლავრი და უახლესი შეიარაღებით აღჭურვილი არმიის შექმნის საშუალება მისცა. შაჰის ამბიციების გაღვივებას ხელი შეუწყო ე.წ. „ნიქსონის დოქტრინამაც“<sup>2</sup> ირანი მართლაც გახდა სპარსეთის ყურის ჰეგემონი, შაჰს კი „ყურის ჟანდარმი“ შეარქვეს. მალე მას ქვეყნის „ახლო აღმოსავლეთის იაპონიად ქცევის“ ამბიციაც გაუჩნდა.<sup>3</sup> ამ ამბიციებს კი დასავლეთშიც რეალისტურად მიიჩნევდნენ. თუმცა, მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართა და 2500-წლოვანი მონარქიის ადგილზე ისლამური რესპუბლიკა დაფუძნდა.

ისლამური რევოლუციის შედეგი გახდა ახალი ტიპის სახელმწიფო იდენტობის ჩამოყალიბება. ეს აისახა სტრუქტურულ და კულტურულ ცვლილებებში, რაც შეეხო საგარეო პოლიტიკასაც – ახალი მსოფლმხედველობისა და ახალი როლის აღქმის თვალსაზრისით (ეს თავსდება კონსტრუქტივისტული მიდგომის ჩარჩოებში). ფ. ჰალიდგი აღნიშნავს: „ირანში ისლამური რესპუბლიკის დაფუძნებამ იმდენად სერიოზული გამოწვევები შექმნა საერთაშორისო სისტემისთვის როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზე, რომ მის მიმართ ვერცერთი მნიშვნელოვანი აქტორი ვერ იქნება ინდიფერენტული და ვერც მის იგნორირებას მოახდენს. შესაბამისად, ირანი მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა არაერთი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში.“<sup>4</sup> ისლამურმა რესპუბლიკამ საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვა დაიწყო ახალი პოლიტიკური იდენტობის ორი საკვანძო ელემენტის საფუძველზე: ისლამური ძალების ერთობა და ანტიიმპერიალიზმი.

ირანის რევოლუციის შედეგებმა რადიკალურად შეცვალა ძალთა ბალანსი რეგიონში. ირანი ამერიკის სტრატეგიული მოკავშირიდან მის საშიშ მეთოქედ იქცა. ისრაელის ისლამურ სამყაროს მთავარ მტრად და ‘მსოფლიო იმპერიალიზმის მსახურად’ წარმოსახვა ასევე გახდა ახალგაზრდა რესპუბლიკის იდეოლოგიის განუყოფელი ნაწილი.<sup>5</sup> ნათელია, რომ „ისლამური ირანის საგარეო პოლიტიკის პრინციპები სრულიად განსხვავებული უნდა ყოფილიყო მონარქიული ირანისგან, მაგრამ არა ინტერესები.“<sup>6</sup> გეოპოლიტიკური ფაქტორი ამ შემთხვევაშიც არაცვლად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, აქვე წინასწარ უნდა ითქვას, რომ ახლო აღმო-

2 ვიეტნამში განცდილი მარცხის შემდეგ, აშშ-მა გადაწყვიტა რეგიონული პოლიტიკა ეწა-რმოებინა ადგილობრივი მოკავშირეების საშუალებით. ამ მხრივ შაჰის ირანი საუკეთესო პარტნიორი იყო. (დაწვრილებით იხ. მაგ., სანიკიძე და სხვები, ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობების სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.-XXIს.-ის დასაწყისი). (თბილისი: ილიაუნის გამომცემლობა, 2011), 295.

3 კ. ბ. რასმუსენი იმომებს ირანის უკანასკნელი შაჰის სიტყვებს, რომლის თანახმადაც ახლო აღმოსავლეთში ირანი გეოგრაფიული გაუგებრობაა. იხ. Katrine B. Rasmussen, ‘The Foreign Policy of Iran. Ideology and pragmatism in the Islamic Republic.’ DIIS BRIEF (March, 2009). <https://www.ciaonet.org...> (წვდომა: 15/04/2021).

4 Halliday, ‘Iran and the World: Reassertion and Its Costs.’ In: Anoushiravan Ehteshami & Manshour Varasteh (eds), *Iran and the International Community*. (Routledge, 1991), 3.

5 ირანის ისლამური რესპუბლიკა საერთოდ არ აღიარებს ისრაელის არსებობას. ირანში გამოცემულ რუკებზეც, ისრაელის ნაცვლად, პალესტინა წერია.

6 Halliday, ‘An Elusive Normalization: Western Europe and the Iranian Revolution.’ *Middle East Journal* (1994), vol. 48, no. 2, 311.

სავლეთში ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბებულ განსხვავებულ რეალობაში, ამ 'მარადიული' ინტერესების განხორციელება ირანისთვის ბევრად უფრო რთული გახდა.

ა. ვენდტი აღნიშნავს, რომ „სტრუქტურული ცვლილებები ან კულტურული ცვლილებები ხდება მაშინ, როდესაც აქტორები თავიდან აყალიბებენ, თუ ვინ არიან ისინი და რა სურთ.“<sup>7</sup> ისლამურმა რესპუბლიკის დაფუძნებამ თავისთავად გამოიწვია რელიგიაზე დამყარებული ნორმებისა და ახალი იდენტობის შექმნა, რომელშიც მთლიანად არ იყო უგულვებელყოფილი 'ირანული იდენტობის' ელემენტები, მაგრამ ის უეჭველად ეფუძნებოდა განსხვავებული მსოფლმხედველობას, ფასეულობებსა და პრიორიტეტებს. რევოლუციური ატმოსფეროდან გამომდინარე, ამის შედეგი გახდა ირანის საგარეო პოლიტიკის პრინციპების გადასინჯვა. როგორც ზ. კარაბელი შენიშნავს, „ისლამური რეჟიმის თვალთახედვიდან, საერთაშორისო სისტემის შიგნით არსებული სახელმწიფო საზღვრები ხელოვნური კონსტრუქციებია, რომლებიც დიდწილად შექმნილია ევროპის კოლონიური და იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ. შესაბამისად, მათ აკლიათ ლეგიტიმურობა.“<sup>8</sup>

ახალი რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მთავარ დეკლარირებულ პრინციპად იქცა რევოლუციის ლიდერის, აიათოლა ხომეინის ფრაზა „არც დასავლეთი და არც აღმოსავლეთი, არამედ ისლამური რესპუბლიკა.“ ის მიიჩნევდა: „არაფერი უნდა არსებობდეს ისეთი, რაც შესაძლებელს გახდის რევოლუციის უზენაესი მიზნისგან გადახვევას, რასაც წარმოადგენს მსოფლიო ისლამური მმართველობა.“<sup>9</sup>

ხშირად ხაზი გაესმევა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა არის ქვეყანა, რომელსაც საკუთარი პოლიტიკური სისტემა, ისე როგორც საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ისლამურ და შიიტურ მოძღვრებებზე აქვს დაფუძნებული.<sup>10</sup> მართლაც, ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციიდან გამომდინარე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, თეორიული თვალსაზრისით, არსებითად იდეალისტურია. საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული პრინციპები რევოლუციურ ფასეულობებზეა ორიენტირებული.<sup>11</sup> ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციაში 'ეროვნული ინტერესები' არათუ არ იხსენიება, არამედ ასევე ეკონომიკური განვითარება და სხვა კავშირში მყოფი საკითხებიც არ არის მიჩნეული საგარეო პოლიტიკის მიზნებად. კონსტიტუციის 152-ე მუხლის მიხედვით, „ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს ყოველგვარი ჰეგემონისტური მისწრაფებების, მბრძანებლობისა და მორჩილების დაგმობა, ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისა

7 Wendt, 'Anarchy is what States Make of it', 397.

8 ob. Zachary Karabell, 'Fundamental Misconceptions: Islamic Foreign Policy.' Foreign Policy (1996-1997), no. 105.

9 [Rouhollah Khomeini, (Imam)], Sahifeh Noor: Majmooh rahnemoodhaye emam Khomeini. vol. 21 (Tehran: Sazman Madarek Farhangi Enghelabe Eslami, 1371/1992), 108.

10 ob. შაგ., Ali Akbar Alikhani, 'Iran's Religious Fundamentals and Principles in Interaction with the International System.' In: Anoushiravan Ehteshami & Reza Molavi (eds), Iran and the international system (Routledge, 2012), 3.

11 ფ. ჰალიდგი ადარებს ირანის, როგორც რევოლუციურ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას ადრეულ საბჭოთა საგარეო პოლიტიკას და ამგვარი პარალელის გაკლებით აყალიბებს მეტად საყურადღებო მიდგომას. Halliday, The Middle East in International Relations, 217.

და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ყველა მუსლიმის უფლებათა უზრუნველყოფა, უარის თქმა ჰეგემონისტურად განწყობილ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზე.<sup>12</sup> ამასთანავე, კონსტიტუციის მე-10 თავი გადის ისლამური ინტერნაციონალიზმის ფარგლებს გარეთ და ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად 'მსოფლიოში მჩაგვრელთა წინააღმდეგ ჩაგრულთა ბრძოლის მხარდაჭერას' სახავს. ირანელი მკვლევარი ჰ. აჰმადი თვლის, რომ საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, კონსტიტუცია შეიძლება ჩაითვალოს ისლამური იდეალიზმის საუკეთესო გამოვლინებად.<sup>13</sup>

ისლამის ზოგადი პრინციპი – ყოველგვარი ეროვნულის უარყოფა ერთიანი მუსლიმური თემის – უმმას პრინციპის საფუძველზე, ასევე იქცა ახლადშექმნილი ისლამური რესპუბლიკის მთავარ იარაღად. იმავე ხომეინის თანახმად, „ზოგჯერ სიტყვა უმცირესობა გამოიყენება ისეთი ხალხის მიმართ, როგორებიც არიან ქურთები, ლურები, თურქები, სპარსელები, ბელუჯები და სხვა. ამ ხალხებს არ უნდა ეწოდოთ უმცირესობა, რადგანაც ეს ტერმინი გულისხმობს, რომ ამ ძმებს შორის არის განსხვავება... არ არსებობს განსხვავება მუსლიმებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ, მაგალითად, არაბებსა და სპარსელებს შორის... სავარაუდოა, რომ ამგვარი პრობლემები შექმნეს მათ, ვისაც არ სურს, რომ მუსლიმური ქვეყნები გაერთიანდნენ... მათ შექმნეს ნაციონალიზმის, პანირანიზმის, პანთურქიზმის და მსგავსი 'იზმების' საკითხები, რაც ეწინააღმდეგება ისლამურ მოძღვრებებს. მათი გეგმაა გაანადგურონ ისლამი და ისლამური ფილოსოფია.“<sup>14</sup> ამგვარად, უმმა და ეთნიკური კუთვნილება ერთმანეთის საწინააღმდეგოდაა წარმოსახული.

რეალურად კი, 1979 წლის ირანის წარმატებული რევოლუცია აჩვენებს უმმას, მუსლიმური თემის სიმბოლური მოხმობისა და თანამედროვე სახელმწიფოს კონტექსტის კომბინაციას, ანუ ტრანსნაციონალური მოწოდებისა და ნაციონალური რეალობის შერწყმას.

ხომეინი გამოხატავს სეკულარულ ეროვნულ ინტერესს 'ნაციონალიზმის' (*melli garāi*) კონცეფციის უარყოფით. ის ასევე ნეგატიურად აფასებდა არსებულ საერთაშორისო სისტემას, რამდენადაც ის შექმნილი იყო ადამიანის 'არასრულყოფილი გონების' მიერ. ის კაცობრიობის კეთილდღეობისთვის აუცილებლად მიიჩნევდა ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც ისლამურ ფასეულობებს დაეფუძნებოდა. ხომეინის ამ ხედვას რ. რამაზანი „ისლამურ მსოფლიო წესრიგს“ უწოდებს.<sup>15</sup>

ამგვარად, ისლამურმა რესპუბლიკამ უარი თქვა ფაჰლავიანების მიერ არჩეულ სეკულარიზმის გზაზე უფრო რელიგიური იდენტობის სასარგებლოდ,

12 ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია. თარგმანი ნუგზარ თარხნიშვილისა. (თბილისი, 1994), კონსტიტუციაში საგარეო პოლიტიკის შესახებ იხ. მაგ., Asghar Schirazi, *The Constitution of Iran. Politics and the State in Iran.* (London and New York, 1997).

13 Hamid Ahmadi, 'The Dilemma of National Interest in the Islamic Republic of Iran.' In: Homa Katouzian & Hossein Shahidi (eds), *Iran in the 21<sup>st</sup> Century. Politics, Economics and Conflict* (Routledge, 2008), 30.

14 [Khomeini], *Pensées politiques d'ayatollah Khomeini. Présentation thématique au travers de ses écrits et de ses discours depuis 1941.* Trad. et présentation par Y.A. Henry (Paris: éditions A.D.P.F., 1988), 76.

15 Rouhollah K. Ramazani, 'Ideology and Pragmatism in Iran's Foreign Policy.' *Middle East Journal* (2004), vol. 58, no. 4, 555.

რომელშიც 'ირანული ნაციონალური იდენტობა' მეორადი გახდა მის 'ისლამურ განზომილებასთან' შედარებით. ირანის ახალ ლიდერებს სწამდათ, რომ ისლამი „საუკეთესო იარაღია მსოფლიოს ჩაგრული ხალხებისთვის დიდი სახელმწიფოების საწინააღმდეგოდ.“<sup>16</sup>

რევოლუციის შემდეგ, ირანის ლიდერები ხაზს უსვამდნენ ისლამური ერთობისადმი ერთგულებას. ისინი ამ შემთხვევაში ნაკლებად ამახვილებდნენ ყურადღებას ისლამური რესპუბლიკის შიიტურ ხასიათზე. საგარეო პოლიტიკის საკითხებზე მსჯელობისას ეყრდნობოდნენ რევოლუციის შემოქმედის, ხომეინის პანისლამურ და არა შიიზმზე ცენტრირებულ იდეებს. „თავისი ისტორიის უმეტესი ნაწილის მანძილზე ისლამური რესპუბლიკა მისდევდა დიდწილად არასექტარიანულ პოლიტიკას. ირანის ლიდერები ხაზს უსვამდნენ პანისლამური იდეების ერთგულებას.“<sup>17</sup>

ისლამური რესპუბლიკის არსებობის პირველ წლებში საგარეო პოლიტიკის მთავარი იდეა გახდა ისლამური რევოლუციის ექსპორტი. თეორიულად, რევოლუციის ექსპორტს ისეთივე სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც ისლამური რეჟიმისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. როგორც აღინიშნა, იმავე ხომეინის უკანა პლანზე გადაჰქონდა შიიტურ-სუნიტური დაპირისპირება და მთლიანად ისლამურ სამყაროს მოიცავდა. „რევოლუციის ექსპორტის მთავარი სამიზნე თეორიულად იყო ოთხი დიდი გეოგრაფიული არეალი: სპარსეთის ყურე, საბჭოთა კავკასია და ცენტრალური აზია, ავღანეთი და ლიბანი.“<sup>18</sup>

რევოლუციის გარიჟრაჟზე, მეჰდი ბაზარგანმა, დროებითმა პრემიერ მინისტრმა, მხარი დაუჭირა მიუმხრობლობას და, მისივე სიტყვებით, „ნეგატიური გაწონასწორების“ პოლიტიკას, რაშიც იგულისხმებოდა „ირანის დამოუკიდებლობის შენარჩუნება ერ-სახელმწიფოზე დამყარებულ საერთაშორისო სისტემის კონტექსტში.“<sup>19</sup> თუმცა, რევოლუციონერმა ექსტრემისტებმა, რომლებიც საკუთარ თავს „მაქთაბის“ ან „იმამის (ხომეინის) კურსის მიმდევრებს“ უწოდებდნენ, ეროვნულ ინტერესებთან შედარებით პრიორიტეტი მიანიჭეს რევოლუციის ექსპორტის იდეას. რევოლუციური ირანი მოუწოდებდა განვითარებად, უპირველესად კი მუსლიმურ ქვეყნებს მსოფლიო წესრიგის შეცვლისკენ. ამგვარად, „რევოლუციის ექსპორტის იდეამ რევოლუციონერი იდეალისტების დღის წესრიგში მთავარი ადგილი დაიკავა.“<sup>20</sup> ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ირანული რევოლუცია მისი მიმდინარეობისას და გამარჯვების შემდეგ არაერთი თვის მანძილზე, მუსლიმურ სამყაროში

16 Shaul Bakhash, 'Iran's Foreign Policy under the Islamic Republic, 1979-2000.' In: Carl Brown (ed.), *Diplomacy in the Middle East: The International Relations of Regional and Outside Powers*. (I.B. Tauris, 2001), 248.

17 Afshon Ostovar, 'Sectarianism and Iranian Foreign Policy.' In: Frederic M. Wehrey (ed.), *Beyond Sunni and Shia: The Roots of Sectarianism in a Changing Middle East*. (Oxford University Press, 2017), 88. მართლაც 'პროშიიტური' კურსის აღება, თუ არ ჩავთვლით ლიბანში ჰეზბოლას შექმნას (იხ. ქვემოთ) XXI საუკუნის დასაწყისიდან ვლინდება – პირველ რიგში, ერაყში 2003 წელს სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ.

18 Ramazani, *Independence without Freedom. Iran's Foreign Policy*. (University of Virginia Press, 2013), 172. საბჭოთა კავკასიასა და ცენტრალურ აზიასთან მიმართებაში, ბუნებრივია, ამგვარი ამბიციები 1980-იანი წლების დასაწყისში სრულიად უტოპიური იყო. თუმცა, სხვა ქვეყნებთან დაკავშირებითაც ძირითადად უტოპიური გამოდგა.

19 Ramazani, 'Iran's Foreign Policy: Contending Orientations.' *Middle East Journal* (1989), no. 43, 206.

20 Esfahani, *Iran's Foreign Policy*, 52.

ფართოდ აღიქმებოდა შთაგონების წყაროდ, უფრო ფართოდ კი მესამე სამყარო-შიც. მაგრამ რევოლუციის ეს უკიდურესად პოზიტიურად აღქმა მალე შემცირდა, შენარჩუნდა მხოლოდ რამდენიმე შიიტურ და რადიკალურ ისლამისტურ ჯგუფში.<sup>21</sup>

იდეოლოგიაზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის გატარებას, პირველ წლებში, ირანი უპირველესად სპარსეთის ყურის ქვეყნებში ცდილობდა.<sup>22</sup> მაგრამ სულ მალე აშკარა გახდა, რომ მხოლოდ ისლამური ერთობის იდეალებზე დაყრდნობით შეუძლებელი იყო რეგიონული პოლიტიკის წარმართვა. ერაყთან ომი ამის საუკეთესო მაგალითი გამოდგა – ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი მუსლიმური ქვეყანა (ამასთანავე, ერაყშიც მოსახლეობის უმრავლესობას შიიტები შეადგენენ). ორივე მხარე იყენებდა ისლამურ ლოზუნგებს (ამ მხრივ, ერაყის მაგალითი პარადოქსულია, ვინაიდან იმ პერიოდში ერაყის სათავეში იყო ბაასი – არაბული სოციალისტური სეკულარული პარტია), მაგრამ ომი რეალურად მიმდინარეობდა არა იდეების საფუძველზე, არამედ ტერიტორიებისთვის – კერძოდ, ნავთობსაბადოებით მდიდარი მდ. შატ ალ-არაბის მიმდებარე მიწებისთვის. პრაგმატიზმისა და რეალისტური პოლიტიკის ნიშნები ომის მიმდინარეობისაც გამოვლინდა. კერძოდ, ეს იყო „ირან-კონტრას“ ცნობილი ისტორია.<sup>23</sup>

საბოლოო ჯამში კი, ერთადერთი წარმატებული პროექტი, რომელიც თეორიულად ისლამური რევოლუციის ექსპორტის გამოხატულებას წარმოადგენდა, მაგრამ სინამდვილეში პრაგმატულ გეოპოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა, იყო ლიბანში „ჰეზბოლას“ შექმნა, რომელიც ანგარიშგასაწევ სამხედრო-პოლიტიკურ ძალად იქცა.

თანდათან აშკარა გახდა, რომ ისლამური რესპუბლიკის იდეალისტური საგარეო პოლიტიკის წარმართვა, რომელიც ეფუძნებოდა ისლამური სამყაროს დაცვას, განსაკუთრებით კი ისლამური მოძრაობებისას, ფუჭი ოცნება იყო. ირანის პოლიტიკა დროთა განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტური მიდგომების ჩარჩოებში (ნაწილობრივ მაინც) მოექცა. ეროვნული უარყოფა და ისლამური სოლიდარობის ხაზგასმა, მესამე სამყაროსეული ჩაგრულების მჩაგვრელებზე გამარჯვებისთვის ბრძოლის მზადყოფნა, დიდწილად გამოუსადეგარი გამოდგა საგარეო პოლიტიკაში. შემდგომში არაერთხელ დადასტურდა როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ პოლიტიკაში, რომ ამგვარი იდეალიზმი მეორე პლანზე გადადის რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობის შემთხვევაში.

ადრეულმა რევოლუციურმა მიზნებმა – „საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციამ“ და „ისლამური რევოლუციის ექსპორტმა“ – ირანის რეგიონული და

21 Nikki R. Keddie, *The Iranian Revolution and Its Influence*. In: Keddie, *Iran and the Muslim World: Resistance and Revolution*. (New York University Press, 1995), 118-119.

22 ყველა მძიმე ინციდენტი მოხდა 1987 წელს მექაში, როდესაც 275 ირანელი პილიგრიმი დაიღუპა.

23 1986 წელს ცნობილი გახდა, რომ შეიარაღების შესყიდვაზე დაწესებული ემბარგოს მიუხედავად, აშშ ირანს საიდუმლოდ აწვდიდა სამხედრო დანიშნულების აღჭურვილობისთვის სათადარიგო ნაწილებს; გაყიდვიდან მიღებული თანხით კი ფინანსდებოდა ნიკარაგუის ოპოზიციური მოძრაობა „კონტრას“. კიდევ უფრო პარადოქსულია, რომ შუამავალი ისრაელი იყო, რომელსაც მიზეზთა გამო, არ აწყობდა ირან-ერაყის ომში არცერთი მხარის სრული გამარჯვება.



საერთაშორისო იზოლაცია გამოიწვია. 80-იანი წლების მიწურულიდან კი ქვეყნის ლიდერებმა გააცნობიერეს, რომ საჭირო იყო მათი *modus operandi*-ის შეცვლა გადარჩენისა და სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარებისთვის. შედეგად, „როდესაც ტრანსნაციონალური ისლამური სოლიდარობის მოწოდება არაფრის მომტანი აღმოჩნდა, დაიწყო ირანის წარმოდგენა ძლიერ ნაციად, (*Mellat-e bozorg-e Irān* – დიდი ირანელი ერი) და ეს გაითავისეს როგორც რეფორმატორთა ბლოკმა, ისე კონსერვატულმა ძალებმა.“<sup>24</sup>

აქცენტი ირანელობაზე, ისლამურობის “შემავსებლად”, როგორც ნაციონალური იდენტობის ატრიბუტზე, იკვეთება ხომეინის უკანასკნელ ეპისტოლე-ანდერშიც კი.<sup>25</sup> კიდევ ერთი გამომხატულება ნაციონალიზმის პოზიციების აღდგენისა არის რეჟიმის უშუალო მცდელობა 1980 და 1990 წლებში შეეცვალა ირანის ეროვნული ჰიმნი ისლამური შეფერილობის მქონე ჰიმნით.<sup>26</sup>

პ. ფაჰლავი და ა. ჰოჯათი იყენებენ ტერმინს „წინდახედული რეალიზმი“ (*prudential realism*) ირანის აშკარად არათანმიმდევრული საგარეო პოლიტიკის აღწერისას იმის დასასაბუთებლად, რომ როდესაც ქვეყნის „ინტერესები მამოძრავებელი ძალაა ნაციონალური არჩევანისთვის“, ეს ყოველთვის არაა თანაბარმნიშვნელოვანი „ძალის მაქსიმიზაციისა შეიარაღების გაზრდის საშუალებით.“<sup>27</sup> უეჭველად, ირანის ისლამური იდენტობა საკვანძო მნიშვნელობისაა მის ნაციონალურ იდეოლოგიაში, მაგრამ არ ხდება მისი ბრმად გამოყენება ყველა სხვა დანარჩენის ხარჯზე. ამასთანავე, ირანი არ ცდილობს გაძლიერებას მხოლოდ სამხედრო ძალის საშუალებით და იღწვის გამოიყენოს როგორც კულტურული, ისე რელიგიური სახის ‘რბილი’ დიპლომატია.

მაგალითისთვის, ირანი თავისუფლად ითავისებს სეკულარულ პანირანულ ნაციონალიზმს და მუსლიმურ სოლიდარობას ქურთების მოსაზიდად, მაგრამ იმავდროულად ჩრდ. ერაყში ავტონომიური ქურთული რეგიონისა და მის მიერ ქურთული ნაციონალიზმის (*kurdayeti*) პრომოციას, ‘რბილ საფრთხედ’ აღიქვამს.<sup>28</sup>

იმის მიხედვით, თუ რომელი აღქმა დომინირებს, ირანის საგარეო პოლიტიკური ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებით ფასდება. პირველია რელიგიურ ირაციონალიზმზე დამყარებული პოლიტიკა, რომელიც ბირთვულ პროგრამასთან კომბინირებით გლობალურ საფრთხე წარმოადგენს – ამ ხედვის მომხრეებს სწამთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა მთელი ძალით უნდა აღუდგეს წინ ამ პროგრამას; მეორე საპირისპირო ხედვის მიხედვით კი, იდეოლოგია მხოლოდ სამოსელია ერ-სახელმწიფოსთვის, რომელიც რაციონალურად მოქმედებს თავისი ინტერესების შესაბამისად. უფრო ღრმა დაკვირვება ავლენს, რომ არც ერთი ეს

24 Halliday, *The Middle East in International Relations*, 310.

25 იხ. იმამ ხომეინი, უკანასკნელი ეპისტოლე: პოლიტიკურ-რელიგიური ანდერძი. (თბილისი, 2006), 38-39, 107-108.

26 Shmuel Bar, ‘Iranian Defense Doctrine and Decision Making.’ (The Interdisciplinary Center Herzliya Lauder School of Government..., 2004). <https://citeseerx.ist.psu.edu...pdf>

27 Pierre Pahlavi & Afshin Hojati, ‘Iran and Central Asia: The Smart Politics of Prudent Pragmatism.’ In: Emilian Kavalski (ed.), *The New Central Asia: The Regional Impact of International Actors* (Singapore: World Scientific Publishing Co., 2010), 223.

28 Walter Posch, ‘Fellow Aryans and Muslim Brothers: Iranian Narratives on the Kurds.’ In: Gareth Stansfield & Mohammed Sharif (eds), *The Kurdish Question Revisited* (London: C. Hurst & Co., 2017), 345.

მოსაზრება არ არის სათანადოდ დასაბუთებული. თითქოს გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ „იდეოლოგია და პრაგმატიზმი განუყოფელია ირანის საგარეო პოლიტიკაში“; მაგრამ რეალურად, იდეოლოგიაც დიდწილად პრაგმატული მიზნების სამსახურშია ჩაყენებული.

პრაგმატიზმი საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა აია-თოლა ხომეინის სიკვდილის შემდეგ. 2003 წელს ინტერვიუში ყოფილმა პრეზიდენტმა ჰაშემი რაფსანჯანიმ (1989-1997) (ამ პრაგმატული პოლიტიკის ერთ-ერთმა შემოქმედმა) განაცხადა, რომ იდეოლოგიისა და ეროვნული ინტერესის თანაფარდობა საგარეო პოლიტიკაში დამოკიდებულია მოცემულ დროსა და ადგილზე არსებულ პირობებზე.<sup>29</sup>

პრაგმატიზმისა და გახსნილობის შერწყმა შეადგენდა პრეზიდენტ მოჰამად ხათამის (1997-2005) საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს. ამასთანავე, სწორედ ხათამის პრეზიდენტობის მიწურულს გახდა ცნობილი ირანის ბირთვული პროგრამის არსებობის შესახებ, რამაც გაზარდა დაძაბულობა ირანსა და დასავლეთს შორის; განაპირობა ახალი სანქციების დაწესება. შემდეგი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი (2005-2013) ბევრად უფრო ხისტი პოლიტიკის (თითქოსდა, იდეოლოგიაზე დამყარებულის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში სრულიად ირაციონალურის) მომხრე აღმოჩნდა, რამაც ხელი შეუწყო ირანის კიდევ უფრო გარიყვას საერთაშორისო არენიდან და გამოიწვია ახალი სანქციების დაწესება.

პრეზიდენტი ჰასან რუჰანი (2013-2021) ხელისუფლების სათავეში მოვიდა უკიდურესად პრაგმატული მიზნით – ეხსნა ქვეყანა სანქციებისგან. ჰასან რუჰანის საგარეო პოლიტიკური დოქტრინა ითვალისწინებდა რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ირანის პოზიციების გამყარებას; ირანული საქონლისთვის დახურული ბაზრების გახსნას და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას; საერთაშორისო სისტემაში ირანის ჩართულობის გაზრდას; კონფლიქტებისა და დაპირისპირების საშიშროებების თავიდან აცილებას; ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ქვეყანაზე პოლიტიკური და ეკონომიკური წნეხის შემცირებას; „მეზობელ ქვეყნებთან დაახლოებას და ინტერაქტიური საგარეო პოლიტიკით ინტარეგიონული თანამშრომლობის განვითარებას.“<sup>30</sup> რუჰანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ირანის ‘რბილი ძალის’ გამოყენების მნიშვნელობას საერთაშორისო არენაზე, გამომდინარე ირანის მდიდარი კულტურული და ცივილიზაციური მემკვიდრეობიდან.<sup>31</sup>

ხათამის „ცივილიზაციათა დიალოგის“ ან აჰმადინეჟადის ‘მსოფლიო სამართლიანობის მმართველობის’ (*hukumat-e adl-e jahāni*) იდეების მსგავსი გლობალური სტრატეგიის არარსებობის პირობებში, რუჰანის იდეები რეგიონსა და ქვეყნის უსაფრთხოებაზე იყო ფოკუსირებული, მისი საგარეო პოლიტიკური ნააზრევი კი – უფრო ინსტრუმენტულ და პრაგმატულ ხასიათს ატარებდა.<sup>32</sup>

29 ციტ. Ramazani, ‘Ideology and Pragmatism,’ 555.

30 Mahdi Ahoie, ‘Exploring President Rouhani’s Foreign Policy Doctrine 2013–2017.’ In: Luciano Zaccara (ed.), *Foreign Policy of Iran under President Hassan Rouhani’s First Term (2013–2017)* (Palgrave Macmillan, 2020), 18.

31 იხ. Rouhani, Hassan, *Revāiat-e tadbir va omid*. Tehran, 2013, 59–60.

32 Nikolay Kozhanov, ‘Iran and Russia: Between Pragmatism and Possibilities of a Strategic Alliance.’ In: *Foreign Policy of Iran under President Hassan Rouhani’s...*, 132.

2021 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა კონსერვატორთა კანდიდატმა ებრაჰიმ რაისიმ. მიუხედავად მოსალოდნელი ხისტი საგარეო პოლიტიკისა, ირანის პრეზიდენტი ინტერესები მოითხოვს, რომ როგორმე აღდგეს ბირთვული შეთანხმება და ირანს მოესწინას სანქციები. წინააღმდეგ შემთხვევაში, საშინაო პრობლემების მოგვარება უბრალოდ შეუძლებელი იქნება (ჩინეთის, ანდა რუსეთის მხარდაჭერის პირობებშიც კი). შესაბამისად, ირანისთვის ასევე შეუძლებელი გახდება საგარეო პოლიტიკური მიზნების განხორციელება. უკრაინაში რუსული აგრესიის შემდეგ კი, საგარეო პოლიტიკური კურსის კორექტირება უპირობოდ შედის ირანის ინტერესებში.

უმნიშვნელოვანესი კითხვაა, თუ ვინ არის საგარეო პოლიტიკური საკვანძო საკითხების შესახებ ქვეყანაში საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები. ირანის სპეციფიკური პოლიტიკური მოწყობიდან გამომდინარე, ამ თვალსაზრისით პრეზიდენტი შეზღუდულია. ქვეყნის სულიერ ლიდერს, რომელსაც ემორჩილება ძალოვანი სტრუქტურები, ამ მხრივაც გამორჩეული პოზიცია უკავია. სულიერი ლიდერი ყველა საჭირობო საკითხზე, რომელიც საგარეო პოლიტიკას ეხება, აკეთებს განცხადებებს. დასავლეთის მიმართ ეს განცხადებები ხშირ შემთხვევაში უკიდურესად ხისტია. აქვე ხაზგასასმელია, რომ პრეზიდენტების განცხადებები, ტრადიციულად, მეტწილად ემთხვეოდა უზენესი ლიდერის პოზიციას, თუმცა ბევრად უფრო ნაკლებად ხისტი იყო (აჰმადინეჟადს თუ არ ჩავთვლით).

საგარეო პოლიტიკის შესამუშავებლად სულიერი ლიდერი ეყრდნობა ორ ინსტიტუციას: უზენესი ლიდერის ბიუროს (*beit-e rahbari*) და ეროვნული უსაფრთხოების უზენესი საბჭოს, რომელშიც შედიან რესპუბლიკის პრეზიდენტი, რევოლუციის გუშაგთა ხელმძღვანელობა, საიდუმლო სამსახურებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. ამ ორ ინსტიტუტში მიმდინარე დებატები დახურულია და რთულია მათი ფუნქციონირების დეტალების შესახებ საუბარი. საჯარო გამოსვლების დროს სულიერი ლიდერი რეგულარულად საზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კონტურებს. ზოგჯერ თვითონ სულიერი ლიდერი აგზავნის საკუთარ ემისრებს გარკვეული საკითხების გადასაწყვეტად, რამდენადაც, მაგალითად, საკმაოდ სენსიტიური ურთიერთობები ერაცთან და სირიასთან არ ექვემდებარება საგარეო საქმეთა სამინისტროს კონტროლს და მას წარმართავს რევოლუციის გუშაგთა კორპუსის სექცია, რომელსაც საგარეო საკითხები ეხება – ყოფსი.<sup>33</sup>

ირანის სტრატეგიული ქცევისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ანალიზისას მნიშვნელოვანია ხაზია გაესვას, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში იკვეთება ორი დონე, რომელთაც უზენესი ლიდერი აკონტროლებს, მაგრამ რომლებიც ურთიერთგანსხვავებულია როგორც შინაარსით, ისე ფორმით. პირველია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების დონე, რომელსაც უმრავლეს შემთხვევებში ძირითადად წარმართავს თეირანის არჩეული ხელისუფლება. მეორეა ირანის ურთიერთობები არასახელმწიფოებრივ აქტორებთან, რომელთაც ახორციელებს გუშაგთა კორპუსი და რომლებიც ძირითადად ხორციელდება არჩეული ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე.<sup>34</sup>

33 Djilili, 'Politique étrangère de l'Iran – entre religion, révolution et pragmatisme.' *Confluences Méditerranée*, (2014), no. 88, 192.

34 Ostovar, 'Sectarianism and Iranian Foreign Policy,' 92.

ისლამური რესპუბლიკის სპეციფიკური მოწყობიდან გამომდინარე, პრეზიდენტი უფრო მთავრობის მეთაურია, ვიდრე სახელმწიფოსი.

უოლტერ პოში რამდენიმე წლის წინ წერდა, რომ ისლამური რევოლუციიდან 30 წლის შემდეგაც კი დასავლეთში ბევრისთვის ჯერ კიდევ გაუგებარია, თუ რა იდეოლოგიას ეყრდნობა ამჟამად ირანი და, აქედან გამომდინარე, რა პრინციპებითა და მიზნებით წარიმართება ირანის საგარეო პოლიტიკა. ამასთანავე, საგარეო პოლიტიკის სფეროში საბოლოო გადაწყვეტილება ფორმულირებულია უზენაესი ლიდერის მიერ, როგორც პოლიტიკური ელიტის მიღწეული კონსენსუსი.<sup>35</sup>

ამგვარად, ირანის საგარეო პოლიტიკაში იდეოლოგია და პრაგმატიზმი პრაქტიკულად თანაარსებობენ. თუმცა, იდეოლოგია სწორედამ პრაგმატული მიზნებისთვის გამოიყენება და თითქოსდა იდეოლოგიით მოტივირებული ქმედებები (ამ შემთხვევაში უპირველესად შიიტური სოლიდარობა) მხოლოდ დეკლარატიული ხასიათისაა და მოწოდებულია წმინდა პრაგმატული (ახლო აღმოსავლეთის შემთხვევაში – ექსპანსიონისტური) პოლიტიკის შესანიღბად. ქვემოთ ამის დასადასტურებლად უფრო ვრცლად იქნება საუბარი.

ზოგადად კი ირანის საგარეო პოლიტიკურ პრინციპებს შორის (რომელთაგან ნაწილი უფრო თეორიულ და არა რეალურ ხასიათს ატარებს), უნდა გამოიყოს ისლამური უნივერსალიზმი, შიიტური პარტიკულარიზმი, მესამე სამყაროსადმი სოლიდარობა (ტიერმონდიზმი), სპარსული კულტურა და ირანული ნაციონალიზმი.

შეჯამების სახით კი უნდა ითქვას, რომ ირანის საგარეო პოლიტიკაში უპირველესად იკვეთება რეალიზმის სხვადასხვა მიმდინარეობების ზეგავლენა, მაგრამ ასევე კონსტრუქტივიზმის ელემენტებიც.

### **ირანის ახლოაღმოსავლური პოლიტიკა: „შიიტური ნახევარმთვარე“ – რეალობა თუ ფიქცია?**

ირანის ახლოაღმოსავლური პოლიტიკის დახასიათებისას ყველაზე ხშირად ხაზგასმულია ამ პოლიტიკის იდეოლოგიური ხასიათი. ლაპარაკია როგორც პანისლამურ, ისე შიიტურ სოლიდარობაზე. „სადაც საქმე გეოპოლიტიკას ეხება, ირანმა რელიგიური განზომილებით შეავსო თავის საგარეო პოლიტიკა... რევოლუციის შემდეგ, ისლამურმა საკითხებმა წინ წამოიწია ირანის რეგიონულ იმიჯსა და მის პოლიტიკაში მრავალი მეზობლის მიმართ.“<sup>36</sup> თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, სიღრმისეული ანალიზის შემთხვევაში ნათელი ხდება, რომ იდეოლოგია ხშირად მხოლოდ საფარველია პრაგმატული მიზნების განსახორციელებლად – ზოგჯერ კი, მეტიც – იდეოლოგია უბრალოდ ‘გამოგონილია’ ექსპანსიონისტური მიზნების ‘ლეგიტიმაციისთვის’. თავდაპირველად გავანალიზებ შეხედულებებს ირანის ახლოაღმოსავლური პოლიტიკის შესახებ და შემდეგ შევეცდები ამ მოსაზრების გამყარებას როგორც ცალკეულ ქვეყნებთან, ისე ზოგადად რეგიონთან მიმართებაში.

21-ე საუკუნეში ირანის ჩართულობამ ერაყსა და სირიაში მიმდინარე პროცე-

35 Walter Posch, *The Third World, Global Islam and Pragmatism: The Making of Iranian Foreign Policy*, SWP Research Paper, no. 3 (Berlin, 2013). <https://www.swp-berlin.org...pdf>.

36 Anushiravan Ehteshami, ‘The Foreign Policy of Iran.’ In: Raymond Hinnebusch & Anoushiravan Ehteshami (eds), *The Foreign Policies of Middle East States*. (Boulder, CO: Lynne Rienner, 2002), 287.

სებში თითქოსდა გაამყარა ნარატივი „შიიტური ნახევარმთვარის“ არსებობის შე-სახებ – ეს ტერმინი გამოიყენა იორდანის მეფე აბდულამ 2005 წელს რელიგიური შეფერილობის მქონე ‘წინააღმდეგობის ლერძის’ დასახასიათებლად. “შიიტური პო-ლიტიკის”, როგორც ‘სუნიტურ პოლიტიკასთან’ დაპირისპირებულის კონცეფციები ფართო გამოიყენება პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების მიერ, რაც აჩვენებს კონფესიური იდენტობების უზრუნველმყოფ ძალას გამოიწვიოს ძალადობისკენ მიმართული მობილიზაცია.<sup>37</sup> ამ შეხედულებასთან ახლოს დგას ა. ოსთოვარის მო-საზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ მიუხედავად პანისლამური სულისკვეთებისა, ახლო აღმოსავლეთში ირანის სტრატეგიული მიდგომა ფოკუსირებულია შიიტური შეიარაღებული ჯგუფების მხარდაჭერაზე. ამ არასახელმწიფოებრივი აქტორების მხარდაჭერამ კი ხელი შეუწყო ირანს რეგიონული ზეგავლენის გაზრდაში, განსა-კუთრებით ერაყში, ლიბანში, სირიასა და იემენში.<sup>38</sup>

პირველ რიგში, განვიხილოთ, არსებობს თუ არა მართლაც „შიიტური ნახევა-რმთვარე“ ირანის გარდა, შიიტთა<sup>39</sup> მნიშვნელოვანი თემებია ერაყში (მოსახლეო-ბის დაახლ. 60%), ქუვეითში (20-25%), ლიბანში (არაოფიციალური მონაცემებით – თითქმის 50%), ბაჰრეინში (დაახლ. 65-70%), იემენში (დაახლ. 35-40%).<sup>40</sup> შიიტური აქტივობის ქვეყნებად ასევე მიიჩნევენ სირიას. თითქოსდა, ამგვარი შთამბეჭდავი რიცხვი „შიიტური ნახევარმთვარის“ არსებობის დასტურია. მაგრამ სინამდვილეში საქმე ასე მარტივად არ არის. ქუვეითი და ბაჰრეინი პატარა ქვეყნებია და მათი წონა ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში არც თუ ისე მნიშვნელოვანია. რაც შეეხება სირიას, აქ ერთ-ერთი შიიტური მიმდინარეობის წარმომადგენლები – ალავიტები, არაოფიციალური მონაცემებით, შეადგენენ მოსახლეობის დაახლ. 15%-ს და დღეს ისინი არიან ხელისუფლების სათავეში. მაგრამ საქმე ის არის, რომ ალავიზმი უკი-დურესად დაშორებულია ორთოდოქსულ შიიზმს და როგორც სუნიტური, ისე ში-იტური თვალთახედვიდან, უბრალოდ მწვალებლობაა. გარდა ამისა, მმართველი პარტია ბაასი (არაბული სოციალისტური პარტია) სეკულარული პარტიაა და ამ შემთხვევაში მართლაც რთულია შიიტურ სოლიდარობაზე ლაპარაკი. იგივე შეი-ძლება ითქვას იემენის შესახებ – აქაური შიიტები ზაიდზიმის მიმდევრები არიან, ეს მიმდინარეობა ასევე დიდად არის დაშორებული ორთოდოქსული შიიზმისგან (მეტეც – საკმაოდ ახლოს დგას სუნიზმთან). ამგვარად, „შიიტური ნახევარმთვა-რის“ კონცეფცია დიდწილად ‘გამოგონილი იდეოლოგიური საფრთხობელაა’, ვი-დრე რეალობა.

37 Marina Calulli, ‘Middle East Security: The Politics of Violence after the 2003 Iraq War.’ In: Louise Fawcett (ed.) International Relations of the Middle East. Fifth Edition. (Oxford University Press, 2019), 236.

38 Afshon Ostovar, ‘Sectarian Dilemmas in Iranian Foreign Policy: When Strategy and Identity Politics Collide.’ (Carnegie Endowment for International Peace, 2016). <https://carnegieendowment.org...> (წვდომა: 07/05/2021).

39 აქვე უნდა აღნიშნოს, რომ არსებობს არაერთი შიიტური მიმდინარეობა. ამჟამად ყვე-ლაზე მრავალრიცხოვან მიმდინარეობას წარმოადგენენ ე. წ. თორმეტი იმამის ამღიარე-ბელი შიიტები (იმამიტები). შიიზმის სწორედ ეს ვერსიაა დღეს ირანის ოფიციალური რე-ლიგია.

40 აქ არ არის გათვალისწინებული პაკისტანის და ინდოეთის შიიტური თემები, რადგანაც ეს ქვეყნები მანც ახლო აღმოსავლეთის გარეთ არსებულად მიიჩნევა და აქ შიიტებიც არ გამოირჩევიან საგარეო პოლიტიკური აქტივობით.



სრულიად სხვა საკითხია ირანის მიერ რეგიონში მოკავშირეების ძიება ან მოწინააღმდეგეების შევიწროება (აქაც, ბუნებრივია, გამოიყენება იდეოლოგიური ფაქტორი, რომელიც რეალურად ექსპანსიონისტური გეოპოლიტიკური ინტერესების საფარველია).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რელიგიური თვალსაზრისით ირანის მოკავშირედ (ნაწილობრივ მაინც) შეიძლება ჩაითვალოს, პირველ რიგში, ერაყი. პარადოქსულია, რომ ამ ორ ქვეყანას შორის სულ რამდენიმე ათეული წლის წინ მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიმღვრელი ომი მიმდინარეობდა. 2003 წლიდან, ერაყში აშშ-ისა და საერთაშორისო ძალების ინტერვენციისა და სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ირანისთვის აქ ფართო შესაძლებლობები გაიშალა. ერაყში ინტერვენცია თავდაპირველად თითქოსდა საფრთხეს წარმოადგენდა ირანისთვის, მაგრამ თანდათანობით გამოჩნდა, რომ ერაყის შიიტ მოსახლეობასთან კავშირიდან გამომდინარე, ეს ისლამური რესპუბლიკისთვის ქმნიდა ფართო შესაძლებლობებს. სხვა სიტყვებით, ომმა პარადოქსული გზით შეუქმნა ირანს საშუალება მეტი ზეგავლენის მოპოვებისთვის ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში.<sup>41</sup> ერაყი, ირანის შემდეგ, გახდა მეორე ქვეყანა, რომელსაც ერთ დროს დევნილი შიიტური უმრავლესობა მართავს. ირანი სამხედრო თვალსაზრისითაც საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი ერაყში და ეხმარება ხელისუფლებას წესრიგის შენარჩუნებაში, გარკვეულ დონეზე მაინც. დიდი იყო ირანის წვლილი „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში ერაყში (პარადოქსულია, მაგრამ ამ შემთხვევაში აშშ-ს და ირანს საერთო ინტერესები ამოძრავებდათ და ზოგ შემთხვევაში ერთობლივადაც მოქმედებდნენ).<sup>42</sup> ერაყის სუსტი შიიტური ხელისუფლებისთვის ირანი პრაქტიკულად ‘უფროსი ძმის’ როლს ასრულებს. ამასთანავე, ისიც აღსანიშნავია, რომ არამხოლოდ სუნიტური უმცირესობა, არამედ შიიტთა ნაწილიც არ მალავს უკმაყოფილებას ირანის ამგვარი დომინირების გამო; მეტიც – ერაყის ხელისუფლების მხრიდანაც კი გაისმის პერიოდულად (თუნდაც ზომიერი) პროტესტი.

ისლამური რესპუბლიკის ყველაზე ხანგრძლივი (და ‘ერთგული’) მოკავშირე სირიაა. ჯერ კიდევ ირან-ერაყის ომის დროს, აშშ-ისა და საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, რომლებიც პრინციპში ერაყს უჭერდნენ მხარს, ირანის ერთადერთი მხარდამჭერი სირია იყო (გამომდინარე ერაყთან დაპირისპირებიდან – თუმცა, ორივე ქვეყნის სათავეში ბაასის პარტია იდგა). თეირანის მჭიდრო კავშირს ბაასისტურ სირიასთან არ განაპირობებს ერთიანი ფასეულობები – ჰაფეზ ასადის და შემდგომ მისი ვაჟის, ბაშარ ასადის სეკულარული, არაბული ‘სოციალისტური’ რეჟიმი არ შეიძლებოდა აიათოლა ხომეინის მოსაწონი ყოფილიყო – ის უბრალოდ ემყარებოდა საერთო მტრებთან – ისრაელთან და სადამ ჰუსეინის ერაყთან დაპირისპირებას.

ცალკე საკითხია ლიბანი, სადაც, როგორც აღინიშნა, ირანმა ერთადერთი წარმატებული პროექტი განახორციელა „ჰეზბოლას“ შექმნის სახით. მულტიკონფე-

41 Pejman Abdolmohammadi & Giampiero Cama, *Contemporary Domestic and Foreign Policies of Iran*. (Palgrave Macmillan, 2020), 168.

42 თუმცა, არსებობდა წინააღმდეგობებიც. ამის დასტურია ირანელი გენერლის, სოლეიმანის მკვლელობა ერაყში ამერიკელების მიერ 2020 წლის დასაწყისში.

სიურ ლიბანში, სადაც თავის დროზე შიიტთა თემი პრაქტიკულად ჩამოშორებული იყო მმართველობას, დღეს ვითარება შეცვლილია. ირანის მხარდაჭერისა და დაფინანსების წყალობით, „ჰეზბოლა“ გავლენიან სამხედრო-პოლიტიკურ ძალად იქცა. გარდა იმისა, რომ „ჰეზბოლას“ წევრები წარმოდგენილი არიან სამთავრობო სტრუქტურებში, მათ შიიტებით დასახლებულ ქვეყნის სამხრეთში პრაქტიკულად დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნეს. „ჰეზბოლა“, სამხედრო თვალსაზრისით, ირანის უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ის აქტიურად არის ჩართული სირიის სამოქალაქო ომში ხელისუფლების მხარეს და, რაც მთავარია, რეგიონში ირანის მთავარი მტრის, ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ ირანის მოკავშირეთა რიცხვი რეგიონში ამით ამოიწურება. რაც შეეხება მტრებს, პირველ რიგში, ბუნებრივია, უნდა დასახელდეს ისრაელი. პარადოქსულია, მაგრამ გეოპოლიტიკურ დონეზე, ირანი და ისრაელი თითქოსდა ბუნებრივი მოკავშირეები არიან. როგორც არაარაბი რეგიონალური აქტორები, მათი საერთო ინტერესია ახლო აღმოსავლური არაბული სამყაროს მზარდი პოლიტიკური ძალის შეკავება. შაჰის ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელსაც მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა ჰქონდა ისრაელთან, ისლამური ხელისუფლება, დეკლარირებული ისლამური სოლიდარობის, ანტიამერიკანიზმის თუ 'მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლის მზადყოფნის' გამო, უბრალოდ არ შეიძლებოდა, რომ ისრაელის მოწინააღმდეგე არ ყოფილიყო. „ჰეზბოლას“ შექმნით და ისრაელის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის ბრძოლით, ირანი არაბული საქმის განმახორციელებლადაც წარმოჩნდა.<sup>43</sup> ორ ქვეყანას შორის დღეს არსებული ურთიერთობები შეიძლება მოინათლოს დაბალი ინტენსივობის კონფლიქტადაც. ორივე მხრიდან ხშირია ხისტი განცხადებები და მუქარები. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე პრეზიდენტმა აჰმადინეჟადმა ჰოლოკოსტიც კი უარყო, თუმცა როგორც რეფორმატორებმა, ისე კონსერვატორებმა, დაგმეს აჰმადინეჟადის ეს განცხადება.<sup>44</sup> ამასთანავე, ირანის დაპირისპირება ისრაელთან რეალურად გამოიხატება პალესტინური და სხვა, ტერორისტულად მონათლული ორგანიზაციების მხარდაჭერით. ეს მხარდაჭერა კი მორალური და ფინანსურია, მაგრამ არა პირდაპირი ჩართვა კონფლიქტში. სულიერმა ლიდერმა ხამენეიმ ისიც განაცხადა, რომ „პალესტინის საკითხი არ არის ირანის ჯიჰადი“<sup>45</sup> და 2008 წელს ირანელ მოხალისეებს აუკრძალა დაზას სექტორში გამგზავრება საბრძოლველად. ირანის თვალთახედვიდან, ისრაელთან დაკავშირებით ვლინდება დასავლეთის ორმაგი სტანდარტები: როდესაც ირანის ბირთვულ პროგრამას აკრიტიკებენ, ხმას არავინ იღებს იმის თაობაზე, რომ ისრაელი აღჭურვილია ატომური იარაღის ფართო არსენალით. ყოფილი პრეზიდენტის რაფსანჯანის სიტყვებით, „როდესაც ისინი საუბრობენ ატომურ იარაღზე, სიონისტურ სახელმწიფოს არც კი ახსენებენ.“<sup>46</sup>

43 Raymond Hinnebusch and Anoushiravan Ehteshami, 'Foreign Policymaking in the Middle East: Complex Realism.' In: International Relations of the Middle East, 261.

44 2007 წელს აჰმადინეჟადის ანტისიონისტურ რიტორიკას ისრაელის ოფიციალური მოთხოვნაც მოჰყვა, გაერიცხათ ირანი გაერო-ს წევრთა რიგებიდან.

45 ციტ. Adam Tarock, 'Iran's Nuclear Program and the West.' Third World Quarterly (2006), vol. 27, no. 4, 159.

46 ციტ. Ali Gheissari & Vali Nasr, Democracy in Iran: History and the Quest for Liberty. (Oxford University Press, 2006), 203.

სპარსეთის ყურის რეგიონის მუსლიმური ქვეყნებიდან დღეს ირანის მთავარ მოწინააღმდეგეს საუდის არაბეთი წარმოადგენს. ორი ქვეყნის მეტოქეობაშიც თითქოსდა რელიგიურ-იდეოლოგიური მომენტი იკვეთება – მხარეები ერთმანეთს ურწმუნობასა და ისლამის ლალატში სდებენ ბრალს.<sup>47</sup> თუმცა, ამ შემთხვევაშიც მთავარი გეოპოლიტიკური ინტერესები და რეგიონში ჰეგემონობაზე პრეტენზიაა. ირანისა და საუდის არაბეთის ქიშპი პრაქტიკულად ღია დაპირისპირებაშია გადაზრდილი იემენში: ირანი მხარს უჭერს ზაიდით ჰუთიებს, ხოლო საუდის არაბეთი – სუნიტებს. დაპირისპირება ასევე თვალსაჩინოა სირიაში, სადაც ირანი ასადის რეჟიმის მხარდამჭერად გამოდის, ხოლო საუდის არაბეთი – ოპოზიციის. საინტერესოა, რომ ბოლო წლებში საუდის არაბეთსა და კატარს შორის არსებულმა უთანხმოებებმა გამოიწვია ამ უკანასკნელის დაახლოება ირანთან.

აქვე აღსანიშნავია, რომ ერთი მხრივ, ირანი სირიასა და ერაყში ჩართულობის საკუთარ 'ლეგიტიმურობას' უსვამს ხაზს, რადგან ის 'მოწვეულია' ადგილობრივი მოკავშირე ხელისუფლების მიერ, სხვა რეგიონული თუ არარეგიონული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, როგორცაა საუდის არაბეთი და აშშ. მეორე მხრივ, საუდის არაბეთი ამტკიცებს, რომ უნდა მოხდეს ირანის შეკავება მისი იმპერიული ამბიციების გამო და მოუწოდებს აშშ-სა და ისრაელს მეტი ჩართულობისკენ და ირანის სტრატეგიული მონაპოვრების მოსპობისკენ.

აქ არ შევხებით ირანის ურთიერთობებს აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ მეზობლებთან (პაკისტანი, ავღანეთი, ცენტრალური აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები). ავღანეთში მიმდინარე ცვლილებების ფონზე, რთულია დღეს ირან-ავღანეთის მომავალი ურთიერთობების შესახებ რაიმე პროგნოზის გაკეთება (ეს ცალკე კვლევას მოითხოვს). რაც შეეხება ცენტრალური აზიის რესპუბლიკებს, მათი ურთიერთობები ირანთან ნაწილობრივ იქნება განხილული კასპიის ზღვასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზისას.

## ირანი და რუსეთი – მყიფე პარტნიორობა

ყველა დინამიური ურთიერთობები ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის ფარგლებს გარეთ ირანს რუსეთთან აქვს. საქმე ის არის, რომ 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თეირანისა და მოსკოვის არაერთი საერთო ინტერესი გამოიკვეთა. როგორც ირანის, ისე რუსეთის შემოფოთებას იწვევს დასავლეთის პოტენციური დომინირების საფრთხე ახლო აღმოსავლეთსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხრეთში. ამასთანავე, მათი ურთიერთობა საერთო მტერთან – აშშ-თან ურთიერთგანსხვავებულია. ამ თვალსაზრისით, ირანის პოლიტიკა ბევრად უფრო ხისტია.

47 'რელიგიური' დაპირისპირება გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იღებს სათავეს. ამ პერიოდში ირანმა საუდის დინასტიას ისლამის ლალატში დასდო ბრალი იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ ქეშმარიტი ისლამისთვის მიუღებელია მეფობის ინსტიტუტი. საპასუხოდ, საუდიანმა მონარქმა საკუთარ ტიტულს დაუმატა „ორი წმინდა ადგილის (მექისა და მედინის) მცველის ტიტული“, რითაც თითქოსდა რელიგიური ლეგიტიმაცია შესძინა მონარქიას.

თუკი ისტორიას გადავხედავთ, გასულ ორი საუკუნეზე ოდნავ მეტის მანძილზე ირანის ტერიტორიული მთლიანობისათვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა რუსეთი და მისი მემკვიდრე საბჭოთა კავშირი. დღეს ეს საფრთხე მოხსნილია და რუსეთთან ურთიერთობები ბევრად უფრო დაბალანსებული, ანდა, შეიძლება ითქვას, ნაკლებად წამგებიანია ირანისთვის. რუსეთთან პრაგმატული დამოკიდებულება თითქოსდა ეწინააღმდეგება ირანის კონსტიტუციის ფუნდამენტურ პრინციპს: „ყველა მუსლიმის უფლებებების დაცვა ჰეგემონისტ სახელმწიფოებთან კავშირის დამყარების გარეშე“. მაგრამ მოსკოვთან კონსტრუქციული ურთიერთობების სტრატეგიული და ეკონომიკური სარგებელი იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ თეირანში დავიწყეს ეს პრინციპი.<sup>48</sup> ამგვარად, რუსეთთან ურთიერთობებშიც იკვეთება პრაგმატიზმის პირველობა იდეოლოგიასთან შედარებით. უნდა გავიზიაროთ თვალსაზრისი, რომ „როდესაც გეოპოლიტიკური ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის 'ისლამური სოლიდარობის' პრინციპებთან, ირანი თითქმის ყოველთვის უპირატესობას ანიჭებს უსაფრთხოების და ეკონომიკური ინტერესების დაცვას.“<sup>49</sup>

ზემოთქმულის პირველ ინდიკატორად გამოდგება ირანის ხელისუფლების პოზიცია ბოსნია-ჰერცეგოვინასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი სერბების უპირველესი მხარდამჭერი იყო, ირანმა გადაწყვიტა თვალი დაეხუჭა მოსკოვის პოზიციაზე ბოსნიელი მუსლიმების მიმართ და სხვებს (დასავლეთს) დასდო ბრალი ბოსნიის ტრაგედიაში. მეორე მაგალითია ჩეჩნეთი. მ.-რ. ჯალილი აღნიშნავს, რომ თეირანის თავშეკავებულობამ ჩეჩნეთში რუსეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით, რაც ისლამური სოლიდარობის პრინციპზე უარის თქმას წარმოადგენს, ხელი შეუწყო ორი ქვეყნის დაახლოებას.<sup>50</sup> ამგვარად, ჯერ კიდევ 1990-იან წლებში „ირანის თავშეკავებულმა რეაქციამ ჩეჩნეთში მუსლიმთა ამბოხებისადმი და რუსეთის პროსერბული და ანტიმუსლიმური პოზიციისადმი ბოსნიაში, ხელი შეუწყო ურთიერთობების შემდგომ განმტკიცებას.“<sup>51</sup>

ჩეჩნეთის კონფლიქტის შემთხვევაში ისლამურმა რესპუბლიკამ მკაფიოდ გამოავლინა *realpolitik*-ისკენ გადახრა. ეს ადასტურებს, რომ მისი მიდგომა სელექციურია იმის მიხედვით, თუ რამდენად იმსახურებს 'ისლამური საკითხი' ჩართულობას. ირანმა მეტად ზომიერად, მხოლოდ ერთხელ, 1994 წლის დეკემბერში გამოხატა „სინანული და შეშფოთება“ ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1997-2000 წლებში, კონფლიქტის დროს, როდესაც ირანი „ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის“ თავმჯდომარე იყო, მან გარკვეული ინტერესი გამოავლინა ჩეჩნეთის საკითხის მიმართ (თუმცა, ეს უფრო იყო ზოგადად მშვიდობისკენ მოწოდებები), მაგრამ საერთო ჯამში, მკაფიოდ

48 Anoushiravan Ehteshami & Mahjoob Zweiri (eds), 'Introduction', In: Iran's Foreign Policy: From Khatami to Ahmadinejad. (Berkshire: Ithaca Press, 2008), XII.

49 Shaffer, 'Iran's Role in the South Caucasus and Caspian Region: Diverging Views of the U.S. and Europe.' In Iran and Its Neighbours. (SWP Berlin, 07/2003). <https://www.swp-berlin.org/publications/...pdf>.

50 Mohammad-Reza Djalili, 'Constances et inconstances des relations turco-iraniennes.' *Stratégiques Orients*, (2019), no. 9, 6.

51 R. O. Freedman, 'Russia Iranian Relations Since 1990s.' *Middle East Review of International Affairs* (06-2000), vol. 4, no. 2, 66.

იკვეთება, რომ ირანი ამჟობინებს მორწმუნეთა ინტერესების 'გაწირვას' რუსეთთან პრივილეგირებული ურთიერთობების შენარჩუნების ხარჯზე, რომელიც მას ამარაგებს სამხედრო აღჭურვილობით და ბირთვული ტექნოლოგიებით. როგორც მ. ატკინი ამტკიცებს, ირანის პოლიტიკის პანისლამისტური რიტორიკა რუსეთის 'ახლო საზღვარგარეთის' შესახებ, არ არის ნიშანდებული ისლამური რევოლუციის ექსპორტის იდეით ან ქვეყნის დესტაბილიზაციის სურვილით.<sup>52</sup> სხვა სიტყვებით, აქ იკვეთება ისლამური დიპლომატიის პრაგმატიზმი. ვ. ავიუცკი მიიჩნევს, რომ ირანის ხელისუფლების სიფრთხილეს ჩეჩნეთთან დაკავშირებით განაპირობებდა მსგავსი პრობლემის არსებობა ირანის აზერბაიჯანში.<sup>53</sup> ამ მოსაზრების გაზიარება არ იქნება სწორი. ჩეჩნეთისა და ირანის აზერბაიჯანის პრობლემები არათანაზომადია და უპრიანიც არ არის მათი შედარება. მთავარი ამ შემთხვევაში ირანისთვის რუსეთის ფაქტორია.

თავის მხრივ, რუსეთმა, 'ცივილიზაციური შეთავსებულობის' საჩვენებლად, ირანთან ინტერრელიგიური დიალოგი წამოიწყო, როგორც მისი სტრატეგიის ნაწილი მუსლიმურ სამყაროში იმიჯის გასაუმჯობესებლად, რომელიც შერყეული იყო ჩეჩნეთის ომის გამო. ეს სტრატეგია ასევე მოიცავს მოსკოვის ჩართულობას ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის საქმიანობაში, რომელშიც მას 2005 წლიდან დამკვირვებლის სტატუსი აქვს. ამ მიმართულებით თანამშრომლობის მიზნით, 1997 წელს მოსკოვმა და თეირანმა შექმნეს ირანის შიიტური სამღვდლოებისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერრელიგიური დიალოგის ერთობლივი კომისია.<sup>54</sup> რუსი მკვლევარი დ. საფონოვი აღნიშნავს, რომ რუსული და ირანული რელიგიური თემების წარმომადგენლების დიალოგი, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, ორმხრივი ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა და შესამჩნევი ზეგავლენა მოახდინა ორმხრივ დაახლოებაზე სხვა სფეროებში.<sup>55</sup>

ირანისთვის უმნიშვნელოვანესია რუსეთთან თანამშრომლობა როგორც შეიარაღების მიწოდების თვალსაზრისით, ისე ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. ჩეჩნეთის პირველი ომის წინ მოსკოვმა გააკეთა განცხადება ირანთან 'მშვიდობიანი ატომის' სფეროში თანამშრომლობის მზადყოფნის შესახებ და დათანხმდა ბუშეჰრის ატომური ელექტროსადგურის აგების დასრულებაზე, რომელიც მიტოვებული იყო ისლამური რევოლუციის შემდეგ. ამ შეთანხმებამ აშშ-ის პროტესტი გამოიწვია და რუსეთი იძულებული გახდა ხელი მოეწერა ხელშეკრულებისთვის ამ მიმართულებით ირანთან თანამშრომლობის თანდათანობითი შეზღუდვის შესახებ. თუმცა, ეს არ განხორციელებულა, პირიქით – თანამშრომლობა გაფართოვდა.<sup>56</sup>

52 Muriel Atkin, 'Iran, Russia and Tajikistan's Civil War.' In Stephanie Cronin (ed.), *Iranian Russian Encounters Since 1800*. (Routledge, 2013), 362.

53 Viatcheslav Avioutskaa, *Géopolitique du Caucase*. (Paris: Arman Collin, 2005), 259.

54 Clément Therme, 'Iran's "Neither East Nor West" Slogan Today.' (08/02/2019). <https://www.ispionline.it...> (წვდომა: 12/10/2020)

55 Д. В. Сафонов, 'Российско-иранская комиссия «Православие – Ислам»: 20 лет диалога во имя взаимопонимания религиозных общин и народов двух стран.' В сб. *Российско-иранские отношения. Проблемы и перспективы*, 147.

56 Мохаммад Хасан Махдиян, *История межгосударственных отношений Ирана и России (XIX в. – начало XXI века)* (Москва: Институт востоковедения РАН, 2014), 113.



რუსეთი გახდა ჩვეულებრივი შეიარაღებით, ბალისტიკური და სამოქალაქო ბირთვული ტექნოლოგიებით ირანის მთავარი მომმარაგებელი. 2001 წლის 2 ოქტომბერს ხელი მოეწერა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობისა და შეიარაღების შესყიდვების ხელშეკრულებას, რაც ირანის სამხედრო ისტორიაში ახალი ეტაპის დასაწყისს მოასწავებდა. ეს შესყიდვების ხანგრძლივადიანი პროგრამა იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებდა ყველა ტიპის ჩვეულებრივი შეიარაღების წარმოებას ირანში, ასევე თანამშრომლობას გაზისა და ნავთობის მოპოვება-გადამუშავების სფეროში.

ზოგადად, ორმაგი გამოყენების ბირთვული ტექნოლოგიები საერთაშორისო პრობლემა და ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ჩარჩოებში რთულად თავსდება.<sup>57</sup> ამასთანავე, ირან-რუსეთის ურთიერთობები ბირთულ პროგრამასთან დაკავშირებით საკმაოდ წინააღმდეგობრივია. ირანში მიაჩნიათ, რომ რუსეთი არაა ამ თვალსაზრისით სანდო პარტნიორი. გაერო-ს უშიშროების საბჭოშიც ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ რუსეთი, ირანის ინტერესების საწინააღმდეგოდ, ხშირად ვაჭრობს დასავლეთთან. ირანის ბირთულ პროგრამაზე საკუთარი კონტროლის დამყარების მიზნით, მოსკოვმა თეირანს ურანის გამდიდრება საკუთარ ტერიტორიაზეც კი შესთავაზა.<sup>58</sup>

სამოქალაქო დანიშნულების ბირთვული ტექნოლოგიების მიყიდვის გარდა, რუსეთი ეხმარებოდა ირანს ჩვეულებრივი შეიარაღების მოდერნიზებაში და, სავარაუდოდ, ასევე აწვდიდა ტექნოლოგიებს მისი ბალისტიკური რაკეტების, ქიმიური და ბიოლოგიური სამხედრო პროგრამებისთვის. თანამშრომლობა ე.წ. „win-win სტრატეგიას“<sup>59</sup> ემყარებოდა: შეიარაღებისა და ბირთვული რეაქტორებისთვის აუცილებელი მასალების გაყიდვიდან მიღებული თანხა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო რუსული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისთვის, ირანს კი დიდად ესაჭიროებოდა თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებითაც არც ერთი სხვა ქვეყანა მას არ უზრუნველყოფდა.

2009 წელს რუსულმა „გაზპრომნეფტმა“ და ირანის ნაციონალურმა სანავთობო კომპანიამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებდა რუსული კომპანიების მიერ ირანის სამხრეთში „აზარის“ და „შანგულის“ ნავთობსაბადოების ექსპლუატაციას. თუმცა, 2011 წელს ირანმა რუსულ კომპანიას ეს უფლება ჩამოართვა, რამდენადაც ამ უკანასკნელს არაფერი გაუკეთებია ამ პროექტის რეალიზაციისთვის. 2007 წელს რუსულმა „ლუკოილმა“ შეწყვიტა სამუშაოები საბადო „ანარანზე“ დამატოს ამერიკული კანონის სანქციების ქვეშ მოხვედრის შიშით.<sup>60</sup>

57 იხ. მაგ., Jalil Roshandel, 'Iran's Decision-making on Foreign, Security and Nuclear Policy.' In: Rouzbeh Parsi & John Rydqvist (eds), *Iran and the West. Regional Interests and Global Controversies*. (Swedish Defence Research Agency (FOI), special report, March 2011), 73-92.

58 თავის დროზე, რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი ხაზს უსვამდა, რომ რუსეთს არასდროს მიუღია დადებითი ან უარყოფითი პასუხი შეთავაზებაზე ირანული ურანის გამდიდრების შესახებ რუსეთის ტერიტორიაზე. იხ. Therme, 'L'Iran et la Russie face aux crises du Moyen-Orient: entre connivence et divergence.' *Politique étrangère* (2013), no. 10, 134.

59 Farhad Rezaei, *Iran's Foreign Policy after the Nuclear Agreement. Politics of Normalizers and Traditionalists*. (Palgrave Macmillan, 2019), 53.

60 1995 წელს, სენატორ დაამოტოს წარდგინებით, აშშ-ის კონგრესმა მიიღო „ირანის ნავთობის აქტი“, რომელიც უკრძალავდა უცხოურ კომპანიებს \$20 მლნ-ზე მეტის ინვესტირებას

2008 წელს „გაზპრომმა“ ხელი მოაწერა შეთანხმებას „სამხრეთ ფარსის“ გაზის უდიდესი საბადოს დამუშავებაში მონაწილეობაზე თანხმობის შესახებ. თუმცა შემდეგ აღარ გადაუდგამს კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით.<sup>61</sup> აღსანიშნავია ასევე „ზარუბეჟენფტის“ 2018 წლის გადაწყვეტილება, რომლის შედეგადაც რუსულმა კომპანიამ ირანის ნავთობმომპოვებელი სფეროს საკმაოდ პერსპექტიული სექტორი დატოვა, რათა ასევე დაეღწია თავი აშშ-ის სანქციებისთვის.<sup>62</sup>

ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, რომ რუსეთს, ერთი მხრივ, არ აქვს ირანში მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელების საშუალება, მეორე მხრივ კი, ერიდება აშშ-ის გაღიზიანებას.

კიდევ ერთი, რაც ირანსა და რუსეთს აერთიანებს, დასავლეთის მიერ ორივე ქვეყნისთვის დაწესებული სანქციებია. ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობა ასევე მიიჩნევს, რომ ენერგოსექტორში დასავლეთი და მისი მოკავშირეები მათზე ზეწოლას ახორციელებენ. მაგალითად, 2017 წელს მათ ცალ-ცალკე დაადანაშაულეს შტატები და საუდის არაბეთი ნავთობზე ფასების შემცირებაში ირანსა და რუსეთზე ეკონომიკური ზეწოლის მიზნით.<sup>63</sup>

ორივეს შემფოთებას იწვევს უკანასკნელ ხანებში თურქეთის გააქტიურება პოსტსაბჭოთა სივრცესა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ასევე თურქეთის მიერ აზერბაიჯანთან და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან ერთად პოტენციური ბლოკის შექმნის პერსპექტივა. თუმცა, უკანასკნელი წლების მანძილზე ეს შემფოთება გარკვეულწილად შემცირდა, განსაკუთრებით ცენტრალურ აზიასთან მიმართებაში, სადაც თურქეთი ვერ უწევს კონკურენციას რუსეთს.

2010 წელს შ. ჰანტერი წერდა, რომ „რუსეთის და ირანის მიდგომები დასავლეთთან დაკავშირებით განსხვავებულია. რუსეთს სურს დაიბრუნოს ზესახელმწიფოს სტატუსი დასავლეთთან ვაჭრობით. რუსეთი არ ესწრაფვის ახალი ცივი ომის გაჩაღებას. აქედან გამომდინარე, სანამ ირანს დაძაბული ურთიერთობა აქვს დასავლეთთან, რუსეთი დასავლეთთან მიმართებაში არ გადალახავს წითელ ხაზებს ირანის გამო.“<sup>64</sup> თუმცა, ჯერ კიდევ მანამდე, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით, შემდგომ კი უკრაინის ტერიტორიის ანექსიითა თუ მეზობელ ქვეყანასთან გაჩაღებული ომით, რეალურად რუსეთმა ეს წითელი ხაზები გადალახა. მაგრამ მოსკოვი, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ბოლო ხანებამდე ინარჩუნებდა ირანთან დაკავშირებით შედარებით თავშეკავებულობას დასავლეთთან ურთიერთობებში. ირანის დასავლეთთან დაპირისპირების კონტექსტში, რუსული დიპლომატია, ჩანს, რომ იყენებდა შემდეგ პრინციპს: თეირანის დარწმუნება, რომ მოსკოვს შეუძლია ირანის დაცვა დასავლეთისგან, თუ ის რუსეთთან ითანამშრომლებს, მაგრამ ასევე იმის მინიშნებაც, რომ რუსეთს შეუძლია დაიჭიროს დასავლე-

ირანის ნავთობისა და გაზის კომპლექსში.

61 С. Б. Дружиловский, 'Российско-иранские отношения после создания Исламской республики Иран.' В сб. Российско-иранские отношения. Проблемы и перспективы. Под ред. Е.В. Дунаевой и В.И. Сажина. (Москва: ИВ РАН, Центр стратегической конъюнктуры, 2015), 30-31.

62 'Russian Oil Producer Quits Iran Projects Due to Sanctions – Sources.' (02/11/2018). <https://www.themoscowtimes.com...> (წვდომა: 26/07/2020)

63 Kenneth Katzman, 'Iran's Foreign and Defense Policies.' Congressional Research Service (15/06/2017). <https://fas.org/sgp/crs/mideast/R44017.pdf>

64 Hunter, Iran's Foreign Policy, 106.

თის მხარე, თუ თეირანი მასთან არ ითანამშრომლებს (ანუ, მისი ნებასურვილის შემსრულებელი არ იქნება).

ორი ქვეყნის ინტერესები თანმხვევია ვაშინგტონის ზეგავლენის ხელის შეშლაში პოსტსაბჭოთა სივრცეში. ეს გამოიხატება მათ დიპლომატიურ, კულტურულ და რელიგიურ დიალოგებში, რომლებშიც წინაა წამოწეული საერთაშორისო ურთიერთობების ალტერნატიული ხედვა და მათ მიერ 'დასავლური ფასეულობების' უარყოფა. რუსეთ-ირანის ურთიერთობების ანტიამერიკული ასპექტი შეიძლება აღიწეროს, როგორც იდეოლოგიური, თუ მის *raison d'être* მიიჩნევა ანტიამერიკანიზმი, და როგორც სტრატეგიული, თუ მისი მიზანი უფრო მეტად არის ამერიკის ჰეგემონიზმთან დაპირისპირება – რაც შეიძლება გამართლდეს ვაშინგტონის მტრული პოლიტიკით როგორც რუსეთის, ისე ირანის მიმართ. აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 16 ოქტომბერს რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ჩავიდა თეირანში და ეს გახდა სტალინის შემდეგ საბჭოთა კავშირის/რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის პირველი ვიზიტი. ეს შეიძლება ჩაითვალოს სიმბოლურ საკვანძო მომენტად თეირანს, მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის სამხრეთ ურთიერთობებში.<sup>65</sup>

სირიის კრიზისმა გარკვეულწილად დაახლოვა რუსეთი და ირანი დასავლეთის წინააღმდეგ, რაც არამხოლოდ გეოპოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული, არამედ რწმენით, რომ დასავლეთი ხელს უწყობდა 'ფერად' რევოლუციებს იქაც, სადაც შექმნილი ვითარება არ შეესაბამებოდა მის ინტერესებს.

დაახლოება ასევე იყო განპირობებული ევრაზიული იდეების გაზიარებით. ამ იდეის რუსი მქადაგებლების თვალთახედვიდან, ირანი, თურქეთთან ერთად, უმთავრესი ელემენტია; ჩინეთისა და ინდოეთის დამატებით კი იძლევა 'ევრაზიულ მულტიპოლარულობაზე' დამყარებული რუსული დიპლომატიის კონსტრუირების საშუალებას.<sup>66</sup>

არსებობს მოსაზრება, რომ მოსკოვსა და თეირანს შორის ურთიერთობები 1991 წლის შემდეგ უფრო უპრიანია აღიწეროს, როგორც 'ტაქტიკური ანტიანტი'.<sup>67</sup> რაც შეეხება ალიანსებს, ერვე კუტო-ბეჟარის დეფინაციით, „ყველაზე საბაზისო მნიშვნელობით (...) ეს არის შეთანხმება, რომლითაც საერთო ინტერესის გამო უკავშირდებიან ერთმანეთს სახელმწიფოები..., რამდენადაც ყველა ალიანსი ასახავს ყველა საერთაშორისო მხარის – ჩვეულებრივ სახელმწიფოების, თანხმობას, იღვანონ ერთად, რათა წინ აღუდგნენ საერთო მტრის მიერ შექმნილ საფრთხეს. ეს უკანასკნელი ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია; საერთო მტრის განსაზღვრა ლეგიტიმურობას ანიჭებს ალიანსს, თუნდაც რომ ყოველთვის არ ქმნიდეს ნდობის ატმოსფეროს.“<sup>68</sup> ამ მხრივ, თითქოსდა ირან-რუსეთის ურთიერთობები მი-

65 ვ. პუტინი პირველი უცხოელი ლიდერი იყო, ვინც ებრაჰიმ რაისის არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. რაისის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ რუსეთ-ირანის ურთიერთობების შესახებ პროგნოზები იხ. Samuel Ramani, 'Russian-Iranian Relations under Raisi and Possible Post-Khamenei Scenarios.' The Middle East Institute (MEI), 07/07/2021). <https://www.mei.edu...> (წვდომა: 18/07/2021).

66 Therme, 'L'Iran et la Russie,' 135-136. 2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში ომის გაჩაღების შემდეგ ეს იდეაც საფუძველს მოკლებულად შეიძლება ჩაითვალოს.

67 Therme, *Les relations entre Téhéran et Moscou depuis 1979*. (Paris: PUF, 2012), 15.

68 Hervé Couteau-Bégarie, 'Alliances militaires.' Dans Thierry de Montbrial, Jean Klein (sous la dir. de), *Dictionnaire de stratégie*. (Paris: PUF, 2000), 13.

ახლოებულია ალიანსთან, თუმცა არაერთი სხვა წინააღმდეგობრივი ინტერესი, რომლებზეც ქვემოთ და შემდეგ თავში იქნება საუბარი, არ იძლევა საშუალებას, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობები 'სტრატეგიულ' ალიანსად, კავშირად თუ თანამშრომლობად მოვიხსენიოთ.

იმ ფაქტმა, რომ რუსეთმა ირანს მიყიდა მილიონობით დოლარის შეიარაღება და სამხედრო ტექნოლოგიები, ირანულ ელიტას შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ თითქოსდა ორ ქვეყანას შორის მართლაც არსებობდა სტრატეგიული კავშირი. აქვე აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1995 წელს რუსეთის ყოფილმა ელჩმა ირანში ორი ქვეყანას შორის ურთიერთობებს „სტრატეგიული თანამშრომლობა“ უწოდა. ამგვარი დასკვნის საფუძველი შემდეგია: რუსეთი ირანთან კავშირს აღიქვამს, როგორც ნატო-ს აღმოსავლეთით და სამხრეთით გაფართოების, კავკასიის რეგიონში კასპიის ზღვის ენერგომატარებლების დასავლეთის მიერ კონტროლის, თურქეთის სამხრეთ კავკასიაში გააქტიურების გაწონასწორების საშუალებას. თავის მხრივ, ირანისათვის რუსეთის მხარდაჭერა, სხვა ფაქტორებთან ერთად, აუცილებელია დასავლეთთან დაპირისპირების პირობებში.

რუს მკვლევარს, ნინა მამედოვას მიაჩნია, რომ ის, რაც თეირანსა და მოსკოვს აკავშირებს, უფრო მეტად „გეოპოლიტიკური ინტერესების თანმიხვევაა, ვიდრე 'სტრატეგიული ალიანსი' – ურთიერთობები დამყარებულია *Realpolitik*-ის მიდგომაზე, რომელშიც, რუსეთის თვალთახედვიდან, ორივე ქვეყანა დაინტერესებულია პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გაღრმავებით, ეს კი გადაწონის არსებულ წინააღმდეგობებს.“<sup>69</sup> ნ. კოჟანოვის სიტყვებით კი, „ზოგიერთ საკითხში ირანისა და რუსეთის პოზიციები შეიძლება ახლოს იყოს ერთმანეთთან, მაგრამ ისინი სულაც არ არის აუცილებლად თანმიხვევი.“<sup>70</sup>

მიუხედავად დეკლარირებული „სტრატეგიული თანამშრომლობისა“ რუსეთ-ირანის ურთიერთობებში არაა გამორიცხული ბზარის გაჩენა. მაშინ, როდესაც რუსეთი საკუთარ თავს აღიქვამს ისლამური ფუნდამენტალიზმის შეკავების ერთ-ერთ მთავარ ძალად<sup>71</sup>, მრავალი ირანელისათვის რუსეთი კვლავაც გარკვეულწილად იმპერიული ამბიციების მატარებელია და ირანულ საზოგადოებაში არ არის ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება რუსეთისადმი. ირანელთა ისტორიულ მეზობლებში ღრმად არის აღბეჭდილი რუსეთის ნეგატიური როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასთან დაკავშირებით. საინტერესოა, რომ 2008 წელს, გაზეთში „ჯომჰური-ე ესლამი“, იმ დროს ირანის მეფლისის საგარეო ურთი-

69 Nina Mamedova, 'A Commuality of Geopolitical Interests.' Bitterlemons-International (03/12/2009), #43, vol. 7. <http://www.bitterlemons-international.org...> (წვდომა: 01/07/2021)

70 Kozhanov, 'Russian-Iranian Dialogue After 2012: Turning a New Page?' Russian Analytical Digest (10/11/2016), #192, 3. <https://css.ethz.ch/content/dam/ethz/...pdf>.

71 1995 წელს ე. ჰერციგი წერდა: „რუსეთი მთლიანად იზიარებს დასავლეთს შემფოთებას ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების გამო, მაგრამ რუსეთისთვის ის ასოცირდება ავღანელ მოჯაჰედებთან და მათ პაკისტანელ თუ საუდის არაბეთის მხარდამჭერებთან და არა ირანელ მოლებთან.“ Edmund Herzig, *Iran and the former Soviet South*. (The Royal Institute of International Affairs, Russian and CIS Programme, 1995), 8. ა. ნიკოლის სიტყვებით, „რუსეთის ისლამურ ფუნდამენტალიზმს მზარდ საფრთხედ აღიქვამს, მაგრამ თანამშრომლობს ირანთან გაკვეთულ საკითხებში თურქეთისა და აშშ-ის ზეგავლენის საპირწონედ.“ Jim Nichol, 'Armenia, Azerbaijan, and Georgia: Political Developments and Implications for U.S. Interests.' CRC Report for congress, (2008), 8. <https://apps.dtic.mil...pdf>

რობათა კომიტეტის წევრი ჰემმათოლა ფალაჰათზადე აღნიშნავდა, რომ ირანის მოსახლეობის 96% არ მიიჩნევდა რუსეთს სანდო პარტნიორად არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით. მისი შეხედულებით, „ამ უნდობლობას ისტორიული მიზეზები განაპირობებს. რუსეთი ახორციელებს საკუთარ სპეციფიკურ ინტერესებს და სულაც არ თვლის ირანს სტრატეგიულ პარტნიორად; იყენებს ირანს კოზირად აშშ-თან ურთიერთობაში; აღიქვამს ირანს თავდაცვით ფარად, რამდენადაც რომ არა ირანი, ამერიკის მტრული განწყობა მთლიანად რუსეთზე გადავიდოდა.“<sup>72</sup>

თეირანის გალიზიანება გამოიწვია 1995 წლის გორ-ჩერნომირდინის (აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტისა და რუსეთის პრემიერ-მინისტრის) შეთანხმებამ, რომლითაც რუსეთმა ვალდებულება აიღო შეეზღუდა ირანისთვის შეიარაღებისა და ბირთვული ნოღ ჰაუს მიყიდვა. თუმცა, ამ შეთანხმებას დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია რუსეთ-ირანის ურთიერთობებზე და ის, არსებული ინფორმაციის მიხედვით, არ შეეხო „განხორცილების პროცესში მყოფ“ შეთანხმებებს – თუნდაც რომ ვაშინგტონი და მოსკოვი ვერ თანხმდებოდნენ, თუ რა იგულისხმებოდა ფრაზაში „განხორციელების პროცესი“.<sup>73</sup>

ისტორიული ნეგატიური დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ირანულ საზოგადოებაში რუსეთის მიმართ, თვალსაჩინო იყო 2009 წლის არჩევნების შემდეგ სახალხო პროტესტების დროს. ირანელი მკვლევარი მ. თიშეიარი წერს: „ქუჩაში გამოსული ადამიანები, რომლებიც აპროტესტებდნენ არჩევნების შედეგებს, სკანდირებდნენ ანტირუსულ ლოზუნგებს. რუსეთს კი, როგორც ვიცით, არავითარი როლი არ შესრულებია ამ არჩევნებში და არც ზეგავლენა მოუხდენია მის შედეგებზე.“<sup>74</sup>

არაბულ სამყაროში, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც ირანის მოწინააღმდეგეა, რუსეთი ცდილობს საკუთარი ეკონომიკური როლის გაზრდას, განსაკუთრებით ნავთობით მდიდარ სპარსეთის ყურის ქვეყნებში, სადაც იმედოვნებს შეიარაღების გაყიდვას. ამ ფაქტორიდან გამომდინარეც, რუსეთი რეალურად თავს იკავებს ირანთან მჭიდრო პარტნიორული, მითუმეტეს სტრატეგიული ურთიერთობების დამყარებისგან.

2010 წელს რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა მედვედევმა გადაწყვიტა შეეჩერებინა ირანისთვის S-300 ანტისარაკეტო სისტემების მიყიდვის პროცესი. თუმცა, ირანი მიიჩნევდა, რომ გაერო-ს სანქციები ამას არ კრძალავდა, რადგან საქმე ეხებოდა თავდაცვით შეიარაღებას. ეს თეირანისთვის გარკვეული შემობრუნების წერტილი გახდა მოსკოვთან ურთიერთობებში, რამდენადაც, როგორც ზემოთ ითქვა, რუსეთ-ირანის ანტანტა არამხოლოდ პოლიტიკური ინტერესების თანხვედრას ემყარებოდა, არამედ სამხედრო თანამშრომლობასაც. თეირანმა მოსკოვს ბრალი დასდო კონტრაქტის დარღვევაში, რომელიც ითვალისწინებდა S-300-ების

72 Jomhuri Eslami, (06/10/2008).

73 Mark N. Katz, 'Iran and Russia.' In: Robin Wright (ed.), The Iran Primer. Power, Politics, and U.S. Policy. (Washington D.C.: United States Institute of Peace Press, 2010), 187.

74 Мандана Тишьяр. 'О развитии ирано-российского сотрудничества.' В сб. Российско-иранские отношения, 23. 2022 წლის თებერვლის მიწურულს, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, თეირანში რუსეთის საელჩოსთან საპროტესტო მიტინგიც გაიმართა. ერთ-ერთ დემონსტრანტს ხელში ეჭირა ბანერი წარწერით: „რუსეთის საელჩო – ჯამუშების ბუდე“.



შესყიდვას \$700 მლნ-დან \$1 მლრდ-მდე ფასად. მიყიდვისთვის ფულის აღება და შემდეგ საზღვრიდან სისტემების გამოზრუნება ირანისთვის დიდი დარტყმა იყო. 2011 წელს თეირანმა უნევის საერთაშორისო სასამართლოს არბიტრაჟში შეიტანა საჩივარი იარაღის ექსპორტიორ „როსობორონექსპორტის“ წინააღმდეგ \$4 მლრდ-ის მოთხოვნით. მოსკოვმა თავის გასამართლებლად მოიყვანა გაერო-ს #1929 რეზოლუცია. თუმცა, რეალურად, მიყიდვაზე უარი ამერიკული და ისრაელის ზეწოლის შედეგი იყო.<sup>75</sup> საბოლოოდ, 2015 წელს ირანის „ბირთვულ პროგრამაზე“ შეთანხმების მიღწევის შემდეგ, რუსეთმა მიაწოდა ირანს აღნიშნული სისტემები.

რუსი მკვლევარი ლ. რავანდი-ფადაი აღნიშნავს, რომ „ჩვენი ქვეყნები ახლოს არიან ერთმანეთთან, როგორც პარტნიორები და შესაძლოა, მოკავშირეებიც გარკვეულ საკითხებში, თუმცა არა სტრატეგიულ საკითხებში.“<sup>76</sup> ირანელებს გარკვეული ისტორიული წყენის გრძობა აქვთ რუსეთისგან და ეს თვალნათლივ ჩანს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებშიც. სახელმწიფოში არ არიან ანტირუსი პოლიტიკოსები, მაგრამ ბევრს მაინც ბოლომდე არ ესმის რუსეთის. უნდობლობას კი, ისტორიულის გარდა, უახლესი მოვლენებიც განაპირობებს.

ნდობის ორმხრივი ნაკლებობა და უკანასკნელი 35 წლის ისტორიული გამოცდილება იძლევა იმის უფლებას, რომ დიპლომატიური ურთიერთობებს მოსკოვსა და თეირანს შორის არ ეწოდოს სტრატეგიული. ამგვარად, სავსებით შესაძლებელია არაერთი მკვლევრის მოსაზრების გაზიარება, რომ მიუხედავად საერთო მიზნისა, წარმოადგინონ საერთაშორისო ურთიერთობების ე. წ. ‘დასავლური ხედვის იდეოლოგიური ალტერნატივა’, თეირანმა და მოსკოვმა დღემდე ვერ შეძლეს სრულფასოვანი სტრატეგიული ურთიერთობების დამყარება, საბჭოთა კავშირის დაშლიდან 30 წლის შემდეგაც კი.<sup>77</sup> თუმცა, ზოგიერთი ანალიტიკოსი (მაგ., ადამ ტაროკი) თვლის, რომ 1990-იანი წლების შუა ხანებიდან რუსეთ-ირანის ურთიერთობების დათბობა ახალი თავია მათი ურთიერთობების მშფოთვარე ისტორიაში.<sup>78</sup>

ამასთანავე, ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტის მიზანი – დავიწყებული ყოფილიყო ირანსა და რუსეთს შორის ისტორიული მტრობა, ნაწილობრივ მიღწეულ იქნა გამომდინარე უფრო აღმოსავლეთზე, ვიდრე დასავლეთზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის წარმართვის საჭიროებიდან.<sup>79</sup> რუსი ექსპერტების შენიშვნით, რუსეთს და ირანს აქვთ განსხვავებული გეოპოლიტიკური წარსული, მაგრამ მსგავსი გეოპოლიტიკური აწმყო.<sup>80</sup>

75 Therme, 'L'Iran et la Russie', 135-136.

76 Иранские выборы: «Люди хотят винограда, а не яблок» — интервью с Ланой Раванди-Фадаи. (11/06/2021). <https://eadaily.com/ru/news...> (წვდომა: 18/06/2021)

77 იბ. მაგ., Vladimir Sazhin, 'Strategic Partnership between Russia and Iran at a New Phase: What Can the Two Countries Offer Each Other?' The Institute for Iran-Eurasia Studies (IRAS), (Tehran, 12/01/2018). <http://www.iras.ir/en...> (წვდომა: 27/11/2020)

78 ა. ტაროკის მიერ ირან-რუსეთის ურთიერთობების 'სტრატეგიულად' განსაზღვრის შესახებ იბ. Adam Tarock, 'Iran and Russia in 'Strategic Alliance.' Third World Quarterly (June 1997), vol. 18, no. 2, 207-23

79 იბ. 'Iran's Eastern Strategy,' Strategic Comments (November 2018), 36, no. 24. <https://www.iiss.org...> (წვდომა: 11/02/2020)

80 Е. Х. Лихошерцов и др., 'Геополитический аспект российско-иранских взаимоотношений.' В сб. Иранский мир и Юг России: прошлое и современные перспективы. (Ростов-на-Дону: СКНЦ ВШ, 2004), 177.

ირან-რუსეთის ურთიერთობები დამყარებულია არამხოლოდ გაზიარებულ იდეოლოგიურ (ანტიდასავლურ) ფასეულობებზე, არამედ მოკლევადიან გეოპოლიტიკურ ინტერესებზეც. ანტირუსული განწყობები ირანში კვლავაც არსებობს. ინტერრელიგიური დიალოგი და კულტურული დაახლოება არაფერს ნიშნავს რუსული ან ირანული საზოგადოებრივი აზრისთვის. საპირისპიროდ, ისინი ინტერუმენტია ირანისა და რუსეთის საჯარო დიპლომატიისთვის იმ ნარატივის შესაქმნელად, რომელიც გამოწვევა იქნება ცივი ომი დასრულების შემდეგ არსებულ დასავლეთის მიერ დომინირებად საერთაშორისო სისტემაში.

ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ირანმა ვერ გააცნობიერა, რომ რუსეთს და დასავლეთს არ გაუჭირდებათ ირანის ხარჯზე და მისი ინტერესების საპირისპიროდ შეთანხმების მიღწევა. შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის პოლიტიკურ მხარდაჭერას ირანისადმი მის კონფლიქტში ვაშინგტონთან არავითარ შემთხვევაში არ აქვს სისტემური ხასიათი. მოსკოვს ასევე არ სურს, რომ ირანს იმდენი ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური ძალა ჰქონდეს, რომ მის მეტოქედ იქცეს რუსეთისთვის მნიშვნელოვან რეგიონებში.

რუსეთი, მიუხედავად იმისა, რომ ღიად არ ეწინააღმდეგება ირანსა და შეერთებული შტატებს შორის ურთიერთობების დათბობას, რეალურად ბევრს დაკარგავს ირან-აშშ-ის ურთიერთობების პოზიტიური ტრანსფორმაციის შემთხვევაში. ჯერ კიდევ 2002 წელს მ.-რ. ჯალილი წერდა, რომ „რუსეთმა ისარგებლა ირანის იზოლაციით რეგიონში საკუთარი პოზიციების გასამყარებლად და, ბუნებრივია, ზრუნავს საკუთარი ინტერესების გატარებაზე ირანის ხარჯზე.“<sup>81</sup>

დღევანდელ ვითარებაში, დასავლეთსა და რუსეთს შორის დაძაბულობის უკიდურესი გამწვავების ფონზე, სიმბოლური იყო ირანის პრეზიდენტის, ებრაჰიმ რაისის ვიზიტი მოსკოვში 2022 წლის იანვარში. თუმცა, რეალურად, ეს ვიზიტით ემსახურებოდა საერთაშორისო ასპარეზზე არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით დიდწილად თანმთხვევი პოზიციის დაფიქსირებას და არა ორ ქვეყანას შორის ჯერ კიდევ არსებული წინააღმდეგობების გადალახვისთვის გზების მოძიებას. რუსი მკვლევარი ნ. კოჟანოვი სამართლიანად შენიშნავს: „თეირანი და მოსკოვი თითქოსდა მიეჩვივნ პოლიტიკაში ისეთ საკითხებზე ფოკუსირებას, რომლებთანაც დაკავშირებით საერთო ინტერესები აქვთ, ნებისმიერი უთანხმოების კი ტაქტიკურად მონათვლას. ამგვარმა პოზიციამ მათ სირიაში თანამშრომლობისა და ავღანეთის თაობაზე პოზიციების დაახლოების შესაძლებლობა მისცა.“<sup>82</sup>

რაისის მოსკოვში ვიზიტის დროს პრაქტიკულად არაფერი გაჟღერებულა ახალი. რუსული ინვესტიციებისთვის ნავთობით ანგარიშსწორების, რუსული გაზის ირანის გზით ექსპორტის, სამხედრო-სამრეწველო სფეროში თანამშრომლობის, სავაჭრო ოპერაციებში ეროვნული ვალუტების გამოყენების, ასევე „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ სატრანსპორტო დერეფნის განვითარების იდეებით ირანი რუსეთს XXI საუკუნის დასაწყისიდან მიმართავს. არ არის სიახლე არც წინასწარი შეთანხმება ირანისთვის \$5 მლრდ რუსული საკრედიტო ხაზის გამოყოფის შესა-

81 Djalili, 'Iran and the Caucasus: Maintaining Some Pragmatism.' *The Quarterly Journal* (2002), 1, #3, 51.

82 Николай Кожанов, 'Партнеры по санкциям: чего хочет Москва от нового президента Ирана.' (26/01/2022). <https://www.forbes.ru...> (წვდომა: 01/02/2022).

ხებ. ზემოაღნიშნული ინიციატივების აბსოლუტური უმრავლესობა დღემდე არ ამოქმედებულა. ზოგ შემთხვევაში ამის მიზეზი სანქციებია; ზოგჯერ – სახსრების არარსებობა და მეტად მწირი ჩამონათვალი იმისა, რაც ორმა ქვეყანამ ერთმანეთს შეიძლება შესთავაზონ; ზოგჯერაც კი – წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, უნდობლობის ფაქტორი. საერთო მტრის არსებობის ფაქტორი არ არის საკმარისი საკმაოდ შემცირებული ეკონომიკური ურთიერთობების გამოსაცოცხლებლად. ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობები ასევე უკიდურესად შეიზღუდება რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული აგრესიის გამო დასავლეთის მიერ მოსკოვისთვის დაწესებული სანქციების შედეგად.

ანტიდასავლურ ფრონტზე თანამშრომლობიდან გამომდინარეც, დღეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს. მაგრამ ყოველთვის შესაძლებელია, უახლოეს მომავალშიც კი, რომ რუსეთმა მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას ირანს, გამომდინარე მოსკოვის ექსპანსიონისტური და ჰეგემონისტური ამბიციებიდან სპარსეთის ყურეში.<sup>83</sup>

ირანის, როგორც საერთაშორისო სისტემიდან გარიყული სახელმწიფოს სტატუსის დასრულებისა და საერთაშორისო საზოგადოებაში მისი თანდათანობითი რეინტეგრაციის შემთხვევაში, ვითარება რადიკალურად შეიცვლება. ირანის ურთიერთობების გამოსწორება დასავლეთთან ძირეულად შეცვლის ძალთა ბალანსს ახლო აღმოსავლეთში და არა რუსეთის სასარგებლოდ. ირანის სრულფასოვანი დაბრუნება მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარზე ასევე არ შედის რუსეთის ინტერესებში. მაგრამ მოკლევადიან პერსპექტივაში ამგვარი მასშტაბური გარღვევა ირანის ურთიერთობებში დასავლეთთან, უპირველესად კი შეერთებულ შტატებთან, არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ რუსეთის აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ ამ მხრივაც დიდი ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს.

### ირანი და თურქეთი – რთული თამაშები

ორი ძველი იმპერიის მემკვიდრეების – ირანისა და თურქეთის ურთიერთობათა უახლესი ისტორია უღრუბლო სულაც არ არის, მაგრამ არასდროს გადაზრდილა ღია დაპირისპირებაში. ორი ქვეყნის ურთიერთობის დახასიათებისთვის, ალბათ, უპრიანი იქნება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებული ტერმინის – *frenemies*<sup>84</sup> გამოყენება.

არსებობს ღრმა ისტორიული ფესვების მქონე არაერთი ეთნიკური, რელიგიური თუ კულტურული ფაქტორი, რომლებიც ხელს უშლის ჭეშმარიტად გულთბილი ურთიერთობების დამყარებას ირანსა და თურქეთს შორის. ირანის დამოკიდებულება თურქეთის მიმართ დიდწილად ემყარება „ანტითურქული კულტურული მიკერძოებულობის ისტორიას და ანტიპათიას მუსლიმური ქვეყნისადმი, რომელიც იმართება სეკულარული იდეოლოგიით, შაჰის იდეოლოგიის მსგავსით.“<sup>85</sup> თუმცა, იდეოლოგიური შეუთავსებლობა, რომელიც ქემალისტურ

83 Abdolmohammadi & Cama, *Contemporary Domestic and Foreign Policies of Iran*, 170-171.

84 ტერმინი წარმოადგენს ოქსიმორონს – შექმნილია ინგლისური სიტყვების Friend (მეგობარი) და Enemy (მტერი) შერწყმით.

85 Gokhan Cetinsaya, 'Essential Friends and Natural Enemies: The Historic Roots of Turkish – Iranian Relations.' *MERIA Journal* (07/03/2003). <https://ciaotest.cc.columbia.edu...pdf>

რესპუბლიკასა და ისლამურ რეჟიმს უპირისპირებდა ერთმანეთს, მნიშვნელოვანწილად შემცირდა თურქეთში „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, რამაც გახსნა გზები მრავალ სფეროში თანამშრომლობისთვის. მაგალითად, ანკარა ერთ-ერთი პირველი იყო, რუსეთთან და ვენესუელასთან ერთად, ვინც უპირობო მხარდაჭერა გამოუცხადა აჰმადინეჟადს 2009 წლის საკამათო არჩევნების შემდეგ. თურქეთის ხელისუფლება ასევე მდუმარედ შეხვდა ირანში არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ და დემოკრატიული გარდაქმნების მოთხოვნით შექმნილი „მწვანე მოძრაობის“ ჩახშობას ძალადობრივი გზით.

ქვეყნებს შორის ტრადიციული მეტოქეობის მიუხედავად, თურქეთი ასრულებდა ირანისთვის 'ფანჯრის' როლს ევროპაში. ევროპეიზაციის შედეგებს ირანში ძირითადად სწორედ თურქეთის საშუალებით ეცნობოდნენ.<sup>86</sup> მეორე მხრივ, ირანს აქვს გეოგრაფიული უპირატესობა თურქეთთან შედარებით – ის ესაზღვრება კავკასიის და ცენტრალური აზიის თურქულენოვან სამყაროს. კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში ახალი გეოპოლიტიკური სივრცის გახსნამ გამოიწვია თურქეთისა და ირანის ერთმანეთზე დამოკიდებულების გაზრდაც, რომლებიც იძულებული არიან ითანამშრომლონ, განსაკუთრებით აზერბაიჯანისთვის საქონლის მიწოდების ტრანზიტის სფეროში. ამ თვალსაზრისით ირანის ტერიტორია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.<sup>87</sup>

ირანი თურქეთისთვის ნედლი ნავთობის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი იყო, მაგრამ 2019 წლის მაისში თურქეთმა, ირანისთვის დაწესებული სანქციებიდან გამომდინარე, შეწყვიტა ნავთობის იმპორტი. რაც შეეხება გაზის იმპორტს, ირანი რუსეთისა და აზერბაიჯანის შემდეგ თურქეთის მესამე მომმარაგებელია თავრიზი-ანკარის გაზსადენის საშუალებით.

ორივე ქვეყნის მიზანია ქურთების დამოუკიდებლობის მოძრაობის შეკავება. ქურთისტანის მუშათა პარტია თურქეთში და სეპარატისტი ქურთი მებრძოლები ირანში ორივე ქვეყანას საფრთხეს უქმნიან (თუმცა, ირანის შემთხვევაში საფრთხე ბევრად უფრო ნაკლებია). ამ მხრივ თურქეთი აღიქმება მნიშვნელოვან სტრატეგიულ საპირწონედ ქურთული ნაციონალური მოთხოვნების შესაკავებლად, რამაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს საკუთრივ ირანულ ქურთებზე. მაგრამ ამასთანავე, ეს ხელს არ უშლის ირანს გარკვეულ შემთხვევებში მხარი დაუჭიროს ქურთისტანის მუშათა პარტიასა და საკუთარ ანტითურქულ ქურთულ ჯგუფებს.

ირანი და თურქეთი ზეგავლენისთვის არამხოლოდ მეტოქეები, არამედ ასევე რიგი ალიანსების წევრებიც არიან, რომლებიც წააგავს XIX საუკუნის ევროპისას.<sup>88</sup>

86 Нутзар Тер-Оганов, "Турецко-иранские отношения и газовый вопрос (29/07/2008)". В сб. Нутзар Тер-Оганов, *Иран под ядерной тенью (2008-2021 гг.)*. Сборник эссе. (Lambert Academic Publishing, 2017), 132. XIX საუკუნეში ევროპული იდეების ირანში შეჭრისა და ქვეყნის მოდერნიზაციის თვალსაზრისით, ასევე დიდი იყო სამხრეთ კავკასიის და მისი ცენტრის – თბილისის როლი.

87 Therme, 'Le triangle géopolitique entre la Turquie, l'Iran et la Russie: entre ruptures et continuités.' Dans: Firouzeh Nahavandi (sous la dir. de), *Turquie. Le déploiement stratégique*. (Bruxelles: Bruylant, 2012), 251.

88 Vicken Cheterian, *Little Wars and a Great Game: Local Conflicts and International Competition in the Caucasus* (Swiss Peace Foundation, Working Paper Series 32, Bern, 2001), 68.

თურქეთის აშშ-თან კავშირს ირანი უპირისპირებს რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობებს. თურქეთმა სტრატეგიულ პარტნიორად აირჩია აზერბაიჯანი ყოფილი 'რკინის ფარდის' მიღმა, ირანი კი მჭიდროდ თანამშრომლობს სომხეთთან, აზერბაიჯანის მეტოქესთან. ირანი ასევე მონაწილეობს რეგულარულ შეხვედრებში საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე სომხეთთან და საბერძნეთთან ერთად ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების კოორდინირებისთვის. ერთადერთი გამაერთიანებელი კი ირანს, სომხეთსა და საბერძნეთს შორის, არის მათი საერთო მტრული დამოკიდებულება თურქეთისადმი.

მიუხედავად გასხნილობისა მუსლიმური სამყაროს მიმართ, თურქეთი კვლავაც რჩება დასავლეთის მოკავშირედ, ნატო-ს წევრად, აშშ-თან დაახლოებულად, თუნდაც რომ სულ უფრო მეტად იგრძნობა შეუთანხმებლობა. ირანი კი, თავის მხრივ, ეფუძნება ანტიიამერკანიზმს, როგორც საჯილდაო ქვას მსოფლიოს საკუთარ ხედვაში.

### **ირანი და გარესამყარო – მზერა აღმოსავლეთისკენ?**

ზემოთ უკვე ნახსენები იყო ხომეინის ცნობილი გამონათქვამი – „არც დასავლეთი და არც აღმოსავლეთი...“ (აღმოსავლეთში, ბუნებრივია, იგულისხმებოდა საბჭოთა ბლოკი). თუმცა, დღეს ირანისთვის ვითარება საკმაოდ შეცვლილია. დასავლეთთან, უპირველესად კი შეერთებულ შტატებთან, ურთიერთობები უკიდურესად დაძაბულია. ამასთანავე, რუსეთის გარდა, ირანი დღეს უკვე აქტიურად თანამშრომლობს ჩინეთთანაც.

ერაყთან ომის დამთავრებამ ახალი პერსპექტივები გაუხსნა ირანის საგარეო პოლიტიკას. თუმცა, როდესაც ევროპასთან ურთიერთობების გაუმჯობესების რეალური იმედები გაჩნდა, მწერალ სალმან რუშდისთვის გამოტანილმა სასიკვდილო განაჩენმა (ფათავამ) აჩვენა,<sup>89</sup> რომ ბალანსის დაცვა იდეოლოგიასა და პრაგმატიზმს შორის ბევრად უფრო რთული იყო, ვიდრე ეს თავიდან ჩანდა. ამ ფათავის შემდეგ არაერთმა ევროპულმა ქვეყანამ შეამცირა თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობა ირანში, რამაც, შესაბამისად, დასავლეთთან ურთიერთობების ნორმალიზების პერსპექტივა სათუო გახადა.

არსებობს სულ მცირე ოთხი პრობლემა, რომლებზედაც ფოკუსირებულია დასავლეთი: ირანს მცდელობა შეიარაღდეს მასობრივი განადგურების იარაღით, მის მიერ საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერა, დაპირისპირება ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო შეთანხმების მიღწევის საკითხისადმი და ადამიანების უფლებების დაცვის მხრივ სავალალო მდგომარეობა. ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით 2015 წელს მიღწეული „საერთო ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის“ ხელმოწერის შემდეგ, თითქოსდა ირანისთვის პრობლემათა მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა მოხსნილიყო, თუმცა ტრამპის ადმინისტრაციის დროს აშშ-მა დატოვა ხელშეკრულება და ძველი პრობლემები დასავლეთთან ურთიერთობებში კვლავ აღდგა. საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის მარცხის შემდეგ,

89 1988 წელს აიათოლა ხომეინიმ გამოსცა ფათავა (რელიგიური ბრძანება) ბრიტანელი მწერლის სალმან რუშდის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის მიერ ერთ-ერთ რომანში მოციქულ მუჰამადისადმი გამოვლენილი უპატივცემულობის გამო.



მოლაპარაკებები ხელშეკრულების განახლების შესახებ, თუმცა საკმაოდ დუნედ მიმდინარეობდა. 2022 წლის დასაწყისიდან თითქოსდა გამოიკვეთა ხელშეკრულების ხელმოწერის კონტურები, მაგრამ მხარეებს შორის კონსენსუსის მიღწევა დაემთხვა რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ ომის გაჩაღებას. რუსეთისთვის უმძიმესი სანქციების დაწესების შემდეგ, მოსკოვმა შეთანხმებაზე ხელმოწერის სანაცვლოდ მოითხოვა გარანტიები, რომ სანქციები არ შეეხებოდა მის სავაჭრო ურთიერთობებს ირანთან.<sup>90</sup>

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ შტატები კასპიის ზღვის რეგიონს ანტიტერორისტული პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევს და ყურადღებას აქცევს მჭიდრო ურთიერთობებს ისეთ მუსლიმურ ქვეყნებთან, როგორებიცაა, მაგალითად, აზერბაიჯანი და უზბეკეთი. ამ მხრივაც ვაშინგტონის პოლიტიკა ირანის საწინააღმდეგოა.

ანტიამერიკანიზმი (აშშ – „დიდი სატანა“) ისლამური რესპუბლიკისათვის მაცოცხლებელი წყაროს ფუნქციას ასრულებს. ბუნებრივია, ნაშრომის მიზანი არ არის უახლესი პერიოდის აშშ-ირანის ურთიერთობების განხილვა, მაგრამ რამდენიმე საკმაოდ პარადოქსულ ფაქტზე ყურადღების გამახვილება, ალბათ, საჭიროა. მაგალითისთვის, თავდაპირველად ირანმა საფრთხედ აღიქვა ერაყში აშშ-ის ინტერვენცია. მაგრამ საბოლოო ჯამში გამოჩნდა, რომ აშშ-მა სტრატეგიული სარგებელი მოუტანა ირანს მისი რეგიონული მეტოქის ჩამოშორებით. უკეთეს საჩუქარს სპარსული ახალი წლისთვის ირანი ვერც კი ინატრებდა. აღსანიშნავია, რომ სადამ ჰუსეინის ბაასიტური სახელმწიფოს დამხობას აშშ-სა და მისი დასავლელი მოკავშირეების მიერ რეგიონში მხოლოდ ორი ქვეყანა, ირანი და ქუვეითი მიესალმა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, რევოლუციის კრიტიკული ფაზის დროს, შტატები ჯერ კიდევ იყო ირანული ნავთობის ყველაზე დიდი შემსყიდველი. მხოლოდ 1996 წლის „ირან-ლიბიის სანქციების აქტის“ მიღების შემდეგ შეწყვიტა შტატებმა ირანთან ვაჭრობა, მაგრამ საკვებზე და მედიკამენტებზე არ მოქმედებდა სანქციები 2012 წლის შუა ხანებამდე. შესაბამისად, შტატები დიდი ხნის მანძილზე იყო ირანისთვის ხორბლის მთავარი მიმწოდებელი. უკანასკნელი პარტია, \$46 მლნ საფასურის, ირანმა შეისყიდა 2012 წლის მარტში, უკვე სანქციების შემოღების შემდეგ.<sup>91</sup>

კიდევ ერთი ყურადღასაღები ფაქტია ერაყში აშშ-ის სამხედრო ძალების მიერ ირანელი გენერლის, სოლეიმანის მკვლელობა 2020 წელს. ირანის ხელისუფლება უკიდურესად მძაფრად გამოეხმაურა ამ ფაქტს, იყო მუქარებიც, სარაკეტო იერიშიც ამერიკულ ბაზაზე ერაყში (სადაც იმ დროს არავინ იმყოფებოდა). თუმცა, ამის იქეთ ირანის მოქმედებები აღარ წასულა. სოლეიმანის მკვლელობის შემდეგ იმდროინდელი ვიცე-პრეზიდენტის, მაიკ პენსის განცხადებით: „ჩვენ ვიღებთ გარკვეულ დამაიმედებელ სადაზვერვო ინფორმაციას, რომ ირანი თავის მოკავშირე დაჯგუფებებს უგზავნის შეტყობინებას, არ იმოქმედონ ამერიკული სამიზნეების ან მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ. ვიმედოვნებთ, რომ მსგავსი ქმედებები

90 Laurence Norman, 'Iran Nuclear Deal Threatened by Russian Demands Over Ukraine Sanctions.' (05/03/2022). <https://www.wsj.com/articles/iran-nuclear-deal...> (წვდომა: 06/03/2022).

91 Emily Stephenson, 'Iran Buys US Wheat despite Nuclear Tensions.' (01/03/2012). <https://www.reuters.com...> (წვდომა: 13/02/2021)

გაგრძელდება.<sup>92</sup> ისიც აღსანიშნავია, რომ სოლეიმანის მკვლელობის წლისთავზე, 2022 წლის დასაწყისში, ირანის ახალმა პრეზიდენტმა ებრაჰიმ რაისიმ განაცხადა, რომ ირანი შურს იძიებდა გენერლის მკვლელობისთვის.<sup>93</sup> თუმცა, მსგავსი რიტორიკა ირანის ხელმძღვანელობისთვის არახალია.

დასავლეთთან დაპირისპირების კონტექსტში, ასევე გამოსაყოფია 'რბილი ძალის' მომენტი. ვ. პოში აღნიშნავს, რომ „ირანის უსაფრთხოების პოლიტიკისა და ძალაუფლების პროექციის იდეოსინკრეტიზმსა და წინააღმდეგობრიობას იდეოლოგიური და ისტორიული ფესვები აქვს.“<sup>94</sup> ამ იდეოსინკრეტულობათაგან ერთ-ერთი ირანის შემთხვევაში არის დასავლური სტრატეგიული და იდეოლოგიური ლიტერატურის გულდასმით შესწავლა, მათ შორის ნაის, ფუკუიამასა და ჰანტიგ-ტონის ნააზრევისა, რაც იწვევს ირანულ სტრატეგიაში 'რბილი ძალისა' (*qodrat-e narm*) და კულტურული პოლიტიკის ჩართვას. ზოგადად, ირანი არამხოლოდ აცნობიერებს, არამედ აქტიურადაც იყენებს ნაის 'რბილი ძალის' კონცეფციას, რასაც ირანული დიპლომატია უსადაგებს საგარეო პოლიტიკისა და სტრატეგიის თითქმის ყველა სფეროს.<sup>95</sup>

ირანი ნატოს აღიქვამს არა მხოლოდ სამხედრო საფრთხედ, არამედ ასევე საფრთხედ ირანულ-ისლამური კულტურისთვის. ისლამური რესპუბლიკის ოფიციალური პოზიციით, 'ნატო-ს კულტურამ' მისცა ბიძგი წარუმატებელ ირანულ ხავერდოვან რევოლუციას (*enqelab-e makhmali*) აშშ-ის მიერ ისლამის წინააღმდეგ წარმართული 'რბილი ომის' (*jang-e narm*) შემდეგ. უფრო ზოგადად, ირანის ხელისუფალთა შეხედულებით, ამ ქვეყნების საერთო მიზანია დასავლური ფასეულობების გავრცელება ისლამურ სამყაროში ნატო-ს სამხედრო საშუალებებით.<sup>96</sup> ეს იდეოლოგიური მოცემულობა შედის ასევე ცივი ომის შემდეგ რუსეთისა და ირანის დაახლოების მთავარ ამხსნელ ფაქტორებში.

იმავე სულისკვეთებით, ირანის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ელიტები დასავლურ რბილ ძალას აღიქვამენ 'დასავლეთის კულტურულ თავდასხმად' (*hojum-e farhangi-ye gharb*) ირანის ეროვნული და ისლამური ტრადიციების, ჩვევებისა და იდენტობის წინააღმდეგ. ირანელი მკვლევარი ალი ჯაფარი წერს: „დასავლური კულტურული საფრთხის მთავარი ფუნქცია 'რბილი ომია' და ამის მთავარი მიზანი ისლამურ საზოგადოებებში ეროვნული კულტურისა და იდენტობის დასუსტებაა. ამიტომაც ნატო-ს ყოფნა რეგიონში სხვადასხვა სერიოზულ საფრთხეებს უქმნის ირანის ისლამურ რესპუბლიკას. ამ კონტექსტში კი ხაზი უნდა გაესვას

92 'მაიკ პენსი – "ირანი თავის მოკავშირეებს სთხოვს, ამერიკის პოზიციებს თავს არ დაესხნენ"' (09/01/2020). <https://akhalitaoba.ge...> (წვდომა 11/07/2020).

93 'გენერლის მკვლელობის მეორე წლისთავზე ირანი აცხადებს, რომ შურს იძიებს' (03/01/2022). <https://www.radiotavisupleba.ge...> (წვდომა: 05/01/2022).

94 Posch, 'The Third World, Global Islam and Pragmatism.'

95 ირანის რბილი ძალის შესახებ, იხ. მაგ., Ebrahim Hajiyani and Hamed Iranshahi (eds), *Dar-āmadi bar diplomāsi-ye farhangi-ye Jomhuriye – Eslāmi-ye Irān*. (Tehran, 1393/2014); ასევე Ja'far Haqq-Panah et al., *Qodrat-e Narm-e Irān dar Asyā-ye markāzi va Qafqāz* (Tehran, 1393/2014); Ruholamin Sa'idi, *Diplomāsiy-e omumi-ye Jomhuri-ye Eslāmi-ye Irān: motāle'eh-ye moureidiye Lobnān* (Tehran, 1393/2014), 161–80.

96 A. Hidraf, 'Negaresh-e Irān be gostaresh NATO.' *Faslnāme –ye motale'at-e asiai-ye va qafqāz*, (1386/2007), 59.

ირანის გარშემო ლიბერალური და დასავლური ღირებულებების გავრცელებას.<sup>97</sup>

ანტიამერიკული სტრატეგიიდან გამომდინარე, ირანმა თანდათანობით დაიწყო ზრუნვა აზიურ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავებაზე. 2005 წლიდან მოყოლებული, ჩინეთი ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად იქცა. ირანის პოლიტიკური ელიტის შეხედულებით, ორივე ქვეყნისთვის საერთოა უნდობლობა 'დასავლური იმპერიალიზმის' მიმართ და ასევე გეოსტრატეგიული ინტერესები იმასთან დაკავშირებით, რასაც უწოდებენ 'აშშ-ის ჰეგემონურ წესრიგს'. ჩინური დიპლომატია ირანის მიმართ აშშ-ის ცალმხრივი ეკონომიკური ღონისძიებების წინააღმდეგ გამოვიდა, ასევე დაუშვებლად მიიჩნევს აშშ-ის სამხედრო ოპერაციას ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის გადასაწყვეტად. იმავდროულად, ჩინეთისთვისაც მიუღებელია ბირთვული იარაღით აღჭურვილი ირანი და ირანის ხელმძღვანელობის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ხელს უშლის ნავთობის თავისუფალ გატანას ჰორმუზისა და ბაბ ალ-მანდაბის სრუტეებიდან.

2021 წლის დასაწყისში ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან იმ ირანთან პარტნიორობის შესახებ \$400 მლრდ მოცულობის 25-წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რაც გზას უხსნის ჩინურ ინვესტიციებს ირანის საბანკო, ტელეკომუნიკაციების, ტრანსპორტის, ჯანდაცვის სისტემებში და სხვა სექტორებში ნავთობის დაბალი ფასად მიწოდების სანაცვლოდ.<sup>98</sup> ჩინეთთან შეთანხმება უეჭველად შეარბილებს ირანის კატასტროფულ ეკონომიკურ სიტუაციას, რის გამომწვევი მიზეზიც შტატების სანქციებია, თუმცა ამ ხელშეკრულების რეალიზაცია ხანგრძლივადიანი პროცესია.

ამგვარად, ნათელია, რომ ირანის საგარეო პოლიტიკა კომპლექსურ ხასიათს ატარებს. მასში შეიძლება დავინახოთ როგორც ცვლილების, ისე განგრძობადობის ფაქტორები და არაერთი შეუსაბამობაც.

97 ციტირებულია Posch, 'Fellow Aryans and Muslim Brothers,' 346.

98 Najmeh Bozorgmehr, 'China and Iran sign 25-year agreement to expand ties.' Financial Times, (27/03/2021). <https://www.ft.com...> (წვდომა: 22/09/2021).

### თავი III

## ირანის ადგილი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში

### სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ვექტორები და ირანი

ამ ქვეთავში საუბარი იქნება საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ირანის-თვის შექმნილ შესაძლებლობებზე და იმის თაობაზე, თუ რა გავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ვექტორები ირანთან მათ შორის ურთიერთობებზე.

საბჭოთა კავშირის კოლაფსის შედეგად „ირანი განთავისუფლდა როგორც ზესახელმწიფოს მეზობლობისაგან, ისე მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიური კონკურენციისაგან.“<sup>1</sup> ამასთანავე, მას მრავალი ახალი მეზობელი გაუჩნდა, მათ შორის სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები (საქართველოს არ აქვს უშუალო საზღვარი ირანთან, მაგრამ ისტორიულად და გეოპოლიტიკურად ჩვენი ქვეყანა შეიძლება ირანის მეზობლად ჩაითვალოს).

პოლიტიკური ინტერესების თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირის დაშლამ ირანს შეუქმნა როგორც ახალი შესაძლებლობები, ისე ახალი საფრთხეები. შესაძლებლობად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ირანის ყველაზე დიდი და საშიში მეზობლის არსებობა დასრულდა – კომუნიზმმა კრაზი განიცადა. თუ ისტორიულ ფესვებს შევხებით, რუსეთის იმპერია და შემდგომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა იმ დიდ ძალას, რომელიც მუდმივად ემუქრებოდა ოკუპაციით ირანულ მიწებს.<sup>2</sup> ნათელია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ირანისთვის და მრავალი კუთხით, „მომგებიანიც ისლამური რესპუბლიკისთვის.“<sup>3</sup>

ირანის დიპლომატის, მანუჩერ მორადის თანახმად, ერთი მხრივ, ცივილიზაციური, ისტორიული, კულტურული სიახლოვის წყალობით და იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ამ სამი ქვეყნიდან ორი ირანის უშუალო მეზობელია, და, მეორე მხრივ, განსაკუთრებული გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული პოზიციის წყალობით, სამხრეთ კავკასია გამორჩეულად მნიშვნელოვანია ირანის საგარეო პოლიტიკისთვის. კერძოდ, მრავალი შინაგანი ფაქტორი, როგორცაა ეთნიკური კონფლიქტები ან საზღვრებზე დავები, ასევე გარეგანი ფაქტორები დიდი სახელმწიფოების მეტოქეობის სახით, გამოიხატება რეგიონში თავისთავად არსებული არასტაბილურობის და დაძაბულობის ძლიერი პოტენციალით.<sup>4</sup>

1 Mohaeddin Mesbahi, 'Iran and Central Asia: Paradigm and Policy' Central Asian Survey (06-2004), 23(2), 110.

2 იხ. მაგ., Aliyar Azimov, 'An Overview of The Relations Between the Republic of Armenia And the Islamic Republic of Iran.' Review of Armenian Studies (2019), no. 40, 93-111.

3 Herzig, Iran and the former Soviet South, 4.

4 Manoucherh Moradi, 'Jang dar Ghafghāz, amniat va manāfē Jomhuri-e Eslāmi-ye Irān.' Motale'ate Asiaye Markazi va Ghafghāz, (Winter, 2006), no. 63, 5.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ირანულ ელიტებს ჰქონდათ მოლოდინი, „რომ ზესახელმწიფოს ზეწოლის არარსებობის პირობებში, თეირანს ყველაზე კარგი პოზიცია აქვს ახალი რეგიონული წესრიგის შესაქმნელად... რომელშიც... თვითონ ირანი დაამყარებს ძალთა ბალანსს.“<sup>5</sup> თუმცა, ეს მოლოდინები მხოლოდ სურვილებად დარჩა არაერთი მიზეზიდან გამომდინარე.

პირველ რიგში, ირანი ახალი გამოსული იყო მძიმე ომიდან. ამ ომში კი ის პრაქტიკულად მოკლებული იყო საერთაშორისო მხარდაჭერას. შესაბამისად, ირანს არ ჰქონდა საკმარისი ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსები, რომ დახმარებოდა ახლადშექმნილ სახელმწიფოებს ინფრასტრუქტურის შექმნასა და ეკონომიკის განვითარებაში. გარდა ამისა, ირანი სულაც არ იყო რეგიონის ერთადერთი მეზობელი, რომელსაც შეექმნა შესაძლებლობა და ჰქონდა სურვილი, ეთამაშა უფრო დიდი როლი სამხრეთ კავკასიაში. მალე გამოიკვეთა, რომ თურქეთი მნიშვნელოვანი მეტოქე იყო, ბევრად უფრო ძლიერი ეკონომიკით და წინწასული ტექნოლოგიებით. დამატებით კი, სულ რამდენიმე წელიწადში, მოსკოვმა ისევ მოიკრიბა ძალები და კვლავაც მოინდომა რეგიონში მთავარი მოთამაშე გამხდარიყო.

ზოგადად, შაჰისდროინდელი სახელმწიფოს მსგავსად, ირანი უპირველეს ყურადღებას აქცევს საკუთარ საზღვრებთან სტაბილურობის მნიშვნელობას და მეზობლებთან მშვიდობიან ურთიერთობებს.<sup>6</sup> იგივე შეიძლება ითქვას ირანის პოლიტიკის შესახებ სამხრეთ კავკასიის მიმართ და ირანის მიერ დიდი სახელმწიფოების, პირველ რიგში რეგიონში რუსეთის როლის აღქმასთან დაკავშირებით.

პოსტსაბჭოთა პერიოდის მანძილზე, ირანის დამოკიდებულება ახალი, ჩრდილოეთის საზღვრის მიმართ ზოგადად ოთხი ძირითადი ასპექტით შეიძლება დახასიათდეს: 1) მჭიდრო კავშირი რუსეთთან და რუსეთის ინტერესების აღიარება კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში; 2) ისლამის ფაქტორი ანუ ისლამის გეოპოლიტიკური და გეოკულტურული როლი კავკასიაში; 3) კასპიის ზღვის ნავთობის ფაქტორი და, აქედან გამომდინარე, დასავლეთის პოზიციების გამყარება რეგიონში; 4) რთული ურთიერთობები აზერბაიჯანთან, რაც განპირობებულია ირე-დენტისტული განწყობების არსებობით საზღვრის ორივე მხარეს (უპირველესად აზერბაიჯანის მხრიდან).<sup>7</sup> ზემოთქმულიდან გამომდინარე, ირანის ინტერესებში შედის გარე ძალების ზეგავლენის შესუსტება; უსაფრთხოებისთვის შესაძლებელი გამოწვევების ნეიტრალიზება; უფრო მყარი ეკონომიკური და კულტურული პოზიციების მოპოვება; კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის გადაწყვეტა.<sup>8</sup> სამიზნე იყო კასპიის ზღვის დელიმიტაციის მიღწევა ირანის წილის მაქსიმიზაციით, რაც ვერ განხორციელდება და რის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი. ირანის მიზანს წარმოადგენდა ასევე მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესში აქტიური მონაწილეობა, რაც ასევე პრაქტიკულად ფუჭი ძალისხმევა აღმო-

5 Ehteshami, 'The Foreign Policy of Iran,' 287, 304.

6 Bakhash, 'Iran's Foreign Policy under the Islamic Republic,' 255.

7 ნიკოლოზ ნახუცრიშვილი და გიორგი სანიკიძე, საქართველო და ირანი: 25-წლიანი ურთიერთობების შეჯამება და სამომავლო პერსპექტივები. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IX (თბილისი: ილიაუნის გამომცემლობა, 2016), 306.

8 Amanda Paul, 'Iran's foreign policy in the South Caucasus: Between Pragmatism and Realpolitik.' In: Fuad Chiragov et al., (eds), The South Caucasus: Between Integration and Fragmentation. (Baku: SAM, 2015), 54. <https://www.files.ethz.ch/isn...pdf>



ჩნდა. საერთო ჯამში, ირანმა სწრაფად გააცნობიერა, რომ ის ვერ გახდებოდა რეგიონში ჰეგემონი, ამიტომაც, როგორც ქართველი მკვლევარი თ. შარაშენიძე აღნიშნავს, მისი მიზანი გახდა ძალთა ბალანსის მიღწევა სხვა რეგიონულ მოთამაშეებთან მიმართებაში.<sup>9</sup>

თავი მხრივ, მ. ქუჭი ესვაჰანი ირანის ურთიერთობებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან სამი კუთხით განიხილავს: 1. კულტურულ-ისტორიული სიახლოვე; რამდენადაც რეგიონი მრავალი საუკუნის მანძილზე სპარსეთის ზეგავლენის სფერო იყო, ამან შექმნა განსაკუთრებული დამაკავშირებელი ხიდი სამხრეთ კავკასიასა და ირანს შორის. 2. გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, რაც გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია. 3. უსაფრთხოება და სტაბილურობა.<sup>10</sup> მართლაც, სიახლოვიდან გამომდინარე, ჰიპოთეტურად ნებისმიერი სახის არასტაბილურობამ და კონფლიქტებმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ირანის უსაფრთხოებაზე, შიდა სტაბილურობაზეც კი. გარდა ამისა, სამხრეთ კავკასია გარკვეულწილად ბუფერული ზონაა ირანსა და სხვა რეგიონულ თუ საერთაშორისო ძალებს შორის.

თითქმის ყველა ავტორი თანხმდება, რომ ბევრად უფრო მეტად, ვიდრე სხვა რეგიონებში, სამხრეთ კავკასიაში ირანის პოლიტიკის 'რეალისტური' ელემენტები მკვეთრად თვალსაჩინო და ზეგავლენის მქონეა, მიუხედავად ირანის ისლამური რესპუბლიკის 'რელიგიური' ბუნებისა. ამგვარად, საერთო შეხედულებით, ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში პრაგმატიზმზეა დამყარებული. როგორც მ. მილანი აღნიშნავს, „ირანის პოლიტიკა რეგიონში ბევრად უფრო პრაგმატული, ბევრად უფრო ბიზნესზე ორიენტირებული და ბევრად ნაკლებად იდეოლოგიურია, ვიდრე მისი პოლიტიკა სხვა რეგიონებში უშუალო მეზობლების მიმართ, როგორებიცაა, მაგალითად, ერაყი და საუდის არაბეთი.“<sup>11</sup> მ. მესბაჰი და მ. ჰომაიუნვაში კი, თავის მხრივ, ხაზს უსვამენ, რომ „ძირითადად სეკულარულმა მიდგომამ სამხრეთ კავკასიისადმი, თეირანი აიძულა ახლო აღმოსავლეთისგან განსხვავებული პოლიტიკა ეწარმოებინა აქ.“<sup>12</sup> ჰ. ს. ედვარდსი ასევე აღნიშნავს, რომ „განსხვავებით აგრესიულობისა ახლო აღმოსავლეთის უმეტეს ნაწილში, ირანის ჩართულობა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ნაკარნახევია არა რელიგიური იდეოლოგიით, არამედ პრაგმატული ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მიზნებით.“<sup>13</sup>

ზემოთქმული დიდწილად სწორია სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ახლო აღმოსავლეთშიც ირანის საგარეო პოლიტიკაში იდეოლოგია პრაგმატული მიზნების სამსახურშია ჩაყენებული და ხშირად ის 'გა-

9 Tornike Sharashenidze, 'The Role of Iran in the South Caucasus.' ETN Zürich, Center for Security Studies (27/02/2013). <https://css.ethz.ch/content...> (წვდომა: 09/06/2021).

10 Esfahani, Iran's Foreign Policy in the South Caucasus, 97.

11 Mohsen Milani, 'Iran's Foreign Economic and Security Policy.' In: Iran in a Reconnecting Eurasia (Foreign Economic and Security Interests Center for Strategic and International Studies (CSIS), 2016), 7. <http://csis-website-prod.s3...pdf>

12 Mohaidin Mesbahi and Mohammad Homayounvash, 'Iran and the Changing Geopolitics of the South Caucasus.' In: Shireen T. Hunter (ed.), The New Geopolitics of the Caucasus. Prospects for Regional Cooperation and Conflict Resolution. (Lexington Books, 2017), 203.

13 Haley Sweetland Edwards, 'Iran's Near Abroad. Beset by global sanctions, Iran's leaders go local.' Foreign Policy (September 20, 2010). <http://foreignpolicy.com...> (წვდომა: 15/08/2015).

მოგონილიცაა! შესაძლოა, სამხრეთ კავკასიაში შედარებით ნაკლებად გამოსადეგარია იდეოლოგიური ფაქტორი, თუმცა ირანი აქაც ცდილობს (ძირითადად წარუმატებლად) რელიგიური ფაქტორის გამოყენებას. აქცენტირება უფრო მეტად ხდება კულტურის 'რბილი' ძალის გამოყენებაზე, რომელშიც რელიგიური შემადგენელი, ბუნებრივია, არსებობს, მაგრამ არ არის პირველადი. აქ ერთ მნიშვნელოვან მომენტზე გავამახვილებ ყურადღებას: საბჭოთა კავშირის დაშლა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება მოხდა მაშინ, როდესაც ირანში პრაქტიკულად დასრულდა „ხომეინის ეპოქა“ და „რევოლუციის ექსპორტის“ იდეამ მხოლოდ დეკლარატიულ დონეზე განაგრძო არსებობა. შესაბამისად, რელიგიური რადიკალიზმისთვის ირანის საგარეო პოლიტიკაში აღარ იყო დარჩენილი სივრცე. დაახლოებით მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს ნ. კოჟანოვი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადრეული 1990-იანი წლებიდან რადიკალურმა რელიგიურმა იდეებმა თანდათანობით დაკარგა ზეგავლენა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაზე. პრაგმატიზმმა, რომელმაც ისინი შეცვალა, ახალი მნიშვნელობა შეიძინა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ირანის დიდი დიპლომატიური სტრატეგიის ჩარჩოებში.<sup>14</sup>

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უბრალოდ შეუძლებელი იყო მათი მხრიდან ირანისადმი საბჭოური იზოლაციონისტური პოლიტიკის გაგრძელება. თომას დე ვაალი მართებულად შენიშნავს: „დასავლური სამყარო დიდი ნაწილი განუდგა ირანს, მაგრამ ასე ვერ მოიქცევიან ირანის მეზობელი ქვეყნები, რომელთაც ამ დიდ და ძლიერ სახელმწიფოსთან მათთვის მნიშვნელოვანი ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობები აქვთ.“<sup>15</sup>

ამასთან, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებული საგარეო ვექტორები განაპირობებს მათ განსხვავებულ დამოკიდებულებას ირანისადმი. სანამ თითოეულ ქვეყანასთან ურთიერთობების განხილვაზე გადავიდოდე, ვეცდები, გამოვკვეთო ეს ძირითადი განსხვავებები და მათი განმაპირობებელი ფაქტორები. ამ თვალსაზრისით, ალბათ, პირველ რიგში, საჭიროა ყურადღების გამახვილება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტებში ირანის როლზე; ასევე იმ პრობლემებზე, რაც რეგიონში არსებობს და მეტნაკლებად ირანსაც შეეხება.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე ახლო და პარტნიორული ურთიერთობები ირანთან სომხეთს აქვს.

სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტში ხაზგასმულია: „ფართო ეკონომიკური სანქციების დაკისრება ირანისთვის... პირდაპირ საფრთხეს შეუქმნის სომხეთის რესპუბლიკის ეროვნულ უსაფრთხოებას.“ აღნიშნულია, რომ რუსეთი სომხეთის მთავარი სტრატეგიული მოკავშირეა, ამასთანავე კი სომხეთი ითანამშრომლებს ევროკავშირთან და ნატოსთან. ყურადღება ექცევა ირანისა და სომხეთის თანამშრომლობის მნიშვნელობას და ასევე აღნიშნულია, რომ სომხეთი აფასებს ირანის ჩართულობას სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე სხვადასხვა პრო-

14 Kozhanov, *Iran's Strategic Thinking: The Evolution of Iran's Foreign Policy, 1979-2018*. (Berlin: Gerlach Press, 2019), 77.

15 Thomas de Waal, 'Iran's Relieved Neighbors in the Caucasus'. (2007). <http://carnegie.ru...> (წვდომა: 26/06/2013).

ცესებში, რასაც მიიჩნევს რეგიონში ბალანსისა და სტაბილურობის შენარჩუნების ხელშეწყობა ფაქტორად. ხაზგასმულია, რომ „ტრადიციული სამეზობლო ურთიერთობების განვითარება სომხეთსა და ირანს შორის ემყარება მთელ რიგ საზიარო რეალობებს: საერთო საზღვარი, ისტორიული და კულტურული კავშირები, თანმთხვევი ეკონომიკური ინტერესები.“ ასევე: „სომხეთი აფასებს იმ დაბალანსებულ პოზიციას, რომელსაც ირანი – მნიშვნელოვანი აქტორი როგორც რეგიონულ დონეზე, ისე ისლამურ სამყაროში, ატარებს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით... სომხეთი ასევე აფასებს ირანის ჩართულობას სხვადასხვა პროცესებში სამხრეთ კავკასიაში და მიიჩნევს მას რეგიონში ბალანსისა და სტაბილურობის შენარჩუნების ფაქტორად.“<sup>16</sup>

აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის კონცეფციაში ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მთავარ საფრთხედ სომხეთია დასახელებული. აღნიშნულია, რომ „სამხრივი სტრატეგიული პარტნიორობა და ღრმა თანამშრომლობა აზერბაიჯანს, თურქეთსა და საქართველოს შორის იქცა სტაბილურობის ფაქტორად რეგიონში. აზერბაიჯანი დაინტერესებულია ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობების განვითარებით ირანთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში. აზერბაიჯანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთობებს მეზობელ ირანთან... [რომელთანაც] იზიარებს საერთო მდიდარ ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას.“<sup>17</sup>

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის თანახმად, მთავარი საფრთხე რუსეთია. ირანი კი სულ ერთხელ არის ნახსენები იმ მრავალ ქვეყანას შორის, რომლებთანაც საქართველო გააგრძელებს ეკონომიკურ თანამშრომლობას.<sup>18</sup>

ამგვარად, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს განსხვავებული საგარეო პოლიტიკური კურსი აქვთ აღებული. სომხეთი რუსეთის სტრატეგიულად მოკავშირედ იქცა, საქართველო პროდასავლურ ქვეყნად ჩამოყალიბდა, ხოლო აზერბაიჯანმა მიუმხრობლობა და ნეიტრალიტეტი აირჩია (ასევე დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობაც – ინტერესთა თანმთხვევიდან გამომდინარე). ამასთანავე, როგორც რეგიონში, ისე მსოფლიოში სწრაფი ცვლილებები სამივე ქვეყანას აიძულებს გარკვეულწილად მოქნილი პოლიტიკის წარმართვას.

სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრინციპებად „კომპლემენტარიზმი“ (ურთიერთშევესება) და „ჩართულობა“ არის დასახელებული.

დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის დოქტრინა, რომლის კონცეპტუალიზაციაც განახორციელა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ვართან ოსკანიანმა (1998-2008), წარმოადგენდა „პროაქტიურ დიპლომატიას, რომელიც ითვალისწინებდა უფრო მეტს, ვიდრე ბალანსის მიღწევას ან ნეიტრალიტეტის დაცვას.“<sup>19</sup> მისი მიზანი იყო კარგი ურთიერთობების შენარჩუნება ყველა დიდ სახელმწიფოსთან,

16 Republic of Armenia. National Security Strategy. <https://www.mfa.am...pdf>. 2007.

17 National Security Concept of the Republic of Azerbaijan. <https://www.files.ethz.ch...2007...pdf>.

18 National Security Concept of Georgia. <https://mod.gov.ge/uploads/2018...pdf>.

19 Khatchik Der-Ghougassian, 'Farewell to Complementarity: Armenia's Foreign Policy at a Crossroad.' The Armenian Weekly Magazine: Armenia's Foreign Policy in Focus (01/04/2014). <https://armenian-weekly.com...> (30/01/2020).

განსაკუთრებით კი პირობების შექმნა რუსეთზე დამოკიდებულების ტვირთის შესამსუბუქებლად. ოსკანიანის შეხედულებით, ეროვნული ინტერესების განხორციელებისას, სომხეთი შეიძენს უნარს იქცეს კონსენსუსის ადგილად, სადაც სხვადასხვა მოქიშვე დიდ სახელმწიფოებს თანმთხვევი პოზიციები ექნებათ.<sup>20</sup>

‘ჩართულობის’ კონცეპტი გულისხმობს რეგიონულ და საერთაშორისო პროცესებში მონაწილეობას და ისეთი ინიციატივების მხარდაჭერას, რომლებიც სარგებლის მომტანია სომხეთის ეროვნული ინტერესებისთვის. სომეხი მკვლევარი ტ. იეპრემიანი ხაზს უსვამს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სომხეთმა საგარეო პოლიტიკის დოქტრინად აირჩია ‘კომპლემენტარიზმი’, რაც მას საშუალებას აძლევს რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში... ეფექტურად განახორციელოს საკუთარი ინტერესები.<sup>21</sup> სინამდვილეში ამგვარი ‘პოზიტიური გაწონასწორების’ პოლიტიკის განხორციელება სომხეთისთვის განუხორციელებელი იდეა აღმოჩნდა. რუსეთის ორბიტიდან გამოსვლა, ან თუნდაც მასზე დამოკიდებულების შემცირება, უტოპიური იდეაა იყო. საკუთრივ, დოქტრინამაც, როგორც ა. მირზოიანი წერს, „აღერგიული რეაქცია გამოიწვია რუსეთის სახელისუფლებო წრეებში.“<sup>22</sup>

სომხეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ არმენ ბაიბურთიანიმა ერთხელ აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა საგარეო პოლიტიკაში იძულებულია ეძებოს დამაბალანსებელი ფორმულები, რადგანაც უნდა გაითვალისწინოს როგორც გლობალური განვითარების ტენდენციები, ისე რეგიონული ძალების ტრადიციული ინტერესები.<sup>23</sup> მაგრამ მიზეზთა გამო, სომხეთი პრაქტიკულად იძულებულია სრულად გაითვალისწინოს რუსეთის ინტერესები, ხშირ შემთხვევაში საკუთარი ინტერესების საზიანოდ. რ. მეგრებიანის სიტყვებით, ყოველ კრიზისთან, მის განვითარებასთან ან შემდეგ ფაზაში გადასვლასთან ერთად, სომხეთი ფაქტობრივად რუსეთს უთმობდა თავისი სუვერენიტეტის ნაწილს, ასევე კარგავდა ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებულ დამოუკიდებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობასა და უფლებას.<sup>24</sup>

ზემოთქმულის დასტურად ორიოდ მაგალითს მოვიყვან:

1995 წელს ხელმოწერილი შეთანხმების შედეგად რუსეთმა გიუმრიში შექმნა 102-ე სამხედრო ბაზა. ირანთან და თურქეთთან სასაზღვრო კონტროლსაც რუსები ახორციელებდნენ.

2014 წლის სომხეთის გადაწყვეტილება, გამოსულიყო ევროკავშირთან სავაჭრო შეთანხმებიდან და შეერთებოდა რუსეთის ჰეგემონობით შექმნილ ევრა-

20 ოს. Vartan Oskanian, ‘Armenia’s Evolving Relations with the United States and Europe.’ (Washington D.C.: Center for Strategic and International Studies, 2009). <https://csis-website-prod.s3...pdf>

21 Tigran Yepremyan, ‘Armenia Within the Complex of ‘Overlapping Authority and Multiple Loyalty’: The European Union and the Eastern Partnership: Security Challenges. (Chişinău-Cernăuți-Tbilisi: ECSA, 2018), 229.

22 Alla Mirzoyan, Armenia, the Regional Powers, and the West: Between History and Geopolitics. (Palgrave Macmillan, 2010), 43.

23 ციტ. Michael B. Bishku, ‘The South Caucasus Republics and Israel.’ Middle Eastern Studies (March 2009), vol. 45, no. 2, 296.

24 Рубен Меграбян, ‘Комплементарная внешняя политика Армении в контексте региональных кризисов.’ См. Вали Кузегар Каледжи (ред.), Иран и республики Южного Кавказа. (Тегеран: Центр по Изучению Ирана и Евразии, 2017), 37.

ზიულ ეკონომიკურ საბაჟო კავშირს, რუსეთის ზეწოლის მკაფიო მაგალითია. მაშინ, როდესაც წლების მანძილზე მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად ევროკავშირსა და სომხეთს შორის საბოლოოდ პოზიტიური შედეგები დადგა, რუსეთმა უცებ ასწია სომხეთისთვის გაზის ფასი 50%-ით 2013 წლის ივლისში. მანამდე მოსკოვმა გამაფრთხილებელი სიგნალიც გაუგზავნა ერევანს აზერბაიჯანისთვის \$1 მლრდ შეიარაღების მიყიდვით. ამას მალე მოჰყვა პრეზიდენტ სარგსიანის გადაწყვეტილება შეერთებოდა საბაჟო კავშირს.

საბოლოო ჯამში კი, სომხეთის ნაბიჯები, განსაკუთრებით ბოლო წლებში, რომ თავი დაეღწია რუსეთზე დამოკიდებულებისთვის, იყო „მეტად ფრთხილი და მეტად დაგვიანებული.“<sup>25</sup> არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხანმოკლე ან საშუალოვადიან პერსპექტივაში შესუსტდეს რუსეთის ზეგავლენა სომხეთზე.<sup>26</sup>

აზერბაიჯანი არ არის ისეთი ქვეყნების ბანაკში, როგორებიცაა უკრაინა, მოლდოვა და საქართველო, რომლებიც ცდილობენ დაუახლოვდნენ დასავლეთს. ის არც ბელარუსისა და სომხეთის კურსს იზიარებს, რომლებსაც მტკიცე კავშირი აქვთ მოსკოვთან. სანაცვლოდ, „აზერბაიჯანი ამჯობინებს რუსული და დასავლური ბლოკების გარეთ ყოფნას და თავს არიდებს ინტეგრაციის შესაბამის სქემებს.“<sup>27</sup>

სერიოზული უთანხმოებების მიუხედავად, აზერბაიჯანი ყოველთვის თავს იკავებდა ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მხარდაჭერისგან.<sup>28</sup>

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ რუსეთი გახდა აზერბაიჯანისთვის შეიარაღების მთავარი მიმწოდებელი. მას მოსდევენ თურქეთი და ისრაელი. რუსეთის მიერ მიწოდებულ შეიარაღებაში შედის მძიმე ტანკები, არტილერია და სარაკეტო სისტემები, მოიერიშე და სატრანსპორტო ვერტმფრენები, ჯავშანმანქანები და სხვ. ეს საკმაოდ ორაზროვანი თანამშრომლობაა, რამდენადაც რუსეთის არის კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის ლიდერი, ხოლო სომხეთი – მისი წევრი.<sup>29</sup>

საქართველო მკვეთრად განსხვავდება ორი მეზობლისაგან დასავლეთთან ინტეგრაციის დეკლარირებული კურსითა და ნატო-ს წევრობისკენ სწრაფვით. შესაბამისად, ირან-დასავლეთის ურთიერთობებში საქართველო უპირობოდ და-

25 Richard Giragosian, 'Promise and Peril: The Armenia-Russia-Iran Axis.' In: Kornely Kakachia et al., (eds), Geopolitics and Security. A New Strategy for the South Caucasus. (Konrad-Adenauer-Stiftung Regional Program South Caucasus; German Council on Foreign Relations; Georgian Institute of Politics, 2018), 177-206.

26 ცნობილი დაშნაკი რუბენ დარბინიანი 1920 წლის აპრილში, სომხეთის გასაბჭოებამდე ოდნავ ადრე, წერდა: „რუსეთი ჩვენი მეგობარი მანამდეა, სანამ მისი მონები ვართ; მაგრამ ის ხდება ჩვენი მტერი, შესაძლოა ყველაზე სახიფათო მტერიც, როდესაც ჩვენ მოვინდომებთ თავისუფლებას და თვითმმართველობას.“ (ციტ. Razmik Panossian, *The Armenians: From Kings and Priests to Merchants and Commissars* (Columbia University Press, 2006), 192.

27 'Azerbaijan Seeks a Balance Between Russia and the West.' (18/06/2014). <https://www.stratfor.com...> (წვდომა: 24/06/2017).

28 Азад Гарибов, 'Понимание внешней политики Азербайджана: отношения со странами региона в свете мировых событий.' *Иран и республики Южного Кавказа*, 27.

29 Heydar Mirza & Igor Korobov, 'Pragmatic Policies and Interplay of Forces – Azerbaijan's Foreign Policy Amidst Turkey and Iran.' In: Farhad Mammadov & Fuad Chiragov (eds), *Trilateral Dimension of Azerbaijan's Foreign Policy*. (Baku: Center for Strategic Studies..., 2015), 89.



სავლეთის მხარეზე დგას, რაც, ბუნებრივია, ხელს არ უწყობს ორი ქვეყნის დაახლოებას.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ირანისადმი დამოკიდებულების შედარებისთვის, ორ მაგალითს მოვიყვან:

2008 წლის 5 ნოემბერს საქართველომ, მსგავსად აშშ-ის, ევროპული ქვეყნების, იაპონიის და სამხრეთ კორეისა, თავი შეიკავა ხმის მიცემისგან უნენვაში ბაზირებულ ადამიანთა უფლებების საბჭოთა კენჭისყრაზე გამოტანილ გოლდსტონის ანგარიშზე, რომელიც ეხებოდა ისრაელისა და „ჰამასისთვის“ ბრალის დადებას შესაძლებელ ომის დანაშაულებებში იმ წლის დასაწყისში (იგულისხმებოდა ლაზის სექტორში მომხდარი მოვლენები). საპირისპიროდ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა, შეუერთდნენ რა თურქეთსა და ირანს, ხმა მისცეს ამ რეზოლუციას, რომელიც შედგენილი იყო არაბული ლიგისა და მიუმხრობლობის მოძრაობის წევრი ქვეყნების დელეგაციების მიერ.<sup>30</sup>

2020 წლის 3 იანვარს ერაყში ამერიკელების მიერ ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის მეთაურის ყასემ სოლეიმანის მკვლელობასთან დაკავშირებით სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებები თითქმის იდენტური და დიდწილად ირანის მხარდამჭერი იყო. საქართველოს რეაქცია კი, განსხვავებული: „ჩვენ ვგმობთ ახლახანს განხორციელებულ ძალადობის აქტს – პროვოკაციულ თავდასხმას აშშ-ის საელჩოზე ბაღდადში. აშშ-ს აქვს ლეგიტიმური უფლება საკუთარი მოქალაქეების დაცვისა; დაწერა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა ტვიტერზე.<sup>31</sup>

დაბოლოს, დღეს ხშირია საუბარი სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებით ორი ღერძის არსებობაზე: ანკარა-თბილისი-ბაქო და მოსკოვი-ერევანი-თეირანი.<sup>32</sup> მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში მართლაც არსებობს სტრატეგიული ალიანსი, მეორე შემთხვევაში, არაერთი სადავო საკითხისა და მოუგვარებელი პრობლემის გამო, ხსენებულ ღერძს ძნელია ეწოდოს მყარი ალიანსი. ეს საკითხი ქვემოთ უფრო დაწვრილებით იქნება განხილული.

### გარე აქტორები სამხრეთ კავკასიაში და ირანი

თანამედროვე ეტაპზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და ირანის პოლიტიკური ურთიერთობების განხილვაზე გადასვლამდე, უპრიანია ირანის მიერ რეგიონში მოქმედი მთავარი აქტორების აღქმაზე ყურადღების გამახვილება. ბუნებრივია, საუბარია რუსეთზე, აშშ-სა და თურქეთზე (ევროკავშირი ნაკლებ აქტივობას იჩენს ირანის პოლიტიკასთან დაკავშირებით რეგიონში).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეჯიბრებითობის განზომილებამ დიდ სახელმწიფოებსა და საშუალო ძალის სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც აქვთ

30 'By Recorded Vote, General Assembly Urges Israel, Palestinians to Conduct Credible, Independent Investigations into Alleged War Crimes in Gaza' (05/11/2009). [unispal.un.org/UNISPAL.nsf...](http://unispal.un.org/UNISPAL.nsf...) (წვდომა: 15/10/2020).

31 'Georgian FM condemns attack on US Embassy in Iraq' (02/01/2020). <https://agenda.ge...> (წვდომა: 09/01/2020)

32 ამ 'ღერძების' შესახებ იხ. მაგ., Jeffrey Mankoff, 'The Big Caucasus: Between Fragmentation and Integration.' (Washington, DC: CSIS, 03-2012), 9. <https://www.csis.org...> (წვდომა: 01/02/2020).

ანგარიშგასაწევ რეგიონულ აქტორებად ქვეყნის პრეტენზია და პოტენციალიც, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და ომიდან ახლად გამოსული ირანი იძულებული გახდა ჩართულიყო სხვა რეგიონულ ძალებთან ქიშპში. შესაბამისად, შეიცვალა ზოგიერთი საშუალო ძალის მეზობლის მხრიდან ირანის აღქმა. ირანი უკვე აღარ მიიჩნეოდა პარტნიორად საბჭოთა ზეწოლის წინაშე, არამედ გახდა მეტოქე ახალ რეგიონულ სისტემაში. მაგრამ მალე გამოჩნდა, რომ ირანს, მიზეზთა გამო, არ შეეძლო სამხრეთ კავკასიაში რეალური კონკურენცია გაეწია სხვა აქტორებისთვის, უპირველესად ირანის საგარეოპოლიტიკური პოზიციების სისუსტისა და ეკონომიკური შესაძლებლობების შეზღუდულობის გამო. ამასთან ერთად, თეირანის მცდელობები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა რეგიონში მოქმედი აქტორების ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები, ასევე არაფრისმომტანი გამოდგა, რადგანაც ირანი არ მიიჩნეოდა ანგარიშგასაწევ ძალად. ე. ჰერციგი სამართლიანად შენიშნავს: „თეირანის დაინტერესება რეგიონალიზმის გამოყენებით აშშ-ის განზე დატოვების ან საკუთარი ლიდერობის პრეტენზიის გამოხატვისთვის, ხშირ შემთხვევაში კონტრპროდუქტიულია, როდესაც ის ცდილობს ამ მიმართულებით ითანამშრომლოს მეზობლებთან.“<sup>33</sup>

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას, რომ ირანის რეგიონული პოლიტიკა ხასიათდება გადაჭარბებული რუსოცენტრიზმით. შ. ჰანტერის სიტყვებით, „ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებთან ირანის ურთიერთობების ხასიათი და დიაპაზონი დამოკიდებულია რუსეთზე და არა ირანის პრიორიტეტებსა თუ მიზნებზე.“<sup>34</sup> XXI საუკუნის დასაწყისში რუსი ექსპერტები უკვე წერდნენ ახალ ტენდენციებზე ირანის საგარეო პოლიტიკაში და ხაზს უსვამდნენ, რომ ირან-რუსეთის ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცეოდა არა ეკონომიკური კავშირები, არამედ ორი ქვეყნის ინტერესები რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისას.<sup>35</sup> თუმცა, რუსეთი ირანელთათვის კვლავაც იმპერიული ძალაა, რომელსაც სურს საკუთარი ბატონობის დამყარება ცენტრალური აზიისა და კავკასიის ახალ სახელმწიფოებში, სადაც ირანს ისტორიულად უზარმაზარი გავლენა ჰქონდა. შესაბამისად, „რუსეთი ეწინააღმდეგება სამხრეთ კავკასიაში ისეთი რეგიონული ძალის პოზიციების დამყარებას, რომელსაც მჭიდრო ეთნიკური თუ კულტურული კავშირები აქვს ადგილობრივ ხალხებთან.“<sup>36</sup> ამგვარი ძალა კი სწორედ ირანია, რომელიც დიდწილად შეზღუდულია რუსეთის მიერ რეგიონში თავისუფლად მოქმედებისგან. ამ ვითარებაში ირანი ყოველმხრივ ცდილობს საკუთარი ინტერესები ‘მოარგოს’ რუსეთის ინტერესებს. თუმცა, ამის გაკეთება ყოველთვის შეუძლებელია და ამის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

კავკასიური პოლიტიკის სასურველად განხორციელებისთვის ირანისთვის კიდევ ერთი წინააღმდეგობა გახდა შტატების დიდი ზეგავლენა რეგიონზე.

33 Herzig, ‘Regionalism, Iran and Central Asia.’ *International Affairs* (Royal Institute of International Affairs, 2012), 80 (3), 505.

34 Hunter, *Iran's Foreign Policy*, 172.

35 იხ. მაგ., В. П. Цуканов, ‘Анализ сквозь призму ответов на анкетные вопросы.’ В сб. Н. М. Мамедова (отв. ред.), *Иран и Россия*. (Москва: Институт изучения Израиля и Ближнего Востока, 2004), 92-93.

36 Hunter, *Iran's Foreign Policy*, 106.

აშშ-ის ძირითადი მიზნებია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის და სუვერენობის დაცვა და რუსეთის მიერ მათი დამორჩილების პრევენცია; ასევე რეგიონში ირანის სტრატეგიული ზეგავლენის შემცირება, უპირველესად მუსლიმ მოსახლეობაში. ამ თვალსაზრისით, აშშ-ის დიპლომატიამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა განახორციელა ირანის, როგორც მოძალადისა და არეულობების გამომწვევის იმიჯის შესაქმნელად, მის საპირისპიროდ კი თურქეთის გადაჭარბებულად იდეალისტური იმიჯის წარმოსაჩენად.<sup>37</sup>

თეირანისთვის კომმარტი გამოდგა კასპიის სანავეთობო ზუმის დაწყება 1990-იან წლებში, რასაც მოჰყვა აშშ-ის ჩართულობის გაზრდა რეგიონში. შესაბამისად, „სამხრეთ კავკასია იქცა აშშ-ირანის ქიშპის ერთ-ერთ ახალ ფრონტად.“<sup>38</sup>

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ შტატები კასპიის ზღვის რეგიონს ანტიტერორისტული პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევენ და ყურადღებას აქცევენ მჭიდრო ურთიერთობებს ისეთ მუსლიმურ ქვეყნებთან, როგორებიცაა, მაგალითად, აზერბაიჯანი და უზბეკეთი. ამ მხრივაც ვაშინგტონის პოლიტიკა ირანის საწინააღმდეგოა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთი და ირანი კვლავ გახდნენ მეტოქეები რეგიონში, თუმცა ამჯერად მათი დაპირისპირება გაცილებით უფრო ზომიერი ხასიათისაა.

თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპი გახდა ქვეყნის ნატო-ს სამხრეთ-აღმოსავლეთი კიდის პერიფერიული ძალის სტატუსის შეცვლა (ეს, მმართველი ძალის – სამართლიანობის და განვითარებისა პარტიის (AKP) შეხედულებით, ისტორიული ანომალია იყო) და ურთიერთმოსაზღვრე რეგიონებისთვის ისევე ცენტრალურ ძალად ქცევა. AKP-ის თვალთახედვიდან, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი მულტიპოლარული სამყარო უფრო მეტად უნდა იყოს ადაპტირებული თურქეთის ხანგრძლივადიანი ისტორიული როლის ხელახლა გააზრებაზე, რასაც წარმოადგენს ქვეყნის ტრადიციული ჩართულობა ბალკანეთზე, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში, შავ ზღვაზე და ა.შ.

ირანისთვის საფრთხის შემცველი გახდა თურქეთის აქტიური როლი რეგიონში, ასევე თურქეთისა და აზერბაიჯანის სულ უფრო მჭიდრო ურთიერთობების ზეგავლენა სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ სცენაზე.

ამგვარად, ნათელია, რომ სამხრეთ კავკასიაში ირანს მოქმედების საკმაოდ შეზღუდული შესაძლებლობები აქვს. მაგრამ ამ ვითარებაშიც კი, ირანი საკმაოდ აქტიურია რეგიონში, მისი ქმედებები რაციონალურ მოსაზრებებს ემყარება და ის ცდილობს რეგიონის ქვეყნებში არსებული განსხვავებული რეალობები შეძლებისდაგვარად გამოიყენოს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად.

37 თურქეთთან ურთიერთობების მეტნაკლებად გაცივების შემდეგ, ვაშინგტონი ამ მიმართულებით შედარებით თავშეკავებულია.

38 Anthony Cordesman, 'US and Iranian Strategic Competition: Turkey and the South Caucasus.' (2013). <https://www.csis.org...> (წვდომა 07.10.2019).

## ირანი და აზერბაიჯანი – გულცივი მეგობრები, გულთბილი მტრები

არაერთი ფაქტორიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ირანს ყველაზე ინტენსიური კონტაქტები აზერბაიჯანთან აქვს. გარკვეულ სფეროებში საერთო ინტერესების მიუხედავად, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და პერიოდულად საკმაოდ იძაბება კიდევ.

პირველი პრობლემა ისევ და ისევ ქვეყნის სახელს უკავშირდება. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ეს პრობლემა აზერბაიჯანის პირველი რესპუბლიკის დაფუძნების დროსაც წარმოიქმნა. იმ დროს საკუთრივ აზერბაიჯანშიც ცხარე დებატები მიმდინარეობდა ქვეყნის სახელწოდების თაობაზე. ამ დებატებში ჩართულთა ნაწილი ხაზს უსვამდა, რომ აზერბაიჯანი არ იყო შესატყვისი სახელწოდება და გამოთქვამდა აზრს, რომ სახელმწიფოს დარქმეოდა „სამხრეთ კავკასიის თურქული რესპუბლიკა“. გარდა ამისა, ირანი ასევე ორჭოფობდა ქვეყნის იმ სახელით აღიარებას, რომელიც მისი ჩრდილო რეგიონის სახელწოდების იდენტური იყო.<sup>39</sup> პოლიტიკურმა და ინტელექტუალურმა ელიტებმა თეირანსა და თავრიზში, ირანის აზერბაიჯანის დედაქალაქში, გაილაშქრეს ამ სახელწოდების წინააღმდეგ. დამოუკიდებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის არსებობის პირველი წლის მანძილზე, ბექდურ მედიასაც ირანის დიდ ქალაქებსა და ბაქოში მოჰყავდა არგუმენტები ამ სახელწოდების უარყოფისთვის ან მხარდასაჭერად.<sup>40</sup> ირანელებს ზოგადად აზოთებდათ ოსმალეთის მიერ წაქეზებული ბაქოს მცდელობები შეეცვალა ირანის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციაში ისტორიული სახელწოდებები და ასევე ბაქოში იმ დროს აქტიური ‘ახალგაზრდა თურქების’ მიერ დაგეგმილი პანთურქული შეთქმულება, რომლის საბოლოო მიზანიც იყო პანთურქული ერთობის (თურანის) შექმნა ცენტრალური აზიიდან ევროპამდე.<sup>41</sup> ირანში მდებარე რეალური ისტორიული აზერბაიჯანისთვის „სამხრეთ აზერბაიჯანის“ წოდებით, პანთურქისტებს შეეძლოთ აქცენტი გაეკეთებინათ აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და ‘სამხრეთ აზერბაიჯანის’ მომავალ ‘თურანში’ გაერთიანების აუცილებლობაზე. ამ საფრთხეებიდან გამომდინარე, შეიხ მოჰამად ხიაბანიმ, ირანის აზერბაიჯანის პოლიტიკური ელიტის პოპულარულმა წევრმა და დემოკრატიული პარტიის (*Ferq-e demokrat-e Azerbaijan*) ლიდერმა, პროვინციის სახელი შეცვალა და მას აზადისთანი (თავისუფლების ქვეყანა) ეწოდა.<sup>42</sup> ცნობილი ირანელი მოღვაწისა და მკვლევრის, აჰმად ქასრავის თანახმად, რომელიც იმ დროს ხიაბანის თანაშემწე იყო, სახელის გამოცვლის მთავარი მიზეზი იყო ოსმალთა პანთურქისტების ირანულ აზერბაიჯანზე პრეტენზიების პრევენცია სახელწოდებების თანხვედრიდან გამომდინარე.<sup>43</sup>

39 Ceyhun Mahmudlu, “Theorizing Nation Building in Azerbaijan.” In: *Azerbaijani* and Beyond. Perspectives on the Construction of National Identity. (Verlag-Koester, 01-2016), 135.

40 Kaveh Bayat, *Āzerbāijān dar mouj Khiz-e Tāriḵh*, 6.

41 პანთურქიზმის და აზერბაიჯანზე ამ იდეოლოგიის ზეგავლენის შესახებ, იხ. მაგ., Jacob Landau, *Pan-Turkism, from Irredentism to Cooperation* (London: Hurst & Co., 1995).

42 Touraj Atabaki, ‘Ethnic Diversity and Territorial Integrity of Iran: Domestic Harmony and Regional Challenges.’ *Iranian Studies*, (2005), 38 (1), 26.

43 Ahmad Kasravi, *Tāriḵh-e hejḍah sāle Āzerbāijān*. (Tehran: Amir Kabir, 1378/1998), 873; ციტი. Hamid Ahmadi, ‘The Clash of Nationalisms: Iranian Response to Baku’s Irredentism.’ In: Mehran Kamrava (ed.), *The Great Game in West Asia*. (Oxford University Press, 2015), 108.

აზერბაიჯანის მეორე რესპუბლიკის შექმნის პერიოდში იგივე პრობლემა წა-  
მოიჭრა, თუმცა დებატები უფრო მეტად საკუთრივ აზერბაიჯანში მიმდინარეობდა  
და შედარებით ნაკლებად – ირანში. წარმოდგენილი ნაშრომის ავტორთან პირად  
საუბრებში აზერბაიჯანელ კოლეგებსაც არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ დამოუკი-  
დებლობის მოპოვებისას ქვეყნის სახელწოდების შესახებ არ იყო ერთსულოვანი  
აზრი. ყველაზე მეტი მომხრე სახელწოდება „შირვანს“ ჰყავდა, შედარებით ნა-  
კლები – „არანს“. ზოგიერთი „ალბანეთსაც“ კი ემხრობოდა იმის საფუძველზე, რომ  
კავკასიის ალბანეთი ისტორიულად ბევრად უფრო ძველი სახელწოდება იყო, ვი-  
დრე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე ალბანეთი. ირანის ხელისუფლება კი  
დღეს აზერბაიჯანს ხშირად მოიხსენიებს კავკასიის აზერბაიჯანის რესპუბლიკად.<sup>44</sup>

საერთო ჯამში, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ახალი აზერბაიჯანის  
რესპუბლიკის შექმნამ ირანის ჩრდილოეთით შეცვალა ირანის საგარეო პოლი-  
ტიკური გათვლები და გარკვეულწილად, ზეგავლენა მოახდინა სამინაო პროცე-  
სებზეც. საწყის ეტაპზე ირანი აზერბაიჯანს აღიქვამდა ისლამური რევოლუციის  
განვრცობისთვის ნოყიერ ნიადაგად. მაგრამ ირანის თავდაპირველი ეიფორია  
ახალი შიიტური სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივის თაობაზე მალე შეშფოთე-  
ბაში გადაიზარდა, რამდენადაც ბაქომ გამოხატა ირედენტისტული გრძნობები და  
დაიწყო „დიდი აზერბაიჯანის“ იდეის პრომოცია.<sup>45</sup>

ოფიციალურ დონეზე, ირანს არ აქვს სასაზღვრო პრობლემები აზერბაიჯა-  
ნთან და ჯერ კიდევ 1828 წელს დადგენილი საზღვარი უცვლელი რჩება. პრო-  
ბლემები მომდინარეობს ირედენტისტული მოთხოვნებიდან და ამ მოთხოვნებს  
სათავე დამოუკიდებელმა აზერბაიჯანმა დაუდო. ბაქოში გამოცემულია რუკები,  
რომლებშიც 'ისტორიული' აზერბაიჯანის საზღვრებშია მოქცეული ირანული პრო-  
ვინციები; მიმდინარეობს კამპანია ირანელ აზერბაიჯანელთა უფლებების დასაცა-  
ვად; მხარდაჭერილია სეპარატისტული ჯგუფები.

სანამ უშუალოდ ორი ქვეყნის ურთიერთობების წინააღმდეგობრივი ხასია-  
თის განხილვაზე გადავიდოდე, ყურადღებას გავამახვილებ ირანის აზერბაიჯა-  
ნულ მოსახლეობაზე, რომელიც მიზეზთა გამო, იგივე სომხური მოსახლეობისგან  
(ნაწილობრივ ქართულისგანაც) განსხვავებით, არ შეიძლება დიასპორად ჩაითვა-  
ლოს. აზერბაიჯანელები (შესაძლოა, უფრო ზუსტი ტერმინი იყოს თურქულენო-  
ვანი ან თურქული მოდემის ხალხი) ირანის მკვიდრი მოსახლეობის ნაწილია. სა-  
კუთრივ სახელმწიფოს კონსტიტუციური მოწყობიდან (რომელიც ამ შემთხვევაში  
ისლამის პრინციპებს ითვალისწინებს) გამომდინარე, არ არსებობს ეროვნული და  
ეთნიკური უმცირესობები, არსებობს მხოლოდ რელიგიური უმცირესობები. შიიტი  
აზერბაიჯანელები კი ამ შემთხვევაში აბსოლუტური უმრავლესობის ნაწილს წა-  
რმოადგენენ.

ირანის მოსახლეობა დღეს 85 მილიონს აღწევს, ეთნიკური სპარსელები და-  
ახლოებით მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ, დანარჩენი მოსახლეობა კი საკუ-

44 ევროპაში საბერძნეთის მძაფრი რეაქცია მაკედონიის სახელწოდებაზე ასევე კარგი მა-  
გალითია სახელმწიფოთა დამოკიდებულებაზე იმ სახელწოდებების მიმართ, რომლებიც  
მათი ტერიტორიის ნაწილის სახელია.

45 Alex Vatanka, Tangle in the Caucasus: Iran and Israel Fight for Influence in Azerbaijan. (15/01/2013).  
<https://www.foreignaffairs.com/articles/united-states...> (წვდომა: 06/12/2021).



თარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს აზერბაიჯანელად, არაბად, თურქმენად, ბელუჯად, ლორად და სხვ.

თავიდანვე ხაზი უნდა გაესვას, რომ ირანის მოსახლეობაში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ხვედრითი წილის დადგენა საკმაოდ რთულია. რ. ელინგი სამართლიანად შენიშნავს: ირანის მოსახლეობის ნებისმიერი ეთნიკური 'შეფასების' ნაკლია ის, რომ ირანულ სახელმწიფოს არასოდეს ჩაუტარებია მთელი ქვეყნის მასშტაბით აღწერა ეთნიკური პარამეტრების გათვალისწინებით.<sup>46</sup>

ცსს და კონგრესის ბიბლიოთეკა აზერბაიჯანელთა ხვედრით წილს აფასებენ 16%-დან 24%-მდე, ანუ ეს უნდა იყოს 12-18 მლნ; 2011 წლის აღწერის მიხედვით ირანის მოსახლეობა შეადგენდა 77.8 მლნ-ს (2021 წლის შუახანებისთვის, არაოფიციალური შეფასებით, ირანის მოსახლეობა 85,119,790 უნდა იყოს).<sup>47</sup> ბ. ურკადი, სხვადასხვა მონაცემების შეჯერების საფუძველზე, ასკვნის, რომ 2010 წლისათვის „თურქ აზერბაიჯანელთა რაოდენობა ირანში 14,5 მლნ-ს აღწევდა (სპარსელები – 32,7 მლნ), რაც მოსახლეობის 20,6%-ს შეადგენდა (სპარსელები – 46,3%-ს).<sup>48</sup> სულეიმანოვი, პიკალი და კრაუსი აზერბაიჯანელთა რაოდენობას 12-დან 22 მილიონამდე ანგარიშობენ.<sup>49</sup>

აღსანიშნავია, რომ ირანში აზერბაიჯანული მოსახლეობის რაოდენობაც კი პოლიტიკური დავის საგანს წარმოადგენს ორ სახელმწიფოს შორის. ბევრი აზერბაიჯანელი მკვლევარი თვლის, აზერბაიჯანელთა რაოდენობა გაცილებით მეტია – დაახლოებით 30 მლნ. ზოგი უფრო შორსაც მიდის და ამტკიცებს, რომ აზერბაიჯანელები წილი მთელი მოსახლეობის 50%-საც კი აღწევს.<sup>50</sup> საპირისპიროდ, ირანელი მკვლევარი ს. ამანოლაჰი 2005 წლისთვის ირანის თურქულენოვანი თემების წევრთა რაოდენობას არაუმეტეს 9 მილიონად აფასებდა.<sup>51</sup> სომეხი მკვლევრის, ვ. არაკელოვას აზრით კი, 'ირანელ აზერბაიჯანელთა' შედარებით ზუსტი რიცხვი 6-6.5 მლნ-ია, რაც ირანის მოსახლეობის 5%-ზე ნაკლებია.<sup>52</sup> ნებისმიერ შემთხვევაში, აზერბაიჯანელები ყველაზე დიდი უმცირესობაა ირანში და ისინი ბევრად უფრო მეტნი არიან, ვიდრე ერთად აღებული ქურთები, არაბები, თურქმენები და ბელუჯები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი რაოდენობის დადგენა რთულია ინტერეთნიკური ქორწინებების, ირანის შიგნით მიგრაციის,

46 Rasmus C. Elling, *Minorities in Iran. Nationalism and Ethnicity after Khomeini*. (Palgrave Macmillan, 2013), 17.

47 <https://www.worldometers.info/world-population/iran-population/> (2021). (წვდომა: 21/07/2021)

48 Hourcade, *Géopolitique de L'Iran*. (Paris: Arman Colin, 2010), 26.

49 Emil Souleimanov et al., 'The Rise of Nationalism among Iranian Azerbaijanis: A Step toward Iran's Disintegration?' *Middle East Review of International Affairs* (Spring 2013), vol. 17, no. 1, 71.

50 შესაძლოა, ამ მოსაზრებებმა გავლენა მოახდინა ზოგიერთ დასავლელ მკვლევარზე, რომლებიც მიიჩნევენ, რომ აზერბაიჯანელთა ხვედრითი წილი ირანის მოსახლეობაში დაახლოებით 30%-ია (დღევანდელი მონაცემებით, შესაბამისად 25-28 მლნ-ს ფარგლებში). იხ. მაგ., Shaffer, *Borders and Brethren*, 222-3; Gilles Riaux, 'The Formative Years of Azerbaijani Nationalism in Post-Revolutionary Iran.' *Central Asian Survey* (2008), vol. 27, no. 1, 146.

51 Sekandar Amanolahi, 'A Note on Ethnicity and Ethnic Groups in Iran.' *Iran and the Caucasus* (2005), vol. 9, no. 1, 37.

52 Иран и война в Закавказье. интервью профессора Института востоковедения Российско-Армянского Университета (РАУ) Виктории Аракеловой. 23/10/2021 <https://zen.yandex.ru...> (წვდომა: 11/12/2021)

სპარსული კულტურის გათავისებისა და ასიმილაციის გამო.

საერთო ჯამში, სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს შორის სხვაობის მიუხედავად, ყველაზე სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება, რომ ირანის აზერბაიჯანელები ქვეყნის მოსახლეობის დაახლ. 16%-ს შეადგენენ.<sup>53</sup>

უპირველესად უნდა აღნიშნოს, რომ აზერბაიჯანელები ირანში სულაც არ წარმოადგენენ 'გარიყულ' უმცირესობას; პირიქით – ეს არის შიიტური ეთნიკური ჯგუფი, რომლის წევრებიც წინამავალ როლს თამაშობდნენ და თამაშობენ ირანის პოლიტიკურ და რელიგიურ ცხოვრებაში, დაწყებული 1905-11 წლების კონსტიტუციური რევოლუციიდან.

აზერბაიჯანელთა უმრავლესობა ორენოვანია და სხვა თემების წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით სპარსულენოვანებთან ქორწინება ფართოდ გავრცელებული მოვლენაა ირანელ აზერბაიჯანელთა შორის. მრავალი ოჯახისთვის, რომელიც დასახლდა გასულ საუკუნეში დიდ ქალაქებში, მაგალითად თეირანში, სპეციფიკურმა აზერბაიჯანულმა კულტურულმა ელემენტებმა გარკვეულწილად მნიშვნელობა დაკარგა. დღეს მათი ნაწილი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს ირანული იდენტობის სუპრათნიკურ ცნებასთან და არა ეთნიკური ტერმინებით აზერბაიჯანელად, მითუმეტეს „ურბანული ირანის საშუალო კლასის ზედა ფენაში გარკვეული სტიგმა დაკავშირებული სახელწოდება თორქთან“.<sup>54</sup>

კავკასიის აზერბაიჯანისგან განსხვავებით, სადაც სეფიანთა სახელმწიფო აზერბაიჯანულად და აზერბაიჯანული იდენტობის ამოსავალ წერტილად მიიჩნევა, ირანელ აზერბაიჯანელთათვის ეს სახელმწიფო, რომელმაც შიიზმი ირანის სახელმწიფო რელიგიად აქცია, ერთიანი ირანული იდენტობის ჩამოყალიბებაში 'აზერბაიჯანული წვლილის' გამონახატულებაა.

აზერბაიჯანელები, ყველაზე თვალსაჩინოდ თეირანში, დომინირებენ მრავალ კომერციულ აქტივობაში და გამორჩეული ადგილი უკავიათ პოლიტიკურ, სამხედრო და რელიგიურ ინსტიტუტებში. თეირანის ბაზრის დიდი ნაწილი აზერბაიჯანელთა ხელშია, აზერბაიჯანელები ბევრნი არიან მაღალ თანამდებობებზე შეირადებულ ძალებში.<sup>55</sup>

აზერბაიჯანელები თეირანს ხუმრობით უწოდებენ სტამბოლის შემდეგ ყველაზე დიდ თურქულ ქალაქს, რამდენადაც ირანის დედაქალაქი მაგნიტივით იზიდავს მიგრანტებს, რომელთაგან მრავალი აზერბაიჯანელია. სხვადასხვა შეფასებების მიხედვით, თეირანის მოსახლეობის მეოთხედლიდან მესამედამდე აზერბაიჯანელია – პირველი ან მეორე თაობა.<sup>56</sup>

53 [www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/ir.html](http://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/ir.html) (2016) (წვდომა: 09.04.2018)

54 Elling, Minorities in Iran, 29. ირანში აზერბაიჯანელებს ძირითადად მოიხსენიებენ თურქებად (*თორქე*), უფრო იშვიათად აზარიდ ან აზარბაიჯანლად.

55 შაჰის დროსაც, სხვა უმცირესობებთან შედარებით, აზერბაიჯანელები სოციალურად ბევრად უკეთ იყვნენ ასიმილირებული და წარმომადგენლები ჰყავდათ პოლიტიკური, სამხედრო და ინტელექტუალური იერარქიების ყველა დონეზე, ისე როგორც რელიგიურ ისტებლიშმენტში. იხ. Enders S. Winbush, 'Divided Azerbaijan: Nation Building, Assimilation, and Mobilization Between Three States.' In: W.O. McCagg & B.D. Sliver (eds), *Soviet Asian Ethnic Frontiers*. (Pergamon Press, 1979), 67.

56 James Minahan, *Encyclopedia of the Stateless Nations*. (Westport: Greenwood Publishing Group, 2002), 1765–66.

ამასთანავე, საწინააღმდეგო ტენდენციის არაერთი ნიშანი არსებობს. თურქული მოდემის<sup>57</sup> დინასტიები საუკუნეთა მანძილზე ედგნენ სათავეში ირანს, მათი მარგინალიზება კი რეზა შაჰის მიერ მოდერნული, მონოლინგვური სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, 1925 წლიდან დაიწყო. ამ ტენდენციის მიმდევრები თვლიან, რომ ასიმილირებული აზერბაიჯანელები „პერსიანიზაციის“ მსხვერპლნი არიან და მათ დაივიწყეს საკუთარი ავთენტური კულტურული იდენტობა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, რომელიც ჩამოყალიბდა 1979 წელს ისლამური რეჟიმის დამყარების შემდეგ, იყო „ანჯომან-ე აზერბაიჯან“: ამ ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტებში ლაპარაკი იყო „აზერბაიჯანის“ ან „აზერბაიჯანის ხალხის“, და არა „აზერბაიჯანელების“, უფლებებისა და მოთხოვნების დაცვაზე. ამგვარად საზგასმული იყო მათი ეთნიკური იდენტობის ტერიტორიული განზომილება.<sup>58</sup>

ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ახალი ხელისუფლებისთვის აზერბაიჯანულ პროვინციებში გარკვეულ პრობლემები შეიქმნა. აზერბაიჯანელი აქტივისტები აჯანყდნენ ხომეინის მიერ შექმნილი რეჟიმის წინააღმდეგ 1979 წლის დეკემბერში და თითქმის ერთი თვე აკონტროლებდნენ თავრიზს. ამ საწყის პერიოდში კონფრონტაცია შედარებით ზომიერ აიათოლა ქაზემ შარიათ-მადარისა (იმ დროის აზერბაიჯანული წარმომავლობის ყველაზე თვალსაჩინო სასულიერო ფიგურა) და ხომეინის შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხე იყო ისლამური რეჟიმის ლეგიტიმურობისთვის. აზერბაიჯანელებმა განდევნეს პრო-ხომეინისტური ძალები თავრიზიდან, გადააყენეს გუბერნატორი და დაიკავეს რადიოსადგური. საბოლოო ჯამში, სამთავრობო ძალებმა ამბოხება ჩაახშვეს, შარიათ-მადარის რამდენიმე მომხრე სიკვდილით დასაჯეს, თვითონ კი ჩამოაქვეითეს და აიძულეს ხმა აღარ ამოელო. მიუხედავად იმისა, რომ შარიათ-მადარი მკაფიოდ გამოხატა სეპარატიზმის ნებისმიერ გამოვლინებას, ის ღია იყო მომავალი ლოკალური ავტონომიის შესახებ მსჯელობისთვის. ამდენად, მოძრაობას რეგიონული ხასიათი ჰქონდა და ზოგიერთი აზერბაიჯანელის მიერ აღიქმებოდა ეთნიკური გამოვლინების სიმბოლოდ. ამასთანავე, რევოლუციის მოჰყვა აზერბაიჯანულ ენაზე ჟურნალ-გაზეთების რიცხვის უეცარი ზრდა, რომელთაგან ზოგიერთში წამოყენებული იყო ლოკალური ავტონომიის, კულტურული უფლებების, აზერბაიჯანულ ენაზე სკოლებში სწავლების მოთხოვნები.<sup>59</sup> თუმცა, ცენტრალური ხელისუფლება ამ მოთხოვნების შესრულებისგან თავს იკავებდა.

აზერბაიჯანულ სეპარატისტულ ჯგუფებს შორის ყველა ფართოდაა ცნობილი „აზერბაიჯანის ეროვნული გამოვლინების მოძრაობა“ (SANAM, Güney Azərbaycan Milli Oyanış Hərəkatı). ზოგიერთი მისი წევრი ან მხარდამჭერი, კავკასიის აზერბაიჯანის ან თურქეთისა და ევროპის დიასპორის წარმომადგენელი, მოითხოვს ორი აზერბაიჯანის გაერთიანებას. ორგანიზაციის ლიდერი პროფესიით ლინგვისტი მაჰმუდალი ჩეჰრეგანია. ის მოითხოვდა სკოლებში აზერბაიჯანულ ენაზე სწავლე-

57 თურქული მოდემის ხალხები აზერბაიჯანში VII საუკუნიდან ჩნდებიან, ფართომასშტაბიანი მიგრაცია კი XI საუკუნიდან დაიწყო.

58 Shaffer, *Borders and Brethren*, 92.

59 აზერბაიჯანული თურქული არ ისწავლება სკოლებში, სატელევიზო და რადიოგადაცემებიც მინიმუმამდეა დაყვანილი. იხ. Ehrmann et al., 2013: 218.

ბის დაშვებას, რაც ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციითაც არის გათვალისწინებული.<sup>60</sup> ჩეჰრეგანი 1996 წელს მეჯლისის წევრად აირჩიეს, მაგრამ ხელისუფლებამ გააუქმა არჩევნების შედეგები და ის დააპატიმრეს. თურქულ ლინგვისტიკაში მისი კურსის აკრძალვას თავრიზის უნივერსიტეტში სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. ჩეჰრეგანის აზრით, ირანი ფედერალურ სახელმწიფოდ უნდა გადაქცეულიყო. ამ სახელმწიფოში კი აზერბაიჯანს საკუთარი დროშა და პარლამენტი უნდა ჰქონოდა. 2002 წელს, ბაქოს ზეწოლის შედეგად, ჩეჰრეგანი გაათავისუფლეს. დღეს ის აშშ-ში ცხოვრობს.

ხაზგასასმელია, რომ ირანის აზერბაიჯანელთა დიდი უმრავლესობა მხარს არ უჭერს მოძრაობას და არ თვლის მის მოთხოვნებს – ავტონომიასა თუ აზერბაიჯანთან შეერთებას, საკუთარი პრობლემების გადაწყვეტის საშუალებად.

1997 წელს 'ლიბერალი' ხათამის პრეზიდენტად პირველად არჩევის დროს, მისი მომხრეები ავრცელებდნენ საარჩევნო პროგრამებს და სხვა მასალებს აზერბაიჯანულ და ქურთულ ენებზე. მანამდე არასპარსულ ენებზე მსგავსი მასალების გავრცელების პრეცედენტი არ არსებობდა. საარჩევნო კამპანიის დროს ხათამი ამომრჩევლებს პირდებოდა ირანის კონსტიტუციის მე-15 და მე-19 მუხლების ამოქმედებას, რომელიც არასპარსულ უმცირესობებს ეროვნულ ენების გამოყენების უფლებას აძლევდა.<sup>61</sup> თუმცა, ხათამის პრეზიდენტობის დროსაც ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. ამის დასტურად მოვიყვანოთ ამონარიდს ღია წერილიდან, რომელიც 2000 წელს დას. აზერბაიჯანის პროვინციაში ვიზიტისას, აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა და პარლამენტარებმა წარუდგინეს პრეზიდენტ ხათამის. ისინი რიტორიკულ კითხვას სვამდნენ: „როგორ ხდება, რომ ომისა და ქვეყნის დაცვის დროს ყველა ხალხები, პირველ რიგში კი აზერბაიჯანელები, ებრძვიან მტრებს ფრონტზე, მშვიდობისა და უსაფრთხოების პირობებში კი მტვერი ედება ჩვენს სამოქალაქო უფლებებს?“<sup>62</sup> აზერბაიჯანელმა მკვლევარმა ნიგარ გოზალოვამაც აღნიშნა ინტერვიუში: „ირანის აზერბაიჯანელთა მთავარი პრობლემაა, რომ მათ არ შეუძლიათ განათლების მიღება მშობლიურ ენაზე. თურქულენოვანი მოსახლეობა მოკლებულია ამ უფლებას, მაშინ როცა ირანის სომხებს აქვთ სომხურის სწავლის საშუალება სკოლებში.“<sup>63</sup>

ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა 2006 წელს. 12 მაისს გაზეთ „ირანის“ საპარასკევო დამატების საბავშვო გვერდზე გამოქვეყნდა კარიკატურა, რომელზეც აზერბაიჯანელი ტარაკანად<sup>64</sup> იყო გამოსახული. სტუდენტების მიერ დაწყებულ

60 ირანის კონსტიტუცია, თავი II, §15, 20. უნდა აღინიშნოს, რომ ჩანაწერი საკმაოდ ორაზროვანია: „...სპარსული ენის გვერდით ადგილობრივი და ეროვნული ენების გამოყენება თავისუფლად შეიძლება პრესაში, ინფორმაციის სხვა ორგანოებში და სასწავლო დაწესებულებებში მათი ლიტერატურის სწავლებისას.“ ანუ ბუნდოვანია, დაიშვება თუ არა ადგილობრივი ენების სწავლა ან ამ ენებზე სწავლება, თუ არ ჩავთვლით ლიტერატურას.

61 Shaffer, Borders and Brethren, 219.

62 William Samii, 'The Nation and Its Minorities: Ethnicity, Unity, and State Policy in Iran.' Comparative Studies of South Asia, Africa, and the Middle East (2000), 20:1, 136. <https://muse.jhu.edu...> (წვდომა: 20/07/2021)

63 ინტერვიუ აზერბაიჯანის მეცნიერებთან აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთან, პროფ. ნიგარ გოზალოვასთან. (12/12/2021).

64 ტარაკანა, კულტურული თვალსაზრისით, ბინძურად და არასანდოდაა აღქმული. იხ. მაგ., Fariz Ismailzade, 'Azerbaijan Public Outraged by Slaughter of Azeris in Iran.' Eurasia Daily Monitor

გამოსვლებს ათასობით ეთნიკური აზერბაიჯანელი შეუერთდა აზერბაიჯანულ ქალაქებში (თავრიზი, ურმია, არდაბილი), ასევე თეირანშიც. გარკვეული დროის მანძილზე დემონსტრანტებმა ურმიის ტელევიზიაც კი ჩაიგდეს ხელში. ადგილობრივმა პოლიციამ და 'გუშაგებმა' კი, ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა, მათ წინააღმდეგ გამოსვლაზე უარი თქვეს, რაც უპრეცედენტო მოვლენა იყო ირანისთვის. ირანის ხელისუფლებამ არეულობების მოწყობაში უცხო ქვეყნებს, მათ შორის აზერბაიჯანს, დასდო ბრალი. მხარდამჭერთა მობილიზაციისთვის იყენებდნენ ტელევიზიას, მობილურ ტელეფონებს, ინტერნეტს. პროტესტის გამომხატველთა შორის ბევრი სტუდენტი იყო თავრიზის უნივერსიტეტიდან. მთავრობამ მიმართა ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსს მღელვარებათა ჩასახშობად. ზოგიერთი მონაცემით, 'გუშაგებმა' 4000 პირი დააპატიმრეს, 600 დაჭრეს და 50 მოკლეს.<sup>65</sup> ბელადმა ხამენეიმ მიმართა აზერბაიჯანულ მოსახლეობას და ხაზი გაუსვა მათ მიერ ირანის ერთიანობაში შეტანილ წვლილს. გაზეთი „ირანი“ ლამის ერთი წელი დახურული იყო. რედაქტორი და კარიკატურისტი გაათავისუფლეს.

კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა 2013 წელს აზიის ჩემპიონთა ლიგის მატჩზე აბუ დაბიში, როდესაც თავრიზის „ტრაქტორი“ ეთამაშებოდა აგს-ის გუნდს. თავრიზელმა ფანებმა აბუ დაბის სტადიონის წინ გააკრეს ბანერი წარწერით – „სამხრეთ აზერბაიჯანი არ არის ირანი“. ისინი სკანდირებდნენ ნაციონალისტურ და ანტიირანულ სლოგანებს. ამის შემდეგ მათ ადგილზე მყოფი ირანის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები დაესხნენ თავს. ინციდენტების ამსახველი ვიდეო ინტერნეტში განათავსა აზერბაიჯანულმა ტელეარხმა GünAz TV-მ. „ტრაქტორის“ შეხვედრებს სპარსულ გუნდებთან ხშირად ახლავს ინციდენტები. სპარსელები ჩვეულებრივ სკანდირებენ: *თორქე ხარ* (თურქი ვირი), აზერბაიჯანელები კი – *მე იმუნ-ე ვარსი* (სპარსელი მაიმუნი).<sup>66</sup> „ტრაქტორ საზის“ ფანები და სეპარატისტები ხშირად იკრიბებიან ნახჩევანში, სადაც ირანელები უვიზოდ შედიან.

ზემოთქმული, რა თქმა უნდა, ააშკარავებს პრობლემებს, რომელიც აქვს ირანის აზერბაიჯანულ მოსახლეობას, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დღეს ეს პრობლემები ეთნიკურია და არა პოლიტიკური. აზერბაიჯანელებისგან (ისე როგორც სხვა უმცირესობებისგან) რეალურად არ მომდინარეობს სეპარატიზმის საფრთხე. ამ მხრივ ირანი 'შემდგარ' სახელმწიფოდ შეიძლება ჩაითვალოს. ამასთანავე, არაერთი ავტორი უსვამს ხაზს, რომ ირანელი აზერბაიჯანელები ისტორიულად მიიჩნევიან ირანის ყველაზე ლოიალურ ეთნოლინგვისტურ უმცირესობად.

აღსანიშნავია, რომ უზენაესი ლიდერი ალი ხამენეი, რომელიც მამით აზერბაიჯანელია, საკმაოდ პოპულარულია ირანის აზერბაიჯანულ პროვინციებში. როდესაც ის მოგზაურობს რეგიონში, მოსახლეობა დიდად აფასებს იმ ფაქტს, რომ სიტყვით გამოსვლებისას ის საუბრობს აზერბაიჯანულად და არა ოფიციალურ

(26/05/2006), 3, no. 103; <https://jamestown.org...> (წვდომა: 17/06/2021)

65 Emil Souleimanov & Josef Kraus, 'Iran's Azerbaijan Question in Evolution Identity, Society, and Regional Security.' (Washington D.C.: Central Asia-Caucasus Institute and Silk Road Studies Program, 2017), 40. <https://isdsp.eu...>; Geoffrey F. Gresh, 'Beyond boundaries: Iranian Azeris in an age of globalization.' In: Meir Litvak (ed.), *Constructing Nationalism in Iran From the Qajars to the Islamic Republic.* (Routledge, 2017), 237.

66 Souleimanov & Kraus, 'Iran's Azerbaijan Question,' 40.



ენაზე, სპარსულად.<sup>67</sup> აქვე უნდა ხაზი გაესვას, რომ კავკასიის აზერბაიჯანში რუსიფიკაციის ხანგრძლივმა პერიოდმა და 'თურქიზაციის' უფრო ახალმა ტენდენციებმა, კიდევ უფრო გამოკვეთა განსხვავებები, დიალექტების თვალსაზრისითაც.<sup>68</sup> თუმცა, მეორე მხრივ, ფრანგი მკვლევარი ო. რუა ხაზს უსვამს: „აზერბაიჯანული თურქული (იგულისხმება კავკასიის აზერბაიჯანი) საკმაოდ „გასპარსულებულია“ და ამ მხრივ დაშორებულია თურქეთის თურქულიდან... ეს კი აადვილებს სამხრეთ აზერბაიჯანელებთან კავშირს, რომელთა სალაპარაკო ენაზეც კიდევ უფრო დიდია სპარსულის ზეგავლენა.“<sup>69</sup>

აქვე უნდა დავამატო, რომ ირანის, როგორც ავტორიტარული მმართველობის მქონე და მკაცრად ცენტრალიზებული ქვეყნის შემთხვევაში, საკმაოდ რთულია ეთნიკური უმცირესობების პრობლემების სრულფასოვანი კვლევა. ე. სულეიმანოვი და ი. კრაუსი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ირანის აზერბაიჯანის შესწავლა დიდწილად მხოლოდ სურვილად რჩება. პირველად წყაროებზე წვდომა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ხოლო სავსე სამუშაოების განხორციელება ირანისთვის ძალზედ სენსიტიურ ისეთ თემებზე, რომლებიც ეროვნულ მოძრაობებსა და დიდი ეთნოლინგვისტური უმცირესობების სეპარატისტულ მისწრაფებებს უკავშირდება, უდიდესი რისკის შემცველია. ამ საკითხთა კვლევა მოსამზადებელ სამუშაოებზე წინ არ წასულა.<sup>70</sup>

პოლიტიკური თვალსაზრისით, ირანის წინდახედულობა ნებისმიერი ახალი სუბიექტის აღიარებისადმი, განპირობებულია ყველა იმ პროცესის მიუღებლობით, რომლებიც შეიძლება განიხილებოდეს სეპარატიზმად. სომეხი მკვლევარი ვ. არაქელოვა თვლის, რომ ირანი ამ მხრივ მუდმივი ზეწოლის ქვეშაა აზერბაიჯანის და თურქეთის მხრიდან, რომლებიც აღვივებენ სეპარატისტულ განწყობებს ირანის აზერბაიჯანში.<sup>71</sup> თუმცა, როგორც აღინიშნა, მოსახლეობის მხოლოდ მცირე სეგმენტში არსებული ამგვარი განწყობები ირანის ერთიანობას საფრთხეს არ უქმნის.

რაც შეეხება აზერბაიჯანის ხელისუფლების დამოკიდებულებას ირანში აზერბაიჯანელებისადმი, პრინციპში, აქაც ჩანს, რომ ისინი მიიჩნევიან არა დიასპორად, არამედ ორად გაყოფილი აზერბაიჯანელი ხალხის ერთ ნაწილად (ისე, როგორც ირანის აზერბაიჯანის ტერიტორია). ხაზგასასმელია, რომ დიასპორულ თემებთან დაკავშირებით, მრავალი სხვა ქვეყნის მიდგომისგან განსხვავებით, აზერბაიჯანის

67 Therme, 'Iranian Foreign Policy towards the South Caucasus: between revolutionary ideals and realpolitik.' In: Annie Jafalian (ed.), *Reassessing Security in the South Caucasus. Regional Conflicts and Transformation*. (Ashgate, 2011), 146.

68 Hunter, 'Azerbaijan: Search for Industry and New Partners.' In: Ian Bremmer & Ray Taras (eds.), *Nation and Politics in the Soviet Successor States*, (Cambridge (Mass.): Cambridge University Press, 1993), 231.

69 Roy, Olivier *The New Central Asia. The Creation of Nations*. (New York University Press, 2000), 171. 2002 წელს ირანის სტატისტიკური ცენტრის მიერ განხორციელებული გამოკითხვის მონაცემების მიხედვით, ირანელთა 23,3% „აზერბაიჯანულ თურქულს“ მათ რეგიონული ენად მიიჩნევდა. Riaux, 'The Formative Years of Azerbaijani Nationalism,' 47 .

70 ემილ ა. სულეიმანოვი და იოზეფ კრაუსი, 'ქველი და ახალი ინტერესები. ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში.' 06/02/2018. <https://ge.boell.org...> (წვდომა: 23/03/2020)

71 Почему границы Армении обеспокоили Иран? (интервью с проф. В. Аракеловой) 10/07/2021. <https://rossaprimavera.ru...> (წვდომა: 17/06/2021)

რესპუბლიკა მოქალაქის (ან თანამემამულის) სპეციალურ უფლებებს არ აძლევს უცხოეთში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებს და არც აზერბაიჯანში მათ ემიგრაციას უწყობს ხელს. დიასპორა მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული ზეგავლენის ფაქტორი შეიძლება იყოს შტატებსა და ევროპაში, მაგრამ ამ როლს არ თამაშობს აზერბაიჯანის ურთიერთობებში ირანთან.

განსხვავებით უცხოეთის სხვა აზერბაიჯანული თემებისგან, ბაქოს არ აქვს ფორმალური კავშირები ირანის აზერბაიჯანულ 'დიასპორასთან'. მაგალითისთვის, ბაქომ თავი შეიკავა ირანიდან წარმომადგენლების დაპატიჟებაზე აზერბაიჯანელთა მსოფლიო კონგრესზე, მიუხედავად იმისა, რომ ირანში ყველაზე მეტი აზერბაიჯანელი ცხოვრობს. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსებობს „უცხო ქვეყნებში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა საქმეების სახელმწიფო კომიტეტი.“ ეს მკაფიოდ მეტყველებს იმის შესახებ, რომ ხელისუფლება ზრუნავს უცხოეთში, მათ შორის ირანში მცხოვრებ თანამემამულეებზე. მაგრამ ამ კომიტეტის მიზანია არა ირანელი აზერბაიჯანელების 'ისტორიულ სამშობლოში' მოზიდვა, არამედ საკუთრივ ირანში ეთნიკური, კულტურული (არაპირდაპირი გზით – პოლიტიკური) უფლებების მხარდაჭერა და დაცვა.

ორ ქვეყანას შორის საზღვრისპირა ურთიერთობები სწრაფად გააქტიურდა სსრკ-ის კოლაფსის წინა ხანებში. პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისში ბაქო თეირანს ბუნებრივ მოკავშირედ აღიქვამდა. „ამ მხარდაჭერას ამყარებდა ირანის სულიერი ლიდერის, ალი ხამენეის მიერ 1990 წლის იანვარში ბაქოში საბჭოთა არმიის ქმედებების დაგმობა, აზერბაიჯანელთა თითქოსდა დაბრუნება მათ ბუნებრივ ისლამურ (შიიტურ) ფესვებთან, საზღვრის გახსნა და ირანის ჰუმანიტარული დახმარება. ყოველივე ეს ირანს რიგითი აზერბაიჯანელებისთვის გმირად აქცევდა.“<sup>72</sup> გარდა იმისა, რომ ბაქოში დემონსტრაციებზე დროდადრო ჩნდებოდა ხომეინის პორტრეტებიც, აზერბაიჯანის ოფიციალური პირებისა და პოლიტიკური ელიტის განცხადებებში ირანი ყოველთვის პოზიტიურად მოიხსენებოდა.

1990 წლის იანვრის შუა ხანებში ბაქოში სომხეთის მიერ ყარაბაღის შემოერთების მოთხოვნის საპასუხოდ გამართულ გამოსვლებში დემონსტრანტებმა ირანთან საზღვრის 590 კმ-იანი გამყოფი ნაგებობები თითქმის მთლიანად დაანგრიეს.<sup>73</sup> ცნობილმა მეცნიერებმა კი წერილით მიმართეს სსრკ ცკ პრეზიდენტს, რომელშიც 1828 წლის თურქმენჩაის ზავით 'აზერბაიჯანის გაყოფა' შედარებული იყო კორეისა და ვიეტნამის გაყოფებთან. ისინი მოითხოვდნენ სასაზღვრო რეჟიმის არსებით შემსუბუქებას აზერბაიჯანელთა სამშობლოს ორ მხარეს შორის.<sup>74</sup>

აღსანიშნავია, რომ ირანი იყო პირველი ქვეყანა, რომელსაც დამოუკიდებელი აზერბაიჯანის პირველი პრეზიდენტი მუტალიბოვი ესტუმრა. ამ ვიზიტის მიზანი იყო აზერბაიჯანის მხრიდან ირედენტისტული პრეტენზიების გაქარწყალება, ეკო-

72 Gresh, 'Beyond boundaries,' 239.

73 ნახიჩევანში საზღვრის გარღვევა ბაქოს ზოგიერთ წრეებში შეფასდა როგორც ანალოგი ოღნავ ადრე მომხდარი ბერლინის კედლის დაგრევისა. იხ. მაგ., Atabaki, 'From Multilingual Empire to Contested Modern State.' In: Iran in the 21st Century. Politics, Economics and Conflict, 57.

74 Swietochowski, Azerbaijan's Triangular Relationship: The Land Between Russia, Turkey and Iran. In: A. Banuazizi & M. Weiner (eds). The New Geopolitics of Central Asia and Its Borderlands. (Bloomington: Indiana University Press, 1994), 125.

ნომიკური ურთიერთობების აღდგენა და ირანის ტერიტორიის გამოყენება ნახიჩევანთან დასაკავშირებლად.<sup>75</sup>

მაგრამ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ წლებში გამოიკვეთა საწინააღმდეგო, ირანისთვის საზიანო ტენდენციებიც.

1988 წლის 30 ოქტომბერს აზერბაიჯანში შეიქმნა „ყიზილბაშური სახალხო ფრონტი“. მის მკაფიო მიზნად განცხადდა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირიდან. ფრონტის მოწოდებებში ასევე გაისმა სამხრეთ აზერბაიჯანის ირანიდან გამოყოფის და აზერბაიჯანთან შეერთების მოთხოვნა. ტერმინ „ყიზილბაშის“ გამოყენება სახელწოდებაში – თურქული მოდემის ტომების საერთო სახელისა, რომელთა სამხედრო დახმარებითაც გაბატონდა სეფიანთა დინასტია ირანში, მიუთითებს ფრონტის დამფუძნებელთა აქცენტს ირანის აზერბაიჯანზე.

ამ პერიოდში რადიკალების მოთხოვნები სხვადასხვაგვარი იყო – ფედერალიზმში, შეერთება „ჩრდ. აზერბაიჯანთან“ ანდაც ‘დიდი თურანის’ იდეის განხორციელება, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა თურქული მოდემის ხალხები საბერძნეთიდან ჩინეთამდე.

ბევრად უფრო სერიოზული პრობლემები შეუქმნა ირანს „აზერბაიჯანის სახალხო ფრონტმა“, რომელიც ოფიციალურად დარეგისტრირდა 1989 წელს. ფრონტმა თავის დღის წესრიგში შეიტანა სამხრეთ აზერბაიჯანის საკითხიც, მოითხოვდა რა „სამხრეთ აზერბაიჯანთან კულტურული და ეკონომიკური კავშირებისთვის ყველა პოლიტიკური ბარიერის მოხსნას.“<sup>76</sup> ეთნიკური ურთიერთობებთან დაკავშირებით, ფრონტის პროგრამაში ნაზგასმული იყო: „სახალხო ფრონტი მხარს უჭერს საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები აზერბაიჯანელების ეთნიკური ერთიანობის აღდგენას. აღიარებული უნდა იყოს აზერბაიჯანელი ხალხის ერთიანობა... სასაზღვრო ბარიერები უნდა გაუქმდეს ადამიანთა უშუალო კონტაქტებისთვის (ნათესავებისა და მეგობრების მონახულება).“<sup>77</sup>

შესაძლოა, სწორედ ამ იდეების გამო შეძლო აბულფაზლ ელჩიბეიმ ახალი დამოუკიდებელი აზერბაიჯანის პირველ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების მოპოვება 1992 წლის ივნისში. პოლიტიკური პარტიების გარდა, ნაციონალისტმა ინტელექტუალებმა და აზერბაიჯანულმა მედიამაც შეიტანეს საკუთარი წვლილი დღის წესრიგში „სამხრეთ აზერბაიჯანის“ საკითხის შეტანაში. აზერბაიჯანის პრესის ერთი გამოკვლევის თანახმად, 1993-96 წლებში, როგორც სამთავრობო, ისე დამოუკიდებელი პრესა ირანული აზერბაიჯანის საკითხს სხვა საკითხებთან შედარებით ყველაზე მეტ ადგილს უთმობდა.<sup>78</sup>

სწორედ ელჩიბეის პრეზიდენტობის დროს გაუარესდა უკიდურესად ურთიერთობები აზერბაიჯანსა და ირანს შორის. ჯერ კიდევ პრეზიდენტად არჩევამდე, ელჩიბეიმ საჯაროდ დადო ბრალი ირანს ეთნიკურ აზერბაიჯანელ თურქთა

75 Cornell, Azerbaijan Since Independence, 309.

76 Shamkhal Abilov & Ismayil Isayev, “The National Revival in Azerbaijan Prior to the Fall of the Soviet Union and “Black January”.” In: “Azerbaijani” and Beyond. Perspectives on the Construction of National Identity, (Verlag-Koester, January 2016), 89.

77 ციტ. Atabaki, ‘Ethnic Diversity and Territorial Integrity’, 41.

78 იხ. Nacaf Nacafov et al., Azerbaijan–Iranian Relations. (Baku: FARCenter for Economic and Political Research, 1996)

უფლებების შელახვაში და საზი გაუსვა აზერბაიჯანის ისტორიული ტერიტორიების გაერთიანების აუცილებლობას. ბუნებრივია, მისმა განცხადებებმა დაძაბა ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის. მან გააღიზიანა რუსეთიც, როდესაც არჩევნების წინ საზეიმოდ განაცხადა, რომ ირანი ისევე გაქრებოდა, როგორც საბჭოთა კავშირი და ის გამოხატა '30 მილიონი აზერბაიჯანელის დისკრიმინაციას'. ელჩიბეიმ ირანს „ფანატიზმზე დამყარებული რეჟიმის“ კი უწოდა.

დიდი აზერბაიჯანის მითის პოლიტიზაციამ – ირანის აზერბაიჯანული მოსახლეობისთვის კულტურული ავტონომიის მინიჭების მგზნებარე მოწოდებებმა, რაც პირველი გადადგმული ნაბიჯი უნდა გამხდარიყო ორი აზერბაიჯანის გაერთიანების გზაზე, შეადგინა ელჩიბეის საჯარო დისკურსისა და საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ნაწილი. მეორე მხრივ, ელჩიბეი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა თურქეთთან ურთიერთობების განვითარებაზე, თურქი და აზერბაიჯანელი ხალხების ერთობაზე. მან გამოაცხადებდა რასულზადეს მიერ წინწამოწეული პირველი რესპუბლიკის ლოზუნგი: „თურქიზაცია, ისლამიზაცია, ევროპეიზაცია.“ ამასთანავე, სწორედ თურქეთთან ერთობა გახდა შემდგომში ელჩიბეის საპირისპირო კურსის გამტარებელი ალიეების საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი.

მაგრამ ელჩიბეის რადიკალურმა ნაციონალისტურმა პოლიტიკამ არათუ ხელი ვერ შეუშალა სომხების შემდგომ წინსვლას ყარაბაღში, არამედ მას შედეგად მოჰყვა აზერბაიჯანის იზოლაცია როგორც რეგიონული, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით. მისი პოლიტიკა სრულიად ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის საჭიროებას განვითარებინა რეგიონული კავშირები, რათა მომხდარიყო სომხეთზე ზეწოლა.

აზერბაიჯანსაც და ელჩიბეისაც ძვირად დაუჯდათ ამგვარი პოლიტიკა. უპირობო პროთურქულმა პოზიციამ, პირიქით, შეამცირა აზერბაიჯან-თურქეთის დაახლოებისგან მისაღები სავარაუდო სარგებელი, ვინაიდან თურქეთი სულ უფრო მეტად ცდილობდა ეჩვენებინა, რომ სულაც არ იყო რუსეთთან დაპირისპირების მოსურნე.<sup>79</sup>

ელჩიბეის ერთწლიანი მმართველობის ნეგატიური შედეგები თვალსაჩინო იყო და აზერბაიჯანული პერსპექტივიდან – კატასტროფულიც. ირანი, რომელიც თავისი სტატუსიდან გამომდინარე, მთელ მსოფლიოში მუსლიმი ხალხების დამცველად წარმოაჩინდა თავს, პრაქტიკულად ქრისტიანული სომხეთის მხარდამტყვრად იქცა, რომელსაც ომი ჰქონდა შიიტურ აზერბაიჯანთან.

უკვე გადადგომის შემდეგ 1997 წლის დეკემბერში, ელჩიბეიმ შექმნა „გაერთიანებული აზერბაიჯანის მოძრაობა“ ბაქოში, რომლის მიზანიც იყო ირანში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა უფლებების დაცვა და ორი აზერბაიჯანის გაერთიანება. ამავე მიზნებს ისახავდნენ სხვა ორგანიზაციები: „სამხრეთ აზერბაიჯანის ეროვნული დამოუკიდებლობის მოძრაობა“ და „აზერბაიჯანის პოლიტიკური ცენტრი“. ეს ორგანიზაციები ხშირად აწყობენ ირანის საელჩოსთან ბაქოში საპროტესტო დემონსტრაციებს „ირანის მიერ ეთნიკურ აზერბაიჯანელთა კულტურული და ეროვნული უფლებების დარღვევის წინააღმდეგ, აგრეთვე აზერბაიჯანულ ენაზე სწავლების დაშვების მოთხოვნით.“<sup>80</sup> 1999 წელს კონფერენციაზე სახელწოდებით

79 Mehdiyeva, *Power Games in the Caucasus Azerbaijan's Foreign and Energy Policy towards the West, Russia and the Middle East.* (Palgrave Macmillan, 2011), 273.

80 Gresh, 'Beyond boundaries: Iranian Azeris,' 238.

„ირანული ფაქტორი აზერბაიჯანის პოლიტიკაში“, ელჩიბეიმ განაცხადა, რომ „გაყოფილი აზერბაიჯანის პრობლემა არსებობს და ჩვენი ისტორიული ამოცანაა ამ პრობლემის გადაწყვეტა. აზერბაიჯანის პრობლემა ვერ გადაწყდება, სანამ მისი სამხრეთი ნაწილი ირანის შემადგენლობაშია.“<sup>81</sup>

ელჩიბეის პროთურქულმა ეთნიკურმა დისკურსმა ხელი შეუწყო სეპარატისტული გრძნობების ჩამოყალიბებას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ირანული მოდგმის თალიშთა შორის. თალიშებმა მოახერხეს ირანული იდენტობის შენარჩუნება საბჭოთა პერიოდში, ელჩიბეის პროთურქულმა კამპანიამ კი ბევრი მათგანი გააუცხოვა აზერბაიჯანის სახელმწიფოსგან. არ იყო მოულოდნელი, რომ თალიშები ირანის მხარდამჭერები გახდნენ. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წყაროების მიხედვით, ირანი „ისლამის ინტენსიურ პრობელიტიზმს“ ეწევა და „უეჭველად ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფს თალიშთა აქტივობებს.“<sup>82</sup> აზერბაიჯანის სამხრეთის თალიშური მოსახლეობა, კულტურული და ეთნიკური კავშირებით, ასევე შიიტური სარწმუნოებით, ადვილად ექვემდებარებოდა ირანულ პროპაგანდას. ამგვარად, ბაქოს ირედენტისტული პრეტენზიების საპირწონედ თეირანი იყენებს თალიშთა ფაქტორს.<sup>83</sup>

სამხრეთში ეროვნებით თალიშთა პოლკოვნიკმა ალიქრამ ჰუმბათოვმა 1993 წლის დასაწყისიდან უარი თქვა ბაქოდან მიღებული ბრძანებების შესრულებაზე და განაცხადა საკუთარი განზრახვის შესახებ შექმნილიყო თალიშ-მულამის ავტონომიური რესპუბლიკა ირანის საზღვრის გასწვრივ. ჰუმბათოვი გაიქცა ირანში, მაგრამ მალე მისი ექსტრადიცია მოხდა აზერბაიჯანში. 1996 წელს მას სახელმწიფო ლალატისთვის სიკვდილი მიუსაჯეს, თუმცა 2004 წელს შეიწყალეს და ის ჰოლანდიაში გადასახლდა.

სრულიად საპირისპირო პოლიტიკას ატარებდა ირანის მიმართ იმ პერიოდში ნახიჩევანის ლიდერი ჰეიდარ ალიევი. ის ახდენდა ელჩიბეის პოლიტიკური პრეფერენციების იგნორირებას და მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები დაამყარა ნახიჩევანსა და ირანს შორის. ის ორჯერ ჩავიდა ირანში და ორივეჯერ პრეზიდენტმა რაფსანჯანიმ გაუგზავნა თვითფრინავი.

შემდგომ, როგორც აზერბაიჯანის პრეზიდენტი, მიუხედავად მისი აქტიური როლისა საბჭოთა დროს ეთნიკური ნაციონალიზმის გამოღვივებაში ირანის აზერბაიჯანში, ჰეიდარ ალიევი უკვე ამჯობინებდა კონკრეტულად არ ეხსენებინა ირანის აზერბაიჯანი და ფოკუსირებას ახდენდა ზოგადად აზერბაიჯანელებზე რესპუბლიკის გარეთ. სწორედ ამ სტრატეგიის ჩარჩოებში, მან გასცა მსოფლიო აზერბაიჯანელთა კონგრესის ორგანიზების ბრძანება, რომელზეც აზერბაიჯანი

81 Cameron S. Brown, 'Waiting to Have Their Cake and Their Neighbor's Too: Azerbaijani Attitudes towards Karabakh and Iranian Azerbaijan.' *Middle East Journal* (Autumn 2004), vol. 58, no. 4, 588. პოლიტიკურ სარბიელზე დაბრუნების შემდეგ, ელჩიბეი ალიევის რეჟიმის ყველაზე თვალსაჩინო ოპოზიციური ფიგურა იყო სიკვდილამდე, 2000 წლის აგვისტოში.

82 Mehdiyeva, *Power Games in the Caucasus Azerbaijan's*, 169.

83 ირანული მოდგმის თალიშების საერთო რაოდენობა დაახლ. 1 მილიონია. ირანში ისინი ცხოვრობენ გილანის პროვინციაში. თალიშთა მოთხოვნები ირანში უმნიშვნელოა – შემოიფარგლება „თალიშური პროვინციის“ გამოყოფით გილანიდან და არ შეიცავს სეპარატისტულ თუ ფართო ავტონომისტურ მოთხოვნებს.



წარმოდგენილიყო მთელი მსოფლიოს აზერბაიჯანული დიასპორის სამშობლოდ.<sup>84</sup>

აღსანიშნავია, რომ ჰეიდარ ალიევი უბრალოდ საერთოდ არ იხსენიებდა სამხრეთ აზერბაიჯანის საკითხს და თითქმის არასდროს იქაურ აზერბაიჯანელებს, ამჯობინებდა რა თანამემამულეების ხსენებას, რომლებიც „სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობენ.“<sup>85</sup> საინტერესოა, რომ პრეზიდენტის ვებგვერდზე იყო ჩანაწერები მისი საუბრებისა უკრაინაში, საქართველოში, ბელარუსში, მოლდოვაში, რუსეთში, ევროპასა და თურქეთში მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან, მაგრამ არა ირანელ აზერბაიჯანელებთან.<sup>85</sup>

ალიევის მმართველობის დამყარების შემდეგ ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის თითქოსდა დასტაბილურდა, თუმცა მალე გამოიკვეთა შეუთავსებელი ინტერესებიც, რაც არაერთი უთანხმოების წყაროდ იქცა. პირველ რიგში, ირანისთვის ზიანის მომტანი იყო აზერბაიჯანის პროთურქული, პროდასავლური და პროისრაელური კურსი.

ახალი ან დიდი აზერბაიჯანის იდეისკენ დაბრუნება პერიოდულად ხდებოდა. მაგალითად, 2012 წელს აზერბაიჯანისა და თურქეთის სხვადასხვა პოლიტიკოსების, ორგანიზაციების, ასევე მედიის მხრიდან გაისმა მოწოდებები – აზერბაიჯანს უნდა ესარგებლა არაბული გაზაფხულის შედეგად შექმნილი სიტუაციით და ირანში პოტენციური დესტაბილიზაციით, რომ იდეა რეალობად ექცია. ‘დიდი აზერბაიჯანის’ ოცნების ტერიტორიული საზღვრები არ ყოფილა ზუსტად განსაზღვრული. თუმცა, იყო დაღესტნისა და საქართველოს ნაწილის, ჩრდილოეთ ირანისა და სპარსეთის ყურეზე გასასვლელის ხსენება.<sup>86</sup>

ამგვარი ძალისხმევების ნიმუშია ერთი აზერბაიჯანელი პარლამენტარის შემოთავაზება ქვეყნისთვის სახელის გადარქმევისა და მისთვის „ჩრდილოეთ აზერბაიჯანის რესპუბლიკის წოდებისა.“<sup>87</sup>

როგორც აღინიშნა, ურთიერთობები საკმაოდ გაუარესდა მაჰმუდ აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის დროს. ირანელი მკვლევარი ჰასან ბეჰეშთიფური ამგვარად აფასებდა ამ პერიოდში ორი ქვეყნის ურთიერთობებს: „ყველაზე მეტი ურთიერთობა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, გინდ დაძაბულობის თვალსაზრისით და გინდ ურთიერთობების გაფართოვების თვალსაზრისით, მოდის ბატონი აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის პერიოდზე. ირანისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონტაქტები წარმოადგენს სიყვარულისა და სიძულვილის ურთიერთობას, რადგანაც ერთი მხრივ ამ ურთიერთობებში ირანმა მცდელობა არ დაიშურა და წინ წავიდა იქამდე, რომ ცალმხრივად გავაუქმეთ ვიზები და, ასე მაგალითად, ტურიზმის, სამედიცინო, პილიგრიმობისა და სხვა სფეროებში გავაფართოვეთ კიდევ

84 ს. კორნელის სიტყვებით, არაერთი წყარო მიუთითებს, რომ როდესაც აზერბაიჯანის სუკ-ის აღმოსავლეთის განყოფილებაში მუშაობდა, ჰეიდარ ალიევის ენებოდა ირანისა და ახლო აღმოსავლეთის საქმეები (არაა გამორიცხული, რომ ალიევი მუშაობდა ირანში ხანმოკლე დროის მანძილზე (XI.1945-XII.1946) არსებულ აზერბაიჯანის რესპუბლიკაშიც). Cornell, Azerbaijan Since Independence, 42.

85 Brown, ‘Wanting to Have Their Cake and Their Neighbor’s Too: Azerbaijani Attitudes Towards Karabakh and Iranian Azerbaijan.’ Middle East Journal (2004), 58 (4), 592.

86 Esfahani, Iran’s Foreign Policy in the South Caucasus, 145.

87 Talāsh dar pārlemāne Jomhuri Azerbaijan barāye afzudane onvāne shomāli be nāme in keshvar. BBC Farsi. (2012). www.bbc.co.uk/persian... (წვდომა: 01/02/2020)

ურთიერთობები... მეორე მხრივ, ბაქო წინეში მოვაქციეთ, რომ მათაც საპასუხოდ უნდა გაეუქმებინათ ვიზები. აზერბაიჯანმა ეს არ გააკეთა იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ირანელები აზერბაიჯანში შეაგზავნიან სპეცსამსახურების მუშაკებს და ამ ქვეყანას დააყენებენ გადატრიალებისა და სხვა საფრთხეების წინაშე.<sup>88</sup>

ირანის ხელისუფლების მუდმივი გაღიზიანების წყაროს წარმოადგენს ბაქოში სეპარატისტული ჯგუფების კონფერენციების ჩატარება, რომლებზეც უღერდება „სამხრეთ აზერბაიჯანის“ ანექსიის მოთხოვნა. როდესაც პირველი კონფერენცია ჩატარდა 2013 წლის მარტში, ირანში საპროტესტოდ გამოსულებმა აღნიშნეს, რომ 1828 წლის თურქმენჩაის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მეფის რუსეთის მთავრობამ, ის კი 1917 წელს ბოლშევიკური რევოლუციის შედეგად გაუქმდა. შესაბამისად, აზერბაიჯანი უნდა დაუბრუნდეს ირანს. კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებით აზერბაიჯანის ელჩი ირანში გამოიძახეს და მკაცრად გააფრთხილეს, რომ ამგვარი ქმედებები დიდი ზიანს აყენებს ორი ქვეყნის ურთიერთობებს.<sup>89</sup> დებატებმა ირანის მეჯლისსაც მიაღწია, სადაც აზერბაიჯანული პროვინციების არაერთმა წარმომადგენელმა დეპუტატმა წარმოადგინა წინადადება 'ჩრდილო' აზერბაიჯანის ირანისთვის დაბრუნების მოთხოვნით.<sup>90</sup> ირანული გაზეთი 'ქეიჰანი', რომელიც ხშირ შემთხვევაში უზენაესი ლიდერის რუპორს წარმოადგენს, ასევე შეუერთდა დებატებს მოთხოვნით, რომ აზერბაიჯანს უნდა ჩაეტარებინა რეფერენდუმი მისი მოქალაქეების ნების გასარკვევად, სურდათ თუ არა ირანთან შეერთება.<sup>91</sup> ეს დაემთხვა აზერბაიჯანის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, ნიზამი განჯელის საფლაგზე არსებული მისი პომეებიდან ამონარიდების სპარსული წარწერების წაშლისა და მათი აზერბაიჯანულ-თურქულით შეცვლის შესახებ.

დაპირისპირება მკაფიოდ ვლინდება ორივე მხრიდან ძირგამომთხრელი ჯგუფების მხარდაჭერასა და ე. წ. „ჯაშუშურ თამაშებში“:

ყველაზე სერიოზული, ალბათ, იყო ირანის ფარული მხარდაჭერა მოძალადე ჯგუფების მიმართ, როგორებიც იყვნენ „ჯეიშაულაჰის“ მოძრაობა და ირანული „ჰეზბოლას“, რომლებიც საკმაოდ აქტიურობდნენ აზერბაიჯანში. „ჯეიშაულაჰის“ და „ჰეზბოლას“ წევრებს მიეწერებათ აკადემიკოსის, ისტორიკოს ზია ბუნიატოვის მკვლელობა 1997 წელს<sup>92</sup> და ორივე მოძრაობა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შეტანილი იყო ტერორისტული ორგანიზაციების სიაში.

88 <http://www.iras.ir/prtevn8w.jh8ozi9bbj.html>. ციტ. ნახუცრიშვილი, მაჰმუდ აჰმადინეჟადის რვაწლიანი მმართველობის საგარეო პოლიტიკის შეფასებები. ელ-ჟურნალი 'თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი', (2013) #4, 6. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2223.pdf>

89 'Iran Summons Ambassador over Baku Separatist Meeting.' (31/03/2013). <http://www.presstv.com...> (წვდომა: 31/05/2018).

90 'Iranian MPs Preparing a bill to Re-annex Azerbaijan to Iran.' (09/04/2013). <http://english2.farsnews.com...> (წვდომა: 31/05/2018).

91 Clara Weiss, 'Azeri-Iranian Relations Continue to Deteriorate.' (24/06/2013). [www.wsws.org/en...](http://www.wsws.org/en...) (წვდომა: 14.10.2019)

92 აზერბაიჯანის ეროვნული უშიშროების სამინისტროს განცხადებით, ჰეზბოლა ბრალს დებდა ბუნიატოვს 'მოსადის' აგენტობასა და სიონიზმის გავრცელებაში აზერბაიჯანში. მეცნიერის მკვლელობა საბაზი გახდა ჰეზბოლასა და ირანთან დაკავშირებულ ორგანიზაციებზე იერიშის მისატანად. დააკავეს და ხანგრძლივი დროით პატიმრობა მიუსაჯეს ჰეზბოლას ხუთ წევრს. თუმცა, ორგანიზაციის ლიდერმა ტარიელ რამაზანოვმა მოახერხა ირანში გაქცევა.

ისრაელის ერთ-ერთი კვლევითი ცენტრის ინფორმაციით, 2007 წელს აზერბაიჯანის უშიშროების სამინისტროს ძალებმა დააკავეს „იმამ მაჰდის ჩრდილოეთის მებრძოლების“ 16 წევრი. ეს ჯგუფი თვალყურს ადევნებდა დასავლურ და ისრაელის დიპლომატიურ მისიებს და დაკავშირებული იყო ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსთან.<sup>93</sup> ჯგუფის ლიდერს, საიდ დაბასბეილის, ბრალის წაუყენეს, რომ ის იღებდა ფინანსურ დახმარებას გუშაგთა კორპუსის ელიტარული დანაყოფისგან, „ყოდსისგან“ და ცდილობდა შეთქმულების მოწყობას სეკულარული ხელი-სუფლებების დასამხობად.

2012 წლის მარტის შუა რიცხვებში აზერბაიჯანის უშიშროების მინისტრმა გამოაცხადა, რომ დააკავეს ირანში მომზადებული 12 ტერორისტი (სხვა ინფორმაციით – აზერბაიჯანის 22 მოქალაქე), რომლებიც გეგმავდნენ ისრაელისა და აშშ-ის საელჩოებზე, ასევე სხვა დასავლურ დაწესებულებებზე თავდასხმას (მათ შორის იყო ლიბანური ჰეზბოლას რამდენიმე წევრი). თვის ბოლოს კი მინისტრმა განაცხადა, რომ ირანელ ჯაშუშთა კიდევ ორი ქსელი იყო გამოვლენილი 2011 წელს. ეს ეპიზოდი მკაფიოდ მიუთითებს აზერბაიჯანის უსაფრთხოებისთვის არსებულ საგარეო და საშინაო გამოწვევების კავშირზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ დააპატიმრეს ირანელი აგენტიც, რომელიც აზერბაიჯანის რეჟიმის წინააღმდეგ განწყობების გაღვივებას ცდილობდა. თავის მხრივ, ირანსაც არაერთხელ ჰყავს დაპატიმრებული ‘აზერბაიჯანის ჯაშუშები’. 2012 წლის დასაწყისში ირანმა გაათავისუფლა ორი აზერბაიჯანელი პოეტი, რომლებიც ერთი თვით ადრე დააკავეს ჯაშუშობის ბრალდებით, აზერბაიჯანმა კი გამოუშვა რეპორტიორი, რომელიც დაკავებული იყო ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით. ეს მოხდა ბაქოში ირანის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტის წინ.<sup>94</sup> ამავე წლის მაისში აზერბაიჯანმა გამოაცხადა, რომ გახსნა ტერორისტთა შეთქმულება, რომლებსაც დაგეგმილი ჰქონდათ უცხოელების მკვლელობები ევროვიზიის კონკურსზე.<sup>95</sup>

აზერბაიჯანს ექვსჯერ ჰყავს გამოწვეული ელჩი, ირანს – ერთხელ. 2012 წლამდე 60 სამოქალაქო პირი იქნა დაკავებული ორივე ქვეყანაში ჯაშუშობისა და ტერორიზმის ბრალდებით. ორივე ქვეყანას შედგენილი აქვს საპროტესტო ნოტები მათი თანამემამულეების დაკავების შესახებ მეორე ქვეყანაში.<sup>96</sup>

93 James J. Coyle, *Russia's Interventions in Ethnic Conflicts The Case of Armenia and Azerbaijan*. (Palgrave Macmillan, 2021), 130.

94 ამ პერიოდის ‘ჯაშუშური თამაშების’ შესახებ იხ. მაგ., ‘Iran Questioning Azerbaijani Nationals on Espionage Charges.’ Radio Free Europe/Radio Liberty. (04/07/2012). <http://www.rferl.org...> (წვდომა: 05/08/2018); Nichol, ‘Armenia, Azerbaijan, and Georgia: Political Developments and Implications for U.S. Interests.’ Congressional Research Service 7-5700 (16/09/2010), 16. [www.crs.gov...](http://www.crs.gov...) (წვდომა: 23/06/2021); Jason Burke, ‘Iran Was Behind Bomb Plot Against Israeli Diplomats, Investigators Find.’ The Guardian (17/06/2012). <http://www.guardian.co.uk...> (წვდომა: 14.05.2015).

95 ‘Azerbaijan Says It Exposed Terror Cell In Baku.’ (20/01/2012). <https://www.rferl.org...> (წვდომა 06.07.2016). მოულოდნელი არ იყო, რომ 2012 წელს ბაქოში გამართულმა ევროვიზიის კონკურსმა ირანის გაღიზიანება გამოიწვია და ელჩიც კი გაიწვიეს ბაქოდან კონკურსის მიმდინარეობის დროს.

96 Khatin D. Ughlu, ‘Iran va Jomhuri Azerbaijan: 2 gharn sue zan.’ (2013). [www.bbc.co.uk/persian/iran...](http://www.bbc.co.uk/persian/iran...) (წვდომა: 25.11.2018).

2015 წლის თებერვალში აზერბაიჯანის ერთ-ერთმა სასამართლომ „ირანის დაზვერვის სამინისტროს ორ მუშაკს“ 27-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.<sup>97</sup> მათ ბრალად ედებოდათ ფოტო და ვიდეო მასალის გადაღება, საიდუმლო ინფორმაციის შეგროვება რიგი სამხედრო დაწესებულებებისა და თურქეთის საკონსულოს შესახებ და მათი ირანისთვის გადაცემა. თეირანმა მაშინვე დასდო ბრალი აზერბაიჯანის ხელმძღვანელობას ისრაელისა და აშშ-ის მხარდაჭერაში ირანის დესტაბილიზაციისათვის იმის განცხადებით, რომ აზერბაიჯანი გამოყენებული იყო საბოტაჟისა და ბირთულ პროგრამასთან დაკავშირებული მეცნიერის მკვლელობისთვის.<sup>98</sup>

ყველაზე სერიოზული დაპირისპირება, რომელიც კინალამ პირდაპირ კონფლიქტში გადაიზარდა, მოხდა 2001 წლის 23 ივლისს კასპიის ზღვაზე, ბაქოდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 150 კილომეტრის დაშორებით. ირანულმა სამხედრო გემებმა იერიში მიიტანეს „ბრიტიშ პეტროლიუმის“ (BP) კუთვნილ კვლევით გემზე, რომელიც დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებდა აზერბაიჯანის სექტორში არსებულ „არაზის“, „ალოვის“ და „მარგის“ ნავთობსაბადოებზე. ირანულმა სამხედრო-საზღვაო ძალებმა აიძულეს გემი, რომელსაც აზერბაიჯანის მთავრობის მანდატი ჰქონდა, შეეწყვიტა სამუშაოები და დაეტოვებინა ადგილი. ამ ინციდენტს წინ უძღოდა თეირანის მუქარები და ირანული თვითმფრინავის მიერ BP-ის ხომალდზე ჰაერიდან დაკვირვება. ბაქომ მკაცრად დაგმო საკუთარი საჰაერო სივრცის დარღვევა და ტერიტორიულ წყლებში შეჭრა. ინციდენტმა დაძაბა ურთიერთობები როგორც ორ ქვეყანას, ისე ზოგადად კასპიისპირა რეგიონში. აზერბაიჯანის მხრიდან ოფიციალური განცხადების თანახმად, ეს იყო პროვოკაცია. თურქეთის გენშტაბის უფროსი ჰუსეინ ქივირქოლლუ ეწვია აზერბაიჯანს ამ პროვოკაციის გამო მხარდაჭერის საჩვენებლად. სწორედ მისი ვიზიტის დროს, 2001 წლის 24 აგვისტოს, გაიმართა თურქეთის საჰაერო ძალების საჩვენებელი ფრენები, რასაც მილიონამდე მყურებელი ჰყავდა. თუმცა, 2002 წლის თებერვალში ირანულმა სამხედრო გემებმა კიდევ ერთხელ დაარღვიეს კასპიის ზღვაზე აზერბაიჯანის სექტორის ტერიტორიული წყლები. მეორე ინციდენტის შემდეგ, იმ დროს ირანის ელჩმა აზერბაიჯანში, აჰად ყაზაიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არ აღიარებს არანაირ საზღვრებსა თუ ტერიტორიულ წყლებს კასპიის ზღვაზე; შესაბამისად, არ არსებობს ინციდენტის საზღვრის უკანონო გადაკვეთად ჩათვლის საფუძველი.

დაპირისპირებისას ორივე მხარე აქტიურად იყენებს ელექტრონულ მედიასაც. აზერბაიჯანის განსაკუთრებულ შემოფოთებას იწვევდა ირანული ტელეარხის Sahar TV-ის გადაცემები, რის შესახებაც ბაქოს არაერთხელ განუცხადებია თეირანისთვის პროტესტი.<sup>99</sup> Sahar TV-ის გადაცემების სამიზნე აუდიტორია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხრეთი ნაწილების მოსახლეობაა. აქ, მაგალითად, ქალაქ მასალაში, მოსახლეობა ბევრად უფრო ადვილად ექვემდებარება

97 'Republic of Azerbaijan: Jail Sentence for 2 Iranian Intelligence Spies.' People's Mojahedin Organization of Iran.' (08/02/2015), <http://mojahedin.org...> (წვდომა: 09/12/2019).

98 Robert Swift, 'Azerbaijan: Israel's Secret Muslim Friend.' The Jerusalem Post (02/11/2015). <http://www.jpost.com...> (წვდომა: 15/09/2018).

99 იბ. მაგ., 'Azerbaijani Tempers Flare over Iranian TV's Criticism of Peres Visit.' (02/07/2009). <http://asbarez.com/blog/...> (წვდომა: 14/05/2019); 'Baku appeals to Iran's State Broadcaster over Libelous Reports.' (23/06/2011). <http://www.azernews.az...> Html (წვდომა: 14/05/2019).

რელიგიურ პროპაგანდას. თალიშურ ენაზე პროგრამები მიმართული იყო ლან-ქარანის რეგიონის თალიშური ეთნიკური მოსახლეობისადმი ნათელი მიზნით – დაერწმუნებინათ თალიშები, რომ კულტურულად ბევრად მეტი აქვთ საერთო ირანელებთან, ვიდრე აზერბაიჯანელებთან.<sup>100</sup> Sahar TV აკრიტიკებს ალიევის ხელისუფლებასაც. თავის მხრივ, აზერბაიჯანული ტელეარხებზე AZTV და ITV ხშირად ისმის ირედენტისტული მოთხოვნები, რაც ირანული მხარის პროტესტს იწვევს.

2020 წლისთვის დაახლოებით 50 პროირანული აზერბაიჯანული ვებ-გვერდი არსებობდა. მათი ნაწილი რეგისტრირებული იყო აზერბაიჯანში არსებულ დომენებზეც.<sup>101</sup>

საფრთხეების ახალი ფორმა გახდა კიბერშეტევები. „კიბერსივრცე საერთაშორისო ბრძოლის ახალ ველად იქცა.“ ჰანსენისა და ნისენბაუმის მოსაზრებით, კიბერუსაფრთხოება უსაფრთხოების თეორიების ახალ სექტორად შეიძლება ჩაითვალოს.<sup>102</sup>

ირანი ჯერ კიდევ 2012 წელს აცხადებდა, რომ მისი კიბერარმია, ძლიერების თვალსაზრისით, მსოფლიოში მეოთხე ადგილზე იდგა. ისრაელის ეროვნული უსაფრთხოების კვლევის ინსტიტუტმა დაადასტურა, რომ ირანი უდიდეს კიბერძალას ფლობს.<sup>103</sup> შესაბამისად, ირანს აქვს უნარი განახორციელოს კიბერშეტევები, როგორც გაფრთხილება მეზობლისთვის ირანის მტრებთან თანამშრომლობის ან ირანისათვის მიუღებელი საშინაო პოლიტიკის გამო.

სულეიმანოვი და კრაუსი თვლიან, რომ თეირანის პოლიტიკის ნაწილია ქურთულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების დაძაბვაც, განსაკუთრებით დასავლეთ აზერბაიჯანის პროვინციაში, სადაც ქურთთა ხვედრითი წილი დიდია. აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვართან ქურთული სოფლებიც კი გაშენდა.<sup>104</sup> თუმცა, ეს მოსაზრება მაინც არ არის სათანადო არგუმენტებით გამყარებული და, ალბათ, გადაჭარბებულია.

აზერბაიჯანში არსებული რადიკალური წრეების მხრიდან ირედენტისტული მოთხოვნების არსებობის მკაფიო (და საკმაოდ აროგანტულ) გამოხატულებად კი შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოების საკითხებში აზერბაიჯანის პირველი სამი პრეზიდენტის მრჩევლის, დიპლომატისა და მეცნიერის ვაფა გულუზადეს სიტყვები: „მაშინ, როცა ირანელი აზერბაიჯანელები საკუთარი თავის ასოცირებას ახდენენ ისლამთან და არ არიან დარწმუნებულნი საკუთარ წარმომავლობაში, თავისუფალი აზერბაიჯანის აზერბაიჯანელებმა კარგად იციან, თუ ვინ არიან: ჩვენ თურქები ვართ. ჩვენ აზერბაიჯანელები ვართ. მიუხედავად ამისა, ეროვნული თვითშეგნება ვითარდება 'სამხრეთ' (ანუ ირანულ) აზერბაიჯანში. ბაქოს არ შეუძ-

100 Hema Kotecha, *Islamic and Ethnic Identities in Azerbaijan: Emerging Trends and Tensions*. (Baku: OSCE, 2006), 28.

101 Ebrahim Ramezani, 'Who are Iran's Allies in the Republic of Azerbaijan and what are Their Ambitions?' *Iran Wire*, (10/08/2020). <https://iranwire.com...> (წვდომა: 20/02/2022)

102 იხ. Lene Hansen, and Helene Nissenbaum, 'Digital Disaster, Cyber Security, and the Copenhagen School.' *International Studies Quarterly*, (2009), 53, 1155 – 1175.

103 'Israeli Think Tank Acknowledges Iran as Major Cyber Power, Iran Claims its 4th Biggest Cyber Army in World.' (18/10/2013). <http://hackread.com...> (წვდომა: 20.11.2019)

104 Souleimanov & Kraus, 'Iran's Azerbaijan Question,' 40.



ლია 'ლიად' მოუწოდოს გაერთიანებისკენ, მაგრამ გაერთიანება, საბოლოო ჯამში, მაინც მოხდება.<sup>105</sup>

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში დიდ როლს (უმეტესწილად ნეგატიურს) ასრულებს თურქეთი. 1990-იანი წლების შუა ხანებში ფრანგი მკვლევარი ფრანსუა ტუალი რიტორიკულ კითხვას სვამდა – არის აზერბაიჯანი ზედმეტად შიიტური, პროთურქული რომ ვერ გახდეს, ან საკმარისად შიიტური, პროირანული რომ გახდეს?<sup>106</sup> დრომ აჩვენა, რომ ირანი, მიუხედავად საწყის წლებში გარკვეულ აქტიურობისა, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ვერ იქცა თურქეთის სრულფასოვან მეტოქედ აზერბაიჯანში.

აზერბაიჯანს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება განვითარებისა და სამართლიანობის პარტიის აღმოსავლურ პოლიტიკაში – ახალ 'თურქული ერთობაში'<sup>107</sup> ერთ-ერთი საკვანძო ადგილი უჭირავს. ორ ქვეყანას შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობები და ენერგომატარებლების მარშრუტები კიდევ უფრო აახლოვებს მათ. აზერბაიჯანში სლოგანი „ორი სახელმწიფო – ერთი ერი“ უკიდურესად პოპულარულია. ბაქოსა და სხვა ქალაქების ქუჩებში ხშირად შეხვდებით პლაკატებზე ერთად გამოსახულ ქემალ ათათურქსა და ჰეიდარ ალიევს.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ყოველთვის მიიჩნეოდა აზერბაიჯანის ყველაზე ახლო მოკავშირედ რეგიონში, მას შემდეგ, რაც ალიევმა შეძლო ძალაუფლების კონსოლიდაცია, ის შეეცადა უსაფრთხო დისტანცია დაეცვა თურქეთისგან – მ. ქუჰი ესფაჰანის სიტყვებით, „მჭიდრო იმდენად, რომ უზრუნველყო ანკარის მხარდაჭერა და დაშორებული იმდენად, რომ თურქეთისთვის არ მიეცა ბაქოს შინა საქმეებში ჩარევის ან აზერბაიჯანული იდენტობის განსაზღვრის საშუალება, რომლის ჩამოყალიბებასაც ალიევი ცდილობდა და რომელიც დამოუკიდებელი იყო თურქული იდენტობისგან.“<sup>108</sup> მაგალითად, ელჩიბეის პრეზიდენტობისას, 1992 წლის დეკემბერში, პარლამენტმა გადაწყვიტა, რომ სახელმწიფო ენის სახელი უნდა ყოფილიყო *Türkce Dili* (თურქული ენა). თუმცა, 1995 წლის ახალ კონსტიტუციაში სახელმწიფო ენა ისევ აზერბაიჯანულია. ამგვარად, „აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის“ გადაწყვეტილება გაუქმდა.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ბრენდა შაფერს, რომელიც თვლის, რომ აზერბაიჯანელობა იდენტობის მთავარი ფორმა იყო საბჭოთა პერიოდში და ახლაც არის. თურქული იდენტობა მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია აზერბაიჯანული იდენტობისა, მაგრამ იშვიათად თუ დომინირებდა განსხვავებულ აზერბაიჯანულ თვითაღქმაზე.<sup>109</sup>

პარადოქსული გზით, თურქული იდენტობის სრული გათავისების მთავარი წინაღობა ირანთან ერთი მხრივ სადავო, მაგრამ მეორე მხრივ საზიარო (უფრო სწორად, ერთიანი) ისტორიაა, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე იყო საუბარი. გა-

105 Вафа Гулузаде, Кавказ среди врагов и друзей (статьи, интервью, выступления). (2002) <http://azeribook.com...> (წვდომა: 14/07/2021).

106 Francois Thual, *Géopolitique du Chiisme*. (Paris: Arléa, 1995), 60.

107 ანკარას შექმნილი აქვს “Türk dünyası” – თურქულის სამყაროს დეპარტამენტი საგარეო საქმეთა სამინისტროში.

108 Esfahani, *Iran's Foreign Policy in the South Caucasus*, 129-130.

109 Shaffer, *Borders and Brethren*, 4-5.

რდა ამისა, აზერბაიჯანი *raison d'état*-ს პრინციპით მოქმედებს და ზოგჯერ დგამს ისეთ ნაბიჯებსაც (იგივე ირანთან ან ისრაელთან მიმართებაში), რომლებიც სულაც არ შედის თურქეთის ინტერესებში. ამრიგად, თურქეთი ასრულებს 'უფროსი' ძმის როლს, მაგრამ 'უმცროს' ძმასაც შენარჩუნებული აქვს თავისუფალი მოქმედების სივრცე.

რა თქმა უნდა, ირანსა და აზერბაიჯანს შორის დაპირისპირების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ამ უკანასკნელის მჭიდრო ურთიერთობები აშშ-თან. როგორც ბ. ბიუზენი ამტკიცებს, მეგობრობა და მტრობა არ შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ ძალთა ბალანსს. იმ საკითხებში, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ურთიერთობათა ხარისხზე, შედის ისეთი ელემენტები, როგორიცაა იდეოლოგია, ტერიტორია, ეთნიკური გამყოფი ხაზები და ისტორიული პრეცედენტები.<sup>110</sup> სამხრეთ კავკასიაში განსხვავებული პოლიტიკური არჩევანის შედეგი გახდა ირანსა და აზერბაიჯანს, ასევე მათ შესაბამის მოკავშირეებს შორის არსებული მტრობის და მეგობრობის განსაკუთრებული ხასიათი. ამ მხრივ, აზერბაიჯანის კავშირი აშშ-თან სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მეგობრულ ურთიერთობებზე – ანუ, ირანული თვალთახედვიდან, აზერბაიჯანი უკავშირდება მის მტერ ქვეყანას.

აზერბაიჯანს სტრატეგიული თანამშრომლობა აშშ-თან ეწინააღმდეგება როგორც რუსეთის, ისე ირანის ინტერესებს. ეს თანამშრომლობა ბოლო ხანებამდე გამოიხატებოდა ავღანეთში ნატო-ს ჯარების მომარაგებისთვის აზერბაიჯანის სატრანზიტო გზად გამოყენებით. ის ასევე ითვალისწინებს თანამშრომლობას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აქვე ხაზგასასმელია, რომ რუსეთისა და ირანის მხრიდან ტერორიზმის განსაზღვრა ხშირად არ ემთხვევა აშშ-ისა და აზერბაიჯანის მიმართებას ამ პრობლემისადმი. შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანის პოლიტიკას ირანისადმი აშშ-ის განსაკუთრებული ჩართულობა არ სჭირდება, ვინაიდან აზერბაიჯანის დამოკიდებულება ირანის მიმართ ემყარება საკუთრივ ქვეყნისთვის საჭირო როგორც საკითხებს.

აშშ აზერბაიჯანიდან ირანის ტერიტორიის მონიტორინგს ეწევა 2005 წლიდან, იყენებს რა რადარს, რომელიც განთავსებულია კასპიისპირა სამხრეთის ქალაქ ასტარაში, ირანის საზღვიდან 20 კმ-ის დაშორებით. ეს რადარი, აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ხიზიში განთავსებულ რადართან ერთად, წარმოადგენს კასპიის დაცვის ინიციატივის ნაწილს, რომელიც შეიმუშავა აშშ-ის ევროპულმა სამხედრო ხელმძღვანელობამ და რომელსაც აფინანსებს თავდაცვის მინისტრის ოფისი.<sup>111</sup> რადარების განთავსებას უშედეგო პროტესტი მოჰყვა რუსეთისა და ირანის მხრიდან.

რ. ვაიცი მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანის რბილი ძალის გაძლიერებით, აშშ შეძლებს წინ აღუდგეს ირანულ საფრთხეს, ვინაიდან ახლო აღმოსავლეთის, ცენ-

110 ციტი. Marianne Stone, 'Security According to Buzan: A Comprehensive Security Analysis.' In: Security Discussion Paper Series. (Columbia University Press, 2009), 6.

111 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1993 წელს აზერბაიჯანი პირველი პოსტსაბჭოთა ქვეყანა გახდა, საიდანაც გავიდა რუსული ჯარები, თუმცა ჯარების ნაწილი დარჩა გაბალის საზღვარსა და სადგურზე. 2002 წელს რუსული სამხედრო კონტიგენტის აქ ყოფნის შესახებ 10-წლიან ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, მაგრამ 2012 წელს ხელშეკრულებას განახლება ველარ მოხერხდა და რუსებმაც დატოვეს გაბალის სადგური.

ტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ხალხები აზერბაიჯანს ჩათვლიან პროდასავლურ, აყვავებულ და სექულარულ სახელმწიფოდ, ირანის გაბანკოტებულ თეოკრატიაზე უფრო მაღლა მდგომ მოდელად.<sup>112</sup> თუმცა, ეს მოსაზრება პრაქტიკული თვალსაზრისით საკმაოდ სადავოა. ირანთან შედარებით აზერბაიჯანისთვის უპირატესობის მინიჭება (ამ შემთხვევაში კასპიის ენერგომატარებლების საკითხი განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია), არ ნიშნავს შეერთებული შტატების მხრიდან აზერბაიჯანის ნებისმიერი ქმედების უპირობო მხარდაჭერას.<sup>113</sup>

როდესაც 2007 წლის მარტში აზერბაიჯანმა ნატო-ს უფლება მისცა გამოეყენებინა მისი ორი სამხედრო ბაზა და აეროდრომი „ავღანეთში სამშვიდობო ოპერაციის მხარდაჭერისთვის“, რაც ითვალისწინებდა ნატოსთვის სატრანსპორტო გზის უზრუნველყოფას ავღანეთისკენ, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ 30 მარტს თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე მიანიშნა, რომ „შეერთებულ შტატებს აქვთ უფლების მიღების იმედი აზერბაიჯანის აეროდრომების გამოყენების თაობაზე სამხედრო მიზნებისთვის.“ საპასუხოდ, აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ „აზერბაიჯანის ტერიტორია არ იქნება არცერთი ქვეყნის განკარგულებაში, რომელიც მტრობს მის მეზობლებს.“<sup>114</sup> თუმცა, მოვლენების ამგვარმა განვითარებამ თეირანი შეაშფოთა და მან იმავე წლის აპრილის დასაწყისში ირან-აზერბაიჯანის საზღვარზე განათავსა ჯარები, როგორც გაფრთხილება აზერბაიჯანის მიმართ.

თეირანმა შეშფოთებაც გამოთქვა, რომ აშშ-ს შეეძლო აზერბაიჯანის ტერიტორიის გამოყენება ირანზე თავდასხმისთვის. პარლამენტის იმდროინდელმა სპიკერმა ალი ლარიჯანიმ განაცხადა: „დადგენილია, რომ შენაერთები მოქმედებენ აზერბაიჯანში და მათი აქტივობა მიმართულია ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ.“ მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ თუ აზერბაიჯანის ტერიტორია გამოყენებული იქნებოდა სამხედრო თავდასხმების ბაზად ირანის წინააღმდეგ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) და სხვა სტრატეგიულ ენერგეტიკასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა ირანის სამიზნე გახდებოდა.<sup>115</sup> აზერბაიჯანი კატეგორიულად აცხადებს, რომ მსგავსი ნაბიჯი აზერბაიჯანის მხრიდან არ გადაიდგმება და აზერბაიჯანის ტერიტორია არ იქნება გამოყენებული ირანზე თავდასხმისთვის.<sup>116</sup>

112 Richard Weitz, 'Caspian Triangles: Azerbaijan's Trilateral Diplomacy—A New Approach for a New Era.' In: Farhad Mammadov, Fuad Chiragov (eds), *Trilateral Dimension of Azerbaijan's Foreign Policy*. (Baku: Center for Strategic Studies, 2013), 199.

113 ზემოთქმულის ერთ-ერთ დასტურად გამოდგება გასული საუკუნის მიწურულს მიღებული თავისუფლების მხარდაჭერის აქტის 907ა სექცია, რომელიც კრძალავს შეერთებული შტატების ნებისმიერ დახმარებას აზერბაიჯანისთვის სამთავრობო დონეზე. კონკრეტულად, ის შეეხება სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის წინააღმდეგ ნებისმიერი სახის ბლოკადის არსებობას. ამგვარად, აშშ-ის კონგრესმა მკაფიოდ დასაზარა აზერბაიჯანი აგრესორად. ეს სომხური ლობის დამსახურება იყო.

114 Michel Chossodovsky, 'The Iran War Theaters "Northern Front": Azerbaijan and the US Sponsored War on Iran.' (2007). [www.globalresearch.ca...](http://www.globalresearch.ca...) (წვდომა: 23.12.2020).

115 ციტ. Maya Ehrmann et al., 'The Iran-Israel-Azerbaijan Triangle: Implications on Regional Security?' *Revista Estudos Politicos* (01/2013), No. 6, 221. <https://periodicos.uff.br...> (წვდომა: 15/07/2020)

116 2005 წელს თეირანსა და ბაქოს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლითაც ორივე მხარე იღებს ვალდებულებას არ დაუშვას მესამე ქვეყნის სამხედრო ბაზის არსე-

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობაშიც არ არსებობს მკვეთრად პროამერიკული განწყობა ირან-აშშ-ის დაპირისპირებასთან მიმართებაში. აზერბაიჯანელი მკვლევარი არიფ იუნუსი (იუნუსოვი) (დღეს პოლიტიკური დევნილი) წერს: 2006 წელს, როდესაც იყო საუბარი იყო აშშ-ის მიერ ირანზე სამხედრო შეტევის შესაძლებლობაზე, თითქოსდა შტატებმა აზერბაიჯანს მოთხოვა ჯარების განთავსების უფლების მიცემა. ამ ხანებში აზერბაიჯანის ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევების ცენტრმა, აშშ-ის დემოკრატიის ნაციონალურ ფონდთან ერთად, ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც აზერბაიჯანელთა 34% მხარს უჭერდა ირანს აშშ-თან დაპირისპირებაში ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით და მხოლოდ 20% – აშშ-ს და დასავლეთს. სულ 9%-ს მიაჩნდა, რომ აშშ-ის დარტყმა ირანზე სარგებლის მომტანი იქნებოდა აზერბაიჯანისთვის.<sup>117</sup>

თეირანის ერთ-ერთი მთავარი თავსატეხივარი აზერბაიჯან-ისრაელის მჭიდრო თანამშრომლობაა. ირანი საერთოდ არ აღიარებს ისრაელის არსებობას და თავის სამეზობლოში ისრაელის მოკავშირის გამოჩენას, ბუნებრივია, უკიდურესად ნეგატიურად აღიქვამს. აზერბაიჯანთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება კი უდავოდ ისრაელის დიპლომატიის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს იმ პირობებში, როდესაც თურქეთთან ურთიერთობები უკიდურესად არის გაცივებული.

თავისი მოკლე ისტორიის მანძილზე, ისრაელი მისდევს ე.წ. „გარნიზონულ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოს“ დიპლომატიას.<sup>118</sup> მთელი რიგი მტრულად განწყობილი მეზობლების არსებობის პირობებში, ის ისწრაფვის განავითაროს ურთიერთობები არაარაბულ ახლო აღმოსავლურ, აზიურ სახელმწიფოებთან. სწორედ ეს მოხდა 1990-იანი წლებიდან სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ახლადშექმნილ სახელმწიფოებთან მიმართებაში. თუმცა, ისრაელ-აზერბაიჯანის ახლო ურთიერთობების ღია აფიშირება არ ხდება. მაგალითად, არცერთი აზერბაიჯანელი პრეზიდენტი არ ჩასულა ოფიციალური ვიზიტით ისრაელში. აზერბაიჯანის საელჩო დღემდე არ ფუნქციონირებს ისრაელში. ი. ბურტმანი ორი ქვეყნის ურთიერთობებს ჯერ კიდევ 2006 წელს უწოდებდა „ფარულ ჩახუტებას“.<sup>119</sup>

არაერთი აზერბაიჯანელი და ისრაელელი ექსპერტი ორ ქვეყანას შორის კავშირებს უწოდებს განსაკუთრებულ ურთიერთობებს, სტრატეგიულ პარტნიორობას, ზოგჯერ ალიანსსაც კი.<sup>120</sup> ისრაელელ დიპლომატებს საჯაროდაც გამოუხატავთ აზერბაიჯანის მხარდაჭერა ყარაბაღის საკითხში. ისრაელი და აზერბაიჯანი

ბოზა მის ტერიტორიაზე, რომლის სამიზნეც გახდება ერთ-ერთი მათგანი. ორივე მხარე ხშირად აპელირებს ამ შეთანხმებაზე მშვიდობიანი პარტნიორობის ხაზგასასმელად.

117 Arif Yunus, 'Azerbaijan-Between America and Iran.' Russia in Global Affairs, (07-08/2006), no. 3., <http://eng.globalaffairs.ru...> (წვდომა: 15/07/2019).

118 იხ. Jacob Abadi, *Israel's Quest for Recognition and Acceptance in Asia: Garrison State Diplomacy* (London: Frank Cass, 2004), xi-xii.

119 Ilya Bourtnan, 'Israel and Azerbaijan's Furtive Embrace,' *Middle East Quarterly*, Vol.13, No.3 (Summer 2006). <https://www.meforum.org...> (წვდომა: 23/03/2018).

120 იხ. მაგ., Gallia Lindenstrauss, 'Israel - Azerbaijan: Despite the Constraints, a Special Relationship.' *Strategic Assessment* (Tel-Aviv: Institute for National Security Studies, 2015), vol. 17, no. 4. <http://www.inss.org.il...pdf>

ასევე ცვლიან დაზვერვის მიერ მოპოვებულ ცნობებს ირანის შესახებ.<sup>121</sup> არსებობს გადაუშოშმებელი ინფორმაცია, რომ 2012 წლის მიწურულს აზერბაიჯანიდან ისრაელის დრონებმა ჯაშუშური ფრენები მოაწყვეს ირანის საზღვრებს გასწვრივ. 2014 წლის აგვისტოში, ირანული მედიის ცნობით, ისრაელის დრონები, რომლებსაც გეზი ნათანზის ბირთვული ობიექტების მიმართულებით ჰქონდათ აღებული, გუშაგთა სამიზნედ იქცნენ.<sup>122</sup> 2011 წლის ინტერვიუში, ირანელი მკვლევარი და ბაქოში ყოფილი ელჩი ავშარ სოლეიმანი აცხადებდა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროექტების ნილაბქევმ ქვეყნის სამხრეთ ნაწილებში, ქალაქების ლანქარანის, მასალის, ასევე ნახიჩევანის მახლობლად, აზერბაიჯანი მოქმედების შესაძლებლობებს აძლევს ისრაელის სადაზვერვო სამსახურებს.<sup>123</sup>

2009 წელს ვიკილიქსის მიერ გამოქვეყნებული წერილის მიხედვით, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტში გაგზავნილია ბაქოს საელჩოდან, პრეზიდენტმა ალიევმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ურთიერთობები ისრაელთან აისბერგია და ცხრა მეათედი ზედაპირზე არ ჩანს.<sup>124</sup> თავის მხრივ, აზერბაიჯანისა და ისრაელის ალიანსის მნიშვნელობის აღწერისას 2011 წელს ისრაელის ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა და ქნესეთის წევრმა ბენიამინ ბენ ელიეზერმა აღნიშნა: „აზერბაიჯან-ისრაელის ურთიერთობები იმდენად მტკიცე და ღრმაა, რომ მათზე ვერ იმოქმედებს გარეგანი ფაქტორები.“ მან ასევე დასძინა, რომ „აზერბაიჯან-ისრაელის ურთიერთობები იმდენად საიმედოა, რომ მასზე ზეგავლენას ვერ მოახდენს [ისრაელის] დაძაბული ურთიერთობა თურქეთთან“<sup>125</sup>

აზერბაიჯანი ისრაელს აწვდის ამ უკანასკნელის მიერ მოხმარებული ნავთობის დაახლ. 40%-ს;<sup>126</sup> ისრაელი კი შეიარაღებას – სარაკეტო სისტემებს, რადარებს, არტილერიას, დრონებს და ა.შ. გარდა ამისა, ებრაულ ლობისტურ ორგანიზაციებს არაერთხელ გამოუხატავთ აზერბაიჯანის მხარდაჭერა შტატებსა და ევროპაში. ეს ურთიერთობები არამარტო ირანის, არამედ თურქეთის შეფუთვას იწვევს. აზერბაიჯანელი მკვლევარი ე. მამედოვი აღნიშნავს: „პროისრაელური ორგანიზაციები ბაქოსთვის მნიშვნელოვანი იარაღია ვაშინგტონში ლობისტურ საქმიანობაში, რომ მოხდეს მოქიშპე სომხური ლობის ნეიტრალიზება. სანაცვლოდ, მიიჩნევა, რომ აზერბაიჯანი უზრუნველყოფს პლატფორმით ისრაელს ირანის წინააღმდეგო სადაზვერვო აქტივობების წარმართვისთვის.“<sup>127</sup>

121 Ariel Cohen & Kevin DeCorla-Souza, 'Security Issues and US Interests in the South Caucasus.' In: Fariz Ismailzade & Glen E. Howard (eds), *The South Caucasus 2021: Oil, Democracy and Geopolitics*. (Center for Strategic Studies, Baku, The Jamestown, Foundation Washington, DC, 2012). <https://jamestown.org...> (წვდომა: 25/03/2021).

122 'Israeli Stealth Drone Downed at Nuclear Facility, Iran Claims.' *The Guardian* (24/08/2014). [www.theguardian.com/world...](http://www.theguardian.com/world...) (წვდომა: 15.05.2014)

123 'Spy vs Spy: The Secret Wars Waged in New Spooks' Playground.' *The Times* (11/02/2012). [www.thetimes.co.uk...](http://www.thetimes.co.uk...) (წვდომა 17.01.2020)

124 Mark Perry, 'Israel's Secret Staging Ground.' *Foreign Policy* (28/03/2012), <http://www.foreignpolicy.com...> (წვდომა: 14/09/2018).

125 ციტ. Ehrmann et al., 'The Iran-Israel-Azerbaijan Triangle,' 220.

126 ისრაელი აზერბაიჯანული ნავთობის მეორე ყველაზე მსხვილი მომხმარებელია, რომელსაც ის იღებს BTC ნავთობსადენიდან.

127 Eldar Mamedov, 'Iran-Azerbaijan: A New Cold War?' (24/11/2021). <https://responsiblestatecraft.org...> (წვდომა: 01/12/2021).



ამასთანავე, ბაქოს აშინებს, რომ დასავლეთსა და ირანს შორის საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, ის შეიძლება შუა ცეცხლში მოხვდეს. ის მხარს უჭერს მშვიდობიანი მიზნებისთვის ბირთვულ პროგრამის განხორციელებას, თუმცა, იმავდროულად ცდილობს არ დაარღვიოს ირანისთვის დაწესებული სანქციები.<sup>128</sup> ისრაელისთვის კი ირანის ბირთვული იარაღით აღჭურვა მთავარ თავსატეხივარს წარმოადგენს. ბირთვული იარაღის ფლობის შემთხვევაში, ირანი შეიძლება იქცეს ჰეგემონად ახლო აღმოსავლეთში – უნარით, დაემუქროს აშშ-ის მოკავშირეებს.

‘ჩრდილოეთ’ და ‘სამხრეთ’ აზერბაიჯანის გაერთიანების საკითხის კიდევ ერთხელ გააქტიურება დაემთხვა 2012-2013 წლებში ირანის წინააღმდეგ საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკური სანქციების ახალ ტალღას და აზერბაიჯანსა და ირანის ერთ-ერთ მთავარ რეგიონულ მოწინააღმდეგეს, ისრაელს შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას.<sup>129</sup> 2012 წლის თებერვალში აზერბაიჯანმა ისრაელთან გააფორმა \$1,6 მლრდ ღირებულების სამხედრო აღჭურვილობის მიწოდების შესახებ კონტრაქტი, რომელიც მოიცავდა სადაზვერვო ტექნიკას, საჰაერო თავდაცვის სისტემას, უპილოტო საფრენ აპარატებს და სხვ.

აზერბაიჯანელი მკვლევარი ა. ვალიევი წერს, რომ ირანის შემოფოთება აზერბაიჯანის აშშ-სა და ისრაელთან სულ უფრო მზარდი სამხედრო თანამშრომლობის გამო, არაერთხელ გამოიხატა ოფიციალური პირების საჯარო (სავარაუდოდ, პრივატულიც) მუქარებით აზერბაიჯანზე შეტევის განხორციელების შესახებ აშშ/ისრაელის ირანზე თავდასხმის შემთხვევის პასუხად.<sup>130</sup>

ისრაელიდან შეიარაღების შესყიდვასთან დაკავშირებით ბაქო არწმუნებდა თეირანს, რომ შესყიდვა მოხდა სომხეთიდან მომდინარე საფრთხის გამო და არა ირანის წინააღმდეგ. ამასთანავე კი, შესყიდული შეიარაღების ზოგიერთი სახეობის გამოყენება გამორიცხული იყო სომხეთის წინააღმდეგ. მაგალითად, გემების დაცვის სარაკეტო დანადგარების გამოყენება მხოლოდ კასპიის ზღვაში შეიძლებოდა. იგივე რუსეთიდან შესყიდული S-300 ანტისარაკეტო სისტემა სომხეთთან დაპირისპირებაში აზერბაიჯანს არაფრად სჭირდებოდა. თუმცა, სავსებით ნათელია, რომ თუკი ისრაელი მართლაც განახორციელებს შეტევას ირანზე აზერბაიჯანიდან, ბაქო ვერაფერს დაუპირისპირებს ირანის საპასუხო დარტყმას.

მიუხედავად დაპირისპირების არაერთი წყაროს არსებობისა, ორი ქვეყნის ურთიერთობებში მჭიდრო თანამშრომლობაც ხშირია, მათ შორის სამხედრო სფეროშიც. თეირანის სამხედრო და ტექნიკური თანამშრომლობა აზერბაიჯანთან ოფიციალურად დაიწყო 1992 წლის მარტში, როდესაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას ირანის მიერ აზერბაიჯანელი ჯარისკაცების მომზადების შესახებ. ამ

128 2008 წლის აპრილში აზერბაიჯანმა ერთი თვით დააკავა რუსეთიდან ირანში ტრანზიტით გამავალი ბირთვული აღჭურვილობა, სანამ არ დადასტურდა, რომ არ ხდებოდა გაეროს-ს უშიშროების საბჭოს სანქციების დარღვევა. ‘Azerbaijan Releases Russian Nuclear Shipment to Iran.’ Voice of America News (01/05/2008), [www.voanews.com/english...](http://www.voanews.com/english...) (წვდომა: 15/09/2019).

129 მირანდა ბაშელიშვილი, ‘აზერბაიჯანი ირანის რეგიონულ პოლიტიკაში.’ ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, X (თბილისი: ილიაუნის გამომცემლობა, 2017), 353.

130 Anar Valiyev, ‘Iranian Soft Power in Azerbaijan. Does Religion Matter?’ In: Ansgar Jödicke (ed.), Religion and Soft Power in the South Caucasus. (Routledge, 2018), 89.

მომზადების პროგრამაში აზერბაიჯანელ ოფიცრებს არ მიუღიათ მონაწილეობა. პირველი სამხედრო პაქტი ქვეყნებს შორის ხათამის ადმინისტრაციის დროს დაიდო, შემდეგ შედგა თავდაცვის მინისტრების შეხვედრა თანამშრომლობის საკითხების განხილვისთვის. თუმცა, მრავალრიცხოვანი შეხვედრების მიუხედავად, რეალურად არაფერი განხორციელებულა. ერთადერთი მნიშვნელოვანი მიღწევა იყო 2010 წელს შინაგან საქმეთა მინისტრების მიერ ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერა ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოტრეფიკისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ თანამშრომლობის შესახებ.

თანამშრომლობის თაობაზე არაერთ ხელმოწერილ მნიშვნელოვან დოკუმენტებს შორის უნდა აღინიშნოს: „ურთიერთგაგების მემორანდუმი ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ“; „ურთიერთგაგების მემორანდუმი საგანგებო ვითარებების მართვის შესახებ“; „მეტეოროლოგიასთან და მომიჯნავე საკითხებთან დაკავშირებული ურთიერთგაგების მემორანდუმი“; „ორდუბადის და მახარადის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის კონტრაქტი“ და სხვ.

აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის პერიოდში წარმოქმნილი სირთულეების შემდეგ, ურთიერთობები გაცილებით ინტენსიური გახდა რუჰანის პრეზიდენტობის პერიოდში. ჯ. ბარი აღნიშნავს, რომ რუჰანიმ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა აზერბაიჯანთან ურთიერთობების დალაგებას და ბევრად უფრო მეტი დრო დაუთმო ამას, ვიდრე სომხეთთან ურთიერთობების საკითხს.<sup>131</sup>

2015 წლის აპრილში განსაკუთრებული ვიზიტი შედგა – ირანის თავდაცვის მინისტრი, ბრიგადის გენერალი ჰოსეინ დეჰყანი ეწვია ბაქოს და გამართა უმაღლეს დონეზე შეხვედრები. დეჰყანიმ განაცხადა, რომ თეირანი ბაქოსთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამდა სხვადასხვა თავდაცვით და სამხედრო სფეროებში. მან ხაზი გაუსვა, რომ ირანი მზად იყო ხელი შეეწყო აზერბაიჯანის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისთვის და გადაეცა სამხედრო აღჭურვილობა აზერბაიჯანის არმიისთვის. ვიზიტის მთავარი შედეგი გახდა სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ორმხრივი კომისიის შექმნა. თუმცა, ამ მიმართულებითაც თანამშრომლობა აღარ გაღრმავებულა.

ამ ქვეთავის დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ისლამური რესპუბლიკის იდეოლოგიურ არსს წარმოადგენს არსებული საერთაშორისო სისტემისა და მასთან დაკავშირებული ნორმებისა თუ წესების უარყოფა. ისლამური რესპუბლიკის ძალისხმევამ შეცვალოს ან წინააღმდეგობა გაუწიოს მაინც იმას, რასაც ის არასწორად და არასამართლიანად მიიჩნევს, იგი დაუპირისპირა ამჟამინდელი საერთაშორისო სისტემის დასავლელ მცველებს. აზერბაიჯანს, მეორე მხრივ, პრობლემები არ აქვს ამ სისტემასთან. სისტემის მიმართ პოზიტიური მიდგომის ჩამოყალიბებით, ის შეეცადა გამოეყენებინა არსებული შესაძლებლობები საკუთარი ინტერესებისთვის. ეს ნიშნავს მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას და ალიანსების შექმნას იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც დაპირისპირებულია ირანი და რომლებიც საფრთხეს უქმნიან მას.

131 James Barry, 'Brothers or Comrades at Arms? Iran's Relations with Armenia and Azerbaijan.' In: Shahrām Akbarzadeh & Dara Conduit (eds), *Iran in the World. President Rouhani's Foreign Policy*. (Palgrave Macmillan, 2016), 66.

ბიუზენი და მისი კოლეგები სამხედრო უსაფრთხოებას განსაზღვრავენ, როგორც „სახელმწიფოთა მიერ ერთმანეთის განზრახვების აღქმისას შეიარაღებული თავდასხმითი და თავდაცვითი უნარების ორი დონის ურთიერთქმედებას.“<sup>132</sup> რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ცვლილებების შედეგად, ირანისა და აზერბაიჯანის თავდაპირველი სამხედრო/თავდაცვითი თანამშრომლობა დროთა განმავლობაში შეიცვალა ერთი მეორისთვის სამხედრო საფრთხის შექმნით. ტრანსრეგიონულ აქტორებს კი საკვანძო როლი ენიჭებათ ამგვარი საფრთხეებისა და დაძაბულობის ესკალაციაში.

ზემოთ უკვე ნახსენები ვ. გულუზადე ჯერ კიდევ, 1995 წელს, როდესაც თანდათანობით იკვეთებოდა დამოუკიდებელი აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის კონტურები, აღნიშნავდა: „ჩრდილოეთით და სამხრეთით ძლიერი მეზობლების არსებობის პირობებში, აზერბაიჯანი დასავლეთს საკუთარი დამოუკიდებლობის გარანტიორად აღიქვამს. აზერბაიჯანს სჭირდება შეერთებული შტატები და დასავლეთ ევროპა რუსეთისა და ირანის ზეგავლენისგან თავდასაცავად იმ მოცემულობაში, როდესაც შეერთებული შტატებისა და აზერბაიჯანის ინტერესები ურთიერთანმთხვევია როგორც რუსეთის ექსპანსიონიზმის, ისე ირანის ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.“<sup>133</sup>

აზერბაიჯანისთვის ალბათ ილუზორულია ისეთი პოლიტიკის წარმართვა, რომლის ამოსავალიც მისი გეოგრაფიული რეალობა იქნება, ხოლო ირანისთვის რუსეთზე დაყრდნობის ძიება კავკასიის მიმართ პოლიტიკაში არ არის ყოველთვის სარგებლიანი. მ. ჯალილი წერს, რომ „მოსკოვი სარგებლობს ირანის იზოლაციით უპირველესად საკუთარი პოზიციების გასამყარებლად რეგიონში და თავისთავად წინ წამოწევს საკუთარ ინტერესებს ირანული ინტერესებს საზიანოდ.“<sup>134</sup>

ირანი და აზერბაიჯანი ისტორიის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ახდენენ. აზერბაიჯანის სეკულარული და თურქეთზე ორიენტირებული იდეოლოგია ისტორიას უპირველესად ეთნიკური კუთხით აღიქვამს. ისტორიის ირანული ხედვა კი ირანული მოდემის ხალხების სახელმწიფოებრივი ერთობის ხედვაა, რომელშიც რელიგიას განსაკუთრებული როლი უკავია. იდეოლოგია, იდენტობა და უსაფრთხოება ის სამი სფეროა, რომელთა შეუთავსებლობა განაპირობებს ორ ქვეყანას შორის წინააღმდეგობრივ ურთიერთობებს. ორი ქვეყნის შეუთავსებელი პოლიტიკური ორიენტაცია წარსულში არაერთხელ გამხდარა ურთიერთდაპირისპირების წყარო, რის მომავალში განმეორების ალბათობაც საკმაოდ დიდია.

## ირანი და სომხეთი – მარტონი ერთად

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობები ირანს სომხეთთან აქვს. ამ შემთხვევაშიც სიახლოვეს პოლიტიკური მოტივები განაპირობებს. აზერბაიჯანთან და თურქეთთან ჩაკეტილი საზღვრებისა და დაპირისპირების პირობებში, სომხეთს რეალურად მხოლოდ ორი

132 ციტი. Esfahani, Iran's Foreign Policy, 151.

133 Гулузаде, Кавказ среди врагов и друзей.

134 Djali, Iran and the Caucasus: Maintaining Some Pragmatism. The Quarterly Journal (2002), 1, #3, 47.

‘ფანჯარა’ აკავშირებს გარე სამყაროსთან – საქართველო და ირანი. საქართველო, შავ ზღვაზე გასასვლელით, ბუნებრივია, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, მაგრამ ასევე არის სომხეთის მთავარ სტრატეგიულ მოკავშირესთან – რუსეთთან დამაკავშირებელი გზა. რუსეთ-საქართველოს გართულებული ურთიერთობები კი სომხეთზე მეტად საზიანოდ მოქმედებს. აქედან გამომდინარე, ირანი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. თავის მხრივ, საერთაშორისო ასპარეზიდან პრაქტიკულად გარიყული ირანისთვის, სომხეთიც ‘ფანჯარას’ წარმოადგენს და გარკვეულწილად აბალანსებს აზერბაიჯანთან (და თურქეთთანაც) პერიოდულად წარმოქმნილ პრობლემებს. სომხეთი ასევე ‘ხიდია’ რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობებისთვის. ამგვარად, ორ ქვეყანას შორის მჭიდრო და კეთილმეზობლურ ურთიერთობებში მკაფიოდ იკვეთება პრაგმატული მიზნები. სომხეთი შეზღუდულია ‘მეგობრების’ და სტრატეგიული პარტნიორების არჩევის თვალსაზრისით თავისი ზომიდან და რეგიონული კონფლიქტებიდან გამომდინარე.<sup>135</sup> სრულიად სხვა მიზეზებით, მაგრამ იმავე მდგომარეობაშია ირანიც. ა. მირზოიანის მოსწრებული შენიშვნით, „იზოლაცია“ არის ის სიტყვა, რაც დგას სომხეთისა და ირანის ურთიერთობების უკან.<sup>136</sup>

ამასთანავე, გარდა თანამედროვე ურთიერთობების პრაგმატული ხასიათისა, ორი ქვეყნის ურთიერთობებს წარსულისადმი ზემოთ უკვე ნახსენები ისტორიის თანმთხვევი აღქმაც განაპირობებს. ზემოთ უკვე ციტირებული გ. ასატრიანი კიდევ უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ სომხეთის მიდგომები ირანთან ურთიერთობებთან დაკავშირებით პოლიტიკური კონსტანტაა, მომავალში ნებისმიერი პოლიტიკური ცვლილების მიუხედავად... ქვეყნებს აერთიანებთ ძველი კულტურა, ცივილიზაცია, კავშირები და ა.შ. მეგობრული და პირუთენელი დამოკიდებულება ირანისადმი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი სომხური ეროვნული მსოფლმხედველობისა.<sup>137</sup> სომხეთის ხედვა ირანისადმი ‘პერმანენტული ალტერნატივაა’. ირანი არ არის იდენტობით განსაზღვრული ‘უცხო’. ის არ წარმოადგენს სომხური სტრატეგიული აზროვნების ბირთვს და არ განაპირობებს სომხეთის არჩევანს, როგორც თურქეთის და რუსეთის შემთხვევაში.

2019 წელს გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობებზე საუბრისას რუსეთს სტრატეგიული მოკავშირე, საქართველოსა და ირანს კი სტრატეგიული მეზობლები უწოდა: „რუსეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და მოკავშირეა. საქართველო და ირანი კი ჩვენი სტრატეგიული მეზობლები არიან. შეშფოთებით ვაკვირდები ჩვენს მეგობრებსა და მოკავშირეებს შორის არსებულ უთანხმოებას. ეს რეალობა იმის საფრთხეს გვიქმნის, რომ შესაძლოა ჩვენი მეგობრების ნაწილის ან ყველა მეგობრის მიერ არასწორად ვიყოს გაგებული. ყველა ამ ქვეყანასთან გვსურს დავრჩეთ პარტნიორებად და არ გავაფუჭოთ ურთიერთო-

135 Aram Terzyan, ‘The Evolution of Armenia’s Foreign Policy Identity: The Conception of Identity Driven Paths.’ In: Kornely Kakachia & Alexander Markarov (eds.), *Values and Identity as Sources of Foreign Policy in Armenia and Georgia*, (Tbilisi: Universal, 2016), 161.

136 Mirzoyan, *Armenia, the Regional Powers, and the West*, 126.

137 Garnik S. Asatrian, ‘Armenia and Security Issues in the South Caucasus.’ *Quarterly Journal* (09-2002), no. 3, 24.

ბა.“<sup>138</sup> საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას სომხეთისთვის განაპირობებს სატრანსპორტო ჰაბის ფუნქცია, ხოლო ირანი სომხეთისთვის ‘რეგიონული დამბალანსებლის’ როლს ასრულებს.

ამგვარად, გეოპოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, ირანი ერთ-ერთი ყველაზე ფასეული მეზობელია სომხეთის რესპუბლიკისთვის. ის პრაქტიკულად იძულებულია ალიანსი შექმნას „გლობალური ისლამური რევოლუციის“ მედროშესთან, ვაშინგტონის განრისხების რისკის ფასადაც კი.<sup>139</sup>

პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს ირანის სომხური დიასპორაზე, რომელიც არც თუ ისე მრავალრიცხოვანია, მაგრამ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ორი ქვეყნის ურთიერთობებში.

სომხური თემი ირანში მსოფლიოში არსებულ სომხურ დიასპორებში ერთ-ერთი ყველაზე კონსოლიდირებულია; სარგებლობს ავტონომიურობით. სომეხთა კომპაქტური დასახლების ადგილებში ფუნქციონირებს სომხური სკოლები. თეირანში დაახლ. 25 სომხური სკოლაა, სადაც 7000-მდე მოსწავლე სწავლობს. სხვა სკოლებში შექმნილია დამატებითი კლასები, სადაც ისწავლება სომხური ენა და ლიტერატურა, სომეხი ხალხის ისტორია და ა.შ. გახსნილია კულტურული და სპორტული დაწესებულებები. გამოდის არაერთი პერიოდული გამოცემა, მათ შორის ყველაზე ცნობილია *Aliq Daily*. თეირანში არმენოლოგიის ორი ცენტრი არსებობს, ხოლო ისპაჰანის უნივერსიტეტში 1961 წლიდან ფუნქციონირებს არმენოლოგიის კათედრა.<sup>140</sup>

სომეხები ირანში ყველაზე მრავალრიცხოვან რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენენ. სხვადასხვა შეფასებებით, ირანში დაახლ. 100 ათასი სომეხი ცხოვრობს, მათი უმეტესობა კი – თეირანში. გარდა ამისა, სომხური სამოციქულო ეკლესიის სამწყსოს რიცხვი მერყეობს 100-დან 250 ათასამდე. კ. ტერმის მიერ ჩატარებული მოკვლევის მიხედვით, შემდეგი სურათი იკვეთება: თეირანის სომხური თემის წარმომადგენლის სიტყვებით, ირანში სომხური თემი 80,000-მდე შემცირდა. სომეხთა არქივისკოპოსის მონაცემებით კი, მათი რიცხვი 200.000-ს შეადგენს.<sup>141</sup> თუმცა, ეს სტატისტიკა პოლიტიკურად მოტივირებულია, რამდენადაც არქივისკოპოსს სურს სომხური თემისთვის პარლამენტში 2 ადგილის შენარჩუნება. კანონის მიხედვით, ყოველ რელიგიურ თემს 100,000 კაცზე ერთი საპარლამენტო ადგილი

138 ‘რუსეთი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეა, საქართველო და ირანი სტრატეგიული მეზობლები.’ (27/09/2019). <http://www.resonancedaily.com...> (წვდომა: 17/04/2019)

139 Claude Moniquet & William Racimora (eds), *The Armenian-Iran Relationship. Strategic Implication for Security in the South Caucasus Region.* (European Strategic Intelligence & Security Center, 07/01/2013). <http://www.esisc.org...pdf>

140 Gohar Iskandaryan, ‘The Armenian community in Iran: Issues and Emigration.’ *Global Campus Human Rights Journal* (2019), #3, 128. <https://repository.gchumanrights.org...> (წვდომა: 07/09/2021).

141 1980-იანი წლების დასაწყისისთვის სომეხთა რაოდენობა მართლაც აჭარბებდა 200 ათასს. რევოლუციის შემდეგ სომხური მოსახლეობის თითქმის ნახევარმა დატოვა ირანი (Iskandaryan, ‘The Armenian community’, 130). ა. ვაისისა და ი. ზაბანოვას ინფორმაციით, 2017 წლისათვის ირანში დაახლ. 65 ათასი სომეხი და 100 ათასი ეთნიკური ქართველი ცხოვრობდა. Andrea Weiss & Yana Zabanova, ‘The South Caucasus and Iran in the Post-Sanctions Era.’ *SWP Comments* 24, (German Institute for International and Security Affairs, 07-2017), <https://www.swp-berlin.org...> (წვდომა: 15/08/2021). თუმცა, უცნობია, თუ საიდან მოაქვთ ავტორებს ეს ციფრები.



ეკუთვნის. დაბოლოს, საკუთრივ ისლამური რესპუბლიკის ოფიციალური მონაცემებით, ირანში 150,000 სომეხი ცხოვრობს.<sup>142</sup> ქვეყანაში 200-ზე მეტი ეკლესიაა (ამჟამად უმეტესობა დაკეტილია). შობა სახელმწიფო დღესასწაულს არ წარმოადგენს, თუმცა აღნიშვნა დაშვებულია.<sup>143</sup>

ირანელი აზერბაიჯანელების და ქართველებისგან განსხვავებით, სომხებს აქვთ უმცირესობის სტატუსი, გამოდინარე იქედან, რომ ირანის კონსტიტუციით უმცირესობად აღიარება ხდება რელიგიური (მონოთეისტური რელიგიების აღმსარებლობით) და არა ეთნიკური ნიშნით.

სომხებს ასევე აქვთ ალკოჰოლის წარმოების არაოფიციალური უფლება, რაც ირანული კანონდებლობით, ისლამის ნორმებიდან გამომდინარე, სხვებისთვის მკაცრად იკრძალება.<sup>144</sup> „არარატის“ კლუბები, სადაც ისლამური კანონები არ მოქმედებს, არსებობს თეირანში, ქიშსა და ისპაჰანში. ხაზგასასმელია, რომ მუსლიმებს ეკრძალებათ ამ კლუბების ინფრასტრუქტურაში შესვლა. ამასთანავე, სომხები აქტიურად მონაწილეობენ ირანის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, განსაკუთრებით დაწინაურებული არიან ვაჭრობის, ხელოსნობისა და მრეწველობის სფეროებში. აქვე აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მონაცემებით, დაახლოებით 3000 ირანელი სტუდენტი სწავლობდა სომხეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

სომხურ უმცირესობისთვის მინიჭებული საკმაოდ ფართო უფლებების ფაქტორს ირანი საგარეო პოლიტიკაშიც იყენებს. ამ შემთხვევაში, მისი მიზანია არჩენოს ისლამური რესპუბლიკის დემოკრატიული, ადამიანის უფლებების დაცვისადმი მიმართული ბუნება, რამდენადაც დასავლეთი ხშირად ადანაშაულებს ირანს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების დარღვევაში. თეირანი ასევე ცდილობს დასავლეთში ირანისადმი კეთილგანწყობილი სომხური დიასპორების გამოყენებასაც.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში ორი ადგილი აქვთ გამოყოფილი, სომხებს, როგორც სხვა რელიგიური უმცირესობებს, ენებათ გარკვეული შეზღუდვები. მაგ., არამუსლიმმა არ შეიძლება დაიკავოს მოსამართლის თანამდებობა, ჯარში მაღალი პოსტი და ა.შ.

XXI საუკუნის დასაწყისიდან საკმაოდ მაღალი იყო რეპატრიანტი-ემიგრანტთა ნაკადი სომხეთში, პირველ რიგში, ირანიდან. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მრავალი რეპატრიანტი ახლო აღმოსავლეთიდან სომხეთში დამკვიდრებას დროებითად მიიჩნევს და დასავლეთში გადასვლის გზად აღიქვამს. ირანიდან ემიგრირებული სომხების მხოლოდ მეტად მცირე ნაწილი მკვიდრდება სომხეთში. უმეტესობა ამჟობინებს ევროპის ქვეყნებსა და ამერიკას, სადაც ძლიერი სომხური დიასპორებია.

სომხეთის საგარეო პოლიტიკის პრინციპების – „კომპლემენტარიზმისა“ და „ჩართულობის“ ჩარჩოებში ჯდება 2002 წელს სომხეთის იმდროინდელი თავდაცვის მინისტრის და შემდგომ პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის შეხვედრები თავის ამერიკელ და ირანელ კოლეგებთან ორი კვირის ინტერვალში. საინტერესოა, რომ

142 Therme, 'Iranian Foreign Policy towards the South Caucasus,' 143.

143 Tatevik Mkrtchyan, 'Iran's Soft Power Policy in Armenia. Cultural Diplomacy and Religion.' In: Religion and Soft Power in the South Caucasus, 173.

144 Iskandaryan, 'The Armenian community,' 130.

სომხეთში ვიზიტისას იმ დროს ირანის თავდაცვის მინისტრმა ალი შამხანიმ ხაზი გაუსვა ირანის მზადყოფნას „თავდაცვის სფეროში ჩვენს ერთადერთ ქრისტიან მეზობელთან განსაკუთრებულ ურთიერთობის გაფართოებისთვის.“<sup>145</sup>

ამასთანავე, ეს ორივე პრინციპი დიდწილად ეწინააღმდეგება სომხეთის საგარეო ურთიერთობების რეალობებს და სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არსებულ გეოპოლიტიკურ გარემოს. სხვა რეგიონულ გეოპოლიტიკურ პრობლემებთან ერთად, ყარაბაღის კონფლიქტი ამ პრინციპების სრულად ამოქმედების მთავარი წინაღობა იყო. სომხეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი ვექტორი, მიუხედავად განცხადებული „კომპლემენტარისმისა“ რუსეთია, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად განსაზღვრავს სომხეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ხაზებს. მართლაც იშვიათია ქვეყანა, სადაც რომელიმე უცხო სახელმწიფოს ასეთი პოზიციები აქვს: სამხედრო ბაზა, საჰაერო და სახმელეთო საზღვრების კონტროლი, სტრატეგიული მნიშვნელობის ცენტრების დაქვემდებარება, კომუნიკაციები (ტელემაუწყებლობა, რკინიგზა, ენერგოსექტორი).<sup>146</sup>

2001 წელს სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ქვეყნის „საგარეო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებში“ აღნიშნულია: „ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება, ენერგეტიკული საჭიროებები და სტრატეგიული საკითხები ურთიერთთანამხვევია ირანის მნიშვნელობის კუთხით: ირანი დამაბალანსებლის როლს ასრულებს თურქეთის წინააღმდეგ; ირანი აქტიურად მონაწილეობს მულტილატერალური ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩოებში, როგორცაა სომხეთი-საბერძნეთი-ირანი; სომხეთის თანამშრომლობა ირანთან მთლიანობაში (თურქეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან სომხეთის ბლოკადის პირობებში) უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით და წარმოადგენს გარე სამყაროსთან ალტერნატიული ურთიერთობების გარანტიას.“<sup>147</sup>

სამხრეთ კავკასიაში ირანის საგარეო პოლიტიკის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ თეირანის დიპლომატიის ერთადერთი წარმატება აქ სომხეთთან დაახლოებაა, რადგანაც ეს არ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს. შეიძლება ითქვას, რომ ირანი გარკვეულწილად იძულებულია სამხრეთ კავკასიაში უფრო მეტი ჩართულობისთვის რუსეთს მიმართოს ‘თხოვნით’, და ამ მხრივ, ყველაზე მეტი ‘უფლებები’ სომხეთის მიმართ ეძლევა.

სომხეთისა და ირანის ურთიერთობებისა და ამ ურთიერთობებში რუსეთისა და დასავლეთის როლის შესახებ სომეხ ანალიტიკოსთა შორისაც არ არსებობს ერთიანი პოზიცია. მაგალითად, სომეხი მკვლევარი ვ. არაქელოვა თვლის, რომ

145 Emil Danielyan, ‘Armenia: Yerevan Courts Unlikely New Security Partners—The U.S. and Iran.’ <https://eurasianet.org...> (წვდომა: 20/06/2021)

146 ის, რომ კომპლემენტარისმის პოლიტიკა სულაც არ არის ‘პოზიტიური ნეიტრალიზმისა’ და რუსეთსა და დასავლეთს შორის ბალანსის დაცვის გამოხატულება, კარგად ჩანს ვ. ოსკანიანის სიტყვებიდანაც: „კომპლემენტარული პოლიტიკა არ ნიშნავს ბალანსის პოლიტიკას. ეს არის საშუალება ასიმეტრიული ურთიერთობების დამყარებისა ორ დიდ სახელმწიფოსთან; და ეს არ ნიშნავს თანაბარ თანამშრომლობას. სომხეთი მომავალშიც გამოიყენებს ამ პოლიტიკას, სანამ წინააღმდეგობები და განსხვავებული მიდგომები აშშ-სა და რუსეთს შორის იმდენად ღრმა არ იქნება, რომ ჩვენ იძულებული გაგვხადოს ერთ-ერთი ავირჩიოთ.“ Oskanian, ‘Armenia’s Evolving Relations.’

147 ციტ. Mirzoyan, Armenia, the Regional Powers, and the West, 126.

სომხეთ-ირანის ურთიერთობების სტაბილურობა ეჭვის ქვეშ სწორედ მედასავლეთეების ძალისხმევის შედეგად დადგა. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ სწორედ მედასავლეთეების ლობირების შედეგად გაიხსნა ისრაელში სომხეთის საელჩო 2020 წლის ომამდე ერთი წლით ადრე.<sup>148</sup> მეორე მხრივ კი, სომეხი ანალიტიკოსის ი. მურადიანის აზრით, საერთო ჯამში, სომხეთის იზოლაცია დასავლეთისგან იწვევს ირანის მხრიდან ქვეყნისადმი ინტერესის შემცირებას. ირანი ყოველთვის იყო დაინტერესებული რუსეთისგან სომხეთის დამოუკიდებლობის გამყარებით და სომხეთის ურთიერთობების გაღრმავებით ევროკავშირთან.<sup>149</sup> სომხეთი, ტრადიციული რუსული ორიენტაციიდან გამომდინარე, მაინც არ არის ერთმნიშვნელოვნად ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავების მომხრე. რუსეთის სასაზღვრო ჯარები დგას სომხეთის საზღვარზე თურქეთთან და ირანთან. სომხური მხარის შეხედულებით, რუსული ბაზები რეგიონში სტაბილურობის გარანტიას იძლევა და ქვეყნის დაცულობას ზრდის.<sup>150</sup>

მთიანი ყარაბაღისთვის პირველი ომის შემდეგ, სომხეთი ბლოკირებული აღმოჩნდა ოთხი მეზობლიდან ორის მიერ და მისთვის საზღვრების 80% ჩაიკეტა. საზღვრების ჩაკეტვამ ენერგოკრიზისი გამოიწვია. პრობლემის შემსუბუქება შესაძლებელი გახდა 1992 და 1993 წლების ზამთარში ირანის დახმარებით იმ რეგიონებისთვის, რომელთაც განსაკუთრებით შეეხო ელექტროენერჯის დეფიციტი.<sup>151</sup> თურქეთმაც, რომელიც თავდაპირველად სომხეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების სურვილს ამჟღავნებდა, სომხეთთან საზღვარი ჩაკეტა აზერბაიჯანთან სოლიდარობის გამო.

ფ. კორლი 1993 წელს აღნიშნავდა, რომ სომხეთის ოთხი მეზობლიდან ირანი პოტენციურად ყველაზე გამოსადეგი პარტნიორია. მისივე სიტყვებით, ამავე ხანებში პარლამენტის წევრმა შაჰენ პეტროსიანმა განაცხადა, რომ „სომხეთი უფრო ხის ექსპანსიონიზმს და არა ფუნდამენტალიზმს.“<sup>152</sup>

1998 წლიდან დაწყებული კი, რეგიონული ალიანსის შექმნამ თურქეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის მიერ, აიძულა ირანი უფრო მჭიდროდ ეთანამშრომლა სომხეთთან. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ახალი ღერძის – მოსკოვი-ერევანი-თეირანი – შესახებ საუბარი.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის მოცულობა ორ ქვეყანას შორის მცირეა (ქვეყნების შესაძლებლობებიდან გამომდინარეც), ირან-სომხეთის ურთიერთობის სარგებელი არა იმდენად ეკონომიკური,

148 'Почему границы Армении обеспокоили Иран?' აღსანიშნავია, რომ 1993-2007 წლებში სომხეთის ელჩი ისრაელში თბილისიდან მუშაობდა, შემდეგ კაიროდან. 2020 წელს გადაწყდა საელჩოს გახსნა იერუსალიმში, თუმცა იმავე წლის შემოდგომაზე, ყარაბაღის მეორე ომში ისრაელის მიერ აზერბაიჯანის მხარდაჭერის გამო, სომხეთმა ელჩი გამოიწვია. არსებული ინფორმაციით, სომხეთის ელჩი ისრაელში 2021 წლის ნოემბერში დაბრუნდა.

149 Игорь Мурадян, 'Иран – Кавказ – Европа.' (30/10/2013). <https://blognews.am/rus...> (წვდომა: 12/04/2020)

150 Nichol, 'Armenia, Azerbaijan, and Georgia: Political Developments and Implications for U.S. Interests.' CRC Report for congress (2008). <https://apps.dtic.mil...pdf>

151 Julien Zarifian, 'Christian Armenia, Islamic Iran: Two (Not So) Strange Companions Geopolitical Stakes and Significance of a Special Relationship.' *Iran & the Caucasus* (2008), 12, no. 1, 125.

152 ციტ. Felix Corley, 'Armenia and Iran: Balancing Act.' *Middle East International*, London, (28/08/1993), 15.

რამდენადაც პოლიტიკურია და ირანს რეგიონული პოლიტიკური ზეგავლენის სა-  
შუალებას აძლევს.<sup>153</sup>

სომხეთის პირველი პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი წერს: „ირანის გა-  
რეშე, სომხეთი რამდენიმე დღეში დაიხრჩობოდა. ის ასევე აღნიშნავს, რომ სომხე-  
თის გაძლიერება და ეკონომიკური კეთილდღეობა ირანის ეროვნულ ინტერესს  
წარმოადგენს. ბლოკადების ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პერიოდში მეღრის გზა (სო-  
მხეთ-ირანის დამაკავშირებელი გზა – გ.ს.) ჩვენი გადარჩენის ერთ-ერთი ყველაზე  
მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.“<sup>154</sup>

თავის მხრივ, იმ დროს აზერბაიჯანშიც კარგად აცნობიერებდნენ ირანის  
მნიშვნელობას სომხეთისთვის და ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობის არასასურველ  
შედეგებს აზერბაიჯანისთვის. ერთი აზერბაიჯანელი მაღალჩინოსნის სიტყვებით,  
„ირანი თუ გაწყვეტს სომხეთთან კავშირს, სომხეთს შიმშილი ელის.“<sup>155</sup>

საგულისხმოა, რომ 1999 წელს ირანმა, სომხეთმა და საბერძნეთმა ხელი მო-  
აწერეს ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც  
გულისხმობდა თანამშრომლობას თავდაცვის სფეროშიც. ამ ხელშეკრულებას ზო-  
გიერთი თურქეთ-აზერბაიჯანის საწინააღმდეგო ალიანსად თვლიდა. ა. მირზოი-  
ანის შესხედულებით, „ათენი-თეირანი-ერევანი სამხრევი თანამშრომლობის ფო-  
რმატის გამო ბევრი იყო სპეკულაციები, თუმცა ყველა მხარე ხაზს უსვამდა, რომ  
ეს თანამშრომლობა არავის წინააღმდეგ იყო მიმართული.“<sup>156</sup> ამავე კონტექსტში  
ჯდება 2002 წლის მარტში ერევანში ყოფნისას ირანის თავდაცვის მინისტრის გა-  
ნცხადება: „ჩვენ ამჟამად გვსურს განვაავითაროთ თანამშრომლობა თავდაცვისა  
და უსაფრთხოების სფეროში... ეს თანამშრომლობა არ იქნება მიმართული არც  
ერთი მესამე მხარის წინააღმდეგ.“<sup>157</sup>

სომეხი მკვლევარი, რ. გირაგოსიანი მიიჩნევს: „სომხეთს აქვს პოზიცია, რომ  
იყოს პლატფორმა ირანის რეგიონულ აქტორად დაბრუნებისთვის.“<sup>158</sup> მეტიც – ზო-  
გიერთი ექსპერტი იმდენად შორს მიდიოდა, რომ თვლიდა, თითქოს ირანის პოლი-  
ტიკამ სამხრეთ კავკასიაში სომხეთს საშუალება მისცა შეეცვალა რეგიონში ბალან-  
სი თავის სასარგებლოდ.<sup>159</sup> თუმცა, სინამდვილეში ეს პოზიცია არაფერს ნიშნავს  
საქართველოს მხარდაჭერის გარეშე, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური  
თვალსაზრისით. საქართველო-რუსეთის რთული ურთიერთობები რეალურად

153 Giragosian, 'Armenia as a Bridge to Iran? Russia Won't Like It.' (30/08/2015). <https://www.aljazeera.com...> (წვდომა: 18/12/2020).

154 Levon Ter-Petrossian, *Armenia's Future, Relations with Turkey, and the Karabagh Conflict*. (Palgrave Macmillan, 2018), 55.

155 'Iran-Armenia Ties Strengthening to Counter Turkey Azerbaijan Alliance.' (2013). [www.todayszaman.com...](http://www.todayszaman.com...) (წვდომა: 29/07/2018).

156 Mirzoyan, *Armenia's Foreign Policy-2004: Between History and Geopolitics*. PhD Thesis. Florida International University. (2007). <http://digitalcommons.fiu...> (წვდომა: 10/08/2018)

157 ციტ. 'Iran's Defense Chief Hopes for Closer Ties with Armenia.' (2002). <http://asbarez.com...> (წვდომა: 02/09/2018)

158 Giragosian, 'Promise and Peril: The Armenia-Russia-Iran Axis,' 178.

159 Njdeh Asisian, 'An Overview of Iran-Armenian Relations in the Post-Soviet Era and Their Impact on Caucasus Regional Stability,' *Journal of the European Society for Iranian Studies* (2018), 39.

გამორიცხავს სომხეთისა და მისი საშუალებით ირანის პოზიციების გამყარებას რეგიონში.

2011 წლის სექტემბერში ირანულ გაზეთ 'ქეიჰანში' ისიც იყო აღნიშნული, რომ ორმა ქვეყანამ მიაღწია სტრატეგიული პარტნიორობის დონეს, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს მრავალსაუკუნოვანი კულტურული და ისტორიული კავშირების აღიარების ფაქტი, „მათი ფესვები კი ათასწლეულების სიღრმეშია.“<sup>160</sup>

სომხეთისა და ირანის თანამშრომლობას სამხედრო სფეროში საფუძველი ჩაეყარა 2002 წელს ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერით. თუმცა, თანამშრომლობის შესაძლებლობები შეზღუდულია ირანისთვის დაწესებული სანქციების გამო.

2016 წლის აპრილში სომხეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია შეხვდა ირანის თავდაცვის მინისტრს ჰოსეინ დეჰყანის თავდაცვის სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შესაძლებლობების განსახილველად. თუმცა, არანაირი ინფორმაცია რაიმე მხარდაჭერის, ტექნოლოგიების გაცვლების შესახებ არ არსებობს.<sup>161</sup>

ირანთან თავდაცვის სფეროში მოლაპარაკებებისთვის თეირანში ჩასვლა სიგნალი იყო მოსკოვისთვის, რომ სომხეთი მხოლოდ რუსეთზე არ აპირებდა დაყრდნობას უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობა შემოფარგლულია სომხეთის რეალურად არათანასწორუფლებიანი წევრობით კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებაში. „ეს ალიანსი მრავალ ხელშეკრულებას შეიცავს სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ, მაგრამ შემაშფოთებელია, რომ წევრებს აიძულებს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა დაუქვემდებარონ რუსეთის ინტერესებს.“<sup>162</sup>

2012 წლის ივლისში ხელი მოწერა ხელშეკრულებას ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოტრეფიკის, სასაზღვრო საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივი ღონისძიებების გატარების შესახებ.

აზერბაიჯანის გარდა, სომხეთ-ირანის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ფაქტორია სომხეთისა და თურქეთის დაპირისპირება.

სომხური პოლიტიკური აზროვნებისა და თურქეთის კოლექტიური აღქმის ემოციური და სტრატეგიული საყრდენი სულ 25-წლიანი პერიოდია – 1895 წლიდან, სულთან აბდულ ჰამიდის დარბევებიდან, 1915 წლის გენოციდამდე და თურქეთსა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის მოქცეული ხანმოკლევადიანი სომხეთის რესპუბლიკის აგონიამდე.<sup>163</sup>

თუმცა, დამოუკიდებლობის მიღების გარიჟრაჟზე ორივე მხრიდან იყო კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების სურვილი. მეტიც – სომხეთი თავდაპირველად უფრო ანკარისკენ იყურებოდა, ისე როგორც აზერბაიჯანი – თეირან-

160 Kayhan, 09/09/2011. ციტი. Владимир Месамед, Иран и немусульманские страны Южного Кавказа. (Москва: Институт Ближнего Востока, 2015), 53.

161 'Armenia, Iran 'Agree' On Closer Defense Ties.' (20/06/2016). <https://www.azatutyun.am...> (წვდომა: 06/11/2020)

162 Weitz, 'Assessing the Collective Security Treaty Organization: Capabilities and Vulnerabilities.' (Strategic Studies Institute and U.S. Army War College Press, October 2018). <https://ssi.armywarcollege.edu...pdf>.

163 Mirzoyan, Armenia, the Regional Powers, and the West, 59.



ნისკენ. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ 1992 წელს პრეზიდენტ რაფსანჯანისა და სომხეთის პრემიერ-მინისტრ ჰოვანესიანს შორის მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, სომხეთის პრეზიდენტმა ტერ-პეტროსიანმა ამჯობინა ხორბლის შესყიდვა თურქეთისგან.

თუმცა, ვითარება მალე შეიცვალა, რაც განპირობებული იყო რეგიონის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებით და ასევე ყარაბაღის კონფლიქტით. სომხეთი და ირანი ამგვარად საკუთარ თავს მიიჩნევენ თურქეთის წინააღმდეგ მისი გავლენის ზრდისთვის კავკასიასა და ცენტრალურ აზიაშიც კი. ირანი დამოუკიდებელ სომხეთს აღიქვამს, როგორც „კიდევ ერთ ძალას, რომელსაც შეუძლია დააბალანსოს თურქეთის აქტივობები რეგიონში.“<sup>164</sup>

მოგვიანებით იყო სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების გამოსწორების მცდელობაც ე.წ. „საფეხბურთო დიპლომატიით“ (ერევანში საფეხბურთო მატჩს ორი ქვეყნის ნაკრებებს შორის დაესწრო თურქეთის პრემიერ-მინისტრი, საპასუხო მატჩზე სტამბოლში კი სომხეთის პრეზიდენტი იმყოფებოდა). თუმცა, ამ მცირე დატობას რეალური შედეგი არ გამოუღია. 2009 წელს სომხეთისა და თურქეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს პროტოკოლებს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარების შესახებ. პირველი პროტოკოლი ასევე ითვალისწინებდა საზღვრის გახსნას. მეორე კი – სამთავრობათშორისო უწყების შექმნას, რომელშიც არაერთი ქვეყომისია იქნებოდა (ვაჭრობის, ტურიზმის, ეკონომიკური ურთიერთობების და ა.შ.). თუმცა, ამ პროტოკოლების რატიფიკაცია არ მომხდარა ორივე მხრიდან საშინაო პოლიტიკური წინებისა და აზერბაიჯანის მკვეთრი უარყოფითი განწყობის გამო.<sup>165</sup>

აშშ, განსაკუთრებით კი ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში, ყოველმხრივ მხარს უჭერდა თურქეთ-სომხეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზების პროცესს. აშშ მიიჩნევდა, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრის გახსნა იქნებოდა საშუალება სომხეთის თავდახსნისა რუსეთისა და ირანის ზეგავლენისგან და ნაბიჯი ქვეყნის დასავლეთში ინტეგრაციისაკენ.<sup>166</sup> თუმცა, მსგავსი მოსაზრება აშკარად მოკლებული იყო საფუძველს.

საინტერესოა, რომ 2008 წელს ირანმა შუამავლის როლის შესრულებისთვის მზადყოფნაც კი გამოთქვა თურქეთსა და სომხეთს შორის.<sup>167</sup> მაგრამ არსებულ ვითარებაში სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების დალაგება ნაკლებად შეესაბამება ირანის ინტერესებს. გარდა იმისა, რომ აზერბაიჯან-თურქეთის ალიანსის საპიროვნოდ ირანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ ქვეყნების ანტაგონისტი

164 Moniquet & Racimora (eds), *The Armenian-Iran Relationship*.

165 Feride Inan & Diana Yayloyan, 'New Economic Corridors in the South Caucasus and the Chinese One Belt One Road.' (The Economic Policy Research Foundation of Turkey (TEPAV), 2018). <https://epfarmenia.am...pdf>. ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ, 2021 წლიდან, ორივე მხრიდან ისევ გაუღერდა კონტაქტების (პირველ რიგში, ეკონომიკური), განახლების სურვილი. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯებიც გადაიდგა, თუმცა ურთიერთობების სრულ ნორმალიზაციაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

166 Kamer Kasim, 'The Turkish-Armenian Border Gate.' (04/01/2015). <http://www.turkishweekly.net...> (წვდომა: 23/07/2020)

167 Stepan Grigoryan, 'Armenian-Turkish Relations under the New Geopolitics.' In: *South Caucasus – 20 Years of Independence*. (Friedrich-Ebert-Stiftung, 2010), 162. <https://library.fes.de...pdf>

სომხეთის არსებობა. „სომხეთი ასევე მიიჩნევა გარკვეულ წინააღმდეგობად ირანის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე თურქეთის ზეგავლენის წინააღმდეგ (გარკვეული თვალსაზრისით, ცენტრალურ აზიაშიც, სადაც ბევრი სომეხი ცხოვრობს).“<sup>168</sup>

ირან-თურქეთის ურთიერთობების პერიოდული გაუმჯობესება კი თავისთავად იწვევს ირან-სომხეთს შორის ურთიერთობების გაცივებას. ეს ურთიერთობები კარგად ირეკლება სომხეთისთვის მნიშვნელოვან სიმბოლურ საკითხებშიც. მიუხედავად იმისა, რომ ისლამურ რესპუბლიკას ოფიციალურად არასოდეს უღიარებია სომეხთა გენოციდი, არაპირდაპირი გზით მაინც აკეთებს ამას. ყოველი წლის 24 აპრილს ირანის სომხებს ისლამური რეჟიმის მიერ ეძლევათ უფლება პატივი მიაგონ 1915 წლის გენოციდის მსხვერპლთ. ამასთანავე, აღნიშვნის მასშტაბი დამოკიდებულია იმ პერიოდში არსებულ ირანულ-თურქულ ურთიერთობებზე. გარდა ამისა, ისპაჰანში სომხური მუზეუმის ნაწილი გენოციდის მემორიალს წარმოადგენს. ამგვარად, ირანულ-სომხური ალიანსიც, პირველ რიგში, ემყარება თანმიმხვევ გეოპოლიტიკურ ინტერესებს.

სომხეთისთვის სასიკეთოა ისიც, რომ ირანისა და აზერბაიჯანის ურთიერთობებზე დიდ გავლენას ახდენს ურთიერთუნდობლობა, რაც ხელს უშლის პროდუქტიულ თანამშრომლობას.

სომხეთის მჭიდრო ურთიერთობებმა ირანთან განაპირობა ერევნისა და თელავის რთული ურთიერთობები. ისრაელს მიაჩნია, რომ სომხეთს არ უნდა ჰქონდეს ურთიერთობები ირანთან, ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოსთან. ამ მიზეზით, ვაშინგტონში ებრაული<sup>169</sup> ლობი ცდილობს სომხეთის იზოლირებისა და აზერბაიჯანის მხარდაჭერასა მრავალ საკითხში, მათ შორის მთიან ყარაბაღთან, BTC ნავთობსადენთან, თავისუფლების მხარდამჭერი აქტის 907 სექციასთან დაკავშირებით.<sup>170</sup>

მეორე მხრივ, სომხური ლობის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს აშშ-ის შედარებით 'რბილი' დამოკიდებულება სომხეთ-ირანის (ასევე სომხეთ-რუსეთის) კავშირებისადმი. სომეხი პოლიტოლოგი ს. მინასიანი აღნიშნავდა, რომ „აშშ და ევროკავშირი თვალს ხუჭავენ ირან-სომხეთის თანამშრომლობაზე, რისი უფლებაც არცერთ სხვა ქვეყანას არ ეძლევა.“<sup>171</sup> კიდევ ერთი სომეხი ანალიტიკოსი მ. ზოლიანი ხაზს უსვამს, რომ „ზოგადად, დასავლეთი გაგებით ეკიდება სომხეთის თანამშრომლობას ირანთან, რამდენადაც სომხეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა და კონფლიქტები თურქეთთან და აზერბაიჯანთან, ირანთან მჭიდრო

168 Mohammad-Reza Djalili et Thierry Kellner, 'Politique régionale de l'Iran : potentialités, défis et incertitudes.' GCSP (The Geneva Centre for Security Policy) Geneva Papers — Research Series (04-2012), no. 6, 23.

169 სომხეთის ებრაული მოსახლეობა ყველაზე მცირეა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის – დაახლ. 900 ადამიანი. იმ დროს, როცა ანტისემიტიზმი რეგიონში პრაქტიკულად არ არსებობს, ეს ყველაზე მკაფიოდ მაინც სომხეთში ჩანს. მაგალითისთვის, 2005 წელს სომხეთის სტრატეგიული ეროვნული კვლევების მიერ ჩატარებული ცენტრის გამოკითხვაში 1900 მონაწილიდან 5,2%-მა განაცხადა, რომ ებრაელები იყვნენ სომეხთა გენოციდზე პასუხისმგებელნი. ციტ. Bishku, "The South Caucasus Republics and Israel," 304.

170 Alberto Priego, "The Emergence of Southern Caucasus as the Cornerstone in the Greater Middle East." Revista electrónica de estudios internacionales (2007), 15. <https://www.almendron.com... pdf>

171 ციტ. Месамед, Иран и немусульманские страны, 54

ურთიერთობებს სტრატეგიულ აუცილებლად აქცევს.<sup>172</sup> სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე სომხური ლობის ზეგავლენის ყველაზე თვალსაჩინო დამადასტურებელი ფაქტი არის ზემოთ უკვე ნახსენები აშშ-ის თავისუფლების მხარდაჭერის აქტის სექცია 907, რომელიც კრძალავდა აზერბაიჯანისთვის აშშ-ის პირდაპირი დახმარების გაცემას და აზერბაიჯანს ამგვარად აქცევდა ერთადერთ პოსტსაბჭოთა ქვეყნად, რომელიც არ იღებდა ამგვარ დახმარებას. ეს აქტი მიღებული იქნა 1994 წელს კლინტონის ადმინისტრაციის მიერ, როგორც პასუხი აზერბაიჯანის ემბარგოზე სომხეთის მიმართ და უცვლელად შენარჩუნდა 2001 წლის 9/11-მდე, მიუხედავად სანავთობო კომპანიების და პროთურქული ლობის ზეწოლისა ვაშინგტონში.<sup>173</sup> საგულისხმოა, რომ სექცია 907 ეწინააღმდეგება 'აზრეშუმის გზის სტრატეგიის' აქტს, რომელიც მიიღეს 1997 წელს (1999 წელს განახლდა) კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ირანის მზარდი ზეგავლენის შესაკავებლად.

სომხეთი იმ ქვეყნების მცირე რიცხვს მიეკუთვნება, ვინც უპირობოდ უჭერს მხარს ირანის ბირთვულ პროგრამას და მიიჩნევს, რომ ეს პროგრამა 'შვიდობიან ხასიათს' ატარებს. მაგალითად, 2011 წლის 23 დეკემბერს ერევანში ვიზიტის დროს პრეზიდენტებმა აჰმადინეჟადმა და სარგსიანმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება, „ყველა სახელმწიფოს უფლების შესახებ შვიდობიანი მიზნებისთვის გამოიყენოს ბირთვული ენერჯია.“<sup>174</sup>

ამასთანავე, „ბირთვული პროგრამის“ გამო ირანისთვის დაწესებული სანქციები უაღრესად საზიანოა სომხეთისთვის. სომეხი ანალიტიკოსების თვალთახედვიდან, ფართო საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები ირანის წინააღმდეგ სომხეთისთვის პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს. ადრინდელი სანქციები ნეგატიურად აისახა სომხეთზე. სამხედრო ოპერაცია კი სერიოზულ ზეგავლენას მოახდენს არამხოლოდ სომხეთის, არამედ მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებაზე. 2007 წელს სომხეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი რობერტ კოჩარიანი აცხადებდა: „სანქციების გამკაცრება გამოიწვევს დაძაბულობის კიდევ უფრო გაძლიერებას და რთულია იმის თქმა, თუ რას მოიტანს ამგვარი ნეგატიური დინამიკა.“<sup>175</sup> 2014 წელს კი სომხეთის კიდევ ერთი პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი აღნიშნავდა, რომ „სანქციები რიკოშეტის სახით აყენებს დარტყმას სომხეთის ეკონომიკას.“

მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი, რომელსაც სომეხი ანალიტიკოსები გვერდს უვლიან: ირანთან ერთად გარკვეული პროექტების განხორციელების ხელისშემშლელი რეალურად იყო არა სანქციები (იხ. ქვემოთ), არამედ რუსეთის პოზიცია.

172 Mikayel Zolyan, 'My Friend's Enemy is my Friend: Armenian Foreign Policy between Russia, Iran and the United States.' *Caucasus Analytical Digest* (15/02/2010), 13/10, 3. <https://css.ethz.ch... pdf>

173 Freedom Support Act (Enrolled Bill [Final as Passed Both House and Senate] – ENR), S.2532.ENR, 102nd Congress, 2nd session (1992), The Library of congress "Thomas". <http://thomas.loc.gov...> (წვდომა: 24/11/2016)

174 'Iranian Media concludes Ahmadinejad's Visit to Armenia: "Tehran and Yerevan have good ancient, cultural relations"' (24/12/2011) <http://times.am...> (წვდომა: 15/09/2015).

175 'Президент Армении советует не вводить против Ирана новые санкции.' (16/07/2007). <https://www.kavkaz-uzel.eu...> (წვდომა: 16/04/2020).

2008 წლის მიწურულს აშშ-მა ბრალი დასდო სომხეთს ირანისთვის 2003 წელს სააარტილერიო დანადგარებისა და რაკეტების გადაცემაში.<sup>176</sup> ეს შეიარაღება სავარაუდოდ მოხვდა შიიტური შეიარაღებული დაჯგუფებების ხელში, რომლებმაც ერთი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს და ერთიც – დაჭრეს. ამერიკელმა დიპლომატებმა მოითხოვეს, რომ ერევანს მათთვის სომხეთ-ირანის საზღვრის პერიოდული დაკვირვების უფლება მიეცა.<sup>177</sup> 2008 წლის დეკემბრის ინციდენტმა ბზარი გააჩინა სომხეთ-ამერიკის ურთიერთობაში. დიპლომატიური 'საიდუმლო' ხაზის მიხედვით, რომელიც 'ვიკილექსმა' გამოაქვეყნა 2010 წელს, სახელმწიფო მდივნის ყოფილმა მოადგილემ ჯონ ნეგროპონტემ წერილი მიწერა პრეზიდენტ სერჟ სარქისიანს, რომელშიც გამოთქმული იყო ამერიკის ღრმა შეშფოთება სომხეთიდან ირანისთვის ერაყში მებრძოლი შიიტური ჯგუფებისთვის იარაღის გადაცემის შესახებ. ამ წერილის თანახმად, ირანს გადაეცა ბულგარეთში შესყიდული შეიარაღება, რასაც ერაყში ამერიკელი ჯარისკაცების დაღუპვა და დაჭრა მოჰყვა. სომხეთში აშშ-ის საელჩო შემდგომ აცხობინებდა სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ ბრალდება სომხეთის მთავრობის 'მძაფრი რეაქცია' გამოიწვია. დამატებულია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ ნალბანდიანმა განაცხადა, რომ „აშშ-ის ქმედებებმა შეიძლება აიძულოს სომხეთი უარი თქვას კომპლემენტარიზმზე, როგორც საგარეო პოლიტიკის საყრდენზე და მთლიანად აიღოს გეზი რუსეთზე“<sup>178</sup>

სომხეთსა და ირანს შორის მეტად მცირეა უთანხმოებების საფუძვლები. ერთ-ერთ ასეთ გამონაკლისად შეიძლება ჩათვალოს ირედენტისტული ნაციონალისტური განწყობების არსებობა სომხეთის გარკვეულ წრეებში. ერთი ირანული კვლევითი ჯგუფის ანალიზის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს არანაირი საფრთხე სომხეთის მხრიდან საზღვრებთან დაკავშირებით, მცირერიცხოვანი რადიკალური ნაციონალისტური პარტიების ირანის მოსაზღვრე პროვინციებთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხის შემცველი შეხედულებების იგნორირება არ შეიძლება. ეს პარტიები ირანის აღმოსავლეთ და დასავლეთ აზერბაიჯანულ პროვინციებს „დიდი სომხეთის ნაწილად მიიჩნევენ“ ეს შეხედულებები გამოხატულია ამ ჯგუფების მიერ გამოცემულ წიგნებსა და რუკებში, ასევე საზღვრის მახლობლად მცხოვრები სომხების მიერ, როდესაც ისინი სტუმრობენ ეროვნული და რელიგიური დღესასწაულების დროს ირანში საზღვართან ახლოს მდებარე ეკლესიებს, მაგ., წმ. სტეფანოსისა. რამდენადაც სომხეთის ხელისუფლებას არასოდეს შეუზღუდავს ამგვარი განწყობები, ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას ირანის ტერიტორიულ მთლიანობას შორეულ მომავალში.<sup>179</sup>

176 Gayane Abrahamyan, 'Armenia: WikiLeaks Cables Cause Stir in Yerevan.' (30/11/2010). <https://eurasianet.org...> (წვდომა: 17/01/2021)

177 Renée Rippberger, 'The Enemy of my Friends is my Friend: Assessing Armenia's Relationship with Iran.' vIEWpoint, International Center for Human Development (24/09/2019). <https://ichd.org...> (წვდომა: 23/04/2021)

178 Harsh reaction from GoAm to deputy Secretary's letter on Armenian arms transfer to Iran, O 311121Z DEC 08, FM AMembassy Yerevan to SecState WashDC Immediate 8482, <http://wikileaks.org/cable...> (წვდომა: 12/10/2015).

179 Tehran International Studies and Research Institute (TISR). Marzhave Iran. Tehran (2007), 410. ციტი. Esfahani, Iran's Foreign Policy in the South Caucasus, 210.

მაგრამ მსგავსი უთანხმოებები ორ ქვეყანას შორის უკიდურესად მცირეა. დღევანდელი კავშირები ორივესთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ორივე მათგანი დიდწილად იზოლირებულია – სომხეთი რეგიონულ, ხოლო ირანი საერთაშორისო დონეზე. ეს თავისთავად ქმნის მათ შორის კავშირისთვის ხელშემწყობ პირობებს. ერევნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თეირანის წინააღმდეგობრივი ურთიერთობები უპირველესად ბაქოსთან, მაგრამ ასევე ანკარასთან. მეორე მხრივ, სომხეთთან კავშირი ირანს საშუალებას აძლევს რეგიონში გარკვეული აქტივობები განახორციელოს, შედარებით დააბალანსოს მოქიშპე ძალები და შეინარჩუნოს სამომავლო აქტივობების პერსპექტივები.

კომპლემენტარობის პრინციპები, თითქოსდა კვლავაც აქტუალური გახდა ხელისუფლების სათავეში ნ. ფაშინიანის და მისი გუნდის მოსვლის შემდეგ. ეს გამოიხატა დასავლეთთან კავშირების გააქტიურების მცდელობებით (იმავედროულად რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის შენარჩუნების პირობებში). თუმცა, ამ სურვილის გამჟღავნებასაც კი რუსეთიდან მძაფრი უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ყარაბაღის მეორე ომში განცდილი მარცხის შემდეგ, სომხეთის საგარეო პოლიტიკური კურსი არ შეცვლილა. რუსეთი კვლავაც დომინირებს ქვეყანაში და ჯერჯერობით არ იკვეთება ამ დომინირების შემცირების პერსპექტივები.

### **ირანი და საქართველო – „ცივი“ კეთილმეზობლური ურთიერთობები**

ირანის ურთიერთობას საქართველოსთან, რომელთანაც მას საერთო საზღვარი არ გააჩნია, შედარებით ნაკლებად ინტენსიური ხასიათი აქვს, რადგან ორ ქვეყანას შორის, ფაქტობრივად, არ არსებობს არც სამხედრო, არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური შეხების წერტილები. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყნები არ თანამშრომლობენ და მათ ურთიერთობებში დროდადრო არ წარმოიქმნება გარკვეული პრობლემებიც; ასევე აღსანიშნავია, რომ სანქციების მოხსნისა და ირანის საერთაშორისო ასპარეზზე სრულფასოვნად დაბრუნების შემთხვევაში, საქართველო მისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს.

პირველ რიგში, უნდა გამოიყოს თანამედროვე საქართველოს პოლიტიკის რამდენიმე მახასიათებელი, რომლებიც ხელს არ უწყობს ორი ქვეყნის დაახლოებას: 1) „ცივი ომი“ რუსეთსა და საქართველოს შორის. 2) თურქეთ-საქართველოს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები. 3) საქართველოს პროდასავლური კურსი და მჭიდრო კავშირები ნატო-სთან.<sup>180</sup>

დასაწყისში, წინა ქვეთავების მსგავსად, შევეხები ქართული მოსახლეობის საკითხს ირანში. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სომხებისგან (დიასპორა და რელიგიური უმცირესობა), და აზერბაიჯანელებისგან (ეთნიკური უმცირესობა) განსხვავებით, ქართველები ძნელად თუ შეიძლება ჩაითვალოს დიასპორად ან ეთნიკურ უმცირესობად. პირველ რიგში, იმის გამო, რომ ირანში მცხოვრები ქართველები შიიტი მუსლიმები არიან – შესაბამისად – უმმას – მუსლიმური თემის წევრები. მეორე რიგში კი, იმ მიზეზიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს ქართველთა ერთიანი თემი, ანუ ირანის სხვადასხვა მხარეებში მოსახლე წარმო-

<sup>180</sup> ნახუცრიშვილი და სანიკიძე, 'საქართველო და ირანი,' 311.



მავლობით ქართველებს შორის არ არის მჭიდრო კონტაქტები. კიდევ ერთი საკითხია, თუ რა ადგილი უკავია 'ქართველობას' ირანის ქართველთა (გორჯთა) იდენტობაში. თავიდანვე ხაზს გაუუსვამ, რომ 'ქართველობა' 'ქართულ' თემებში იდენტობის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ არ არის მთავარი მარკერი. ამასთანავე არათანაბარ დონეზეა გამოხატული სხვადასხვა რეგიონებში განსახლებულ წარმომავლობით ქართველთა იდენტობაში. ყველაზე მკაფიოდ კი, როგორც ცნობილია, იკვეთება ისპაჰანის მანლობლად მდებარე ფერეიდანის მხარეში. აქ ქართული იდენტობისა და, რაც მთავარია, ქართული ენის შენარჩუნება დიდწილად განაპირობა სხვა ეთნიკური თემებისგან განცალკევებით, იზოლირებულად საუკუნოვანმა ცხოვრებამ. ა. ვაისი სამართლიანად აღნიშნავს: „ქართულმა თემმა შეინარჩუნა იდენტობის გარკვეული ნაწილი უმთავრესად იმ მიზეზით, რომ ის მთიან და მიუვალ ადგილზე, მთავარი გზებიდან მოშორებით ცხოვრობდა ფერეიდუნშაჰრის რეგიონში, ისპაჰანის დასავლეთით, მაშინ როცა სხვა რეგიონებში ქართველების უმრავლესობა ასიმილირებულია.“<sup>181</sup>

ფერეიდანის გარდა, ქართველთა შთამომავლები ცხოვრობენ თეირანში, აგრეთვე მაზანდარანის, გილანის, ხუზისტანის, ფარსის, ქურთისტანის, ხორასანის, აღმოსავლეთ აზერბაიჯანის და სხვა პროვინციებში.<sup>182</sup>

ასევე ხაზგასასმელია, რომ ქართველობის 'აღქმა' და ისტორიული სამშობლოსადმი დამოკიდებულება ირანელ ქართველთა (პირველ რიგში, ფერეიდნელთა) შორის არ არის ერთგვაროვანი. ნაწილი (ეს, პირველ რიგში, შეეხება მათ, ვინც უკვე რეპატრირებულია საქართველოში ან სურს ისტორიულ სამშობლოში დასახლება) სწორედ ქართულ იდენტობას წამოწევს წინ, მათი ინტეგრაციაც საქართველოში მეტნაკლებად ადვილად ხდება (თუმცა, არის გარკვეული პრობლემებიც). მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილისთვის 'ქართველობა', როგორც აღინიშნა, არაა იდენტობის მთავარი განმსაზღვრელი. ნ. ნახუცრიშვილი განხორციელებული კვლევის საფუძველზე ასკვნის: „მოპოვებული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისტორიულ სამშობლოსთან რეინტეგრაციის პროცესისადმი ირანის ქართველობის დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ არის. მათ შორის, საკმაოდ მკაფიოდ იკვეთება ისეთი პოზიცია, რომელიც „ქართული იდენტობის შენარჩუნებაში“ 400 წლის განმავლობაში ირანში ცხოვრების შედეგად ჩამოყალიბებული „ქართული-ირანულ-ისლამური იდენტობის შენარჩუნებას“ გულისხმობს, ხოლო მშობლიური ენის დაცვის იდეა განმარტებულია, როგორც ბრძოლა ფერეიდნული დიალექტის შენარჩუნებისთვის და არა როგორც სწრაფვა დღევანდელი ქართული ენის ათვისებისაკენ. ამიტომაც აუცილებელია ამ პოზიციის მომხრეების არგუმენტების გათვალისწინებაც, რათა არ დავრჩეთ ჩვენს საზოგადოებაში არსებული იმ მრავალწლიანი ილუზიების ტყვეობაში, რომელიც ირანის ქართველობის ერთადერთ

181 Weiss, "The Role of Iranian Azeris, Armenians and Georgians in Iran's Economic Relations with the Countries of the South Caucasus." *Caucasus Analytical Digest* no. 92, Iran and the South Caucasus after the Nuclear Deal, special Editors: Andrea Weiss & Yana Zabanova, (Berlin, 25/02/2017), 12. <https://css.ethz.ch/...pdf>

182 ირანში ქართული დასახლებების შესახებ დაწვრილებით. იხ. ნახუცრიშვილი, ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში (მასალები და გამოკვლევა). (თბილისი: მერიდიანი, 2020).

ოცნებად ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას მოიაზრებს.<sup>183</sup> ამ თვალსაზრისით საინტერესოა ზემონახსენებ ნაშრომში შესული წარმომავლობით ფერეიდნელი ქართველის (მისი ოჯახი გასული საუკუნის 70-იან წლებში გადმოსახლდა საქართველოში) ინტერვიუ. ნ. ნახუცრიშვილი დასძენს: „... ინტერვიუ საყურადღებოა იმიტად, რომ ფერეიდნელ ქართველთა ერთი ნაწილის ისტორიულ სამშობლოსთან (საქართველოსთან) რეინტეგრაციული პროცესებისადმი სრულიად ნეგატიურ და კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოხატავს და იმ მოსაზრებას ავითარებს, რომ ირანში მცხოვრები ქართველი პირველ რიგში არის მუსლიმი, მერე – ირანელი და ბოლოს – ქართული წარმომავლობის.“<sup>184</sup>

ზემოთქმული, ბუნებრივია, სულაც არ აკნინებს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც ქართული წარმომავლობის ირანის მოქალაქეებს ეკისრებათ ორი ქვეყნის ურთიერთობებში. ასევე ხაზგასასმელია, რომ საკუთრივ ირანელ ქართველებში, უკანასკნელი წლების მანძილზე, შესამჩნევად გაიზარდა ინტერესი ისტორიული სამშობლოსადმი, გამოიკვეთა ქართული წარმომავლობიდან გამომდინარე სიამაყის გრძობაც. ფერეიდანის გარდა, უკვე სხვა რეგიონებში დასახლებული ქართველებიც ცდილობენ ისტორიული მეხსიერების აღდგენას, გაჩნდა ინტერესი ქართული ენის შესწავლისადმი. საქართველოში თუ ადრე კონცენტრაცია ხდებოდა მხოლოდ ფერეიდანზე, დღეს მკაფიოა ინტერესი სხვა რეგიონების მიმართაც.<sup>185</sup> საკუთრივ ირანში მცხოვრები ქართველებიც უკვე ყურადღებას აქცევენ თავიანთ წარსულისა თუ თანამედროვე ყოფის სხვადასხვა ასპექტების კვლევას.<sup>186</sup>

საკმაოდ რთულია 'ირანელი ქართველების' რაოდენობის დადგენაც. ხშირ შემთხვევაში, დიდ ქალაქებში გადასახლების შემდეგ, ისინი კარგავენ 'ბმას' წარმომავლობის ადგილთან, შესაბამისად სუსტდება მათი იდენტობის 'ქართული' შემადგენელიც. უპირველესად, ბუნებრივია ეს შეეხება ფერეიდანის რეგიონს. ირანელი მკვლევარი ბაბაქ რეზვანი ფერეიდანში ეთნიკურ ქართველთა რაოდენობა 61 ათასის ფარგლებში ანგარიშობდა.<sup>187</sup> თუმცა, საიდან მოჰყავს მას ეს ციფრი, უცნობია. ასევე რთულია ირანის სხვა რეგიონებში ქართულ წარმომავლობის მოსახლეობის რაოდენობის დადგენა.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველოს ირანთან ურთიერთობის საშუალება პრაქტიკულად არ ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით ქართველი ინჟინრების, თარჯიმნების და ა.შ. მონაწილეობას საბჭოთა კავშირის

183 ნახუცრიშვილი და სხვები, ირანის ქართველობა ისტორიულ სამშობლოსთან რეინტეგრაციის გზაზე. თბილისი: აკადემიური წიგნი, 2020), 48.

184 იქვე, 65.

185 მაგალითისთვის დავასახელებ რამდენიმე წლის წინ გამოცემულ ნაშრომს მაზანდარანის ქართველთა შესახებ: პაატა ჯაფარიძე და სხვები, მაზანდარანის ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება, ყოფა-ცხოვრება და კულტურა (ქუთაისი, 2017). ნ. ნახუცრიშვილსაც გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სტატია მაზანდარანელ ქართველთა კულტურული აქტივობების შესახებ.

186 ზემოთქმულის დასტურად შეიძლება დასახელდეს 2021 წლის აგვისტოში გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ვებინარი „ქართველების ისტორია ხუზისტანში“, რომელშიც ქართული წარმომავლობის ირანელი მკვლევრებიც მონაწილეობდნენ.

187 Babak Rezvani, 'The Islamization and Ethnogenesis of the Fereydani Georgians.' Nationalities Papers (2008), 36, no. 4, 598.

მიერ ირანში განხორციელებულ პროექტებში, აგრეთვე იშვიათ სამეცნიერო მივლინებებს, რომელთა მიზანიც იყო ფერეიდნელ ქართველთა ყოფის შესწავლა, ასევე ირანის ბიბლიოთეკებსა და არქივებში საქართველოსა და ირანში მოღვაწე ქართველების შესახებ მასალების მოძიება-დამუშავება. საბჭოთა პერიოდში გადაღებული იყო დოკუმენტური ფილმიც ფერეიდნელ ქართველთა შესახებ.

მდგომარეობა, ბუნებრივია, შეიცვალა საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ირანელი დიპლომატები საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1991 წლის შემოდგომაზე გამოჩნდნენ. თეირანიდან მათ დავალებული ჰქონდათ პრეზიდენტ გამსახურდიასთან შეხვედრა, რათა უშუალოდ ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელისგან მიეღოთ ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ვიზიტი ფაქტობრივად არაოფიციალური და გაცნობითი ხასიათისა იყო.<sup>188</sup>

საგულისხმოა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყნის სახელმწიფო მეთაურის (ედუარდ შევარდნაძის) პირველი ოფიციალური ვიზიტი 1993 წელს ირანის ისლამურ რესპუბლიკაში შედგა. ირანი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და ქვეყანაში საელჩო გახსნა (1993 წელს). აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველ ოფიციალურ ხელშეკრულებას ხელი ირანთან მოეწერა. მიუხედავად ვაშინგტონის უკმაყოფილებისა, ე. შევარდნაძემ 1995 წელს საქართველოში მოიწვია ირანის პრეზიდენტი ჰაშემი რაფსანჯანი. ამ ვიზიტის დროს პირველად წამოიჭრა „ევრაზიული დერეფნის“ პროექტში ირანის მონაწილეობის თემაც. შეიქმნა დიდი იმედები თანამშრომლობის დინამიურ განვითარებასა და სწრაფ წინსვლაზე. დამოუკიდებლობის ამ ადრეულ წლებში ირანთან დაახლოების მცდელობა პრაგმატულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ხანებში, როდესაც ირანიც პრაქტიკულად უკვე აღარ წარმოადგენდა ‘რევოლუციურ’ სახელმწიფოს და პრეზიდენტ რაფსანჯანის პოლიტიკაც ბევრად უფრო რაციონალური, ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისაკენ მიმართული (საკმაოდ წარმატებულიც) იყო, თითქოსდა იკვეთებოდა დასავლეთთან ურთიერთობების დალაგების პერსპექტივაც. შეიძლება ითქვას, რომ ირანთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება მომდინარეობდა იმ ამბიციური სურვილიდან, რომ საქართველოს უნდა ეკისრა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გარკვეულ ხიდის ფუნქცია. „ე. შევარდნაძე შეეცადა შუამავლის როლის შესრულებას ირანსა და შტატებს შორის, რადგან იმედოვნებდა, რომ მათ შორის ურთიერთობების გაუმჯობესება გაანეტრიალებდა აშშ-ის უარყოფით დამოკიდებულებას ქართულ-ირანული კავშირებისადმი.“<sup>189</sup> თუმცა, სწრაფად გაირკვა, რომ ასეთი გეგმა უტოპიური იყო. ამგვარად, საწყისი აქტივობებისა და საქართველოს პროდასავლური ვექტორის გამოკვეთის შემდეგ, ორი ქვეყანას შორის პოლიტიკური კავშირები შედარებით შენედა.

188 ლევან ასათიანი, ირან-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა. ექსპერტის აზრი, 55. (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2016), 4.

189 Hunter, *The Transcaucasus in Transition: Nation-Building and Conflict*. (Washington, DC: Center For Strategic and International Studies, 1994), 138.

უძიძმესი ეკონომიკური კრიზისის პირობებში, საქართველო ირანშიც ცდილობდა საკუთარი პროდუქციის გაყიდვას. ამ კუთხით სკანდალური გამოდგა SU-25 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავებთან დაკავშირებული ისტორია. გასული საუკუნის 90-იან წლებში დასავლურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველომ ირანს მიყიდა თბილისის საავიაციო ქარხანაში წარმოებული ხსენებული ტიპის თვითმფრინავები. ამ ფაქტმა ისრაელის განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია.<sup>190</sup> თუმცა, სინამდვილეში ვითარება სხვაგვარი იყო. იმდროინდელი ქართული პრესის მონაცემებით, 1993-94 წლებში თბილისს, მოსკოვსა და თეირანს შორის მიმდინარეობდა ინტენსიური კონსულტაციები თბილისის საავიაციო ქარხანაში SU-25 ტიპის ავიაგამანადგურებელთა ერთობლივი წარმოების თაობაზე. ირანი თავის თავზე იღებდა ამ სამხედრო პროექტის დაფინანსებას; რუსეთს უნდა მიეწოდებინა საქართველოსათვის ავიაგამანადგურებლის მაკომპლექტებელი დეტალები, ხოლო თვითმფრინავის აწყობა თბილისში უნდა მომხდარიყო. ეს გეგმა მოსკოვში შემუშავდა და იგი ძალზე ხელსაყრელი იყო რუსეთისათვის, ვინაიდან საქართველო ხდებოდა ერთგვარი 'გადამცემი რგოლი' ირანის ისლამურ რეჟიმთან თანამშრომლობისათვის. მაგრამ ბოლო მომენტში შევარდნაძის ადმინისტრაციამ უარი თქვა პროექტის განხორციელებაზე, ვინაიდან იგი მოერიდა ვაშინგტონთან ურთიერთობის მეტისმეტად გამწვავებას.<sup>191</sup> ალბათ, ეს ფაქტიც ჯდება ქართულ პოლიტიკაში თანდათანობით გამოკვეთილი დასავლური ვექტორის ჩარჩოებში.

საქართველოდან გასული საუკუნის შუა ხანებში დაწყებული „ტვინების გადინების“ ერთ-ერთი მიმართულება ირანიც გახდა. ამ მხრივაც, ისრაელის გალიაზიანებას იწვევდა ხმები ქართველი ფიზიკოსების არაოფიციალური მონაწილეობის შესახებ ირანის ბირთვულ პროგრამაში.<sup>192</sup>

საგულისხმოა, რომ რაფსანჯანის ვიზიტის შემდეგ, აზერბაიჯანისა და სომხეთისგან განსხვავებით, საქართველოში ირანის პრეზიდენტის ვიზიტი არ შემდგარა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ირანის ყოფილი პრეზიდენტი ჰასან რუჰანი (2013-2021) ორჯერ ეწვია საქართველოს ოფიციალური ვიზიტით – ჯერ მეჯლისის ვიცე-სპიკერის (1995), შემდეგ კი ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივნის რანგში (2001). ამასთანავე, ირანული მხარე ყოველთვის ხაზს უსვამდა საქართველოსთან ისტორიული კავშირებისა და მეგობრული დამოკიდებულების მნიშვნელობას. მაგალითად, ირანის ყოფილმა პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ, ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაში საქართველოს ადგილის შეფასებისას, აღნიშნა, რომ ირანელები საქართველოს მეორე სახლად მიიჩნევენ და მსოფლიოში ბევრი ქვეყანა არ არის, რომლებიც ისევე დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, როგორც ირანი და საქართველო.<sup>193</sup>

190 James Dorsey, 'Iran and Georgia: Alliance on the Cards.' Middle East International, (London, 02/04/1993), 14.

191 'მერიდიანი' (01/11/1996).

192 Priego, 'Mikhail Saakashvili in Tel-Aviv.' Safe Democracy Foundation, (11-2006). <http://spanish.safe-democracy.org...> (წვდომა: 24/06/2021)

193 Иранцы считают Грузию своим вторым домом. Визит М. Саакашвили в Тегеран.' (07/07/2004). <http://www.centrasia.ru...> (წვდომა: 14/05/2017).

განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი გამოდგა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტი 2004 წელს ირანში. საგულისხმოა, რომ ირანის პრეზიდენტის საპასუხო ვიზიტი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, არ შემდგარა. მიზეზი, სავარაუდოდ, შემდეგი იყო: მ. სააკაშვილის ვიზიტი ირანში შედგა რეფორმატორი და დასავლეთისადმი გახსნილი, „ცივილიზაციათა დიალოგის“ კონცეფციის ავტორი პრეზიდენტის, მოჰამად ხათამის პრეზიდენტობის ბოლო წელს. ხათამის საპასუხო ვიზიტი საქართველოში, რეალურად ვერ ესწრებოდა და მის მაგივრად უნდა ჩამოსულიყო სკანდალური განცხადებებით ცნობილი, დასავლეთთან ხისტად დაპირისპირებული ახალი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი და, როგორც ჩანს, ქართულმა მხარემ თავი შეიკავა მისი მოწვევისგან.

მ. სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში ორი ქვეყნის ურთიერთობები თითქოსდა ტალღოვანი სახით წარიმართა. 2004 წლის ვიზიტის შემდეგ დიდი იყო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაცხოველების მოლოდინი. თუმცა, ქართული მხარემ, სავსებით გასაგები მიზეზებიდან გამომდინარე (ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით დასავლეთის მძაფრი რეაქცია, აჰმადინეჟადის ანტიდასავლური რიტორიკა და ა.შ.), თავი შეიკავა პოლიტიკური ურთიერთობის გადრმავეებიდან. აქვე ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას აჰმადინეჟადის საგარეო პოლიტიკაზე: მისთვის ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონი გადაიქცა არა კულტურული და ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მოთამაშისათვის აუცილებელ ასპარეზად. ამ პერიოდში ირანმა მოინდომა ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში საკუთარი პოლიტიკის გააქტიურება, მაგრამ ეს მეორე ‘მცდელობაც’ წარუმატებლობისთვის იყო განწირული.

ქართული მხარე მეტად მადლიერი დარჩა 2006 წელს ირანის მიერ კეთილი ნების გამოვლენით და გაწეული დახმარებით – ჩრდ. ოსეთში ნავთობსადენის ‘აფეთქების’ შემდეგ, ირანი 15 დღის მანძილზე ამარაგებდა საქართველოს ბუნებრივი აირით.<sup>194</sup> ქართული მედია ხაზს უსვამდა, რომ „რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მოწყობილი გაზის ბლოკადის დროს ფასდაუდებელი იყო ის გაბედული და მეზობლური ნაბიჯი, რომელიც თეირანმა გადადგა მოსკოვის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ და, ალტერნატივის სახით, ირანული ბუნებრივი აირი შემოგვთავაზა. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანწილად გაგვიადვილა 2006 წლის ზამთრის გადატანა.“<sup>195</sup> მართლაც, ეჭვგარეშეა, რომ ჩრდ. ოსეთში ‘აფეთქება’ სპეციალურად განხორციელდა იმ მიზნით, რომ ცივი ზამთრის პერიოდში საქართველო ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენილიყო. საღ აზრს მოკლებულია მოსაზრება, რომ თეირანი ამ შემთხვევაში მოსკოვის კარნახით მოქმედებდა. ამგვარად, ამ შემთხვევაში ირანის ქმედება იმ იშვიათი შემთხვევების რიგში დგას, როდესაც თეირანმა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ინტერესების საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო.

194 Вали Кузегар Каледжи. ‘Компоненты внешней политики Ирана на Кавказе: единство и баланс.’ В сб. Иран и республики Южного Кавказа, 76. სინამდვილეში, რამდენადაც საქართველოსა და ირანს შორის გაზსადენი არ არსებობს, ირანი განსაზღვრული რაოდენობის გაზს აწვდიდა აზერბაიჯანს, ხოლო აზერბაიჯანი – იმავე რაოდენობით გაზს საქართველოს.

195 გიორგი ყველაშვილი, ‘საქართველო-ირანის ურთიერთობები – რუსეთის ნერვიულობის ახალი მიზეზი.’ (31/05/2010). <https://tabula.ge...> (წვდომა: 21/06/2021)



2008 წელს ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის საკმაოდ დაიძაბა მას შემდეგ, რაც საქართველომ მოახდინა იარაღის ემბარგოს დარღვევის ბრალდებით დაკავებული ირანელი მოქალაქის, არდებილის ექსტრადიციის აშშ-ში – ეს თეირანში ანტი-ირანულ აქტად აღიქვეს. შედეგად, ურთიერთობები მცირე დროის მანძილზე პრაქტიკულად შეწყდა. თუმცა, მალე ირანის საგარეო საქმეთა იმდროინდელი მინისტრის მანუჩერ მოთაქის უშუალო მონაწილეობით, დაიწყო საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესი, რაც გამოიხატა 2010 წლის იანვარში თეირანში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის წარმატებული ვიზიტით, რომელმაც წერტილი დაუსვა „არდებილის კრიზისს“; ხოლო იმავე წლის 3-4 ნოემბერს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოში განხორციელებული ვიზიტისას საგარეო უწყებების ხელმძღვანელთა დონეზე ხელი მოეწერა ორი ქვეყნის რიგითი მოქალაქეებისათვის უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულებას. ბათუმში კი გაიხსნა ირანის ისლამური რესპუბლიკის გენერალური საკონსულო.<sup>196</sup> უვიზო მიმოსვლის დაწესება ქართული მხარის მიერ, ირანის საერთაშორისო სისტემიდან პრაქტიკული გარიყულობიდან გამომდინარე, მართლაც უპრეცედენტო ნაბიჯი იყო. ირანელი მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმი საქართველოში ძალაში შევიდა 2011 წლის 26 იანვარს. ამგვარად, საქართველო იქცა ირანელი ტურისტების ერთ-ერთ რჩეულ მიმართულებად. უვიზო რეჟიმმა ასევე ხელი შეუწყო ეკონომიკური ურთიერთობების გაცხოველებას. დაწესდა რეგულარული საავიაციო რეისები.

მ. სააკაშვილის გააქტიურებამ ირანის მიმართულებით საკმაოდ გააღვიძანა რუსეთი. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სპიკერმა 2010 წელს ორი ქვეყნის დაახლოების შესახებ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე საკმაოდ ბუნდოვანი და ორაზროვანი განცხადება გააკეთა: „ჩვენ პატივს ვცემთ სუვერენული სახელმწიფოების უფლებებს, როგორც ირანი და საქართველოა, განავითარონ მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობები ერთმანეთს შორის. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმ მეზობელი ქვეყნებისთვის, რომლებიც ამ არც თუ მარტივ რეგიონში შედიან. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოსა და ირანს შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარება არ იქნება მიმართული მესამე ქვეყნების წინააღმდეგ.“<sup>197</sup> ქართული მედიის თანახმად, ეს განცხადება იმდენად აბსურდული იყო, რომ ის გამოქვეყნებიდან სულ მალე წაშალეს.<sup>198</sup>

ამ კუთხით, საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ირანელი მკვლევარი ელაჰე ქულაი. ის წერს, რომ „საქართველო-ირანის ურთიერთობების გაუმჯობესება ზიანს მიაყენებს კრემლის სტრატეგიულ ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში, რამდენადაც რუსეთის მიზანია აბსოლუტური ჰეგემონის პოზიციის მოპოვება რეგიონში და ის მესამე მხარის ზეგავლენის გაზრდას ნეგატიურ ჭრილში აღიქვამს.“<sup>199</sup>

196 დაწვრილებით იხ. ნახუცრიშვილი, 'ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები: მანუჩერ მოთაქის საგარეო საქმეთა მინისტრობის 5 წელი.' ელ-ჟურნალი 'თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი' (2014), 1(6), 7-8. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2225.pdf>

197 'რუსეთის საგარეო უწყება საქართველო-ირანის ურთიერთობებზე.' (02/07/2010). <https://civil.ge/ka...> (წვდომა: 11/06/2021)

198 Zaza Jgharkava, 'Georgia: Iran's window on the West.' Georgia Today, (12/11/2010).

199 Elaheh Koolaee, 'External Factors Affecting the Iran-Georgia Relations' n.d. <https://www.researchgate.net...> (წვდომა: 14/02/2021).

საქართველოში მოღვაწე ამერიკელი ანალიტიკოსი მ. მალენი წერდა: „საქართველო ძალიან მნიშვნელოვან ქვეყნად იქცა იმ ირანელებისთვის, რომლებსაც არ სურთ ისლამურ ქვეყანაში ცხოვრება, მაგრამ არც სამშობლოსთან მჭიდრო პირადი თუ ბიზნეს კავშირების დაკარგვა უნდათ. რა თქმა უნდა, ირანელი „ექს-პატები“ ბევრგან არიან – დუბაიში, სტამბოლში, პარიზში, ლოს-ანჯელესში. თუმცა, მათთვის, ვისაც ხშირად სჭირდება წინ და უკან სიარული, საქართველო კარგი არჩევანი იქნება.“<sup>200</sup> ირანიც გარკვეულწილად ტოლერანტულად აღიქვამდა საკუთარი მოქალაქეების ლტოლვას ლიბერალური გარემოს მქონე საქართველო-სადმი, ასევე დასავლეთში (ძირითადად აშშ-ში მოღვაწე) რეჟიმისადმი უარყოფითად განწყობილი მომღერლების კონცერტების ორგანიზებას თანამემამულეებისათვის თბილისში (ამ კონცერტებზე დასასწრებად დამატებითი რეისებიც ინიშნებოდა თეირანიდან). საგულისხმოა, რომ 2009 წელს მაჰმუდ აჰმადინეჟადის საპრეზიდენტო არჩევნებში მეტად საეჭვო გამარჯვების შემდეგ ირანელთა მცირერიცხოვანი პროტესტი საქართველოში ირანის საელჩოსთანაც გაიმართა, თუმცა საქართველოში მყოფ ირანელთა დიდ ნაწილს მასში მონაწილეობა არ მიუღია – ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურების მხრიდან მათი შენიშვნის და ამ ფაქტით შესაძლო მანიპულაციის შიშით.<sup>201</sup>

საინტერესოა, რომ 2010 წელს საქართველომ მხარი დაუჭირა ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ ბრაზილიისა და თურქეთის მიერ ინიცირებულ შეთანხმების პროექტს, რომლის წინააღმდეგაც აშშ წავიდა.<sup>202</sup> კიდევ უფრო მოულოდნელი გამოდგა 2012 წელს ქართული მხარის მიერ ამერიკელ და ქართველ საზღვაო ქვეითთა ერთობლივ წვრთნებზე დასასწრებად ირანის სამხედრო ატაშეს მიწვევა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში განმარტეს, რომ ეს სტანდარტული პროცედურა იყო.<sup>203</sup> მაგრამ ხაზგასასმელია, რომ იმ პერიოდში გამოკვეთილი იყო როგორც ბირთვულ პროგრამაზე შეთანხმების კონტურები, ისე ირანსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების დათბობის ნიშნები. ამ კონტექსტში ქართული მხარის მოქმედება პრაგმატულად შეიძლება ჩაითვალოს – როგორც მცდელობა მედიატორის როლის შესრულებისა ირანსა და დასავლეთს შორის.

ურთიერთობების ამ სახით დათბობის მიუხედავად, ორ ქვეყანას შორის კვლავაც რჩებოდა გადაულახავი წინააღმდეგობები გამომდინარე საქართველოს დასავლური და ირანის რუსული პოლიტიკური ვექტორებიდან. ეს წინააღმდეგობა დღესაც შენარჩუნებულია.

ქართველი მკვლევარი თ. შარაშენიძე სწორად შენიშნავს, რომ ირანის საფრთხეებს ხედავს როგორც სამეზობლოდან, ისე შორეული სახელმწიფოებისგან,

200 მარკ მალენის ბლოგი, 'ირანი და საქართველოს მომავალი.' (25/06/2013) <https://www.kvirispalitra.ge/mullen...> (წვდომა: 23/12/2014)

201 'ირანელები საქართველოში: როგორ ხედავენ ისინი საპროტესტო ტალღას?' ამერიკის ხმა (13/01/2018). <https://ghn.ge...> (წვდომა: 14/09/2018)

202 Alexei Barrionuevo and Sebnem Arsu, 'Brazil and Turkey Near Nuclear Deal with Iran.' New York Times (17/05/2010). [www.nytimes.com...](http://www.nytimes.com...) (Accessed 08/27/2020).

203 Molly Corso, 'Georgia Invites Iran to Joint US Military Exercises.' (23/03/2010). [www.eurasianet.org...](http://www.eurasianet.org...) (წვდომა: 08/30/2012).

რომლებიც შეიძლება მას დაემუქრონ სამეზობლოდან.<sup>204</sup> ამ მხრივ, აზერბაიჯანთან ერთად, საქართველო ირანისთვის 'პოტენციურ' საფრთხეს წარმოადგენს.

ირანელი ანალიტიკოსები, რომლებიც ხელისუფლების პოზიციას აულერებენ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს გამოთქვამდნენ შეშფოთებას ნატოსთან საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებისა და პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში თანამშრომლობის გამო, რაც რუსეთის წინააღმდეგ მიმართულად მიაჩნდათ. მაგ., ჰოჯათოლა ფაყანის აზრით, პრეზიდენტი შევარდნაძე გესლიანი ტონით აღნიშნავდა: „ნატოს ახალი მისია არაა დაპირისპირებული რუსეთის ინტერესებთან, რადგან ამჟამად თითოეული ქვეყანა უნდა დაკმაყოფილდეს იმ ადგილით, რაც განუსაზღვრა მას ისტორიამ.“<sup>205</sup>

მ. სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში ორ ქვეყანას შორის დაახლოებას CNN-ის ერთ-ერთ რეპორტაჟში „დელიკატური“ უწოდეს – ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებაზე საქართველოს ხანგრძლივი იმედებიდან გამომდინარე: „არც ირანს და არც საქართველოს არ სურდათ მომავალ ურთიერთობებზე, ოფიციალურ განცხადებებს მიღმა, უფრო დეტალური საუბარი და ამას ჰქონდა თავისი მიზეზები. საქართველოს არ სურს უსაყვედურონ, რომ ის ირანის წინააღმდეგ აშშ-ის მიერ მხარდაჭერილ სანქციებს სათვალავში არ იღებს.“<sup>206</sup>

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ „კეთილმეზობლური“ ურთიერთობების შენარჩუნებისთვის ირანული მხარე თავს იკავებდა საქართველოს პოზიციის მძაფრი კრიტიკისგან. მაგალითად, 2007 წლის 19 ივნისს თბილისში გამართულ მრგვალ მაგიდაზე ქართველი და ირანელი ექსპერტების მონაწილეობით, ირანელების მხრიდან აღინიშნა, რომ „ირანი არ ახდენს აშშ-საქართველოს სტრატეგიული ურთიერთობების დრამატიზირებას. მათი თქმით, თურქეთსაც ამგვარი ურთიერთობები აქვს აშშ-თან, მაგრამ ეს ზიანს არ აყენებს მათ ურთიერთობებს. ნატოს წევრობისადმი საქართველოს სწრაფვის მიმართ ირანს ნეიტრალური პოზიცია აქვს. ეს საქართველოს გადასაწყვეტია.“<sup>207</sup> თავის მხრივ, ირანის ყოფილი ელჩმა საქართველოში ყავამ შაჰიდიმ ინტერვიუში აღნიშნა: „ირანის ისლამური რესპუბლიკა, რომელსაც გამოცდილი აქვს დასავლეთის დროის გაყვანის პოლიტიკა და იცნობს ნატოს წევრი ზოგიერთი სახელმწიფოს მხრიდან წევრი ქვეყნების ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართულ მოქმედებას, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხს არ განიხილავს სერიოზულ სტრუქტურულ ცვლილებად, რომელმაც შესაძლოა ავნოს ორმხრივ ურთიერთობებს. ამასთანავე, საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვას არ აფასებს დადებითად.“<sup>208</sup>

204 Sharashenidze, 'The Role of Iran in the South Caucasus.'

205 Hojjatollah Faqāni, 'Gostaresh-e Nāto be sharq: barres-ei mouze-e Gorjestān.' Motāl'āt-e Āsiā-ye markazi va Qafqāz.' (tābestsan 1378/1999), no. 26, 22. ციტ. ნახუცრიშვილი და სანიკიძე, საქართველო და ირანი:

206 Paula Newton, 'Courting Iran and the West, Georgia walks a fine line.' 15/06/2012). <http://edition.cnn.com...> (წვდომა: 24/07/2016)

207 'Pundits Say More Pragmatism Needed in Ties with Iran.' (20/06/2007) <https://civil.ge/archives...> (წვდომა: 17/03/2021)

208 ინტერვიუ ირანის ისლამური რესპუბლიკის ყოფილ ელჩთან საქართველოში სეიედ ჯავად ყავამ შაჰიდისთან (30/08/2020).

იმავდროულად, ირანისათვის შემამოფოთებელი იყო ის ფაქტი, რომ ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში აშშ-ს შეეძლო საქართველოს ტერიტორიიდან დარტყმების განხორციელება. ამ საკითხმა სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა 2011-2012 წლებში, როდესაც რეგიონულ და მსოფლიო პრესაში აქტიურად განიხილებოდა დასავლეთის ან ისრაელის სამხედრო დარტყმის შესაძლებლობა ირანზე. თეირანს განსაკუთრებით აშფოთებდა საქართველოს მჭიდრო კავშირები ისრაელთან.<sup>209</sup> ირანული პრესაში ხაზგასმულიც კი იყო: „ისრაელი იყენებს ამ (პროდასავლურ) ქვეყნებს ირანის შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად.“ საქართველო-აშშ-ის მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები, ბუნებრივია, ხელს არ უწყობდა ირანთან კონტაქტების გამყარებას. ამ მხრივ, საინტერესოა ‘ვიკილექსის’ მიერ გამოქვეყნებული საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩის, ჯონ ბასის წერილი, რომელშიც აღნიშნულია: „საქართველო ცდილობს ურთიერთობების განვითარებას ირანთან. საქართველო ეთანხმება ირანთან დაკავშირებული პოლიტიკის ჩვენი არგუმენტების უმრავლესობას და მზად არის უშუალოდ წარუდგინოს ეს საკითხები ირანს. თეირანი დღემდე გაღიზიანებულია იმ ფაქტით, რომ საქართველომ რამდენიმე წლის წინ შტატებს გადასცა ირანელი მოქალაქე... იმავდროულად საქართველოს არ შეუძლია განუდგეს გავლენიან რეგიონულ მეზობელს და მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორს, უპირველესად სეპარატისტული რეგიონების აღიარების პრევენციის თვალსაზრისით.“<sup>210</sup> საგულისხმოა, რომ რუსეთის ზეწოლის მიუხედავად, ირანი უპირობოდ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.<sup>211</sup>

ირანელი მკვლევარი ს. რ. მირთაჰერი საქართველოსა და ირანის ურთიერთობებს რეგიონში რუსეთისა და ნატო-ს დაპირისპირების ქრილში განიხილავს. ის აღნიშნავს, რომ ნატო-ს ექსპანსიისთვის საქართველო ერთ-ერთ პრიორიტეტულ სახელმწიფოდაა მიჩნეულია. ქვეყნის მდებარეობა კავკასიაში და შავი ზღვის პირას აორმაგებს საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. მეორე მხრივ კი, საქართველოს მჭიდრო ურთიერთობები აქვს ამერიკასთან სამხედრო და თავდაცვით სფეროში, რათა წინ აღუდგეს რუსეთის მუქარებს. თავის მხრივ, რუსეთის ხელისუფალნი ნატო-ს პერმანენტულ გაფართოებას რეალურ საფრთხედ აღიქვამენ. რუსეთის ხელისუფლებას აშფოთებს ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან ნატოს სამხედროებისა და შეიარაღების კონცენტრაცია. ნატო მხოლოდ ამით არ კმაყოფილდება და თავის სამხედრო ყოფნას [ამ სივრცეში] თან ურთავს სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო წვრთნებს საქართველოს მსგავს ქვეყნებში, რასაც რუსეთის თვალსაზრისით გააჩნია აგრესიული ხასიათი.<sup>212</sup>

ოფიციალური ირანული პოზიცია საქართველოსთან მიმართებაში მ. სააკა-შვილის პრეზიდენტობის პერიოდში საკმაოდ დეტალურად არის გაანალიზებული

209 აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ქართველმა სამართალდამცველებმა მოახერხეს თბილისში ისრაელის საელჩოს კუთვნილი ასაფეთქებლად გამოზნული ავტომობილის განაღობვა. ისრაელმა ამ ტერაქტის მომზადებაში ირანი დაადანაშაულა.

210 ‘WikiLeaks: Ambassador John Bass on Situation in Georgia.’ (12/14/2010). <https://matiane.wordpress.com..> (წვდომა: 15/03/2021).

211 სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებისადმი ირანის დამოკიდებულების შესახებ იხ. თავი IV.

212 Seyed Reza Mirtaheri, ‘Teshdid-e ruy-ā-ruy rusie va natu da ghafghaz-e janubi.’ (14/08/2018). <https://www.iribnews.ir...> (წვდომა: 11/07/2021).

„ირანისა და ევრაზიის კვლევითი ინსტიტუტის“ (IRAS) საინფორმაციო-ანალიტიკურ საიტზე 2013 წლის 3 და 13 აგვისტოს გამოქვეყნებულ ჰასან ბეჰეშიტიფურის ორნაწილიან სტატიაში “ბატონ აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის პერიოდში ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებთან ირანის ურთიერთობის ანალიზი“ ყურადღება განახვილებული ურთიერთობების როგორ ნეგატიურ, ისე პოზიტიურ მხარეებზე (ბუნებრივია, ირანული თვალთახედვიდან).

ირანელი მკვლევარი აღნიშნავს: იმის მიუხედავად, რომ ბატონ სააკაშვილს ჰქონდა ფართო ურთიერთობები ამერიკელებთან და დასავლელებთან და ის წარმოადგენდა ერთი ფერადი რევოლუციის პირმშოს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მისი თავდაცვის მინისტრი ისრაელის მოქალაქე იყო, დასავლეთთან ასეთი ფართო ურთიერთობების ფონზე იგი ცდილობდა, რომ ირანთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონოდა. საქართველოსთვის ამას რამდენიმე მიზეზით გააჩნდა მნიშვნელობა. პირველი მიზეზი ის იყო, რომ რუსეთთან დაპირისპირების ზენიტში [იგულისხმება 2006 წლის დასაწყისი და არა 2008 წლის ზაფხული], როდესაც ზამთარში შეწყდა რუსეთიდან საქართველოსათვის ბუნებრივი აირის გადაცემა, ირანმა მყისვე მიაწოდა გაზი საქართველოს და ამ კრიზისულ ვითარებაში დახმარება გაუწია სააკაშვილს. ირანის ასეთი ქმედება სააკაშვილისათვის ძალიან მნიშვნელოვანი და ფასეული იყო და ირანმაც მოიპოვა ავტორიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ ირანის ამ საქციელმა გაანაწყენა რუსები.

მეორე მიზეზი... მან ამერიკის წინააღმდეგობის მიუხედავად განახორციელა ვიზიტი ირანში. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ირანმა მკაფიოდ განაცხადა, რომ საქართველოსა და რუსეთის დაპირისპირებაში ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და სცადა გამიჯნულიყო რომელიმე ერთი მხარისათვის პირდაპირი მხარდაჭერისაგან. ეს ქმედებაც სააკაშვილისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მთლიანობაში ირანი არ ჩაერთო ამ კონფლიქტში და ტაქტიკური თვალსაზრისითაც არანაირად არ ისარგებლა ამით.

მესამე მიზეზი იყო ორ ქვეყანას შორის უვიზო მიმოსვლის დაწესება.<sup>213</sup>

საინტერესოა, რომ იგივე ჰ. ბეჰეშიტიფური, 2012 წლის არჩევნების შედეგებს აფასებდა, როგორც ამერიკის მარცხს საქართველოში და რუსეთთან საქართველოს დაახლოების შანსს. ამგვარ ვითარებაში კი იმედოვნებდა საქართველო-ირანის ურთიერთობების გაღრმავებას. ეს შეფასება, უფრო მეტად, ირანის ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

ეს პროგნოზი, ყოველ შემთხვევაში ირანთან ურთიერთობის თვალსაზრისით, მცდარი გამოდგა. ურთიერთობების გაუარესების ნიშნები უკვე 2012 წელს თვალსაჩინო გახდა, როდესაც საქართველოში დამკვიდრებულ ირანელებს გარკვეული პრობლემები შეექმნათ. 2012 წლის 29 ივლისს საქართველოში მცხოვრებმა ირანელმა ჯავად გოლჩინფარმა თავის ბლოგში მოუწოდა საქართველოში ირანელებს შეექმნათ კავშირი, რომლითაც საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა ექნებოდათ.<sup>214</sup>

213 <http://www.iras.ir/prtjxme8.uqehhzsffu.html> – ციტ. ნახუცრიშვილი, ‘მაჰმუდ აჰმადინეჟადის რეაქციონი მმართველობის საგარეო პოლიტიკის შეფასებები’, 8-9.

214 საქართველოში ირანელი რეზიდენტების კავშირის შექმნის შესახებ იხ. <http://gorjestan.blogspot.com/1391/05/08/post-26/> (08/05/1391 – 29/07/2012) (წვდომა: 27/05/2015).



საჭიროდ მიმაჩნია საქართველოში ირანელებისთვის შექმნილი პრობლემებისა და ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზების (საქმე უპირველესად ეხება ირანულ ბიზნესს და ირანელ ტურისტებს საქართველოში) უფრო დაწვრილებით განხილვა.

2013 წლის ივლისში საქართველომ ცალმხრივად შეაჩერა უვიზო რეჟიმის მოქმედება ირანელი მოქალაქეებისათვის (ოფიციალური ინფორმაციით, ამ აქტს დროებითი ხასიათი ჰქონდა).<sup>215</sup> საქართველოს მთავრობის ეს გადაწყვეტილება ირანის ოფიციალურ წრეებში მძაფრი კრიტიკის ობიექტი გახდა. თუმცა, თეირანს არ გადაუდგამს საპასუხო ნაბიჯი და არ დაუწესებია სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისათვის. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე საქართველოში მოქმედ ზოგიერთ ირანულ და ერთობლივ ირანულ-ქართულ კომპანიებს ბრალი დაედოთ ირანული სახელმწიფოს მიერ ფინანსირებული ორგანიზაციების (მაგ., ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის) კუთვნილი ფულის გათეთრებაში. *Wall Street Journal*-ში 2013 წლის ივნისში გამოქვეყნებულ სტატიამ ალნიშნული იყო, რომ ირანელმა ბიზნესმენებმა თავი შეაფარეს საქართველოს, კავკასიის რეგიონში შეერთებული შტატების დიდი ხნის მოკავშირეს, რათა მსოფლიოს უმეტეს ნაწილში მოქმედების შეუძლებლობის გამო, აქ სარგებელი მიეღოთ. ამის შემდეგ ქართულმა ბანკებმა არაერთი ირანული კომპანიისა და ინდივიდის ანგარიშები გააიხსნა. საქართველოს მთავრობა უარყოფდა ნებისმიერ კავშირს ამ გადაწყვეტილებასა და ზემოხსენებულ სტატიას შორის, ასევე ამერიკელი და ევროპელი პარტნიორების ზეწოლას. უვიზო რეჟიმის პირობებში ირანის არაერთი მოქალაქე გადმოვიდა დუბაიდან საქართველოში, სადაც აშშ-ის ზეწოლის გამო, ირანელთა ბიზნესს პრობლემები შეექმნა. იმავე ჯავად გოლჩინფარმა, ირანელმა, რომელიც თანამემამულეებს ეხმარებოდა საქართველოში ბიზნესის აწყობაში, ინტერვიუში აღნიშნა: „განსაკუთრებით საბანკო სექტორში, თბილისის სანქციებისათვის თავის ასარიდებელ საკვანძო ადგილად იქცა.<sup>216</sup> „ვაშინგტონის განსაკუთრებულ შეფოთებას იწვევდა სამი ბიზნესმენის – ჰუმანგ ჰოსეინფურის, ფურია ნაიების და ჰუმანგ ფარსუდის მოღვაწეობა, რომლებთანაც დაკავშირებით არსებობდა ეჭვი, რომ მათ მჭიდრო კავშირები ჰქონდათ „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსთან.“ ეს სამი ბიზნესმენი იყო ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიას“ დამფუძნებელი. ისინი ფლობდნენ ბანკსა და სხვადასხვა სახის უძრავ ქონებას საქართველოში. ირანულ კომპანიებს შორის, რომლებიც სხვადასხვა სახის ბიზნეს-შეხვედრებისთვის სტუმრობდნენ საქართველოს, არაერთი იყო, რომლებსაც აშშ-ის სანქციები ეხებოდა. სავიზო რეჟიმის გაუქმებამდე რამდენიმე კვირითა ადრე 52 ირანული კომპანიის 90 წარმომადგენელი ჩამოვიდა თბილისში ბიზნესისა და საინვესტიციო გარემოს შესასწავლად და პირველ ირანულ-ქართულ ბიზნეს ფორუმში მონაწილეობის მისაღებად. მათ შორის იყვნენ აშშ-ის მიერ შავ სიაში შეტანილი ოთხი კომპანიის წარმომადგენლები. ბანკების „სადერთა-ე ირან“, „ბანქ-ე თეჯარათ-ე ირან“, „სინა

215 საყურადღებოა, რომ საქართველოს მიერ უვიზო რეჟიმის შეჩერება ირანთან დროში დაემთხვა საქართველო-ირანის შეთანხმებას უვიზო რეჟიმის დაწესების შესახებ. ეს აქტი ასევე დაემთხვა პრეზიდენტ ჰასან რუჰანის ინაუგურაციას.

216 Benoit Faucon, et al., 'As Sanctions Bite, Iranians Invest Big in Georgia.' *The Wall Street Journal* (20/06/2013). <http://www.wsj.com...> (წვდომა: 23/05/2015).

ბანქ“ და საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩამდინარე წყლების მართვის კომპანია „ზოლალ ირან“<sup>217</sup> „ზოლალ ირან“ კი აშშ-ის მიერ ეჭვმიტანილია მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების ხელშეწყობაში.

საქართველოს ხელისუფლების ცალმხრივი გადაწყვეტილება სავიზო რეჟიმის აღდგენის შესახებ ნეგატიურად იყო აღქმული როგორც ირანის ოფიციალური წრეების, ისე პოლიტოლოგების, ბიზნესმენებისა და რიგითი მოქალაქეების მიერ. ალაედდინ ბორუჯერდიმ, იმ პერიოდში ირანის მეჯლისის ეროვნული უშიშროებისა და საგარეო პოლიტიკის კომიტეტის თამჯდომარემ ხაზი გაუსვა: „ზოგადად, ქვეყნები პატივს სცემენ საკუთარ ხელმოწერებს და აღებული ვალდებულებების ერთგული არიან... იმის გათვალისწინებით, რომ ტურისტული ინდუსტრია დღეს მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან ინდუსტრიადაა ითვლება... საქართველომ სანქციები დაუწესა საკუთარ თავს ირანელი მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმის გაუქმებით.“<sup>218</sup> ამავე კომიტეტის წევრი მანსურ ჰაყიყათფური კიდევ უფრო კატეგორიული იყო: „მისი დასავლელი და ამერიკელი პარტნიორებისადმი მლიქვნელობის გამო, საქართველოს მთავრობა ცდილობს ქულები დაიწეროს ამ არასწორი გადაწყვეტილებით.“<sup>219</sup> ზემოთ უკვე ნახსენები პოლიტოლოგი ჰასან ბეჰმთიფური, ირანის განვითარებისა და უშიშროების პერსპექტივის ინსტიტუტიდან (IDSP), წერდა: „საკუთარი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ, საქართველო დაემორჩილა ამერიკულ ნებას და შეიქმნა სერიოზული პრობლემები.“<sup>220</sup> თავის მხრივ, მაჰმუდ დავარიმ, ქართულ-ირანული სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ცენტრის დირექტორმა, განაცხადა: „2013 წლის 1 ივლისიდან, მკაცრმა სავიზო და საბანკო რეჟიმმა 1700 ირანელი აიძულა შეეწყვიტათ ბიზნესი საქართველოში. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ირანი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელსაც შეეხო „ლიბერალური სავიზო რეჟიმის გადახედვა.“<sup>221</sup> ირანის მოქალაქის ფარმად ყასემლუს შეხედულებით, „საქართველო არ არის ის ქვეყანა, სადაც ირანელებს წარმატების მიღწევა შეუძლიათ. თუ ექვსი თვის წინ ირანელები სარგებლობდნენ თავისუფალი სავიზო რეჟიმით, ახლა მათ ყველაზე ცუდად ეპყრობიან და ხშირად უარს ეუბნებიან ვიზის გაცემაზე.“<sup>222</sup> მარკ მალენიც კი, აშშ-ის მოქალაქე და იმ ხანებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გამგეობის წევრი, რომელსაც ვერ დააბრალებ ისლამური რესპუბლიკისადმი კეთილგანწყობას, 2014 წლის 28 ივლისით დათარიღებულ წერილში „საქართველო და ირანი, ქართველები და ირანელები“ იცავს საქართველოში მცხოვრები ირანელების ინტერესებს: „ხალხი ჩამოდიოდა. 99% საკმაოდ განათლებული, დასავლეთისკენ მზერი, მეტ-ნაკლებად შეძლებული ხალხი იყო,

217 Iranian Business Forum in Georgia. (02/07/2013). <http://www.civil.ge/eng...> (წვდომა: 22/09/2014)

218 Personal website of Alaeddin Boroujerdi (1392/04/12–03/07/2013) <http://www.borojerdi.ir...> (წვდომა: 25/09/2015).

219 Young Journalists Club. (16/04/1392 – 07/07/2013). <http://www.azarsalam.ir/news/4747> <http://www.yjc.ir/fa/news/4455767> (წვდომა: 16/08/2015).

220 <http://www.idsp.ir/fa/pages/?cid=10669> (16/04/1392 – 07/07/2013) (წვდომა: 13/08/2015).

221 <http://www.radiofarda.com/content/f8-goergia-iran-trade/25122643.html> (წვდომა: 09/08/2014).

222 Farshad Ghasemloo. <http://gorjstan.blogspot.com/comments/post-26> (Web-page “Georgia. Iranians in Georgia” (In Persian) (16/05/2014 – 26/02/1393) (წვდომა (14/06/2015).

რომელთაც მხოლოდ ის სურდათ, რომ მოღვაწეობის შესაძლებლობა ჰქონოდათ ირანის საზღვრებს გარეთ, მაგრამ მისგან ახლოს. მხოლოდ 1% თუ იყო ფულის გამთეთრებელი ან უარესი. ნებისმიერ შემთხვევაში, სისტემა მუშაობდა და მრავალმა ირანელმა დაიწყო კავშირების აღდგენა. მათი უმრავლესობა სულაც არ ზრუნავდა სამუშაოს შოვნაზე, მათ მხოლოდ სურდათ ეყიდათ სახლი, წაეყვანათ შვილები სკოლებში. მათ ჰქონდათ ფული, რომლის ინვესტირებასაც იმედოვნებდნენ. ისინი უფრო ფულის დახარჯვით იყვნენ დაინტერესებული, ვიდრე შოვნით.... მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა. ირანელები ცოტანი დარჩნენ. ფულის გამთეთრებლები კი, რა თქმა უნდა, კვლავაც არიან, რადგან ისინი ყოველთვის იპოვიან კანონისთვის გვერდის ავლის გზას. მაგრამ ოჯახებმა, რომლებმაც სახლები იყიდეს, უმეტესად დატოვეს ქვეყანა. ნაწილი ირანში დაბრუნდა, ნაწილმა კი ღუბაის ან თურქეთს, ევროპას თუ ჩრდილოეთ ამერიკას მიაშურა.<sup>223</sup>

2014 წლის 1 სექტემბერს ამოქმედდა „საქართველოს კანონი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ლეგალური სტატუსის შესახებ“. ირანის ისლამური რესპუბლიკა არ იყო იმ 94 ქვეყანას შორის, რომელთა მოქალაქეებსაც შეეძლოთ უვიზო რეჟიმით სარგებლობა. ზემოაღნიშნული კანონის ამოქმედებიდან რამდენიმე დღეში, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე ეწვია თეირანს. ვიზიტის წინ მან განაცხადა, რომ ვიზების საკითხი ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი თემა იქნებოდა. ირანიდან დაბრუნების შემდეგ კი მან აღნიშნა: „იყო რთული და ხისტი შეხვედრა ირანის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილესთან... შეხვედრა დიდ პოლემიკაში არ გადაზრდილა, მაგრამ ყველაფერი შეგვახსენეს და არც ჩვენ დავრჩით ვალში. შეგვახსენეს ისიც, რომ ჩვენ თავის დროზე – რაც არ ვიცოდი, ირანელი მეცნიერი დავაკავეთ, რომელიც ამერიკელებს გადაეცით და შემდეგ ამერიკელებმა დააბრუნეს.“<sup>224</sup>

თედო ჯაფარიძის ირანში ვიზიტთან დაკავშირებით, ჯ. გოლჩინფარი წერდა: „ამ ყოველგვარ აზრს მოკლებული შეხვედრების ნაცვლად, ირანის მთავრობამ უნდა იზრუნოს საქართველოში ირანელთა ბედზე. დადგა დრო, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს დაეუსვათ კითხვა, რატომ არ დგამს ის ნაბიჯებს ირანსა და საქართველოს შორის უვიზო რეჟიმის აღდგენისათვის.“<sup>225</sup>

საერთო ჯამში, ეჭვგარეშეა, რომ უვიზო რეჟიმის შეჩერებამ ირანთან საქართველოს ზიანი (ბუნებრივია, პირველ რიგში, ეკონომიკური) მიაყენა. დღევანდელი გადმოსახედიდან, თითქოს ჩანს, რომ აშშ-ის ზეწოლის პირობებში, საქართველოს ხელისუფლებას მაინც შეეძლო მოეძია უფრო რაციონალური და სამივე მხარისთვის (საქართველო, ირანი და აშშ) გადაწყვეტილება (მაგ., ქვეყანაში ირანელთა შემოსვლის მკაცრი კონტროლი, მათი ყოველმხრივ შემოწმება და ა.შ.) მალე ქართულმა მხარემ დაიწყო ზრუნვა მდგომარეობის გამოსწორე-

223 მარკ მალენის ბლოგი (2013). <http://www.georgianjournal.ge/blog...> (წვდომა: 24/05/2015).

224 'თედო ჯაფარიძე: ირანში ძალიან რთული ვიზიტი გვექონდა.' (2014). <http://www.interpressnews.ge...> (წვდომა: 14/01/2015)

225 ირანის ხელისუფლების კრიტიკა იხ. <http://gorjstan.blogspot.com/page/6> (07/07/2014) – ჯაფარიძის არაფრისმომცემი ვიზიტის შესახებ იხ. <http://gorgiran.com/2014/09/06/> (06/09/2014).

ბისთვის და არაერთი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით. 2016 წლის თებერვალში, „ბირთვულ პროგრამაზე“ შეთანხმების მიღწევის შემდეგ კი, უვიზო რეჟიმი კვლავ ამოქმედდა. შესაბამისად, ირანისათვის საქართველომ ისევ დაიბრუნა ტურისტული თუ საქმიანი მიმზიდველობა. ტურისტების მოზღვავებისა და სავაჭრო ურთიერთობების გაცხოველებიდან გამომდინარე, ა. ვატანკამ საქართველო ირანელთათვის ერთგვარ ჩრდილოეთ დუბაიდ მოიხსენია.<sup>226</sup>

ტრამპის პრეზიდენტობის დროს აშშ-ის ბირთვული შეთანხმებიდან გამოსვლის და ამ შეთანხმების პრაქტიკული ჩაშლის შემდეგ, საქართველოს აღარ დაუწესებია სავიზო რეჟიმი ირანისთვის, თუმცა უკიდურესად გამკაცრდა ირანელთა ქვეყანაში შემოსვლის პროცედურები.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ 2018 წლის მიწურულს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ირანის მოქალაქეებისადმი გასცა „მტკიცე რეკომენდაციები“ საქართველოში ჩასვლისგან თავის შეკავების თაობაზე. ირანული მედიის ინფორმაციით, თეირანმა სწორედ ასე უპასუხა საქართველოს ხელისუფლების სვლას – თავის ტერიტორიაზე ირანის მოქალაქეების მასობრივ არშეშვებასთან დაკავშირებით. თეირანი თბილისთან ურთიერთობების გარკვევას ცდილობდა და კერძოდ, საიმიგრაციო პოლიტიკის ახსნასა და დეპორტაციის მიზეზების მკაფიო განმარტებას მოითხოვდა.<sup>227</sup> ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა ბაჰრამ ყასემიმ განაცხადა, რომ არაერთი ირანელის უკან გამობრუნების მოტივები გაუგებარია. მათ ყველა საბუთი წესრიგში ჰქონდათ. ქართულმა მხარემ უნდა განგვიმართოს ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზები.<sup>228</sup> მისივე სიტყვებით, აეროპორტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები გამშვებ პუნქტზე, საბუთების შემოწმების დროს ირანელ ქალბატონებს ჩადრის მოხსნას აიძულებდნენ. ამის შესახებ ირანის საგარეო უწყებას ინფორმაცია თავად მგზავრებმა მიაწოდეს.<sup>229</sup> ბაჰრამ ყასემიმ ასევე დასძინა, რომ 2018 წლის 2 დეკემბერს საქართველომ, თავისი სახმელეთო და საჰაერო საზღვრებიდან, სხვადასხვა მიზეზებით, 200 ირანელი მოქალაქე გააძევა და უკან, ირანში დააბრუნა. „ზოგიერთ დეპორტირებულ მოქალაქეს დოკუმენტები სრულ წესრიგში ჰქონდა, მაგრამ მათ საქართველოში შესვლის ნება მაინც არ დართეს. ჩვენთვის უცნობია საქართველოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზები. ჩვენ ვგომობთ ასეთ

226 ალექს ვატანკა – საქართველო ირანისთვის ერთგვარი ჩრდილოეთის დუბაი გახდა. (16/02/2016). <https://www.bpn.ge/article/20218> (წვდომა: 12/02/2022). დუბაისთან შედარება შემთხვევითი არ არის. საამირო ირანელი ტურისტებისთვის რჩეული ადგილია, მაგრამ ასევე წარმოადგენდა ირანელთა ბიზნეს-აქტივობების უმნიშვნელოვანეს ცენტრს. თუმცა, არაერთი ირანელი კომპანია გამოაძევეს დუბაიდან სანქციების დარღვევისა და ფულის გათეთრების ბრალდებით. ამ კომპანიების ნაწილმა ფუნქციონირება განაგრძო სხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოსა და სომხეთში, მაგრამ აშშ-ის ზეწოლით, მალე აქაც დაიხურა (იხ. თავი V).

227 ლელა კუნჭულია, 'ირანი და საქართველო ეკონომიკისა და საერთაშორისო პოლიტიკის სარკეში.' (18/04/2017). <https://www.radiotavisupleba.ge...> (წვდომა: 25/05/2017)

228 'Iran Laments Georgia's Deportation of Nationals.' 03/12/2018). <https://www.tasnimnews.com/en...> (წვდომა: 19/12/2018)

229 'ირანი საქართველოს პრეტენზიებს უყენებს.' (17/08/2018) <http://www.resonancedaily.com...> (წვდომა: 15/03/2021)

მოქმედებას და გვსურს ამ საკითხის გასარკვევად ქართულ მხარესთან მოლაპარაკება გავმართოთ.<sup>230</sup>

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკით, 2018 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოში შემოსვლაზე უარი უთხრეს 12 513 პირს. მათგან უარის თქმის მაჩვენებლით პირველ ადგილზე იყო ირანი. საქართველოში ირანის 1949 მოქალაქე არ შემოუშვეს. მარტივად რომ ვთქვათ, ყოველი 131 ადამიანიდან 1-ს საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვა. 2014 – 2017 წლების სტატისტიკით, ირანი რიგით მეოთხე ქვეყანა იყო, საქართველოში შემოუშვებლობის სტატისტიკის თანახმად. ამ წლებში ირანის 2665 მოქალაქეს ეთქვა ქვეყანაში შემოსვლაზე უარი, რაც საერთო უარების 10 %-ია.<sup>231</sup>

მდგომარეობა არც შემდეგ გამოსწორებულა. მაგალითად, 2021 წლის 22 სექტემბერს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა სეიედ ხათიბზადე შემოთქვა გამოთქვა ირანის მოქალაქეების მიმართ საქართველოს მესაზღვრეების შეუფერებელი და მიუღებელი მოპყრობის თაობაზე და განაცხადა, რომ ირანის საელჩო თბილისში მუშაობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ამ საკითხის მოსაგვარებლად. ასევე მიდის მუშაობა თეირანში საქართველოს საელჩოსთან. იგი იმედს გამოთქვამდა, რომ საქართველოს შესაბამისი უწყებები უსწრაფესად მოაგვარებდნენ ამ პრობლემას.<sup>232</sup>

ირანის ყოფილმა ელჩმა საქართველოში ყავამ შაჰიდიმ ინტერვიუში ხაზი გაუსვა: „საქართველომ, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებში საკუთარი ინტერესების შენარჩუნებასთან ერთად, თავისი პოლიტიკის ეპიცენტრში უნდა დააყენოს ირანთან მჭიდრო თანამშრომლობა და გრძელვადიანი თანამშრომლობის სტრატეგიები არ უნდა შესწიროს ირანთან სხვა ქვეყნების დროებით და წარმავალ კონფლიქტებს.“<sup>233</sup>

აღსანიშნავია, რომ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ დაწესებული სანქციები რამდენიმე ქართულ კომპანიასაც შეეხო (იხ. ქვემოთ).

საგულისხმოა, რომ 2020 წელს, წინასაარჩევნო პერიოდში, ოპოზიციურმა მედიამ არაერთხელ დადო ბრალი მმართველ პარტიას ირანული ბიზნესის ლობირებასა და ირანთან ფარულ გარიგებებში სანქციების გვერდის ავლით. თ. პიტიურიშვილი სამართლიანად აღნიშნავს: „პარტიებს შორის ურთიერთობაში ირანთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი სენსიტიური თემაა, რომელიც წინასაარჩევნო რადიკალიზაციასა და პოლარიზაციაში ადვილად გადაიქცევა კომპრომატად.“<sup>234</sup>

ამგვარად, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები დათბობა-გაცივების რეჟიმით ხასიათდება. ამიტომაც შევარ-

230 'დიდი სკანდალი საქართველოსა და ირანს შორის.' (05/12/2018). <http://www.resonancedaily.com...> (წვდომა: 13/07/2019)

231 ელზა პაპოშვილი, 'საქართველო ირანის წინააღმდეგ ამერიკის უმკაცრეს სანქციებს შეუერთდა?' (05/12/2018). <http://www.resonancedaily.com...> (წვდომა: 17/04/2019)

232 'Barkhurd marzbani gorjestan ba iraniyan maghim in keshvar dar dast-e pigiri ast.' (22/09/2021). <http://www.irna.ir...> (წვდომა: 15/12/2021).

233 ინტერვიუ ირანის ისლამური რესპუბლიკის ყოფილ ელჩთან საქართველოში სეიედ ჯავად ყავამ შაჰიდისთან (30/08/2020).

234 თეა პიტიურიშვილი, 'ირანის თემა და 2020 საარჩევნო წელი საქართველოში (ქართული მედიამასალებების მიხედვით).' ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, XIII, 439.



ჩიეთ ამ ქვეთავის სახელწოდებად „ცივი კეთილმეზობლობა“. ქართველი მკვლევარი კ. კაკაჩია 2013 წელს წერდა, რომ თბილისის პერსპექტივიდან, ირანი მიჩნეულია „პრაგმატიკოს რადიკალ“ აქტორად რეგიონში, რომელსაც აქვს რუსეთის გეოპოლიტიკური ამბიციების საპირწონე როლის შესრულების პოტენციალი.<sup>235</sup> „პრაგმატიკოსად“ ირანის შეიძლება რეგიონული პოლიტიკის თვალთახედვიდან დახასიათდეს, „რადიკალად“ კი – გლობალურის. თუმცა, რუსეთის მეტოქედ ქვეყნის პოტენციალი, მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში ირანს არ გააჩნია. მოსკოვის, თეირანისა და თბილისის სამმხრივი ურთიერთობებში თეირანი, დღევანდელი მოცემულობიდან გამომდინარე, ქართული მხარის მხარდამჭერი ვერ გახდება. ზოგადად კი, „ირანისთვის გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოში რუსული პროტექციის საჭიროება გახდა ირანისთვის შემაკავებელი ფაქტორი სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი რეგიონულ პოლიტიკის გატარებისთვის.“<sup>236</sup> ქართველი მკვლევარი გ. ნოდია 2010 წელს წერდა, რომ ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზებით, საქართველო შეიძლება მიაღწიოს ურთიერთობების იმავე დონეს, რაც ირანს დღეს აქვს თურქეთთან, აზერბაიჯანთან სომხეთთან.<sup>237</sup> გასული ათწლეულის მანძილზე, გარკვეული წინსვლის მიუხედავად, მსგავსი გარღვევა ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ მოხდარა.

ამასთანავე, გადაჭარბებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ პროდასავლურ, მოდერნიზებულ საქართველოს არაფერი აქვს საერთო ირანთან, თუ არ ჩავთვლით სპარსული ენისგან შეთვისებულ ზოგიერთ ნასესხებებ გამოთქმასა თუ სიტყვას.<sup>238</sup> ამ პრინციპით. აშშ-ს არაფერი საერთო უნდა ჰქონდეს საუდის არაბეთთან და ა.შ. მსგავსი ქვეყნების პროდასავლურობის მიუხედავად, შეუთავსებელი ბევრი რამ შეიძლება იყოს. საქართველოსა და ირანს, განსხვავებული პოლიტიკური ვექტორების გარდა, აქვთ საერთო ინტერესებიც – პოლიტიკურიც და ეკონომიკურიც. რამდენად შესაძლებელია ამ ინტერესების წინწამოწევა და მათი თანმთხვევის საფუძველზე ქვეყნების დაახლოება – მომავალი გვიჩვენებს.

წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი 2008 წელს საქართველოს მიმართ ირანის პოლიტიკის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის გამოყოფდა: 1) ირანს, როგორც ტერიტორიულად დაკმაყოფილებულ სახელმწიფოს, არ აქვს პრეტენზიები მეზობლების, მათ შორის საქართველოს მიმართ და აღიარებს ამ ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას. 2) საქართველოს მაგალითზე ირანი გამოდის აშშ-ისა და ნატო-ს პოზიციების გაძლიერების წინააღმდეგ რეგიონში და მხარს უჭერს რუსეთის ინტერესებს. 3) ნავთობ და გაზსადენის საქართველოს ტერიტორიით ტრანზიტი არ შეესატყვისება ირანის ეკონომიკურ ინტერესებს და ამცირებს მისი, როგორც კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის სატრანზიტო ტერიტორიის მნიშვნელობა. 4) ირანი დაინტერესებულია საქართველოს სატრანზიტო გზებით შავი

235 Kornely Kakachia, 'The Lost Empire: Iran's Cautious Return to Georgia.' In: Kornely Kakachia and Michael Cecire (eds), *Georgian Foreign Policy The Quest for Sustainable Security* (Konrad-Adenauer-Stiftung, 2013), 130.

236 Therme, 'Iranian Foreign Policy towards the South Caucasus,' 140.

237 Ghia Nodia, 'Georgia Walks A Line Between Washington And Tehran.' (19/11/2010). <https://www.rferl.org..> (წვდომა: 03/02/2011).

238 Sharashenidze, 'The Role of Iran in the South Caucasus.'

ზღვისა და ევროპისაკენ.<sup>239</sup> 5). ირანი ყურადღებას აქცევს საქართველოს მუსლიმურ მოსახლეობას. როგორც აზერბაიჯანში, საქართველოშიც ამ თვალსაზრისით მას უხდება კონკურენცია თურქეთთან. ეს პირველ რიგში ეხება საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობას. ყველა ეს ფაქტორი დღესაც მოქმედებს და მათგან ზოგიერთის შესახებ შემდეგ თავებში იქნება საუბარი.

---

239 სანიკიძე, 'ირანი და სამხრეთ კავკასია: ისტორიული მემკვიდრეობა და ახალი გამოწვევები.' 24 საათი (28/04/2008). უნდა აღნიშნოს, რომ მამუკა ქურასბედიანი 2010 წელს გამოქვეყნებულ ბროშურაში 'საქართველო-ირანის ორმხრივი ურთიერთობების გააქტიურების პერსპექტივა' (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2010) თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ამ პასაჟს, მაგრამ რატომღაც ავტორის მითითების გარეშე.

## თავი IV

### ირანი და სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებთან დაკავშირებით ირანს საკმაოდ ფრთხილი პოზიცია უკავია. პირველ რიგში, ეს შეეხება უშუალოდ ირანის საზღვრის სიახლოვეს არსებულ სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირებას მთიანი ყარაბაღისთვის. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების შემთხვევაშიც ირანის პოლიტიკის განმაპირობებელი ორი უმთავრესი ფაქტორია დასავლეთის რეგიონში მიმდინარე პროცესებში ჩართვის მიუღებლობა და რუსეთის ინტერესების გათვალისწინება. თუმცა, ამ შემთხვევაში ირანი არ არის რუსეთის 'ნების' უპირობო აღმსრულებელი, რაც კარგად გამოჩნდა, მაგალითად, ირანის თავშეკავებული პოზიციით საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით და 'არალიარების პოლიტიკის' თანმიმდევრული დაცვით. ირანული რიტორიკა საკმაოდ აგრესიულია სამხრეთ კავკასიაში 'დასავლურ' და 'სიონისტურ' ჩართულობასთან დაკავშირებით. ამასთანავე, „თეირანი ყოველთვის მედიატორად წარმოსახავდა თავს რეგიონში სამი მთავარი კრიზისის – სომხურ-თურქული ქიშპის, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის, ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მომავლის თაობაზე.“<sup>1</sup>

### ყარაბაღის პირველი ომი და ირანი

ბუნებრივია, ირანისთვის ბევრად უფრო სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია ყარაბაღის კონფლიქტი, რომელიც უშუალოდ მის საზღვრებთან მიმდინარეობდა.<sup>2</sup> უნდა გავიზიაროთ ედმუნდ ჰერციგის შეხედულება, რომელიც აღნიშნავს, რომ ყარაბაღის კონფლიქტი ჩრდილოეთიდან წამოსული ყველაზე სერიოზული გამოწვევა იყო ირანის უსაფრთხოებისთვის 1940-იანი წლების შემდეგ.<sup>3</sup>

ამასთანავე, ირანს გარკვეული ისტორიული ბმაც აქვს ყარაბაღის რეგიონთან. ირანულ ისტორიოგრაფიაში მთიანი ყარაბაღი ისტორიული სპარსეთის ნაწილადაა მიჩნეული. ყარაბაღი წარმოადგენდა სპარსეთ-რუსეთს შორის XIX საუ-

1 Christian Bataille & Roland Blum, 'La situation dans le Caucase du Sud.' Rapport d'information de la Commission des affaires étrangères de l'Assemblée nationale (16/05/2010), 62.

<http://www.assemblee-nationale.fr...> (წვდომა: 23/11/2020)

2 ყარაბაღის კონფლიქტის შედეგად ირან-აზერბაიჯანის საზღვრის 733 კმ-იანი მონაკვეთიდან 132 კმ-ს 2020 წლის შემოდგომამდე ყარაბაღის არალიარებული რესპუბლიკა აკონტროლებდა. ეს აღნიშნული იყო აზერბაიჯანის უსაფრთხოების კონცეფციაში და მიიჩნეოდა საფრთხედ. სომხური მხარის მიერ საზღვრის ამ მონაკვეთის კონტროლის პირობებში, ირანი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელიც ესაზღვრებოდა სომხეთსაც, აზერბაიჯანსაც და ყარაბაღსაც.

3 მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, აზერბაიჯანის ტერიტორიულ გაფართოების პერსპექტივის წარმოქმნასთან ერთად, სომხურმა მხარემ წამოსწია ყარაბაღის საკითხი. 1945 წლის ნოემბერში სომხეთის ლიდერმა ყარაბაღის გადმოცემის შესახებ წერილობითი თხოვნით მიმართა სტალინს იმ იმედით, რომ ეს შესაძლებელი გახდებოდა ირანის ხარჯზე აზერბაიჯანის გაფართოების შემთხვევაში. იხ. მაგ., Arsène Saparov, 'Ethnic Conflict in Nagornyi Karabakh – A Historical Perspective.' Caucasus Analytical Digest, (14/06/2016), no. 84, Karabakh Conflict, Special Editor: Jeronim Perović, 6. <http://www.laender-analysen.de...pdf>.

კუნის ორივე ომის ასპარეზს. ყარაბაღი გეოსტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი რეგიონი იყო დაპირისპირებული მხარეებისთვის. აზერბაიჯანელ ისტორიკოსს, ა. გულიევს მოჰყავს XIX საუკუნის პოეტის აჰმედმეფ ჯავანშირის სიტყვები: „მუშის ციხესიმაგრე ირანელთათვის ამიერკავკასიის გასაღებია, რუსებისთვის – კარიბჭე ირანისკენ.“<sup>4</sup> 1805 წელს რუსების მიერ ყარაბაღის დაკავება დადასტურდა 1813 და 1828 წლების გულისტანისა და თურქმენჩაის ხელშეკრულებებით. ირანს ამის შემდეგ აღარ გამოუთქვამს ყარაბაღზე (ისე, როგორც მთლიანად აზერბაიჯანსა და აღმოსავლეთ საქართველოზე) რეალური პრეტენზია. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ირანს რეგიონში მიმდინარე პროცესებისადმი ინტერესი გაუქრა. პირიქით, მისი საზღვრების უშუალო სიახლოვეს მიმდინარე კონფლიქტი ბუნებრივად იყო თეირანის შეშფოთების, სამხრეთ კავკასიაში მისი პოზიციების შესუსტებისა თუ გამყარების წყარო. რეგიონის მეზობელ სხვა მნიშვნელოვან გარე აქტორებთან ერთად, ირანი ჩართული აღმოჩნდა რთულ გეოპოლიტიკურ თამაშში.

კონფლიქტთან უშუალო შეხების მქონე სამი გარე ძალიდან (ირანი, თურქეთი და რუსეთი), ირანს, ალბათ, მაინც ყველაზე ნეიტრალური პოზიცია ჰქონდა (და დღესაც აქვს), განსხვავებით თურქეთისგან, რომელიც აზერბაიჯანის უპირობო მხარდამჭერია და რუსეთისგან, რომელიც ცდილობს (წარმატებითაც) მხარეთა შორის წინააღმდეგობები რეგიონში საკუთარი პოზიციების გასამყარებლად გამოიყენოს.

რაც არ უნდა პარადოქსულად უღერდეს დღევანდელი გადმოსახედიდან, კონფლიქტის საწყის ეტაპზე ირანის პოზიცია ბევრად უფრო პროაზერბაიჯანული იყო, ვიდრე პროსომხური. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასაწყისში არც თურქეთის პოზიცია ყოფილა გამოკვეთილად პროაზერბაიჯანული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთი სომხეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების მოსურნე იყო და, მართლაც, ამ მიმართულებით ორივე მხარე აქტიურობას იჩენდა. მაგრამ 1992 წლის გაზაფხულიდან, ყარაბაღის კონფლიქტის სულ უფრო მძაფრ საომარ მოქმედებებში გადაზრდის პირობებში, „ანკარა აღმოჩნდა შუალედური პოზიციის ძიების პროცესში აზერბაიჯანის ღია მხარდამჭერასა და სასურველი ბალანსის პოლიტიკას შორის.“<sup>5</sup>

პირველი ომის დასრულების შემდეგ, 1996 წელს, თურქეთის სამშვიდობო გეგმა შემდეგი სახის იყო: სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ფართო ავტონომია მთიანი ყარაბაღისთვის, სომხური ჯარების გასვლა ოკუპირებული ტერიტორიებიდან და ლტოლვილთა დაბრუნება. სომხეთთან საზღვრის დაკეტვა გამართლებული იყო, როგორც აუცილებელი ინსტრუმენტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მშვიდობის დამყარებისთვის – მშვიდობისა, რომელიც თურქული მხარის დაპირებით, სომხეთს „კავკასიის ერთ-ერთ უმდი-

4 Aliovsat N. Guliev, *The history of Azerbaijan*. (Baku: Maarif, 1976), 227. საინტერესოა, რომ 2020 წლის ომის დასრულების შემდეგ, 17 დეკემბერს, გაზეთ 'ეთელაათში' გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ჩატარდებოდა კონფერენცია „ყარაბაღი სპარსულ კულტურულ და ცივილიზაციურ ისტორიაში“, რომლის ორგანიზატორიც იყო საარქივო და დოკუმენტური კვლევების ნაციონალური ორგანიზაცია. იხ. Barresi pishine garebâgh dar târikh-e farhang va tamadon irâni. <https://www.ettelaat.com...> (წვდომა: 27/12/2021).

5 Michael P. Croissant, *The Armenia-Azerbaijan Conflict: Causes and Implications* (Westport, CO: Praeger, 1998), 81.

დრეს ქვეყნად აქცევდა.<sup>6</sup> თუმცა, გამარჯვებული სომხეთისთვის ამგვარი პირობები მიუღებელი გამოდგა.

მაღე თურქეთი იქცა აზერბაიჯანის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად. მიუხედავად ამისა, შემდგომშიც იყო სომხეთთან ურთიერთობების დალაგების მცდელობები, ეს კი აზერბაიჯანის უკმაყოფილებას იწვევდა. მაგალითად, კრიზისული სიტუაცია შეიქმნა 2009 წელს როდესაც თურქეთი შეეცადა სომხეთთან ურთიერთობების გამოსწორებას. ეს ნაბიჯი, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში ყოველგვარი პროგრესის მიღწევის გარეშე, ბაქოს მიერ თურქი მოკავშირის მხრიდან ღალატის ტოლფასად იქნა აღქმული. შესაბამისად, თურქეთი ამ თვალსაზრისით აზერბაიჯანის 'მძევლად' იქცა და შემდგომში, 2020 წლის ომის დასრულებამდე, სომხეთთან დაახლოების მცდელობები პრაქტიკულად აღარ განმეორებულა. თუმცა, ამასაც არ შეუშლია ხელი თურქეთისთვის, რომ განავითარებინა სომხეთთან ეკონომიკური კავშირები და გადაქცეულიყო მის ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო პარტნიორად.

რაც შეეხება რუსეთს, მოჩვენებითი ნეიტრალიტეტის მიუხედავად, ის ყოველმხრივ ცდილობდა ორი კავკასიური ქვეყნის დაპირისპირება საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინა. სომხეთთან სტრატეგიული პარტნიორობისა და „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებაში“ სომხეთის წევრობის მიუხედავად, ის იარაღს აწვდიდა აზერბაიჯანსაც, რომელსაც ეს უკანასკნელი რუსეთის სტრატეგიული მოკავშირის, სომხეთის წინააღმდეგ იყენებდა. გაზიარებული შეხედულებით, „რუსეთის სამხედრო მრეწველობამ მნიშვნელოვანი დივიდენდები მიიღო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტიდან სამხედრო აღჭურვილობით ორივე მხარის მარაგებით“.<sup>7</sup>

ირანი, ალბათ, თურქეთთან და რუსეთთან შედარებით, მართლაც ნეიტრალური მხარედ შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, საერთო ჯამში, თეირანი ბევრად უფრო მეტ კეთილგანწყობას იჩენდა ერევნის, ვიდრე ბაქოს მიმართ, რასაც თავისი განმაპირობებელი ფაქტორები ჰქონდა.

ირანი თავიდანვე შეეცადა მედიატორის ფუნქცია შეესრულებინა ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის. პირველი ასეთი მცდელობა 1992 წლის მარტში განხორციელდა, როდესაც ორივე მხრიდან მაღალი რანგის დელეგატების მონაწილეობით თეირანში გამართულ მოლაპარაკებებზე მოხდა შეთანხმების მიღწევა „ცეცხლის დროებითი შეწყვეტის, აზერბაიჯანის მხრიდან სომხეთისთვის ბლოკადის მოხსნის, სადამკვირვებლო ძალების განთავსების, ტყვეებისა და ცხედრების გაცვლის შესახებ“.<sup>8</sup> თუმცა ეს, ისე როგორც სხვა შეთანხმებები, არ შესრულებულა.

ირანის საშუამავლო ძალისხმევა გაგრძელდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ერთ კვირაში დარღვევის შემდეგაც. 1992 წლის მაისში ირანის პრეზიდენტმა რაფსანჯანიმ უმასპინძლა დაპირისპირებული მხარეების პრეზიდენტებს. შედეგად, ხელი მოეწერა ერთობლივ დეკლარაციას, რომლის მიზანსაც

6 Mirzoyan, Armenia, the Regional Powers, and the West, 84.

7 ნავთობის განსაკუთრებული გაძვირების პერიოდში, აზერბაიჯანი ევროპაშიც შეიარაღების ერთ-ერთი ყველაზე დიდი შემსყიდველი გახდა.

8 Abdollah Ramezanzadeh, 'Iran's Role as Mediator in the Nagorno-Karabakh Crisis.' In: Bruno Coppieters (ed.) Contested Borders in the Caucasus. (Brussels: VUBPress, 1996), 3.



შეადგენდა „რეგიონში სტაბილურობის აღდგენა, დაფუძნებული საერთაშორისო სამართალზე და გაერო-ს ქარტიის პრინციპებზე.“<sup>9</sup> თუმცა, იმ დროს, როდესაც სამი პრეზიდენტი მოლაპარაკებებს აწარმოებდა, საომარი მოქმედებების ინტენსიფიკაციის შედეგად, სომხურმა ძალებმა აიღეს შუშა. შუშის დაცემა, რასაც მოჰყვა კიდევ ერთი სტრატეგიული ქალაქის, ლაჩინის დაკავება, არამარტო შემობრუნების წერტილი იყო ომში, არამედ ასევე მოასწავებდა ირანის სამედიატორო ძალისხმევის კრახს.

შუშის დაკავების შემდეგ 1992 წლის მაისში – „უეცარმა სამხედრო ოპერაციამ აზერბაიჯანის წინააღმდეგ აზერბაიჯანელთა თვალში ზიანი მიაყენა ირანის, როგორც მედიატორის, რეგიონულ სტატუსს, განსაკუთრებით მთავრულმა ხმებმა, რომ ტერ-პეტროსიანმა წინასწარ იცოდა შეტევის შესახებ და გამოიყენა სამხრივი შეხვედრა თეირანში ამ შეთქმულების დასაფარად და აზერბაიჯანული თავდაცვის ძალების ყურადღების მოსაღწებლად.“<sup>10</sup>

ირანმა ოფიციალურად აირჩია „აქტიური ნეიტრალიტეტის“ პოზიცია – ღიად არ უჭერდა მხარს არცერთ მხარეს. ამასთანავე, როგორც უკანასკნელ წლებში გამჟღავნდა, მიუხედავად ოფიციალური ნეიტრალური პოზიციისა, ირანი ომის დასაწყისში ეხმარებოდა აზერბაიჯანს. ირანი, ერთი მხრივ, გამოხატავდა სომხეთის მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და, მეორე მხრივ, ჰუმანიტარულ დახმარებას უწევდა აზერბაიჯანელ ლტოლვილებს. აზერბაიჯანელი მკვლევარი ა. იუნუსოვი აღნიშნავს: „არსებობდა მონაცემები, რომ ისლამური რევოლუციის გუშაგები შემოსულები იყვნენ ირანიდან დიდძალი იარაღით.“<sup>11</sup> მოგვიანებით მოჰსენ რეზაიმი, ქვეყნის მოწყობის სარეგლამენტაციო საბჭოს მდივანმა და გუშაგთა კორპუსის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ერთ-ერთ ტელეინტერვიუში აღნიშნა: „მე პირადად გავეცი ყარაბაღში სიტუაციის შეფასების განკარგულება და აზერბაიჯანის არმიის სათანადო ევიპირებისა და გაწვრთნის ბრძანება... მრავალი ირანელი მონაწილეობდა ყარაბაღის ომში... არაერთი ირანელი მოწამე დაკრძალულია ბაქოში.“ 2011 წელს ალექრამ ჰემათევის, თალიშ-მულანის თვითგამოცხადებული ავტონომიური რესპუბლიკის (არსებობდა 1999 წლის ივნის-აგვისტოში) ყოფილი პრეზიდენტის სიკვდილის წლისთავის აღსანიშნავ გზავნილში, არდებილის პარასკევის ღამის იმამმა და სულიერი ლიდერის წარმომადგენელმა არდებილის პროვინციაში, აიათოლა ამელიმ აღნიშნა: „ირანმა ფართომასშტაბიანი ღონისძიებები განახორციელა აზერბაიჯანის მხარდასაჭერად. ბევრი ახალგაზრდა ჩამოვიდა აზერბაიჯანიდან ირანში ასიმეტრიულ ომში წვრთნის გასავლელად. ჩვენ დიდძალი იარაღი მივეცით ახალგაზრდა მებრძოლებს შუშის დასაცავად.“<sup>12</sup>

ამ ხანებში ირანის შედარებით პროაზერბაიჯანული პოზიციის დასტურად გამოდგება ქვეყნის უზენაესი ლიდერის აიათოლა ხამენის პოზიცია, რომელიც

9 Mohammad H. Afshordi, *Giopolitike Ghafhgāz va siasate khareji jomhuriē eslāmīe Irān*. (Tehran: ket-abkhaneie mellie iran, 2002), 41.

10 Moshen Dyanat, *The Emergence of the New Subordinate System in Southwest and Central Asia After the Collapse of the USSR*. PhD Thesis. (University of Exeter, 1998), 191.

11 Arif Yunusov, *Azerbaijan: The Burden of History – Waiting for Change*. (2003). [www.saferworld.org.uk...](http://www.saferworld.org.uk...) (წვდომა: 11/11/2020).

12 ციტ. Esfahani, *Iran's Foreign Policy in the South Caucasus*, 106.

საჯაროდ კიცხავდა სომხეთს, თუმცა იმავდროულად აფრთხილებდა სამღვდლოებს აზერბაიჯანულენოვან ქალაქებში, რომ არ გაეღვივებინათ რადიკალური განწყობები თავიანთ მრევლში.<sup>13</sup>

ე. სულეიმანოვი და ი. კრაუსი მიიჩნევენ, რომ ომმა ირანელ აზერბაიჯანელებს 'ჩრდილოელი ძმების' ხელახლა აღმოჩენის საშუალება მისცა ორმხრივი იზოლაციის ათწლეულების შემდეგ.<sup>14</sup> ბუნებრივია, ომმა მართლაც გარკვეულწილად შეცვალა ირანელ აზერბაიჯანელთა აღქმა ჩრდილოელი თანამემულებების მიმართ, მაგრამ ომი არ იყო ერთადერთი ფაქტორი, რამაც ხელის შეუწყობა ერთიანობის აღქმის (ნაწილობრივის მიანიც) გამოღვიძებდას. პირველ რიგში, ეს განაპირობა საბჭოთა კავშირის დაშლამ და საზღვრების გახსნამ.

ირანი აზერბაიჯანელი ლტოლვილების მთავარ დამხმარედ იქცა. 1992-93 წლებში ჰუმანიტარული და ლტოლვილების დახმარების უდიდესი ნაწილი ორგანიზებული იყო ირანის აზერბაიჯანული პროვინციებიდან. „ირანმა გააძლიერა საკუთარი ძალისხმევა, როდესაც სომხეთის ჯარებმა მიაღწიეს აზერბაიჯან-ირანის საზღვარს არაქსზე. აღმოსავლეთისკენ შემდგომ წინსვლას შეეძლო გამოეწვია არამხოლოდ ლტოლვილთა უზარმაზარი ნაკადის გადმოსვლა მდინარის მეორე ნაპირზე, არამედ აზერბაიჯანის სახელმწიფოს კოლაფსიც. ამ უკანასკნელს კი შეიძლება კატასტროფული შედეგები მოჰყოლოდა კასპიის რეგიონის უსაფრთხოებისთვის.“<sup>15</sup>

1993 წლის ნოემბერში სომხურმა ჯარებმა დაიკავეს ირანთან დამაკავშირებელი ხიდი. ირანმა საჯაროდ მოსთხოვა სომხეთს შეეწყვიტა თავდასხმები აზერბაიჯანის ქალაქებსა და სოფლებზე აზერბაიჯანის სამხრეთი საზღვრის სიახლოვეს. ირანის ტერიტორიაზე ლტოლვილების ნაკადის შეჭრის შემდეგ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ღრმა შეშფოთება იყო გამოთქმული უდანაშაულო ადამიანების განადგურების გამო. ირანი მოითხოვდა, რომ სომხურ ჯარებს სასწრაფოდ დაეტოვებინათ აზერბაიჯანის ყველა ოკუპირებული ტერიტორია (თუმცა, არ იყო დაზუსტებული, ოკუპირებულში იგულისხმებოდა მთიანი ყარაბაღი თუ მთიანი ყარაბაღის მიმდებარე რეგიონები). აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მთავარი საფიქრელი, რაც ლტოლვილთა საკითხმა გაუჩინა ირანს, ლოგისტიკის ტვირთი იყო. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ირანულმა ჯარებმა გადალახეს არაქსი, რასაც რუსეთის ხისტი რეაქცია მოჰყვა – მოსკოვი კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგი იყო.<sup>16</sup> ირანი კი ამ შემთხვევაში არანაირ სამხედრო ოპერაციას ან რომელიმე მხარის მხარდაჭერას არ ისახავდა მიზნად. საქმე ის იყო, რომ აზერბაიჯანელი დევნილების დიდი რაოდენობით საზღვართან კონცენტრაციის პირობებში, ირანის ხელისუფლებამ სამხედრო შენაერთები ადგილობრივ აზერბაიჯანულ ხელისუფლებასთან შეთანხმებაზე დაყრდნობით შეიყვანა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ბუფერული ზონის შესაქმნელად და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჰუმანიტარული დახმარების

13 Eliz Sanasarian, *Religious Minorities in Iran* (Cambridge University Press, 2000), 202.

14 Souleimanov & Kraus. *Iran's Azerbaijan Question*, 5.

15 Ramezanzadeh, 'Iran's Role as Mediator in the Nagorno-Karabakh Crisis', 106.

16 James J. Coyle, *Russia's Interventions in Ethnic Conflicts. The Case of Armenia and Azerbaijan*. (Palgrave Macmillan, 2021), 123.

გასაცემად.<sup>17</sup> რუსეთის ამგვარი არაადეკვატური რეაქცია კი იმის მაჩვენებელია, რომ იმ პერიოდშიც, როდესაც მოსკოვი არაერთი პრობლემის წინაშე იდგა, მაინც საკუთარი ზეგავლენას ზონად მიიჩნევდა სამხრეთ კავკასიას და ვერ ეპუებოდა აქ სხვა გარე აქტორის გამოჩენას.

როგორც აღნიშნა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები საკმაოდ დაიძაბა ელჩიბეის ხანმოკლე პრეზიდენტობის ხანაში ამ უკანასკნელის არაერთი ანტიირანული განცხადების გამო. მაგრამ დაძაბულობა მალე განიმუხტა ხელისუფლების სათავეში ჰეიდარ ალიევის მოსვლის შემდეგ. 1993 წლის ივლისში თავრიზში გამოსვლისას სამენემ განაცხადა: „სომხეთის ხელისუფლება და ყარაბაღის სომხები ჩაგრავენ რეგიონის მუსლიმებს, და ჩვენ ვგმობთ ყარაბაღის სომხების უახლეს ქმედებებს, რომლებიც მოქმედებენ სომხეთის მთავრობის მხარდაჭერით. ჩვენ ასევე ველოდებით, რომ სომხები ჩვენს ქვეყანაში დაგმობენ ამგვარ ქმედებებს.<sup>18</sup> დამატებით, როდესაც 1994 წელს ჰეიდარ ალიევი ეწვია ირანს, ირანის სულიერმა ლიდერმა აღნიშნა, რომ საკუთარი ქვეყნის დაცვა აზერბაიჯანელი ხალხის რელიგიური მოვალეობა იყო.<sup>19</sup> საგულისხმოა, რომ სამენემ ეს განცხადება სომხეთის წინააღმდეგ გაკეთდა ელჩიბეის მთავრობის დამხობის შემდეგ ჰეიდარ ალიევის ირანთან თვალსაჩინო დაახლოებისა და ირანის აზერბაიჯანის მოსახლეობის წნეხის ქვეშ.

ლარინზე სომეხთა მორიგი შეტევის შემდეგ თავრიზში საიდუმლოდ ვრცელდებოდა პროკლამაციები აზერბაიჯანში ‘ძმების’ დახმარების მოწოდებით. სიტუაცია იმდენად დაძაბული იყო, რომ ირანულ პოლიციას მიეცა ბრძანება ირანის აზერბაიჯანში სომხური მოსახლეობის დაცვის შესახებ.<sup>20</sup>

ყარაბაღის პირველი ომის შემდეგ მკაფიოდ ჩამოყალიბდა ირანის პოზიცია – აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის დეკლარირების მიღმა, ომის შედეგად შექმნილი რეალობის შენარჩუნება. თეირანი არ იყო დაინტერესებული კონფლიქტის სწრაფი, რომელიმე მხარისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტით. ზოგადად, ირანს არ აწყობდა (და არც დღეს აწყობს) ძლიერი ქრისტიანული სომხეთი ან (და განსაკუთრებით) ძლიერი აზერბაიჯანი. მის ინტერესებში იყო

17 Charlotte Hille, *State Building and Conflict Resolution in the Caucasus*. (Leiden – Boston: Brill, 2010), 260.

18 Sokhanrānie rahbare enghelāb dar ejtemāe azime mardome Tabriz. (1993) <http://farsi.khamenei.ir...> (წვდომა: 31.08.2017).

19 Arvin Khoshnood & Ardavan Khoshnood, *The Armenian-Azerbaijani Conflict and Its Implications for Iran*. BESA Center Perspectives Paper, No. 1,778, October 16, 2020 <https://besacenter.org...> (წვდომა: 25/10/2020). ირანის სულიერი ლიდერის კანცელარიის საინფორმაციო პორტალზე განთავსებულია ამ განცხადების სრული ტექსტი (1994 წლის 2 ივლისი): ათოლო სამენემ საზი გაუსვა რელიგიური პრინციპის და რელიგიური ამოცანის განხორციელების აუცილებლობის სახით აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხალხის მიერ საკუთარი მიწის დაცვას და ალიევისადმი მიმართვისას აღნიშნა: „აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხალხმა განიცადა აგრესია სომხების მხრიდან და ამ სიტუაციაში სომხეთის ხელისუფლება აგრესორია. ირანის სომხებმა ასევე დაგმეს სომხეთის ხელისუფლება მისი აგრესიის გამო და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს თავსმოხვეული ომი რაც შეიძლება მალე დასრულდება მართალი მხარის გამარჯვებით. იხ. Талынылы Субхан, ‘Патология азербайджано-иранских отношений: Взгляд из Азербайджана.’ в Сб., Иран и республики Южного Кавказа, 111 (რედ. შენიშვნა).

20 Ramezanzadeh, ‘Iran’s Role as Mediator in the Nagorno-Karabakh Crisis,’ 168

სტატუს კვოს შენარჩუნება, ანუ ირანის პოლიტიკაში გამოიკვეთა ორი ურთიერთგამომრიცხავი შემადგენელი. ირანი შექმნილი სიტუაციიდან ორმაგ სარგებელს იღებდა: პოლიტიკურს, ვინაიდან მის ინტერესებში არ შედიოდა მეზობლად აზერბაიჯანის გაძლიერება, რომელიც შეიძლებოდა მიმზიდველი გამხდარიყო მის აზერბაიჯანელი მოქალაქეებისთვის; და ეკონომიკურს – უპირველესად ყარაბაღთან პირდაპირი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებით<sup>21</sup>, მაგრამ ასევე ნახიჩევანის ანკლავთან მიმართებაში, ვინაიდან სომხეთის გზის ჩაკეტვის შემდეგ, აზერბაიჯანისთვის ერთადერთი დამაკავშირებელი ნახიჩევანთან ირანი გახდა.

ბუნებრივია, დასავლეთმა პირველი ომის დროსვე დაიწყო გზების ძიება დაპირისპირებული მხარეების მოსარიგებლად. ყველაზე ფართოდ განიხილებოდა ე.წ. „გობლის გეგმა“. 1992 წელს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მრჩეველის პოლ გობლის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, „სხვადასხვა მონაწილეებმა საჭიროა განიხილონ ტერიტორიების გაცვლის შესაძლებლობა შემდეგი დათმობების ჩათვლით: ყარაბაღის ნაწილის სომხეთისთვის გადაცემა... და აზერბაიჯანსა და ნახიჩევანს შორის სომხეთის სახმელეთო ხიდის დაქვემდებარება აზერბაიჯანის კონტროლისათვის.“<sup>22</sup>

ამგვარად, ე.წ. ‘სვოპის’ შეთახმების მიხედვით, დაპირისპირების აღმოფხვრა უნდა მომხდარიყო ტერიტორიების მარტივი გაცვლით. სომხეთი მიიღებდა ყარაბაღს და ლაჩინის დერეფანს. სანაცვლოდ კი აზერბაიჯანი დაამყარებდა კონტროლს სომხეთის ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომლითაც აზერბაიჯანი დაუკავშირდებოდა თავის ექსკლავს – ნახიჩევანს. შეთახმებით, სომხეთი მთიანი ყარაბაღის ტერიტორიას შემოიერთებდა (რასაც პირველი ომში გამარჯვების შედეგად უკვე აკონტროლებდა), მაგრამ ამ მონაპოვარს გააქარწყალებდა აზერბაიჯანის მონაგარი, რომელიც უშუალოდ დაუკავშირდებოდა ნახიჩევანს და, შესაბამისად, აქედან თურქეთს. ასევე მოსპობდა საერთო საზღვარს სომხეთსა და ირანს შორის. ამ შეთავაზებამ ბევრი შეაშფოთა. ირანისთვის ყოვლად მიუღებელი იყო სახმელეთო საზღვრის დაკარგვა სომხეთთან – ეს ნიშნავდა ყველაზე დიდი საფრთხის ხორც-შესხმას: თურანული სამყაროს ორი ნაწილის გაერთიანებას, ანუ თურქეთისთვის საერთო საზღვრის შექმნას დანარჩენ თურქულ სამყაროსთან (ხმელეთით აზერბაიჯანთან და აზერბაიჯანის საზღვაო საზღვრით – ცენტრალურ აზიასთან). შესაბამისად, დაკნინდებოდა ირანის როგორც გეოპოლიტიკური, ისე გეოეკონომიკური მნიშვნელობა. ამგვარი გეგმის განხორციელების შემთხვევაში, ირანსა და სომხეთს შორისაც აღარ იქნებოდა საერთო საზღვარი. ეს ასევე იქნებოდა დარტყმა ჩრდილოეთ-სამხრეთის ლერძისთვის. მსგავსი გეგმა მოსკოვისთვისაც მიუღებელი

21 არის ინფორმაცია, რომ ირანელები უკვე 1996-97 წლებიდან მატერიალურ დახმარებას უწევდნენ სტეპანაკერტს და ირანელმა მოვაჭრეები ამ ხანებიდან დაიწყეს აქ მოღვაწეობა. მალე ირანს ყარაბაღის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში შეუზღუდავი ეკონომიკური აქტივობების განხორციელების საშუალებაც შეექმნა. საინტერესოა, რომ „სომხეთის მსგავსად, ირანელი მოვაჭრენი მთიან ყარაბაღში ეთნიკური აზერბაიჯანელები იყვნენ თავრიზიდან და მიმდებარე რეგიონებიდან“ იხ. Mirzoyan, Armenia, the Regional Powers, and the West, 125. ეს კიდევ ერთი მაგალითია პრაგმატიზმის წინწამოწევისა ეთნიკურ შუღლთან შედარებით.

22 ‘How the “Goble Plan” Was Born and How It Remains a Political Factor.’ (2000). <http://reliefweb.int/report...> (წვდომა: 30.08.2020)

იყო, რომელიც, თავის მხრივ, არ დაუშვებდა ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებას მისი ინტერესების გათვალისწინებისა და წინამავალი როლის შესრულების გარეშე.

თუმცა, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ტერიტორიების ამგვარი გაცვლის იდეას ორივე დაპირისპირებულ სახელმწიფოში დიდი წინააღმდეგობა შეხვდა და, შესაბამისად, ის სიცოცხლისუნარიანი არ გამოდგა.<sup>23</sup> მაგალითისთვის, 2014 წელს Moscow news-სთვის მიცემულ ინტერვიუში სომხეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა აღნიშნა: „მოლაპარაკებების დროს ერთ-მხრივ მინსკის ჯგუფის მხრიდან გაიჟღერა შემოთავაზებამ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ტერიტორიების გაცვლის შესახებ. ყარაბაღი უნდა მეირთებოდა სომხეთს, აზერბაიჯანი კი მიიღებდა ტერიტორიას საკუთრივ აზერბაიჯანსა და ნახიჩევანს შორის – მეღრის დერეფანს. ეს არ არის სპეკულაცია. მაგრამ მე არასოდეს დავუჭერდი მხარს ამ გადაწყვეტილებას. ამ შემთხვევაში ჩვენ აღარ გვექნებოდა საზღვარი ირანთან და სტრატეგიული თვალსაზრისით, ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყარაბაღი.“<sup>24</sup>

ზოგიერთ ირანელ ანალიტიკოსსა და პოლიტიკოსს მიაჩნდა, რომ ამგვარი გეგმის წინწამოწევით, დასავლური ქვეყნები პრაქტიკულად თურქეთის ექსპანსიონისტური მისწრაფებების მხარდამჭერებად გამოდიოდნენ. ყარაბაღის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად გობლის მიერ შემოთავაზებული გეგმა არსებითად ნიშნავდა ორი კურდღლის ერთდროულად დაჭერას. ერთი მხრივ, ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტას; მეორე მხრივ კი, როგორც აღინიშნა, პირდაპირი კავშირის შექმნას თურქეთსა და დანარჩენ თურქულ სამყაროს შორის, რაც ეწინააღმდეგებოდა ირანის ინტერესებს.

ბუნებრივია სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში ჩართვა ირანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და, როგორც ზემოთ ითქვა, თეირანმა ამ მიმართულებით ერთ-ერთმა პირველმა გადადგა ნაბიჯები. მაგრამ ირანს, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი სისტემიდან პრაქტიკულად გარიყულ სახელმწიფოს, არ შეეძლო რეალური ზეგავლენა მოეხდინა დაპირისპირებულ მხარეებზე – ანუ წარმომდგარიყო ანგარიშგასაწევ რეგიონულ ძალად. სომეხი მკვლევარი ტ. მარტიროსიანი აღნიშნავს: „ირანს აკლია აუცილებელი საშუალებები და ძალა მოწინააღმდეგების კომპრომისზე წასვლის იძულებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანა აცნობიერებს ირანის შემოფოთებას და თანხმდება მისი, როგორც მედიატორის როლზე, ისინი არასდროს გამხდარან იძულებულნი მიეღოთ მისი საშუალებლო წინადადებები.“<sup>25</sup>

ამასთანავე, ომის შემდეგ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა ერთი მხრივ, ირანისა და სომხეთის დაახლოების, ხოლო მეორე მხრივ ირანისა და აზერბაიჯანის დაშორების ტენდენცია. უკანასკნელ შემთხვევაში არაერთი გადაულახავი წინა-

23 Gaïdz Minassian, *Caucase du Sud, la nouvelle guerre froide, Arménie, Azerbaïdjan, Géorgie*. (Paris: Editions Autrement, 2007), 123-124.

24 Ahmed Ali, 'Azerbaijan and Iran after Sanctions: The Pathways of Advanced Engagement and Confrontation.' (Center for Economic and Social Development, Azerbaijan, 2015). <https://www.cesd.az...pdf>

25 Tigran Martirosyan, 'Iran in the Caucasus: Keeping Balance in Volatility.' [www.caucasus.dk...](http://www.caucasus.dk...) (წვდომა: 03/10/2019).



აღმდევობა გამოიკვეთა (მათ შორისაა აზერბაიჯანის ისრაელთან დაახლოება<sup>26</sup>, კასპიის ზღვის ენერგომბარებლებთან დაკავშირებული ქიშპი და ა.შ.).

საბოლოო ჯამში, თეირანი, ცალკეულ აქტივობების მიუხედავად, პრაქტიკულად ჩამოსცილდა კონფლიქტის მოგვარების საერთაშორისო ძალისხმევის პროცესს. ირანი დარჩა ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტისთვის შექმნილი 'მინსკის ჯგუფის' გარეთაც. საზგასასმელია, რომ ირანის პროცესში ჩართვას ეწინააღმდეგებოდა აზერბაიჯანი. მაგალითად, ქი ვესტის მოლაპარაკებების დროს, 2001 წლის აპრილში, 'მინსკის ჯგუფის' თანათავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ უპირიანი იქნებოდა თეირანისთვის ეუწყათ მოლაპარაკებების შინაარსის შესახებ გამომდინარე ირანის როლიდან მედიაციის ისტორიაში. თეირანის პასუხი ამ შემთავაზებაზე დადებითი იყო, მაგრამ ბაქო ირანის განზრახვებს ეჭვის თვალით უყურებდა.<sup>27</sup>

2011 წლისთვის აზერბაიჯანის პრინციპულ პოზიციას წარმოადგენდა, რომ სამშვიდობო ძალები არ უნდა ყოფილიყო მინსკის ჯგუფის რომელიმე თანათავმჯდომარე ქვეყნიდან (აშშ, რუსეთი, საფრანგეთი), არც რეგიონული ქვეყნებიდან (თურქეთი, ირანი).<sup>28</sup> ამ კუთხით, აზერბაიჯანი ამჯობინებდა სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებას ეუთო-ს ქოლგის ქვეშ.<sup>29</sup>

სომხეთის პოზიცია კი განსხვავებული იყო. „სომხეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგის“ დოკუმენტში აღნიშნულია, „სომხეთმა უნდა აუწყოს საერთაშორისო საზოგადოებას და ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებს, რომ როდესაც დადგება სამშვიდობო ძალების განთავსების საკითხის განხილვის დრო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში, ირანის თვალსაზრისი გათვალისწინებული უნდა იყოს, ვინაიდან ირანს საერთო საზღვარი აქვს კონფლიქტის ზონასთან.<sup>30</sup>

ირანის საგარეო პოლიტიკის აზერბაიჯანული ვექტორი საკმაოდ გააქტიურდა პრეზიდენტ რუჰანის დროს. თუმცა, ეს არ მომხდარა სომხეთთან ურთიერთობების გაუარესების ხარჯზე. თეირანი კვლავაც ცდილობდა 'ოქროს შუალედის' დაცვას. მაგალითად, 2014 წლის აპრილში პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ვიზიტის დროს თეირანში რუჰანიმ განაცხადა, რომ ყარაბაღის საკითხი უნდა გადაწყდეს მშვიდობიანად, საერთაშორისო ხელშეკრულებების ჩარჩოებში და საზღვრების ცვლილების გარეშე.<sup>31</sup> ამ განცხადებას მიესალმნენ აზერბაიჯანში, სადაც ბევრმა საზღვრების ხსენება აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის ღია

26 ომის დამთავრებისადმი მიძღვნილი საჯარო ღონისძიებების დროს აზერბაიჯანში ხშირად ჩანდა ისრაელის დროშები თურქეთის, პაკისტანისა და აზერბაიჯანის დროშების გვერდით. Avinoam Idan and Brenda Shaffer, 'Israel's Role in the Second Armenia-Azerbaijan War.' In: Turan Garfali & Michael Arnold (eds), *The Karabakh Gambit: Responsibility for the Future*. TRT World Research Centre, (11-2021), 201.

27 Mirzoyan, Armenia, the Regional Powers, and the West, 126.

28 'Agreement reached on Peacekeeping Forces in Nagorno-Karabakh.' (07/06/2011) <http://en.trend.az...> (წვდომა: 14/03/2019).

29 Zaur Shiriyev, 'A Bleak Future for Nagorno-Karabakh: Models, Formats and Prospects. An Azerbaijani Perspective.' *The south Caucasus 2018. Facts, Trends, Future Scenarios*, (Konrad-Adenauer-Stiftung, 2018), 254. <https://www.kas.de...> (წვდომა: 14/06/2021)

30 *Agenda for Armenian Foreign Policy 2009-2010*. Yerevan: Antares, 2009), 17. <http://www.acgrc.am...pdf>

31 'Iran Ready to Help end Karabakh Dispute: Rouhani.' (09/04/2014) <http://www.presstv.com...> (წვდომა: 12/09/2018).

მხარდაჭერად მიიჩნია.<sup>32</sup> საპირისპიროდ, სომხეთში ეს სულაც არ აღიქვეს ირანის მხრიდან სომხეთისადმი დამოკიდებულების შეცვლად და სომხური ინტერპრეტაციის თანახმად, ეს იყო რეალური ვითარების და სტატუს კვოს მხარდაჭერა, რომლის პირობებშიც სომხეთი აზერბაიჯანის ტერიტორიის 20%-ს აკონტროლებდა. სომხებმა ანალიტიკოსებმა ასევე გაამახვილეს ყურადღება რუჰანის მოსაზრებებზე ჩიხური სიტუაციიდან მშვიდობიანი და სამართლებრივი გამოსვლის შესახებ, როგორც საწინააღმდეგოსი აზერბაიჯანის უზარმაზარი სამხედრო ხარჯებისადმი.<sup>33</sup>

ირანმა 2016 წელს, „მცირე ომის“ შემდეგაც სცადა შუამავლის როლის შესრულება. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ის ‘თამაშგარე’ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

## 2020 წლის აზერბაიჯან-სომხეთის ომი და ირანი

2020 წლის შემოდგომის ომის დროსაც არ ჰქონია ირანს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია, თუმცა საკმაო აქტიურობას იჩენდა. კონფლიქტის დასაწყისში ირანულმა მხარემ განაცხადა, რომ ჰქონდა მისი მოგვარების გეგმა. მაგრამ ირანის სამშვიდობო გეგმა (თავისთავად საკმაოდ ბუნდოვანი და დეკლარატიული ხასიათის, რომელიც არ შეიცავდა პრინციპულად ახალ, ძველისგან განსხვავებულ წინადადებებს), საბოლოო ჯამში, ყურადღების მიღმა დარჩა. საომარი მოქმედებების დასაწყისშივე ირანის შემფოთების წყარო გახდა საბრძოლო მოქმედებების უშუალოდ მის საზღვრებთან მიმდინარეობა. 2020 წლის 27 სექტემბერს ირანული სააგენტო Mashregh News იტყობინებოდა, რომ „[ირანის] მოსაზღვრე რეგიონებში შევიდა აზერბაიჯანის არმიის მძიმე ტექნიკა არტილერიისა და მოიერიშე ვერტმფრენების მხარდაჭერით.<sup>34</sup> ბუნებრივია, ირანის ტერიტორია არ გამხდარა დაპირისპირების ასპარეზი, თუმცა ამ ფაქტმა ირანის სერიოზული გაღიზიანება გამოიწვია.

ირანმა ასევე პროტესტი გამოთქვა სირიიდან თურქეთის მიერ ისლამისტ ტერორისტთა ყარაბაღში გადასროლის გამო (ამ ინფორმაციას თურქული და აზერბაიჯანული მხარეები კატეგორიულად უარყოფდნენ). ჯერ კიდევ საომარი მოქმედებების დასაწყისში, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივანმა სეიედ ხათიბზადემ გააკეთა კომენტარი ხმების შესახებ, თითქოსდა კავკასიაში გადმოსროლეს „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ (PPK) და „ქურთისტანში თავისუფალი ცხოვრების პარტიის“ (PJAK) მებრძოლები, ასევე ტერორისტები სირიიდან: „ირანის ისლამური რესპუბლიკა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, რომ ტერორისტულმა დაჯგუფებებმა ჩვენი სამხრეთი საზღვრების მიმდებარე ტერიტორიები გადააქციონ ჩვენი ეროვნული უშიშროებისთვის საფრთხედ.“<sup>35</sup>

32 აზერბაიჯანული მხარის შეხედულებით, მიუხედავად იმისა, რომ საერთო საზღვარი შედარებით დაცულია კონფლიქტებისგან, ირანს მაინც აშფოთებდა საზღვრის 132 კმ სიგრძის მონაკვეთი, რომელსაც სომხეთი აკონტროლებდა.

33 ‘Rouhani: Iran is Ready to Encourage Iranian Investors to Invest in Armenia.’ (05/05/2014). <http://www.panorama.am...> (წვდომა: 12/09/2018).

34 ‘Āghāz-e dargiri-e sangin-e nezāmi dar mantaqeh Qarebāgh’ <https://www.mashreghnews.ir...> (წვდომა: 14/10/2020).

35 ‘Иран не допустит проникновения террористов в регион Кавказа.’ (01/10/2020). <https://newsarmenia.am...> (წვდომა: 22/12/2020)

ხაზგასასმელია, რომ როგორც ირანის სამთავრობო წრეებში, ისე საზოგადოებაში, არ ყოფილა ერთსულოვანი დამოკიდებულება კონფლიქტისადმი. ომის მიმდინარეობისას ხშირი იყო ურთიერთსაპირისპირო განცხადებები. მაგალითად, 2020 წლის 5 ოქტომბერს გაზეთ 'ქეიჰანში' საერთაშორისო საკითხებში ხამენეის მრჩეველთან, ალი აქბარ ველაიათისთან ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელშიც მან აშკარად აზერბაიჯანის მხარე დაიჭირა. მთიანი ყარაბაღს მან უწოდა „ოკუპირებული ტერიტორია“, რომელიც აზერბაიჯანს ეკუთვნის და განაცხადა, რომ ირანი მხარს უჭერს ბაქოს მოთხოვნებს. ამასთანავე, მან დასძინა, რომ „ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება არ უნდა მოხდეს „სისხლის ფასად“ და ისევ გამოხატა ირანის მზადყოფნა ჩართულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებებში.<sup>36</sup>

საპირისპიროდ, 2 ოქტომბერს Mashregh News-მა გამოაქვეყნა ანალიტიკური სტატია, რომელშიც განცხადებული იყო, რომ აზერბაიჯანი ირანისთვის საფრთხეს წარმოადგენს. აზერბაიჯანი წარმოსახული იყო დასავლეთის და ისრაელის მოკავშირედ; ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ ბაქომ ისრაელს საკუთარი ტერიტორია დაუთმო ოპერაციებისთვის. ყურადღება ექცეოდა იმ ფაქტსაც, რომ მთიანი ყარაბაღი ბუფერულ ზონას წარმოადგენს ირანსა და აზერბაიჯანს შორის. უფრო მეტიც – „თუ მთიან ყარაბაღს დაეუფლებიან ალიევის ძალები და თავიერი [რჯულგანდგომილი] ტერორისტები, ეს გახდება სერიოზული საფრთხე ირანისთვის ეროვნული უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის თვალსაზრისით.“<sup>37</sup>

სააგენტო Fars News უფრო ნაკლებად ანტიაზერბაიჯანულია, ვიდრე Mashregh News. თუმცა, ცნობაში ირანის 'ნეიტრალური' პოზიციის შესახებ კონფლიქტში, აღნიშნული იყო, რომ აზერბაიჯანი გახდა კონფლიქტის წამომწყები. Fars News-ის თანახმად, თურქეთის მიერ აზერბაიჯანის დასახმარებლად ჯიჰადისტი ტერორისტების სამხრეთ კავკასიაში გადმოსროლა კონფლიქტს ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ ფართო შეთქმულების სახეს აძლევდა. სააგენტოს ინფორმაციით ალექსანდრე ჰამენეის წარმომადგენელმა აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციაში, ბრალი დასდო ისრაელს კონფლიქტის „წარმართვაში“.<sup>38</sup>

Fars News-ის და Mashregh News-ის ავრცელებდნენ ინფორმაციას ისრაელის კონფლიქტში ღრმად ჩართულობის შესახებ. სომხური მხარის ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღნიშნული იყო, რომ აზერბაიჯანი იყენებდა ისრაელისგან შესყიდულ კლასტერულ ბომბებს. Fars News ასევე წერდა აშშ-ის ჩართულობის შესახებ კონფლიქტში.<sup>39</sup>

სააგენტო Tasnim News მკვეთრად პროაზერბაიჯანულია. მაგალითად, გამოქვეყნებულია კავკასიის საკითხებში ირანელი ექსპერტის დოქტ. მასუდ სადრ მოჰამადის ინტერვიუ, რომელშიც ის ხაზს უსვამს, რომ აზერბაიჯანს აქვს უფლება ძალით გააძევოს სომხეთი „ოკუპირებული ტერიტორიებიდან“. Tasnim News ასევე მიიჩნევს კონფლიქტის მიზეზად აშშ-ის და ისრაელის ზეგავლენას რეგიონზე. ამის

36 ციტირებულია Arvin Khoshnood & Ardavan Khoshnood, 'The Armenian-Azerbaijani Conflict and Its Implications for Iran.' BESA Center Perspectives Paper (16/10/2020), no. 1, 778. <https://besacenter.org...> (წვდომა: 25/10/2020).

37 <https://www.mashreghnews.ir/news/1125341...> (წვდომა: 15/10/2020).

38 <https://www.farsnews.ir/news/13990710000034/...> (წვდომა: 01/11/2020).

39 <https://www.mashreghnews.ir/news/1125880/...> (წვდომა: 01/11/2020).

დასტურად მოყვანილია აზერბაიჯანული პროვინციებიდან ორი სასულიერო პირის ინტერვიუ.<sup>40</sup>

2020 წლის 1 ოქტომბერს გავრცელდა ირანის ჩრდილოეთ პროვინციებში მოღვაწე ოთხი მაღალი რანგის სასულიერო პირის ხელმოწერილი მანიფესტი, რომელშიც სამართლიანად იყო მიჩნეული აზერბაიჯანის პრეტენზიები ყარაბაღის მიმართ. მათ შორის იყო ჰასან ალემი, რომელმაც 2016 წლის აპრილის 4-დღიანი ომის დროსაც უპირობო მხარდაჭერა გამოუცხადა აზერბაიჯანს. აზერბაიჯანის ახალი ამბების სააგენტო APA-სთვის 2017 წლის აპრილში მიცემულ ინტერვიუში მან ახსენა სლოგანი „ერთი ერი, ორი სახელმწიფო“ აზერბაიჯანთან და ირანთან დაკავშირებით. ამ განცხადებას საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა აზერბაიჯანშიც.<sup>41</sup> ამასთანავე, ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ეს სლოგანი ჩვეულებრივ აზერბაიჯანისა და თურქეთის მიმართებაში გამოიყენება ქვეყნების კულტურული და ლინგვისტური ერთიანობის გამოსახატავად. თუმცა, ალემის განცხადება სულაც არ ნიშნავდა, რომ ის მხარს უჭერდა (როგორც ოფიციალური პირი) ორი აზერბაიჯანის გაერთიანებას კავკასიის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და არა პირიქით – ირანში.

აღსანიშნავია, რომ ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ხელმძღვანელს ჰოსეინ სალამის არ გამოუხატავს ოფიციალური პოზიცია აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტთან დაკავშირებით.

ამგვარი რთული ვითარება ხსნის, თუ რატომ არ აქვს კონფლიქტის მიმართ ისლამურ რეჟიმს მკაფიოდ გამოხატული პოზიცია.

კონფლიქტის დასრულებამ აშკარა გახადა, რომ მისი შედეგები ირანისთვის საკმაოდ წინააღმდეგობრივი იყო. ერთი მხრივ, სასაზღვრო ზონაში აზერბაიჯანის კონტროლის დამყარებამ თითქოსდა შექმნა უკვე სამართლებრივ ჩარჩოებში ორივე ქვეყნისთვის ხელსაყრელი შემდგომი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები, თუმცა, მეორე მხრივ, სწორედ სასაზღვრო ზოლი გახდა ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის გაზრდის მიზეზი, რასაც ორივე მხრიდან შეიარაღებული ძალების მობილიზაციაც მოჰყვა. ირანმა მასშტაბური სამხედრო წვრთნები ჩაატარა აზერბაიჯანთან საზღვრის მახლობლად. ზემოთ დასახელებული სეიედ ხათიბზადეს სიტყვებით: „ეს არის უსაფრთხოების საკითხი და წვრთნები იმართება მთელ რეგიონში სტაბილურობის მიღწევის მიზნით.“ ირანი, რა თქმა უნდა, არ მოითმენს, სიონისტური რეჟიმის ყოფნას თავის საზღვრებთან და საკუთარი უსაფრთხოებისთვის ყველანაირ ზომებს მიიღებს.<sup>42</sup> უნდა გავიზიაროთ თ. გაფარლის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, „ომის შემდგომი ცვლილებები და დაძაბულობის ესკალაცია აზერბაიჯანსა და ირანს შორის უჩვენებს, რომ თეირანისთვის არაკომფორტულია სტატუს კვოს შეცვლა 2020 წლის ომში აზერბაიჯანის სამხედრო გამარჯვების შემდეგ.“<sup>43</sup>

40 <https://www.tasnimnews.com/fa/news/1399/07/12/2362048/...> (წვდომა: 05/11/2020).

41 Zaur Gasimov, Active but Inefficient? Iran's Strategy Towards the Conflict in Nagorno-Karabakh. In: The Karabakh Gambit: Responsibility for the Future, 209-225.

42 'Официальный Тегеран «расстроен» заявлениями Ильхама Алиева.' (28/09/21) <https://www.turan.az...> (წვდომა: 15.10.2021)

43 Turan Gafarlı, An Introduction. In: The Karabakh Gambit: Responsibility for the Future, 14.

აღსანიშნავია, რომ სანამ ირანი საზღვრის მახლობლად წვრთნებს დაიწყებდა, ჩატარდა აზერბაიჯანის, თურქეთისა და პაკისტანის ერთობლივი სამხედრო წვრთნები აზერბაიჯანში, ირანის საზღვიდან 500 კმ-ის დაშორებით. „თურქეთს ნატო-ს რიცხოვნობივად მეორე არმია ჰყავს, პაკისტანს კი ბირთვული იარაღის აქვს. როდესაც ეს ორი ქვეყანა აზერბაიჯანში სამხედრო წვრთნებს ატარებს, ეს აშფოთებს რუსეთსა და ირანს და ირანის სამხედრო წვრთნები ამ შემთხვევების ანარეკლია.“<sup>44</sup>

არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციის რეპორტებში აღინიშნებოდა, რომ ნარკოტიკების ტრეფიკის თვალსაზრისით, აზერბაიჯანის მთავარი გამოწვევა იყო 132 კმ-ის სიგრძის ოკუპირებული ტერიტორია, რომელიც სათანადოდ არ კონტროლდებოდა არც ადგილობრივი ხელისუფლების და არც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მეორე მხრივ, ასევე აღინიშნებოდა, რომ „ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა ნარკოტიკების კიდევ ერთ გზას წარმოადგენს ირან-აზერბაიჯანის საზღვარზე.“<sup>45</sup> სომხეთის მიერ ბლოკირებული ამ რეგიონს გარე სამყაროსთან კავშირი აქვს მხოლოდ თურქეთსა და ირანთან მეზობლობის მეშვეობით. ირანი ნახიჩევანისთვის ხიდს წარმოადგენს აზერბაიჯანთან კონტაქტებისთვის. ირანთან ნახიჩევანის საზღვარიც ბევრად უფრო გრძელია, ვიდრე თურქეთთან.<sup>46</sup>

მაგრამ მოსაზღვრე ტერიტორიებზე და საკუთრივ მთიანი ყარაბაღის დიდ ნაწილზე აზერბაიჯანის კონტროლის დამყარების შემდეგ ირანს მოეპოო მისთვის უკიდურესად მომგებიანი ეკონომიკური აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა. სწორედ ყარაბაღსა და სომხეთში მიმავალი ირანული ტრაილერების დაკავებას მოჰყვა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გამწვავება. დაძაბულობის კატალიზატორი გახდა აზერბაიჯანის მთავრობის გადაწყვეტილება შეზღუდვები დაეწესებინა ირანული ტრაილერებისთვის, რომლებიც მოძრაობდნენ გორის-ყაფანის ტრასაზე – ეს წარმოადგენს სამხრეთ და ჩრდილოეთ სომხეთის დამაკავშირებელი გზის საკვანძო სეგმენტს და არის ნაწილი 400 კმ სიგრძის გზების ქსელისა ირანის ქალაქ ნორდუზიდან სომხეთის დედაქალაქამდე. ტრასის დიდი ნაწილი გადის სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის სადავო მონაკვეთზე, ანდა ღრმად იჭრება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. 2020 წლის ომის შემდეგ, დაახლ. 21 კმ საბჭოთა გზატკეცილისა დღეს აზერბაიჯანის კონტროლს ექვემდებარება.<sup>47</sup>

44 Golnaz Esfandiari, 'Explainer: What's Behind Fresh Tensions on The Iran-Azerbaijan Border?' (01/10/2021). <https://www.rferl.org...> (წვდომა: 11/11/2021).

45 Fariz Ismayilzade, 'Azerbaijan Becoming Popular Drug Trafficking Route.' Eurasia Daily Monitor (10-2006), vol. 3 Issue: 190. <https://jamestown.org...> (წვდომა: 15/05/2021). კიდევ ერთი აზერბაიჯანელი ანალიტიკოსის, ალი გაჯიზადეს მტკიცებით, „1990-იანი წლების შუა ხანებიდან ყარაბაღელმა სეპარატისტებმა დაიწყეს ყარაბაღში ნარკოტიკების წარმოება. დამყარდა თანამშრომლობა ირანულ მხარესთან ნარკოტიკების ორგანიზებისთვის. ირანული და ყარაბაღში წარმოებული ნარკოტიკები კი ევროპასა და რუსეთში იგზავნებოდა. მხარეები უზარმაზარ მოგებას იღებდნენ.“ Али Гаджизаде, 'Перекрыв наркотрафик, Азербайджан лишил доходов иранских силовиков.' (21/09/2021). <https://caliber.az...>(წვდომა: 12/11/2021)

46 ნახიჩევან-თურქეთის საზღვრის სიგრძე სულ 17 კილომეტრს შეადგენს. საზღვარი დადგინდა 1921 წლის მარტის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის. 1924 წელს ნახიჩევანი შევიდა აზერბაიჯანის შემადგენლობაში და მიენიჭა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი.

47 ნორდუზზე ირანის საზღვარსა და ერევანს 400 კმ-იანი გზა შორის შედის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. 2020 წლის ომამდე, ეს 21 კმ-იანი მონაკვეთი მთიანი ყარაბაღის თვითგა-



ირანმა სწრაფად გადადგა ამ მიმართულებით ნაბიჯები. ერევანს ეწვია ირანის გზებისა და ურბანული განვითარების მინისტრის მოადგილე, ხეიროლა ხადემი. მხარეები ნორდუზი-ერევანის მაკავშირებელი გზის გახსნაზე შეთანხმდნენ. ეს მარშრუტი სიუნიქის პროვინციაში მდებარე ტათევზე გაივლის.<sup>48</sup> ირანული მხარის განცხადებით, ის შეცვლის გორის-ყაფანის გზას და 15-კილომეტრიანი გზის დასრულების შედეგად, ირანი სომხეთისკენ გვერდს აუვლის აზერბაიჯანს და ამ გზით დაუკავშირდება რუსეთსა და ევროპას.<sup>49</sup> ირანელი მკვლევარი ვალი ქალეჯი მიიჩნევს, რომ ანტაგონიზმი თეირანსა და ბაქოს შორის ირანს უბიძგებს ეძიოს ალტერნატიული სატრანზიტო გზები სომხეთისა და საქართველოს გავლით.<sup>50</sup>

საერთო ჯამში, პოლიტიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, ირანისთვის ბევრი არაფერი შეცვლილა. აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერასთან ერთად, ირანი კვლავ ინარჩუნებს ბევრად უფრო მჭიდრო ურთიერთობებს სომხეთთან. სომხეთშიც ხაზი გაესმევა, რომ ირანი სანდო პარტნიორია. მაგალითად, სომეხი ირანისტი ვარდან ვოსკანიანი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ირანის ჩართვა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში დააბალანსებს თურქეთის აქტივობებს რეგიონში.<sup>51</sup> აქვე ისიც ხაზგასასმელია, რომ ამ ომმა საკმაოდ შეარყია სომხურ საზოგადოებაში რუსეთის, როგორც სომხეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნდობა. ერევანმა გააცნობიერა, რომ კოლექტიური უსაფრთხოების კავშირის წევრობა და სამხედრო ალიანსი რუსეთთან არ გამოდგა საკმარისი რეგიონში უსაფრთხოების ლანდშაფტის გაუარესების პრევენციისთვის.<sup>52</sup>

ირანის პოზიციას (რომელიც პრაქტიკულად არ შეცვლილა ყარაბაღის კონფლიქტის დაწყებიდან), ზუსტად გამოხატავს ირანის პარლამენტის წევრის მოჯთაბა ზანურის სიტყვები: „ჩვენთვის მიუღებელი იქნება, თუკი სომხეთის ტერიტორიების დაკავება მოხდება და სასაზღვრო პირობები შეიცვლება. უნდა შენარჩუნდეს არსებული საზღვრები. ჩვენ ვიზიარებთ აზერბაიჯანის პოზიციას მისი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების შესახებ და ასევე მხარს ვუჭერთ სომხეთის პოზიციას საკუთარი ტერიტორიული მთლიანობისა და ირანთან მეზობლობის შენარჩუნების შესახებ.“

ომის უმნიშვნელოვანესი შედეგი გახდა რუსეთის პოზიციების გაძლიერება რეგიონში. ჯერ კიდევ 2012 წელს ა. კოენი და კ. დეკარლო-სოუზა წერდნენ: „თუ

---

მოცხადებული რესპუბლიკის კონტროლს ექვემდებარებოდა, შესაბამისად სომხეთსა და საქართველოში მიმავალ ირანულ ტრადიციებს პრობლემა არ ექმნებოდათ. მაგრამ ომის შემდეგ ამ მონაკვეთზე აზერბაიჯანის კონტროლი დამყარდა და აზერბაიჯანის მთავრობამ ირანულ ტრადიციებს აქ გავლისთვის, \$130 ბაჟი დაუწესა, ასევე სხვა პრობლემებიც შეუქმნა.

48 გიორგი წიქარიშვილი, 'ირანის ალყაში მოქცევის შიში – დაძაბულობა თეირანსა და ბაქოს შორის.' (18/10/2021). <https://tabula.ge...> (წვდომა: 15/12/2021).

49 <https://www.ilna.news/fa/tiny/news-1138977>.

50 Vali Kaleji, 'Tensions in Tehran-Baku Relations: Iran's New Transit Routes in Armenia and the Caspian Sea.' Eurasia Daily Monitor, vol. 18 Issue 163, (27/10/2021) <https://jamestown.org...> (წვდომა: 30/10/2021).

51 ციტ. დავიდ სტეპანян, 'Прогноз: Вовлечение Ирана на Южный Кавказ сбалаксирует присутствие Турции.' <https://arminfo.info...> (წვდომა: 09/01/2021)

52 Anahit Shirinyan, 'Armenia's Foreign Policy Balancing in an Age of Uncertainty' (Chatham House: The Royal Institute of International Affairs, (14/03/2019). <https://www.chathamhouse.org...pdf>.

რუს მშვიდობისმყოფელებს 'მიიწვევდნენ' ბაქოსა და ერევანს შორის ცეცხლის შეწყვეტაზე კონტროლის დასამყარებლად, რუსეთის სამხედრო ჩართულობა კიდევ უფრო გაზრდიდა მოსკოვის ზეგავლენას რეგიონზე.<sup>53</sup> მართლაც, დღეს რუსეთის არმია (მშვიდობისმყოფელების სახით), მრავალი წლის შემდეგ, ისევ დგას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და აკონტროლებს ლაჩინის დერეფანს. ბუნებრივია, ეს სომხეთის ინტერესებში შედის, ვინაიდან მისთვის სრულიად მიუღებელი იქნებოდა ამ ფუნქციის აზერბაიჯანის მოკავშირე თურქეთისთვის დაკისრება. ირანული სამხედრო კონტიგენტის განლაგება კი, სომხეთის გარდა, ყველა მხარისთვის მიუღებელი იყო. ამგვარად, ომის შედეგები, პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რუსეთისთვის მომგებიანად შეიძლება ჩაითვალოს.

ბუნებრივია, ომის შედეგები შეესაბამება თურქეთის ინტერესებსაც, რომელიც აქტიურად იყო ჩართული კონფლიქტში (თუმცა, ხაზი უნდა გაესვას – როგორც აზერბაიჯანის მოკავშირე და არა ნატო-ს წევრი ქვეყანა). აზერბაიჯან-თურქეთის სტრატეგიული მოკავშირეობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდა. ეს, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება არც სომხეთის და არც ირანის ინტერესებს. მეტიც – შეფარული ფორმით, მაგრამ უეჭველად წინასწარ განსაზღვრული გეგმით, თურქეთის მხრიდანაც გაისმა აზერბაიჯანის ირედენტისტული პრეტენზიების მხარდაჭერა.

'მეხსიერების ომებში' თურქეთის მიერ აზერბაიჯანის პოზიციის მხარდაჭერის დასტური გახდა პრეზიდენტ ერდოღანის მიერ 2020 წლის 10 დეკემბერს ბაქოში, ყარაბაღის ომში გამარჯვების აღსანიშნავად ჩატარებულ აღლუმზე, აზერბაიჯანელი პოეტის ბახთიარ ვაჰაბზადეს ლექსიდან ნაწყვეტის წაკითხვა. 1958 წელს მან დაწერა პოემა „გულისტანი“ (Gülüstan), რომელიც ეძღვნება 1813 წლის ზავს – აზერბაიჯანის 'გაყოფას' რუსეთისა და სპარსეთის იმპერიების მიერ. ლექსი პირველად 1960 წელს გამოქვეყნდა შაქის ადგილობრივ გაზეთში. ლექსში აღწერილია ორი ძმის ტრაგედია, რომლებიც ამ ზავმა ერთმანეთს დააშორა, რაც ალევორიაა ორად გაყოფილ აზერბაიჯანზე. პოეტის თვალთახედვიდან, ირანს და რუსეთს არ ჰქონდათ უფლება გაეყოთ ქვეყანა, რომელიც მათ არ ეკუთვნოდათ: „მათ გაყვეს არაქსი და ამოავსეს ის ქვებითა და ლოდებით. მე არ ვიქნები შენგან მოწყვეტილი. მათ ძალით დაგვაშორეს ერთმანეთს...“ „...ამ ქვეყანას ჰყავს თავისი პატრონები!“ ამ ლექსის გამოქვეყნებისთვის ვაჰაბზადეს და გაზეთის რედაქტორს საყვედური გამოუცხადეს. ლექსი ხელახლა დაიბეჭდა უკვე 'პერესტროიკის' დროს, 1988 წელს. ბევრმა აზერბაიჯანელმა ის ზეპირად იცის.

ერდოღანის მიერ ბაქოში პროვოკაციული ლექსის წაკითხვამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევით არ მომხდარა. ირანში ამ ფაქტს მძაფრი რეაქცია მოჰყვა და აღქმული იყო სეპარატისტული გრძნობების გაღვივების მოწოდებად.

ტვიტერის პოსტში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზარიფმა ამ ლექსს 'ფეიქი' უწოდა და 'დიპლომატიურად' აღნიშნა: „სავარაუდოა, რომ ერდოღანი არ იყო ინფორმირებული, როდესაც მან ბაქოში არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა, რომ საქმე ეხება არაქსის ჩრდილოეთით მიწების მოწყვეტას სამშობლოდან, ირანიდან. აცნობიერებდა განა ის, რომ ამით თავს ესხმოდა აზერბაიჯანის და-

53 Ariel Cohen & Kevin DeCorla-Souza, 'Security Issues and US Interests in the South Caucasus'. In: The South Caucasus 2021: Oil, Democracy and Geopolitics, 203.

მოუკიდებლობას?“ ირანის პარლამენტიმ ერდოღანის მიერ ლექსის დეკლამაციის დამგმობი რეზოლუციაც მიიღო. თავის მხრივ, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მავლუთ ჩავუშოლლუმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა პატივს სცემს ირანის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, პრეზიდენტ ერდოღანის სიტყვები კი არასწორად იყო აღქმული.<sup>54</sup>

ეს და სხვა სახის ინციდენტები მოწმობს, რომ არაერთი ურთიერთსასარგებლო პროექტის არსებობის მიუხედავად, ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობებში კვლავაც მრავალი გადაულახავი წინააღმდეგობა არსებობს. ყარაბაღის მეორე ომის შედეგებს ამ მხრივ დიდი არაფერი შეუცვლია ირანის დამოუკიდებულებაში სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართ: ირანს დღესაც ბევრად უფრო მჭიდრო ურთიერთობები აქვს სომხეთთან, ვიდრე აზერბაიჯანთან. ალბათ, გადაჭარბებულია სტ. ბლენკის მოსაზრება, რომ „ომის შედეგებმა საკმაოდ შეარყია ირანის პოზიციები რეგიონში. არამარტო მისი პარტნიორი (რომ არ ითქვას მოკავშირე) სომხეთი დამარცხდა ამ ომში, არამედ ირანი ამჟამად მოწმეა თურქეთის კიდევ უფრო მზარდი ზეგავლენისა რეგიონში და პოტენციურად მის გარეთაც.“<sup>55</sup> ომმა, ბუნებრივია, სრულიად შეცვალა ვითარება და ძალთა კონფიგურაცია სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ მისი შედეგები ირანისთვის ცალსახად უარყოფითი არ არის. თეირანისთვის არსებობს რეგიონში გააქტიურების პერსპექტივებიც, რომელთა განხორციელებაც დამოუკიდებელია არამხოლოდ რეგიონულ, არამედ გლობალურ პოლიტიკურ ძვრებზე.

### **ირანი და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები**

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით, ირანის დამოუკიდებულების ორი მთავარი მახასიათებელი უნდა გამოიყოს, რაც პრინციპში, ყარაბაღის კონფლიქტთან ირანის დამოუკიდებულების თანმიხვევია.

პირველ რიგში, ირანის ხელისუფლება ყოველთვის ხაზს უსვამს საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრების, ტერიტორიული მთლიანობის და სხვა სახელმწიფოების შინა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების დაცვის აუცილებლობას. „ირანი შეიძლება ჩაითვალოს ტერიტორიული თვალსაზრისით სტაბილურ სახელმწიფოდ მკაფიო ჩამოყალიბებული საზღვრებით.“<sup>56</sup> მეორე რიგში, თეირანი უკიდურესად სენსიტიურად აღიქვამს გარე აქტორების გააქტიურებას მის მეზობელ კავკასიაში. ირანის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ კავკასიის პრობლემები უნდა გადაწყდეს მხოლოდ რეგიონის ქვეყნების მიერ. „რეგიონულ ქვეყნებს“; ირანის სტრატეგიული კონცეფციის მიხედვით, წარმოადგენენ სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო, თურქეთი, რუსეთი და საკუთრივ ირანი. კონფლიქტებთან დაკავშირებით, ირანი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ზემოთნახსენები რეგიონული აქტორები უნდა იყვნენ ჩართული მათ მოგვარებაში და არა დასავლეთის სახელმწიფოები.

54 “Turkey says It respects Iran’s Sovereignty after Erdogan controversy. (13/12/2020). <https://www.tehrantimes.com...> (წვდომა: 21/01/2021)

55 Stephen Blank, ‘Iran’s Challenged Position in the Post-War South Caucasus.’ In: *Caucasus Strategic Perspectives*, Vol. 2, Issue 2, Post-War Situation in the South Caucasus Region (Winter 2021), 43.

56 Herzig, *Iran and the Former Soviet South*, 11.

ირანის პოზიცია 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით ჯდება ამ მიდგომის ჩარჩოებში. მიუხედავად იმისა, რომ ირანს არ დაუგმია რუსეთის აგრესია (*real politik*-ის პრინციპებიდან გამომდინარე, ვერც დაგმობდა) საქართველოში, ის ხაზს უსვამს, რომ პატივს სცემს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ნებისმიერ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. შედეგად, ირანს არ უღიარებია რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ორი სეპარატისტული რეგიონი საქართველოში.<sup>57</sup> იმავდროულად, ხაზი უნდა გაესვას, რომ ირანს მკაფიო პოზიცია კონფლიქტთან დაკავშირებით პრაქტიკულად არ დაუფიქსირებია. ყოფილმა პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას 2008 წლის 23 სექტემბერს განაცხადა მისთვის ჩვეული სტილით, რომ „საქართველოს, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთი ხალხების სიცოცხლე, საკუთრება და უფლებები მსხვერპლია ნატოსა და ზოგიერთი დასავლური ქვეყნის პროვოკაციებისა და პოლიტიკისა და სიონისტების ცბიერი ზრახვებისა.“<sup>58</sup> მაგრამ საგულისხმოა, რომ ხელმისაწვდომ ქართულ, ინგლისურ და რუსულ წყაროებში ირანის პრეზიდენტის გამოსვლის შესაბამის პასაჟში გამოტოვებულია სიტყვა „რეგიონი“ სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან მიმართებაში, რაც მნიშვნელოვნად ცვლის აჰმადინეჟადის სიტყვის შინაარსს.<sup>59</sup> აღსანიშნავია, რომ 2009 წლის თებერვალში, იმ დროს ირანის ელჩმა რუსეთში სეიედ მაჰმუდ საჯადიმ განაცხადა, რომ ირანი არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას ახლო ხანებში, „ვინაიდან ეს გამოიწვევს ომს მრავალ რეგიონში.“<sup>60</sup>

საერთო ჯამში, თეირანმა აგვისტოს ომი წარმოადგინა, როგორც გაკვეთილი

57 დაწვრილებით იხ. მაგ., George Sanikidze, Turkey, Iran and the South Caucasus: Challenges for Regional Policy after the 2008 August War. *Electronic Journal of Political Science Studies* (01-2011), vol: 2, no: 1. 78-89. <http://www.esbadergisi.com...> (წვდომა: 10/02/2011). საინტერესოა, რომ ინტერნეტ-გვერდზე [www.Abkhazworld](http://www.Abkhazworld), რომელიც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციას აჟღერებს, აღნიშნული იყო: ირანი თავდაპირველად მხარს უჭერდა რუსეთის პოლიტიკას მისი ინტერესების დაცვაში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დამოუკიდებლობისთვის მათი ბრძოლისას, მაგრამ გაიაზრა რა, რომ ამას შეეძლოდა მოპყროლოდა საქართველოსთან ურთიერთობების გაფუჭება, მან უარი თქვა ამ მიდგომაზე. 'Iran Not to Recognize Abkhazia, S. Ossetia's Independence Soon.' (08/02/2009). <http://abkhazworld.com...> (წვდომა: 10.03/2010) თუმცა, ეს ინფორმაცია არცერთი სხვა წყაროთი არ დასტურდება.

58 'Iran's President Blames West for Georgia War.' (24/09/2008). <http://civil.ge/eng...> (წვდომა: 12/09/2013). ამავე კონტექსტში ჯდება ირანის პრეზიდენტის ებრაჰიმ რაისის განცხადება რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან საუბარში რუსეთის მიერ უკრაინაში ომის გაჩაღების შემდეგ. რაისიმ კრიზისის შექმნასა ნატო-ს დადო ბრალი და ის მოიხსენია სტაბილურობისათვის მთავარ საფრთხედ. იხ. Sune Engel Rasmussen, Iran's President Tells Putin NATO's Expansion Is a Threat to Stability. (25/02/2022). <https://www.wsj.com/livecoverage/russia-ukraine...> (წვდომა: 26/02/2022). სულიერი ლიდერმა, ხამენეიმაც კონფლიქტის 'გაჩაღება' აშშ-ს დააბრალა. Parisa Hafezi, Iran's supreme leader criticises U.S. over Ukraine crisis. (01/03/2022). <https://www.yahoo.com/news/iran-supreme-leader...> (წვდომა 01/03/2022). თუმცა, ირანის ხელმძღვანელობის მხრიდან ჯერჯერობით არ ყოფილა მინიშნება „ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკების“ დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე. ირანი ასევე არ ჩქარობს ყირიმის რუსეთის ნაწილად აღიარებას.

59 ნახუცრიშვილი და სანიკიძე, საქართველო და ირანი, 312.

60 FARS News Agency. (07/02/2009). ციტ. Kaleji, 'Current Trends in the Political and Security Dimension of the South Caucasus. A View from Iran.' (Institute for Security Policy (ISP), August 2020). Working Paper 31, 11. <https://www.institutfuersicherheit.at...pdf>.

სპარსეთის ყურის ქვეყნებისათვის: საქართველომ დაუშვა შეცდომა, როდესაც ენდო აშშ-ის დაპირებებს და ამჟამად უდიდესს საფასურს იხდის ამ გულუბრყვილობისათვის. ამდენად, რეგიონის ქვეყნებისათვის უმჯობესია უფრო მჭიდრო კავშირები დაამყარონ ირანთან, ვიდრე იხედებოდნენ არაპროგნოზირებადი ამერიკისკენ. ამ კონტექსტში ჯდება საქართველოში ირანის ყოფილი ელჩის, მაჯედ საბერის პასუხი კითხვაზე, „იყო თუ არა შტატები საქართველოს ფასეული სტრატეგიული პარტნიორი რუსეთთან ომის დროს?“ ელჩის სიტყვებით: „აშშ-დან საქართველოს დახმარება არ მიუღია, როდესაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა... ნამდვილი მეგობრობა მჟღავნდება მძიმე ხანებში“.<sup>61</sup>

საგულისხმოა, რომ 2001 წელს თბილისში სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივნის რანგში ოფიციალური ვიზიტის დროს ჰასან რუჰანიმ ხაზი გაუსვა: „რეგიონული თანამშრომლობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია მსოფლიოში სტაბილურობის და კავკასიაში უსაფრთხოების მისაღწევად. ირანთან პოლიტიკური კონსულტაციები ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონული პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტაში, ისე რომ არ მიმართოს უცხოელებს დახმარებისათვის.“<sup>62</sup> თეირანი ცდილობს საკუთარი თავის წარმოადგენას მის სამეზობლოში არსებული ‘სუსტი’ სახელმწიფოების დამცველად ანტიჰეგემონური (ანტიამერიკული) პოლიტიკის გატარების გზით.<sup>63</sup> აქვე დავიმოწმებთ თავრიზის უნივერსიტეტის კავკასიური კვლევების დეპარტამენტის თანამშრომლის აჰმად ფარუზაფიანის მოსაზრებას: „საქართველოს წინსვლისათვის ორი დაბრკოლება არსებობს – აშშ და რუსეთი. საქართველომ უნდა ითანამშრომლოს ისეთ ქვეყნებთან, რომლებსაც მის მიმართ ანგარება არ ამოძრავებთ. ასეთი ქვეყანა ირანია.“<sup>64</sup> მეორე მხრივ, საქართველოს დაახლოება ირანთან არ შედის რუსეთის ინტერესებში და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს არაერთხელ უცდიათ ‘ერვნებინათ’ ირანელთათვის, რომ საქართველო აშშ-ის მოკავშირეა და მის ტერიტორიას ამერიკელები გამოიყენებდნენ ირანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში. ამ თვალსაზრისითაც კი, მკაფიოდ იკვეთება ირანის პრაგმატული პოლიტიკა საქართველოს მიმართ. მაგალითად, ირანმა საკმაოდ ტოლერანტულად აღიქვა ქართველი სამხედროების მონაწილეობა ერაყსა და ავღანეთში ანტიტერორისტულ ოპერაციებში.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ირანის რეფორმატორული პრესა აკეთებდა გაფრთხილებას „რუსული მუქარის შესახებ მსოფლიო უსაფრთხოებისათვის“ და ირანის ომისშემდგომი კრიზისის ‘სასარგებლოდ’ აღქმა მეტად მოკლევადიანი გამოდგებოდა.<sup>65</sup> რეფორმატორთა თვალთახედვიდან, კონსერვატორების ოპტიმიზმი უსაფუძვლო იყო. ამ უკანასკნელთა შეხედულებების გამომხატველ

61 ციტ. Salome Modebadze, ‘Georgia deepens cooperation with Iran, despite objections.’ (25/05/2010). <http://www.messenger.com.ge...> (წვდომა: 05/08/2017).

62 Месамед, Иран и немусульманские страны Южного Кавказа, 132.

63 Kakachia, ‘Iran and Georgia: Genuine Partnership or Marriage of Convenience?’ PONARS Eurasia Policy Memo (September 2011), No. 186, 2. <https://www.ponarseurasia.org...pdf>

64 ‘ირანელი კავკასიოლოგი: საქართველოს განვითარებას ორი რამ უშლის ხელს: აშშ და რუსეთი.’ (05/03/2016). <https://www.reportiori.ge...> (წვდომა: 03/11/2016).

65 ‘Does Russian Belligerence Favor Iran.’ Iran Daily (29/08/2008).



გაზეთ 'ქეიჰანში' აღნიშნული იყო, რომ არსებობდა შესაძლებლობა მოსკოვს შეეწყვიტა დასავლეთთან თანამშრომლობა ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით.<sup>66</sup> საპირისპიროდ, რეფორმატორულ გაზეთ 'ქარგოზარანში' ხაზგასმული იყო პუტინის დაპირება, რომ გააგრძელებდა დასავლეთთან თანამშრომლობას ამ საკითხზე.<sup>67</sup> უფრო ზოგადად რომ ითქვას, რეფორმატორული პრესა ხაზს უსვამდა საქართველოს კრიზისის ირანისთვის სარგებლის მოტანის ფუჭ იმედს. რეფორმატორთა თანახმად, ირანულ დიპლომატიას არ უნდა ემოქმედა რუსულ-ამერიკული განხეთქილების ილუზორული იმედის საფუძველზე.

ამგვარად, ირანი საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებით საზღვრების ურღვეობის პრინციპის მხარდამჭერად გამოდის, მიუხედავად რუსეთის ზეწოლისა, რომლის ინტერესებსაც, როგორც აღინიშნა, ირანი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ყოველმხრივ ითვალისწინებს. ირანის ხელისუფლება ასევე კარგად აცნობიერებს გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს არამხოლოდ ეკონომიკურ მნიშვნელობას (როგორც სატრანზიტო გზისა ევროპისკენ), არამედ ასევე პოლიტიკურ მნიშვნელობასაც – რეგიონში დასავლეთთან ყველაზე დაახლოებული ქვეყნისა, რომელიც, შესაძლებელია, ირანისთვის ხიდადაც იქცეს.

### რეგიონული თანამშრომლობის გეგმები და ფორმატები

ყარაბაღის ომის შემდეგ თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა წამოაყენა რეგიონული თანამშრომლობის გეგმა 3+3 (სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო + თურქეთი, რუსეთი და ირანი) ფორმატში. მსგავსი გეგმები არახალია, ამიტომაც საჭიროდ მივიჩნეე წინასტორიის განხილვაც. მაგრამ აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ ამ გეგმების მთავარი 'დანიშნულება' სამი გარე ძალის (რუსეთი, თურქეთი და ირანი) ურთიერთშეთანხმება სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებით, ანუ ძლიერი და დიდი აქტორები უნდა გახდნენ სამი სამხრეთკავკასიური ქვეყნის ურთიერთობებში გადამწყვეტი ხმის მქონენი.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონული თანამშრომლობის ადრე წამოყენებული არცერთი ინიციატივა არ გამოდგა სიცოცხლისუნარიანი. მათ შორისაა „მშვიდობიანი კავკასიის ინიციატივა“ (ედუარდ შევარდნაძე), „სტაბილურობის პაქტი კავკასიისთვის“ (სულეიმან დემირელი), „კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმა“ (რეჯეპ ტაიფ ერდოღანი), „ერთიანი კავკასია“ (მიხეილ სააკაშვილი).

ჯერ კიდევ 2000 წლის 9 მარტს, საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას, სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა წარმოადგინა რეგიონული უსაფრთხოების მოწესრიგების გეგმა, რომელშიც ევროკავშირს იგივე კატეგორიის როლი ჰქონდა მინიჭებული, როგორც ლოკალურ რეგიონულ აქტორებს. შემოთავზებული ფორმულა "3+3+2" მოიცავდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, თურქეთს, რუსეთს, ირანს, ევროკავშირსა და აშშ-ს.<sup>68</sup> სომხეთის პრეზიდენტის ინიციატივა

66 Kayhan, 31/08/2008.

67 Kargozaran, 31/08/2008. ციტ. Therme, 'Iranian Foreign Policy towards the South Caucasus,' 139.

68 Mirzoyan, Armenia, the Regional Powers, and the West, 145.

უპასუხოდ დარჩა – ბუნებრივია, აზერბაიჯანი იმ ხანებში არ დათანხმდებოდა 'ოკუპანტი' მხარის არცერთ წინადადებას.

'გარიყული' ირანიც შეეცადა ამ მიმართულებით ინიციატივის გამოჩენას. როგორც აღინიშნა, ირანის მთავარი ინტერესი იყო და არის თანამშრომლობის ისეთი პლატფორმის შექმნა, რომელშიც 'გარე' ძალები (ანუ დასავლეთი) მონაწილეობას არ მიიღებენ. გარე ძალების რეგიონის საქმეებიდან ჩამოშორება თეირანის დიპლომატიის ერთ-ერთი ცენტრალური მიმართულება გახდა პოსტ 9/11 პერიოდში. ირანული თვალთახედვით, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეექმნებოდა მას უფრო აქტიური მოქმედების საშუალება და სწორედ ამ მიმართულებით წარმართა მუშაობა. ამ იდეას კი სჭირდებოდა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის მხარდაჭერა, რაც სავსებით ობიექტური მიზეზების გამო, დღემდე მიუღწეველია.

2003 წელს სამხრეთ კავკასიაში ტურის დროს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქამალ ხარაზიმ გამოთქვა თეირანის მზადყოფნა ძალისხმევის განახლებაზე რეგიონში პოზიციების გამტკიცებისთვის და რეგიონულ ძალად საკუთარი თავის წარმოჩენისთვის. ეს უპირველესად გამოიხატა უსაფრთხოების სფეროში თეირანის მიერ შემოთავაზებულ 3+3 თანამშრომლობის ჩარჩოთი, რომელშიც უნდა შესულიყვნენ საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, და სამი რეგიონული ძალა – რუსეთი, ირანი და თურქეთი. მისი ვიზიტი სამივე სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოში სწორედ ამგვარი იდეისთვის ნიადაგის მოსიჯვას ისახავდა მიზნად.<sup>69</sup> სომხეთმა მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვა. თეორიულად, ის სარგებელს მიიღებდა ნებისმიერი რეგიონული ინტეგრაციული პროცესისგან, განსაკუთრებით უსაფრთხოების სფეროში. თუმცა, აზერბაიჯანმა და საქართველომ განაცხადეს, რომ ისინი რეგიონული თანამშრომლობის იმგვარ ფორმას ვერ მიემხრობოდნენ, რომელშიც არ იქნებოდნენ ჩართულები აშშ და ევროკავშირი.<sup>70</sup>

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, იმ დროს თურქეთის პრემიერ მინისტრმა ერდოღანმა წამოაყენა 3+2 ფორმატი, რომელიც ბუნებრივია, თბილისისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამ ინიციატივამ კი უკიდურესად გააღიზიანა ირანი, რომელიც ამ შემთხვევაში თამაშგარე მდგომარეობაში რჩებოდა. ირანის იმდროინდელმა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩეჰრ მოთაქიმ საბრძოლო მოქმედებების დასრულებიდან მცირე ხნის შემდეგ ვიზიტებიც განახორციელა ფორმატის სავარაუდო წევრების დედაქალაქებში, მათ შორის თბილისშიც, და წარადგინა კონფლიქტის მოგვარების ირანული მოდელი (ისევ 3+3).

ყარაბაღის 2020 წლის ომის დასრულების შემდეგ მსგავსი თანამშრომლობის ფორმატი კვლავაც აქტუალური გახდა.

ომის დასრულებისთანავე ანკარამ წამოაყენა ახალი (რეალურად, კარგად დავიწყებული ძველი) ფორმატი – „ექვსი ქვეყნის რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმა“, რომელშიც ჩართულები უნდა იყვნენ თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ირანი, საქართველო და სომხეთი. იდეა მისაღები აღმოჩნდა ირანისთვის და თეირანმა ამ მიმართულებით დიპლომატიური აქტივობებიც გამოიჩინა. დაახლოებით იმავე ხანებში, თეირანმა წარმოადგინა პრაქტიკულად ანალოგიური „3+3“

69 Nika Chitadze, 'Geopolitical Interests of Iran in South Caucasus and Georgian-Iranian Relations.' Journal of Social Sciences (2012), 1(2), 5-12. <https://jss.ibsu.edu.ge...> (წვდომა: 15/09/2021).

70 Mirzoyan, Armenia, the Regional Powers, and the West, 129.

(სამი კავკასიური + სამი მომიჯნავე) მოდელი, რომელიც უნდა გამხდარიყო ომის-შემდგომი ინტეგრაციის პლატფორმა. რამდენადაც ეს პლატფორმები არაფრით განსხვავდებოდა, თეირანიც შეუერთდა ანკარის ინიციატივას. თეირანის ინიციატივებში ახალი არაფერი იყო და, როგორც რუსი მკვლევარი სტანისლავ პრიტიჩინი აღნიშნავს, ირანის წინადადებები კი არ იყო დაკონკრეტებული და არც განხილულა.<sup>71</sup> ა. ვატანკაც ხაზს უსვამს, რომ ირანის მიერ შემოთავაზებული „ექვსი მხარის კავშირი“ უფრო სურვილი იყო, ვიდრე კარგად გათვლილი სტრატეგია.<sup>72</sup> ირანის პრობლემა რეალურად არა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობა, არამედ რუსეთთან და თურქეთთან ურთიერთობების ისე მოგვარებაა, რომ მას რეგიონში უფრო მეტი მანევრირების საშუალება ჰქონდეს.<sup>73</sup> მთავარი მედიატორის როლი სამშვიდობო მოლაპარაკებებში რუსეთმა იკისრა.

კონფლიქტის დასრულების შემდეგ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მოჰამად ჯავად ზარიფი სამუშაო ვიზიტით ბაქოს, ერევანს, მოსკოვს, თბილისსა და ანკარას ეწვია. მან შეხვედრები გამართა სახელმწიფოების ლიდერებსა და კოლეგებთან. ის ასევე ჩავიდა ნახიჩევანშიც. ვიზიტის მთავარი მიზანი იყო ერდოღანის 3+3 პლატფორმის პერსპექტივების გარკვევა – ირანისთვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს რეგიონული თანამშრომლობის ამგვარ ფორმატებში მონაწილეობა იზოლაციის დაძლევისა და ფორმატის ჩარჩოს შიგნით საკუთარი ინტერესების გატარებისთვის.

ბაქოში ვიზიტის დროს ზარიფმა ასევე დააფიქსირა ირანის მზადყოფნა, მონაწილეობა მიეღო ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებში, რაც ძირითადად გულისხმობს ტექნიკური და საინჟინრო მასალებისა ექსპორტსა და მომსახურებების გაწევას, მაგრამ ასევე მოიაზრებს თანამშრომლობას ენერჯეტიკის, სოფლის მეურნეობის, ისტორიული ძეგლების აღდგენისა და ნაღმებისგან ტერიტორიების გაწმენდის სამუშაოებში მხარდაჭერას.<sup>74</sup>

2021 წლის იანვარში მოსკოვში ვიზიტის დროს, რომელიც რეგიონული ტურნეს ნაწილი იყო, ზარიფმა ხაზი გაუსვა, რომ ჩვენ გვსურს რეგიონული თანამშრომლობის კავშირის შექმნა ექვსი წევრით და ეს არის ჩვენი რეგიონული ტურნეს მთავარი მიზანი.<sup>75</sup>

ერდოღანის მიერ გაჟღერებული 3+3 ინიციატივა, როგორც მოსალოდნელი იყო, მიუღებელი აღმოჩნდა ქართული მხარისთვის და ამის შესახებ მკაფიო პოზი-

71 ინტერვიუ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ე. პრიმაკოვის სახ. მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ნაციონალური კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთან სტანისლავ პრიტიჩინთან (17/12/2021).

72 Alex Vatanka, Iran and Turkey: Power dynamics in the South Caucasus. (08/02/2021) <https://www.mei.edu...> (წვდომა: 05/06/2021).

73 თეირანის შემოთავაზება იყო „სირიული მოდელის“ გამოყენება ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით და დასავლეთის გარიყვა ომისშემდგომი სიტუაციის მოწესრიგების პროცესებიდან. ისე, როგორც სირიასთან დაკავშირებულ უენეის ფორმატს პრაქტიკულად ჩაენაცვლა ასტანის ფორმატი რუსეთის ხელმძღვანელობით, ირანს იმედი ჰქონდა, რომ ეუთო-ს მინსკის ჯგუფი შეიცვლებოდა ირან-თურქეთ-რუსეთის სამეულით.

74 ზურაბ მენაღარიშვილი, 'რატომ ჩამოდის ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში.' (27/01/2021). <https://netgazeti.ge...> (წვდომა: 03/02/2021)

75 'Zarif: Iran seeking to form six-party union in the Caucasus region.' Tehran Times (26/01/2021). <https://www.tehrantimes.com...> (წვდომა: 14/04/2021)

ცია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ლაშა დარსალიამ დააფიქსირა, სადაც ის გამორიცხავდა რუსეთთან რაიმე სახის ერთობლივ ფორმატში მონაწილეობას ამ უკანასკნელის მხრიდან საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობისა და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის პირობებში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზარიფის ვიზიტამდე ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩმა, აქბარ ყასემიმ განაცხადა: პირველ ეტაპზე შესაძლებელია 1+3 ფორმატის (ირანი და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები) პლატფორმის სახით, შემდეგ კიდევ ორი წევრის მიერთებით, რუსეთისა და თურქეთის სახით, მისი არეალი უფრო გაფართოვდეს და რეგიონულ პროცესებთან დაკავშირებით შეიქმნას ფართო პლატფორმა ირანის, სომხეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, რუსეთისა და თურქეთის მონაწილეობით 3+3 ფორმატის ფარგლებში.<sup>76</sup> ბუნებრივია, ამგვარი პლატფორმის შექმნას თურქეთი და რუსეთი არ დაუშვებდნენ და ეს უფრო ელჩის პირად მოსაზრებად შეიძლება ჩაითვალოს.

ინიციატივასთან დაკავშირებით სომხეთსაც სერიოზული შენიშვნები ჰქონდა. სომხეთისთვის ყარაბაღის ომში მარცხი აღიქმება ეროვნულ ტრაგედიად და ერს ჯერ კიდევ სჭირდება მისი გადახარშვა. შესაბამისად, მეტად რთული იქნება ადგილობრივი ხელისუფლებისთვის თურქეთთან და აზერბაიჯანთან ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება.

მოლაპარაკებების ერთ-ერთი მთავარი საკითხია სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. საქმე ეხება „ზანგეზურის (სომხ. სიუნიკის) დერეფანს“, რომელიც ფაქტობრივად აგრძელებს აზერბაიჯანის საზღვარს ირანთან. რეალურად, „ზანგეზურის დერეფანი“ შეზღუდავს კონტაქტის საშუალებას ირანსა და სომხეთს შორის, ეს კი არ შედის ირანის ინტერესებში. თუმცა, მეორე მხრივ, სომხეთს საშუალებას მისცემს რკინიგზით დაუკავშირდეს რუსეთს (ასევე ირანსაც და, ამ მხრივ, ამ უკანასკნელისთვის ეს გარკვეული 'კომპენსაცია' იქნება). აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის განცხადებით, „...30 წლის შემდეგ სომხეთის ტერიტორიის მეშვეობით სატრანსპორტო კომუნიკაციებით აზერბაიჯანს ექნება კავშირი ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკასთან, ხოლო სომხეთს აზერბაიჯანის ტერიტორიით სარკინიგზო გასასვლელი ექნება რუსეთსა და ირანზე. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ სამშვიდობო ხელშეკრულების ამ პუნქტის ინტერპრეტირებაზე სომხეთი და აზერბაიჯანი ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ თანხმდებოდნენ. მხარეები 2020 წლის ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მე-9 პუნქტის განსხვავებულ ინტერპრეტირებას ახდენდნენ. აზერბაიჯანი მიიჩნევდა, რომ დოკუმენტი მას უფლებას აძლევდა გაეყვანა სახმელეთო სატრანზიტო დერეფანი ნახიჩევანის ექსკლავისკენ სამხრეთ სომხეთის სიუნიკის პროვინციის გზით (რომელსაც აზერბაიჯანელები უწოდებენ „ზანგეზურის დერეფანს“). ბაქოს თვალთახედვიდან, „კომუნიკაციები აზერბაიჯანის დასავლეთ რეგიონებსა და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის“ ნიშნავს სწორედ „ზანგეზურის დერეფანს“ ამოქმედებას. სომხური თვალთახედვიდან კი, „დერეფანში“, რომელიც სულ ერთხელ არის ნახსენები შეთანხმების მესამე მუხლში, იგულისხმება „ლაჩი-

76 'ირანის ელჩის განცხადებით, ჯავად ზარიფის ვიზიტმა შესაძლოა, რეგიონში მშვიდობის დამყარების მიმართულებით პროცესების განვითარებაში გარდატეხა შეიტანოს.' (27/01/2021). <https://www.interpressnews.ge...> (წვდომა: 03/03/2020)

ნის დერეფანი“ (სომხეთის მიერ კონტროლირებადი მთიანი ყარაბაღის ნაწილისა და სომხეთის დამაკავშირებელი).<sup>77</sup>

ბუნებრივია, უკიდურესად რთული წარმოსადგენი იყო ერთი მხრივ, სომხეთს, ხოლო მეორე მხრივ, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ურთიერთობების სრული მოწესრიგება. მიუხედავად იმისა, ამ მიმართულებით გარკვეული ძვრები მოხდა (ასევე გარკვეულწილად გამოცოცხლდა სომხეთ-თურქეთის ურთიერთობები). მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხანმოკლევადიან პერსპექტივაში არსებული პრობლემები გადაილახება. ისიც აღსანიშნავია, რომ სარკინიგზო მაგისტრალების სწრაფად აღდგენა ასევე პრობლემატურია და დიდ ინვესტიციებსაც მოითხოვს (დაწვრილებით იხ. შემდეგი თავი).

ამგვარი გეგმა ზემოთ ნახსენები გობლის გეგმის ნაწილობრივ განხორციელებადაც შეიძლება ჩაითვალოს – ანუ აზერბაიჯანი იღებს დამაკავშირებელ „ხიდს“ ნახიჩევანთან, მაგრამ გეგმის მეორე ნაწილი – მთიანი ყარაბაღის მიერთება სომხეთთან განუხორციელებელი რჩება. ირანისთვის ზანგეზურის დერეფნის ხელახლა ამოქმედება აშკარად წამგებიანია, რადგან კარგავს თავის ექსკლავთან აზერბაიჯანის ერთადერთი დამაკავშირებლის პრივილეგიებულ სტატუსს. ზოგადად, ზანგეზურის დერეფანი ხსენებული ფორმატის მოლაპარაკებების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან განუზომელი პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია. სომხეთის თანხმობის შემთხვევაში კი, ირანს სხვა არჩევანი არ დარჩება, გარდა ფორმატის ამუშაინდელი მონაწილეების გადაწყვეტილების გაზიარებისა. მაგრამ ირანისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია (სიმბოლური თვალსაზრისითაც კი), რომ იყოს რაიმე სახის რეგიონული თანამშრომლობის ფორმატის წევრი და თავი დააღწიოს იზოლაციას. მას თუნდაც იმის შესაძლებლობა მიეცემა, რომ დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია ფორმატის სხვა წევრების წინაშე ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და გარკვეულ, თუნდაც მცირე დათმობებსაც მიაღწიოს მათგან.

მიუხედავად იმისა, რომ ირანსა და სომხეთს შორის თანამშრომლობაში არსებობს პრობლემური პროექტები, მათი რიცხვი ბევრად ნაკლებია, ვიდრე აზერბაიჯანთან. ამასთანავე, ირანი არ არის დაინტერესებული მისი მოსაზღვრე პარტნიორების კონფიგურაციის შეცვლით.

კიდევ ერთი წინააღობაა, როგორც აღინიშნა, საქართველოს უარყოფითი დამოკიდებულება. თბილისი უარზე იქნება რაიმე რეგიონულ პროექტში რუსეთთან მონაწილეობაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთი ოკუპაციის პირობებში.<sup>78</sup> საგარეო საქმეთა მინისტრის კიდევ ერთი მოადგილის ალექსანდრე ღვთისიაშვილის განცხადებით, „საქართველო ვერ ჩაერთვება იმ სამშვიდობო პლატფორმაში,

77 Kaleji, 'Iran and the 3+3 Regional Cooperation Format in the South Caucasus: Strengths and Weaknesses,' Eurasia Daily Monitor (16/07/2021), vol. 18 Issue 96. <https://jamestown.org...> (წვდომა: 30/06/2021)

78 ირანელი ანალიტიკოსის, ვალი ქალეჯის აზრით, ფორმატი უნდა იყოს 3+2 – ანუ საქართველო უნდა გამოაკლდეს აღნიშნულ პლატფორმას. Kaleji, 'From Ceasefire to Peace: The Necessity for a Russia, Iran and Turkey Partnership in the Karabakh Peace Talks.' (30/10/2020). <https://valdaiclub.com...> (წვდომა: 15.11.2020). ეს მოსაზრება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ვინაიდან საქართველოს გარეშე, რომელსაც უპირობოდ საკვანძო გეოსტრატეგიული პოზიცია უკავია რეგიონში, სამხრეთ კავკასიაში თანამშრომლობის პლატფორმის შექმნა უბრალოდ აბსურდია.



რომელშიც ასევე მონაწილე იქნება ქვეყანა, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები.“ დამატებით, თბილისისთვის შეშფოთების წყაროს წარმოადგენს, რომ შესაძლოა მოხდეს აზერბაიჯანზე, საქართველოსა და თურქეთზე გამავალი ტრანსრეგიონული გზის (პირველ რიგში, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის) მარგინალიზება სამხრეთიდან საგზაო და სარკინიგზო დერეფნების აღდგენის გამო.

ირანის ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვანია, რომ რუსეთი წარმოადგენილია რეგიონში და მის მეტოქე თურქეთს არ შეუძლია საკუთარი დომინირება დაამყაროს აზერბაიჯანში. თეირანი მიესალმა იმ ფაქტსაც, რომ ყარაბაღი მთლიანად არ დაუკავებიათ აზერბაიჯანის ჯარებს და რომ რუსულ შენაერთები იქნებიან საკამათო ტერიტორიაზე მინიმუმ ხუთი წლის მანძილზე.<sup>79</sup>

ირანს აშფოთებს, რომ „ზანგეზურის დერეფანმა“ შეიძლება თურქეთს, ნატო-ს წევრ ქვეყანას, პირდაპირი გზა გაუხსნას კასპიის ზღვის დასავლეთისკენ. ირანს ასევე აშფოთებს ისრაელის კომპანიების შესაძლო ჩართვა ირანის მოსაზღვრე განთავისუფლებული რეგიონების – ფუზულის, ჯაბრაილის და ზანგილანის აღდგენით სამუშაოებში.<sup>80</sup>

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე ფაქტორზე, რომლებიც პროცესებში ჩართულ სხვა ქვეყნებთან შედარებით (პირველ რიგში, ლაპარაკია თურქეთსა და რუსეთზე), ირანს გარკვეულ უპირატებობას ანიჭებს.

ზაზგასასმელია, რომ ირანი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც სამივე სამხრეთკავკასიურ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობები აქვს. აქედან გამომდინარე, იმავე ვ. ქალეჯის შეხედულებით, ამ ფორმატის არსებობის პირობებში მაღალ დონეზე შეხვედრები მხოლოდ ირანში შეიძლება გაიმართოს.<sup>81</sup>

ირანი ასევე ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ესაზღვრება სომხეთს, აზერბაიჯანს და ნახიჩევანის ექსკლავსაც. შესაბამისად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ირანი წლების მანძილზე იყო ერთადერთი დამაკავშირებელი სახმელეთო ხიდი ნახიჩევანსა და დანარჩენ აზერბაიჯანს შორის. ირანის მონაწილეობა ასევე საკვანძოა სამხრეთ კავკასიის რეგიონში საბჭოთა პერიოდის სარკინიგზო გზების აღდგენაში. პირველი გზაა (სამხრეთი-ჩრდილოეთი) ჯულფიდან ნახიჩევანში და შემდეგ ერევანსა და თბილისში. მეორე გზაა (დასავლეთი-აღმოსავლეთი) ჯულფიდან ნახიჩევანში, სომხეთის სამხრეთ საზღვრის გასწვრივ აზერბაიჯანისკენ ბაქოში და აქედან რუსეთში, ასევე საქართველოს შავი ზღვის პორტებისკენ.

მიუხედავად 3+2 ფორმატში მოსკოვში მოლაპარაკებების დაწყებისა (აქვე უნდა აღნიშნოს, რუსული მხარის საკმაოდ პროვოკაციული ქმედება მოლაპარაკებების დარბაზში საქართველოს, რომელმაც უარი თქვა მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე, დროშის გამოფენის სახით), ჯერჯერობით რთულია ლაპარაკი

79 Stefan Meister, 'Shifting Geopolitical Realities in the South Caucasus.' SCEEUS Reports on Human Rights and Security in Eastern Europe, No. 8 (11-2021). <https://www.ui.se/forskning...> (წვდომა: 06/01/2022)

80 Kaleji, 'Iran's Perceptions and Concerns of Border Tensions Between Armenia and the Republic of Azerbaijan.' (18/01/2022). <https://valdaiclub.com...s...> (წვდომა: 28/01/2022).

81 Kaleji, Iran and the 3+3 Regional Cooperation Format in the South Caucasus: Strengths and Weaknesses. Eurasia Daily Monitor. Volume: 18 Issue: 96, (16/06/2021). <https://jamestown.org...> (წვდომა: 30/06/2021)

გვირახის ბოლოს სინათლის გამოჩენაზე. ბუნებრივია, სომხეთის ჩართვა მოლაპარაკებებში მოსკოვის ზეწოლამ და დაპირებებმა (უპირველესად, სარკინიგზო ხაზის აღდგენის შესახებ აზერბაიჯანის გზით რუსეთისა და სომხეთის დასაკავშირებლად) გამოიწვია. თუმცა, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, რთულია რაიმე დასკვნების გამოტანა ფორმატის სიცოცხლისუნარიანობის შესახებ. ასევე არ იქნება სწორი იმ თვალსაზრისის გაზიარება, რომ 2020 წლის შემოდგომის ომის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში ძალთა ბალანსი შეიცვალა დასავლეთის საზიანოდ და რუსეთისა და თურქეთის სასარგებლოდ. დინამიურად ცვალებად საერთაშორისო ვითარების პირობებში, მეტად რთულია რაიმე პროგნოზების გაკეთება, თუნდაც უახლოესი მომავლის შესახებ.

2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ ომის გაჩაღებამ უკრაინის წინააღმდეგ ძირეულად შეცვალა საერთაშორისო ვითარება. თურქეთი, როგორც ნატოს წევრი, მხარში ამოუდგა უკრაინას. შესაბამისად, მსგავს ფორმატში თანამშრომლობის პერსპექტივებმა შორეული მომავლისთვის გადაიწია (შესაძლოა, სრულიადაც მოისპო). დღეს არსებულ ვითარებაში ასევე რთულია სატრანსპორტო დერეფნების აღდგენისა თუ შექმნის შესახებ საუბარი.

ამგვარად, მიუხედავად ირანის სურვილისა და გაწეული ძალისხმევისა აქტიური მედიატორის როლის შესასრულებლად სამხრეთ კავკასიაში, ამჟამად მისი წონა ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე რუსეთისა და თურქეთისა. თუმცა, პერსპექტივაში (პირველ რიგში, დასავლეთთან ურთიერთობების გამოსწორების შემთხვევაში, რუსეთის საერთაშორისო ასპარეზიდან გარიყვის პარალელურად), რეგიონში მას შეიძლება მოქმედების ბევრად უფრო ფართო შესაძლებლობები გაუჩნდეს.

## თავი V

### ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური კავშირები

#### სავაჭრო ურთიერთობები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ირანს ვაჭრობისა და ახალ ბაზრებზე გასვლისთვის სამხრეთ კავკასიის სახით შესანიშნავი შესაძლებლობა გაუჩნდა. მეორე მხრივ, გამორჩეული მნიშვნელობა შეიძინა სამხრეთ კავკასიის, როგორც სატრანზიტო გზის გამოყენების საკითხმა.

ირანი შეეცადა შექმნილი შესაძლებლობების გამოყენებას და გარკვეული ნაბიჯებიც გადადგა ამ მიმართულებით. მაგრამ ასევე აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს მაშინ, როდესაც ირანი ომის შედეგად განადგურებული ეკონომიკის აღდგენით იყო დაკავებული და, შესაბამისად, არ შეეძლო სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელება.

საწყის ეტაპზე ირანი შეეცადა საკუთარი მიზნების სამსახურში ჩაეყენებინა ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ECO), რომელშიც შედიოდნენ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები (სომხეთისა და საქართველოს გამოკლებით), ასევე ავღანეთი, პაკისტანი და თურქეთი. ამ პროექტის მიზანი იყო რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრირება, მათი დამაკავშირებელი კი ირანი უნდა გამხდარიყო. ECO-ს მიზანს ასევე შეადგენდა „სატრანსპორტო გზების განვითარება ორგანიზაციის წევრებს შორის ვაჭრობის ხელშეწყობისთვის.“<sup>1</sup> თუმცა, ECO არასოდეს წარმოადგენდა რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის ეფექტურ პლატფორმას. მისი წევრები ძირითადად ნედლეულის მწარმოებლები და ექსპორტიორები არიან და, ამ თვალსაზრისით, ერთმანეთის მოქიშპენიც.

პირველ რიგში, შევხები ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობებს. ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ყველაზე მნიშვნელოვან სექტორს საფუძველი ეყრება XX საუკუნის 20-წლებში, როდესაც საბჭოთა აზერბაიჯანის ნავთობმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ირანისთვის. აუცილებელი სატრანსპორტო ქსელის და ტრანსპორტის არარსებობის გამო, ნავთობის მიწოდება სამხრეთ ირანიდან ჩრდილოეთისთვის არც ადვილი იყო და არც იაფი. აქედან გამომდინარე, ჩრდილოეთის მოთხოვნილება ნავთობზე ბაქოს ნავთობით კმაყოფილდებოდა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ბაქოს სანავთობო ინდუსტრიის განვითარებას და ასევე დადებითად აისახებოდა საბჭოთა ეკონომიკაზე. საბჭოთა კავშირის

1 Posch, 'The Third World, Global Islam and Pragmatism.' ECO თავდაპირველად შეიქმნა 1977 წელს ირანის, თურქეთისა და პაკისტანის მონაწილეობით რეგიონული თანამშრომლობისა და განვითარების კონტექსტში. ისლამური რევოლუციის შემდეგ ორგანიზაცია ხელახლა დაფუძნდა 1985 წელს. 1990 წელს მოხდა 1977 წლის იზმირის ხელშეკრულების მოდიფიცირება ECO-სთვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზისის შესაქმნელად და მისი გახსნილობისთვის ახალი წევრების მისაღებად. ECO-სთვის საკვანძო იყო 1992 წლის თეირანის სამიტი, რომლის შედეგადაც წევრთა რაოდენობა სამიდან ათამდე გაიზარდა. ორგანიზაციას შეუერთდნენ აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი და ავღანეთი.

ვაჭრობის სამინისტრომ 1923 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბაქო ირანთან ვაჭრობის მთავარი ბაზა უნდა გამხდარიყო. მსხვილი საბჭოთა სავაჭრო კორპორაციების ფილიალები და ირანთან მოვაჭრე კომპანიები ამ ქალაქში განთავსდა, რამაც გამოიწვია როგორც ქალაქის მნიშვნელობის, ისე ირანთან ვაჭრობის გაზრდა. თეირან-ბაქოს სავაჭრო თანამშრომლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო აზერბაიჯანის სატრანსპორტო განყოფილება (CASPAR), რომელმაც 1924 წელს ბაქოს პორტი აღჭურვა რკინიგზით, საწყობებით, სამრეწველო ამწეებით და წარმომადგენლობა გახსნა ირანის პორტ ანზალიში ირანული საქონლის შეტანის გასაადვილებლად.<sup>2</sup> 1941 წელს ბაქო-ანზალის რკინიგზის გახსნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარებისთვის.

ირან-აზერბაიჯანის პირდაპირი სავაჭრო კავშირები შეწყდა 1945 წლის შემდეგ ცივი ომის დაწყებასთან ერთად, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე აღდგა. ახალ ვითარებაში ირანი აზერბაიჯანის ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო პარტნიორად იქცა. 1996 წლისათვის ირანი იყო აზერბაიჯანიდან უმსხვილესი იმპორტიორი და მისი წილი აზერბაიჯანის საერთო ექსპორტში 36%-ს უტოლდებოდა. ექსპორტის უმეტეს ნაწილს ბუნებრივი აირი შეადგენდა, რომელიც აზერბაიჯანიდან მიეწოდებოდა ირანის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებს.<sup>3</sup> თუმცა, შემდგომ ირანს ჩაენაცვლენ თურქეთი, რუსეთი და დასავლეთი.

აზერბაიჯანთან საბჭოთა პერიოდში ჩაკეტილი საზღვრის გახსნა თავისთავად ეკონომიკური გამოცოცხლების ხელშემწყობი იყო საზღვრისპირა რეგიონებში. თავის მხრივ, ირანმაც განახორციელა საკუთარ აზერბაიჯანულ რეგიონებში ინვესტიციები, წამოიწყო მნიშვნელოვანი რეფორმები. ყურადღება მიექცა საირიგაციო სისტემების განვითარებას.

2012 წელს ირანმა შექმნა მაქუს თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელშიც შედიოდა ნახიჩევანის საზღვართან მდებარე არაერთი ქალაქი. ირანმა მოუწოდა თურქეთსა და აზერბაიჯანს ამ თავისუფალ ზონაში ინვესტირებისკენ იმ დაპირებით, რომ აქ წარმოებული და აქედან ექსპორტირებული საქონელი არ დაექვემდებარებოდა საბაჟო გადასახადს.<sup>4</sup> თუმცა, ეს ეკონომიკური პროექტი დიდად წარმატებული არ გამოდგა. აქვე ხაზგასასმელია, რომ სომხეთისა და საქართველოსგან განსხვავებით, აზერბაიჯანი დღემდე ცალმხრივად ინარჩუნებს სავიზო რეჟიმს ირანთან, რაც სავაჭრო ურთიერთობებზეც უარყოფითად აისახება.

ჯერ კიდევ 1988 წელს საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის დაიდო ხელშეკრულება მდ. არაქსზე „ხოდააფარინის“ და „ყიზ-ყალასის“<sup>5</sup> ჰიდროკვანძების აგების შესახებ. საბჭოთა კავშირის დაშლისა და სომხეთის მიერ ირან-აზერბაიჯანის 132 კმ-იანი სასაზღვრო ზოლის დაკავების შემდეგ, ბუნებრივია, პროექტის ერთობლივ

2 AmirAhmadian, Ravābete Irān va Jomhuriy Azerbaijan, 120.

3 Elaheh Koolae & Mohammad H. Hafezian, 'The Islamic Republic of Iran and the South Caucasus Republics.' Iranian Studies (June 2010), vol. 43, #3, 402.

4 Weitz, 'Caspian Triangles: Azerbaijan's Trilateral Diplomacy.'

5 ირანული წყაროების მიხედვით, 2021 წლის 31 მაისს ირანის ენერჯეტიკის მინისტრმა გახსნა ყიზ-ყალასის კაშხალი და წყალსაცავი (ინტერვიუ ნიკოლოზ ნახუცრიშვილთან, 02/02/2022)

განხორციელებაზე მოლაპარაკებები შეწყდა. თუმცა, ირანმა დაახლოებით \$100 მლნ დახარჯა ხოდააფარინის დამზის მშენებლობისთვის, რომელიც 2008 წელს გაიხსნა. 2020 წლის ომის დასრულების შემდეგ აზერბაიჯანი და ირანი კვლავ შეთანხმდნენ პროექტის განხორციელებაზე, რომელიც წყლით უზრუნველყოფს 120 ათას ჰექტარს, ხოლო ჰიდროელექტროსადგური 280 მგვტ/სთ ენერჯიას გამოიმუშავებს.<sup>6</sup> მაგრამ ქვეყნებს შორის არსებული არაერთი გადაუწყვეტელი პრობლემა და წინააღმდეგობა (მაგ., 2021 წლის შემოდგომაზე დაძაბულობის ესკალაცია) ამ და სხვა პროექტების განხორციელებას მოკლევადიან პერსპექტივაში სათუოს ხდის.

2019 წლის მონაცემებით, აზერბაიჯანში ათასზე მეტი ირანული კომპანია ფუნქციონირებდა და მათი ინვესტიციების საერთო მოცულობა 3,4 მლრდ აშშ დოლარს აღემატებოდა.<sup>7</sup> 2018 წელს წლიური ორმხრივი ვაჭრობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 74%-ით და მიაღწია 446 მლნ აშშ დოლარს. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეადგენდა აზერბაიჯანის მთლიანი საგარეო ვაჭრობის მხოლოდ 1,5%-ს, მაინც მნიშვნელოვანია წილია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვაჭრობა ამ შემთხვევაში არ არის დაკავშირებული ენერგომატარებლებთან. მნიშვნელოვანია ასევე ირანელ ტურისტთა ნაკადი აზერბაიჯანში. 240,000 ირანელი ვიზიტორი ეწვია ქვეყანას 2018 წელს, რაც ჩამორჩება წინა წლის მაჩვენებელს (362,597).<sup>8</sup> 2019 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ირანის ვაჭრობა აზერბაიჯანთან იანვარ-ოქტომბერში \$422.68 მლნ აშშ დოლარს უტოლდებოდა, რაც 2018 წელთან შედარებით 30.7%-ით მატებაა. აზერბაიჯანის იმპორტი ირანიდან შეადგენდა \$391.69 მლნ-ს, ხოლო ირანის იმპორტი აზერბაიჯანიდან \$30.99 მლნ. ამგვარად, აზერბაიჯანის სავაჭრო დეფიციტი ირანთან \$360.69 მლნ-ს შეადგენდა. ირანის წილი აზერბაიჯანის იმპორტში 3.6%-ს უდრიდა (მე-8 ადგილი).<sup>9</sup> 2020 წელს აზერბაიჯანის იმპორტმა ირანიდან შეადგინა \$300.62 მლნ (მე-9 ადგილი), ექსპორტმა – \$38.49 მლნ (28-ე ადგილი).<sup>10</sup>

აზერბაიჯანთან კონფლიქტის პირობებში, ირანი გამორჩეულად მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი და გარესამყაროსთან დამაკავშირებელია სომხეთისთვის, ვინაიდან თურქეთის მხრიდან საზღვარი ჩაკეტილია და ერთადერთი გზა – საქართველო – გარკვეულწილად პრობლემატურია ამ უკანასკნელის სომხეთის სტრატეგიულ პარტნიორთან, რუსეთთან რთული ურთიერთობების გამო. თავის მხრივ, შტატებთან დაძაბულობის ესკალაციის პირობებში, ირანის ეკონომიკისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მეზობლების დახმარება, მათ შორის უპირველესად სომხეთისა. თეირანი და ერევანიც საჯაროდ ადასტურებენ ძლიერი ორმხრივი კავშირების ერთგულებას.

6 Ильгар Велизаде, 'Какова роль Ирана в постконфликтном устройстве на Южном Кавказе?' (20/01/2021) <https://pressunity.org...> (წვდომა: 12/06/2021).

7 Azad Garibov, 'Iran and Azerbaijan Proceed with Rapprochement as Diplomatic Exchanges Multiply' Eurasia Daily Monitor (20/03/2019), vol. 16, issue 39. <https://jamestown.org...> (წვდომა: 09/05/2020).

8 <https://en.trend.az/business/tourism/2845093.html> (წვდომა: 16/09/2021).

9 '30% Rise in Iran's Trade with Azerbaijan.' <https://financialtribune.com...> (22/11/2019) (წვდომა: 17/09/2021).

10 <https://tradingeconomics.com/azerbaijan/exports-by-country> (წვდომა: 19/12/2021)



თუმცა, სომხეთის დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე ორ ქვეყანას შორის, პოლიტიკურთან ერთად, არც ეკონომიკური ურთიერთობები ყოფილა მჭიდრო.

სომხეთის თავდაპირველმა სამხედრო წარმატებებამ ყარაბაღში ქვეყნისთვის ახალი ეკონომიკური და დიპლომატიური გამოწვევები შექმნა. საბჭოთა პერიოდში სომხეთის სარკინიგზო ტვირთბრუნვის 80% აზერბაიჯანზე გადიოდა. ომის უშუალო შედეგი მაშინვე გახდა მთავარი სავაჭრო გზებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დაკარგვა, რასაც მოჰყვა საკვებისა და საწვავის დეფიციტი აზერბაიჯანის მიერ გამოცხადებული ბლოკადის შედეგად.

ამან, თავის მხრივ, გამოიწვია თურქეთის ქცევა მთავარ მომწოდებელ არხად (რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს დღევანდელი გადმოსახედიდან). აქედან გამომდინარე, მიუხედავად ისტორიული ჭრილობებისა, „სომხეთის საგარეო პოლიტიკა 1991-1992 წლებში ითვალისწინებდა ნორმალური ურთიერთობების დამყარებას ანკარასთან. ეკონომიკურმა და ძველი აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ხაზის აღდგენის საჭიროებამ გადაწონა ეროვნული პრიორიტეტები.“<sup>11</sup> გარკვეულ დროის მანძილზე ეს პოლიტიკა პროდუქტიული იყო და თურქეთმა სომხეთს უფლება მისცა გამოეყენებინა მისი ტერიტორია ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად საჰაერო სივრცით, რკინიგზითა და პორტებით. ერევანმა ასევე დაიწყო მოლაპარაკებები თურქული შავიზღვისპირა ქალაქის, ტრაბზონის პორტის გაფართოების შესახებ. ამ პორტს უნდა უზრუნველყო სომხეთის მზარდი ვაჭრობა ევროპასთან.<sup>12</sup>

ერევან-ანკარის ურთიერთობები, რომლებიც უკვე დაძაბული იყო სომხეთის მიერ 1992 წელს შუმისა და ლაჩინის დაკავების შედეგად, სომხეთის მიმართ მტრული გახდა მას შემდეგ, როდესაც სომხები დაეუფლენ ქალბაჯარის აზერბაიჯანულ პროვინციას. შექმნილ ვითარებაში თურქეთმა გაწყვიტა დიპლომატიური კავშირები სომხეთთან და სასაზღვრო ბლოკადა დაუწესა მას. ამ ფაქტს სავაჭრო ურთიერთობების დროებითი შეწყვეტაც მოჰყვა, თუმცა შემდგომ ვითარება შეიცვალა და თურქეთი 2020 წლის შემოდგომის ომამდე სომხეთის ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო. თურქულ საქონელზე სომხეთში ემბარგო არ არსებობდა და საქონელი დაუბრკოლებლად შემოდებოდა. თურქული ბიზნესს, იმპორტის თვალსაზრისით, სომხეთის პარტნიორებს შორის მეოთხე ადგილი ეკავა.

თურქეთის მიერ საზღვრის ჩაკეტვის შემდეგ ირანისათვის სომხეთთან მომგებიანი სავაჭრო ურთიერთობების დამყარებისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ჯერ კიდევ 1992 წლის 9 იანვარს თეირანში ვიზიტის დროს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რაფი ჰოვანესიანმა ხელი მოაწერა არაერთ დიპლომატიურ და ეკონომიკურ შეთანხმებას თავის ირანელ კოლეგასთან, ალი აქბარ ველაიათისთან ერთად. მათ შორის იყო ირანული საქონლის ტრანზიტისთვის სომხეთის ტერიტორიის გამოყენება, ირანის გაზის მიწოდება სომხეთისთვის, დროებითი ხიდის აგება მდ. არაქსზე, რომელიც შემდგომ „სიცოცხლის ხილად იქცა

11 Herzig, *The New Caucasus: Armenia, Azerbaijan and Georgia*. (London: Royal Institute of International Affairs, 1999), 96.

12 Robert Kirkorian & Joseph Masih, *Armenia at the Crossroads (Postcommunist Nations and States)*. (Amsterdam: Harwood Academic Publishers, 1999), 98.

სომხეთისთვის ბლოკადის ყველაზე რთული წლების მანძილზე.<sup>13</sup> სომხეთის იმდროინდელმა პრემიერმა გაგიკ ჰარუთუნიანი მდ. არაქსზე სომხეთისა და ირანის დამაკავშირებელი ხიდის გახსნაზე აღნიშნა, რომ „ხიდი ხელს შეუწყობს ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებას სომხეთში, რომელიც დიდი ზიანს განიცდის ბლოკადისგან.“<sup>14</sup> „არაქსზე ახლადშენებული ხიდი გახდა ფიზიკური, და ასევე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ფუნქციური და სანდო დამაკავშირებელი გზა გარე სამყაროსთან, შექმნა სომხეთის სამხრეთისთვის საწვავისა და მეტად მოთხოვნადი ირანული საქონლის მიწოდების საშუალება.“<sup>15</sup>

ირანის ეკონომიკური დახმარების მნიშვნელობა მართლაც უზარმაზარი იყო. იმ ხანებში სომხეთის პრეზიდენტმა ტერ-პეტროსიანიმ განაცხადა, რომ თუ ეკონომიკური კავშირები ირანთან თუნდაც ორი დღით შეწყდება, სომხეთის დახრჩობა დაიწყება.<sup>16</sup>

ირანელებს დამოუკიდებლობის პირველი ხუთი წლის მანძილზე სომხეთის ბაზრების 100% ეკავათ. თუმცა, დაბალი ხარისხისა და მაღალი ფასების გამო, მათ თანდათანობით დაკარგეს ბაზრის ნდობა. სომხეთის მიერ ევროპასთან ურთიერთობის განვითარების შემდეგ სომხები უკვე აღარ იყვნენ ირანული საქსპორტო საქონლის შექმნის მოწადინებულნი. ამასთანავე, გაიზარდა ნდობა თურქული საქონლის მიმართ უფრო მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომი ფასების გამო. აღსანიშნავია, რომ შემდგომში სომხეთის სავაჭრო ბრუნვის 25% თურქეთზე მოდიოდა, თუმცა არც აზერბაიჯანულ მედიაში და არც პოლიტიკოსების მხრიდან ამის გამო თურქეთის კრიტიკა არ ხდებოდა.

მცირე მასშტაბის სასაზღვრო ვაჭრობის თვალსაზრისით, ნორდუზ-მელრის სასაზღვრო ბაზრობა ორი ქვეყნის დამაკავშირებელი მთავარი არხია. საინტერესოა, რომ ირანის აღმოსავლეთ აზერბაიჯანის მოვასტრეებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ სომეხ-ირანულ აქტიურ მოვასტრეებს შორის. ირან-სომხეთის ბიზნეს ასოციაციის წევრთა 80%-ზე მეტი ირანელი აზერბაიჯანელები არიან.<sup>17</sup>

სომხეთიც და ირანიც ცდილობენ ექსპორტ-იმპორტისათვის პროცედურული ბარიერების მოხსნას. სავაჭრო ურთიერთობები გაცხოველდა 2003 წელს ირანის აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციაში არაქსის თავისუფალი სავაჭრო ზონის გახსნის შემდეგ. ზონის მიზანი იყო ირანში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მაგრამ სომეხ ინვესტორებს მალე გული აუცრუვდათ თავისუფალ ზონის მიმართ, სადაც კომერციული აქტივობებისთვის მაინც რჩებოდა საკმაოდ მნიშვნელოვანი შემზღვეველი რეგულაციები. თავის მხრივ, სომხეთმა შექმნა თავისუფალი ეკონომიკური ზონა მელრიში, ირანის საზღვართან ახლოს, სიუნიკის რეგიონში, ვაჭ-

13 ‘ACNIS Examines Armenian-Iranian Relations.’ (20/10/2005). <http://www.acnis.am...> (წვდომა: 14/06/2016)

14 ციტ. Shaffer, ‘Iran’s Role in the South Caucasus and Caspian Region,’ 18.

15 Mirzoyan, Armenia’s Foreign Policy 2004, 173. მელრისთან მდ. არაქსზე დროებითი ხიდი 1992-1994 წლებში არსებობდა, ხოლო 1995 წელს კაპიტალური ხიდი აიგო. ხიდს „მეგობრობის ხიდს“ უწოდებდნენ.

16 ციტ. Акпер Гасанов, ‘Иран-Азербайджан: Сага о потерянной доверии?’ (28/01/2011). <https://1news.az...> (წვდომა: 14/12/2019).

17 Esfahani, Iran’s Foreign Policy in the South Caucasus, 218.

რობის და ტურიზმის განვითარებისთვის.<sup>18</sup> მეღრის თავისუფალი ეკონომიკური ზონა გაიხსნა 2017 წლის აგვისტოში. ივარაუდებოდა, რომ ზონა ხელს შეუწყობდა სომხეთის ამ ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილი პროვინციის განვითარებას – აქ მაღალია უმუშევრობის დონე, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელები კი ცოტაა. ამასთანავე, სიუნიკის რეგიონი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით (სპილენძი, მოლიბდენი, თუთია, ოქრო, ვერცხლი და ასევე მინერალები).<sup>19</sup>

როდესაც სომხეთი შეუერთდა რუსეთის წინამძღოლობით შექმნილ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს, ირანმა მიიჩნია, რომ ის სარგებელს მიიღებდა ჩრდილოელი მეზობლის ამ კავშირში ყოფნით. ამასთან დაკავშირებით ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯავად ზარიფმა აღნიშნა, რომ სომხეთის გადაწყვეტილება ქმნის „უფრო ფართო თანამშრომლობის საშუალებს ირანის, სომხეთისა და რუსეთისთვის.“<sup>20</sup> ზარიფის ვარაუდი, შესაძლოა, სწორი იყო. გაწევრიანებიდან სულ მალე, სომხეთმა კავშირის წევრებს შესთავაზა შეთანხმება თავისუფალ ვაჭრობის შესახებ ირანთან.<sup>21</sup> შეღავათიანი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას (ანუ ირანის თავისუფალი ვაჭრობის ზონაში შესვლას) ევრაზიის ეკონომიკურ კავშირსა და ირანს შორის ხელი მოეწერა ერევანში 2019 წლის 27 ოქტომბერს და ის ითვალისწინებს „უფრო დაბალი საბაჟო ტარიფების დაწესებას 862 დასახელების საქონელზე, რომელთაგან 502 ირანიდან ევრაზიის ეკონომიკურ კავშირის წევრ ქვეყნებში შედის.“<sup>22</sup> 2021 წელს ირანის პარლამენტის სპიკერმა მოჰამად ყალიბაფმა დააანონსა თეირანის მოლაპარაკებების დაწყება ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში შესასვლელად. ამ შეთანხმების ხელმოწერის შემთხვევაში, სომხეთის მნიშვნელობა ირანისთვის კიდევ უფრო გაიზრდება და ირანისთვის სომხეთი გახდება გზა კავშირის ქვეყნებში საკუთარი საქონლის ექსპორტისთვის. ეს ისტორიული შეთანხმება პირველია ისლამური რესპუბლიკისთვის, ვინაიდან ის იქნება ერთადერთი რეგიონული შეთანხმება, რომელშიც ირანი მონაწილეობას მიიღებს 1979 წლის შემდეგ (თუ არ ჩავთვლით პრაქტიკულად უმოქმედო ECO-ს).<sup>23</sup> შეთა-

18 'Iran, Armenia to Establish Joint Coop. Office.' Mehr News Agency (05/11/ 2017). <https://en.mehrnews.com...> (წვდომა: 09/07/2020).

19 Feride Inan & Diana Yayloyan, 'New Economic Corridors in the South Caucasus and the Chinese One Belt One Road.' The Economic Policy Research Foundation of Turkey, (05-2018), 57. <https://epfarmenia.am/sites/...pdf>

20 Alex Vatanka, 'Looking at Armenian-Iranian Relations Through a Russian Lens.' (04/02/2015). <https://eurasianet.org...> (წვდომა: 19/11/2020)

21 'Eurasian Economic Union, Iran to Sign Free Trade Zone Agreement within Months – Kremlin.' TASS (02/04/2018). <https://tass.com...> (წვდომა: 19/11.2020).

22 Давид Степанян, 'Прогноз: Вовлечение Ирана на Южный Кавказ сбалансирует присутствие Турции.' (16/02/2021) <https://arminfo.info...> (წვდომა: 09/01/2021)

23 აქ უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ნოემბერში დუშანბეში ჩატარებულ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტზე ირანი გახდა ამ ორგანიზაციის წევრი და შეუერთდა რუსეთს, ჩინეთს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, უზბეკეთს, ტაჯიკეთს, ინდონეზიას და პაკისტანს. ირანი დიდ იმედებს აქვს, რომ ამ ზერეგიონული ორგანიზაციის წევრობა შეუწყობს ხელს ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში. ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა რაიხიმ პირველი უცხოური ვიზიტი სწორედ ამ სამიტზე დასაწრებად განახორციელა დუშანბეში. შანხაის ორგანიზაციაში გაწევრიანების სარგებლის შესახებ ირანისთვის, იხ. Kaleji, What Iran's Shanghai Cooperation Organization Membership Really Means. (28/11/2021). <https://nationalinterest.org...> (წვდომა 17/01/2022). ამასთანავე, ირანული მხარის ეიფორია

ნხმება დიდად წაადგება ირანის ეკონომიკას, რომელსაც სანქციებით ნავთობის გაყიდვის შეზღუდვები აქვს დაწესებული და გარიყულია მსოფლიო ფინანსური ბაზრებიდან. თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა ირანს საშუალებას მისცემს სარგებელი მიიღოს არამხოლოდ ნავთობის ექსპორტიდან.

აღსანიშნავია, რომ სომხეთში ექსპორტირებული ირანული ნახევარფაბრიკატი პროდუქცია საბოლოო სახეს იღებს სომხეთში და სავაჭრო ნიშნით „დამზადებულია სომხეთში“ გადის დსთ-ის ქვეყნებში. ამგვარი თანამშრომლობით ორივე მხარე მოგებული რჩება.

ამასთანავე, არსებობს არაერთი ბარიერი, რომელიც საკმაოდ ამცირებს ირანის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებით მიღებულ სარგებელს. ირანისთვის პრობლემას წარმოადგენს, რომ სომხეთის გარდა, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის არცერთი წევრი მას არ ესაზღვრება (აზერბაიჯანი და თურქმენთი არ არიან წევრები, ხოლო სომხეთს არ აქვს საერთო საზღვარი სხვა წევრ ქვეყნებთან). კასპიის ზღვაზე ირანს პორტების ინფრასტრუქტურაც არ აქვს სათანადო დონეზე განვითარებული.<sup>24</sup> 2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, ამ ეკონომიკური კავშირის სამომავლო პერსპექტივები ასევე ბუნდოვანი გახდა.

2016 წლის 5 ივნისს სომხეთს და ირანს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რის შემდეგაც იმავე წლის აგვისტოდან ამოქმედდა უვიზო რეჟიმი, რამაც შექმნა ვაჭრობის გაცხოველების პერსპექტივები. თუმცა, მას შემდეგ, რაც აშშ გამოვიდა ერთობლივი ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის ხელშეკრულებიდან (JCPOA), ირანი კიდევ ერთხელ გახდა სანქციების ობიექტი, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ირანის ეკონომიკას და შეუზღუდა საკვანძო პარტნიორებთან, მათ შორის სომხეთთან, ვაჭრობის საშუალებები.

სომხეთისთვის მჭიდრო თანამშრომლობა ირანთან ნიშნავს არა მხოლოდ აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის მჭიდრო თანამშრომლობის (რომელშიც საქართველოს არის ჩართული პარტნიორის სახით) დასაბალანსებას, არამედ გზავნილიც არის ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომ სომხეთი მხოლოდ რუსეთზე არ არის დამოკიდებული.<sup>25</sup>

ირანმა სწრაფად მოიხრგო სომხეთისთვის მთავარი მიმწოდებლის როლი ყარაბაღის პირველი ომის დროს. მაგრამ დღეს სამხრეთ კავკასიის ბაზარი გადაჭედულია თურქული საქონლით და, როგორც აღინიშნა, ირანული საქონელი კონკურენციას ვერ უწევდა თურქულ საქონელს სომხეთში. ირანის სისუსტეს ამ მხრივ მრავალი ფაქტორი განაპირობებს: ირანი უფრო მცირე რაოდენობით აწარმოებს სამომხმარებლო საქონელს, რომელიც კონკურენტუნარიანია და პასუხობს სამხრეთ კავკასიის მომხმარებელთა მოთხოვნილებებს.

ხსენებულ ორგანიზაციაში გაწევრიანების გამო გარკვეულწილად გადაჭარბებულია. საქმე ის არის, რომ ირანმა მხოლოდ გაწევრიანებაზე თანხმობა მიიღო, მაგრამ მიღების პროცესი სამი წელი გაგრძელდება. იხ. Hunter, 'Iran: Shanghai Cooperation Organisation membership will not solve its problems.' (30/09/2021). <https://www.middleeasteye.net/opinion...> (წვდომა: 10/11/2021).

24 Kaleji, Iran and Eurasian Economic Union Negotiations: Upgrading EAEU-Iran Preferential Trade Agreement into a Free Trade Agreement (24/01/2022) <https://russiancouncil.ru/en/analytics...> (წვდომა: 28/01/2022).

25 Weiss & Zabanova, 'The South Caucasus and Iran in the Post-Sanctions Era,' 2.

თუმცა, ყარაბაღის 2020 წლის ომში თურქეთის ჩართულობის საპასუხოდ, სომხეთმა აკრძალა საქონლის უმრავლესი სახეობების იმპორტი თურქეთიდან და ნიშის შევსება ირანს შესთავაზა, რომელიც ბოსტნეულისა და ხილის ერთ-ერთი მთავარი ექსპორტიორი გახდა სომხეთში. ამ მხრივ ირანს სომხეთთან ვაჭრობის ახალი ჰორიზონტები გაეშალა.<sup>26</sup> ირანს ნაწილობრივ მაინც აქვს არსებული სიცარიელის შევსების საშუალება. თუმცა, მოკლევადიან პერსპექტივაშიც არ არის გამორიცხული სომხეთ-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა. ყველაფერი დამოკიდებული იქნება რეგიონში დღეს არსებული კონფლიქტური ვითარების განმუხტვაზე. სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების დალაგების პროცესი კი 2021 წლიდან საკმაოდ ინტენსიური გახდა.

სომხეთ-ირანის ვაჭრობის მოცულობა 2018 წელს შეადგენდა \$363 მლნ-ს (ექსპორტი – \$94 მლნ, იმპორტი – \$269 მლნ) (2017 წელს მოცულობა იყო \$258 მლნ).<sup>27</sup> სომხეთის ექსპორტი ირანში 2019 წელს შეადგენდა \$83.84 მლნ-ს, იმპორტი კი – \$324.7 მლნ-ს). 2019 წელს, სანქციების გამო, იმპორტი შემცირდა 30%-ით, თუმცა ექსპორტი იმავე 30%-ით გაიზარდა.<sup>28</sup> 2017 წელს 200,147 ირანელი ეწვია სომხეთს, ხოლო 2018 წელს – 166,645 (27%-ით შემცირება). 2020 წლის პირველ ოთხ თვეში ირანმა სომხეთში \$73.18 მლნ საქონლის იმპორტი მოახდინა, რაც წინა წელთან შედარებით 12.43%-ით ნაკლებია. ხოლო სომხეთიდან იმპორტმა \$27.88, რაც წინა წლის ოთხ თვესთან შედარებით 56.02%-ით მატებაა.<sup>29</sup> მთლიანად 2020 წლის ვაჭრობის მოცულობა შემდეგია: ირანიდან სომხეთში იმპორტი – \$314.89 მლნ (მე-3 ადგილი), სომხეთიდან ირანში – \$84.72 მლნ (მე-8 ადგილი).<sup>30</sup>

მიუხედავად არც თუ ისე დიდი ციფრებისა, სომხეთისთვის მეტად საზიანოა ირანისთვის დაწესებული სანქციები, თუმცა ქვეყანა იმავდროულად დიდად არის დამოკიდებული აშშ-ისა და დასავლეთის დახმარებაზე. ამ 'ორმაგ მარყუჟში' მოქცევიდან გამომდინარე, სომხეთი სურვილსაც კი გამოთქვამს იყოს მომრიგებელი დაპირისპირებულ მხარეებს შორის. სომხეთის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა არმენ გრიგორიანმა 2020 წლის 9 იანვრის ბრიფინგზე განაცხადა: „თუ ჩვენთვის საჭიროება იქნება გამოვიდეთ მედიატორებად, ჩვენ მზად ვართ [...] მხარეებს დახმარება გაუწიოთ კონფლიქტის მოგვარებაში.“<sup>31</sup> თუმცა, მსგავსი მისიის შესრულება სომხეთის მიერ, ამჟამინდელი ვითარებიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა.

ირან-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები, კავკასიელ მეზობლებთან შედარებით, მოკრძალებულია. საკმაოდ დიდი უფსკრულია ორ ქვეყანას შორის ამჟამად არსებულ და პოტენციურად შესაძლებელ ეკონომიკურ ურთიერთობებს შორის.

26 'Иранские выборы: «Люди хотят винограда, а не яблок» — интервью с Ланой Раванди-Фадаи.' (11/06/2021). <https://eadaily.com/ru...> (წვდომა: 18/06/2021).

27 <https://www.mfa.am/en/bilateral-relations/ir>. (წვდომა: 09/12/2020).

28 Ani Mejlumyan, 'U.S. sanctions on Iran hit Armenia' (26/09/2019) <https://eurasianet.org...> (წვდომა: 05/11/2020).

29 'Iran's Trade With Armenia Tops \$100m in January-April' (15/06/2020) <https://financialtribune.com...> (წვდომა: 23/05/2021)

30 იხ. <https://tradingeconomics.com/armenia/exports-by-country> (წვდომა: 12/08/2021).

31 ციტი. Giorgi Lomsadze, 'As Iran gets a Big Slice of Azerbaijan's Energy Pie, Europe comes knocking.' (13/01/2011). <http://www.eurasianet.org...> (წვდომა 18/09/2018)



1990-იანი წლების დასაწყისში, თბილისში, შემდეგ კი ქუთაისსა და ბათუმში მოეწყო პირველი ირანული სავაჭრო და სამრეწველო გამოფენები. ზოგიერთი ირანელი ბიზნესმენი დამკვიდრდა კიდევ საქართველოში. „მეგობრობისა და თანამშრომლობის“ ხელშეკრულების საფუძველზე იმერეთის რეგიონსა და გილანის პროვინციას შორის, გილანის მუდმივმოქმედი სავაჭრო ცენტრი დაფუძნდა ქუთაისში, ხოლო შემდეგ თბილისშიც. 2001 წლის 1 თებერვალს ირანელმა ბიზნესმენებმა დაარსეს „საქართველოში ირანელ ბიზნესმენტა კავშირი“. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ირანელ ბიზნესმენტა რიცხვი გაიზარდა ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს, კომპანიების რეგისტრაციის გაადვილების, საემიგრაციო კანონდებლობის გამარტივების გამო. შეიძლება ითქვას, რომ 100 წლის შემდეგ საქართველო კვლავ მიმზიდველი გახდა ირანელთათვის, როგორც ქვეყანა, რომელიც მხარს უჭერდა თავისუფალ ეკონომიკას და იზიარებდა დასავლურ ფასეულობებს – ქვეყანა, რომელიც ახლოს დგას ისტორიულად, კულტურულად და გეოგრაფიულად ირანთან, სადაც მცირე შემოსავლების მქონე ირანელებს საშუალება ეძლევათ წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი და დასავლური განათლება მისცენ შვილებს. საქართველო კვლავაც იქცა ირანის დამაკავშირებლად ევროპასთან. არაერთმა ირანელმა მიიღო „ბინადრობის უფლება“ საქართველოში. გააჩნდა მთელი რიგი სააგენტოებისა, რომლებიც საქართველოში ირანული კომპანიების რეგისტრაციით იყვნენ დაკავებული.<sup>32</sup>

ხელშეკრულება ინვესტიციების ორმხრივი გამარტივებისა და დაცვის შესახებ ხელმოწერილია 1995 წელს, თუმცა ამოქმედდა მხოლოდ 2005 წლის 22 ივნისიდან. საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკიდან ინვესტიციები პირველად განხორციელდა 2006 წელს. მას შემდეგ საქართველოში ირანული ინვესტიციების ოდენობამ (2018 წლის ჩათვლით) მთლიანად შეადგინა 26.76 მლნ დოლარი.<sup>33</sup> 2019 წელს ირანულმა ინვესტიციებმა საქართველოში სულ 1,2 მლნ შეადგინა. ინვესტიციების უფრო ზუსტი მოცულობის შესახებ ინფორმაციის მოძიება შეუძლებელი გამოდგა.

1992 წლის შემდეგ ირანსა და საქართველოს შორის 40-ზე მეტი შეთანხმება დაიდო თანამშრომლობის შესახებ სხვადასხვა სფეროებში (ვაჭრობა, ტვირთების გადაზიდვა, მრეწველობა, მეცნიერება და ტექნოლოგიები და სხვ.). ორმხრივი შეთანხმებებიდან და ხელშეკრულებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ენერგეტიკის და ტრანსპორტირების სფეროებში თანამშრომლობას, ასევე სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს ეხება.<sup>34</sup>

გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში საქართველომ გამოთქვა მზადყოფნა აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციაში მსუბუქი თვითმფრინავების ქარხნის აშენების შესახებ, თუკი ამისთვის იარსებებდა შესაბამისი პირობები. გარდა

32 ნახუცრიშვილი და სანიკიძე, 'საქართველო და ირანი: 25-წლიანი ურთიერთობების შეჯამება,' 315.

33 თეიმურაზ ყანდაშვილი და სხვ., 'საქართველოს და ირანის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები.' ინოვაციური ეკონომიკა და მართვა, ტომი 7, №1, 2020, 46-51, 50. <http://iem.ge/ojs...> (წვდომა: 22/02/2022).

34 'მთავარი თემა – ირანი საქართველო და ირანი „კარის გაღების“ შესაძლებლობების ძიება.' ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC), თბილისი (აპრილი, 2016), 23. [https://eprc.ge/uploads\\_script/publication/Iran\\_A5\\_GEO.pdf](https://eprc.ge/uploads_script/publication/Iran_A5_GEO.pdf)

ამისა, ასევე აღინიშნა, რომ საქართველოს აქვს თვითმფრინავების რემონტის შესანიშნავი შესაძლებლობები, რაც შეუძლია ირანს შესთავაზოს.<sup>35</sup> თუმცა, ამ სფეროში თანამშრომლობა, მიზეზთა გამო (უპირველესად პოლიტიკური) არ დაწყებულა.

აქვე აღსანიშნავია, რომ XXI საუკუნის დასაწყისიდან საკმაოდ თვალსაჩინო იყო ეკონომიკური ურთიერთობების გამოცოცხლება. 2005-2013 წლებში ორმხრივი ვაჭრობა ყოველწლიურად 20%-ზე მეტით იზრდებოდა, რის შედეგადაც საქართველო ირანის ყველაზე მზარდ სავაჭრო პარტნიორებს შორის მესამე ადგილზე იყო, მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის საერთო მოცულობა კვლავაც დაბალ დონეზე იდგა.<sup>36</sup>

საქართველო-ირანის სამთავრობათშორისი ეკონომიკური კომისია მნიშვნელოვანი პლატფორმაა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისთვის და პრობლემების გადასაწყვეტად მათი წარმოშობის შემთხვევაში. კომისიის პირველი სხდომა 1994 წელს შედგა. თუმცა, თითქმის 10 წლის მანძილზე კომისია არ ფუნქციონირებდა და ერთობლივი კომისიის მეექვსე სხდომა თბილისში მხოლოდ 2017 წლის ოქტომბერში ჩატარდა.

2010 წლის 3 ნოემბერს საქართველოსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას 45-დღიანი უვიზო რეჟიმის შესახებ ჩვეულებრივი პასპორტის მქონე მოქალაქეთათვის. ხელშეკრულება ამოქმედდა 2011 წლის 26 იანვრიდან. ამ გადაწყვეტილებამ მკვეთრად გაზარდა ირანელ ვიზიტორთა რიცხვი საქართველოში.

საქართველო შედარებით გახსნილი გახდა ირანისთვის ადამიანებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების თვალსაზრისით, განსხვავებით დასავლეთის და დასავლეთზე ორიენტირებული სხვა ქვეყნებისგან. ირანელ ტურისტებსა და ვიზიტორებს საქართველოში შეუძლიათ ისარგებლონ სოციალური თავისუფლებებით და სათამაშო სახლებით, რაც უპირობოდ მიუწვდომელია ირანში.<sup>37</sup>

სავაჭრო და ეკონომიკური აქტივობების გარდა, ირანელთა მცირე ნაწილი ჩართული იყო გასართობ ბიზნესში (ღამის კლუბები, რესტორნები); ასევე მოღვაწეობდა განათლებისა და კულტურის სფეროებში. ზოგიერთმა ირანელმა გახსნა საბავშვო ბაღი, ენისა და კომპიუტერის სწავლების ცენტრი. გამოიცემოდა სპარსულენოვანი ყოველკვირეული ჟურნალი „არიანა“, რომელიც უფასოდ ვრცელდებოდა. ფუნქციონირებდა სპარსულენოვანი რადიოარხი „რადიო თეფლის“. ირანელები ასწავლიდნენ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებშიც. გაიხსნა ირანული სამედიცინო ცენტრები, სილამაზის სალონები, ტკბილეულობის მაღაზიები და ა.შ. ემიგრანტი ირანელი პოპ-ვარსკვლავები – გუგუში, არაში, ანდი, სეფიდე და სხვა ე.წ. „ლოს-ანჯელესელი მომღერლები“ ატარებდნენ კონცერტებს ირანელი რეზიდენტებისათვის.<sup>38</sup>

35 Месамед, Иран и немусульманские страны Южного Кавказа, 177.

36 Andrew C. Kuchins et al., 'Georgia's Foreign Economic and Security Policy.' Georgia in a Reconnecting Eurasia. (Center for Strategic and International Studies, CSIS) (2016), 21.

37 Mariam Gabedava & Koba Turmanidze, 'Iran's Soft Power Policy in Georgia.' In: Religion and Soft Power in the South Caucasus, 63.

38 ნახუცრიშვილი და სანიკიძე, 'საქართველო და ირანი: 25-წლიანი ურთიერთობების შეჯამება,' 315.

ირანული ბიზნესი საკმაოდ გაქტიურად საქართველოში, გაიხსნა არაერთი ირანული კომპანია. თუმცა, ასევე გაჩნდა ეჭვები, რომ ბევრი ირანული კომპანია საქართველოში ფულს ათეთრებდა. ეკონომიკური კავშირების განვითარებამ ზოგიერთ დასავლურ ქვეყანაში ეჭვები გააჩინა, რომ ირანის საქართველოს იყენებდა სანქციებისგან თავის ასარიდებლად და ეკონომიკური კავშირებით პოლიტიკური ზეგავლენის გაზრდას ცდილობდა. არსებობდა ეჭვები, რომ ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი საქართველოში 150 კომპანიის მფლობელი იყო.<sup>39</sup> 2013 წელს უვიზო რეჟიმის გაუქმება (რომელიც 2 წელიწადში ისევ აღდგა) სწორედ შტატების ზეწოლას უნდა დაუკავშიროთ ირანული ბიზნესის არალეგალური აქტივობების გამო.

საერთო ჯამში, ეკონომიკური კავშირები საკმაოდ სუსტია. საერთაშორისო და ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი საქართველოს ავალდებულებს მკაცრ კონტროლს დაუქვემდებაროს ირანთან სავაჭრო ურთიერთობები.<sup>40</sup> ბუნებრივია, დასავლეთის ხისტი პოზიცია ირანის მიმართ ამ თვალსაზრისით სერიოზული წინააღმდეგობაა, თუმცა არსებობს სფეროები, რომლებშიც ორ ქვეყანას უფრო აქტიური ეკონომიკური თანამშრომლობა შეუძლიათ. მ. ჯალილი და ტ. კელნერი მართებულად შენიშნავენ, რომ აქცენტი, გაკეთებული ურთიერთობების ეკონომიკურ განზომილებაზე, მეტად უმნიშვნელოა, რომ მართლაც შეაშფოთოს ვაშინგტონი.<sup>41</sup>

რაც შეეხება ვაჭრობის მოცულობას, როგორც აღინიშნა, სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით, მცირეა. 2006-2016 წლებში საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის ირანს მე-19 ადგილი ეკავა. თუ 2018 წელს საქართველოდან ირანში ექსპორტის მაჩვენებელი \$77.155 მლნ, ხოლო ირანიდან იმპორტისა – \$177.742 მლნ, 2020 წელს საქართველოდან ირანში ექსპორტმა სულ \$29.08 მლნ შეადგინა (მე-18 ადგილი), ხოლო ირანიდან იმპორტმა \$45.24 მლნ (30-ე ადგილი).<sup>42</sup> ეს შემცირება გამოწვეული იყო როგორც სანქციების აღდგენით, ისე კოვიდპანდემიას დაკავშირებული შეზღუდვებით.

ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვის ძირითადი ნაწილი არაა დაკავშირებული თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ირანიდან ძირითადად შემოდის, ზეთები, გამოხდის პროდუქტები; კერამიკული პროდუქტები; პლასტიკი და მისი ნაწარმი; მინა და მინის ნაწარმი; სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქცია და სხვ. საქართველოდან კი ხდება ხის მასალების, ელექტრო მოწყობილობების, ფარმაცევტული პროდუქციის, ოპტიკური დანადგარების, სხვადასხვა ქიმიური პროდუქტები და ა.შ. ექსპორტი და რე-ექსპორტი.<sup>43</sup>

39 Benoit Faucon et al., 'As Sanctions Bite, Iranians Invest Big in Georgia.' The Wall Street Journal (20/06/2013). <http://www.wsj.com...> (წვდომა: 23/05/2015). (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

40 'Report on Georgia-Iran Economic Relations.' Policy Paper (01.05/2018). (Civil Council on Defense and Security, Tbilisi, Georgia). <http://www.civilcouncil.org...> (წვდომა: 08/09/2019).

41 Djalili et Kellner, 'Politique régionale de l'Iran,' 24.

42 <https://tradingeconomics.com/georgia/imports/iran> (წვდომა: 15/10/2021).

43 ვახტანგ ჭარაია, 'ქართულ – ირანული ეკონომიკური თანამშრომლობა.' (16/03/2016). <http://bfm.ge...> (წვდომა: 12/07/2020).

სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები არსებობს, თუმცა, ეს პერსპექტივები რეალობად მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევა, თუ ირანს სანქციები მოეხსნა.

საქართველოს ახლო ურთიერთობები დასავლეთთან, კერძოდ ევროკავშირთან, ასევე არის ირანისა და ირანელებისთვის მიზიდულობის ფაქტორი. საქართველო წარმოადგენს დასავლეთისკენ ირანის პოტენციურ „კარიბჭეს.“ ევროკავშირთან საქართველოს მიერ ხელმოწერილი ‘ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება’ (DCFTA), რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლიდან, ახალ პერსპექტივებს ქმნის ვაჭრობისა და ეკონომიკურ კავშირებისთვის საქართველოსა და ირანს შორის, ასევე მნიშვნელოვანია ირანული ინვესტიციების მოსაზიდად ქვეყანაში. DCFTA უნიკალურ შესაძლებლობას უქმნის ინვესტორებს ირანიდან და სხვა ქვეყნებიდან აწარმოონ საქონელი საქართველოში და შემდეგ, საბაჟო გადასახადის გარეშე, გაიტანონ ის ევროკავშირის უზარმაზარ ბაზარზე. ინვესტორებს შეეძლებათ ააწყონ საქონელი საქართველოში და გამოიყენონ იაფი მუშახელი. ასევე შეუძლიათ შემოიტანონ წარმოების პროცესის მხოლოდ ბოლო სტადიაში, ვინაიდან წამომავლობასთან დაკავშირებული მოთხოვნები მინიმალურია. ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება საქართველოს საკვანძო პოზიციას უქმნის, რომ გახდეს ჰაბი ირანისთვის ევროკავშირთან ვაჭრობისთვის. თუმცა, ზემოთქმული მხოლოდ მხოლოდ სამომავლო პერსპექტივებს შეეხება და მათ განსახორციელებლად არაერთი წინააღმდეგობის გადალახვაა საჭირო (უპირველესად, ირანის მხრიდან).

უნდა გავიზიაროთ ასევე სომეხი ანალიტიკოსის, ა. ისრაელიანის აზრი: „საქართველოს ირანთან ეკონომიკური აქტივობების თვალსაზრისით უპირობოდ ხელსაყრელი პოზიცია აქვს. სომხეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობები ირანთან ძირითადად შემოიფარგლება სახელმწიფო ორგანიზაციების მონაწილეობით, მაშინ როცა საქართველო-ირანის ორმხრივი კავშირები განვითარდა ირანული კერძოს სექტორის აქტივობის შედეგად“<sup>44</sup>

## სატრანსპორტო დერეფნები

სატრანსპორტო დერეფნების საკითხს არამარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ეს ცხადად გამოჩნდა აზერბაიჯან-სომხეთის 2020 წლის შემოდგომის ომის შემდეგ, როდესაც გაცოცხლდა საბჭოთა პერიოდში არსებული რკინიგზის აღდგენის იდეა. რკინიგზამ, ერთი მხრივ, აზერბაიჯანი უნდა დააკავშიროს თავის ექსკლავთან – ნახიჩევანთან და, მეორე მხრივ, სომხეთი რუსეთთან და ნახიჩევანის გზით – ირანთანაც. სანამ ამ რკინიგზის აღდგენის პერსპექტივებს განვიხილავ, ყურადღებას გავამახვილებ სატრანსპორტო დერეფნების უკვე დიდი ხნის მანიძილზე არსებულ პროექტებზე.

სპარსეთის ყურე-შავის ზღვის საერთაშორისო სატრანსპორტო და სატრანზიტო დერეფანი, ჩრდილოეთ-სამხრეთის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი (INSTC) და ჩინეთის აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი (მისი ‘ფართო

44 Armen Israyelyan, Georgia in Iran's South Caucasus Policy Domain (27/11/2019) <https://www.orbeli.am/en...> (წვდომა: 04/01/2022)

სარტყლისა და გზის ინიციატივის' (BRI) ტრანსევრაზიული ელემენტი) ის სამი სტრატეგიული სატრანზიტო ინიციატივაა, რომლებიც ზღვებით, საავტომობილო გზებით და რკინიგზით გადის ირანზე. „სამივეს ეფექტური კომბინირება ირანს საშუალებას მისცემს დააკავშიროს სამხრეთიდან ომანის ზღვა და სპარსეთის ყურე, აღმოსავლეთიდან ავღანეთი და პაკისტანი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ცენტრალური აზია და ჩრდილო-დასავლეთიდან კავკასია.“<sup>45</sup>

ზემოთდასახელებულთაგან სამხრეთ კავკასიისა და ირანის დასაკავშირებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი ორი სატრანსპორტო-სატრანზიტო დერეფნის პროექტი: 1) „ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანი“, რომელიც გადაკვეთს ირანს, აზერბაიჯანს და რუსეთს და მისი ცენტრალური შემადგენელია რაშთ-ასტარას რკინიგზა (ირან-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი). 2) „სპარსეთის ყურე-შავი ზღვის სატრანზიტო დერეფანი“, რომელიც გააერთიანებს ირანს, სომხეთს, საქართველოს, ბულგარეთს და საბერძნეთს.

თავიდანვე უნდა ხაზი გაესვას, რომ პირველი პროექტი ბევრად უფრო რეალისტური იყო, ვიდრე მეორე. თუმცა, პირველის შემთხვევაშიც არაერთი წინააღმდეგობა არსებობდა. დღეს კი, რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის შემდეგ, ამ პროექტის განხორციელების პერსპექტივები აღარ ჩანს – ევროპა აღმოსავლეთთან ვაჭრობისთვის აღარ გამოიყენებს რუსეთის ტერიტორიას სატრანზიტო გზად, რაოდენ მომგებიანიც არ უნდა იყოს ეს ეკონომიკური თვალსაზრისით. ზემოთქმულის მიუხედავად, მაინც საჭიროდ მივიჩნე ამ დერეფნის მნიშვნელობის ანალიზი ირანის გარე სამყაროსთან დაკავშირებისთვის სამხრეთ კავკასიის გზით.

„ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანი“ (NSTC) შექმნის შესახებ თავდაპირველ შეთანხმებას ხელი მოეწერა 2000 წელს რუსეთს, ირანსა და ინდოეთს შორის. შემდეგ მას შეუერთდნენ სხვა ქვეყნებიც; მათ შორის აზერბაიჯანი, თურქეთი, უკრაინა და ბელარუსი.<sup>46</sup> ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური პროექტი, რომელსაც ირანი, აზერბაიჯანი და რუსეთი ერთმანეთთან უნდა დაეკავშირებინა. პრეზიდენტი პუტინი მას საფლავმანო პროექტს უწოდებდა.<sup>47</sup> ამ 7,200 კმ სიგრძის მრავალფუნქციური ქსელის პროექტი მოიცავს სარკინიგზო, საავტომობილო და საწყალოსნო გზებს. ის ხელს შეუწყობდა ვაჭრობის განვითარებას რუსეთს, ირანს, ცენტრალურ აზიასა და ინდოეთს შორის, შეამცირებდა რა სანქტ-პეტერ-ბურგამდე მუმბაიდან ტვირთის ჩასვლის საშუალო დროს 40%-ით, საფასურს კი – 30%-ით. „დერეფანი ითვალისწინებს 6 მლნ ტვირთის გადაზიდვას ყოველწლიურად საწყის ეტაპზე და მომავალში 10 მლნ-მდე ტონისას.“<sup>48</sup> ამ დერეფნის მიზანი ჩრდილოეთ ევროპისა და სპარსეთის ყურის დაკავშირებაა ცენტრალური აზიის,

45 Kaleji, 'Iran Drives Development of Persian Gulf-Black Sea International Transport and Transit Corridor'. Eurasia Daily Monitor, vol. 18 Issue: 112, (14/07/2021). <https://jamestown.org...> (წვდომა: 01/08/2021)

46 NSTC-ის შესახებ დაწვრილებით იხ. T. Ziyadov, Azerbaijan as a regional hub in Central Eurasia. (Baku: Azerbaijan Diplomatic Academy, 2012), 94-110. <https://www.academia.edu...> (წვდომა: 13/09/2020).

47 Esfahani, Iran's Foreign Policy in the South Caucasus, 167.

48 'Russia, Azerbaijan, Iran Mull Creation of Logistics Operator of North-South Corridor' (2018). [www.today.az...](http://www.today.az...) (წვდომა 26.07.2020)



კასპის ზღვის ან კავკასიის გზით. ზოგიერთი ანალიტიკოსი კიდევ უფრო შორს წავიდა და მიიჩნია, რომ დასრულების შემდეგ, დერეფანი გახდებოდა სუეცის არხის, ხმელთაშუა ზღვის, ბალტიის ზღვის დამაკავშირებელი ტრადიციული საზღვაო გზების ალტერნატივა.<sup>49</sup> თუმცა, მსგავს მასშტაბურ ფუნქციას, პროექტის სრულფასოვნად ამოქმედების შემთხვევაშიც კი (რაც დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, გამორიცხულია) ეს დერეფანი ვერ იტვირთავს. ამგვარად, ეს შეფასება აშკარად გადაჭარბებულია. მაგრამ გასათვალისწინებელია ასევე 2008 წელს რკინიგზათა საერთაშორისო კავშირის კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც კავკასიის გზა ამ დერეფნისთვის ყველაზე მომგებიანი იყო ეკონომიკური თვალსაზრისით, რამდენადაც ტვირთს საზღვრების მცირე რაოდენობის გადალახვა მოუწევდა. საჭირო იყო მხოლოდ სარკინიგზო კავშირის დამყარება აზერბაიჯანსა და ირანს შორის.<sup>50</sup>

ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანში საკვანძო ადგილმდებარეობა ირანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული უპირატესობაა – ის ამგვარად აკავშირებს რუსეთს, სამხრეთ კავკასიას, ცენტრალურ აზიას სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან, უპირველესად ინდოეთთან, რომელსაც მჭიდრო ფინანსური ურთიერთობები აქვს რუსეთთან.

ირანის გეგმებშია ქვეყნის სამხრეთში მდებარე ომანის ზღვაში (პორტი ჩაბა-ჰარი) და სპარსეთის ყურეში (ბანდარ აბასი, ემამ ხომეინი და ხორამშაჰრი) პორტების დაკავშირება ჩრდილოეთში კასპის ზღვაზე მდებარე პორტებთან (ამირაბადი, ნოუშაჰრი, ანზალი და ასტარა) ირანის სარკინიგზო ქსელის მეშვეობით.

ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანი ენერგომატარებლების სატრანსპორტო გზაცაა. რუსეთი იმედოვნებდა საკუთარი ჭარბი ელექტროენერჯის ექსპორტს აზერბაიჯანსა და ირანში, ირანი კი – ნავთობისა და გაზის გაყიდვას ევროპაში აზერბაიჯანის გზით.

ამ დერეფნისთვის აზერბაიჯანი ასევე მნიშვნელოვანი კვანძია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს რუსეთსა და ირანს. ამ დერეფანს აზერბაიჯანისა და ირანისთვის ასევე უნდა შეექმნა სატრანზიტო გზად ქცევის შესაძლებლობა ევროპასა და ინდოეთს შორის.

2016 წლის აგვისტოში ილჰამ ალიევი უმასპინძლა პუტინს და ირანის პრეზიდენტ რუჰანის ბაქოს სამიტზე. ამ შეხვედრის მთავარი საკითხი იყო სწორედ

49 'Vital Iran-Azerbaijan Line on International North-South Transport Corridor Opens.' (2018) <[www.railfreight.com...](http://www.railfreight.com...)> (წვდომა: 21.07.2020).

50 Zabanova, 'Connecting Iran and the South Caucasus: Competing Visions of the North-South Corridor.' *Caucasus Analytical Digest*, No. 92, 7. ამ მიმზიდველმა პროექტმა ხელი შეუწყო სხვა ქვეყნების დაინტერესებას ქსელთან მიერთებით, მათ შორის ესტონეთის, რომელმაც აზერბაიჯანთან მოლაპარაკებებიც გამართა მისი პორტის, პალდისკის სპარსეთის ყურესთან დაკავშირებაზე ამ დერეფნით. ('Estonia joining North-South International Transport Corridor.' (2018) <https://azertag.az/en...> (წვდომა: 21.06.2021). ასევე პაკისტანისაც, ('Pakistan Considering Joining North-South Transport Corridor Project – Ambassador.' (2018) <https://sputniknews.com...> (წვდომა: 26.06.2020). პროექტთან დაკავშირებულია ბელარუსიც. დერეფნის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აზიის განვითარების ბანკი (ADB) 2017 წლის დეკემბრიდან ფინანსურად მხარს უჭერდა პროექტს. თანადაფინანსებისთვის ADB-ს უნდა გამოეყო \$400 მლნ, ხოლო საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (FDA) – \$175 მლნ.

„ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფანი.“<sup>51</sup> მთელი ყურადღება გადატანილი იყო 175 კმ-იან რაშთ-ასტარის სარკინიგზო ხაზზე, რომლის ღირებულებამაც \$1 მლრდ შეადგინა. აზერბაიჯანმა ამ მიზნით ირანს \$500 მლნ ასესხა. რუსეთის სახელმწიფო სარკინიგზო კომპანიაც ეძიებდა ამ პროექტში ჩართვისა და მისი ნაწილობრივი დაფინანსების გზებს. ირანის ვაჭრობის მხარდაჭერის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რუსეთი მზად არის ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის სარკინიგზო ინფრასტრუქტურაში ინვესტირებისთვის.<sup>52</sup> „ირანის ისლამური რესპუბლიკის რკინიგზების“ წარმომადგენლის სიტყვებით კი, „ირანმა მიაღწია შეთანხმებას რუსეთსა და ინდოეთთან იმის თაობაზე, რომ ამ ორი ქვეყნის სატრანზიტო ტვირთი ირანულ სარკინიგზო დერეფანში გაივლოს.“<sup>53</sup> თუმცა, მანამდე ამ მიზნით 2017 წელს გამართული მოლაპარაკებები რუსეთსა და ირანს შორის უშედეგოდ დასრულდა.<sup>54</sup>

ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის ფარგლებში ირანში ასტარა-რაშთის მონაკვეთმა ფუნქციონირება დაიწყო 2018 წლის აპრილიდან. გასაყვანია ასევე ყაზვინისკენ რკინიგზის შიდა განშტოებები, რაზეც ირანი ამჟამად მუშაობს, თუმცა სამუშაოები უკიდურესად დაბალი ტემპით მიმდინარეობს.

თეირანის ინტერესს ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნისადმი ასევე განაპირობებს ირანის მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთის საფარქვეშ შექმნილ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირთან.

ამგვარად, აღნიშნული დერეფნის პროექტის სრულად ამოქმედება თითქოსდა საკმაოდ რეალისტური ჩანდა, თუმცა რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებამდეც არსებობდა არაერთი ფაქტორი, რომელთაც შეეძლო გადაეწონა პროექტის განხორციელების ეკონომიკური მონაგარი. მათ შორისაა ირანის განსხვავებული პოზიცია კასპის ზღვის დაყოფასთან დაკავშირებით (იხ. შესაბამისი თავი), ირან-აზერბაიჯანის გართულებული ურთიერთობები (განსაკუთრებით ირან-სომხეთის 2020 წლის ომის შემდეგ), რუსეთ-აზერბაიჯანსა და ასევე რუსეთ-ირანს შორის არსებული პოლიტიკური პრობლემები, აზერბაიჯანის უპირველესი მოკავშირის – თურქეთის ფაქტორი, რომელიც ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში წაგებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება და ა.შ. რუსი მკვლევარი ალექსანდრე პოლიშჩუკი, ჩემი აზრით, სავსებით სამართლიანად თვლის, რომ აზერბაიჯანი ირანისთვის არ არის საიმედო და დამოუკიდებელი პარტნიორი, შესაბამისად დერეფნის „სრულყოფილად“ ამოქმედების შესაძლებლობა მოკლევადიან პერსპექტივაში გამორიცხულია.<sup>55</sup>

2016 წელს ირანმა წამოაყენა კიდევ ერთი რეგიონული ინიციატივა საერთაშორისო სატრანსპორტო-სატრანზიტო დერეფნის „სპარსეთი ყურე – შავი ზღვა“

51 Kenneth Katzman, 'Iran's Foreign and Defense Policies.' (Congressional Research Service, 15/06/2017). <https://fas.org/sgp/crs/Mideast...pdf>

52 'Станет ли Россия соперником Азербайджану в транспортном коридоре Север-Юг?' (09/06/2021). <https://www.iran.ru...> (წვდომა: 15/06/2021).

53 'Иран станет основным транзитным маршрутом для Индии и России.' (18/08/2020) <https://www.iran.ru...> (წვდომა: 12/02/2021)

54 'Иран идет через Кавказ.' (23/04/2017). <https://regnum.ru...> (წვდომა: 15/04/2021).

55 ინტერვიუ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მკვლევართან ალექსანდრე ი. პოლიშჩუკთან (07/12/2021).

გაფართოების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ირანს, სომხეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, ბულგარეთსა და საბერძნეთს. ფაქტობრივად, ეს დერეფანი გააერთიანებს ოთხ საკვანძო საზღვაო აუზს, კერძოდ: 1) სპარსეთის ყურეს და ომანის ზღვას (ირანი); 2) კასპიის ზღვას (ირანი და აზერბაიჯანი); 3) შავ ზღვას (საქართველო და ბულგარეთი); 4) ხმელთაშუა ზღვას (საბერძნეთი). ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ხუთი შეხვედრა გაიმართა (უკანასკნელი – ერევანში 2021 წლის 19 აპრილს). ბუნებრივია, ერთ სატრანსპორტო-სატრანზიტო სივრცეში აზერბაიჯანისა და სომხეთის გაერთიანება არარეალისტური იყო. ამიტომაც ირანისთვის თავიდანვე გამოიკვეთა ორი მოსაზრება – სომხეთის მიმართულეობა და აზერბაიჯანის მიმართულეობა – ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის განშტოების სახით (საქართველო ნებისმიერი მათგანის სრულფასოვნად ამოქმედების შემთხვევაში მოგებულ იქნება). ირანის ყოფილმა ელჩმა საქართველოში ყავამ შაჰიდიმ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული დერეფნის ყველაზე გრძელი მონაკვეთი გადის ირანის ტერიტორიაზე. ამ გარემოებიდან გამომდინარე, ირანს შეუძლია ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მის რეალიზაციაში.<sup>56</sup>

აზერბაიჯანისა და საქართველოს გზით შავ ზღვასთან დაკავშირება ირანისთვის ასევე მიმზიდველი იდეაა. 2018 წლის მარტში თურქეთმა, საქართველომ, აზერბაიჯანმა და ირანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სატრანსპორტო დერეფნის შექმნის შესახებ ინდოეთის ოკეანესა და ევროპას შორის. ივნისში შეიქმნა აზერბაიჯან-საქართველო-ირანის სამხრეთი საკოორდინაციო ჯგუფი სატვირთო ტრანზიტი კოორდინირებისთვის სპარსეთის ყურიდან და ინდოეთიდან ევროპაში და პირიქით. „თეირანის მთავარი მიზანია, რომ ნაწილობრივ მაინც მიმართოს სატრანსპორტო ნაკადები სპარსეთის ყურიდან ხმელეთის გზით ირანზე გავლით“<sup>57</sup>. ეს ჰიპოთეტური სატრანსპორტო დერეფანი უფრო მეორადი მნიშვნელობის იყო – შეიძლებოდა განხილულიყო ჩრდილოეთ-სამხრეთისა და სომხეთზე გამავალი „სპარსეთი ყურე – შავი ზღვა“ დერეფნის დანამატად. თურქეთისთვის ეს პროექტი დიდად მომგებიანი არ იქნება, რადგან ირანთან სატრანზიტო ვაჭრობის მოცულობა შემცირდება. მაგრამ თურქეთს მოგებას მოუტანს ირანული რკინიგზის შეერთება ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზასთან. თუმცა, ამ შემთხვევაში საქართველოს შავი ზღვის პორტები ნაკლებად დაიტვირთება.<sup>58</sup> ბუნებრივია, ამ განშტოების ამოქმედება რუსეთის ინტერესებშიც არ შედის. მაგრამ დღეისთვის, როდესაც „ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის“ ამოქმედების პერსპექტივა ფაქტო-


56 ინტერვიუ ირანის ისლამური რესპუბლიკის ყოფილ ელჩთან საქართველოში სეიედ ჯავად ყავამ შაჰიდისთან (30/08/2020).

57 Olena Snigyr, 'Assessment of the International Agenda in the South Caucasus (Georgia, Armenia, Azerbaijan)'. Centre for International Studies, Hennadii Udovenko Diplomatic Academy of Ukraine, Policy Paper (11-2018), 5. <http://da.mfa.gov.ua/en...> (წვდომა: 12/01/2021)

58 მ. მაჭავარიანი აღნიშნავს, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა, მიუხედავად 2017 წელს ოფიციალური გახსნისა, ვერ ფუნქციონირებს სრული დატვირთვით და ამაში ხელს უშლის, მათ შორის, საქართველოში არსებული ბიუროკრატიული პროცედურები, რომელთაც სავარაუდოდ განაპირობებს საქართველოს მთავრობის სურვილი რომ არ შემცირდეს ტვირთბურვა საქართველოს პორტებში. იხ. მიხეილ მაჭავარიანი, 'ახალი შანსი თუ დაკარგული შესაძლებლობა? აზერბაიჯანმა ახალი სამხრეთ მაგისტრალის მშენებლობა დაიწყო.' (05/01/2022). <https://forbes.ge...> (წვდომა: 08/01/2022).


ბრივად აღარ არსებობს, სავარაუდოდ ორივე ზემოაღნიშნული დერეფნის პროექტი ბევრად უფრო მეტ აქტიულობას შეიძენს.

2021 წლის დეკემბრის დასაწყისში საზეიმოდ გამოცხადდა, რომ ირანიდან წამოსულმა პირველმა საცდელმა შემადგენლობამ გაიარა საქართველოს ტერიტორიაზე. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, მომდევნო ოთხის თვის განმავლობაში ირანიდან წამოვა საპილოტე ტვირთები, ასტარას სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით შემოვა აზერბაიჯანში, შემდეგ საქართველოში და შავი ზღვის პორტებიდან ტვირთი წავა ბულგარეთის და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების დანიშნულებით. პროექტის საპილოტე ფაზა უნდა განხორციელდეს 2022 წლის 20 მარტამდე, რათა გამოვლინდეს შემაფერხებელი პრობლემები აღნიშნულ მარშრუტზე.<sup>59</sup> თუმცა, ჯერჯერობით ამ მიმართულების პერსპექტივებზე საუბარი ნაადრევია. გაუგებარი რჩება, თუ როდის იქნება მზად ირანის რკინიგზა სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის.



59 'საქართველო-აზერბაიჯანი-ირანი ახალ სატრანზიტო მარშრუტს ხსნიან – როგორ ითარგმნება ეს ეკონომიკაში.' (12/12/2021). <https://commerciant.ge/ge...> (წვდომა: 13/12/2021)





საქართველო-ირანის დაკავშირებისთვის ბევრად უფრო აქტუალურია სომხეთ-საქართველოზე გამავალი სპარსეთის ყურე-შავი ზღვის დერეფნის პროექტი.<sup>60</sup> ირანის მხრიდან სპარსეთის ყურესა და შავ ზღვას შორის სატრანსპორტო-სატრანზიტო დერეფნის შექმნის მხარდაჭერა განპირობებულია მისი სურვილით შეამციროს დამოკიდებულება თურქეთზე ევროპაში საქონლის ტრანზიტის ალტერნატიული გზის შექმნით. ორ ქვეყანას შორის უთანხმოების წყაროა ტრანზიტის პირობები, მათ შორის ფასი საწვავზე, რომელიც ირანში უფრო იაფია, ვიდრე თურქეთში, ეს კი იწვევს თურქი ტრადილერების უზარმაზარ რიგს საზღვარზე ირანის მხრიდან. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ირანმა დამატებით საბაჟო გადასახადი დააწესა საწვავზე უცხოელი მძღოლებისთვის, რამაც თურქეთის გაღიზიანება გამოიწვია. კავკასიის (სომხეთზე და საქართველოზე გამავალი) სატრანზიტო გზის ამოქმედების შემთხვევაში, ირანი დაახლ. 1000 კმ-ით უფრო

60 2006 წელს სომხეთი შეუერთდა ევრაზიულ ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფნის პროექტს, რომელსაც პოტენციურად შეეძლო რუსეთი დაეკავშირებინა ინდოეთთან სომხეთისა და ირანის გზით და გაამარტივოს ვაჭრობა. „ჩაფიქრებული გზით საქონელი მუმბაიდან, ინდოეთიდან ზღვით გამოიგზავნებოდა ბანდარ აბასში, ირანში და შემდეგ ირანისა და კავკასიის გზით რუსეთში ტრასებით და რკინიგზით.“ თუმცა, საკუთრივ ამ დერეფნის იდეა მაშინაც არარეალისტური იყო და დღესაც ამგვარად რჩება, რადგანაც საქართველოზე უნდა გაიაროს. აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზის აღდგენის პერსპექტივები არ ჩანს, არც სატვირთო ავტომობილებით ჩრდილოეთ-სამხრეთის ტრანზიტული ვაჭრობის კუთხით იკვეთება საქართველოს განსაკუთრებული დაინტერესება. უკრაინაში რუსეთის მიერ გაჩაჩაჩებული ომი კი, ბუნებრივია, ამ მიმართულებასაც სრულიად უპერსპექტივოდ აქცევს.



ახლოს აღმოჩნდება ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ბაზართან თურქეთის ტრადიციულ გზასთან შედარებით.<sup>61</sup>

ირანმა აღნიშნული სატრანსპორტო დერეფნის ინიციატივა ჯერ კიდევ 2016 წელს წამოაყენა, საკუთარი, ასევე პროექტის სხვა მონაწილე ქვეყნების (სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი) როლის გაზრდის მიზნით ტრანზიტისა და საერთაშორისო გადაზიდვების სფეროში დიდ რეგიონში, რაც პროექტში პარტნიორებს, ბუნებრივია, მისცემს პრეფერენციებით სარგებლობის საშუალებას. როგორც აღინიშნა, 2021 წლის აპრილში ერევანში ამ ხუთი ქვეყნის დელეგაციებმა დაადასტურეს პროექტით დაინტერესება. ეს ითვალისწინებს საქონლის ტრანსპორტირებას რკინიგზით ირანიდან, საგზაო ტრასებით სომხეთიდან, და რკინიგზა/ტრასებით საქართველოდან შავი ზღვისკენ.<sup>62</sup> პროექტის განხორციელება სერიოზულად შეცვლის ლოგისტიკას რეგიონში, მაგრამ მას უზარმაზარი ინვესტიციებიჭირდება და ჯერ მხოლოდ განხილვის ეტაპზეა.

საქართველო ირანის მიერ აღქმულია ქვეყნად, რომელსაც აქვს აუცილებელი ინფრასტრუქტურა და პორტები ირანის საგარეო სავაჭრო ოპერაციების განსახორციელებლად.

ირანში კარგად აქვთ გააზრებული ამ თვალსაზრისით საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობები. 2014 წელს ირანში საქართველოს ახალ ელჩთან შეხვედრისას იმდროინდელმა პრეზიდენტმა რუჰანიმ აღნიშნა: „ჩვენ დიდად ვაფასებთ ჩვენს კავშირებს საქართველოსთან. თქვენი ქვეყანა ირანისთვის წარმოადგენს გასასვლელს შავი ზღვის პორტებისაკენ, ჩვენთვის გამორჩეულად ფასეულია ბათუმი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ირანის დაკავშირება სარკინიგზო ხაზით საქართველოსთან.“<sup>63</sup>

ირანის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამად ჯავად ზარიფმა 2017 წლის 18 აპრილს თბილისში ვიზიტისას განაცხადა: „დერეფანი სპარსეთის ყურესა და შავ ზღვას შორის არამხოლოდ აკავშირებს ჩვენს ქვეყნებს, არამედ მსოფლიოს აახლოებს. აზიიდან ევროპისკენ გაცილებით დაბალი ტრანსპორტირების საფასური ჩვენ გვაძლევს კარგ საშუალებას, რომ ირანის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ჩართულობით, გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა.“<sup>64</sup> იმავე ხანებში საქართველოს პრემიერ-მინისტრ გ. კვიციანიშვილთან შეხვედრისას ირანის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ესყაჰ ჯაჰანგირიმ ისაუბრა სპარსეთის ყურე-შავი ზღვის დერეფნის პროექტზე. მისი სიტყვებით, „ამ დერეფნის საწყისი ქვეყნებია ირანი-აზერბაიჯანი-საქართველო შავი ზღვისპირეთი, ან – ირანი-სომხეთი-საქა-

61 Hamed Kazemzadeh, Iranian influences on the South Caucasus. Part 1: The Overview of Iran & Caucasus Ties. ISSICEU, GeoWel Research, (2016). <https://www.researchgate.net...> (წვდომა: 01/04/2021)

62 Benyamin Poghosyan, 'Changes in Global and Regional Order: Implications for the Nagorno-Karabakh Conflict.' In: Frederic Labarre, George Niculescu (eds.), South Caucasus: Leveraging Political Change in a Context of Strategic Volatility. (Vienna: Federal Ministry of Defence, 05/2019), 194.

63 <http://isna.ir/fa/news/93020201446>, (02/02/1393=22/04/2014) (წვდომა: 22/04/2015). სარკინიგზო ხაზით ირან-საქართველოს დაკავშირება მოკლევადიან პერსპექტივაში არარეალისტურია (იხ. ქვემოთ).

64 ლელა კუნჭულია, 'ირანი და საქართველო ეკონომიკისა და საერთაშორისო პოლიტიკის სარკეში.' (18/04/2017). <https://www.radiotavisupleba.ge...> (წვდომა: 25/05/2017)

რთველო შავიზღვისპირეთი. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია ოთხმხრივი შეთანხმება ირან-საქართველო-სომხეთ-რუსეთს შორის ელექტროსისტემების სინქრონიზაციის თაობაზე, რომ წლის სხვადასხვა პერიოდში მოხდეს ელექტროენერჯის გაცვლა.<sup>65</sup> (დაწვრ. იხ. ქვემოთ). სატრანზიტო დერეფნის საკითხს ზარიფი კვლავ დაუბრუნდა 2020 წლის იანვარში თბილისში ვიზიტის დროს, რომლის ძირითადი მიზანი იყო ქართული მხარის პოზიციის გარკვევა 3+3 ფორმატთან დაკავშირებით. თუმცა, აღნიშნული პროექტის სრულფასოვნად განხორციელება ბევრად უფრო დიდი ეკონომიკურ პრობლემებთან არის დაკავშირებული, ვიდრე ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნისა.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ნოემბერში ირანი და ბულგარეთი საქართველოს გავლით სატრანზიტო დერეფნის შექმნაზე შეთანხმდნენ. ეს დერეფანი საშუალებას მისცემდა ირანს ევროპაში გაეტანა საკუთარი საქონელი.<sup>66</sup> თუმცა ამ მიმართულებითაც არაერთი მიზეზის გამო (სანქციები და სხვ.) საქმე დიდად წინ არ წასულა.

რუსი მკვლევრის, ა. გ. არეშევის აღიარებით, საქართველო „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და თეორიულად შეუძლია უზრუნველყოს კავშირი ირანს, რუსეთს და ევროპას შორის ყველაზე მოკლე გზით.<sup>67</sup> მაგრამ ამისთვის საჭიროა რუსეთის მხრიდან პოლიტიკური ნების გამოხატვა და საქართველოს სუპარატისტული რეგიონების მხარდაჭერის შეწყვეტა. ამ მიმართულებით პოლიტიკური ურთიერთობების დალაგების შემთხვევაში, ბუნებრივია, საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია ორივე ქვეყნისთვის მომგებიანი იქნება.

დღეს სომხეთს ორი ფანჯარა აქვს: ჩრდილოეთით – საქართველო და სამხრეთით – ირანი. ეს არ არის საკმარისი რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებისა და ტრანსნაციონალური პროექტების განხორციელებისთვის. დაახლოებით 1500 კმ-იანი საზღვრიდან მეზობლებთან, ამჟამად მხოლოდ 250 კმ-ია ღია ტრანსნაციონალური ეკონომიკური თანამშრომლობისთვის.

სომხეთი უაღრესად დაინტერესებულია ორი პროექტით, რომლებსაც შეუძლიათ მისი იზოლაციიდან გამოყვანა. რუსეთთან პირდაპირი კავშირის აღდგენა საქართველოს გზით (აფხაზეთის გავლით) და ერევან-თავრიზის (სომხეთ-ირანის) რკინიგზის გაყვანა. თუმცა, ორივე პროექტს ბუნდოვანი პერსპექტივები აქვს. მეორე პროექტმა თავდაპირველად პოლიტიკური მხარდაჭერა მიიღო ირანიდან და რუსეთიდან. მოსკოვმა ისიც განაცხადა, რომ მზად იყო ნაწილობრივ დაეფინანსებინა რკინიგზის გაყვანა. თუმცა, პროგრესის ნაკლებობა ერევან-თავრიზის რკინიგზის გაყვანის მიმართულებით (ამის შესახებ სომხეთსა და ირანს შორის ხელშეკრულებას ხელი 2008 წელს მოეწერა) მიუთითებს, რომ ეს გზა დღეს ირა-

65 'საქართველო და ირანი სპარსეთის ყურე-შავი ზღვის სატრანზიტო დერეფნის განვითარებაზე შეთანხმდნენ.' (22/04/2017) <https://imedinews.ge/ge...> (წვდომა: 09/05/2017)

66 'Iran, Bulgaria to Open Transit Corridor.' (11/10/2015). <http://en.mehrnews.com...> (წვდომა: 23/10/2018).

67 А. Г. Арешев, 'Экономические отношения Ирана с государствами Южного Кавказа в условиях частичного ослабления санкций.' В сб. Российско-иранские отношения. Проблемы и перспективы. Под ред. Е.В. Дунаевой и В.И. Сажина. (Москва: ИВ РАН, Центр стратегической конъюнктуры, 2015), 105.

ნისა და რუსეთისთვის დიდ ინტერესს არ წარმოადგენს. ე.წ. „სამხრეთის სომხური რკინიგზა“ ითვალისწინებდა 470 კმ სარკინიგზო ხაზს ირანთან კავშირისთვის სომხეთის სამხრეთში მელრიდან ჩრდილოეთში იერახშამდე, შემდეგ დაკავშირებას საქართველოს რკინიგზასთან და ბათუმისა და ფოთის შავი ზღვის პორტებთან. რკინიგზის უდიდესი ნაწილი, 410 კმ, გაყვანილი უნდა იყოს სომხეთის ტერიტორიაზე, ირანს კი მხოლოდ 60 კმ-ს გაყვანა სჭირდება. რკინიგზას, რომელიც ივანრაუდებოდა, რომ განდებოდა უმოკლესი სატრანსპორტო გზა სპარსეთის ყურესა და შავ ზღვას შორის, პირველად მხარი დაუჭირა სომხეთის ყოფილმა პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა სომხეთის პარლამენტში გამოსვლისას 2008 წელს.<sup>68</sup> 2009 წელს ირანისა და სომხეთის ტრანსპორტის მინისტრებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს ამ პროექტთან დაკავშირებით. დუბაიში ბაზირებულ საინვესტიციო კომპანიას Razia FZE-ს მიენიჭა 50-წლიანი კონცესია ამ რკინიგზის გაყვანისა და ოპერირებისთვის, რაც აისახა სომხეთის ტრანსპორტის მინისტრს, სამხრეთ კავკასიის რკინიგზის (რომლის მფლობელიც რუსეთია) და Razia FZE-ს შორის დადებულ სამხრეთ ხელშეკრულებაში. Razia FZE-ს 2013 წლის კვლევის თანახმად, რკინიგზის გაყვანის ღირებულება შეადგენდა 3,2 მლრდ დოლარს შეადგენდა. თუმცა, ირანის მხრიდან ამ რკინიგზის დაფინანსებისთვის თანხები ვერ მოიძებნა. რუსეთი, რომელიც აკონტროლებს სომხეთის რკინიგზას, არ არის დაინტერესებული ამ პროექტით, ვინაიდან ის ვერ დაუკავშირებს რუსეთს ირანს (ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაიხსნება აფხაზეთის რკინიგზა). თანდათან ამ პროექტმა დაკარგა მიზიდველობა ირანისა და აზერბაიჯანის დამაკავშირებელ რკინიგზის მშენებლობასთან შედარებით.

ინტერნეტ-გამოცემა „პუბლიკასთან“ ინტერვიუში სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის დირექტორმა პაატა ცაგარეიშვილმა აღნიშნა, რომ ირანსა და სომხეთს შორის ტრანზიტული მიმოსვლა რთულია მათი დამაკავშირებელი გზის მთიანი რელიეფის გამო. „ნახიჩევანის სიახლოვეს არის შესაძლებლობა, რომ სომხეთ-ირანის დამაკავშირებელი რკინიგზა აშენდეს. იქ საავტომობილო გადასასვლელია, რომელიც ემსახურება ირან-სომხეთის ტვირთბრუნვას, მაგრამ სომხეთს უჭირს მისი გამოყენება რელიეფის გათვალისწინებით, რადგან იქ უკვე გზა დიდ სიმაღლეებზე ადის...“ „თავის დროზე ჩინელებს ჰქონდათ მისწრაფება, რომ ირანთან სომხეთის პირდაპირი გასასვლელი აეშენებინათ ერევნიდან. საუბარი იყო, სადღაც, 2 მილიარდ დოლარამდე, საიდანაც 65% მხოლოდ ხელოვნურ ნაგებობებზე უნდა გასულიყო – ხიდებზე, გვირაბებსა და ა.შ. და თავი შეიკავა ისეთმა ფინანსურმა გიგანტმაც კი, როგორც ჩინეთია. იმიტომ, რომ ფინანსური უკუგება თავიდანვე ჩანდა, რომ დაბალი იქნებოდა.“<sup>69</sup>

ის, რომ რუსეთი არ არის დაინტერესებული სომხეთის სატრანზიტო ფუნქციის გაზრდით, მსგავსი პროექტების განხორციელებაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს. სომხეთის კომუნიკაციების ორი მესამედი საქართველოზე მოდის და ერთი მესამედი – ირანზე (საქართველოსთან სომხეთს რკინიგზა და სამი საავტომო-

68 Armen Grigoryan, 'Iran-Armenia Railway Project and Russian Geopolitics.' Eurasia Daily Monitor (02/02/2015), vol. 12, issue 20. <https://jamestown.org...> (წვდომა: 15/10/2019).

69 ალექსანდრე ქეშელაშვილი, 'რას დაკარგავს და რას არა საქართველო ახალი სატრანსპორტო დერეფნით.' (04/02/2021), <https://publika.ge...> (16/02/2021)

ბილო გზა აკავშირებს, ირანთან კი მხოლოდ ერთი საავტომობილო ხიდი). ამასთანავე, არსებობს ორი სფერო, სადაც რუსეთის როლი საკვანძოა: უსაფრთხოება და ინვესტიციები, უპირველესად ენერჯის წარმოებაში. რამდენადაც ეს ორივე სფერო პირველადი მნიშვნელობისაა, სომხეთისთვის რთული იქნება რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭება.<sup>70</sup>

როგორც აღინიშნა, დღეს განსაკუთრებით აქტუალურია საბჭოთა პერიოდში არსებული რკინიგზის აღდგენის საკითხი. საქმე ეხება ნოვოროსიისკი-თბილისი-ერევანი-ნახიჩევანი-ჯულფის (ირანი) სარკინიგზო ხაზს, რომელიც ამჟამად გაწყვეტილია ორ ადგილზე – აფხაზეთსა და ნახიჩევანში. ორივეგან აღდგენა მნიშვნელოვან პრობლემებთანაა დაკავშირებული. პირველ შემთხვევაში თბილისი სეპარატისტულ რეგიონზე კონტროლის აღდგენის გარეშე გამორიცხავს რკინიგზის აღდგენას. არც მოსკოვია დიდად დაინტერესებული რკინიგზის აღდგენით, რადგან რუსეთის სამთავრობო წრეებში შიშობენ, რომ რკინიგზის გახსნის შედეგად, შესაძლოა თვითაღიარებულ რესპუბლიკასა და თბილისს შორის კონტაქტები გაღრმავდეს. ეს კი არ შედის მოსკოვის ინტერესებში.

ყარაბაღის 2020 წლის ომის შემდეგ დღის წესრიგში დადგა სწორედ მეორე შესაძლებლობა – სარკინიგზო ხაზის აღდგენა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, რომლითაც აზერბაიჯანი დაუკავშირდება თავის ექსკლავს. რკინიგზის აღდგენა საკმაოდ პრობლემატურია როგორც ტექნიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით – ამ შემთხვევაში, უპირველესად ერევნისთვის. ბუნებრივია, სომხეთისთვის უკიდურესად მომგებიანია რუსეთთან სარკინიგზო კავშირის დამყარება და ამ მხრივ საქართველოზე დამოკიდებულებისგან თავის შემცირება, მაგრამ მეორე მხრივ, ის პრაქტიკულად „თმობს“ საკუთარი ტერიტორიის ნაწილს – იქ, სადაც რკინიგზა გაივლის. ეს კი მისი ირანთან დამაკავშირებელი სასაზღვრო მონაკვეთია. სომხეთის ინტერესებში ასევე ნაკლებად შედის ორ მტერს – აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის კომუნიკაციების გაადვილება. ამგვარად, რამდენადაც მომგებიანი არ უნდა იყოს რკინიგზის აღდგენა ეკონომიკურად სომხეთისთვის, პოლიტიკურად წამგებიანია. რკინიგზის აღდგენა არ შედის არც ირანის ინტერესებში. ირანი ზოგადად მიესალმება რეგიონული კომუნიკაციების განვითარებას, მაგრამ როგორც სომეხი მკვლევარი ვ. ვოსკანიანი სამართლიანად აღნიშნავს, „ირანი გამოდის ნებისმიერი დერეფნის წინააღმდეგ, რომელიც აზერბაიჯანს დააკავშირებს ნახიჩევანთან და თურქეთთან“<sup>71</sup> გასული მეოთხედი საუკუნის მანძილზე ირანი წარმოადგენდა აზერბაიჯანის ერთადერთ დამაკავშირებელს ნახიჩევანთან და ამ ფუნქციის დაკარგვა, ბუნებრივია, არც ეკონომიკურად და არც პოლიტიკურად ირანისთვის მომგებიანი არ არის. 2016 წლიდან ფუნქციონირებს ირანისა და ნახიჩევანის ექსკლავის დამაკავშირებელი რკინიგზა (ნახიჩევანი-ჯულფა-თავრიზი-თეირანი-მაშჰადი). ამდენად, ირანი, ზანგეზურის დერეფნის აღდგენის შემთხვევაში, 'სარკინიგზო მონოპოლიასაც' კარგავს. ნახიჩევანიდან რკინიგზით სომხეთთან დაკავშირება, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება სა-

70 Alexander Iskandaryan, 'Armenia-Europe: Minimizing Opportunity Costs.' The south Caucasus 2018. Facts, Trends, Future Scenarios. Konrad-Adenauer-Stiftung, 2018), 309. <https://www.kas.de...> (წვდომა: 14/06/2021)

71 ციტ. Степанян, 'Прогноз: Вовлечение Ирана на Южный Кавказ.'

ინტერესო იყოს ირანისთვის, მაგრამ ეკონომიკურად დიდი მოგების მომტანი არ იქნება სომხეთიდან რკინიგზით საქართველოს პორტებთან დაკავშირების შეუძლებლობის შემთხვევაში. აზერბაიჯანთან ირანს ისედაც აკავშირებს რკინიგზა და ამგვარი „შემოვლითი გზა“ არაფრის მომტანია მისთვის. არც მის ჩრდილოეთ საზღვრებთან 'თურქული რკალის' შექმნა შედის ირანის ინტერესებში. აზერბაიჯანისთვის 'პირდაპირი' კავშირის დამყარება თავის ექსკლავთან პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც უაღრესად მომგებიანია, მაგრამ ეს, ზოგიერთი ქართველი ექსპერტის მოსაზრების მიუხედავად, სულაც არ შეამცირებს ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის მნიშვნელობას. ამას რუსეთიც, რომელიც ყველაზე დიდ ინტერესს იჩენს რკინიგზის აღდგენისადმი, არ დაუშვებს. ამ შემთხვევაში რუსეთი უპირობოდ იტვირთავს რკინიგზაზე უსაფრთხოებს „გარანტიას“ როლს (სომხეთის რკინიგზას ისედაც სრულად აკონტროლებს). დამატებით, კიდევ უფრო გააძლიერებს ირან-სომხეთის საზღვრის კონტროლს (სომხურ მხარეს რუსი მესაზღვრეები დგანან). რაც შეეხება თურქეთს, განსაკუთრებული ეკონომიკური მონაგარი ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში მას არ ექნება – ნახიჩევანსა და თურქეთს შორის რკინიგზის გაყვანის შეუძლებლობიდან გამომდინარე (საზღვარი სულ 17 კმ-ის სიგრძისაა). რკინიგზის ამოქმედება არ შედის საქართველოს ინტერესებში უპირველესად სომხეთისთვის გარე სამყაროსთან მთავარი დამაკავშირებლის ფუნქციის დაკარგვის პერსპექტივიდან გამომდინარე. მეორე მხრივ, მოსაზრება, რომ შემცირდება ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მნიშვნელობა, ნაკლებად დამაჯერებელია. როგორც აღინიშნა, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის არ არსებობს პირდაპირი სარკინიგზო კავშირი და აზერბაიჯან-ნახიჩევანის დაკავშირება ამ კუთხით ბევრს არაფერს ცვლის. ჯერჯერობით არ არის საუბარი არც სომხეთისა და თურქეთის დამაკავშირებელ გიუმრი-ყარსის რკინიგზის აღდგენაზე.<sup>72</sup> არც აზერბაიჯანია დაინტერესებული საქართველოზე გამავალი სარკინიგზო ქსელის მეორენარისხოვნად ქცევით, ვინაიდან უზარმაზარი ინვესტიციები აქვს ჩადებული ამ რკინიგზის გაყვანაში.

თურქეთთან და აზერბაიჯანთან სომხეთის საზღვრების 'გახსნასთან' დაკავშირებით, ალბათ, საჭიროა ადრე არსებული სხვადასხვა შეფასებების მოყვანაც, რომელთა შორის აშკარა წინააღმდეგობები იკვეთება. მაგალითად. 2000 წლის მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, თურქეთთან და აზერბაიჯანთან საზღვრის გახსნა სომხეთის მშპ-ს 30%-ით გაზრდიდა.<sup>73</sup> საპირისპიროდ, 2005 წლის ანგარიშში, რომელიც მომზადდა სომხურ-ევროპული პოლიტიკისა და სამართლის საკონსულტაციო ცენტრის მიერ, სომხეთის ეკონომიკა დამატებით მიიღებდა მხოლოდ \$20-23 მლნ მოგებას.<sup>74</sup>

72 თბილისი-გიუმრი-ყარსის რკინიგზა 1899 წელს გაიხსნა. საბჭოთა პერიოდში ის დიდწილად უფუნქციო იყო, 1993 წელს კი სომხეთსა და თურქეთს შორის საზღვრების ჩაკეტვის შედეგად, ეს სარკინიგზო ხაზი საერთოდ გაუქმდა.

73 'Trade, Transport and Telecommunications in the South Caucasus: Current Obstacles to Regional Cooperation.' (2005). <https://documents.worldbank.org...> (წვდომა: 04/09/2017)

74 'Study of the Economic Impact on the Armenian Economy from Re-Opening of the Turkish-Armenian Borders.' Armenian-European Policy and Legal Advice Center, (2005). <http://www.aeplac.am/pdf...>



სომეხი ანალიტიკოსი კ. ენოგიანი მიიჩნევს რომ სწორედ აქ, სომხეთის, ირანისა და აზერბაიჯანის საზღვრების კვანძზე ცდილობს თურქეთი გზის გაჭრას მომავალი მიზნების განსახორციელებლად. ეს კი სერიოზული დანაკარგების მომტანი იქნება როგორც ირანისათვის, ისე სომხეთისთვის. სომხეთისთვის დანაკარგი არა მარტო ტერიტორიული იქნება, არამედ ზიანი მიადგება მის იმიჯსაც, ირანისთვის კი ზიანი გეოპოლიტიკური და ლოგისტიკური ხასიათის იქნება.<sup>75</sup> მართლაც, თუნდაც შორეულ პერსპექტივაში ირანის ენერგომატარებლების და ზოგადად, სატრანზიტო გზისთვის წინაღობა (კიდევ ერთი) შეიქმნება.

სომხეთისთვის საქართველოზე, როგორც მთავარ სავაჭრო გზაზე დამოკიდებულებისა და რუსეთზე, როგორც მთავარ სავაჭრო და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორზე გადაჭარბებულად დამოკიდებულების გამო, ალტერნატივების და სხვა შესაძლებლობების ძიება ყოველთვის იმპერატიული იყო. მაგრამ ერევნისთვის მიუღებელი იყო ალტერნატიული გზის ამოქმედება აზერბაიჯანის ინტერესების შესაბამისად, ხოლო ირანისთვის, სანამ არ იქნება საქართველოს შავ ზღვის პორტებზე წვდომის საშუალება, სომხეთის ტერიტორიას, ტრანზიტული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

თავდაპირველად, როგორც წინა თავში აღინიშნა, სომხეთი რკინიგზის ალდგენის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, თუმცა შემდგომ, უპირობოდ რუსეთის ზეწოლის შედეგად, 3+3 ფორმატის შეხვედრებზე (რომელიც რეალურად 3+2 ფორმატია, მაგრამ ისევ რუსეთის ზეწოლით ამგვარი „სათაური“ აქვს), პოზიციები შეიცვალა.

2021 წლის შემოდგომაზე სომხეთის პრემიერ მინისტრმა ფაშინიანმა თანხმობა განაცხადა ზანგეზურის (სიუნიკის) დერეფნის გახსნაზე, რომლითაც აზერბაიჯანი დაუკავშირდება ნახიჩევანს, სომხეთისთვის კი გაიხსნება რუსეთისკენ სარკინიგზო გზა აზერბაიჯანის გავლით. საგულისხმოა, რომ ფაშინიანმა განაცხადება კრემლში ვიზიტის შემდეგ გააკეთა. თუმცა, აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ დერეფნის ამოქმედებას საკმაოდ დრო სჭირდება და არაერთი პრობლემა არის და იქნება მისი თანხლები.

რუსმა მკვლევარმა ალექსანდრე ხოდუნოვმა ინტერვიუში ხაზი გაუსვა: „ზანგეზურის დერეფანი შექმნის სარკინიგზო ქსელს სომხეთს, რუსეთს, თურქეთს, აზერბაიჯანსა და ირანს შორის, მოახდენს რეგიონული ვაჭრობისა და საინვესტიციო აქტივობების გაძლიერებას და დადებითად აისახება რუსეთ-ირანის ურთიერთობებზე.“<sup>76</sup> ვფიქრობ, ირანის სარგებელი ამ შემთხვევაში ყველაზე ნაკლები იქნება. ირანიდან რკინიგზა უნდა შევიდეს ნახიჩევანის ოლქში, სადაც, ისე როგორც სომხეთთან დაკავშირებით, ირანს არ აწარმოებს იმდენად დიდი მოცულობის გადაზიდვებს, რასაც ვერ აუვა საავტომობილო ტრასპორტი. აზერბაიჯანთან ირანს ისედაც აკავშირებს რკინიგზა, ეს „ახალი ძველი“ რკინიგზა კი პრაქტიკულად შემოვლითი გზა იქნება და რეალურად არანაირ ეკონომიკურ სარგებელს არ მოუტანს ირანს. რაც შეეხება რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს, ეს რკინიგზა ასევე ვერ გაუწევს ვერანაირ კონკურენციას ჩრდილო-

75 Карине Еногян, 'Как Иран пытается вновь стать крупным региональным игроком на Южном Кавказе.' (27/05/2021). <https://newshay.com... 01/07/2021>

76 ინტერვიუ რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასპირანტთან ალექსანდრე ს. ხოდუნოვთან (05/12/2021).

ეთ-სამხრეთის დერეფანს.

საბოლოო ჯამში, აღნიშნული სარკინიგზო ხაზის აღდგენის პროექტთან დაკავშირებით შემდეგი სახის მოსაზრებები შეიძლება გამოითქვას: რუსეთი მოგებული დარჩება პოლიტიკურად და ნაწილობრივ ეკონომიკურადაც. ასევე ნაწილობრივ შეიძლება გავიზიაროთ მოსაზრება, რომ „ახალი გზების გახსნით, რუსეთი ცდილობს შექმნას ახალი საგზაო და სარკინიგზო კავშირები სომხეთთან და ირანთან და შეასუსტოს საქართველოს, როგორც რეგიონული ტრანსპორტირების თითქმის მონოპოლისტის პოზიციები.“<sup>77</sup> სომხეთი ეკონომიკური თვალსაზრისით დიდწილად მოგებული დარჩება, რადგან გაუჩნდება რუსეთთან დაკავშირების ალტერნატიული გზა, თუმცა ამ მონაგარის პოლიტიკური ფასი განუზომლად დიდი იქნება – ერთი მხრივ, სომხეთის გავლით მისი ორი მტრის – აზერბაიჯანისა და თურქეთის დაკავშირება და, მეორე მხრივ, ამ ვითარებაში რუსეთის დომინირების კიდევ უფრო გაძლიერება. ირანისთვის ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც ამგვარი პროექტის განხორციელება წამგებიანია. სომხეთის მოსაზრებულ რეგიონებში ახალი აქტორების გამოჩენა უდავოდ არ შედის თეირანის ინტერესებში. ეკონომიკურადაც ნახიჩევანთან სარკინიგზო კავშირი ვერანაირად ვერ იქნება აზერბაიჯანსა და მის ექსკლავს შორის ერთადერთი დამაკავშირებლის ფუნქციის დაკარგვის კომპენსაცია. ეს სარკინიგზო ხაზი არ შეესაბამება არც საქართველოს ინტერესებს, უპირველეს ყოვლისა იმ პოლიტიკური ფაქტორიდან გამომდინარე, რომ მის ამოქმედებას მოყვება რუსეთის პოზიციების გაძლიერება რეგიონში. აქვე კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, რომ 2022 წელს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შემდეგ ამ სარკინიგზო ხაზის ამოქმედების პერსპექტივებიც საკმაოდ ბუნდოვანი გახდა.

ჯეიმზტაუნის ფონდის პრეზიდენტი გლენ ჰოვარდის აზრი სატრანსპორტო დერეფნებთან დაკავშირებით, ალბათ, კარგად გამოხატავს არსებულ რეალობას: „...ირანი გააგრძელებს საქართველოსთვის ჩრდილოეთ-სამხრეთ სატრანსპორტო დერეფნის განვითარების იდეის შეთავაზებას. მაგრამ არ მგონია, ეს გეგმა ადგილიდან დაიძრას. სომხეთს სურდა ირანთან სატრანსპორტო ურთიერთობის განვითარება, მაგრამ ის გეგმაც განუხორციელებელი დარჩა. რუსებმა სომხეთს ირანთან გაზის მილსადენის აშენებასა და რკინიგზის გაყვანაში ხელი შეუშალეს.“<sup>78</sup>

აქვე, ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას აშშ-ის სატრანსპორტო-სატრანზიტო პოლიტიკაზე. ‘აზრეშუმის გზის სტრატეგიის აქტმა’ აიძულა აშშ-ის მთავრობა „ხელი შეეწყოს კომუნიკაციების, ტრანსპორტირებისთვის, განათლების, ჯანმრთელობის, ენერჯეტიკის და ვაჭრობის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე.“<sup>79</sup> თუმცა, ხაზი უნდა გაესვას, რომ ენერგომატარებლების მარშრუტებისგან განსხვავებით, ამ მიმართულებით აშშ-ის ჩართულობა შედარებით მცირემასშტაბიანია.

77 Brenda Shaffer, The Trigger for War: Energy in the 2020 Armenia-Azerbaijan War, 100-114. In Turan Gafarli & Michael Arnold (eds), The Karabakh Gambit: Responsibility for the Future. TRT World Research Centre, (11-2021), 106.


78 ‘ექსპერტი: ირანი მეგობარი არ არის.’ (17/10/2015) <https://www.amerikiskhma.com...> (წვდომა: 21/04/2021)

79 Silk Road Strategy Act of 1999. [www.eso.org/gen-fac/pubs/astclim/cspas/maidanak/silkroad.html](http://www.eso.org/gen-fac/pubs/astclim/cspas/maidanak/silkroad.html) (წვდომა: 23.08.2019)

ევროკავშირი ზოგადად ნაკლებადაა ჩართული კომუნიკაციების განვითარების მიმართულებით მუშაობაში და არ აქვს აბრეშუმის გზის სტრატეგიის მსგავსი გეგმა.<sup>80</sup>

სომხეთი ასევე ცდილობდა ჩინურ პროექტში „ერთი სარტყელი – ერთი გზა ინიციატივაში“ ჩართვას. სარტყლის სამხრეთი გზა ჩინეთიდან უნდა წამოვიდეს ირანში ევროპისკენ და აქ ერთ-ერთი შესაძლებლობა სომხეთი-საქართველო-შავი ზღვის გამოყენებაა.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, სამხრეთ კავკასიის სასტრანსპორტო-სატრანზიტო პოტენციალი ჯერ კიდევ უკიდურესად შორს დგას სრულფასოვანი გამოყენებისგან. ამასთანავე, 2020 წლის ომში სომხეთის მარცხის ერთ-ერთ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის იძულებითი დათანხმება სიუნიკის დერეფნის გახსნაზე. ამ შემთხვევაში სატრანსპორტო გზების პოლიტიკური დატვირთვა ახალ განზომილებას იძენს, თუმცა შეთანხმების მიუხედავად, ჯერ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი დერეფნის თუნდაც ნაწილობრივი დატვირთვით ამოქმედებამდე.



80 1990 წლის დეკემბრიდან ევროკავშირმა წამოიწყო TACIS-ის გეგმა (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ტექნიკური დახმარება). მის ფარგლებში ორი მთავარი ინიციატივაა TRACECA (სატრანსპორტო დერეფნის განვითარების ტექნიკური დახმარების პროგრამა ევროპასა და აზიას შორის შავი ზღვის, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების, კასპიის ზღვის და ცენტრალური აზიის გავლით დაიწყო 1993 წელს. მეორე მნიშვნელოვანი პროგრამაა INOGATE (ევროპაში ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების სახელმწიფოთაშორისი ქსელი).

## ირანის ენერგომატარებლების ექსპორტის საკითხი. ელექტროენერგია და წყლის რესურსები

ირანს ენერგომატარებლების ტრანსპორტირების რამდენიმე შესაძლებლობა აქვს. პირველ რიგში, ეს არის სპარსეთის ყურე (შემდეგ აღმოსავლეთით ინდოეთის ოკეანისკენ ან დასავლეთით სუეცის არხის გავლით ტანკერების საშუალებით); 2) თურქეთის გავლით ნავთობ და გაზსადენები ევროპისკენ. 3) აზერბაიჯანის და საქართველოს გზით შავი ზღვისკენ (უკვე არსებული ნავთობ – და გაზსადენების გამო, ეს მიმართულება პრაქტიკულად უპერსპექტივოა). 4) სომხეთის გზით საქართველოს პორტებისკენ და შემდეგ ტანკერებით ევროპისკენ.<sup>81</sup> სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებით, სწორედ ეს მიმართულებაა შედარებით პერსპექტიული (თუმცა, პრობლემატური) ირანისთვის და ქვემოთ ძირითადი ყურადღება მასზე იქნება გამახვილებული.

სამხრეთ კავკასიაში ენერგომატარებლების ექსპორტის თვალსაზრისით ირანის ერთადერთი მოქმედი პროექტი სომხეთ-ირანის გაზსადენია. თუმცა, მიზეზთა გამო, ეს პროექტიც მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად.

140 კმ სიგრძის გაზსადენი, რომელიც ოფიციალურად გაიხსნა 2007 წელს, სომხეთს გაზს აწვდის თავრიზიდან, სომხეთში კი ამ გაზის ნაწილი გარდაიქნება ელექტროენერგიად, რომლითაც შემდეგ მარაგდება ირანის ჩრდილოეთი პროვინციები.

ირან-სომხეთის გაზსადენით თავდაპირველად იგეგმებოდა სომხეთისთვის ენერგომატარებლების წყაროების დივერსიფიკაცია, მისი ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდა და რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება. დამატებით, ირანული გაზისთვის სატრანზიტო ქვეყნად ქვევა საქართველოსა და შემდეგ შავი ზღვით ევროპისკენ გაზრდიდა სომხეთის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას და ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა მას. ყოველივე კი შეამცირებდა ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენიდან (BTC) და ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენიდან (BTE) განზე დატოვებით მიღებულ ზიანს. თუმცა, 2006 წელს გაზსადენის დიამეტრი 1,420 მმ-დან 700 მმ-მდე შემცირდა რუსეთის ზეწოლის გამო. შესაბამისად, შეიზღუდა რუსული გაზისთვის კონკურენციის გაწევის შესაძლებლობა და სომხეთის მიერ გაზის ფინანსურად მომგებიანი რეექსპორტი შეუძლებელი გახდა.<sup>82</sup>

ამდენად, მიღწეული იქნა მხოლოდ ერთი მიზანი, ისიც ნაწილობრივ: სომხეთის ენერგოუსაფრთხოების გაზრდა, რამდენადაც გაზსადენი სომხეთს არამხოლოდ რუსეთისგან, არამედ საქართველოზე დამოკიდებულებისგანაც ნაწილობრივ ათავისუფლებს.

რუსეთი ეწინააღმდეგება სომხეთისა და ირანის ზედმეტად დაახლოებას. ირანის გაზის ექსპორტის თაობაზე რუსეთის მიერ დაწესებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 2005 წელს სომხეთის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა

81 ირანი გაზსადენით ბუნებრივ აირს აწვდის თურქეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს (ნახიჩევანის ავტონომიას) და ერაყს, ხოლო იმპორტს აზერბაიჯანიდან აწარმოებს.

82 Richard Giragosian, 'Armenia as a Bridge to Iran? Russia won't like It.' Al Jazeera English (30/08/2015). [www.aljazeera.com...](http://www.aljazeera.com...) (წვდომა: 18/12/2020)

ანდრანიკ მარგარიანმა ღიად აღიარა, რომ ხელისუფლება არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს რუსეთის ინტერესებს.<sup>83</sup>

რამდენადაც გაზპრომი მთლიანად აკონტროლებს გაზის დისტრიბუციას სომხეთში, გაზით მომარაგების სფეროში ირანის წილის გაზრდა საეჭვოა მომავლისთვის. რუსეთს ეფექტური მონოპოლია აქვს დამყარებულ სომხეთის გაზმომარაგების ინფრასტრუქტურაზე და მსოფლიო საბაზრო ფასზე უფრო იაფად ყიდის გაზს. რუსეთი ასევე არავითარ შემთხვევაში არ მოინდომებს, რომ მისი გვერდის ავლით ირანმა და სომხეთმა ითანამშრომლონ საქართველოსთან ენერგომატარებლებით ვაჭრობის სფეროში, რაც სამივე მხარისთვის მოგებიანი იქნება.

ირანი და სომხეთი აპირებდნენ ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს აგებას სომხეთის სამხრეთში. ნავთობის მიწოდება სომხეთში მოხდებოდა თავრიზიდან ნავთობსადენით. ნავთობპროდუქტები კი ირანში შევიდოდა რკინიგზით. ეს პროექტიც უფრო იდეის დონეზე დარჩა, ვინაიდან ვერ განხორციელდა ორ ქვეყანას შორის სარკინიგზო კავშირის დამყარება. რაც შეეხება ნახიჩევანის სარკინიგზო გზით დაკავშირების პერსპექტივას, ამაზეც საუბარი ჯერ ნაადრევია.

ამდენად, არც თუ ისე დამაჯერებელია სომეხი მკვლევრის ა. მანველიანის შემდეგი მოსაზრება: „ირან-სომხეთის გაზსადენის სტრატეგიულ მნიშვნელობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ის წარმოადგენს სომხეთისთვის გაზმომარაგების ალტერნატიულ წყაროს რუსეთიდან გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში. იმავდროულად კი, გარკვეულ დონემდე, ის ზღუდავს გაზპრომის მიერ გაზის ფასის მატებას.“<sup>84</sup>

ამგვარად, თუ რუსეთმა ვერ შეძლო კასპის ზღვიდან შავ და ხმელთაშუა ზღვამდე ენერგოკომუნიკაციების გაყვანისთვის ხელის შეშლა, მან ადვილად მოახერხა სომხეთში ირანული გაზის ტრანსპორტირების მასშტაბური პროექტის ჩაშლა.<sup>85</sup>

ასევე აღსანიშნავია, რომ 2009 წელს სომხეთის გაზსადენზე რამდენიმე საეჭვო აფეთქება მოხდა, რამაც ირანი აიძულა უფრო ფრთხილი ენერგოპოლიტიკა გაეტარებინა რეგიონში.<sup>86</sup>

სომხეთ-ირანის გაზსადენიდან ბუნებრივი აირის მიღების პერსპექტივით საქართველო ჯერ კიდევ გაზსადენის გახსნამდე დაინტერესდა. 2004 წელს იმ დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ზურაბიშვილმა სომხურ მხარესთან მოლაპარაკებების დროს წამოჭრა ეს საკითხი.<sup>87</sup> გაზსადენის გახსნიდან სულ ორიოდე დღის შემდეგ პრეზიდენტი სააკაშვილი ეწვია სომხეთს გაზსადენის საშუალებით საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მიწოდების შესაძლებლობების

83 Coyle, *Russia's Interventions in Ethnic Conflicts*, 101.

84 Armen Manvelyan, *Energy Security in Armenia: Challenges and Opportunities*. In *The south Caucasus 2018*, 131.

85 Игорь Мурадян, 'Иран – Кавказ – Европа.' (30/10/2013). <https://blognews.am/rus...> (წვდომა: 12/04/2020)

86 Mehmet E. Erendor & Mehmet F. Öztarsu, 'Iranian Relations with Azerbaijan and Armenia: A Comparative Approach in the Case of Pragmatist Politics.' *BAİBÜ Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi* (2019), Cilt: 19, Sayı: 1/Bahar. <https://dergipark.org.tr...>

87 Sossi Tatikian, 'How Do Energy Security and Euro-Atlantic Integration Correlate in the Southern Caucasus?' *NATO Defense College* (2008). <https://www.academia.edu...> (წვდომა: 15/03/2021).



განსახილველად. ბუნებრივია, რუსეთის მიერ გაზსადენზე სრული კონტროლის დამყარებისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების უკიდურესი გამძაფრების პირობებში, ამ მიმართულებით მუშაობა შეწყდა.

თუმცა, მოგვიანებით, 2016 წლის დასაწყისში, იმ დროს ტრასპორტის მინისტრმა კახა კალაძემ დიდი მღელვარება გამოწვია მედიაში, როდესაც განაცხადა, რომ საქართველოსთვის შესაძლებელია გაზის მიწოდების დივერსიფიკაცია და გაზის ნაწილის შესყიდვა ირანისგან. იგი ემყარებოდა მანამდე ირანის ოფიციალური პირების განცხადებას იმის თაობაზე, თითქოს ირანს შეუძლია სომხეთის გაზომომარაგების იმ დონეზე განვითარება, რომ ის სატრანზიტო გაზსადენად გამოიყენოს საქართველოსთვის.<sup>88</sup> მართლაც, 2016 წლის ივლისში ირანის ნაციონალურმა გაზის კომპანიამ ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერა ხელი კერძო ქართულ კომპანიასთან 40 მლნ კუბ. მ. გაზის მიწოდების შესახებ სომხური გაზსადენით ოთხი თვის განმავლობაში. თუმცა, ამგვარი ტრანსაქციის ტექნიკური ასპექტები უცნობია (სავარაუდოდ ეს მოხდა ე.წ. 'სვოპური' სისტემით, ანუ სომხეთმა მიიღო დამატებითი გაზი ირანისგან, ხოლო იმავე რაოდენობის გაზი, რომელიც რუსეთიდან მიეწოდებოდა სომხეთს საქართველოს გავლით, ქართულმა მხარემ გამოიყენა). თავის მხრივ, ირანის გაზის ექსპორტის ნაციონალური კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის ოფიციალური განცხადების თანახმად, 2016 წელს, სანქციების მოხსნის შემდეგ, საქართველომ სომხეთის გზით 24 მლნ კუბ. მეტრის ირანული გაზის იმპორტირება მოახდინა. თუმცა, საქართველოს მთავრობასთან არ ყოფილა გაფორმებული ოფიციალური ხელშეკრულება და იმპორტიორი იყო კერძო კომპანია.<sup>89</sup>

სომხეთში რუსეთის აბსოლუტური დომინირების პირობებშიც კი, ირანს არაერთხელ გამოუხატავს სომხეთისათვის მეტი გაზის მიწოდების სურვილი (ვიწრო დიამეტრის მიუხედავად, გაზსადენი მაინც არ არის სრულად დატვირთული). 2013 წელს სომხეთის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ თქვა უარი ირანის შემოთავაზებაზე მიეწოდებინა უფრო იაფად გაზი და ხელი მოაწერა კიდევ ერთ შეთანხმებას, რომლითაც „გაზპრომმა“ სომხეთის ბაზარზე 30-წლიანი მონოპოლიის გარანტია მიიღო. 2015 წლის იანვარში კი საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამად ჯავად ზარიფმა განაცხადა, რომ ირანი მზად ახალი გაზსადენის გასაყვანად, თუმცა სომხურ მხარეს მკაფიო პასუხი ამ შემოთავაზებაზე არ გაუცია.<sup>90</sup> 2016 წლის აგვისტოში, როცა სომხეთის პრემიერ-მინისტრი ოვიკ აბრამიანი იყო, სახელმწიფო კომპანიაც კი შეიქმნა – „ენერგოიმპექსი“, რომელსაც უფლება მიეცა გაზი ერთ ქვეყანაში ეყიდა და მეორეში გაეყიდა. მაგრამ 'გაზპრომის' დომინირების პირობებში, მსგავსი ოპერაციის განხორციელება (ანუ სომხეთისა და ირანის მიერ მოგების მიღების პირობებში რუსეთისთვის არაფრის მომცემი ოპერაციისა), რეალობას მოკლებულია. რუსეთის მისაღება ირანის მიერ საქართველოსთვის გაზის მიწოდება მხოლოდ ე.წ. „სვოპური“ სქემით ანუ გაცვლით, მესამე მხარის მონაწი-

88 David Jijelava, 'The Unfreezing of Iran: Economic Opportunities for Georgia.' Caucasus Analytical Digest, No. 92, Iran and the South Caucasus after the Nuclear Deal, 14.

89 Kazemzadeh, 'Iran and Energy Cooperation in the South Caucasus: Prospects for the Post-Sanctions Era.' Caucasus Analytical Digest, No. 92, Iran and the South Caucasus after the Nuclear Deal, 4-5.

90 იქვე, 101-102.

ლეობით, რაც იმას ნიშნავს, რომ ირანი გარკვეული რაოდენობის გაზს სომხეთს მიაწვდის, რუსეთი კი იმდენივეს – საქართველოს. მოკლედ რუსული „გაზპრომის“ გარეშე არაფერი გამოვა, რადგან სწორედ ის აკონტროლებს სომხეთის გაზგამანაწილებელ სისტემას. 2019 წელს ქართულმა მხარემ განცხადება გააკეთა, რომ აზერბაიჯანული გაზი საკმარისია და საქართველოს ალტერნატიული გაზი არ სჭირდება.<sup>91</sup> ეს პოზიცია სავსებით ლოგიკურია რუსეთის არაპროგნოზირებადი მოქმედებებიდან გამომდინარე.

ქართველი ანალიტიკოსის ლ. ჯერვალიძის აზრით, ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძის გახსნა გულისხმობს საქართველოს სატრანზიტო მილსადენების ჩართვას რუსული გაზის გადასატვირთად სომხეთის გავლით ჩრდილოეთ ირანში. რუსეთიდან საქართველოში შემომავალი რუსეთ-საქართველო-სომხეთის მაგისტრალური გაზსადენის გამტარობის გაზრდა რუსული გაზის მნიშვნელოვანი რაოდენობის გატარების შესაძლებლობას იძლევა. ეს გარემოება საქართველო-სთავის საფრთხეს არ წარმოადგენს, თუ ჩრდილოეთ-სამხრეთის მილსადენი საქართველოს საკუთრებაში დარჩება. პირიქით, დაიტვირთება ქვეყნის ინფრასტრუქტურა, ქვეყანას გაუჩნდება რუსეთზე ზემოქმედების ბერკეტი. სომხეთი კი, რომელიც დღემდე იზოლირებულია საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებიდან, გეოპოლიტიკურ მდგომარეობას გაიმყარებს.<sup>92</sup> აქ ხაზი უნდა გაესვას, რომ ირანი დაინტერესებულია არა რუსული გაზის იმპორტით, არამედ საკუთარი გაზის ექსპორტით. ირანის ჩრდილოეთი ნაწილობრივ აზერბაიჯანული გაზით მარაგდება. რუსული გაზი ირანს არაფერში სჭირდება და ამგვარ მოსაზრებას დამაჯერებლობა აკლია. მოვლენების ამგვარი განვითარებაც, საშუალოვადიან პერსპექტივაში მაინც, გამორიცხებულია.

საქართველო-ირანის თანამშრომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი ქართული პორტების გავლით ევროპისკენ ენერგორესურსების ტრანსპორტირებას უკავშირდება, რომელმაც გრძელვადიან პერსპექტივაში ისეთი მივიწყებული პროექტიც კი შეიძლება „გააცოცხლოს“, როგორც მაგალითად „ნაბუქა“.<sup>93</sup> გაზსადენების ქსელის განვრცობის პერსპექტივულ მიმართულებად ითვლებოდა ირანი-სომხეთი-საქართველო-ყირიმი-ევროპის გზა. „უკრაინელები ღიად გამოხატავდნენ ამ პროექტის მიმართ ინტერესს, ვინაიდან სატრანზიტო გაზსადენი ბუნებრივი აირის ირანიდან უკრაინისთვის მიწოდების ყველაზე მოკლე გზა იქნებოდა.“<sup>94</sup>

ამგვარი პროექტებით ირანის დაინტერესებას ისიც უწყობს ხელს, რომ ე.წ. ირან-თურქეთის რეგიონული კონკურენციის საკითხი, რომლის მიხედვითაც,

91 'ირანული გაზის ტრანზიტო სომხეთის გავლით: როგორი პოზიცია აქვს საქართველოს?' (05/03/2019). <http://www.newspress.ge/interviu...> (წვდომა: 07/06/2019)

92 ლიანა ჯერვალიძე, 'სანქციების მოხსნა ირანისათვის და ჩრდილოეთ/სამხრეთის ენერგეტიკული ღერძის გახსნა – მოსალოდნელი შედეგები.' ექსპერტის აზრი, 54. (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2015), 9.

93 სანიკიძე, 'ირანისთვის სანქციების მოხსნა და მსოფლიოსთვის ირანის გახსნა სავსებით შეესაბამება საქართველოს ინტერესებს.' (06/04/2015). <http://www.interpressnews.ge/ge/interviu...> (წვდომა: 07/04/2015).

94 Mirzoyan, Armenia s Foreign Policy-2004, 202.

ირანს არ სურს საკუთარი ენერგორესურსების ტრანზიტი ანკარაზე დამოკიდებული გახადოს.<sup>95</sup>

საკუთრივ თურქეთში ირანის გაზის იმპორტი მაინც საკმაოდ დიდი მოცულობისაა, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში შემცირდა. 2020 წლისათვის ირანის გაზის წილი იმპორტი საერთო მოცულობის 33%-ს შეადგენდა.<sup>96</sup> თუმცა, 2021 წლის 10 თვის მანძილზე ირანის წილი თურქეთის გაზით მომარაგებაში უკვე სულ 16% იყო.<sup>97</sup>

მსგავსი პროექტი, ბუნებრივია, საქართველოსთვის საინტერესოა, თუმცა მოკლევადიან პერსპექტივაში, მათი განხორციელება, ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, შეუძლებელია. აქვე ხაზგასასმელია, რომ 2022 წლის დასაწყისიდან საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარმა რადიკალურმა ცვლილებებმა, შესაძლოა, მივიწყებული პროექტებისადმი ინტერესი გამოაცოცხლოს და დასავლეთთან ურთიერთობების დალაგების შემთხვევაში, ირანს ამ მიმართულებით ახალი პერსპექტივები გაუჩნდეს.

ირანის გეგმებში შედის ელექტროენერჯის გაცვლის ფართო ბაზრის შექმნა რეგიონში და ამ კუთხით, საქართველოსთან პარტნიორობა. გადაულახავი წინააღმდეგობების მიუხედავად, ირანის, სომხეთისა და რუსეთის თანამშრომლობას ენერგეტიკის სფეროში მიერთებულია საქართველოც. მაგალითად, 2015 წლის 24 დეკემბერს სომხეთმა, რუსეთმა, ირანმა და საქართველომ ურთიერთდაკავშირებული ელექტროსისტემის განვითარებაზე მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომლითაც მათ შესაძლებლობა ექნებათ რეგიონში ელექტროენერჯის ექსპორტი განახორციელონ.<sup>98</sup>

ირანმა ასევე გამოამჟღავნა ინტერესი დასავლეთ საქართველოს მტკნარი წყლის რესურსების მიმართ, რომლის ისლამურ რესპუბლიკაში 'გადაქაჩვის' სანაცვლოდ, თეირანი საქართველოს გაზით მომარაგებას აპირებდა.<sup>99</sup>

ელექტროენერჯის გაცვლითა და წყლის რესურსებით დაინტერესებასთან დაკავშირებით საყურადღებოა საქართველოში ისლამური რესპუბლიკის ყოფილი ელჩის აბას თალებ იფარის მოსაზრებები. 2016 წელს მან განაცხადა, ირანი ელექტ-

95 ედიშერ ბალათურია, 'ირან-საქართველოს ურთიერთობები და ახალი გამოწვევები ბერთოვული შეთანხმების შემდეგ.' (თბილისი: კავკასიური სახლი, 2016), 12.

96 Country Analysis Executive Summary: Iran. U.S. Energy Information Administration. (16/07/2021). <https://www.eia.gov...pdf> რაც შეეხება აზერბაიჯანს, 2020 წლისთვის მისი წილი თურქეთის გაზის ექსპორტში დაახლ. 20%-ს შეადგენდა. შაჰ დენიზის სრულად ამუშავების შემდეგ ივარაუდება 30%-მდე გაზრდა. Pinar Sayan et al., 'Economic Cooperation in the South Caucasus and the Wider Region: Gained Losses, Lost Benefits.' The Caucasus Edition – Journal of Conflict Transformation 2016, 12.

97 Turkey orders cuts to gas use as flow halted from Iran (20/01/2022). <https://www.reuters.com...> (27/01/2022). აღსანიშნავია, რომ 2022 წლის იანვარში ირანმა 10 დღით შეუწყვიტა ბუნებრივი აირის მიწოდება თურქეთს „ტექნიკური პრობლემების გამო“. საგულისხმოა, რომ ეს გადაწყვეტილება ირანმა მიიღო პრეზიდენტ რაისის მოსკოვში ვიზიტის შემდეგ. გაჩნდა ეჭვები, რომ მოსკოვმა აიძულა თეირანი გადაეღვა ეს ნაბიჯი თურქეთის მიერ რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებაში უკრაინის უპირობო მხარდაჭერის გამო.

98 'რუსეთმა, ირანმა, საქართველომ და სომხეთმა ენერგეტიკული კავშირი დააფუძნეს.' (24/12/2015). <http://www.tabula.ge...> (წვდომა: 25/08/2018)

99 'სულ მალე საქართველო მტკნარ წყალზე უდიდეს შეკვეთებს მიიღებს.' (27/03/2014). <http://resonancedaily.com...> (წვდომა: 18/05/2017)

როენერგის საქართველოსგან კომპანია GIG-ის მეშვეობით ადრეც ყიდულობდა, თუმცა, ამისთვის ტრანზიტის საფასურს იხდიდა. ერევანში მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე კი, საქართველო და ირანი ერთიან სატრანზიტო სისტემაში მოექცევიან. საქართველო ირანისგან ელექტროენერგიას დეფიციტურ სეზონზე, ზამთარში მიიღებს, ხოლო უკან ზაფხულში, ირანისთვის პრობლემურ პერიოდში დაუბრუნებს. საუბარია საქართველოში 200-500 მლნ კუბური მეტრი ირანული გაზის იმპორტზე. ირანული გაზის იმპორტი საქართველოში შესაძლებელია ოთხი გზით განხორციელდეს, მათ შორის აზერბაიჯანის, ან სომხეთის მილსადენებით, რადგან ორივე სრულად დატვირთული არ არის. მესამე ვარიანტია ე.წ. „სვოპის“ პრინციპი, რომლის მიხედვით, საქართველოს ბუნებრივი აირით „გაზპრომი“ მოამარაგებს, სანაცვლოდ კი სომხეთს ირანი მიაწვდის. და ბოლოს – ბუნებრივი აირის გაცვლა შესაძლებელია ელექტროენერგიაზე. ოთხივე ვარიანტის განხილვა დღესაც მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნების შესაბამის უწყებებში. ურმიის ტბის შესავსებად ორი გზა, ორი პროექტი არსებობს: 1. დასავლეთ საქართველოს მდინარეების წყლის გადატუმბვა ურმიის ტბაში. ამ პროექტის ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე შესაბამისი ინსტიტუტები უკვე მუშაობენ. 2. საქართველოს არტეზიული წყლების გადატანა აზერბაიჯანის გავლით ირანში. ეს საკმაოდ კარგი პროექტია, უკვე შემუშავებულია მისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. ითვალისწინებს მიწისქვეშა წყლის არხებისა და ბაზალტის მილსადენის მშენებლობას. რაც შეეხება პროექტის ღირებულებას, ის, დაახლოებით 1,5 მილიარდი დოლარი დაჯდება. საუბარია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 280 კმ-იანი მონაკვეთზე ორმეტრიანი დიამეტრის მილსადენის გაყვანაზე. ირანში მზად არიან, მისი ფინანსური მხარდაჭერა განახორციელონ.<sup>100</sup>

ზემოთქმული უმეტესწილად სურვილებია და ნაკლებად ასახავს რეალობას. ირან-სომხეთის გაზსადენიდან საქართველო გაზს ვერ მიიღებს, ვინაიდან გაზსადენი არ შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე და მცირე დიამეტრიდან გამომდინარე, მისი შემოყვანაც ეკონომიკურად მომგებიანი არ არის. მოწოდება შეიძლება მოხდეს მხოლოდ 'სვოპის' პრინციპით. აზერბაიჯანს კი არ გაუჭირდება საქართველოსთვის დამატებით გაზის მოწოდება, მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში – შესაბამისად, სულაც არ იქნება დაინტერესებული გაზსადენით ირანული გაზის გატარებაში (ეს დასავლეთის უკმაყოფილებასაც გამოიწვევს). რაც შეეხება საქართველოს არტეზიული წყლების გადაქაჩვას ირანში, იდეა თავისთავად საინტერესოა და დიდად წაადგება დაშრობის პირას მყოფი ურმიის ტბის გადარჩენას, მაგრამ ჯერჯერობით, მიუხედავად ირანული მხარის საწინააღმდეგო განცხადებებისა, ეს პროექტი მხოლოდ იდეის დონეზე რჩება, არ არის საფუძვლიანად შესწავლილი ტექნიკური და ეკონომიკური საკითხები, ეკოლოგიური პრობლემები და დარგის ბევრი სპეციალისტი მას სავსებით სამართლიანად არარეალისტურად მიიჩნევს (ყოველ შემთხვევაში, მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში).

ბუნებრივი აირის ექსპორტს ირანი ასევე აწარმოებს ნახიჩევანში. ნახიჩევანისკენ გზა, წლების მანძილზე, სომხეთს ბლოკირებული ჰქონდა. არსებულ ვითარებას კარგად იყენებდა ირანი და გაზით ამარაგებდა აზერბაიჯანის ექსკლავს. ნახი-

100 'ირანის ელჩი: საქართველოდან წყლის ექსპორტისთვის ინფრასტრუქტურის მშენებლობა 1,5 მილიარდი დოლარი ჯდება.' (08/04/2016) <http://eugeorgia.info/ka...> (წვდომა: 19/09/2017)

ჩვენისთვის გაზის მიწოდების უზრუნველსაყოფად აზერბაიჯანმა ირანთან ხელი მოაწერა 25-წლიან გაცვლით ხელშეკრულებას, რომლითაც აზერბაიჯანი იღებდა ვალდებულებას გაზით მოემარაგებინა ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინციები საბჭოთა პერიოდში გაყვანილი ბაქო-ასტარას გაზსადენის მეშვეობით, სანაცვლოდ კი ირანი კისრულობდა ბუნებრივი აირის მიწოდებას ახალი გაზსადენის საშუალებით ნახიჩევანისთვის. ეს გაზსადენი 2005 წლის 20 დეკემბერს ამოქმედდა. 2020 წლის ომის შემდეგ აზერბაიჯან-ირანის გართულებული ურთიერთობებისა და სომხეთის ტერიტორიაზე ზანგეზურის დერეფნის აღდგენის პერსპექტივების არსებობის ვითარებაში, ირანი, ბუნებრივია, წაგებულ მდგომარეობაში რჩება, თუმცა რამდენადაც ის გაზით ამარაგებს ნახიჩევანს და სხვა ალტერნატივა ამ რეგიონისთვის არ არსებობს, ირანის ხელში რჩება აზერბაიჯანზე წნეხის განხორციელების მნიშვნელოვანი ბერკეტი. ამასთანავე, დღეს ირანს უკვე აქვს საშუალება, რომ ქვეყნის სამხრეთიდან მიაწოდოს გაზი იმ რეგიონებსაც, რომლებიც აზერბაიჯანული გაზით მარაგდება. ფინანსური თვალსაზრისით, აზერბაიჯანიდან გაზის ექსპორტი დღეს უფრო მომგებიანია, მაგრამ ნახიჩევანისთვის გაზის მიწოდების ალტერნატივის არარსებობის გამო, ირანი აზერბაიჯანთან მიმართებაში, ნებისმიერ შემთხვევაში მომგებიან პოზიციაშია.

2016 წლის JCPOA შეთანხმებამ მეზობელ რეგიონებთან, მათ შორის სამხრეთ კავკასიასთან, ირანის ურთიერთობების გაფართოების შესაძლებლობა შეუქმნა, განსაკუთრებით ტრანსპორტისა და ენერჯეტიკის სექტორებში. აქ შედიოდა ევროპის სურვილი ირანის გაზის მიერთებისა სამხრეთის გაზსადენების ქსელების დერეფანთან (SGK) TANAP-ისა და TAP-ის გაზსადენების საშუალებით).<sup>101</sup> თუმცა, მიუხედავად არსებული პოტენციალისა, თანამშრომლობა შეფერხებულია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის გამო – ეს არის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა. ირანის ჩართვისთვის TANAP-ისა და TAP-ის ენერჯეტიკულ პროექტებსა და ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფანში აუცილებელია ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვნად განვითარება; ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს. რამდენადაც შეერთებული შტატების მიერ შექმნილმა წინააღმდეგობამ JCPOA განხორციელებისთვის მოსპო უცხოური ინვესტიციების შესაძლებლობა, რისი დიდი იმედიც ირანს ჰქონდა, ასევე ირანის მიერ ერაყისა და სირიის დასრულებულ ომებში ჩართულობის ტვირთმა, ამგვარი ინვესტიციების პერსპექტივამ შორს გადაიწია.

საერთო ჯამში, ირანის წილი სამხრეთ კავკასიის ენერგობაზარზე დღეისთვის მეტად მცირეა და ტრანზიტის თვალსაზრისით, ამჟამინდელი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ნაკლებად პერსპექტიული. თუმცა, დღევანდელ მსოფლიოში სწრაფად ცვალებად ვითარებაში, როდესაც დასავლეთი გამალებით ეძებს რუსეთის გაზზე დამოკიდებულების შემცირების შესაძლებლობებს, ბირთვული პროგრამაზე შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია, რომ დასავლეთი კვლავაც დაუბრუნდეს ირანული გაზის ექსპორტის საკითხის განხილვას.

101 Ala' Aldeen et al. 'EU and Turkish Energy Interests in the Caspian and Middle East Region.' (2018). [www.meri-k.org/wp-content...pdf](http://www.meri-k.org/wp-content...pdf).



## სანქციების ზეგავლენა ირან-სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობებზე

ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისთვის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ირანისთვის დაწესებული სანქციები, პირველ რიგში, ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული. შესაბამისად, 2015 წელს სანქციების რადიკალურ შემსუბუქებას მაშინვე მოჰყვა ირანული ბიზნესის გააქტიურება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, თუმცა სულ მალე სანქციების განახლებამ კვლავაც გადაულახავი წინააღმდეგობები შექმნა ამ მიმართულებით.

2012 წელს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ცენტრალური აზიისა და კავკასიის საკითხებში აცხადებდა: „ამერიკის თანმიმდევრული სანქციებიდან გამომდინარე, შეერთებული შტატები მოუწოდებს რეგიონის ყველა ქვეყანას თავი აარიდონ ირანთან ვაჭრობას და სხვა ტრანსაქციებს, რათა ირანული მხარე იძულებული გახდეს ითანამშრომლოს საერთაშორისო საზოგადოებასთან ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული შემოფოტებიდან გამომდინარე.“<sup>102</sup>

ირანისთვის სანქციების პირობებში გარკვეულ გამოსავალს წარმოადგენს მესამე ქვეყნებში, რომლებსაც სანქციები არ ეხება, კომპანიების შექმნა აუცილებელი საქონლის ექსპორტისა და იმპორტისთვის. მაგალითისთვის, თურქეთის სავაჭრო პალატებისა და სავაჭრო ბირჟების გაერთიანების (TOBB) თანახმად (ის აქვეყნებს დახურული და გახსნილი კომპანიების სტატისტიკას), 2012 წლის მაისში თურქეთში გახსნილი 320 კომპანიიდან 86 ირანის მიერ იყო დაფინანსებული.<sup>103</sup>

2012 წელს, რეიტერის ცნობით, დასავლეთის სადაზვერვო სამსახურებმა დაადგინეს, რომ ირანი ცდილობდა „შესაფერისი ადგილების მოძიებას საბანკო ურთიერთობების განსავითარებლად, რაზეც წვდომა არ ექნებოდათ სადაზვერვო სამსახურებს და საერთაშორისო მონიტორინგის ორგანიზაციებს. ირანის ერთ-ერთი მიზანი იყო ამ მიმართულებით სომხეთის გამოყენება... გაზრდილმა წნეხმა ირანის ცენტრალური ბანკის ეკონომისტები აიძულა ფინანსური ალტერნატივების ძიება იმ ქვეყნებში, რომლებიც არ მოქმედებენ დასავლეთის დიქტატის მიხედვით.“<sup>104</sup>

სწორედ ამ პერიოდიდან გაიზარდა განსაკუთრებით აშშ-ის ზეწოლა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე ირანთან ეკონომიკური ურთიერთობების შეზღუდვის მოთხოვნით. თუმცა, სანქციების დარღვევასთან დაკავშირებით მანამდეც იყო ინციდენტები. მაგალითად, სომხეთ-აშშ-ის ურთიერთობები საკმაოდ დაიძაბა 2002 წელს, როდესაც აშშ-ის მთავრობამ სანქციები დაუწესა სომხურ ბიოქიმიურ კომპანია „ლიზინს“ ირანში გაყიდვების გამო. სომხეთის პრეზიდენტის განცხადებით, „ლიზინი“ არ იყო სახელმწიფო კომპანია. ამასთანავე, აშშ-ის ფედერალურ რეგისტრში არ ყოფილა დაკონკრეტებული „ლიზინის“ საქმიანობის ბუნება, მხოლოდ ის იყო აღნიშნული, რომ სანქციები დაწესდა 2000 წლის ირანში გარკვეული

102 'Why Tajikistan won't abandon the Islamic Republic of Iran?' International Affairs Review. (01/04/2012). <https://www.iaar-gwu.org/blog...> (წვდომა: 11.07.2019).

103 'Number of Iranian-Funded Companies tops List Once Again.' (15/06/2012). <http://www.todayszaman.com...> (წვდომა: 18/05/2015).

104 Louis Charbonneau, 'Exclusive: Iran Looks to Armenia to Skirt Bank Sanctions.' (21/08/2012). <https://www.reuters.com...> (წვდომა: 14/09/2019)

სახის საქონლის გაყიდვის აკრძალვის აქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე.<sup>105</sup> ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სომხეთმა 2003 წელს დახმარება გაუწია ირანს რაკეტებისა და საარტილერიო დანადგარების შესყიდვაში. ეს შეიარაღება 2007 წელს ერაყში აღმოაჩინეს, როდესაც შიიტური მილიციის თავდასხმას ერთი ამერიკელი სამხედროს სიკვდილი და ექვსის დაჭრა მოჰყვა. 2008 წელს აშშ-ის მიერ გამოთქმულ პროტესტს არ მოჰყოლია სომხური მხარის მხრიდან ამ ფაქტის უარყოფა.<sup>106</sup>

ევროკავშირისა და აშშ-ის მიერ შემოღებული კოორდინირებული სანქციების უპირველესი სამიზნე საბანკო სისტემაა. შემდეგ მოდის კომპანიები, რომლებიც კავშირშია ირანის ბირთვულ მრეწველობასთან, ასევე ზოგიერთი ნავთობქიმიური და სანავთობო ინდუსტრიული კომპლექსი. სანქციების დედაარსია ირანის დასუსტება და მისი ხელისუფლებისთვის უნარის წართმევა განავითაროს და ინვესტირება მოახდინოს სანავთობო ინდუსტრიასა და ნავთობგადამამუშავებელ საწარმოებში.<sup>107</sup>

საბანკო სექტორში თანამშრომლობა, კიდევ ერთი აუცილებელი ინფრასტრუქტურა ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისთვის, ირანსა და რეგიონის ქვეყნებს შორის ნაკლებად განვითარებულია. მაგალითისთვის, ირანის „ბანქ-ე მელლის“ ფილიალი ბაქოში 1993 წელს გაიხსნა, მაგრამ მოლოდინის მიუხედავად, დიდი აქტივობით არ გამოირჩეოდა და შემდგომ კიდევ უფრო უმოქმედო გახდა საერთაშორისო სანქციების გამო. 2010 წელს გაკეთდა განაცხადი საერთო ბანკის შექმნის შესახებ (აზერბაიჯანელების მიერ და ირანული კაპიტალით), მაგრამ მსგავსი პროექტის განხორციელებაც შეუძლებელი გამოდგა. ირანიდან შემოსული \$200 მლნ, სანქციების გამო, გაყინული იყო.<sup>108</sup>

განსაკუთრებთ კარგად გამოჩნდა აზერბაიჯანის საბანკო სისტემის მნიშვნელობა მას შემდეგ, რაც ირანს შეუწყდა წვდომა მსოფლიო საბანკო სისტემა SWIFT-ზე.<sup>109</sup> მეორე მხრივ, უკანასკნელ წლებში აზერბაიჯანი იბრძვის ირანელების მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ. აზერბაიჯანულმა Royal Bank-მა ყველა ტრანსაქცია და ოპერაცია კი შეწყვიტა, რომლებიც ირანელ ბიზნესმენებთან იყო დაკავშირებული და განაცხადა, რომ ყველა მათგანი ფულის გათეთრებით იყო დაკავებული. საბოლოოდ, ბანკს, რომლის დიდი წილიც ირანული წარმოშობის ამერიკელს, ალი ჯამს ეკუთვნის, აზერბაიჯანის ცენტრალურმა ბანკმა ლიცენზია ჩამოართვა.

აქვე აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ოფიციალური პირები თავის დროზე ხაზს უსვამდნენ, რომ ირანის ადვილი წვდომა ჰქონდა მთიან ყარაბაღში მოქმედ სომხურ ბანკებთან და შეეძლო მიეღო ფინანსები მათგან.<sup>110</sup>

105 Coyle, *Russia's Interventions in Ethnic Conflicts*, 130.

106 იქვე.

107 Reshad Karimov et al., 'Is Time running out for Iran?' *Caucasus International* (Spring 2012), vol. 2, no.1, *The Caucasus and its Neighbors: Towards the Future*, 115. [http://cij.az/uploads... pdf](http://cij.az/uploads...pdf)

108 'Iran, Azerbaijan Plan Joint Bank.' *Financial Tribune* (2015). <http://financialtribune.com...> (წვდომა: 05.06.2020).

109 'Iran's banks to be blocked from global banking system.' *BBC* (15/03/2012). <http://bbc.co.uk...> (წვდომა: 15/09/2016)

110 Burton, Dan. "Is Armenia America's Ally or Iran's?" *The Daily Caller*, (12/03/2015). <https://dailycaller.com...> (წვდომა: 16/10/2017).

რაც შეეხება საქართველოს, ირანელთა მოზღვავებამ საქართველოში და ირანული კომპანიების რიცხვის ზრდამ გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია ქვეყნის დასავლელ პარტნიორებში. გაჩნდა ეჭვები, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა ცდილობდა დასავლური ეკონომიკური და საბანკო სანქციებისგან თავის არიდებას საქართველოში დარეგისტრირებული კომპანიების მიერ ფულის გათეთრების გზით.<sup>111</sup>

ირანული ინვესტიციების ზრდა მოულოდნელად შეწყდა 2013 წლის ზაფხულში, როდესაც აშშ-ის ზეწოლით, საქართველოს მთავრობამ ირანული ბიზნესის შეზღუდვა გადაწყვიტა. 2013 წლის ივლისში საქართველოს მთავრობამ ცალმხრივად გააუქმა უვიზო რეჟიმი, გაყინა ირანული კომპანიებისა თუ პირების მფლობელობაში 150 იურიდიული და კერძო პირის ანგარიში და კონტროლი დაამყარა ირანელთა ბიზნეს-აქტივობებზე ქვეყანაში.<sup>112</sup> ირანელების კუთვნილ 'ინვესტბანკს' ზედამხედველად საქართველოს ეროვნული ბანკი დაუნიშნა. 28 ივნისს კი საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონპროექტი უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისებაზე მორატორიუმის დაწესების შესახებ, რაც სრულიად ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის უწინდელ პოლიტიკას ირანელების (და სხვების) ჩამოყვანასა და ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების ჩადებასთან დაკავშირებით.<sup>113</sup>

ექსპორტის კონტროლის თვალსაზრისით, საქართველოს კანონმდებლობით აქვს აღებული ვალდებულება, რომ არ დაუშვას სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტი ქვეყნებში, რომლებსაც გაეროს სანქციები აქვთ დაწესებული. ამ ვალდებულებების დაცვის მზადყოფნა დაადასტურა საქართველოს ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა 2013 წელს *Wall Street Journal*-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. მისი სიტყვებით, მთავრობა უკიდურეს ზომებს მიმართავს, რომ ხელი შეუშალოს ირანული ბანკებისა და კომპანიების შემოჭრას საქართველოს საბანკო სისტემაში და ირანული საფინანსო ოფისების გახსნას ქვეყანაში.<sup>114</sup> ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ შეერთებია ევროკავშირისა და აშშ-ის სანქციებს, მან არაპირდაპირი გზით აიღო ამ სანქციების დაცვის და შესრულების ვალდებულება.

*Wall Street Journal*-ში გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნულია, რომ გუშაგთა კორპუსს საქართველოში დარეგისტრირებულ იმ 50 კომპანიასთან ჰქონდა კავშირი, რომლებსაც შეიძლება ეცადათ სანქციებისთვის გვერდის ავლა, ორმაგი დანიშნულების (სამოქალაქო და სამხედრო) პროდუქციის ექსპორტის ჩათვლით. ვაშინგტონისა და ბრიუსელის თვალსაწიერში მოექცა კომპანიები FlyGeorgia და InvestBank, რამდენადაც მათ დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს სავარაუდოდ კავშირები ჰქონდათ გუშაგთა კორპუსთან.<sup>115</sup>

111 Molly Corso, Georgia: Is Tehran Trying to Use Tbilisi to Evade Sanctions? (15/07/2013). <http://www.eurasianet.org...> (წვდომა: 08/16/2013).

112 'Minister of Justice: Georgia Strictly Implements Sanctions Against Iran.' (21/06/2013) <http://www.civil.ge/geo...> (წვდომა: 09/05/2015)

113 'სპარსული მხეცის გათავისუფლება: რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს საქართველოს ირანისთვის სანქციების მოხსნამ?' (07/09/2015) <https://iset-pi.ge...> (წვდომა: 22/04/2018)

114 Faucon, et al., 'As Sanctions Bite, Iranians Invest Big in Georgia.'

115 Andrea Stricker, 'Case Study: U.S. Man Indicted in Larger Iranian Financial Sanctions Busting Scheme.' (Institute for Science and International Security, 03.05.2017). <http://isis-online.org...> (წვდომა: 03/05/2017)

სხვადასხვა ინფორმაციებით, ირანელთა გაყინული ანგარიშების თანხები მერყეობდა 30 მლნ-დან 100 მლნ-მდე.<sup>116</sup>

ზოგიერთ ასეთ კომპანიას ირანის რეგულაციის გუშაგთა კორპუსი „სანქციებისთვის გვერდის ავლისა და ირანში მეორადი დანიშნულების ტექნოლოგიების შეტანის მიზნით“ იყენებდა. თუმცა ბევრი კომპანია რეალურად დებდა ინვესტიციას ქართული სოფლის მეურნეობის სექტორში. ირანელი მეწარმეები სარგებლობდნენ საქართველოს ლიბერალური კანონმდებლობით და ყიდულობდნენ ასობით ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწას.

მას შემდეგ, რაც აშშ გამოვიდა ერთობლივი ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის ხელშეკრულებიდან (JCPOA), ირანი კიდევ ერთხელ გახდა სანქციების ობიექტი, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ირანის ეკონომიკას და შეუზღუდა საკვანძო პარტნიორებთან, მათ შორის სომხეთთან, ვაჭრობის საშუალებები. განახლებული სანქციები ძირითადად შეეხო ირანის ნავთობის ექსპორტსა და საბანკო სისტემას, ირანი კვლავ გამოეთიშა საერთაშორისო საბანკო გაცვლით სისტემას (SWIFT). საბანკო გადარიცხვები შეუძლებელია. ირანელების მიერ ანგარიშების გახსნასთან დაკავშირებითაც არის გარკვეული პრობლემები, თუმცა ეს აკრძალული არ არის. სანქციებს თან დაერთო კოვიდ-19-ის მიერ მოტანილი კიდევ უფრო მძიმე შედეგები. პირველ რიგში, ეს ეხება საქართველოსა და სომხეთს, რომელთათვისაც ტურიზმის სფერო ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია და ირანელ ტურისტთა წილი მეტად მნიშვნელოვანი იყო, თანაც მუდმივად მზარდი.

ისე, როგორც სხვაგან, სომხეთშიც დაფიქსირდა სანქციების გვერდზე ავლის მცდელობები. სანქციების დაწესებიდან სულ რამდენიმე კვირაში ორ სომხურ კომპანიას შეეხო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სანქციები – მათ ბრალი დაედოთ 'ირანის გაუვრცელებლობის აქტის' მე-3 სექციის დარღვევა, რაც გულისხმობს დაჯარიმებას ორგანიზაციებისა, რომლებსაც ირანში შეაქვთ მრავალხმრივი საექსპორტო კონტროლით აკრძალული აღჭურვილობა და ტექნოლოგიები.

ხაზგასასმელია, რომ ისლამური რეგულაციის გუშაგთა კორპუსის (რომელიც უზარმაზარ ფინანსურ რესურსებს განაგებს) მრავალ წევრს, უცხოელ პარტნიორებთან ერთად, შექმნილი ჰქონდა ერთობლივი კომპანიები, რომელთა მიზანიც იყო სამხედრო აღჭურვილობისა თუ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული მასალების მოპოვება. ამგვარი კომპანიები დახურეს დუბაისა და კუალა-ლუმპურში. აშშ-ის კონგრესშიც აღინიშნა: „არსებობს შეშფოთების საფუძველი, რომ სომხეთი, საქართველო და სხვა ქვეყნები მიმზიდველად იქცეს ამ მიზნებისთვის.“

განახლებული სანქციები შეეხოთ სომხურ და ქართულ კომპანიებსაც. აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიურომ (BIS) სანქციები დაუწესა ერევნის ტელეკომუნიკაციების კვლევით ინსტიტუტს (YETRI), კომპანია „მარკელს“; ასევე ქართულ კომპანიებს „ნავთობქიმიასა“ და „ავიატექს“. ქართულ კომპანიებს სანქციები შეეხო კანონის დარღვევის მცდელობით „ალუმინის მიღების იმპორტისა მალაიზიიდან შემდგომ ირანში ექსპორტის მიზნით“. სომხურ კომპანიებს კი ბრალი დაედოთ მრეწველობისა და უსაფრთხოების ბი-

10/11/2020).

116 Jijelava, 'The Unfreezing of Iran: Economic Opportunities for Georgia,' 14.

უროს ლიცენზიის გარეშე ირანიდან საქონლის რეექსპორტით მიღება.<sup>117</sup> აშშ-ის მთავრობის სანქციები შეეხო ერევანში ბაზირებულ Flight Travel LLC-ს მისი თანამშრომლობისთვის ირანულ Mahan Air-თან. ამ უკანასკნელს სანქციები დაკისრებული აქვს 2011 წლიდან, რადგან სატრანსპორტო საშუალებები გამოყო ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის წარმომადგენელთა გადასაცემად და შეიარაღების გადასაზიდად სირიაში ასადის რეჟიმის დასახმარებლად.

2021 წლის დეკემბერში მსოფლიოს მასშტაბით აშშ-მა კიდევ 40 კომპანიას დაუწესა სანქციები ირანთან ურთიერთობის გამო. მათ შორის მოხვდა სამი საქართველოში დარეგისტრირებული კომპანია: Gensis Engineering, ROV Solutions და SAEROS Safety ERO Company. ამ კომპანიებს ბრალი დაედო, რომ მათი საშუალებით ხორციელდებოდა ან იყო ირანის თავდაცვის ძალებისთვის ამერიკული წარმოების ტექნიკის არალეგალური გზებით მიწოდების მცდელობა.<sup>118</sup>

ენერგომატარებლებთან დაკავშირებით, თუკი აზერბაიჯანის გაზის ექსპორტს არაფერი დაემუქრება, აშშ-ის მიერ ირანისთვის დაკისრებულ სანქციებს საქართველოს არავითარი ეფექტი არ ექნება. განსხვავებული ვითარებაა სომხეთთან დაკავშირებით: თუკი სანქციებმა ნაწილობრივ მაინც შეამცირა ირანიდან გაზის მიწოდება, სომხეთისთვის რთული პერიოდი დადგება, რამდენადაც გაზსადენის მფლობელი გაზპრომია. თუკი ვაშინგტონი აიძულებს სომხეთს უარი თქვას ირანულ გაზზე, ის მთლიანად რუსეთზე დამოკიდებული გახდება.<sup>119</sup>

მოსაზრება, რომ სამხრეთ კავკასიის ტერიტორია გამოყენებული იქნება ირანის ენერგომატარებლების ექსპორტისთვის და „საქართველოს გავლით ირანული გაზის ევროპაში ტრანსპორტირება, სატრანზიტო ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტიებსაც ზრდის“,<sup>120</sup> დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არარეალისტურია. საქართველოს ტერიტორიის გამოყენება ირანული გაზის ტრანზიტისთვის ეწინააღმდეგება როგორც რუსეთის, ისე შეერთებული შტატების ინტერესებს, თუმცა მიზეზები განსხვავებულია – რუსეთის უფრო ხის კონკურენციას ევროპის ბაზარზე, აშშ კი ბოიკოტის პოლიტიკას ატარებს ირანის მიმართ.<sup>121</sup>

საერთო ჯამში, როგორც შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობების, ისე სანქციების გამო, ირანს არ აქვს აქტიური ეკონომიკური თუ ფინანსური პოლიტიკის გატარების საშუალება სამხრეთ კავკასიაში. ვითარება შეიძლება შეიცვალოს ირანსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების დათბობის შემთხვევაში, როდესაც ირანს შესაძლებლობა მიეცემა მოსკოვისგან უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოოს რეგიონში.

117 Dominik Istrate, US imposes Sanctions on Armenian and Georgian Companies for Iran Links. (16/08/2019). <https://emerging-europe.com...> (წვდომა: 09/09/2020).

118 აშშ-მ სამ ქართულ კომპანიას სანქციები დაუწესა და ე.წ. შავ სიაში შეიყვანა. (16/12/2021). <https://tabula.ge...> (წვდომა: 18/12/2021)

119 უნდა აღნიშნოს, რომ აშშ-მა ირან-სომხეთის ენერგეტიკული თანამშრომლობის შეშფოთება გამოხატა ჯერ კიდევ 2007 წლის 15 ივნისს, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტმა სომხეთი გააფრთხილა, რომ შეიძლებოდა ქვეყანას შეხებოდა ირანისთვის დაწესებული სანქციები. Tatikian, 'How Do Energy Security and Euro-Atlantic Integration Correlate.'

120 ბალათურია, ირან-საქართველოს ურთიერთობები და ახალი გამოწვევები, 11.

121 Marcel de Haas (Editor) Andrej Tibold, Vincent Cillessen, Geo-strategy in the South Caucasus. Power Play and Energy Security of States and Organisations. (The Hague, Netherlands Institute of International Relations Clingendael, 11-2006). 26. <https://www.clingendael.org...pdf>.



## თავი VI

### კასპიის ზღვის საკითხი რეგიონულ და გლობალურ პოლიტიკაში

#### ბრძოლა კასპიის ზღვის გაყოფისთვის – ირანის წაგებული ომი?

კასპიის ზღვა ენერგომატარებლებით მდიდარ და ხმელეთით ჩაკეტილ 'ტბას' წარმოადგენს. დღეს კასპიის ზღვას ხუთი ქვეყანა ესაზღვრება – რუსეთი, აზერბაიჯანი, ირანი, ყაზახეთი და თურქმენეთი. თუმცა, XIX საუკუნიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე ზღვაზე გასასვლელი მხოლოდ ორ სახელმწიფოს – რუსეთს (შემდგომ საბჭოთა კავშირს) და ირანს ჰქონდათ. საბჭოთა პერიოდში მთელი კასპიის ზღვის სანაპირო, სამხრეთის მცირე ნაწილის გარდა, საბჭოთა კავშირს ეკუთვნოდა (ზღვის 85% მას ესაზღვრებოდა). შესაბამისად, სწორედ საბჭოთა კავშირი და ირანი იყოფდნენ (არათანაბრად) ამ ჩაკეტილ ზღვას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ეს გაყოფა კი დამოწმებული იყო რამდენიმე ხელშეკრულებით.

პირველი ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და სპარსეთს შორის ჯერ კიდევ 1921 წლის 26 თებერვალს დაიდო. ამ ხელშეკრულებით განისაზღვრა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ძირითადი პრინციპები. მე-11 მუხლის თანახმად, მყარდებოდა მხარეების თანასწორუფლებიანობა კასპიის ზღვაზე ნაოსნობასთან დაკავშირებით, ამასთანავე, ზღვა იკეტებოდა ნებისმიერი უცხოური გემისთვის. მხარეების იურიდიული შეთანხმების საფუძველზე, კასპიის ზღვას მიენიჭა ჩაკეტილი წყლის სივრცის სტატუსი. თუმცა, ამ ხელშეკრულებაში ლაპარაკი არ ყოფილა კასპიის ზღვის წყლების გაყოფაზე. 1940 წლის 25 მარტის ხელშეკრულებით დადასტურდა წინა ხელშეკრულების მე-11 მუხლი.<sup>1</sup>

1935 წლის ხელშეკრულებით ცხადდებოდა ორივე ქვეყნის თანასწორუფლებიანობა კასპიის ზღვაზე სავაჭრო გემების ზღვაოსნობისთვის. ორივე ქვეყანას სანაპიროდან 10 მილიან ზოლში ჰქონდა თევზჭერის უფლება. ყოველივე ეს პრაქტიკულად კიდევ ერთხელ ადგენდა კასპიის ზღვის ჩაკეტილ ხასიათს. ამ 10 მილიანი ზონის გარდა, სხვა არანაირი გამყოფი ხაზი არ ყოფილა განსაზღვრული. რეალურად, საბჭოთა კავშირი აკონტროლებდა ასტარა-გასან-კულის 342 კმ-იან მონაკვეთს, როგორც საკუთარ სახელმწიფო საზღვარს, რომლის მიღმაც ირანულ გემებს პრაქტიკულად არ შეეძლოთ გასვლა.<sup>2</sup>

1921 და 1940 წლების ხელშეკრულებები არ საზღვრავდა არც ზღვისა და არც ფსკერის სახელმწიფოებრივ სექტორებს და არც ენერგეტიკის საკითხებს ეხე-

1 1921 წლის ხელშეკრულებაში ირანის მიმართ დისკრიმინაციული პუნქტებიც იყო ჩადებული. მე-5 და მე-6 მუხლებით საბჭოთა რუსეთს ირანის საშინაო საქმეებში სამხედრო ჩარევის უფლება ეძლეოდა, თუკი ქვეყანა გამოყენებული იქნებოდა საბჭოთა რუსეთის მიმართ აგრესიის პლაცდარმად. იგივე განმეორდა 1940 წელს საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულებაში, რაც ამ უკანასკნელმა გამოიყენა 1941 წელს ირანში სამხედრო ინტერვენციის 'გასამართლებლად'. დაწვრილებით იხ. მაგ., С. А. Притчин, 'Сотрудничество России и Ирана в регионе Каспийского моря: новые тенденции и перспективы.' В сб. Российско-иранские отношения, 76.

2 Кулагина, Л.М. и Дунаева, Е.В. Россия и Иран: История формирования границ. (Москва: Гуманитарий, 2008), 93.

ბოდა, რამდენადაც იმ პერიოდში ჰიდროკარბონატების ოფშორული მოძიება და მოპოვება არ ხდებოდა. ლაპარაკი იყო თევზჭერასა და ზღვაოსნობაზე. 1940 წლის ხელშეკრულების მიხედვით, კასპიის ზღვა მხოლოდ ორ ქვეყანას ეკუთვნოდა, რაც კრძალავდა სხვა ქვეყნის დროშით გემების ნაოსნობას.<sup>3</sup> თუმცა, ექსპერტების ერთსულოვანი აზრის მიხედვით, ირანს რეალურად არ ჰქონდა ზღვაში სამხედრო გემების ჩაშვების უფლება და აქ მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჰყავდა სამხედრო ფლოტი. ამასთანავე, ირანი შემოფარგლული იყო ზღვის სამხრეთი ნაწილით.

აზერბაიჯანისა და ყაზახეთის საბჭოთა რესპუბლიკები მოიპოვებდნენ ნავთობს თავიანთ სანაპიროზე, მაგრამ ოფშორულ მოპოვებას იმ დროს არ ეწეოდნენ. ზღვაზე თევზჭერა, პირველ რიგში კი ხიზილალის მოპოვება, მთავარ აქტივობას წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირიც და ირანიც დიდ სარგებელს იღებდნენ ამისგან.

1960 წელს საბჭოთა კავშირის მრეწველობის სამინისტრომ კასპიის ზღვის ჩრდილოეთი ნაწილი მიმდებარე ოთხ რესპუბლიკას შორის გაყო. აღსანიშნავია, რომ ეს, აზერბაიჯანული მხარის დღევანდელი პოზიციის თანახმად, კასპიის ზღვის დე ფაქტო გაყოფას წარმოადგენდა და ირანს ამ აქტის წინააღმდეგ პროტესტი არ გამოუთქვამს. ირანი, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ ეს იყო ამ რესპუბლიკების შიდა მოხმარების სამსახურებრივი ბარათი და არა მრავალმხრივი შეთანხმება ზღვის საერთაშორისო დაყოფის შესახებ.<sup>4</sup>

სსრკ-ის დაშლის შემდეგ კი, უკვე ხუთი სახელმწიფო აღმოჩნდა კასპიის ზღვის მონაპირე. ამ პირობებში შეუძლებელი გახდა კასპიის ზღვაზე ირანისა და რუსეთის 'ძველი დუჟმირატის' შენარჩუნება. ახალ სახელმწიფოებს, ბუნებრივია, ურთიერთგანსხვავებული ხედვა ჰქონდათ ზღვისა და მისი რესურსების გაყოფის თაობაზე. შედეგად, კასპიის ზღვისა და მისი რესურსების გაყოფის საკითხი იურიდიული განზომილებიდან თანდათანობით პოლიტიკურში გადაიზარდა.

1990-იანი წლების მეორე ნახევარი გახდა ნავთობის, გაზის და ნავთობსადენების პოლიტიკის ერა. ამ მხრივ, სწორედ კასპიის ზღვამ მოიპოვა განსაკუთრებული სტატუსი. „დიდი თამაშის“ ანალოგია ფართოდ გამოიყენება იმ ვითარების დასახასიათებლად, რაც გულისხმობს მრავალი აქტორის ჩართულობას კასპიის ზღვის ენერგორესურსების მოპოვება-გადანაწილების პოლიტიკაში.<sup>5</sup>

კასპიის ზღვასთან დაკავშირებით სამართლებრივი დისპუტის მიღმა იკვეთება ძალაუფლებისთვის ბრძოლის კონტურები რეგიონში განსაკუთრებული ქვესისტემური სტრუქტურით, რომელიც ძალების მთელ იარაღებს გამოსახავს: ერთი ზედალა – რუსეთი, ერთი საშუალო ძალა – ირანი და სამი მეორადი ძალა – აზერბაიჯანი, ყაზახეთი და თურქმენეთი.

თავდაპირველად ირანში რატომღაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი მოლაპარაკებათა მაგიდასთან უნდა გადაწყვე-

3 Barbara Janusz, The Caspian Sea Legal Status and Regime Problems. (Chatham House, Russia and Eurasia Programme REP BP 05/02), (08-2005). <http://www.chathamhouse.org...> (წვდომა: 28/11/2019)

4 Farhad Atai, 'A look to the North. Opportunities and Challenges.' In: Homa Katouzian, & Hossein Shahidi (eds), Iran in the 21st Century. Politics, Economics and Conflict. (Routledge, 2008), 130.

5 Tuncay Babali, Caspian Energy Diplomacy, Since the End of the Cold-War. (Ankara: Harizan, 2006), 40.

ტილიყო მხოლოდ რუსეთთან – საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრესთან ერთად.<sup>6</sup> აქვე ხაზგასასმელია, რომ არცერთ კასპიისპირა სახელმწიფოს, რუსეთისა და ირანის გარდა, არ აქვს წვდომა ღია ზღვებზე. კასპიის ზღვა რუსეთსა და ირანს მეზობლებად აქცევს, მიუხედავად იმისა, რომ მათი სახმელეთო საზღვარი ასეულობით კილომეტრითაა დაშორებული.

საწყის ეტაპზე ირანი აგრძელებდა ზემოაღნიშნული 1921 და 1940 წლების ხელშეკრულებების მოხმობას, რომელთა თანახმადაც ზღვის რესურსები ორ ქვეყანას თანაბრად უნდა მოეხმარა. ირანი არავალიდურად თვლიდა და თვლის ნებისმიერ ცალმხრივ და ორმხრივ შეთანხმებას ზღვის გამოყენების შესახებ. შემდგომ ირანმა უფრო ‘დახვეწა’ მიდგომა და მისი ახალი პოზიციის თანახმად, ზღვა ან მონაპირე სახელმწიფოთა ერთობლივი საკუთრება უნდა გამხდარიყო, ანდა თითოეულ მათგანს ზღვის ზედაპირისა და მისი ფსკერის 20% რგებოდა.

1992 წლის თებერვალში თეირანი გამოვიდა „კასპიისპირა ქვეყნების თანამშრომლობის ორგანიზაციის“ შექმნის წინადადებით. ივარაუდებოდა, რომ ამ ორგანიზაციის ფარგლებში გადაწყდებოდა ეკოლოგიასთან, ვაჭრობასთან, ნავიგაციასა და თევზჭერასთან დაკავშირებული საკითხები. შეიქმნა ხელშეკრულების პროექტიც, რომლის თანახმადაც ენერგომატარებლებთან დაკავშირებით უნდა დადებულიყო ცალკე ხელშეკრულება. პროექტი ყველამ მოიწონა, გარდა აზერბაიჯანისა, რომელიც მაშინ ეჭვქვეშ აყენებდა ამგვარი ორგანიზაციის შექმნის მიზანშეწონილობას, სანამ არ გადაწყდებოდა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი. აზერბაიჯანს არსებული სტატუსის შენარჩუნების მიმართ მკვეთრად უარყოფითი პოზიცია ეკავა, რადგანაც მიიჩნევდა, რომ 1921 და 1940 წლების ხელშეკრულებები არ შეესაბამებოდა ახალ ობიექტურ რეალობებს; რაც მთავარია – ვერ წყვეტდა კასპიისპირა სახელმწიფოების საზღვაო საზღვრების დელიმიტაციის საკითხს, რის გარეშეც მონაპირე სახელმწიფოების თანამშრომლობა მეტად სათუო ხდებოდა. აზერბაიჯანის წარმომადგენელმა წამოაყენა იდეა თითოეული სახელმწიფოს სუვერენული უფლების შესახებ საკუთარი ნაწილზე, რაც პრაქტიკულად ნიშნავდა კასპიის ზღვაზე სახელმწიფოებრივი საზღვრების გავლებას.

რუსეთისა და ირანის პოზიცია თავდაპირველად თანმთხვევი იყო. ორივე ითხოვდა ზღვის თანაბრად დაყოფას – ანუ კონდომინიუმის პრინციპის<sup>7</sup> გამოყენებას. კონდომინიუმის რეჟიმის პირობებში, ხუთი მონაპირე ქვეყანას თანაბრად უნდა მოეპოვებინა და გაეყო კასპიის ენერგორესურსები და სხვა სიმდიდრეები. საკვანძოა, რომ რუსეთი და ირანი, რომელთაც დღეისათვის ცნობილი ყველაზე მცირე რეზერვები აქვს კასპიის ზღვაზე, ამ შემთხვევაში სარგებელს მიიღებდნენ აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და თურქმენეთის სანაპიროების სიახლოვეს არსებული საბადოებიდან რესურსების მოპოვებით და ასევე მიიღებდნენ ხმის უფლებას ნავთობისა და გაზის ძიება-მოპოვებაში უცხოური კომპანიების ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. საპირისპიროდ, კასპიის ზღვის ეროვნულ

6 Тер-Оганов, ‘Иран, проблема статуса Каспийского моря и энергоресурсы’ (21/02/2008). В сб., Иран под ядерной тенью, 27.

7 მდგომარეობა, როდესაც მრავალი ქვეყანა ერთობლივ სუვერენიტეტს ახორციელებს ფორმალური შეთანხმების საფუძველზე.

სექტორებად დაყოფის შემთხვევაში, ენერგორესურსების მოპოვება და ექსპორტი შესაბამისი სახელმწიფოების სუვერენული უფლება გახდებოდა.

ამგვარად, რუსეთიც და ირანიც ამტკიცებდნენ, რომ კასპიის ზღვა, რომელიც რეალურად ტბაა და არა ზღვა, არ უნდა იყოს 1984 წლის საზღვაო კონვენციის სუბიექტი. აქედან გამომდინარე, ისინი მიიჩნევდნენ, რომ არცერთ მონაპირე სახელმწიფოს არ შეეძლო მოეთხოვა ექსკლუზიური ეკონომიკური ზონები. სანაცვლოდ, ისინი მხარს უჭერდნენ ფსკერზე არსებული რესურსების ერთობლივ მოძიება-მოპოვებას. შესაბამისად, ირანი დიდი ხნის მანძილზე მოითხოვდა ზღვის მონაპირე ქვეყნების საერთო კონტროლისთვის დაქვემდებარებას ან ზღვის ზედაპირის ხუთ თანაბარ ნაწილად გაყოფას.

ამგვარი ლოგიკა შემდეგი სახის მოსაზრებას ეფუძნებოდა: საბჭოთა კავშირი და ირანი იყოფდნენ კასპიის ზღვას და ეს მიდგომა უნდა გავრცელდეს მემკვიდრე ქვეყნებზეც. სამართლებრივად უფრო გამართული მიდგომის თანახმად, კასპიის ზღვა უნდა განიხილებოდეს ტბად (წყლის ჩაკეტილ სივრცედ გაერო-ს ზღვის სამართლის ჩარჩოებში (UNCLOS). ამ შემთხვევაში რესურსები თანაბრად უნდა გაიყოს. აქედან გამომდინარე, ირანი (თავდაპირველად რუსეთიც) მხარს უჭერდა კონსორციუმის შექმნის მიდგომას ფსკერთან დაკავშირებით იმ იმედით, რომ ეს თანაბარ გადანაწილებას უზრუნველყოფდა შემოსავლების თვალსაზრისითაც.<sup>8</sup> ირანელი მეცნიერის, მ. მაჰდიანის შეხედულებით, ირანის მიერ კასპიის ზღვის 20%-ის (ანუ მეხუთედის) მოთხოვნა დღესაც კანონიერია, ვინაიდან სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს, რომ ყველა მონაპირე ქვეყანას ზღვის სიმდიდრეებით სარგებლობის თანაბარი უფლება ჰქონდეს.<sup>9</sup>

ირანის პოზიციას იზიარებდა თურქმენეთიც. ის, მაგალითად, მოითხოვდა, რომ აფშერონის ნახევარკუნძული, რომელზეც ბაქო მდებარეობს, არ უნდა ჩათვლილიყო ექსკლუზიური ეკონომიკური ზონების საზღვრების განხილვისას. ამ ვითარებაში, პროექტებისა და ხელშეკრულებების შემდგომი ბედი, რომელიც ხელს შეუწყობდა, პირველ რიგში, აზერბაიჯანის მიერ ნავთობის მოპოვება-გადამუშავებას, დიდად იქნებოდა დამოკიდებული მონაპირე სახელმწიფოებს შორის კონსენსუსის მიღწევაზე ზღვის სამართლებრივ სტატუსის შესახებ.

აზერბაიჯანი მხარს უჭერდა ოფშორული რესურსების გაყოფას საერთაშორისო საზღვაო სამართლის საფუძველზე, რომელიც ესადაგება მხოლოდ ღია ზღვებს და არა ისეთ ჩაკეტილ ზღვას, როგორც კასპიის ზღვაა. ეს დიდ სარგებელს მოუტანდა ქვეყანას – მისი სანაპირო ზოლიდან გამომდინარე, მას შეეძლო 80 000 კვ. კმ სექტორის ექსპლუატაცია. ამგვარად, ირანისა და აზერბაიჯანის დამოკიდებულება კასპიის ზღვის დაყოფასთან დაკავშირებით თავიდანვე შეუთავსებელი იყო.

აზერბაიჯანის ნავთობის და გაზის რეზერვების 90%-მდე ოფშორშია. ენერგომატარებლები ქვეყნის განვითარებისთვის და ზოგადად ქვეყნის არსებო-

8 Albert Bressand, 'Natural Resources Investment Relations and Regional Energy Strategies.' In: Fariz Ismailzade & Glen E. Howard (eds), *The South Caucasus 2021: Oil, Democracy and Geopolitics*. (Center for Strategic Studies, Baku; The Jamestown Foundation, Washington DC, 2012), 148. <https://jamestown.org...> (წვდომა: 25/03/2021).

9 Мохаммад Хасан Махдиян, *История межгосударственных отношений Ирана и России (XIX в. – начало XXI века)*. (Москва: Институт востоковедения РАН, 2014), 137.

ბისთვისაც საკვანძო მნიშვნელობისაა. ამ მიზეზით აზერბაიჯანი თავიდანვე კასპის მონაპირე ხუთი ქვეყნიდან ერთადერთი იყო, რომლის კონსტიტუციაშიც კი არის ჩაწერილი, რომ ის დაიცავს საკუთარ სუვერენობას ზღვის მის 'კუთვნილ' ნაწილზე.<sup>10</sup>

თავდაპირველად რუსეთი ცდილობდა წინ აღდგომოდა ზღვის დანაწილებას ნაციონალურ სექტორებად. 1994 წლის 5 ოქტომბერს (აზერბაიჯანის მიერ საერთაშორისო სანავთობო კონსორციუმის შექმნის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე – იხ. ქვემოთ), რუსეთმა გაერო-ში წარადგინა წერილი საკუთარი მოსაზრებებით კასპის ზღვის სტატუსთან დაკავშირებით, რომელშიც იყო გაფრთხილება, რომ „ნებისმიერი ცალმხრივი ქმედებები კასპის ზღვასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის მიერ აღიარებული იქნება უკანონოდ და ის იტოვებს უფლებას, როდესაც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის, განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება კასპის ზღვის დარღვეული სამართლებრივი სტატუსის და ამ ცალმხრივი მოქმედებების შედეგების გადასინჯვაზე.<sup>11</sup>

მაგრამ რუსეთმა თანდათანობით შეიცვალა პოზიციები და 1996 წელს აღიარა, რომ მონაპირე ქვეყნების იურისდიქცია ნავთობსაბადოების რესურსების მოძიება-მოპოვებაზე უნდა გავრცელებულიყო სანაპირო ზოლიდან 45 მილზე და ასევე ქვეყნების წერტილოვანი იურისდიქციაც ამ ზონის გარეთ მდებარე უკვე მოქმედ ნავთობსარეწებზე.

მკვლევრები მიდიან დასკვნამდე, რომ 1990-იანი წლების შუა ხანებიდან რუსეთის მიერ კასპის ზღვაზე პოზიციების თანდათანობით დათმობა განაპირობა პრაქტიკულმა მარცხმა მსხვილ დასავლურ კორპორაციებთან ბრძოლაში. რუსეთმა ვერ შეძლო მოეხდინა კასპის რესურსების დე-ფაქტო გაყოფის ბლოკირება.<sup>12</sup> რუსეთის მიერ თავდაპირველი პოზიციებიდან უკან დახევის მიზეზი გახდა სანავთობო კომპანიების მზარდი წნეხი, რომლებიც ცდილობდნენ კასპის ენერგომატარებლებზე წვდომა მოეპოვებინათ საერთაშორისო ხელშეკრულებებში მონაწილეობით.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ კონდომინიუმის თავდაპირველი პრინციპი უფრო მომგებიანი იყო რუსეთისთვის რეგიონში მისი როლისა და ინტერესების შენარჩუნების თვალსაზრისით. მაგრამ არათანმიმდევრულობის და საკმარისი დიპლომატიური ძალისხმევის განუხორციელებლობის გამო, მოსკოვმა ეს შესაძლებლობა დაკარგა. რუსეთი იძულებული გახდა ნაწილობრივ მაინც დაყოლოდა სხვა კასპისპირა ქვეყნების ნებას, რომლებმაც ზღვის გაყოფასთან დაკავშირებით საკუთარი პროექტები წამოაყენეს და დაიწყეს ბუნებრივი რესურსების აქტიური ათვისება.

1998 წელს თეირანმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ის თანხმდებოდა სექტორული დაყოფის პრინციპზე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შე-

10 Emmanuel Karagiannis, *Energy and Security in the Caucasus*. (Routledge Curzon, 2002), 15. აზერბაიჯანის ეკონომიკა დღეს პრაქტიკულად მთლიანად ენერგომატარებლებზე დამოკიდებული. აზერბაიჯანის ექსპორტის 90%-ს ნავთობი და გაზი შეადგენს.

11 Л.М. Кулагина и Е.В. Дунаева, *Россия и Иран: История формирования границ*. (Москва: Гуманитарий 2008), 111.

12 იქვე, 116.



ენებოდა როგორც წყლის ზედაპირს, ისე ფსკერს. „ირანი კვლავაც მოითხოვდა, რომ გაყოფა მომხდარიყო თანაბრად (ანუ თითოეულ მონაპირე ქვეყანას მიეღო ზედაპირისა და ფსკერის 20%)“.<sup>13</sup>

1998 წლისათვის რუსეთმა აღიარა ზღვის ფსკერის გაყოფა კასპიის ზღვის საკითხის გადაწყვეტის ამოსავალ პრინციპად, მაგრამ აგრძელებდა წყლისა და ზღვის ზედაპირის ერთობლივი მფლობელობის მხარდაჭერას. ყაზახეთმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა ეს სიტუაცია და მისთვის ხელსაყრელ ორმხრივ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი რუსეთთან იმავე წლის ივლისში.

ირანი და იმ ხანებში თურქმენეთიც ამგვარი მიდგომის წინააღმდეგი იყვნენ. აზერბაიჯანი კი კვლავ მოითხოვდა ზედაპირის გაყოფასაც, რადგანაც კარგად აცნობიერებდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა რუსეთის საზღვაო ძალების ზღვაზე დომინირების ლეგიტიმაცია. თუმცა, საბოლოო ჯამში, 2001 წლისთვის პრეზიდენტი ალიევი დათანხმდა მოსკოვის წინადადებაზე და 2002 წლის სექტემბერში ყაზახეთის მსგავსი ხელშეკრულება გააფორმა რუსეთთან.

რუსეთის მიერ პოზიციის შეცვლის, ასევე ყაზახეთთან და აზერბაიჯანთან ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ, გამოიკვეთა კასპიის ზღვის ჩრდილოეთი ნაწილის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები (თუმცა, გარკვეული საკითხები მაინც გადაუწყვეტელი დარჩა). 2003 წლის მაისის შეთანხმებით ზღვის ჩრდილოეთის 2/3 გაიყო სამ არათანაბარ ნაწილად, რის შედეგადაც ყაზახეთმა მიიღო 27%, რუსეთმა – 19% და აზერბაიჯანმა 18%. ეს შეთანხმებაც, ბუნებრივია, ირანისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. შეთანხმებებით მოხდა ფსკერის დემარკაცია საერთაშორისო სამართლის 'მოდულიზაცირებული მედიანური ხაზის' პრინციპის შესაბამისად.<sup>14</sup>

ირანი კვლავაც ემხრობოდა ზღვის თანაბარ დაყოფას. პრაქტიკულად, თეირანი უარყოფდა სტანდარტულ საერთაშორისო პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც საზღვაო საზღვრები დგინდებოდა ქვეყნის სანაპიროს ზოლის სიგრძის მიხედვით. სანაპიროს სიგრძე კი ყველა ქვეყანას სხვადასხვა ჰქონდა (ყაზახეთს – ყველაზე გრძელი, ირანს – ყველაზე მოკლე). ამ შემთხვევაში, ირანი სულ 13%-ს მიიღებდა, თუკი ზღვა დაიყოფოდა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ირანი კი ითხოვდა თანაბარ დაყოფას, ანუ 20%-ს. თვალსაჩინოებისთვის, საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების შემთხვევაში, არაზ-შარქ-ალოვის კომპლექსი, რომლის ნავთობის მარაგიც შეფასებულია 4 მლრდ ბარელად, ხვდება აზერბაიჯანის სექტორში, თეირანის დელიმიტაციის მეთოდის მიხედვით კი – ირანულ სექტორში.

ამ მოვლენებამდე კასპიის ზღვასთან დაკავშირებით კიდევ ერთი უთანხმოების წყარო გახდა აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის (AIOC)<sup>15</sup> შექმნა დასავლური კომპანიების მონაწილეობით. ამ ფაქტმა განსაკუთრებით გა-

13 K. Mehdiyoun, 'Ownership of Oil and Gas Resources in the Caspian Sea.' *The American Journal of International Law*, (2000), 94 (1), 184.

14 Robert M. Cutler, 'Azerbaijan's Place in Euro-Caspian Energy Security.' In *The South Caucasus 2021: Oil, Democracy and Geopolitics*, 120. მედიანური ხაზი – ხელოვნურად გავლებული ხაზების შეერთება გარკვეულ წერტილში, რომელიც თანაბრად დაშორებული სახელმწიფოთა სანაპიროებიდან.

15 ეს კონსორციუმი შეიქმნა 1995 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო სანავთობო კომპანიისა და საერთაშორისო კომპანიების მიერ ხელმოწერილი „აზერისა და

ალიზიანა რუსეთი. ამასთან დაკავშირებით ბაქოს სამართლებრივი არგუმენტი რუსეთის წინააღმდეგ შემდეგი სახის იყო: ირან-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებები ეხებოდა ნავიგაციას, თევზჭერას და სანაპირო დაცვას და არა საბადოების დამუშავების რეჟიმს. ამდენად AIOC-ის კონტრაქტი არ ეწინააღმდეგება არსებულ ხელშეკრულებებს, თუნდაც რომ მათ ჯერ კიდევ ძალა ჰქონდეთ.<sup>16</sup>

ამ შემთხვევაში ირანისა და აზერბაიჯანის ინტერესები გარკვეულწილად თანმიხმავი გამოდგა. ირანი თავდაპირველად AIOC-ის მონაწილე სახელმწიფო არ იყო. ის მაშინ მიიწვიეს, როდესაც აზერბაიჯანის სანავთობო კომპანია „სოკარმა“ აღმოაჩინა, რომ არ შეეძლო პირველი შენატანის, \$1.9 მლრდ-ს გადახდა. AIOC-ის არცერთ პარტნიორს არ შეუთავაზებია მისთვის დახმარება, რამაც გამოწვია ბაქოს მხრიდან სერიოზული დაფიქრება ირანის წინადადებაზე გადაეხადა შენატანი კონსორციუმში 5% წილის მიღების სანაცვლოდ. 1994 წლის ნოემბერში ხელი მოეწერა მემორანდუმს. ეს აზერბაიჯანს საშუალებას აძლევდა არამხოლოდ გადაეხადა შენატანი, არამედ თეირანიც მოეხიზლა შელფის ერთობლივი დამუშავების შეთანხმებით.

თუმცა, 1995 წლის 24 იანვარს აზერბაიჯანში აშშ-ის ელჩმა რიჩარდ კაუზლარიჩმა ალიევთან შეხვედრის დროს გამოხატა 'შეშფოთება ირანის მიერ მიღებული წილის გამო' კონტრაქტში. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვაშინგტონი კომპანიებს აიძულებდა დაეტოვებინათ კონსორციუმი, თუ ირანი დაიწყებდა იმავე შელფის თხრას. ამ წნეხის ქვეშ, 1995 წლის აპრილის დასაწყისში ბაქომ განაცხადა, რომ უარს ამბობდა თეირანთან თანამშრომლობაზე.<sup>17</sup>

აშშ-ის ზეწოლის შედეგად 1995 წლის მაისში ირანისთვის AIOC-ის წევრობაზე უარის თქმიდან ერთი თვის შემდეგ, ირანმა ელექტროენერჯის მიწოდება დროებით შეუწყვიტა ნახიჩევანს (თუმცა, შემდგომ ირანის ინტერესები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შაჰ დენიზის პროექტთან დაკავშირებით).<sup>18</sup> ს. კორნელი მიიჩნევს, რომ სწორედ ამ დროიდან შეიძლება ლაპარაკი 'თეირანი-მოსკოვი-ერევნის' ლერძზე, რამდენადაც ერთი თვის შემდეგ ირანმა გადაწყვიტა თავისი გაზისა და ნავთობის პოლიტიკის კოორდინაცია რუსეთთან: თეირანი თავდაპირველად დათანხმდა რა ოფშორულ ბურღვასა და პლატფორმების აგების სფეროში თანამშრომლობაზე კასპიის ზღვაში, შემდეგ კი გამოთქვა მზადყოფნა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის შესახებ მოსკოვთან მოლაპარაკებებისთვის (თუმცა, მოლაპარაკებებს დღემდე არ მოუტანია ხელშესახები შედეგი). თეირანის ახალი გეგმის მიხედვით, თითოეულ მონაპირე ქვეყანას უნდა ჰქონოდა ჰიდროკარბო-

ჩირალის საბადოების, ასევე გიუნეშლის ღრმაწყლოვანი საბადოს ერთობლივ დამუშავებასა და პროდუქციის გაყოფაზე შეთანხმების“ პირობების განსახორციელებლად.

16 'Statement by the Ministry of Foreign Affairs of the Azerbaijani Republic adopted on 10 December 1998.' In Letter of 11 December 1998 from the permanent representative of Azerbaijan to the UN addressed to the secretary – general, (14/12/1998). UN Doc A/53/741, p. 6, International Organisations and the Law of the Sea, (2000), vol. 14, 279–80.

17 Nazrin Mehdiyeva, Power Games in the Caucasus Azerbaijan's Foreign and Energy Policy towards the West, Russia and the Middle East. (Palgrave Macmillan, 2011), 216.

18 შაჰ დენიზის კონსორციუმში 10% ეკუთვნის 'ნავთირანის საერთაშორისო ვაჭრობის კომპანიას' (NICO), რომელიც წარმოადგენს 'ირანის ნაციონალური სანავთობო კომპანიის' (NIOC) შვილობილს. შაჰ დენიზზე კი არ ვრცელდება აშშ-ის და ევროკავშირის სანქციები ევროპის გაზომომარაგებისთვის მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ნატების მოპოვების ექსკლუზიური უფლება სანაპიროდან მხოლოდ 10 მილის (16 კმ) დაშორებით. ბუნებრივია, ეს წინადადება მიუღებელი აღმოჩნდა აზერბაიჯანისთვის, რადგანაც მისი ნავთობისა და გაზის რეზერვები ამ მანძილზე უფრო ღრმად იყო ზღვაში და, შესაბამისად, მონაპირე ქვეყნების ერთობლივ ექსპლოატაციას უნდა დაქვემდებარებოდა.<sup>19</sup>

თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთმა საბოლოოდ მიაღწია შეთანხმებებს ყაზახეთთან და აზერბაიჯანთან ზღვის სექტორალური დაყოფის შესახებ, ეს კი ნეგატიურად აისახა ირან-რუსეთის, ასევე ირანის სხვა მონაპირე ქვეყნებთან ურთიერთობებზე. რამდენადაც ირანი კვლავაც მხარს უჭერდა ფსკერის თანაბრად გაყოფას ხუთ მონაპირე ქვეყანას შორის, მან უარი თქვა ამ შეთანხმების კანონიერების აღიარებაზე. ირანი 2001 წლიდან შეეცადა საკუთარი 20%-ზე პრეტენზია პრაქტიკული ნაბიჯებით განემტკიცებინა, რამაც გამოიწვია იმავე წლის აგვისტოში ზემოთ უკვე განხილული ინციდენტი აზერბაიჯანის წყლებში.

სწორედ იმავე ხანებში, 2002 წლის მარტის დასაწყისში, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ რიჩარდ არმიტაჯმა და თეთრი სახლის სხვა ოფიციალურმა პირებმა გააფრთხილეს ირანი, რომ არ განხორციელებინა წნეხი კასპიის ზღვის მეზობლებზე იმგვარი პოლიტიკის გასატარებლად, რომელიც ეწინააღმდეგებოდა აშშ-ის პოლიტიკურ და კომერციულ ინტერესებს რეგიონში.<sup>20</sup>

თანდათანობით მოხდა თურქმენეთის დაყოლიებაც, რომელიც შეუერთდა დანარჩენ სამ სახელმწიფოს და ირანი სრულიად მარტო დარჩა. პერიოდულად ხდებოდა რუსეთ-ირანის დაახლოებაც (დიდწილად პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე). მაგალითად, 2009 წელს რუსეთმა და ირანმა ერთობლივი სამხედრო წვრთნა ჩაატარეს კასპიის ზღვაზე, რომელშიც დაახლოებით 30 ხომალდი მონაწილეობდა. ეს თითქოსდა სიგნალი იყო, რომ იწყებოდა ორი ქვეყნების პოზიციების შეჯერება კასპიის ზღვასთან დაკავშირებით. მაგრამ ამგვარმა ეპიზოდურმა 'დაახლოებებმა' მაინც ვერ გადაწყვიტა პრობლემები.

შექმნილ ვითარებაში ირანი შეეცადა გაეძლიერებინა საკუთარი პოზიციები სამხედრო ძალის დემონსტრირებითაც. ბუნებრივია, უკვე ლაპარაკი არ იყო ისეთი ინციდენტის განმეორებაზე, როგორც XXI საუკუნის დასაწყისში მოხდა, მაგრამ ირანმა 2010 წელს გამოაცხადა, რომ კასპიის ზღვაში ჩაუშვა ჯამარანის კლასის გემი (მცირე ზომის კორვეტი) – დაახლ. 1.400 ტონა წყალწვის. ეს კასპიის ზღვაზე ირანის ყველაზე დიდი გემია.<sup>21</sup>

საერთო ჯამში, უნდა გამოიყოს ირანში არსებული სამი მიდგომა კასპიის ზღვასთან დაკავშირებით. პირველ ჯგუფის წარმომადგენლებს შეიძლება ეწოდოთ მაქსიმალისტები. ისინი თვლიან, რომ ირანს აქვს ზღვის 50%-ის ფლობის უფლება. მეორე ჯგუფის მიდგომის იურიდიული არგუმენტი ეფუძნება სსრკ-ირა-

19 Cornell, 'Iran and the Caucasus.' Middle East Policy (January 1998), 5, no. 4, 60, 63.

20 Eva Raket, 'Paradigms of Iranian Policy in Central Eurasia and Beyond.' Perspectives on Global Development and Technology, (Leiden: Koninklijke Brill NV, 2003), vol. 2, issue 3-4, 556.

21 კასპიის ზღვაში ირანის სულ რამდენიმე საზღვაო კომპანია მოქმედებს. მათგან უდიდესია 'ზაზარი', რომლის ტვირთბრუნვამ 2014 წელს 1 მლნ ტონა შეადგინა. იხ. Stanislav Pritchkin, 'Transport Potential of the Caspian Sea: Prospects and Limitations, Caucasus International (Summer 2016), vol. 6, no: 1, Trans-Eurasian Transportation Networks, Transportation Politics and Economics in Eurasia, 119. <http://cij.az...pdf>

ნის 1921 წლის ხელშეკრულებას მეგობრობის შესახებ, ასევე სავაჭრო შეთანხმებას და ზღვის ზედაპირის 11,3%-ს მოიცავს, ეს შეესატყვისება მანძილს ირანის სანაპიროებს შორის, რამდენადაც ირანს უფრო მეტის ექსპლოატაცია არასოდეს მოუხდენია.<sup>22</sup> ამ 'დიპლომატიურ' პოზიციას მკაცრად აკრიტიკებდა რეფორმატორული პრესა და საბოლოოდ პარლამენტიც დათანხმდა 20%-ის მოთხოვნას.<sup>23</sup> მესამე ჯგუფი მიიჩნევს, რომ ოპტიმალური გადაწყვეტილებაა კონდომინიუმის რეჟიმის აღდგენა. გარკვეულწილად, ეს მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება ზღვის 20%-იან ზონებად დაყოფის მოსაზრებას. ამ პოზიციას ემხრობოდა საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ზარიფი, რომელიც მიიჩნევდა, რომ ირანი არასოდეს ფლობდა ზღვის 50%-ს, რაც წარმოუდგენელი იყო 1940 წელს არსებული ზღვაოსნობის პირობებისთვის და ასევე ეყრდნობა 1991 წლის ალმა-ათის დეკლარაციას, რომლის მიხედვითაც მოსაზღვრე ქვეყნებმა ვალდებულება აიღეს დაეცვათ საბჭოთა კავშირის მიერ აღებული იურიდიული ვალდებულებები. ამ შეთანხმებების მიხედვით კი, ზღვა გაყოფილი იყო ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის. ეს არგუმენტი თავისთავად სუსტია, რადგან ვალდებულებების დაცვა შეუძლებელია: 1940 წლისთვის ტექნიკურად შეუძლებელი იყო ოფშორული ჰიდროკარბონატების რესურსების ექსპლოატაცია.

2018 წელს თითქოსდა გარღვევა მოხდა ხუთივე მონაპირე სახელმწიფოს მიერ კონვენციის ხელმოწერით. ეს კონვენცია ითვალისწინებს ტერიტორიული წყლების განსაზღვრას, ანუ ადგენს საზღვაო სივრცეს, რომლებზეც ვრცელდება მონაპირე სახელმწიფოს სუვერენიტეტი. თითოეული ქვეყნის საზღვაო სუვერენიტეტის მაქსიმალური საზღვარი 15 საზღვაო მილია (27,8 კმ) ზღვის სიღრმეში, რასაც ემატება მიმდებარე 10 საზღვაო მილი (18,5 კმ) თევზჭერისთვის. ამასთანავე, კონვენცია არ აფიქსირებს ოფშორული ენერგომატარებლების ექსპლოატაციის წესებს, რაც უკვე შემუშავებულია ჩრდილო ნაწილისთვის, მაგრამ დაუდგენელია სამხრეთისთვის. კასპიის დანარჩენი ნაწილი საერთო სივრცედაა მიჩნეული.

მთავარი კითხვა — კასპია ზღვაა თუ ტბა, კვლავაც ნაწილობრივ პასუხგაუცემელია. მასზე პასუხის მოძიებაზეა დამოკიდებული კასპიის ზღვის რესურსების, ტერიტორიების და ფსკერის საბოლოო გაყოფა. 2018 წელს დადებული ხელშეკრულების ხელმომწერებმა ამჯობინეს, რომ ტექსტში ყოფილიყო არა „ზღვა“ და ან „ტბა“ (რომლებსაც სპეციალური სტატუსი აქვთ საერთაშორისო სამართალში), არამედ „წყლის სივრცე“<sup>24</sup> ირანი კი, როგორც ზემოთ გამოიკვეთა, თავდაპირველად მხარს უჭერდა ტბის სტატუსს, ანუ კასპიის ერთობლივ ფლობას.

ამ კონვენციის ხელმომწერი პრეზიდენტი რუჰანი მიიჩნევდა, რომ შეთანხმების თანახმად, ირანულ ხომალდებს მთელ კასპიის ზღვაში ეძლევათ თავისუფალი მიმოსვლის უფლება და ხელშეკრულების წყალობით, ისლამურ რესპუბლიკას შეეძლება საპორტო, ტურისტული და ეკონომიკური სტრუქტურების განვითარების საშუალება. თუმცა, შეთანხმებით, ირანის ოფიციალური პირების თვალთახედვიდან, არსებული პრობლემების მხოლოდ 30%-ის გადაწყვეტა მოხდა. სამიტის

22 <https://en.trend.az/azerbaijan/politics/1103963.html>

23 Therme, 'L'accord «historique» sur la mer Caspienne, symbole d'un recul iranien?' *Diplomatie* 96, Affaires stratégiques et relations internationales, (01-02-2019), 29.

24 იქვე.

ფარგლებში ირანის წარმომადგენლები ერთ-ერთ მთავარ მიღწევად ასევე მიიჩნევენ კასპიის ზღვაზე უცხო ქვეყნების სამხედრო ძალების შემოსვლის პრევენციას.<sup>25</sup>

ირანში საკმაოდ მძაფრი რეაქცია მოჰყვა პრეზიდენტის მიერ კონვენციის ხელმოწერას. 2018 წლის შეთანხმებაში ირანისთვის მიუღებელი მუხლების გამო, ირანელებმა სოციალურ მედიაში ხელისუფლება კასპიის ზღვის რუსეთისთვის მიყიდვაში დაადანაშაულეს.<sup>26</sup> შედეგად, ირანის პარლამენტს ჯერ კიდევ არ მოუხდენია კონვენციის რატიფიცირება და არც არის სავარაუდო, რომ უახლოეს ხანებში განახორციელებს ამას. სტ. პრიტჩინმა ინტერვიუში მართებულად აღნიშნა: „ჯერ არ ჩანს, რომ ირანი კასპიის ზღვის გაყოფის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე დათანხმდება და ამ მხრივ რუსეთი ზეგავლენას ვერ ახდენს.“<sup>27</sup>

კასპიის ზღვასთან დაკავშირებითაც ყველაზე მეტი პრობლემები ირანსა და აზერბაიჯანს შორისაა. ასევე ხაზგასასმელია, რომ ირანის დიდი ენერგომარაგები სპარსეთის ყურეში მას ათავისუფლებს კასპიის რესურსებზე დამოკიდებულებისგან და შესაძლებლობას უქმნის კასპიის საბადოები კოზირად ან ბერკეტად გამოიყენოს ბაქოსთან ნებისმიერი მოლაპარაკების თუ კონფრონტაციის დროს.<sup>28</sup> თეირანის პოზიციას ისიც აძლიერებს, რომ ირანი ჯერჯერობით ნახიჩევანისთვის გაზის უალტერნატივო მიმწოდებელია.

კასპიის ზღვის სამხრეთში არაზ-შარქ-ალოვის კომპლექსი, რომელზე პრეტენზიები ირანსაც აქვს, შეთანხმებისთვის სერიოზული წინაღობაა და ძიება-მოპოვების პროცესს დღევანდელ ვითარებაში შეუძლებელს ხდის. ორი ქვეყნის განსაკუთრებული უთანხმოების წყაროს წარმოადგენს ასევე გიუნეშლის ნავთობსაბადო.

აქვე ისიც ხაზგასასმელია, რომ კასპიის ზღვაზე ირანული სექტორის დიდი სიღრმე, რაც მსგავსია მექსიკის ყურესა და ჩრდილოეთის ზღვაში არსებულ სიტუაციასთან, ურთულეს ტექნიკურ პრობლემებს უქმნის ირანს; მოითხოვს სპეციალური ღრმაწყლოვანი ჭაბურღილების კონსტრუირებასა და ინსტალაციას. ამგვარ აღჭურვილობას დიდძალი კაპიტალი და ყველაზე წინწასული თანამედროვე ტექნოლოგიები სჭირდება. ეს კი სერიოზული პრობლემაა სანქციების ქვეშ მყოფი ირანის ეკონომიკისთვის. მსგავსი პრობლემა სამხრეთში, სპარსეთის ყურის სანაპიროზე არ არსებობს.<sup>29</sup> ამდენად, დღევანდელ ვითარებაში ირანს ხელშეკრულებით ‘გამოყოფილი’ სექტორის ათვისებაც კი არ შეუძლია. შესაბამისად, თუნდაც რომ სხვა მონაპირე ქვეყნები გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ, მოკლევადიან პერსპექტივაში ჰიდროკარბონატების მოპოვება-მოძიების პროცესში ირანის ჩართვა არარეალურია.

25 მირანდა ბაშელიშვილი, ‘კასპიის ზღვის სამიტი და ირანის ინტერესები.’ ელ-ჟურნალი თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი, 11, 48-50. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf>

26 ბაშელიშვილი, ‘სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობა თანამედროვე ირანისთვის – ირანელ მკვლევართა ნაშრომების მიხედვით.’ ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, XII, (თბილისი: ილიაუნის გამომცემლობა, 2020), 241.

27 ინტერვიუ სტ. პრიტჩინთან (17/12/2021).

28 Cornell, Azerbaijan since Independence. (M.E. Sharpe, Inc., 2011), 224.

29 Kaleji, ‘Four Obstacles to Iranian Oil and Gas Production in the Caspian Sea.’ Eurasia Daily Monitor, vol. 18, Issue 175. (17/11/2021). <https://jamestown.org...> (წვდომა: 25/11/2021).



აზერბაიჯანი, როგორც ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის მთავარი ექსპორტიორი, ასევე ირანული გაზის იმპორტიორი, რეალურად საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ქვეყანას არამარტო გრძელი სანმეღეთო და საზღვაო საზღვარი აქვს ირანთან, არამედ ასევე არაერთი დასამუშავებელი ნავთობისა და გაზის საბადო, რომლებიდანაც ჰიდროკარბონატების ამოქაჩვა, 2018 წლის მარტში ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, ირანთან ერთად უნდა განხორციელდეს. ამ მიმართულებით წინსვლის პერსპექტივები კი ჯერ საკმაოდ ბუნდოვანია. ნავთობისა და გაზის სხვა პროექტებზე აშშ-ის სანქციებს რეალური ზეგავლენა არ ექნება, როგორცაა მაგალითად აზერბაიჯანის გაზის მთავარი საბადო შაჰ დენიზი, რომლის მეწილე ირანიცაა. ვაშინგტონი ამ პროექტის წინააღმდეგ არ წასულა, რამდენადაც ის უნდა მოემსახუროს კარგა ხნის წინ დაგეგმილ, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ სამხრეთის გაზის დერეფანს. ამ დერეფნის მიზანი კი ევროპის დამოკიდებულების შემცირებაა რუსულ გაზზე,<sup>30</sup> რამაც დღეს განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ირანთან დაძაბულობის ესკალაციის პირობებში, 2021 წლის შემოდგომაზე (ომში გამარჯვების წლისთავზე) აზერბაიჯანმა და თურქეთმა ერთობლივი სამხედრო-საზღვაო წვრთნები ჩაატარეს კასპიის ზღვაზე. ამგვარი ქმედება კი პრინციპში ეწინააღმდეგება 2018 წლის მონაპირე ქვეყნების შეთანხმებას, რომელიც არ ითვალისწინებს რომელიმე გარე ქვეყნის სამხედრო ჩართულობას ზღვაზე.<sup>31</sup>

ამგვარად, კასპიის ზღვის დაყოფასთან დაკავშირებული პრობლემები კვლავაც მძაფრად დგას და 2018 წლის ხელშეკრულება არ იძლევა ქვეყნებს შორის დავის საბოლოოდ გადაწყვეტის საშუალებას. თუკი ადრე ირანის პოზიციას ნაწილობრივ მაინც იზიარებდნენ რუსეთი და თურქმენეთი, ამჟამად ოთხ ქვეყანას რეალურად უკვე ერთიანი ფრონტი აქვს შექმნილი ირანის წინააღმდეგ. ხაზგასასმელია, რომ ამ შემთხვევაშიც ირანისათვის არამომგებიანი ვითარების შექმნა ისე და ისე უკავშირდება ირანის გარიყულობას საერთაშორისო თანამეგობრობიდან და მის სუსტ პოზიციებს საერთაშორისო ასპარეზზე.<sup>32</sup>

30 Cyril Widdershoven, 'Southern Caucasus Stability and Energy Security.' In: Frederic Labarre & George Niculescu (eds.), South Caucasus: Leveraging Political Change in a Context of Strategic Volatility. (Vienna: Federal Ministry of Defence, 05-2019), 81-82.


31 Emil Avdaliani, 'Unhappy Iran Battles for Lost Influence in South Caucasus.' (14/10/2021) <https://cepa.org...> (წვდომა: 21/11/2021)

32 კასპიის ზღვის დაყოფის შესახებ ირანული მხარის მიერ მომზადებული დოკუმენტაცია, იხ.: <https://mfa.gov.ir/portal/newsview/31285...>

**ზღვა** ზღვის სამართლით, თითოეულ ქვეყნის ექსკლუზიური ეკონომიკური ზონა დგინდება სანაპიროს სიგრძის მიხედვით



**ტბა** მონაპირე ქვეყნებს აქვთ უფლება მოიპოვონ რესურსები საკუთარი სანაპიროდან 15 მილის მანძილზე, რასაც ემატება 10 მილი თევზჭერისთვის. დანარჩენი წყლის სივრცე საერთოა



### ენერგომატარებლების მარშრუტების გეოპოლიტიკა

სამხრეთ კავკასია არამხოლოდ სატრანსპორტო დერეფანია. რეგიონს ასევე უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ენერგომატარებლების ტრანსპორტირებისთვისაც. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში საქმე უპირველესად ეხება კასპიის ზღვის ჰიდროკარბონატებს.

მთავარი მწარმოებელ ქვეყნებს ღია ზღვაზე გასასვლელის არქონა რეგიონულ და საერთაშორისო კოოპერაციაზე დამოკიდებულად აქცევს იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომელთაც ზღვაზე გასასვლელი აქვთ. ამ თვალსაზრისით, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, აზერბაიჯანი და სომხეთი კონკურენციას ვერ უწევენ საქართველოს.

კასპიის სანავთობო ბუმის დაწყების შემდეგ გასული საუკუნის 90-იან წლებში, ბუნებრივია დადგა ნავთოსადენების მარშრუტის საკითხი. თითქოსდა, ამ თვალსაზრისით ირანს გამორჩეული როლი უნდა შეესრულებინა. ქვეყანა წარმოადგენს ხიდს მსოფლიოს ნავთობისა და გაზის ორ უდიდეს რეზერვუარს – სპარსეთის ყურესა და კასპიის ზღვას შორის. სპარსეთის ყურის 1000 კმ-იანი სანაპიროთი, ირანის ტერიტორია უმოკლესი და ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მომგებიანი გზა ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისთვის ცენტრალური აზია-კასპიის რეგიონიდან იაპონიისკენ და შორეული აღმოსავლეთისკენ. ირანის ნავთობსადენების ქსელი უკვე შეერთებულია აზერბაიჯანთან და თურქმენეთთან. ნავთობსა-

დენი, რომელსაც შეუძლია ყაზახეთი და თურქმენეთი დააკავშიროს ამ ქსელს, მინიმუმ ოთხჯერ უფრო მოკლე და იაფია, ვიდრე შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის ნავთობსადენები. ამგვარად, ენერგომატარებლების ტრანსპორტირებისთვის ყველაზე ლოგიკური იყო ირანზე გამავალი გზის არჩევა სპარსეთისა და ომანის ყურეებისკენ. ირანში არსებობდა გამართული სანავთობო ინფრასტრუქტურა, რომლის მისადაგებაც შეიძლებოდა ახალი გამოწვევებისთვის. დამატებით, შესაძლებელი იყო ნავთობის გაცვლაც, რაც მიღებულია პრაქტიკაა. ეს გააიფებდა ტრანსპორტირებას და გაზრდიდა უსაფრთხოებას: ირანს შეეძლო გამოიყენებინა კასპიის ნავთობი შინა ბაზარზე და გაეყიდა საკუთარი 'სამხრეთის ნავთობი' სპარსეთის ყურიდან კასპიისპირა ქვეყნებისთვის გაცვლის სახით. აზერბაიჯანიდან ან თურქმენეთიდან კასპიის ნავთობის მიწოდება ჩრდილო ირანისთვის უნდა მოხდარიყო ირანის ნედლი ნავთობის სპარსეთის ყურიდან ექსპორტის სანაცვლოდ. ოპეკ-ის არაწევრი ქვეყნების ნავთობზე წვდომის შესაძლებლობა ასევე გაზრდიდა ირანის მნიშვნელობას იმპორტზე დამოკიდებული ბაზრებისთვის, ისლამურ რესპუბლიკას კი უზრუნველყოფდა დამატებითი შემოსავლის წყაროებით ამერიკული წნეხისგან გვერდის ავლით.

ეკონომიკური მომგებიანობიდან გამომდინარე, ტრანსნაციონალური სანავთობო კომპანიები უპირობოდ ამჯობინებენ ენერგომატარებლებთან დაკავშირებული პრობლემათიკა წარმოადგინონ გეოეკონომიკურ და არა გეოპოლიტიკურ ჭრილში. აქედან გამომდინარე, ისინი წინ წამოწევენ ფასის ეფექტურობას ძალთა ბალანსთან შედარებით და უფრო მეტად ითვალისწინებენ ეკონომიკურ აქტორებს შორის ქიშპს, ვიდრე ზეგავლენის სფეროებისთვის ბრძოლას რუსეთს, ირანს, თურქეთსა და აშშ-ს შორის.<sup>33</sup> შესაბამისად, მსხვილი კომპანიები, რომლებსაც ინტერესები აქვთ რეგიონში, როგორებიცაა ExxonMobil და BP PLC, წლების მანძილზე უშედეგოდ ცდილობდნენ დაერწმუნებინათ აშშ-ის მთავრობა ირანიდან ევროპისკენ უფრო მოკლე და იაფი ნავთობსადენის გაყვანის მხარდაჭერაში.<sup>34</sup>

ამგვარად, წესით, ირანზე გამავალ ევროპულ მარშრუტს უპირატესობა უნდა მიანიჭებოდა, მაგრამ ისევ და ისევ პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება ირანისთვის საზიანო (საქართველოსთვის კი, სასიკეთო) აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, თურქეთი და აზერბაიჯანი უპირატესობას ირანის მარშრუტს ანიჭებდნენ. 1992 წლის 9 მარტს აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებით იგეგმებოდა ნავთობსადენების გაყვანა ბაქოდან ირანისა და ნახიჩევანის გავლით თურქულ პორტ იუმურთალიქამდე.<sup>35</sup> მაგრამ შემდეგ, როგორც დასავლეთის წნეხიდან, ისე წმინდა პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, თურქეთმა პოზიცია შეიცვალა და ანკარამ საქართველოზე გამავალ მარშრუტს დაუჭირა მხარი.

33 Tuncay Babali, *Caspian Energy Diplomacy, Since the End of the Cold-War*. (Ankara: Harizan, 2006), 8.

34 იქვე, 4.

35 Joseph Jofi, 'Pipeline diplomacy: The Clinton Administration's Fight for Baku-Ceyhan.' *WWS Case Study*, 1/99. (Princeton, Woodrow Wilson School of Public and International Affairs, 1999). <http://www.princeton.edu/...pdf>.

შტატებს უბრალოდ არ შეეძლო რუსეთისა და ირანისთვის კასპიის ენერგორესურსებზე დომინირების უფლება მიეცა, რასაც უზარმაზარი პოლიტიკური ზეგავლენის მოპოვების ფასი აქვს რეგიონზე და ევროპაზეც კი. ნავთობსადენის ირანის ტერიტორიაზე გაყვანა, მიუხედავად სანავთობო კომპანიების ზეწოლისა, არც ყოფილა სერიოზულად განხილული გამომდინარე აშშ-სა და ირანს შორის დაძაბული ურთიერთობებიდან.<sup>36</sup>

ნავთობსადენის თურქეთთან დაკავშირების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კიდევ ერთი არჩევანის გაკეთება გახდა საჭირო: რამდენადაც აზერბაიჯანს არ აქვს საზღვარი თურქეთთან, ნავთობსადენს ჯეიჰანამდე მისაღწევად უნდა გადაეკვეთა ან სომხეთი, ან ირანი, ანდა საქართველო. სომხური ვარიანტი საკმაოდ უცნაურად იყო წინწამოწეული და ზოგი მას 'მშვიდობის ნავთობსადენადაც' ნათლავდა იმ უსაფუძვლო იმედით, რომ ნავთობსადენი ორ მეტოქეს შორის არსებულ პრობლემებს აღმოფხვრიდა. ერთი მოსაზრების მიხედვით, აზერბაიჯანი რომ დათანხმებულიყო ნავთობსადენის გაყვანაზე სომხეთის, მთიანი ყარაბაღის, ნახიჩევანისა და თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გზით, ეს გახდებოდა მისაღები პირობებით მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დასრულების ერთადერთი შესაძლებლობა. არცერთი სხვა მარშრუტი არ მოუტანდა აზერბაიჯანსა და თურქეთს მსგავს სარგებელს. ეს იქნებოდა მართლაც მშვიდობის ნავთობსადენი. სხვა გზის არჩევის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კი, ეს შესაძლებლობა სამუდამოდ დაიკარგა.<sup>37</sup> თუმცა, ამ შეხედულების გაზიარება არ იქნება სწორი – აზერბაიჯანი ვერ აქცევდა (და ვერც აქცევს) საკუთარი ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთ გადაწყვეტ ფაქტორად სომხეთს.<sup>38</sup>

აზერბაიჯანიდან ხმელთაშუა ზღვისკენ ნავთობსადენისთვის უმოკლეს გზას მართლაც წარმოადგენდა სომხეთის ტერიტორია, მაგრამ ყარაბაღის გადაწყვეტელმა პრობლემამ ეს გზა განუხორციელებადი გახადა. ამას ერთვოდა აშშ-ის წინააღმდეგობა ირანის ტერიტორიაზე ნავთობსადენის გაყვანასთან დაკავშირებით. ამდენად, საქართველო ერთადერთ შესაძლებელ გზად დარჩა. თურქეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობიც სწორედ ნავთობსადენების პოლიტიკა გახდა.

უარი ითქვა რუსეთის მიმართულებაზეც – ამას ეწინააღმდეგებოდა დასავლეთი და საკუთრივ აზერბაიჯანიც არ იყო ამ მიმართულებით დაინტერესებული. დღევანდელი გადმოსახედიდან მკაფიოდ იკვეთება, რომ აზერბაიჯანის შემთხვევაში, საექსპორტო მიმართულებად რუსეთის და ირანის არჩევა შეუძლებელი იყო:

36 Frederick S. Starr & Svante E. Cornell, 'The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Oil Window to the West.' *Silk Road Studies* (2005). <http://www.silkroadstudies.org/resources/pdf/Monographs/...pdf>.

37 L. Maresca, 'A Peace Pipeline to End the Nagorno-Karabakh Conflict,' *Caspian Crossroads 1* (Winter 1995). ციტი. Emmanuel Karagiannis, *Energy and Security in the Caucasus* (Routledge Curzon, 2002), 42.

38 რიჩარდ კაუზლარიჩი, იმ დროს აშშ-ის ელჩი აზერბაიჯანში, 1995 წელს ხაზს უსვამდა: ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტის სამშვიდობო პროცესი შეინარჩუნებდა აქტუალობას მანამდე, სანამ იარსებებს შტატებისთვის უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები – კასპიის ზღვის ენერგომატარებლებზე კონტროლის დამყარება. ანკარა თავის დროზე დიდ წინააღმდეგობას არ უწევდა ამ შესაძლებლობას, თუმცა თურქეთის ენერგეტიკის მინისტრი აღნიშნავდა, რომ „ნავთობსადენმა შეიძლება გაიაროს სომხეთზე, მაგრამ საბოლოო სიტყვა აზერბაიჯანს ეკუთვნის.“ Mirzoyan, *Armenia, the Regional Powers, and the West*, 80.



ბაქო ამჟღავნებდა რესურსების ტრასპორტირების გზად არაექსპორტიორი ქვეყნების არჩევას, რომელთა კეთილგანწყობაც შეიძლება შემცირებულიყო, თუკი აზერბაიჯანი სხვა გზას აირჩევდა.<sup>39</sup>

ის, რომ საბოლოო ჯამში აზერბაიჯანის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა დასავლეთის მარშრუტს, შესაბამისად უარი თქვა რუსეთის და ირანის მარშრუტებზე და ოპერირების უფლება გადასცა დასავლურ გლობალურ ენერჯოკომპანიებს, მიუთითებს ქვეყნის სურვილზე შეენარჩუნებინა ენერგეტიკული ავტონომიურობა.

დღეს მოქმედი ნავთობსადენების მარშრუტებიდან ირანის ჩამოცილებამ მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანა საქართველოს. ჩვენს ქვეყანას დაეხმარა აშშ-ის მიერ ირანისათვის დაწესებული სანქციები და ამერიკული კომპანიების ჩართვა კასპიის პროექტებში. 1995 წელს კლინტონის ადმინისტრაციამ არაერთი ბრძანება გამოსცა ირანთან დაკავშირებით, მათ შორის იყო #12957, 1995 წლის მარტისა, რომელიც კრძალავდა აშშ-ის ინვესტიციებს ირანის ენერგეტიკულ სექტორში. ბრძანება #12959-ით 1995 წლის მაისში უკიდურესად შეიზღუდა აშშ-ის ვაჭრობა ირანთან. 1996 წელს კონგრესმა მიიღო ILSA – ‘ირან-ლიბიის აქტი’, რომელიც სანქციებს უწესებდა იმ ფირმებს, რომლებიც ბიზნესს აწარმოებდნენ ირანთან და ლიბიასთან. ILSA მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა კასპიის ზღვის ენერჯომატარებლების ტრანზიტის მომავლისთვის, რამდენადაც განუზოროციელებლად აქცია ნავთობსადენების გაყვანის პროექტები ბაქოდან ირანისკენ და სპარსეთის ყურისკენ.

ნავთობსადენების დიპლომატიას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ბაქოსთვის. აზერბაიჯანი, სხვებთან შედარებით, ნაკლებად მდიდარია ენერჯომატარებლების მარაგით, მაგრამ მას ხელს უწყობს სტრატეგიული ადგილმდებარეობა. ენერგეტიკა წამყვანი სფეროა არა მხოლოდ საშინაო ეკონომიკურ პოლიტიკაში, არამედ ბაქოს დიპლომატიის უმთავრესი ელემენტიცაა. ნავთობსადენები იქცა სტრატეგიულ ინფრასტრუქტურად, უმნიშვნელოვანესად არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ გეოპოლიტიკური თვალსაზრისითაც. ნავთობსადენებით აზერბაიჯანი უკავშირდება ევროპის ენერჯობაზრებს და ისინი სასიცოცხლო როლს ასრულებენ თურქეთთან და საქართველოსთან სტრატეგიული ურთიერთობების განვითარებაში.<sup>40</sup>

დისბალანსმა ირანის რეგიონულ მნიშვნელობასა და მისი ჩართულობის ნაკლებობაში აზერბაიჯანის სანავთობო მრეწველობაში, უეჭველად ხელი შეუწყო დაძაბულობის შენარჩუნებას და შემდგომ გაზრდას. ამგვარად შეიკრა ჩაკეტილი წრე, რომლის წყალობითაც თურქეთის მნიშვნელობა აზერბაიჯანის ენერგეტი-

39 Shaffer, ‘The Foreign Policies of Landlocked States.’ *Post – Soviet Affairs* (2011), vol. 27, no. 3, 256.

40 ზემოთ უკვე ითქვა, რომ თავდაპირველად ირანიც იყო კასპიის ზღვის ენერჯომატარებლებთან დაკავშირებული ‘საუკუნის კონტრაქტის’ (რომელიც ითვალისწინებდა როგორც მოპოვებას, ისე ტრანსპორტირებას) წევრი. თუმცა აშშ-ის ზეწოლით 1995 წლის აპრილში ირანს მონაწილეობაზე უარი უთხრეს. პარადოქსულია, რომ ირანის გაზის ექსპორტის ეროვნულ კომპანიას, 1994 ნოემბრის შეთანხმებით, უნდა მიეღო 5% საუკუნის კონტრაქტის წლიდან, ბევრად მეტი, ვიდრე თურქეთის ნავთობის სახელმწიფო კომპანიისთვის იყო განსაზღვრული – 1,75%. Ильхам Алиев, *Каспийская нефть Азербайджана*. (Москва: Известия, 2003), 182-183.



კისა და უსაფრთხოებისათვის დროთა განმავლობაში გარდაუვლად იზრდებოდა.

ამასთან ერთად, ჰეიდარ ალიევიმ ოსტატურად გამოიყენა ნავთობის კოზირი, რომ ანკარა შეეკავებინა ერევნისთვის კონცესიებისგან, დაპირდა რა თურქეთის წილის გაზრდას სანავთობო გარიგებაში, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება თურქეთში ადგილობრივი ბიზნესწრეების წინეს განიცდიდა. თურქი ბიზნესმენები სასაზღვრო ვაჭრობის განვითარებისა და სომხეთში ინვესტირების მოსურნენი იყვნენ.

ამერიკის ინტერესის ზრდა აზერბაიჯანის მიმართ ასახავს ვაშინგტონის ქმედებების ფუნდამენტურ მოტივებს რეგიონში – ნავთობზე წვდომის უზრუნველყოფა და ირანის შეკავება. ამ რეალობის წინაშე კი სომხური ლობი უძღურია.

კასპიისპირა ქვეყნების (ირანისა და რუსეთის გამოკლებით) და დასავლეთის, უპირველესად კი აშშ-ის ურთიერთობები მარტივ გათვლას ემყარება: „კასპიის ზღვის რეგიონს უკავშირდება [აშშ-ის და მისი მოკავშირეების] იმედი ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე სრული დამოკიდებულისგან განთავისუფლებისა.“<sup>41</sup> აშშ-ის მთავარი საზრუნავი იყო „კასპიის ზღვიდან ენერგომატარებლების სტაბილური და გარანტირებული მოწოდება, რაც შეამცირებდა ამერიკის მოწყვლადობას ენერგომატარებლების მოწოდებების შეფერხების მიმართ.“<sup>42</sup> ამდენად, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ნავთობის ეს ნაკადი არ წასულიყო სამხრეთით ჰორმუზის სრუტისკენ, რაც მარცხი იქნებოდა დივერსიფიკაციის ძალისხმევითვის. ამ შემთხვევაში ირანი კიდევ უფრო მყარ პოზიციებს მოიპოვებდა კასპია-სპარსეთის ყურის ენერგეტიკულ ზონაში – შეძლებდა სპარსეთის ყურისა და კასპიის ნავთობის ნაკადების ერთობლივ კონტროლს. ნაკადი არ უნდა წასულიყო არც ჩრდილოეთით – ეს გააძლიერებდა რუსეთის პოზიციებს. დასავლეთის მიმართულეა უალტერნატივო იყო.

ნავთობსადენი შეიძლება ჩაითვალოს აშშ-ის უმნიშვნელოვანეს იარაღად ევროპის რუსეთის რესურსებზე გადაჭარბებული დამოკიდებულების და ირანის ენერგომატარებლების თამაშში ჩართვის საპირწონედ.

ამგვარად, აშშ-ისთვის მრავალი ნავთობსადენის სტრატეგიის პოლიტიკური სარგებელი მოიცავს: რუსეთის მონოპოლიის შემცირებას საექპორტო გზებზე და, აქედან გამომდინარე, მისი ზეგავლენის შემცირებას ექპორტიორ/იმპორტიორ ქვეყნებზე, ასევე მისთვის ბაზრების კონტროლის საშუალების მოსპობას; ირანის ჩამოშორებას კასპიის ზღვასთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პროექტიდან.

1999 წლის აშშ-ის აბრეშუმის გზის სტრატეგიის აქტში მკაფიოდ არის ხაზგასმული, რომ „სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონს შეუძლია საკმარისი რაოდენობით ნავთობის და ბუნებრივი აირის წარმოება, რომ შეამციროს შეერთებული შტატების დამოკიდებულება არასტაბილური სპარსეთის ყურიდან ენერგომატარებლების იმპორტზე.“<sup>43</sup>

41 Amy Myers Jaffe & Robert A. Manning, “The Myth of the Caspian “Great Game”: The Real Geopolitics of Energy.” *Survival*, 40 (4), 1998–99, 112.

42 Ehteshami, *Globalization and Geopolitics in the Middle East. Old Games, New Rules.* (Routledge, 2007), 85.

43 Silk Road Strategy Act of 1999. [www.eso.org/gen-fac/pubs...](http://www.eso.org/gen-fac/pubs...) (წვდომა: 23/08/2019)

შპ3 დენიზის საბადოს აღმოჩენის შემდეგ, აზერბაიჯანმა თანდათანობით უკანა პლანზე გადასწია ირანი, როგორც ნაბუკოს ნავთობსადენის მთავარი მიმწოდებელი. ამასთანავე, პროექტი, რომელიც თავიდან ითვალისწინებდა ირანის დიდი ნავთობმარაგების ტრანსპორტირებას, ქალაქებზე დარჩა.

ირანის ხელისუფლება კასპიის პოლიტიკას მიიჩნევს საკვანძო ელემენტად შტატების შეკავებისთვის. მაგრამ ირანს დღემდე არ უკავია მნიშვნელოვანი მოთამაშის ადგილი ბუნებრივი აირის საერთაშორისო ბაზარზე და წარუმატებლობა განიცადა 'ნავთობსადენებისთვის ომში,' მიუხედავად იმისა, რომ სატრანზიტო თვალსაზრისით, მისი ტერიტორია ყველაზე რენტაბელური იყო.

აზერბაიჯანი და ირანი, ორმხრივი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაინც თანამშრომლობენ ენერგომატარებლებით ვაჭრობის სფეროში. 2011 წელს ირანის ნავთობის იმდროინდელი მინისტრის მირ ქაზემის ვიზიტისას ბაქოში ხელი მოეწერა შეთანხმება ბუნებრივი აირით ვაჭრობის შესახებ „სოკარსა“ და გაზის ექსპორტის ირანის ნაციონალურ კომპანიას შორის. შედგა საგზაო რუკა ენერგეტიკის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის თაობაზე. შეთანხმება ითვალისწინებდა 2011 წელს ირანის მიერ 1 მლრდ კუბ. მ. გაზის ექსპორტს არსებული გაზი-მაგომედ-ასტარას გაზსადენით და 2012 წელს 2 მლრდ-მდე კუბ. მ. მიწოდებას, ასევე გაზსადენის გამტარობის გაზრდას.<sup>44</sup> ეს გარკვეულწილად შეიძლება ჩაითვალოს ენერგეტიკული დიპლომატიის სამხრეთი განზომილების განვითარების დასტურად.

აზერბაიჯანი ამარაგებდა და დღესაც ამარაგებს ირანის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებს ნავთობპროდუქტებით. თუმცა, მიწოდება შემცირდა, რადგან ბაქოსთვის გასაღების ახალი ბაზრები გაჩნდა, განსაკუთრებით ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში.<sup>45</sup> თავის მხრივ, ირანს ჩრდილოეთი რეგიონების გაზით მომარაგების საკუთარი შესაძლებლობებიც გაეზარდა. ირანის ნავთოსარეწები ქვეყნის სამხრეთშია, მოხმარების უმეტესი ნაწილი კი ჩრდილოეთზე მოდის, კასპიის ზღვის სიახლოვეს. აქედან გამომდინარე, არსებობს ნავთობსადენების ქსელი, რომლითაც ნავთობი სამხრეთიდან ჩრდილოეთს მიეწოდება. გაზის გაზრდილი მოპოვების პირობებში, შედარებით მცირე დანახარჯებით, ირანს შეუძლია ნავთობის ტრანსპორტირება სამხრეთიდან ჩრდილოეთში.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აზერბაიჯანმა საკუთარი ენერგოპოლიტიკის გარკვეული კორექტირება მოახდინა ენერგომატარებლების გზების დივერსიფიკაციაზე ფოკუსირების ჩათვლით. ბაქომ ბუნებრივ აირთან დაკავშირებით რუსეთთან და ირანთან მოაწერა ხელი ხელშეკრულებას. ესეც ოფიციალური ბაქოს გენერალური სტრატეგიის ნაწილია – მსგავსი ხელშეკრულებები მისთვის რეგიონული ბალანსის დაცვას ემსახურება.<sup>46</sup> მრავალი დღის განმავლობაში, 2008 წლის აგვისტოში, კასპიის ნავთობის ერთადერთი გზა ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენი გახდა.

44 Therme, 'Le triangle géopolitique entre la Turquie, l'Iran et la Russie : entre ruptures et continuités.' In: Firouzeh Nahavandi (sous la dir. de), Turquie. Le déploiement stratégique. (Bruylant: Bruxelles, 2012), 252.

45 Esfahani, Iran's Foreign Policy in the South Caucasus, 169.

46 Zaur Shiriyev & Kornely Kakachia, Azerbaijani-Georgian Relations. The Foundations and Challenges of the Strategic Alliance. (Baku: Center for Strategic Studies, 2013). <https://www.researchgate.net...> (წვდომა: 14/06/2021).

2015 წელს ირანის ელჩმა აზერბაიჯანში, მოჰსენ ფაქინმა, საზოგადოებას ამცნო თავისი ქვეყნის ტრანსანატოლიური გაზსადენის პროექტში (TANAP) მონაწილეობის შესახებ, რომლითაც აზერბაიჯანული გაზი ევროპულ ბაზარზე უნდა შევიდეს.<sup>47</sup>

ტრანსკასპიური გაზსადენის ეს პროექტი ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია აზერბაიჯანისა და თურქეთისთვის. მაგრამ ირანი, ბუნებრივია, მხარს დაუჭერს ამ პროექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ გაზსადენით ირანული გაზიც წავა ევროკავშირისკენ. ირანმა წარმოადგინა ნავთობსადენის პროექტი – აზერბაიჯანიდან თავრიზამდე, 190 მილის სიგრძის, თავრიზში კი ის შეუერთდებოდა უკვე არსებულ ნავთობსადენს. ფრანგულმა TotalFinaElf ნავთობსადენის გაყვანის მზადყოფნა გამოთქვა ამ გეგმის ფარგლებში, რომლის გამტარობაც 200,000 – 400,000 ბარელი/დღეში იქნებოდა.<sup>48</sup> ელჩის განცხადება სანქციების მოხსნას დაემთხვა. მაგრამ სანქციების აღდგენის შემდეგ ამ პროექტში ირანის მონაწილეობის პერსპექტივა ისევ ბუნდოვანია.

სომხეთზე გამავალ გაზსადენზე დღეს პრაქტიკულად აღარ არის საუბარი. რუსეთიც და აშშ-ც ეწინააღმდეგებოდნენ სომხეთ-ირანის გაზსადენის ნაბუკო-ს ან ტრანსკასპიური გაზსადენების ნაწილად ქცევას, ოღონდ სხვადასხვა მიზეზებით, რაც ზემოთ უკვე განხილული იყო. იმავდროულად, თურქეთი და აზერბაიჯანი, მიუხედავად ზემონახსენები წინააღმდეგობისა, თავის დროზე ცდილობდნენ ირანის ჩართვას ნაბუკო-ს პროექტში. აზერბაიჯანის მხრიდან მსგავსი ინტერესი, ბუნებრივია, განპირობებული იყო სომხეთ-ირანის გაზსადენის ირანის გაზისთვის ალტერნატიულ გზად ქცევის შესაძლებლობის მოსპობის სურვილით.

მიუხედავად იმისა, რომ ირანი და რუსეთი ორი უმდიდრესი სახელმწიფოა ენერგორესურსების მარაგის თვალსაზრისით, მათ ჯერ კიდევ არ გადაუდგამთ ნაბიჯები ერთობლივი ინვესტირებისთვის ენერგომატარებლების დამუშავებისა და ტრანსპორტირების სფეროებში, ასევე გლობალურ ენერგეტიკულ ბაზარზე მყარი პარტნიორობის შექმნისთვის.<sup>49</sup> ამასთანავე, რუსეთმა ამ თვალსაზრისით არაერთი დაბრკოლება შეუქმნა ირანს (მაგალითად გამოდგება სომხეთის გაზსადენიც).

თუმცა, ამ კუთხით ორ ქვეყანას შორის არსებობს ინტერესთა თანმთხვევაც. 2016 წლის ბაქოს სამიტზე, როდესაც რუსეთის და ირანის პრეზიდენტები შეხვედნენ ერთმანეთს, ვ. პუტინმა ირანელ კოლეგას მოუწოდა უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და პოლიტიკის კოორდინაციისკენ სანავთობო და გაზის სექტორში. ეს უპირველესად შეეხებოდა არსებული მილსადენების ქსელის ერთად გამოყენებასა და კასპიის ენერგორესურსების ერთობლივ დამუშავებას. მან აქცენტი გააკეთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის გზით ირანის ჩრდილოეთი პროვინციების ბუნებრივი აირით მომარაგების შესაძლებლობაზე. სანაცვლოდ, რუსული კომპანიები ირანულ გაზს მიიღებდნენ სპარსეთის ყურიდან. ამგვარი პროექტის განხორციელება ირანს საშუალებას მისცემდა შეემცირებინა დამოკიდებულება თურ-

47 ემილ ა. სულეიმანოვი და იოზეფ კრაუსი, 'ქველი და ახალი ინტერესები. ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში.' (06/02/2018), <https://ge.boell.org/ka...> (წვდომა: 23/03/2020)

48 Babali, Caspian Energy Diplomacy, 112.

49 Mahmood Monshipouri, 'Pipeline Politics in Iran, Turkey, and the South Caucasus.' In Mehran Kamrava (ed.), *The Great Game in West Asia*. (Oxford University Press, 2015), 59.

ქმენეთზე, რომელიც მისი ჩრდილოეთის პროვინციებისთვის გაზის ერთადერთი მიმწოდებელი იყო. რუსებისთვის კი ეს გარანტია იქნებოდა, რომ ირანული გაზის ნაწილი მაინც არ მიაღწევდა ევროპას და სანაცვლოდ, რუსული კომპანიების მიერ გადანაწილდებოდა სხვა რეგიონებში. მაგრამ მალე ირანმა, საკუთარი შესაძლებლობების გაზრდის პირობებში, უარი თქვა თურქმენეთიდან გაზის მიღებაზე და ამ მხრივ რუსეთის წინადადება უკვე აღარ არის ირანისთვის მომხიბლავი. ირანი დღეს ნაკლებად არის დამოკიდებული გაზის იმპორტზე.

სამომავლოდ თეირანის გეგმავს მიყიდოს რუსეთს 500 მეგავატი ელექტროენერჯია აზერბაიჯანის გზით, ხოლო აზერბაიჯანთან ელექტროენერჯით ვაჭრობა 200-დან 600 მეგავატამდე გაზარდოს.<sup>50</sup>

ქართველი ექსპერტის ლ. ჯერვალიძის მოსაზრებით, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და თურქმენეთიდან ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში გაზის მიღების შემთხვევაში ირანი დაზოგავდა სამხრეთ-ჩრდილოეთის დამაკავშირებელი გაზსადენის აშენებისთვის საჭირო \$6 მლრდ-ს, ამ რეგიონში მოხმარებული გაზის ნაწილი კი საექსპორტოდ გამოუთავისუფლდებოდა ისე, რომ ენერჯეტიკის მარეგულირებელი შიდა კანონმდებლობის შეცვლა არ დასჭირდებოდა, რომელიც კრძალავს საერთაშორისო ნავთობკომპანიების მონაწილეობას ნავთობისა და გაზის მოპოვებაში.<sup>51</sup> თუმცა, დღეს ირანში არსებული ინფრასტრუქტურა უკვე იძლევა იმის საშუალებას, რომ ირანმა ხსენებულ რეგიონებს გაზი მიწოდოს.<sup>52</sup> შესაძლოა, ეს ეკონომიკური თვალსაზრისით შედარებით წამგებიანი იყოს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, პოლიტიკურად ირანისთვის მომგებიანი იქნება.

2015 წელს მიღებული „ბირთვული შეთანხმების“ შემდეგ გამოითქვა ვარაუდები, რომ ირანი აქტიურად ჩაებმებოდა ნავთობსადენების პოლიტიკაში.<sup>53</sup>

მართლაც, „5+1“ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, თურქეთის მთავრობამ გააძლიერა ძალისხმევა ირანთან შეთანხმების მისაღწევად ირანი-თურქეთი-ევროპა (ITE) გაზსადენის გაყვანისთვის. ამ ნავთობსადენის იდეამ პირველად გაიჟღერა 2008 წლის ნოემბერში ირანის ნავთობის მინისტრსა და თურქეთის ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრების მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში – ნახსენებია სატრანზიტო გზა გაზისთვის. ამ გაზსადენის საერთო სიგრძემ დაახლ. 5000 კმ უნდა შეადგინოს, აქედან კი დაახლოებით 1750 კმ თურქეთზე უნდა გავიდეს.<sup>54</sup> ბუნებრივია, „5+1“ ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ, ამ პროექტზე საუბარი შეწყდა. თუმცა, ახალი შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, არაა გამორიცხული ამ პროექტზე მსჯელობის განახლება განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც დასავლეთი დაჟინებით ცდილობს რუსეთის მიერ ევროპის გაზომომარაგებისთვის ალტერნატივის მოძიებას.

50 იქვე, 65.

51 ჯერვალიძე, 'სანქციების მოხსნა ირანისათვის,' 5.

52 საინტერესოა, რომ 2021 წლის 27 ნოემბერს ირანისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტების თანდასწრებით, ხელი მოეწერა ირანიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში თურქმენეთის გაზის ტრანსპორტირების სამხრეთ ხელშეკრულებას. <https://www.isna.ir...> (28/11/2021). (წვდომა 10/12/2021). თუმცა, ირანული სააგენტოს ამ ინფორმაციაში არ არის დაკონკრეტებული, თუ რა გზით უნდა მოხდეს მიწოდება.

53 Kazemzadeh, 'Iran and Energy Cooperation in the South Caucasus,' 5.

54 Monshipouri, 'Pipeline Politics in Iran, Turkey, and the South Caucasus,' 78.

დასკვნის სახით, შეძლება ითქვას, რომ ირანის მთავარი კოზირები – კასპიის ზღვისა და სპარსეთის ყურის დაკავშირების საშუალება, ასევე განვითარებული ინფრასტრუქტურა (პირველ რიგში, საქართველოსთან შედარებით), ასევე ყველაზე იაფი და მოკლე გზა ინდოეთისა და წყნარი ოკეანეებისკენ, უკანა პლანზე გადავიდა პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე. თუმცა, დღესაც შესაძლებელია ირანის ჩართვა ენერგომატარებლების სატრანზიტო ქსელებში გარკვეული განშტოებების გაყვანის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით, დასავლეთის მცდელობა რუსეთის გაზზე დამოკიდებულების შემცირებისა შეესატყვისება ირანის ინტერესებს. მაგრამ ამ მიმართულებით პროგრესის მიღწევისთვის აუცილებელია 2015 წლის შეთანხმების აღდგენა, რის საფუძველზეც ირანს სანქციები მოეხსნება და, რაც მთავარია, დასავლეთის მზადყოფნა ირანთან შეთანხმებიდან გამომდინარე, დაუპირისპირდეს რუსეთს, რომლის ინტერესებშიც არ შედის ენერგომატარებლების მსოფლიო ბაზარზე ირანის სრულფასოვანი დაბრუნება. ვფიქრობ, ირანმა ამ მიმართულებით მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს რუსეთის უკრაინაში აგრესიის შედეგად შექმნილი ვითარება.

კასპიის ზღვის ენერგომატარებლებისა და მათი ტრანსპორტირების მარშრუტებზე დაპირისპირებები მკაფიოდ აჩვენებს – მიუხედავად იმისა, რომ ნავთობ – და გაზსადენები ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდას და უზრუნველყოფს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას რეგიონში, ისინი ასევე ამძაფრებენ ქიშპს საკვანძო რეგიონულ აქტორებს შორის, როგორცაა ირანი, თურქეთი, რუსეთი, ერთი მხრივ, და ექსტრარეგიონული აქტორები – აშშ და ევროკავშირი, მეორე მხრივ.



## თავი VII

### ირანის „რბილი ძალა“ სამხრეთ კავკასიაში: რელიგია და კულტურა

ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძველი, საკუთრივ სახელწოდებიდან გამომდინარე, სწორედ რელიგიაა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ირანის კონსტიტუციაშიც ხაზგასმულია, რომ ისლამური რესპუბლიკა თავის მოვალეობად თვლის მთელს მსოფლიოში მუსლიმების დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიაში ირანის პოლიტიკა დიდწილად პრაგმატიზმზეა დაფუძნებული, იდეოლოგიურ/რელიგიურ ფაქტორს სულაც არ ენიჭება მეორეხარისხოვანი როლი. საგარეო პოლიტიკა, თეორიული თვალსაზრისით, ეფუძნება ისლამური (შიიტური) ფასეულობების მეტად თავისებურ ინტერპრეტაციას. რელიგიასთან ერთად, ყურადღება ექცევა სპარსული კულტურის პრომოციასაც, რომელსაც უზარმაზარი ზეგავლენა ჰქონდა ისტორიულად ქრისტიანულ საქართველოსა და სომხეთზე და დღესაც პოპულარულია. ამ კუთხით, სამხრეთ კავკასიაში ირანის პოლიტიკა, ‘რბილი ძალის’ სახით, თავსდება კონსტრუქტივისტული მიდგომის ჩარჩოებში. კულტურის პრომოციის თვალსაზრისით, ირანის მოქიშპის როლს თურქეთი ვერ ასრულებს (რომელზეც ისტორიულად ასევე დიდი იყო ირანული ზეგავლენა და არა პირიქით). ამასთანავე, რამდენადაც რელიგია, ერთი მხრივ, ირანული კულტურის ინტეგრალურ ნაწილს შეადგენს, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძველს წარმოადგენს, მეტად რთულია, ირანმა კულტურული აქტივობები განახორციელოს რელიგიის ჩართვის გარეშე.

ამგვარად, თითქოსდა ნაწილობრივ არაზუსტია შეხედულება, რომ ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში იდეოლოგიას არ ითვალისწინებს და მხოლოდ პრაგმატიზმზეა დამყარებული. მაგრამ საქმე ის არის, სამხრეთ კავკასიაში, ლიბანის, ერაყის თუ სირიისგან განსხვავებით, იდეოლოგიური თვალსაზრისით, ირანს არ აქვს არც საკმარისი ძალა და არც საკმარისი საყრდენი.

ბუნებრივია, რელიგიური პოლიტიკის უპირველესი სამიზნე მუსლიმური აზერბაიჯანია. თუმცა აქაც, როგორც სხვა შემთხვევებში, ირანს მეტად შეზღუდული შესაძლებლობები აქვს.

### აზერბაიჯანი – საერთო რელიგია, შეუთავსებელი რელიგიური პოლიტიკა

ირანული ‘რბილი ძალისთვის’ მასაზრდოებელ წყაროს აზერბაიჯანის შიიტური მემკვიდრეობა წარმოადგენს. შესაბამისად, რელიგიური ‘ერთიანობის’ საფუძველზე, საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ, თეორიულად ირანისთვის აქ მოქმედების ფართო ასპარეზი უნდა ყოფილიყო გაშლილი. მაგრამ რეალურად, ეს ასპარეზი უკიდურესად შეზღუდულია. ასევე აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი-ირანის ურთიერთობათა სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, საკმაოდ ბუნდოვანია საზღვრები ‘რბილ’ და ‘ძვირ’ ძალებს შორის.

აზერბაიჯანი ერთადერთი საბჭოთა რესპუბლიკაა, რომელშიც მუსლიმი შიიტები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. თუმცა, 1828 წელს აზერბაი-

ჯანსაღობით დასახლებული სამხრეთ კავკასიის ნაწილის რუსეთის იმპერიაში გაერთიანების შემდეგ, აქ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები ირანის აზერბაიჯანისგან სრულიად განსხვავებული გზით წარიმართა. რუსეთიდან და ევროპიდან ახალი იდეების გავრცელებამ თანდათანობით დააყენა რელიგიის როლი, საბჭოთა ათეისტურ სახელმწიფოში კი რელიგიისთვის მხოლოდ მცირე ასპარეზი თუ იყო დატოვებული. „მოსკოვის აგრესიულმა სეკულარიზაციის პოლიტიკამ შეასუსტა აზერბაიჯანელთა და სხვა მუსლიმ ხალხთა ბმა ისლამთან, განსაკუთრებით მის რელიგიურ ინსტიტუტებთან.“<sup>1</sup> მეორე მხრივ კი ხაზგასასმელია, რომ თუ საბჭოთა მმართველობის ათწლეულებმა უკიდურესად დააყენა ისლამის მნიშვნელობა კავკასიის აზერბაიჯანში, ირანელი აზერბაიჯანელები რეგიონში შიიტური რწმენის მძლავრ საყრდენს წარმოადგენდნენ.<sup>2</sup>

აზერბაიჯანელებმა (უფრო სწორად, თურქული მოდემის ხალხებმა) ირანის ისტორიაში შესაძლოა ნაკლებად დაფასებული, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. მაგალითისთვის, თუ თურქული მოდემის ყიზილბაშებს აზერბაიჯანელებად ჩავთვლით, ირანის შიიტიზაცია (ირანული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მარკერი) სწორედ აზერბაიჯანელთა დამსახურებაა.

გარდა იმისა, რომ აზერბაიჯანი ერთადერთი საბჭოთა რესპუბლიკაა, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა შიიტია, ის ასევე შედის იმ მცირე რაოდენობის სახელმწიფოთა რიცხვში შედის, სადაც შიიტთა მრავალრიცხოვანი თემები არსებობს. თუმცა, ქვეყანაში შიიტებსა და სუნიტებს შორის პროცენტული შეფარდების დადგენა, არაერთი მიზეზიდან გამომდინარე, საკმაოდ რთულია. ითვლებოდა, რომ აზერბაიჯანის მოქალაქეთა დაახლოებით 65% წარმომავლობით შიიტი იყო, ხოლო 35% – სუნიტი.<sup>3</sup> თუმცა, მიიჩნევა, რომ კვლევა ამ მიმართულებით საკმაოდ მოძველებულია და მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც გარკვეულ კითხვებს ბადებს. უეჭველია, რომ უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე სუნიტთა რიცხვი გაიზარდა – ბევრი წარმომავლობით შიიტი სუნიზმზე მოიქცა. ამასთანავე, საპირისპირო შემთხვევები უკიდურესად მცირეა, თუ საერთოდ არის.<sup>4</sup> სომეხი მკვლევრის, ვ. არაქელოვას აზრით, აზერბაიჯანი თურქეთის ზეგავლენით სუნიზმისკენ გადაიხარა.<sup>5</sup>

აზერბაიჯანის მოსახლეობაში საკმაოდ დიდია როგორც ათეისტთა, ისე იმ მუსლიმთა რიცხვი, რომლებიც საკუთარ თავს მუსლიმებად მიიჩნევენ სუნიზმთან თუ შიიზმთან იდენტიფიცირების გარეშე. 2011 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, აზერბაიჯანელთა 38.5% თავს შიიტად მიიჩნევდა, 14% – სუნიტად, 50% კი არ ახდენდა საკუთარი თავის ასოცირებას რომელიმე მიმდინარეობასთან.<sup>6</sup>

1 Shaffer, *Borders and Brethren, Iran and the Challenge of Azerbaijani Identity*, 64.

2 Vali Asr, *The Shia Revival. How Conflicts within Islam will shape the Future*. (New York-London: W.W. Norton & Company, 2007), 78.

3 Ариф Юнусов, *Ислам в Азербайджане*. (Баку: Заман, 2004), 303.

4 Altay Goyushov, *Islamic Revival in Azerbaijan. Current Trends in Islamist Ideology* (2008), no. 7. <https://www.hudson.org...> (წვდომა: 06/07/2021).

5 ინტერვიუ პროფ. ვიტტორია არაქელოვასთან (15/12/2021). პროფ. არაქელოვამ ასევე აღნიშნა, რომ თუ ადრე აზერბაიჯანელი მართლაც გამოირჩეოდა სეკულარული ცნობიერებით, დღეს ვართ ქვეყნის ლატენტური „სუნიტიზაციის“ მოწმენი.

6 Valiyev, 'Iranian Soft Power in Azerbaijan,' 88.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წელს აზერბაიჯანში ჩატარებული აშშ-ის დემოკრატიის ეროვნული ფონდის მიერ მხარდაჭერილი გამოკითხვის – „რელიგიური თავისუფლება აზერბაიჯანში 11 სექტემბრის შემდეგ“ შედეგები პრაქტიკულად შოკისმომგვრელი აღმოჩნდა აზერბაიჯანის სეკულარობიდან გამომდინარე. გამოკითხულთა თითქმის მეოთხედმა (23.2%) მხარი დაუჭირა „ქვეყნის მართვას შარიათის ნორმების მიხედვით. 28.9%-მა კი მისაღებად მიიჩნია საოჯახო ცხოვრებაში ისლამური ნორმების გამოყენება. 86.7%-მა განაცხადა, რომ მორწმუნე იყო (მათგან 93.3% – მუსლიმი).<sup>7</sup> ამგვარად, ერთმნიშვნელოვნად იმის მტკიცება, რომ აზერბაიჯანში რელიგია (თუნდაც ყოფით დონეზე) არანაირ როლს არ ასრულებს და აზერბაიჯანელთა იდენტობაში ისლამს მხოლოდ უმნიშვნელო ადგილი უკავია, გადაჭარბებული ჩანს და ეს საკითხი სათანადო სიღრმისეულ კვლევებს მოითხოვს, რაც ჯერ არ განხორციელებულა.

საერთო ჯამში, მანაც შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანში შიიტებსა და სუნიტებს შორის განსხვავებები არ არის ისე მკაფიოდ გამოკვეთილი, როგორც სხვა ქვეყნებში.<sup>8</sup> ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ რელიგიურ მიწერილობებს მოსახლეობის უმრავლესობა არ იცავს და იდენტობა უფრო კულტურისა და ეთნიკურობის გარშემო ყალიბდება. რ. მოტიკა სწორად შენიშნავს: „არ შეიძლება იმ ფაქტის იგნორირება, რომ ისლამური ტრადიციები და რწმენები ხშირად ყოველდღიური ცხოვრების ინტეგრალური ნაწილია, მაგრამ პირველ რიგში აღქმულია ეროვნულ და არა რელიგიურ ტრადიციებად.“<sup>9</sup> ამასთანავე, სასოფლო რეგიონებში (განსაკუთრებით ქვეყნის სამხრეთში) რელიგიური (შიიტური) პრაქტიკების დაცვა ბევრად უფრო მიღებულია, რაც დიდწილად ირანული ზეგავლენის შედეგია. ეს ზეგავლენა კი უპირველესად მომდინარეობს თავრიზსა და მის გარშემო კონცენტრირებული აზერბაიჯანული თემიდან.<sup>10</sup>

დამოუკიდებლობის პირველ წლებში, სახელმწიფოებრივი სტრუქტურების სისუსტისა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ზოგადი რელიგიური აღორძინების ფონზე, ირანს აზერბაიჯანში რელიგიური (ანუ, ისლამური რესპუბლიკის ფასეულობების) პროპაგანდისტის თითქოსდა ფართო ასპარეზი გაეშალა. თუმცა, რამდენიმე წელიწადში აშკარა გახდა, რომ აზერბაიჯანი ავტორიტარიზმზე დამყარებულ სეკულარულ საშინაო და პროთურქულ საგარეო კურსს ირჩევდა, რაც,

7 Fariz Ismailzade, 'New Survey in Azerbaijan Shows Rising Influence of Islam.' Eurasia Daily Monitor (23/02/2005), vol. 2 Issue 37. <https://jamestown.org...> (წვდომა: 15/07/2021)

8 2003 წელს აზერბაიჯანის მშვიდობისა და დემოკრატიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, მუსლიმური მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა შიიტებად და სუნიტებად გაყოფა. ა. იუნუსოვი გასაოცარ და მოულოდნელ ფაქტად მიიჩნევს, რომ დამატებით ინტერვიუებში დედაქალაქის და აფშერონის ნახევარკუნძულის მცხოვრებლებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, უარყოფითად შეაფასეს სეფიანი შაჰი ისმაილ I, რომელმაც მათი თვალთახედვიდან მუსლიმები გათიშა სუნიტებად და შიიტებად. Юнусов, Ислам в Азербайджане, 296. აზერბაიჯანში კი ოფიციალურ დონეზე არსებობს ისმაილ I-ის კულტი.

9 Raoul Motika, 'Islam in Post-Soviet Azerbaijan.' Archives des Sciences Sociales des Religions, (07-09/2001), #115, 111-124.

10 Fen Osler Hampson, The Caucasus and Its Neighborhood: A Region where Economics and Security Collide. Caucasus International (Spring 2012), vol.2, no.1, The Caucasus and its Neighbors: Towards the Future, 68. <http://cij.az/uploads...pdf>

ბუნებრივია, პრობლემებს უქმნიდა ირანს რელიგიური აქტივობების განხორციელების მიმართულებით.

ირანული რელიგიური პროპაგანდა განსაკუთრებით წარმატებული იყო ქვეყნის სამხრეთში, ირანული მოდემის თალიშებს შორის; თეირანი ასევე აქტიურ პროზელიტურ საქმიანობას ეწეოდა საზღვარზე განლაგებულ ყარაბაღიდან აზერბაიჯანულ დევნილთა ბანაკებში. ირანელი მოღვაწეები ქადაგებდნენ ელჩიბეის წინააღმდეგ ირანის მიერ სპონსორირებულ მეჩეთებში საზღვრის მახლობლად და ნარდარანში, აფშერონის ნახევარკუნძულზე.<sup>11</sup>

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ „რელიგიური იდენტიფიკაცია ხშირად შეესატყვისება რამდენიმე ოფიციალურ ან ნახევრადოფიციალურ ლიდერს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ აქვთ უნარი ილაპარაკონ რელიგიური თემის სახელით.“<sup>12</sup> ირანის კლერიკალური ისტებლიშმენტის დეკლარირებული მიზანია ყველა მუსლიმის დაცვა, განსაკუთრებით შიიტებისა, რათა წინ აღუდგეს თანამორწმუნე ძმების რეპრესიებს და იზრუნოს მათ ბედზე. შიიტური თემის დინამიური სეკულარიზაცია კი თეოკრატიული შიიტური სახელმწიფოს მეზობლად მნიშვნელოვანი ფაქტორია ორმხრივი ურთიერთობების დაძაბვისთვის.

ირანი საწყის წლებში შეეცადა რელიგიური ფაქტორი გამოეყენებინა აზერბაიჯანის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისთვისაც. შეიქმნა ირანის მიერ მხარდაჭერილი (და დაფინანსებული) „აზერბაიჯანის ისლამური პარტია“. თუმცა, აზერბაიჯანის ხელისუფლების პასუხი საკმაოდ ხისტი იყო და დაიწყო ამ პარტიის წევრების დევნა.

„აზერბაიჯანის ისლამური პარტია“ თავდაპირველად უმნიშვნელო მემარცხენე პარტია იყო. ის განსაკუთრებით გააქტიურდა 1990-იანი წლების შუა ხანებში, როდესაც თეირანის ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობდა. ისლამურ პარტიას სათავეში იდგნენ მხოლოდ და მხოლოდ საშუალო განათლების მქონე მოღვაწეები და პარტიაში ვერ შესძლო საკუთარ რიგებში მოეზიდა განათლებული ელიტა. პროპაგანდა ნაყოფიერი იყო მარტოოდენ სასოფლო რეგიონებში. პარტიის იდეოლოგია ემყარებოდა რწმენას, რომ მხოლოდ ისლამი უნდა გამხდარიყო დამოუკიდებელი აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძველი. პარტიის დოქტრინა ეფუძნებოდა ანტითურქიზმს, ანტისემიტიზმს და გაჯერებული იყო შეთქმულების თეორიებით.<sup>13</sup>

1995 წელს, პარტიის ლიდერების დაპატიმრების შემდეგ, რელიგიურ აქტივისტთა პოლიტიკური საქმიანობა თითქმის შეწყდა. თუმცა, პარტიის წევრები, ირანის წაქეზებით, მალე ისევ გააქტიურდნენ. ყველაზე თვალსაჩინოდ კი თეირანმა შიიტურ რადიკალიზმზე საკუთარი ზეგავლენა აჩვენა 2002 წელს ძალადობრივი შეტაკებების დროს სახელისუფლებო ძალებსა და ბაქოს გარეუბნის, ნარდარანის

11 Cornell, 'The Politization of Islam in Azerbaijan.' Silk Road Paper (10/2006), Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program.

<http://www.silkroadstudies.org/new/docs/Silkroadpapers/0610Azer.pdf>.

12 Buzan et al., Security: A New Framework for Analysis. (Boulder, CO: Lynne Rienner Publishers, 1997), 124.

13 Valiyev, 'Azerbaijan: Islam in a Post-Soviet Republic.' Middle East Review of International Affairs, (12-2005), vol. 9, no.1, 8.

მცხოვრებთა შორის. არეულობებმა ნარდარანში<sup>14</sup> მკაფიოდ წარმოაჩინა ირანი, როგორც ერთ-ერთი გარე აქტორებს შორის, რომელიც ცდილობდა აზერბაიჯანის პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენას ადგილობრივი ჯგუფების საშუალებით.

ნარდარანის ინციდენტის შემდეგ ისლამური პარტიის ლიდერი ჰაჯი ალიქრამ ალიევი დააპატიმრეს და პარტიას რეგისტრაცია გაუუქმეს. პარტიას რეალურად სისტემისთვის სერიოზული საფრთხე არ შეუქმნია და არ იყო რადიკალური ისლამისტური ძალების მთავარი მამოძრავებელი ქვეყანაში. 2005 წლამდე მას ალიანსი ჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, რომელიც მხარს უჭერდა ყოფილ პრეზიდენტს აიაზ მუთალიბოვს. თუმცა, ალიანსი მალე დაიშალა. პარტია რეგულარულად მონაწილეობს ბაქოს ოპოზიციურ აქტივობებში, მაგრამ სუსტი ქსელი აქვს დედაქალაქის გარეთ. პარტია ანტისემიტური განწყობებით გამოირჩევა. 2009 წელს პარტიის ლიდერი ჰაჯიაყა ნურიევი არაერთხელ გამოვიდა ანტიდასავლური მოწოდებებით, და ე.წ. 'კარიკატურების კრიზისის' გამო მოითხოვა დასავლური საქონლის ბოიკოტირება.

არ შეიძლება საუბარი ირანის უპირობო ზეგავლენის შესახებ მორწმუნე შიიტებზეც. მაგალითად, 2003 საპრეზიდენტო არჩევნების დროს შიიტური თემის ერთ-ერთმა აქტივისტმა ჰაჯი ილგარ იბრაჰიმოღლუმ ღიად დაუჭირა მხარი ისა გამბარს, ოპოზიციის ლიდერს. ამ მოვლენამ გამოაშკარავა შიიტურ თემში მიმდინარე წინააღმდეგობრივი პროცესები და აჩვენა, რომ ირანს არ ფლობდა საკმარის ბერკეტებს აზერბაიჯანის შიიტურ თემზე ზეგავლენის მოსახდენად. იმავდროულად, „ირანული ისლამის“ მხარდამჭერებს ჰქონდათ რელიგიური თემების ფართო ქსელი თითქმის ყველა რეგიონში და აქტიურად წინამძღოლობდნენ მათ რელიგიურ და საჯარო საქმიანობას. აზერბაიჯანში შიიტური მოძრაობის ორგანიზებისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ კონტრიბუციას ახორციელებდა ირანის კულტურული ცენტრი და იმამ ხომეინის დახმარების ფონდი.<sup>15</sup> 2001 წლისთვის ფონდს აზერბაიჯანის სხვადასხვა ადგილებში 415 ოფისი ჰქონდა. ის არიგებდა ჰუმანიტარულ დახმარებას, ლტოლვილებს უშენებდა სახლებს, აწესრიგებდა ინფრასტრუქტურას, არალეგალურად შემოჰქონდა ირანიდან რელიგიური ლიტერატურა. ირანელი მქადაგებლების მოღვაწეობისა და ირანული სკოლების ფუნქციონირების არეალი იყო (და დღესაც არის) სამხრეთ აზერბაიჯანი, სადაც თვალსაჩინოა რელიგიით მოტივირებული კონსერვატიზმის აღორძინება.

ნებისმიერი ისლამური აქტივობა ექვემდებარება მუსლიმურ სასულიერო საბჭოს.<sup>16</sup> 1995 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც აიკრძალა უცხოელი მისიონერების საქმიანობა და კანონის ძალა მიიღო მოთხოვნამ, რომ ადგილობრივი რელიგიური თემები უნდა დარეგისტრირებულიყვნენ, როგორც ტრადიციული რელიგიური ორგანიზაციებისადმი დაქვემდებარებულები. „მიზანი იყო პოლიტიკური ამოცანების განსახორციელებლად რელიგიის გამოყენების პრევენცია.“<sup>17</sup>

14 მლელვარებები ნარდარანში შემდგომშიც განმეორდა.

15 Elmir Guliyev, 'Religion in the Central Caucasus: Current State and Future Trends.' In: The South Caucasus 2021: Oil, Democracy and Geopolitics, 28-29.

16 Aras Bülent, Turkey and the Greater Middle East. (Istanbul: TASAM Publications 2004), 128.

17 Tadeusz Swietochowski, 'Azerbaijan: The Hidden Faces of Islam.' World Policy Journal, (Fall 2000), 74.



XX საუკუნის მიწურულს პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა ბევრი ირანელი მოლა გააძევა ქვეყნიდან. 2002 წელს აზერბაიჯანის ხელისუფლებამ დახურა მრავალი შიიტური მადრასა, რომლებშიც ხოტბას ასხამდნენ თეირანის თეოკრატიულ რეჟიმს, მაგრამ სავარაუდოდ კიდევ არაერთი სკოლა ამის შემდეგაც აგრძელებდა ფუნქციონირებას.<sup>18</sup>

საფრთხე, რომელსაც ქმნის ირანული სამღვდლოება, რომლის 'თეორიული' მიზანიცაა აზერბაიჯანის ქცევა ისლამურ სახელმწიფოდ, გამოიყენება აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრირების კონტროლის გასამართლებლად, რელიგიური ლიტერატურის იმპორტის შეზღუდვისთვის და რელიგიური ლიდერების გარიდებისთვის პოლიტიკური არენიდან.<sup>19</sup>

2010 წლის დეკემბერში ბაქოს განათლების დეპარტამენტმა აკრძალა გოგონების მიერ საშუალო სკოლებში ჰიჯაბის ტარება. არაერთმა კონსერვატორმა სასულიერო პირმა ირანში გაილაშქრა ამ აკრძალვის წინააღმდეგ, ამტკიცებდნენ რა, რომ აკრძალვა ეწინააღმდეგებოდა აზერბაიჯანის ისლამურ მემკვიდრეობას. იმ პერიოდში აზერბაიჯანის ისლამური პარტიის ლიდერმა მოვსუმ სამადოვმაც მკაცრად გააკრიტიკა აკრძალვა და ის საკუთარ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ პოსტებში მოუწოდებდა ალიევის რეჟიმის დამხობისკენ. ბაქომ თეირანს ბრალი დასდო ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევაში და ისლამური პარტიის რამდენიმე წევრი ისევ დააპატიმრეს.<sup>20</sup>

2010 წელს „ვიკილიქსიდან“ ცნობილი გახდა ალიევის შემფოთება ირანის მიერ სპონსორირებული რელიგიური ცერემონიების, განსაკუთრებით აშურას, გამო.<sup>21</sup> ამასთან დაკავშირებით დაწესდა მკაცრი შეზღუდვები, პირველ რიგში, ამგვარ რიტუალებში მონაწილეობის მონაწილეობის თაობაზე.

თეირანს არ შერჩა საშუალება შეექმნა დინამიური ისლამური ოპოზიცია აზერბაიჯანში, რომელიც შეძლებდა ნაციონალისტური იდეების დიფუზიისთვის ხელის შეშლას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა თურქეთთან და პროდასავლურ სექულარულ იდეოლოგიებთან დაახლოებას. იმავდროულად ირანელი მისიონერების ღია კლერიკალური რიტორიკა გარდაიქმნა კულტურათმორისი დიალოგის მოწოდებებად. მრავალი კულტურული და საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდებოდა ირანის კულტურის ცენტრისა და 'კერძო' ფონდების მიერ სპარსული ენის, სტუდენტების გაცვლის, ასევე ისლამური რესპუბლიკისა და მისი პოლიტიკური სტრუქტურების პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად.

ამასთანავე, 2012 წლიდან ურთიერთობების შედარებით გაუმჯობესების პირობებში, ორივე მხარე ცდილობს გვერდზე გადადოს რელიგიასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები. ამის მკაფიო მაგალითია 2015 წელს არეულობები რელიგიურად კონსერვატულ იმავე დაბა ნარდარანში, რასაც მოჰყვა აზერბაიჯანის

18 Arzu Geybullayeva, 'Is Azerbaijan Becoming a Hub of Radical Islam?' Turkish Policy Quarterly, (Spring 2007), 114. <http://www.turkishpolicy.com...pdf>

19 Aliaga Mammadli et al. (eds), Introduction: Deconstructing the 'Crossroads', In: "Azerbaijani" and Beyond. Perspectives on the Construction of National Identity, 19.

20 Shahin Abbasov, 'Azerbaijan: Hijab Ban in Schools Fuels Debate in Baku on Role of Islam.' (06/01/2011). <https://eurasianet.org...> (წვდომა: 16/07/2021).

21 'US embassy cables: Azerbaijan leader in the soup.' [www.theguardian.com...](http://www.theguardian.com...) (წვდომა: 22.11.2018).

სპეციალური ძალების ოპერაცია „მუსლიმთა ერთობის პარტიის“ ლიდერის დასაკავებლად, რომელსაც, არსებული ცნობების მიხედვით, ამ სოფელში ჰქონდა თავი შეფარებული. „მრავალი სეკულარულად განწყობილი და მედასავლეთე აზერბაიჯანელი ნარდარანს აღიქვამდა ირანული ზეგავლენის კერად. ‘ტროას ცხენად’<sup>22</sup> ოპერაცია, რომელიც ძალადობრივი მეთოდებით ჩატარდა და, სავარაუდოდ, ბევრმა მძიმე ფიზიკური დაზიანება მიიღო, ირანულმა მედიამ მკაცრად გააკრიტიკა, მაგრამ დიპლომატიურმა კორპუსმა უფრო ფრთხილი მიდგომა არჩია და საზოგადოება გააფრთხილა მორიდებოდნენ მათ დაჯერებას, ვისაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაფუჭების ბნელი ზრახვები ამოძრავებდა.<sup>23</sup> მეორე მხრივ, ბაქომ თავი შეიკავა გარე ძალების, ამ შემთხვევაში ირანის, დადანაშაულებსგან ნარდარანში არეულობების მოწყობაში. ეს კი წარსულში იშვიათი არ იყო.

აზერბაიჯანის ხელისუფლება, თავის მხრივ, აჩვენებს ისლამისადმი ერთგულებას ახალი მეჩეთების მშენებლობით და ისლამური ფასეულობებისადმი ერთგულების დემონსტრირებით. საინტერესოა, რომ ბაქოს ახალი, ულტრათანამედროვე მეჩეთი, რომელიც „ჰეიდარის (ალიევის) მეჩეთის“ სახელს ატარებს, ღიაა შიიტებისთვისაც და სუნიტებისთვისაც. ამგვარი ფორმით, აზერბაიჯანის ხელისუფლება ხაზს უსვამს ქვეყნის ისლამურ (და არა კონკრეტულად შიიტურ) მემკვიდრეობას. ყოფილმა პრეზიდენტმა, ასევე აზერბაიჯანის კომპარტიის ცკ-ს ყოფილმა პირველმა მდივანმა და საბჭოთა სუკ-ის გენერალმა ჰეიდარ ალიევმა მოიხილა მექა და შიიტთა წმინდა ქალაქი ირანში მამშადი. მექაში ჰაჯი მისმა ვაჟმაც განახორციელა. სახელმწიფოს მთავარი სასულიერო პირი, კავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარე შეიხ ულ-ისლამ ალაჰშუქურ ფაშაზადე, ორივე ალიევის ერთგული მოკავშირე იყო და არის.<sup>24</sup>

22 Souleimanov, ‘Azerbaijan, Islamism and Unrest in Nardaran.’ (2015). [www.cacianalyst.org...](http://www.cacianalyst.org...) (წვდომა 23.07.2020).

23 აღსანიშნავია, რომ ირანის აზერბაიჯანელი სასულიერო პირები მკაცრად აკრიტიკებდნენ აზერბაიჯანის ხელისუფლებას თვალსაჩინო შიიტი თეოლოგის, თალაჰ ბაგირზადეს დაპატიმრების გამო ბაქოში 2017 წელს და კონსერვატიულ შიიტურ ნარდარანში შინაგანი ჯარების მიერ მღვდვარების ჩახშობისთვის გამოყენებული ძალის გამო. ამის შემდგომ, ირანის აზერბაიჯანის შიიტური სამღვდლოება ყოველწლიურად აწყობს სამღვდლოიარო ცერემონიას, რომელიც ეძღვნება „ნარდარანის ჩაგრულთა მოწამეობას“. იხ. Gasimov, ‘Active but Inefficient: Iran’s Strategy Towards the Conflict in Nagorno-Karabakh’, 241.

24 აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ხელისუფლების მხარდამჭერმა ერთ-ერთმა აზერბაიჯანულმა საიტმა 2021 წლის ივლისში გამოაქვეყნა უკიდურესად კრიტიკული სტატია ალაჰშუქურ ფაშაზადეს შესახებ. სტატიაში ფაშაზადე პრაქტიკულად აზერბაიჯანის საწინააღმდეგოდ ირანის ინტერესების გამტარებლადაა წარმოდგენილი და „ირანელი მოღვაწის მარიონეტადაა“ მოხსენიებული. იხ. Как марионетка иранских мулл Аллахшукюр Пашазаде поддерживает Тегеран? (23/07/2021). <https://media.az/society...> (წვდომა: 26/07/2021). ამგვარი სტატია შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ გაფრთხილებად ფაშაზადეს მიმართ: მისი პოზიციები საკმაოდ მყიფეა და მის მიერ გადადგმული ნებისმიერი დამოუკიდებელი, ხელი-სუფლებასთან შეუთანხმებელი ნაბიჯი აუცილებლად გამოიწვევს მის მარგინალიზაციას. აქვე უპირაინა უფრო ადრინდელი მოვლენის გახსენებაც: 2003 წლის დასაწყისში, როდესაც ჰეიდარ ალიევის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და ქვეყანას საპრეზიდენტო არჩევნები ელოდა, ფაშაზადემ განაცხადა, რომ სასულიერო საბჭო უახლოეს ხანებში განიხილავდა პრეზიდენტობის კანდიდატად მის წარდგენას. ეს, პირველ რიგში, ფაშაზადეს მხრიდან საზოგადოებრივ განწყობებში გარკვევის სურვილი იყო და რადგან ამ ნაბიჯს მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, მსგავსი პრეტენზია შემდგომ აღარ გამოუთქვამს.

ირანული რბილი ძალის მნიშვნელობა შეიძლება გაიზარდოს იმ შემთხვევაში, თუკი შიიტური ისლამი გახდება მნიშვნელოვანი ფაქტორი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს კი, ამჟამინდელი რეალობიდან გამომდინარე, ნაკლებად მოსალოდნელია. აზერბაიჯანში რეალურად არ არსებობს დამოუკიდებელი და შესაბამისი განათლების მქონე (რაც შიიტურ იერარქიაში მაღალი რანგის მიღწევის აუცილებელი პირობაა) შიიტური სამღვდლოება. როგორც აღნიშნა, ბაქოში ფუნქციონირებადი კავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარე შეიხ ულ-ისლამის წოდებას ატარებს, რაც არ არის ყველაზე მაღალი შიიტური სასულიერო წოდება. საგულისხმოა, რომ „შეიხ ულ-ისლამი თავდაპირველად ირანის სულიერ ლიდერს, აიათოლა ხამენეის აღიარებდა მოძღვრად, მაგრამ 1998 წლიდან ცნობს დიდი აიათოლას, ალ-სისტანის სულიერ უზენაესობას.“<sup>25</sup> ეს უკანასკნელი ერაყში ცხოვრობს, გამოირჩევა ზომიერებით და არ არის ისლამის პოლიტიზაციის მომხრე.

ამგვარად, აზერბაიჯანის ისლამიზაციის პოტენციული მეტად მცირეა. ისლამი სუსტად არის ინსტიტუციონალიზებული და არ არსებობენ ლიდერები, რომლებიც შეიძლება სათავეში ჩაუდგნენ რელიგიური ლოზუნგებით ოპოზიციურ მოძრაობას ხისტად სეკულარული ავტორიტარული ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს კარგად აქვს გაცნობიერებული ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლებასაც. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ბაქო ცდილობს მჭიდროდ კავშირები ჰქონდეს მთლიანად მუსლიმურ სამყაროსთან. მაგალითისთვის, 2017 წელს ბაქომ უმასპინძლა ისლამური სოლიდარობის თამაშებს, რაც მეტყველებს, რომ აზერბაიჯანს სურს ისლამურ სამყაროშიც მყარად იყოს ინტეგრირებული.

### **საქართველო – შესაძლებლობები და წინაღობები რელიგიურ-კულტურული აქტივობებისთვის**

საქართველო-ირანის ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი ასპექტია ირანელთა კულტურული და რელიგიური აქტივობები ჩვენს ქვეყანაში. გასული საუკუნის 90-იან წლებში მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სფეროებში აქტივობებს ძირითადად ირანის საელჩო ახორციელებდა, რომელიც საქართველოს იმ სასწავლებლებს, სადაც ირანისტიკასთან დაკავშირებული დარგები ისწავლებოდა (სპარსული ენა და ლიტერატურა, ირანის ისტორია) დახმარებას უწევდა. საელჩოს ხელშეწყობით გაიხსნა ე.წ. „ირანული კაბინეტები“, ასევე საქართველოს მუსლიმებით დასახლებულ რეგიონებში რელიგიური ცენტრები – მაგალითად დიდი აიათოლა სისტანის ფონდის „ალ ულ-ბეითის“ წარმომადგენლობა 2001 წელს თბილისში. 2011 წლიდან ფუნქციონირებდა ყუმის „ალ-მუსტაფას უნივერსიტეტის“ ფილიალი. აქ არსებობდა თეოლოგიის უფასო ხუთწლიანი პროგრამა ყველა სტუდენტისთვის საცხოვრებლის უზრუნველყოფით. სწავლა აზერბაიჯანულად მიმდინარეობდა, მაგრამ ასევე ისწავლებოდა სპარსული ენა. ხუთწლიანი სწავლის დასრულების შემდეგ, არსებობდა ირანის 'რელიგიურ დედაქალაქში' – ყუმში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. მაგრამ ეს სასწავლებელი არ იყო აკრედიტებული

25 Valiyev, 'Iranian Soft Power in Azerbaijan,' 90.

საქართველოს საგანმათლებლო სტრუქტურების მიერ და შესაბამისად, სახელმწიფო არ აღიარებდა მის მიერ გაცემულ დიპლომს.<sup>26</sup> უნივერსიტეტის მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა რელიგიური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა. უნივერსიტეტი თანამშრომლობდა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან და საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტთან. რაც შეეხება ირანელი სტუდენტების სწავლას საქართველოში, ჩვენი ქვეყანა ირანელთათვის ამ თვალსაზრისითაც მიმზიდველია. 2020 წლისთვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 900-1000 ირანელი სტუდენტი სწავლობდა. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს ქართული უნივერსიტეტების მიერ გაცემული დიპლომების აღიარების პრობლემა ირანში. ამ მიმართულებით სასურველია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გააქტიუროს მუშაობა.

აღმოსავლეთ საქართველოში მუსლიმთა ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს აზერბაიჯანელები შეადგენენ. აქ მეტოქეობა თურქულ და ირანულ ორგანიზაციებს შორის მეტად თვალსაჩინოა. დაბალი რელიგიური განათლების გამო, ზოგჯერ მუსლიმებს სუნიტური და შიიტური მრწამსის გარჩევაც კი უჭირთ. თურქული და ირანული 'საქველმოქმედო' ორგანიზაციები ცდილობენ მათ 'მოქცევას' საკუთარ 'რწმენაზე'. უახლეს პერიოდში სალაფიტური ისლამის პროპაგანდისტთა გააქტიურებამაც გარკვეული პრობლემები შეუქმნა თურქულ და ირანულ ორგანიზაციებს.

ლოგიკურად, შიიტური მრწამსი ირანისა და აზერბაიჯანის დაახლოებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა ყოფილიყო. თუმცა რეალურად, ეს მათ შორის გაუცხოების წყაროდ იქცა, რადგან აზერბაიჯანის სეკულარული ხელისუფლება უფრო ხის ირანის ზეგავლენის ზრდას შიიტურ მოსახლეობაში. საქართველოში ამგვარი წინააღმდეგობები ნაკლებად თვალსაჩინოა და შესაბამისად, ირანელთათვის მეტი შესაძლებლობები არსებობს ისლამის ირანული ვერსიის (ანუ ისლამური რესპუბლიკის ფასეულობების) პროპაგანდისათვის. აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის ჩათვლით) ფუნქციონირებს ორი ძირითადი ირანული ფონდი: შიიტურ სამყაროს დიდი აიათოლა ალ-სისტანის (რომელიც ერაყში ცხოვრობს, მაგრამ დაფინანსება ხდება ირანიდან) ზემოთნახსენები ფონდი „ალ ულ-ბეითი“ და ისლამური რესპუბლიკის უზენაესი ლიდერის ალი ხამენეის ფონდი „აჰლ-ე ბეითი“. შიიტური მადრასეები და მეჩეთები არსებობს აღმოსავლეთ საქართველოს აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებსა და ქალაქებში ამ ფონდების ფინანსური დახმარების წყალობით. მაგ., აჰლ-ე ბეითი ეხმარება მადრასეებს რელიგიური ლიტერატურით და ასევე ფინანსები გამოყო მარნეულის მეჩეთის განახლებისთვის. ბუნებრივია, უმაღლესი ისლამური რელიგიური განათლების მიღება საქართველოში შეუძლებელია. ამ სიცარიელის ამოვსებას ცდილობს ირანი და ზოგჯერ აფინანსებს შიიტი აზერბაიჯანელი ახალგაზრდების სწავლას ირანულ რელიგიურ სასწავლებლებში. „აღსანიშნავია, რომ ირანი ცდილობდა ახალგაზრდა აზერბაიჯანელი შიიტი სასულიერო პირებისთვის ყუმში მიეცა განათლება და ეს იყო თეირანის მხრიდან გათვლა გრძელვადიანი სარგებლის მიღებაზე.“<sup>27</sup>

26 Gabedava & Turmanidze, 'Iran's Soft Power Policy in Georgia,' 75.

27 ბაშელეიშვილი, 'რბილი ძალის როლი ირანის რეგიონულ პოლიტიკაში.' ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, XIII, (თბილისი: ილიუნის გამომცემლობა, 2021), 383..

ირანის რელიგიური აქტივობები, განსაკუთრებით აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქვემო ქართლში, თბილისის შეშფოთების საფუძველს ქმნის.<sup>28</sup> მადრასეები, საგანმანათლებლო ცენტრები, ჟურნალები და სხვა ბეჭდვითი მასალები, რომლებსაც ირანელი მისიონერები ავრცელებენ, ქართველების კრიტიკას იწვევს.<sup>29</sup>

ირანის სამედიცინო ინდუსტრიას, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგი რეპუტაცია აქვს ქვემო ქართლში. გამოკითხულთა თანახმად, მათი ვიზიტები ირანში ნაწილობრივ მაინც დაფინანსებული იყო ირანული მხარის მიერ.<sup>30</sup>

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ეთნიკურ აზერბაიჯანელთა რელიგიურობა ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე საქართველოს დანარჩენი მოსახლეობის – უკანასკნელი გამოკითხვის მიხედვით, მათი მხოლოდ 10% ესწრება ღვთისმსახურებას მინიმუმ თვეში ერთხელ. დანარჩენ მოსახლეობაში ამგვარ მორწმუნეთა წილი 36%-ს შეადგენს. აზერბაიჯანელთა 68% აცხადებს, რომ რელიგიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. დანარჩენი მოსახლეობისთვის ეს მაჩვენებელი 82%-ს აღწევს.<sup>31</sup>

მიუხედავად აზერბაიჯანული თემის ლიდერთა გახსნილობისა ირანის მიმართ, ზოგადად მოსახლეობა ირანისადმი დიდ დაინტერესებას არ იჩენს. გამოკითხვის თანახმად, ირანის ზეგავლენა რეგიონში უმნიშვნელოა. გამოკითხულთა უმრავლესობა ამჯობინებს, რომ არ შეიძინოს ირანული პროდუქტები და ირანში განათლების მიღების მსურველთა რიცხვიც მეტად მცირეა.<sup>32</sup>

საერთო ჯამში, საქართველო-ირანის ურთიერთობებში რელიგია გარკვეულ, თუმცა მეტად მცირე როლს თამაშს. 'რბილი ძალის' სახით ირანითვის ბევრად უფრო მომგებიანია ირანული კულტურის პროპაგანდა, რისთვისაც, მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობებიდან და სპარსული კულტურის პოპულარიზაციიდან გამომდინარე, სასურველი გარემო არსებობს.

## სომხეთი – ჰარმონია ქრისტიანულ და ისლამურ ქვეყნებს შორის

რამდენადაც მუსლიმების რიცხვი სომხეთში უკიდურესად მცირეა, აქ ირანის მთავარი მიზანია სპარსული კულტურის პოპულარიზაცია და 'რბილი ძალის' სახით გამოყენება. ვითარება ამ თვალსაზრისით საქართველოს ანალოგიურია. ამასთანავე, ორ ქვეყანას შორის გაცილებით უფრო მჭიდრო პოლიტიკური კავშირების არსებობისა და ტერიტორიული სიახლოვიდან გამომდინარე, ირანისთვის აქ კიდევ უფრო ფართო პერსპექტივებია გაშლილი. დამატებით, სომხური დია-

28 Conor Prasad, 'Georgia's Muslim Community: A Self-Fulfilling Prophecy?' European Center for Minority Issues. (02-2017). <http://www.ecmi.de... pdf>.

29 Ramilya Aliyeva, 'Georgia: Iranian Missionary Work Questioned.' Institute for War and Peace Reporting. (16/09/2005). <https://iwpr.net...> (წვდომა: 06/09/2017).

30 Gabedava, & Turmanidze, 'Iran's Soft Power Policy in Georgia,' 77. თითქმის ანალოგიური მაჩვენებლები დაფიქსირდა გასული საუკუნის მიწურულს მკვლევართა ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად.

31 იქვე, 65.

32 იქვე, 78.



სპორა ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ირანის კულტურულ ცხოვრებაში და ამ მხრივაც სომხეთს გამორჩეული პოზიცია უკავია ირანის სხვა სამხრეთკავკასიელ მეზობლებთან შედარებით.

სომხური სახელმწიფოს პრაქტიკულად მონოეთნიკურობიდან და მონორელიგიურობიდან გამომდინარე, ირანს აქ არ აქვს საკუთარი რელიგიური ფასულობების პროპაგანდისა თუ გავრცელების საშუალება. ამასთანავე, ორივე მხარე ხაზს უსვამს, რომ ქვეყნებს შორის მჭიდრო კეთილმეზობლური ურთიერთობები საუკეთესო მაგალითია ქრისტიანული და ისლამური ქვეყნების თანამშრომლობისა. ზემოთ უკვე ნახსენები იყო, რომ ერევანში XVIII საუკუნეში აგებული ცისფერი შიიტური მეჩეთის რესტავრაცია განხორციელდა ირანის პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით. დღეს კი ერევანის ცისფერი მეჩეთი შეტანილია იუნესკოს-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში. საგულისხმოა, რომ 2015 წელს სომხეთმა მეჩეთის კომპლექსი ირანი საელჩოს გადასცა 99 წლით აქ ირანის კულტურის ცენტრის გასახსნელად. დღეს ცენტრში ისწავლება სპარსული ენა, იმართება სხვადასხვა ღონისძიებები, არსებობს ჰაფეზის სახელობის ბიბლიოთეკა.

პარადოქსულია, მაგრამ სომხეთში არსებობს მუსლიმთა საბჭო, რომელმაც 2014 წელს შექმნა მუფთის თანამდებობა. ამ თანამდებობაზე დაინიშნა არსენ საფარიანი. მას ყუმიის თეოლოგიური სასწავლებელი აქვს დამთავრებული. ეს ნაბიჯი, ერთი მხრივ წარმოადგენდა გამოწვევას ბაქოში ბაზირებულ კავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოსი, რომელსაც ექვემდებარებიან პოსტსაბჭოთა სივრცის შიიტები, მეორე მხრივ კი, ირანს „აძლევა ფართო შესაძლებლობას განევრცო საკუთარი ზეგავლენა შიიტებზე არამხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში, რაც ასევე აზერბაიჯანის პირდაპირი გამოწვევაა, არამედ ასევე დაახლოებით 400 ათას სომეხ მუსლიმზე, რომლებიც ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ცხოვრობენ.“<sup>33</sup>

ამგვარად, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად სურვილისა და მცდელობებისა, ირანს ‘რბილი ძალის’ სახით რელიგიის გამოყენების მეტად შეზღუდული შესაძლებლობა აქვს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, იგულისხმება აზერბაიჯანი. ირანისთვის რეგიონში ბევრად უფრო სასურველი სიტუაცია არსებობს სპარსული კულტურის პრომოციის თვალსაზრისით.

33 Goble, ‘Armenia Creates a Muslim Muftiate and Names imam Trained in Iran to Head it.’ (2015). [www.interpretermag.com...](http://www.interpretermag.com...) (წვდომა 31.01.2021). ჰემშინების წარმომავლობის შესახებ განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს. იხ. Цагэ Бацаши, К вопросу этногенеза лазистанских хемшинов, ახლო აღმოსავლეთის და საქართველო, VIII (თბილისი: ილიაუნის გამომცემლობა, 2014), 258-273.

## დასკვნა

ნაშრომის უპირველეს მიზანს შეადგენდა იმ სიცარიელის ამოვსება, რაც არსებობს თანამედროვე ეტაპზე ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესწავლის მხრივ. კერძოდ, ჯერ არ განხორციელებულა ამ ურთიერთობების კომპლექსური კვლევა, თითოეულ სამხრეთ კავკასიის ქვეყანასთან ირანის ურთიერთობების საკვანძო ასპექტების ანალიზი და მათი ურთიერთშეჯერება.

შესაბამისად, ნაშრომში შესწავლილია შემდეგი საკითხები – ირანის ისტორიული კავშირები სამხრეთ კავკასიასთან; ამჟამინდელი პოლიტიკური რეალიების გავლენა ორივე მხრიდან ისტორიის აღქმაზე; ირანის საგარეო პოლიტიკის ევოლუცია, ძირითადი მიზნები და მახასიათებლები; სამხრეთ კავკასიის და ირანის პოლიტიკური ურთიერთობები და ამ ურთიერთობებზე საგარეო ფაქტორების ზეგავლენა; ეკონომიკური კავშირები, სატრანსპორტო დერეფნები, ირანის ენერგომატარებლების ტრანზიტის პერსპექტივები; კასპიის ზღვის გაყოფის პრობლემები და ენერგომატარებლების ტრანზიტის მარშრუტები; ირანის 'რბილი' ძალა სამხრეთ კავკასიაში.

ირანისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობებზე მსჯელობისას, პირველ რიგში, უნდა აღნიშნოს, რომ თანაზიარი ისტორია, ერთი მხრივ, პოლიტიკურ პრობლემებს იწვევს, მაგრამ მეორე მხრივ, სწორედ თანამედროვე პოლიტიკური რეალობები ხდება ისტორიის განსხვავებული აღქმისა და ინტერპრეტაციის საფუძველი. მაგალითისთვის, თუ სომხეთსა და ირანს შორის ისტორიის აღქმის განსხვავებებზე აქცენტირება უკიდურესად ნიველირებულია, სრულიად საპირისპირო ვითარებაა ირანისა და აზერბაიჯანის შემთხვევაში. საქართველოსა და ირანში ისტორიის განსხვავებული ინტერპრეტაცია ასევე თვალსაჩინოა, თუმცა პრობლემას არ ქმნის ორი ქვეყნის თანამედროვე ურთიერთობებში. საერთო ჯამში, ირან-სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობებში ისტორიული მენსიერების საკითხი შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთდაპირისპირებულად და პოლიტიკურად მოტივირებულად აზერბაიჯანის შემთხვევაში; განსხვავებულად საქართველოს შემთხვევაში, მაგრამ არაარსებითად; ხოლო სომხეთის შემთხვევაში – თანმთხვევი და პოზიტიური სახით ინტერპრეტირებულად.

ირანის ისლამური რეჟიმი, მრავალი კუთხით, პარადოქსული ფენომენია. ეს რევოლუციური რეჟიმი დაფუძნებულია თითქოსდა რელიგიურ პრინციპებზე, მაგრამ იმავდროულად საგარეო პოლიტიკაში პრაგმატიზმი ხშირ შემთხვევაში იდეოლოგიაზე წინ დგას.

ახლადშექმნილი ისლამურმა რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ორი საკვანძო ელემენტი გახდა ისლამური ძალების ერთობა და 'ანტიიმპერიალიზმი'. მაგრამ სულ მალე გამოაშკარავდა, რომ მხოლოდ ისლამური ერთობის იდეალებზე დაყრდნობით შეუძლებელი იყო როგორც რეგიონული, ისე გლობალური პოლიტიკის წარმართვა. ირანის პოლიტიკა დროთა განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტური მიდგომების ჩარჩოებში (ნაწილობრივ მაინც) მოექცა. ისლამურ იდენტობას უპირობოდ საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ არ ხდება მისი ბრმად გამოყენება ყველა სხვა დანარჩენის ხარჯზე. ამასთანავე, ირანი არ

ცდილობს გაძლიერებას მხოლოდ სამხედრო ძალის საშუალებით და ილწვის გამოიყენოს როგორც კულტურული, ისე რელიგიური სახის 'რბილი' დიპლომატია. ამგვარად, ირანის სათავდაცვო და უსაფრთხოების პოლიტიკა ემყარება გეოპოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ ფაქტორებს.

ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში იდეოლოგია და პრაგმატიზმი პრაქტიკულად თანაარსებობენ. მაგრამ იდეოლოგიაც პრაგმატული მიზნების სამსახურშია ჩაყენებული და თითქოსდა იდეოლოგიით მოტივირებული ქმედებები (პირველ რიგში, შიიტური სოლიდარობა) მხოლოდ დეკლარატიული ხასიათისაა: გარკვეულწილად საფარველია წმინდა პრაგმატული (ახლო აღმოსავლეთის შემთხვევაში – ექსპანსიონისტური) პოლიტიკისა.

ახლოაღმოსავლურ პოლიტიკის ანალიზისას იკვეთება, რომ „შიიტური ნახევარმთვარის“ კონცეფცია დიდწილად არ შეესაბამება რეალობას.

მთელ მსოფლიოში 'ისლამური საქმის' ერთგულების და ისლამური მოძრაობების მხარდაჭერის განცხადებული მისიის მიუხედავად, ირანი ინარჩუნებს საკმაოდ ახლო ურთიერთობებს იმ ქვეყნებთან, რომლებიც დაუნდობელ ბრძოლებში არიან ჩართული საკუთარ ადგილობრივ ისლამისტ რადიკალებთან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე ირანის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი გახდა რუსეთი. ორ ქვეყანას არაერთი საერთო ინტერესი აკავშირებს. როგორც ირანის, ისე რუსეთის შემფოთებას იწვევს დასავლეთის პოტენციური დომინირების საფრთხე ახლო აღმოსავლეთსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხრეთში. თუმცა, ასევე ბევრი ფაქტორი არსებობს, რომლებიც ხელს უშლის ორი ქვეყნის თანამშრომლობის სტრატეგიულ პარტნიორობაში გადაზრდას. ჯამში, ირან-რუსეთის ურთიერთობები ემყარება როგორც ანტიდასავლურ განწყობას, ისე მოკლევადიან გეოპოლიტიკურ ინტერესებს. რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის შედეგად, ბევრი კითხვა გაჩნდა ორ ქვეყანას შორის სამომავლო ურთიერთობების შესახებ.

ირანის, როგორც საერთაშორისო სისტემიდან გარიყული სახელმწიფოს სტატუსის დასრულებისა და საერთაშორისო საზოგადოებაში მისი თანდათანობითი რეინტეგრაციის შემთხვევაში, ვითარება რადიკალურად შეიცვლება. ირანის ურთიერთობების გამოსწორება დასავლეთთან ძირეულად შეცვლის ძალთა ბალანსს ახლო აღმოსავლეთში და არა რუსეთის სასარგებლოდ.

უახლესი ისტორიის მანძილზე ირანსა და თურქეთს შორის ურთიერთობები არაერთხელ დაძაბულა, მაგრამ არასდროს გადაზრდილა ღია დაპირისპირებაში. დღესაც ორ ქვეყანის ურთიერთობებში იკვეთება როგორც თანმთხვევი, ისე საწინააღმდეგო ინტერესები. მიუხედავად უკანასკნელ წლებში თურქეთის ისლამური სამყაროსკენ შემობრუნებისა, ქვეყანა კვლავაც რჩება ნატო-ს წევრად, ნატო კი, აშშ-ის წინამძღოლობით, დღეს ირანის მთავარი მოწინააღმდეგეა.

ანტიამერიკული სტრატეგიიდან გამომდინარე, უკანასკნელ წლებში ირანმა თანდათანობით დაიწყო ზრუნვა აზიურ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავებაზე. ჩინეთი ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად იქცა. ჩინეთის გააქტიურებამ ირანთან მიმართებაში, შეიძლება მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ცვლილებებს მისცეს ბიძგი.

პოსტსაბჭოთა პერიოდის მანძილზე, ირანის დამოკიდებულება ახალი, ჩრდი-

ლოეთის საზღვრის მიმართ ზოგადად ოთხი ძირითადი ასპექტით შეიძლება დახასიათდეს: 1) მჭიდრო კავშირი რუსეთთან და რუსეთის ინტერესების აღიარება კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში; 2) ისლამის ფაქტორი ანუ ისლამის გეოპოლიტიკური და გეოკულტურული როლი კავკასიაში; 3) კასპიის ზღვის ნავთობის ფაქტორი და, აქედან გამომდინარე, დასავლეთის პოზიციების გამყარება რეგიონში; 4) რთული ურთიერთობები აზერბაიჯანთან, რაც განპირობებულია ირედენტისტული განწყობების არსებობით საზღვრის ორივე მხარეს (უპირველესად აზერბაიჯანის მხრიდან).

სამხრეთ კავკასიაში ირანის პოლიტიკა, მიუხედავად ირანის ისლამური რესპუბლიკის 'რელიგიური' ბუნებისა, პრაგმატულ ხასიათს ატარებს.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებული საგარეო ვექტორები განაპირობებს მათ განსხვავებულ დამოკიდებულებას ირანისადმი.

ირანი მისდევს რეგიონალიზმის პოლიტიკას და ხაზს უსვამს, რომ რეგიონის ბედი უნდა გადაწყდეს 'ლოკალური' ძალების მიერ. ნათელია, რომ ამგვარი პოზიცია რუსეთში სიმპათიას და მხარდაჭერას იწვევს.

რეგიონთან დაკავშირებით რუსეთისა და ირანის დაახლოების მიზეზების სამი ელემენტი შეიძლება გამოიკვეთოს: აშშ-ის ჩართულობა რეგიონში მიმდინარე პროცესებში მიუღებელია ორივე ქვეყნისთვის; ორივესთვის საფრთხის შემცველია დემოუკიდებელ აზერბაიჯანში ნაციონალისტური იდეოლოგიის მზარდი ძალა და თურქეთის ჩართულობა რეგიონში მიმდინარე პროცესებში; ორივე ქვეყანა უკმაყოფილოა ნატო-ს აქტივობებით რეგიონში.

რუსეთის რეგიონული ჰეგემონური პოზიცია და ამერიკის ნებისმიერი სახის ჩართულობის მიუღებლობა რეგიონში ზღუდავს დიპლომატიურ საშუალებებს თეირანისთვის. ირანელი ლიდერები არ შეიძლება ერთდროულად იყვნენ ანტი-ამერიკულები და სამხრეთ კავკასიაში რუსული პოლიტიკისგან დამოუკიდებელნი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთი და ირანი კვლავ გახდნენ მეტოქეები რეგიონში, თუმცა ამჯერად მათი დაპირისპირება გაცილებით უფრო ზომიერი ხასიათისაა. ირანისთვის საფრთხის შემცველი გახდა თურქეთისა და აზერბაიჯანის სულ უფრო მჭიდრო ურთიერთობების ზეგავლენა სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ სცენაზე.

არაერთი ფაქტორიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ირანს ყველაზე ინტენსიური კონტაქტები აზერბაიჯანთან აქვს. ზოგჯერ მათი ინტერესები თანმთხვევია. თუმცა, ქვეყნებს შორის არსებობს არაერთი წინააღმდეგობა, რაც პერიოდულად ურთიერთობების უკიდურეს დაძაბვასაც იწვევს.

ახალი აზერბაიჯანის რესპუბლიკის შექმნამ ირანის ჩრდილოეთით შეცვალა ირანის საგარეო პოლიტიკური გათვლები და გარკვეულწილად, ზეგავლენა მოახდინა საშინაო პროცესებზეც. თავდაპირველად ირანი აზერბაიჯანს აღიქვამდა ისლამური რევოლუციის განვრცობისთვის ნოყიერ ნიადაგად. მაგრამ ეს იმედები მალე შეშფოთებაში გადაიზარდა, რამდენადაც ბაქომ გამოხატა ირედენტისტული პრეტენზიები და დაიწყო „დიდი აზერბაიჯანის“ იდეის პრომოცია.

ირანი და აზერბაიჯანი ისტორიის ურთიერსაპირისპირო ინტერპრეტაციას ახდენენ. აზერბაიჯანის სეკულარული და თურქეთზე ორიენტირებული იდეოლოგია ისტორიის უპირველესად ეთნიკური კუთხით აღიქვამს. ისტორიის ირანული

ხედვა კი ემყარება ირანში მცხოვრები ხალხების სახელმწიფოებრივ ერთობას, რომელშიც რელიგიას განსაკუთრებული როლი უკავია. იდეოლოგია, იდენტობა და უსაფრთხოება ის სამი სფეროა, რომელთა შეუთავსებლობა განაპირობებს ორ ქვეყანას შორის წინააღმდეგობრივ ურთიერთობებს.

კავკასიის აზერბაიჯანისგან განსხვავებით, სადაც სეფიანთა სახელმწიფო აზერბაიჯანულად და აზერბაიჯანული იდენტობის ამოსავალ წერტილად მიიჩნევა, ირანელ აზერბაიჯანელთათვის ეს სახელმწიფო, რომელმაც შიიზმი ირანის სახელმწიფო რელიგიად აქცია, ერთიანი ირანული იდენტობის ჩამოყალიბებაში 'აზერბაიჯანული წვლილის' გამოხატულებაა.

ირანის აზერბაიჯანელთა დღეს არსებული პრობლემები ეთნიკურია და არა პოლიტიკური. აზერბაიჯანელებისგან რეალურად არ მომდინარეობს სეპარატიზმის საფრთხე.

აზერბაიჯანისა და თურქეთის მჭიდრო, სტრატეგიული ურთიერთობა, სლოგანი „ერთი ერი – ორი სახელმწიფო“ ასევე ართულებს ირანისა და აზერბაიჯანის ურთიერთობებს. თურქეთისა და ირანის ქიშპი აზერბაიჯანში „უფროსი ძმის“ სტატუსის მოსაპოვებლად უპირობოდ თურქეთის გამარჯვებით დასრულდა.

აზერბაიჯანს თანამშრომლობა აშშ-თან ეწინააღმდეგება როგორც რუსეთის, ისე ირანის ინტერესებს. თეირანს ასევე აშფოთებს აზერბაიჯან-ისრაელის მჭიდრო კონტაქტები. ეს თანამშრომლობა, რომელიც დიდწილად ირანის წინააღმდეგ არის მიმართული, უდავოდ ისრაელის დიპლომატიის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს იმ პირობებში, როდესაც თურქეთთან ისრაელის ურთიერთობები უკიდურესად არის გაცვივებული.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობები ირანს სომხეთთან აქვს. ამ სიახლოვეს პოლიტიკური მოტივები განაპირობებს. აზერბაიჯანთან და თურქეთთან ჩაკეტილი საზღვრებისა და დაპირისპირების პირობებში, სომხეთს რეალურად მხოლოდ ორი 'ფანჯარა' აკავშირებს გარე სამყაროსთან – საქართველო და ირანი. თავის მხრივ, საერთაშორისო ასპარეზიდან პრაქტიკულად გარიყული ირანისთვის, სომხეთიც 'ფანჯარას' წარმოადგენს და გარკვეულწილად აბალანსებს აზერბაიჯანთან (და თურქეთთანაც) პერიოდულად წარმოქმნილ პრობლემებს. სომხეთი ასევე 'ხიდია' რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობებისთვის.

სომხეთისთვის მომგებიანია, რომ ირანსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთუნდობლობა და პრობლემები არსებობს. ერევნისთვის ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თეირანის წინააღმდეგობრივი ურთიერთობები ანკარასთან. მეორე მხრივ, სომხეთთან კავშირი ირანს საშუალებას აძლევს რეგიონში გარკვეული აქტივობები განახორციელოს, შედარებით დააბალანსოს მოქიშპე ძალები და შეინარჩუნოს სამომავლო აქტივობების პერსპექტივები.

სომხური თემი ირანში მსოფლიოში არსებულ სომხურ დიასპორებში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია. სომხებს აქვთ რელიგიური უმცირესობის სტატუსი. სომხური უმცირესობისთვის მინიჭებული საკმაოდ ფართო უფლებების ფაქტორს ირანი საგარეო პოლიტიკაშიც იყენებს.

დღეს ხშირია საუბარი ახალი ლერძის – მოსკოვი-ერევანი-თეირანი – შესახებ. ხაზგასასმელია, რომ თეირანის სომხეთთან დაახლოვება მოხდა იმის გამო, რომ ამას არ ეწინააღმდეგება მოსკოვი.



საქართველოსთან დაკავშირებით, უნდა გამოიყოს რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ხელს არ უწყობს ორი ქვეყნის დაახლოებას: 1) „ცივი ომი“ რუსეთსა და საქართველოს შორის. 2) თურქეთ-საქართველოს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები. 3) საქართველოს პროდასავლური კურსი და მჭიდრო კავშირები ნატო-სთან.

ირანის ქცევა საქართველოს პარტნიორად არ არის რეალისტური, ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განსხვავებული სტრატეგიული ბუნების გამო.

ირანის უნარი გახდეს გავლენიანი აქტორი საქართველოში შეზღუდულია ასევე გეოგრაფიული ფაქტორით – უშუალო საზღვრის არარსებობით ორ ქვეყანას შორის. საქართველოს დიდი დამოკიდებულება დასავლეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხარდაჭერაზე გამორიცხავს გარკვეული წითელი ხაზების მოსპობას თეირანთან ურთიერთობაში. ორ ქვეყანას შორის არსებობს გადაულახავი წინააღმდეგობები საქართველოს დასავლური და ირანის რუსული პოლიტიკური ვექტორებიდან გამომდინარე.

აზერბაიჯანელებსა და სომხებს ემოციური, რელიგიური თუ ეთნიკური ბმა აქვთ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, საქართველოს შემთხვევაში კი ასე არ არის. სომხებისგან (დიასპორა და რელიგიური უმცირესობა), და აზერბაიჯანელებისგან (ეთნიკური უმცირესობა) განსხვავებით, ქართველები ძნელად თუ შეიძლება ჩაითვალოს დიასპორად ან ეთნიკურ უმცირესობად. პირველ რიგში, იმის გამო, რომ ირანში მცხოვრები ქართველები შიიტი მუსლიმები არიან. მეორე რიგში კი, იმ მიზეზიდან გამომდინარე, რომ ირანში არ არსებობს ქართველთა ერთიანი თემი.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები დათბობა-გაცივების რეჟიმით ხასიათდება. მოსკოვის, თეირანისა და თბილისის სამმხრივი ურთიერთობებში თეირანი, დღევანდელი მოცემულობიდან გამომდინარე, ქართული მხარის მხარდამჭერი ვერ გახდება.

საერთო ჯამში, ირანის დამოკიდებულებაში საქართველოს მიმართ რამდენიმე ფაქტორი შეიძლება გამოიყოს: 1) ირანს, როგორც ტერიტორიულად დაკმაყოფილებულ სახელმწიფოს, არ აქვს პრეტენზიები მეზობლების, მათ შორის საქართველოს მიმართ და აღიარებს ამ ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას. 2) საქართველოს მაგალითზე ირანი გამოდის აშშ-ისა და ნატო-ს პოზიციების გაძლიერების წინააღმდეგ რეგიონში და მხარს უჭერს რუსეთის ინტერესებს. 3) ნავთობსადენით და გაზსადენით აზერბაიჯანისა და თურქეთის დაკავშირება საქართველოს გზით, არ შეესატყვისება ირანის ეკონომიკურ ინტერესებს და ამცირებს მისი, როგორც კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის სატრანზიტო ტერიტორიის მნიშვნელობას. 4) ირანი დაინტერესებულია საქართველოს სატრანზიტო გზებით შავი ზღვისა და ევროპისაკენ.

საქართველო პროდასავლური ალიანსის წევრია, ირანი კი მხარს უჭერს ანტი-დასავლური ფრონტის შექმნას საერთაშორისო მასშტაბით. აზერბაიჯან-ირანის ურთიერთობებშიც მსგავსი პრობლემა იკვეთება – ბაქოს მჭიდრო კავშირი ისრაელთან. თუმცა ნავთობთან და ბუნებრივ აირთან დაკავშირებული საერთო ინტერესები ორივე მხარეს აიძულებს პრაგმატულ ურთიერთობებზე გეზის აღებას.

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებთან დაკავშირებით ირანის პოლიტიკის განმაპირობებელი ორი უმთავრესი ფაქტორია დასავლეთის რეგიონში მიმდინარე

პროცესებში ჩართვის მიუღებლობა და რუსეთის ინტერესების გათვალისწინება. თუმცა, ამ შემთხვევაში ირანი არ არის რუსეთის 'ნების' უპირობო აღმსრულებელი, რაც კარგად გამოჩნდა, მაგალითად, ირანის თავშეკავებული პოზიციით საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით და 'არალიარების პოლიტიკის' თანმიმდევრული დაცვით. ირანული რიტორიკა საკმაოდ აგრესიულია სამხრეთ კავკასიაში 'დასავლურ' და 'სიონისტურ' ჩართულობასთან დაკავშირებით.

ირანისთვის მიუღებელია კონფლიქტების იმგვარ გადაწყვეტა, რომლის შედეგადაც მოხდება საერთაშორისო სამშვიდობო ძალების (რუსეთს თუ არ ჩავთვლით) განლაგება რეგიონში. თეირანი რეალურად მხარს უჭერდა სტატუს კვოს შენარჩუნებას ყარაბაღთან დაკავშირებით. ეთნიკური თვითგამორკვევის პრობლემა თეირანისთვის სენსიტიური საკითხია იმ თვალსაზრისით, რომ სამხრეთ კავკასიაში განხორციელებულ ცვლილებებს შეიძლება ნეგატიური ეფექტი მოჰყვეს მისთვის საშინაო დონეზე. საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებით ირანის თავშეკავებული პოზიციაც ამ კონტექსტში ჯდება.

ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით, ირანი, ალბათ, თურქეთთან და რუსეთთან შედარებით, მართლაც ნეიტრალური მხარედ შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, საერთო ჯამში, თეირანი ბევრად უფრო მეტ კეთილგანწყობას იჩენდა ერევნის, ვიდრე ბაქოს მიმართ.

2020 წლის აზერბაიჯან-სომხეთის ომის შედეგები ირანისთვის საკმაოდ წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, სასაზღვრო ზონაში აზერბაიჯანის კონტროლის დამყარებამ თითქოსდა შექმნა უკვე სამართლებრივ ჩარჩოებში ორივე ქვეყნისთვის ხელსაყრელი შემდგომი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები, თუმცა, მეორე მხრივ, სწორედ სასაზღვრო ზოლი გახდა ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის გაზრდის მიზეზი.

ყარაბაღის მეორე ომის შედეგებს დიდი არაფერი შეუცვლია ირანის დამოკიდებულებაში სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართ: ირანს დღესაც ბევრად უფრო მჭიდრო ურთიერთობები აქვს სომხეთთან, ვიდრე აზერბაიჯანთან.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით, ირანის დამოკიდებულების ორი მთავარი მახასიათებელი უნდა გამოიყოს, რაც, პრინციპში, ყარაბაღის კონფლიქტთან ირანის დამოკიდებულების თანმთხვევია. პირველ რიგში, ირანის ხელისუფლება ყოველთვის ხაზს უსვამს საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრების, ტერიტორიული მთლიანობის და სხვა სახელმწიფოების შინა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების დაცვის აუცილებლობას. მეორე რიგში, თეირანი უკიდურესად სენსიტიურად აღიქვამს გარე აქტორების გააქტიურებას მის მეზობელ კავკასიაში. ირანის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ კავკასიის პრობლემები უნდა გადაწყდეს მხოლოდ რეგიონის ქვეყნების მიერ. „რეგიონულ ქვეყნებს“, ირანის სტრატეგიული კონცეფციის მიხედვით, წარმოადგენენ სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო, თურქეთი, რუსეთი და საკუთრივ ირანი.

ირანისთვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს რეგიონული თანამშრომლობის ფორმატებში მონაწილეობა იზოლაციის დაძლევისა და ამგვარი ფორმატის ჩარჩოებში საკუთარი ინტერესების გატარებისთვის. ირანი ერთადერთი ქვე-

ყანაა, რომელსაც სამივე სამხრეთკავკასიურ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობები აქვს. ირანი ასევე ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ესაზღვრება სომხეთს, აზერბაიჯანს და ნახიჩევანის ექსკლავსაც.

